პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

2-3

ყოველთვიური მხატვრულ ლიტერატურული
მეცნიერულ პუბლიცისტური ჟურნალი

წელიწადი მეექვსე

თებერვალი — მარტი

Институт Экономич. Иследов. при Госплане З.С.Ф.С.Р. БИБЛИОТЕКА

Тбилисский филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б) Библиотека

Институт Экономич. Иследов. при Госплане З.С.Ф.С.Р. БИБЛИОТЕКА

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი 1929

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჟურნალ „მნათობი“-ს 5 წლის თავზე

## 1924—1929

„მნათობის“ რედაქცია ქართველ საბჭოთა მწერლებთან ერთად „მნათობის“ არსებობის ხუთი წლის თავს დღესასწაულობს. ხუთი წელია, „მნათობი“ სისტემატიურად გამოდის და ქართული ლიტერატურის განვითარებას ემსახურება.

ეს ხუთი წლის წინეთ „მნათობის“ დაარსება და მის გარშემო საბჭოთა მწერლის და მუშურ-გლეხური მწერლების დარაზმვა ისტორიული აუცილებლობა იყო, დღეს მისი არსებობა ისეთი ბუნებრივი ფაქტორია, ის ისე აუცილებელია, როგორც ყოველდღიური პური. „მნათობი“ ერთ-ერთი ბოძია ჩვენი კულტურული საქმიანობის.

პოლიტიკურ ასპარეზზე გამარჯვებული მუშათა კლასი მსხვილი ინდუსტრიისათვის საფუძვლის ჩაყრით, ეკონომიური ცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქციის ცდით და ჩვენი სპეციფიური შავ-ბნელი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით იწყებს სოციალისტური საზოგადოების დიად აღმშენებლობას.

ეკონომიკასა და პოლიტიკას ყოველთვის თან ახლავს შესაფერი იდეოლოგია.— იდეოლოგიის ფრონტზე მუშათა კლასი ისე იბრძვის, როგორც პოლიტიკურზე. ზოგ შემთხვევაში იდეოლოგიური ფრონტების ასპარეზზე უფრო ხანგრძლივი ბრძოლებია იქნება საჭირო, ვიდრე პოლიტიკურის.

ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე დაიწყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლასთან ერთად, მაგრამ ის გრძელდება პოლიტიკურ ასპარეზზე გამარჯვების შემდეგაც.—„მნათობის“ დაარსება და მისი ორგანიზაცია ერთ-ერთი ეტაპი იყო ამ ბრძოლის.

ჟურ. „მნათობის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წ. თებერვალში.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ. ცხოვრება წინ წავიდა. მუშათა კლასი ახალ პოზიციებს იპყრობს. აღმშენებლობა წინ მიჰყავს. სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებამ გამოაფხიზლა ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკი. წვრილ-ბურჟუაზიულ „კულაკური“ ელემენტები ამუშავდნენ და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას შეუტიეს. იდეოლოგიის ფრონტზე ეს კლასობრივი ურთი-ერთობა გამოიხატა მემარჯვენე გადახრებში. პროლეტარიატის წინაშე დაისვა მემარჯვენე საშიშროების საკითხი. ამ მდგომარეობამ თავისი გამოხატულება მხატვრულ ლიტერატურაშიაც ჰპოვა.

სოციალისტური აღმშენებლობა შევიდა იმ სტადიაში, როცა მუშათა კლასი მთელ კულტურულ ფრონტს უნდა დაეუფლოს, მან ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგი თავის საქმეზე უნდა აქციოს. სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი თავდებია ის, რომ

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა იდეოლოგიის მთელს გარაქარს თავისი მიზნებისათვის გამოიყენებს, რითაც ცხოვრებაში უკვე დამყარებული სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა იდეოლოგიაში გამოიხატება.

ამიტომ მუშათა კლასს და მის პარტიას იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის უწინდელი მეთოდი აღარ აკმაყოფილებს. დღეს ის შეტევაზე გადადის. შექმნილ პირობებში, ცხადია, რომ „მნათობმაც“ გარკვეულად ბრძოლა უნდა აწარმოოს წვრილ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგ ლიტერატურაში.

ნათქვამიდან, ცხადია, ის გამომდინარეობს, რომ „მნათობის“ ძველი თანამშრომლებისათვის მარტო პოლიტიკური თანამგზავრობა საკმარისი აღარ არის. დღეს ის იდეოლოგიური თანამგზავრიც უნდა გახდეს. დღეს საკმარისი აღარ არის „რაიმე მიღწევა ქართულ ლიტერატურაში“ და „მნათობის“ უახლოესი თანამშრომელი იყო—დღეს იდეოლოგიური თანამგზავრობის მიღებაა აუცილებელი.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობა ერთი დაკვრით პროლეტარულ მარქსისტული იდეოლოგიის მიმდევარი გახდება. მის ბანაკში ჯერეთ ბევრია ძველი ტრადიციები, ძველი ფორმები, ძველი აზრები. „მნათობი“ ანგარიშს გაუწევს ამას; პირველ რიგში კი „მნათობი“ შეეცდება ისეთი მწერლობის დარაზმვას, რომელსაც ძველიდან განთავისუფლება სურს, რომელიც ახლისაკენ იყურება და ახალ ქვეყანას ღებულობს.

ამიტომ მეექვსე წელს თავისი მუშაობისა „მნათობი“ იწყებს განცხადებით: „მნათობის“ კარები ღიაა იმ მწერლებისათვის, რომელსაც მხატვრულ და მეცნიერულ მიღწევებთან ერთად აშკარად შეუგნია მარქსისტულ-პროლეტარული იდეოლოგიის სიძლიერე და სოციალისტური კულტურის შესაძლებლად თავისი წვლილის გაღებაც გადაუწყვეტია.

„მნათობი“ შეეცდება შექმნას მხატვრული ლიტერატურა ნაციონალური ფორმით და ინტერნაციონალური შინაარსით.

ტფილისი.
მარტი, 1929.

რედაქცია.

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლექსი, დაწერილი „მნათობი"-ს 5 წლის არსებობის გამო

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია;
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.

მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.
ეს ხუთი წელი—ხუთი აგური
დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი
მხურვალე, მხნე და ამხანაგური!

მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,
დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;
ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აზროვნებას!

გაუმარჯოს ფიქრს, რომ ყოველ წუთით
ჩავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს
აჰყირავებს ეს წელი ხუთი
ხუთიათასი წლის ისტორიას!

მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის
დღეს საჭიროა, როგორც არასდროს!
რევოლიუციონურ დღის დირიჟორის
ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!

თუ მსოფლიოში კვლავ შორით შორად
გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,
ჩვენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:
გული, სიმღერა, შრომა—აქ არი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნებათა არმია! ჩქარი
ეპოქის გვერდით იარე, წადი!
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.

ხომ განვლილია ნაწილი გზისგან.
სხვა ამოცანა—ალმოსავლეთით,
როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან,
გემზე პირველი გზით რომ ავედით—

ოკეანესი ჭქუხს შუაგული!
და ახალ ნაპირს იმედათ ათოვს
მზე, რკინასავით შემოდაგული...
ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!

სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს
დროშას, გაწევას, ძალთა მოკრებას!
ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,
ინტერნაციონალის აზოზოქრებას!

პაოლო იაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პოეზიის ინჟენრებს

ათი გრიალა
წელიწადია,
რაც ლექსებისთვის გავსწირეთ თავი,
და იმ გრიალით
ისევ მწადია:
ვიქნეთ მედგარი და გამბედავი.

ვიყავით მარად
მოერთბაშენი
და დაშორება ახლაც ძნელია,
გავტყდეთ აშკარად,
გუშინ ნაშენი
დღევანდელისთვის უკვე ძველია.

რა დაგვმართია:
სიტყვები რკინის
გადაქცეულან აყალო მიწათ,
უკულმართია,
როდესაც ქინით
ისევ დანგრეულ ლობეებს ვიცავთ.

სიტყვა მართალი
გულმოდგინებით
ვსთქვათ და ეს სიტყვა დიდხანს დარჩება,
რა ჰყავს ბადალი,
როცა ზვინები
ჩამწკრივდებიან ოქროს არჩვებათ.

როდესაც მაღალ
ქარხნის მილიდან
იფეთქებს გუნდი შავი შაშვების,
როდესაც გახვალ
ხალხში დილიდან
და დაგხვდებიან გზაში ბავშები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარეების
ყოველი წვეთი
გადაიქცევა წკრიალა შუქათ,
და ჩვენს დღეებში
არასდროს ერთი
დღეც არ ჩაივლის ხალხისთვის უქმათ.

ჩადგება ალბათ
გულის წიაღში
კმაყოფილება ოქროს ტბორებათ—
თუ მოხდა დამპალ
ყარაიაში
ციების კოღოს ჩამოშორება.

სიტყვა მართალი
ვთქვათ ერთმანეთში
მდაბიო თქმაში ხშირად ზანტებმა:
რაა ბადალი,
როცა სვანეთში
მატარებელი ატორტმანდება.

როცა კახეთის
დაზვირთულ ზვარებს
ველარ აუვა ჭურჭელით გლეხი,
როცა გახედავ
ლიახვის მხარეს
ნალდი ნაყოფით დატვირთულ ხეხილს.

სიტყვა მართალი
გაჩაღდა ვხედავ,
და მღერის ჩემში ხმა უტკბილესი:
რაა ბადალი,
როდესაც მ:ცხეთას
მიაბჯენს სახლებს ჩვენი ტფილისი.

როცა მადნებით
გამჯდარ მიწაში
ცივი წერაქვი დაიორთქლება,
ან და დადნები
ლექსის კინძვაში
როცა გაშალეს ჩერო ფოთლებმა.

დღეს ჩვენში ხმალი
ქარქაშში ჩასვეს,
გადიგრიალა ბოლომდის ომმა,
და ხედავს თვალი,
მომავალს სავსეს,
რომელსაც სარდლათ მიუძღვის შრომა.

1929 წ. მარტის 25.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი მათგანი

## ნაწყვეტი

გლეხი-კაცის შვილს
ხუთი წლის შემდეგ,
გაუთავდება ვადა ბავშობის.
აწი ბევრიც რო მეტირა, ცრემლებს
არ შემიშრობდენ სათამაშოთი.

მე ეხლა მთვარეს ჭადათ არ ვთვლიდი,
ნამდვილი ჭადი მოვთხოვე დედას;
ქვლავინდებურად, სალოკი თითით
მშიერ კუჭს ველარ გამიბრიყვებდა.

ოჯახი მიხვდა, ზედმეტი პირი
შეჭმატებოდა კიდევ სარჩენად.
კოდში საგრძნობლად დადაბლდა ფქვილი
და შემაგინა მამამ გამჩენი.

რა უნდა მექნა!
არც მოხერხება
და არც იმდენი ჭკუა მქონია,
მეთქვა მამისთვის:—რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია [1]).

მერჩია, მინდვრად, აჩახჩახებულ
ჭრიჭინების ხმით ყურის გავსება,
ან ვთამაშობდი...
ვინ არ ყოფილა,
ერთი დღით მაინც ყაჩაღ არსენად.

მქონდა ბუს სმენა, მქონდა თვალები
ველში და ტყეში ბადეთ გაშლილი.
მქონდა სხეულში მაგარ-მაგარი
და დარჩეული ძვლების კავშირი.

---

[1]) გრანელის სტრიქონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყოველ ხეს წამოექცევა
გადიდებული ჩრდილი ძალლურად,
როცა დადგება სუნი მთვარისა
და მზესუჰვრიტა ფოთლებს დახურავს,

ბებია თეო გამოცვიებულ
თვალებს და ჩხირებს გაუყრის წინდას.
გაიხმაურებს უკბილო პირით,
როგორც ჩალაზე პატარა წვიმა...

მაგრამ არასდროს არ მოვსწრებივარ,
ბოლომდე ეთქვას მოკლე არაკიც;
წარმტაც ადგილზე შემოელევა
მას სიფხიზლე და სიტყვის მარაგი.

ჩამყვება ძილში და მეხატება,
წინ, მომავალი ჩემი ცხოვრება,
ყველა იმ უთქმელ, მოხუცის ტუჩზე
გამწყდარ ზღაპრების დაბოლოებათ.

როს გაზაფხულმა ეზოში მერვედ
გადმოაფინა ფერადი ნოხი,
როცა ჯერ კიდევ მემძიმებოდა
დატრიალება ოყიან თოხის,

როს ვიზრდებოდით შვილები, მაგრამ
არ იზრდებოდა ეგ ჩვენი ქოხი—
სამი დედლის და ერთი ნათლიას
შემწეობით მე ხარაზთან მოვხვდი.

მიმაცილებდენ და მიმტიროდენ,
არ იშურებდენ მშობლები ცრემლებს;
დედის ცრემლები მე მეკუთვნოდა,
მამის კი, დედლებს.

მზე მთის წვეროებს დაჯახებოდა
და დამტვრეოდა გრძელი შუბები.
მე ვინ მეტირნა!
აკრიახებულ
დედლებს ვტუქსავდი და ვაჩუმებდი.

ჯაჭვის ხიდესთან,
სადაც ლეჩხუმელ
მეეტლეების ფუნდუკებია,
სადაც ხაშისთვის საგულდაგულოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიონითვე წამოდგებიან,
სად არეულან გარკვეული და
გაურკვეველი ხელობის კაცნი,
სადაც ცხვირიდან ძმარს დაგადენენ,
თუ მოწოდებულ ჭიქას არ დაცლი...

სადაც მაშინ გაქვს კაცობის ნება,
თუ ციხის ზღურბლზე შეგიდგამს ფეხი,
სად წარჩინებულ პირათ ითვლება
დესეტნიკებთან პურის გამტეხი;

სად ოყის ნაცვლად მოგიწონიან
ქრისტეს სიმშვიდით, ნახევარ ოყას.
სადაც არასდროს არ აეწვება
პირხმელ იმერელს სირცხვილით ლოყა;

სადაც ყველაზე დიდია ქორის
მიმღები ყური, გამტანი ენა...
ჯაჭვის ხიდესთან,
სადაც უთუოდ
დაგიხარჯიათ ნაბიჯი თქვენაც,

იდგა დუქანი,
იყო ხარაზი,
ჰყავდა შეგირდათ გლეხი პატარა.
ბედმა ქალაქში რვა წელის გარდა
სხვა არაფერი გამოატანა.

ვცხოვრობ ამ შიშველ წლების ამარა;
სადგისით ხელში მოხრილი ვზივარ,
და ჩემს სახეზე ხარაზის ჯილით
ჩამორეკილი კურცხლები ბზინას.

ორი რამ უყვარს: ორშაბათ დილით
კარგი ხელიდან სიფთის აღება,
და ქუთათური,—ქლიავის ფერი
შაბათ საღამოს მოახლოვება.

მაშინ ჩაუვლის სულის კლიტეებს,
უნდა დალიოს ისე, რო შემდეგ
სალაპარაკოდ შაბათის გემო,
გაჰყვეს მომავალ შაბათის დღემდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასთან ცხოვრება ჩემი გმირისთვის
გაუძლებელი იყო პირველად,
ვით პაემანზე მიმავალისთვის
ლექსიკონების გაზეპირება:

შეუძლებელი, როგორც ლექსებით
ალფრთოვანება კორექტორისა;
მაგრამ თიხაა გარემოს ხელში
წუთისოფელი ჩვენი ყრმობისა;

როგორც თითები მოქანდაკისა,
მისი გულისთქმა გზელავს და გძერწავს.
პირვანდელ სახეს, პირვანდელ გრძნობებს
ის ავდარივით ჩამოგირეცხავს—
და შეგითვისებს.

აუჩქარებლივ
კვირას მეორე კვირა მისდევდა.
ჩამოდიოდენ ნამოხვანელი
მეურმეები ჯაჭვის ხიდესთან,

ნახავდენ შეგირდს და გადასცემდენ
დედის მოქსოვილ წინდებს და სურვილს.
მოქონდათ მასთან თბილი სიტყვები
და საყვარელი ბოსელის სუნი.

თბილისი.
თებერვალი.

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზამთრის მუხამბაზი

**დიალოგი მონასტერში**

ი ო ა ნ ე: რადგან სოფელი დაუტევეთ, საკრავსა და სამღერალზედაც ხელი უნდა აიღოთ.

ს ა ა თ ნ ა ვ ა: ვინემ ეს სიმები ამ ჩონგურს ასხია და არ დაუწყდება, ხელს არ ავიღებ ამისთვის, რომ ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმები უბეში დამრჩომოდა და ესეც ჩემთან ეკურთხა...

დაუბეჭდავი „კ ა ლ მ ა ს ო ბ ა“.

თუ კი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით,
იანვარშიც აღარ გავიყინებით;
საათნავას ანაფორის უბეში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები.

გაუმარჯოს! ვისი გულიც გულია,
ვისაც თოვლში ოცნებით გაუვლია;
ვინც გესროლა თოვლი და გაგიღიმა,
სიყვარულით ვინც კი გათანგულია!

ვისაც გულში სიმღერა ჩაგრჩენიათ,
ვისაც ცრემლში არ გასთხვრია ხელები:
დაიბუგეთ!
და იყავით იავარ!
მიანარცხეთ ჩანგზედ საფეთქლები!..

ეს დღეები განა შაბათებია,
ან ლექსები განა შარბათებია:
განა მართლა შოშია ვარ უტვინო,
რომ სიმღერის დილა გამნათებია?

— მე მაქრქოლებს ჩემი დიდი დროება:
ხანძარები ხანძარებზე მოება!
დავინახე მეხმა როგორ დააპო,
საქართველოს საყდრული მყუდროება!

ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
გადმოღვარე თქეშა ლექსის წვიმები!
— საათნავას გაყინულ სუდარაშიც—
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები!

9 III.

ვარლამ ჟურული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნიკო ფიროსმანს

შველად მოხატე გადაჭრილი ხე,
შველი წამოდგა სამეკლდუროდა.
კლდე შეითოვლა, ხე შეიჭირხლა,
შველს ხევი ერგო, ღრე ემდუროდა.
შველი ცხოვრობდა უბინადროდა,
კლდედ მოიწყენდა, ხევში ჩარბოდა.

ითქმოდა ქება პურის კალოთა,
ვაზთა დიდება, ხილთა მკობანი.
მზე ენთო ცამდე საბრიალოთა,—
იხანძრებოდა ცის კიდობანი.
ვაზის წვენობა, კალოს ხვაობა.
იყო კახეთის სანახაობა.

იმწვანა მდელო მშობელ მიწამა,
მთა იწალკოტა, ბარი შეითბო,
ყურძენი გატკბა სიმწიფიდამა,
სურნელი დადგა ზვარ-ნაშენითო.
მწვანით მორთული მთელი სამდელო
სხვა სურათია, სხვა საქართველო.

სიმღერა მიწყდა როგორც წვიმის ხმა,
მე კი ვიმღერი გულს რო ვავედრო.
შხიოდა მწვადი, იყო ღვინი-სმა,
ისმოდა სიტყვა საალავერდო:
— კიდევ ბევრია პური და ღვინო,
ჭიქა დასცალე, არ მოიწყინო.

ხე შემოხატე—შველი აიგო,
შველმა ინატრა კლდის ხმაურობა.
თურმე შამილის კლდემაც გაიგო
ხისა და შველის სადაურობა.
შველი შელონდა,—ვის შესტიროს მან—
ბედ-განწირულო ნიკო ფიროსმან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## (დაუბეჭდავი მოთხრობა)

* * *

— შველა, მოჰკლეს! მოდის გურიიდან ამბავი.

— ვინ მოჰკლეს?

— აი ღლონტი, მუხუზლაი, დათუნაიშვილი, გოგიტიძე, დარჩია და საკული, რავდენი კიდევ სხვაი.

— მერე ვინ არიან ეს ღლონტი, მუხუზლაი, დარჩია, თათრები „ბუსურმანები“, თუ ჩვენივე მოძმენი?

— ყაჩაღი გახლავთ.

— ჰო ყაჩაღი, ღმერთმა სიკეთე უყოს იმ მფარველებს, რომლებიც ასე გვიფრთხილდებიან და გვიცავენ ჩვენ მოხუცს, მცირეწლოვანებს ყაჩაღებისაგან!

— თუ არა კეთილის მყოფელნი სულ გაგვანადგურებდენ ის ვიღაც თავზე ხელაღებული ყაჩაღებია, თუ ფირალები, მაგრამ გულშემატკივარი ადამიანი ქვეყანას არ გამოელევა.

— ვებრალებით და ჩვენი სიბრალულის გულისათვის სვრიან ადამიანის სისხლში ხელებს, ხოცავენ ყაჩაღებს.

— კეთილ საქმეს სჩადიან, კეთილი ეწიოთ!

— ჩვენ რომ დავივიწყოთ ამოდენა ამაგი, ისტორია არ დაიდუმებს.

* * *

მაგრამ... მართალია ასეთს ნათელ საქმესთან „მაგრამ“ ძნელი გასაბედავია, მაგრამ (კიდევ ეს წყეული „მაგრამ“!) ადამიანნი ცოდვილნი ვართ, რაც გინდა ნათელი საქმე იყოს ჩვენგანი მაინც იჭვის თვალით უყურებს და უნდა მოგახსენოთ, ხანდახან არც მე ვარ თავისუფალი ამ ცოდვილ ფიქრებისაგან.

— აი თუნდა ახლაც: კაცს თავზედ ხელი აუღია, გავარდნილა ყაჩაღად და დღეს ხვალობით მოკვლა-გაძარცვას გვიქადის!

— იმათი შიშით ერთი ტკბილად ვერ დაუძინია ადამიანს.

— აქ თუკი ვინმე პატრონი გაგვიჩნდება და საიქიოს გაისტუმრებს იმ სისხლისმსმელ ფიქრებს, ჩვენ, რა თქმა უნდა მუხლ-მოდრეკით თაყვანი უნდა ვსცეთ ასეთ პატრონებს;

— ამას რაღა ლარი და ხაზი ექირვება!

— მაგრამ ყოველივე იმ წყეული იჭვის ბრალია.

* * *

— მოგახსენოთ საიდან იწყება ჩემი იჭვი: გასული წლებისათვის რომ არ გამოუდგეთ, მარტო შარშან და წლეულს აგერ ათზე მეტი „ფირალი“ მოჰკლეს გურიაში.

— მერე იცით ვინ არიან ეს ფირალები?

— ცოლშვილიანი კაცები, რომლებიც გუშინ მშვიდი მიწის მუშა იყვნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდენ და თავის მოძმეებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდენ.

— აი ასეთი ადამიანები, სადაც უხილავი, უბედური გარემოების მიზეზით დღეს სტოვებს ცოლშვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირივით მიდის ტყეში.

— ფირალდება!

— ასეთს ფირალებს უდგებიან კვალში და ხოცავენ „დიუჟინობით“, ეს ფირალების ჟლეტა ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა დღეს გურიაში, რომ არ შეიძლება ადამიანს იჭვი არ დაებადოს.

— ბიჭოს, ასე წამდაუწუმ თუ ჟლიტეს ეს „ფირალები“, ადრე დასცლიან და დასაცავიც არავინ დარჩებათ [1].

— აბა ეს რა საფიქრებელია, მხოლოდ ყაჩაღებს სწყვეტენ და არა მშვიდ ხალხს.

— მაგრამ მოგახსენებთ რაც ხალხიდანაც მოდის ეს ყაჩაღები, [2] ანუ როგორც გურიაში ეძახიან „ფირალები“,—უმეტესი ნაწილი ცოლშვილიანია, მუშაკაცია. [3] ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, დღეს ისეთ ერთგულობამდე მივიდა გურიაში ყაჩაღის დევნა, რომ ძნელად, თუ ერთს მტყუანს ორი ალალ-მართალი ადამიანი არ წაატანონ თანა. აბა წარმოიდგინეთ, იქ, სადაც ფირალების მდევარნი ასე გატაცებული არიან თავისი საყვარელი ხელობით, რომ ღვთის მონა ამბერკი ბერი და აფიცერი ტომიჩიც კი ფირალი ეგონათ...

პირველს (ამბერკი ბერს) თავისივე სენაკში (ჯუმთის მონასტერზე) სული გააგდებინეს და მეორეს (აფიცერ ტომიჩს) თავისივე სახლში გვერდი გაუხვრიტეს.

— რაღას უნდა მოელოდეს სხვები?

— განა ყოველ წამში არ უნდა ფიქრობდეს—ვინ იცის ევებ მეც ფირალის სახელით საიქიოს გამისტუმრონო?

— ახლა გადავხედოთ რაები გამოაშკარავდა X-ის [4]) საქმის გარჩევის დროს.

— დახე თურმე რისთვის გამოასალმეს სიცოცხლეს მამის ერთაი მიხეილ გოგიტიძე: ქ. ბათომში ვილაც ლებედევი გაუძარცავთ; ორი ამ გამძარცველთა-

---

[1]), [2]), [3]) ხაზი ცენზორის მიერაა გასმული. პ. გ.

[4]) აქ აქვს დასახელებული ავტორს, ამ საქმის ჩამდენი. „კვალის“ რედაქციის შენიშვნა

განი შეუპყრიათ, ამათ უთქვამთ, რომ ჩვენთან ლებედევის გამძარცვის დროს მესამეც იყო, და ამ მესამეს მიხაკო ჰქვიან სახელადო. ამ სახელისათვის ყური მოუკრავთ გურიაში ფირალების მდევრებს, და მაშინვე გამოუყვანიათ დასკვნა:

მიხაკო, რა თქმა უნდა, გოგიტიძე იქნებაო. ამდგარან და დოუწყიან გოგიტაძის ძებნა; შეუმწყვტევიათ ვილაც ერთი გლეხის სახლში და მოუკლავთ. მაგრამ ცოდნით კი დღესაც არავინ იცის—ის მიხაკო იყო ლებედევის გამძარცველების ამხანაგი, თუ სხვა მიხაკო...

მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ ლებედევის გამძარცველებმა აჩვენეს: ჩვენი მესამე ამხანაგი, მიხაკო სომეხი იყოო. ვინ იცის, იქნება, ვილაც განჯელი სომხის ბრალი ეკითხება საბრალო გურულ გოგიტიძეს; ან კიდევ ვინ იცის X-ის „პრაპორჩიკობის“ მიღება უნდოდა და იმისთვის იმსხვერპლა ბედკრული გოგიტიძე!

ის ისე გატაცებული ყოფილა „პრაპორჩიკობა“ მივიღოვო, რომ გასაკვირველი არ არის, მიზნის მისაღწევად გოგიტიძე ძალად გაეყაჩაღებინა. მართალია ამ ვაჟბატონს ხელი შეეშალა და „პრაპორჩიკობის“ მიღების მაგიერ, საციმბიროდ გაუხდა თავი, მაგრამ ეს უეჭველად მეტისმეტი სიცხარით და გამოუცდელობით მოუვიდა მას, ან ჩვენ რაში გვეკითხება ეს უკანასკნელი გარემოება...

— მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ: „ფირალის“ მდევარნი, რომლებიც ისე თავგადადებულნი არიან „პრაპორჩიკობის“ და „ორდენების“ მიღებისათვის არ იმსხვერპლებენ ალალ-მართალ ადამიანს თავიანთი მიზნის მისაღწევად? ასჯერ არ შეუწყობენ ხელს რომელიმე გოგიტიძეს, ან დარჩიას გაფირალებას და მერე არ დაუწყებენ—მოჰკლავთ და „ჩინს“ მოგვცემენო?

დავიჯეროთ რომ „პრაპორჩიკობის“ და „ორდენების“ გულისათვის „ფირალების“ მდევარი ადამიანები ძალად არ ამღვრევენ წყალს?

— მღვრიე წყალში თევზს უფრო დავიჭერთო.

— ესეც რომ არ დავიჯეროთ, ეს კი მაინც ჭკუასთან ახლოა, რომ გურიაში თუ ასე ხშირ-ხშირად ინადირეს ადამიანებზე, ისეთს სამსახურს გაუწევენ ამ პროვინციას, როგორც კრილოვის არაკში ერთმა გონიერმა ცხოველმა გაუწია ბოსტნის პატრონს, იმ განსხვავებით, რა თქმა უნდა, რომ გონიერმა ცხოველმა მხოლოდ ბოსტნეული მწვანილი გათელა და გურიაში კი გონიერი მცველები ადამიანებს გათელავენ.

13 მარტს. 1892 წ.

---

ეგნატე ნინოშვილის ეს ნაწერი, როგორც საარქივო მასალებიდან სჩანს, აწყობილი ყოფილა ჟურნალ „კვალის“ 1901 წლის მაისის ნუმერისათვის, მაგრამ კავკასიის საცენზურო კომიტეტს მისი დაბეჭდვა „კვალის“ რედაქციისათვის აუკრძალავს: „თანახმად ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს ცირკულიარისა“, 1901 წლის 23 მაისს, ამ ცენზურის მიერ, აკრძალულ საკორექტურო და იმავე დროს საცენზურო ფურცელზე, ჟურნალ „კვალის“ რედაქციას, შემდეგი შენიშვნა აქვს გაკეთებული:

„ეს წერილი ჩვენ ამ დღეებში გადმოგვცა გაზეთ „თეატრის“ რედაქტორად ნამყოფმა მ. შიო დავითოვმა. ეს წერილი კარგად ახასიათებს გურიის იმდროინდელ (1862) მდგომარეობას, რაც საბედნიეროდ შემდეგ მოისპო“.

„კვალის“ რედაქციის მირ, როგორც მისივე შენიშვნიდან სჩანს (ტექსტში), ეგ. ნინოშვილის ზემოდ მოყვანილ ნაწერიდან ერთი მომქმედი პირის სახელის ამოშლა (რომელიც X-ით არის ტექსტში აღნიშნული), და აგრეთვე თვით მოქმედების დროს შორ წარსულში (1862 წ.) გადატანა, მაშინდელი 1901 წ.) საშინელი საცენზურო პირობებით უნდა აიხსნას. შესაძლებელია აგრეთვე ისიც ვიფიქროთ, რომ ეს „მოთხრობა“ თავის დროზე აწყობილი ყოფილიყო გაზეთ „თეატრში“ დასაბეჭდათ, მაგრამ იქაც ცენზურას აეკრძალოს; რის შემდეგაც ხსენებული გაზეთის ყოფილ რედაქტორ შიო დავითაშვილს „კვალის“ რედაქციისათვის გადაუცია საყვარელი მწერლის ნაწერი, ალბათ იმ იმედით რომ „კვალი“ მას დაბეჭდავდა.

ეგნატე ნინოშვილის ამ ნაწერის ცენზურის მიერ თავის დროზე აკრძალული საკორექტურო-საცენზურო ფურცელი „კვალის“ რედაქციისა ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო ცენტრარქივში: „Дело Кавказского Цензурного Комитета, 1901 года. С запрещенными по постановлению комитета к напечатанию статьями для журн. „Квали“ и приложения к нему „Джеджили“- началось 21 февр. 1901 г. არქივის № 888 31-ე. გვერდი 20.

პ. გ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფინჯანი

## 1.

შუადღე მიღწეული იქნებოდა, როდესაც ორსართულიან სახლიდან, № 12, ლევერის ქუჩაზე, კიდევ ერთი კაცი გამოვიდა და საკონსულოს კარები ბრაზით გამოიჯახუნა.

ერთხანს შესდგა და ხელში ნაჭერი დაჭმუჭნული რბილი ქუდი ვითომ შეასწორა, ნამდვილად კი უარესად მოსთელა; მერე ისე აავლო თვალი იმ შენობას, როგორც სასამართლოს აჰხედავს ხოლმე მომჩივანი, რომელმაც უეჭველო საქმე წააგო, და მცირე ყოყმანის შემდეგ ლუქსემბურგის ბაღისკენ წავიდა.

უცებ ისევ შესდგა, ჯიბეზე ხელი მოუსვენრად მოიფათურა და, რა დარწმუნდა, რომ ყოველივე თავის რიგზე იყო, ხშირი ნაბიჯით განაგრძო გზა.

საკონსულოს პირდაპირ მუდმივ ფილაქანზე, დარჭობილმა აგენტმა მიმავალს თვალი აადევნა და გაიფიქრა:

„ვერ მორიგდნენ“.

შემდეგ უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაინიშნა იმ ფურცელზე, სადაც ადრევე ჰქონდა ჩაწერილი: „№ 86. შავი ჯაგარი. 40 წლისა. მკვრივი. მოუხეშავი. 170 სანტიმეტრი. მარცხენა ხელი დამწვარი. მარტო მოდის.“ მერე ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ქვის კაცივით დაიწყო ნელი ბიჯება, თანაც მჭრელ თვალებს სახიფათო სახლს არ აშორებდა.

ნოდარ შუბიძე სენატს გამოსცდა, ოდეონის ქვეშ ვეება მაღაზიის წინ შესდგა და ახალ წიგნებს გადაავლო თვალი. მაგრამ გული ვერ დაუდო, რადგან იმ დღეს აღარ ეწიგნებოდა, და დამწვარი ხელით თავის წვერივით შავი საათი ამოიღო და დაჰხედა.

საუზმის დრო იყო და ქუჩაში ხალხმა იმატა. სენ-მიშელის ბულვარზე ამოვიდა და ხელახლა შესდგა. რომელ კაფეში ისაუზმოს? იქვეა ნაცნობი „სუფლო“, „დარკური“, „ვოლტერი“, „პასკალი“ და სხვა მრავალი, მაგრამ...

არა, არც ერთ ამ კაფეში არ შევა. იქ უეჭველად შეხვდება გადმოხიზნულ ქართველებს, რომელნიც... არა, საჭირო აღარ არის. ვისთვის? რაღასთვის? ზეპირადაც იცის ნოდარმა, ვინ რას ეტყვის. რა გეგმას გადმოუშლის; მთქმელი სხვებსაც შეახურებს და თვითონაც გალვივდება; ისიც იცის, თვითონ ნოდარიც როგორ მოიქცევა: სახეზე უნდობლობის ღიმილს აიკრავს და ერთ სიტყვასაც

ჟურ. „მნათობი“ № 2—3.



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ დასძრავს, გულზე კი მწვავე სევდა მოაწვება და მეათასჯერ გაიფიქრებს:

„ნეტარ არიან მორწმუნენი, მე კი“...

თვითონ კი დიდი ხანია ჭიანაჭამთა სიაში მოექცა. უკან ეყარა რვა უგრძესი წელიწადი (უფრო გრძელი, ვიდრე მანძილი პარიზიდან ტფილისამდე), ეკლით დაფენილი და შხამით მორწყული გზები (უფრო საურვე და მწვავე, ვიდრე გზანი გოლგოთისანი), დამსხვრეულ იმედების გორები (ძველ ნაქალაქევზე მეტად დანგრეული) და კიდევ იდუმალი რაღაც, თუ ვიღაც, რომელიც მოკვეთილ სხეულივით დარჩა იქ, შორს, ძალიან შორს, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა, და რომელიც ერთხელ... ოდესღაც...

და ერთხელ, – აბა ვინ იტყვის, როდის და როგორ დაიწყო ის დიდი ნგრევა, —ერთხელ ნოდარ შუბიძემ ცხადად იგრძნო და გაიგო, რომ გაღმა დარჩენილი კი არ იყო მისი მონაკვეთი, არამედ თვითონ ნოდარი იყო იმ ცოცხალისა და უზარმაზარის მონაჭერი, ჩანაბერი და ჩანათესლი—იმდენად მცირე და უმნიშვნელო, რომ აგერ იმ ტელესკოპშიც კი ვერ გამოჩნდება, აგერ იმაში, რომელიც იქ, ლუქსენბურგის ბაღის ბოლოში, ვეება ცალთვალა დევივით ასვეტილა ცისკენ.

და ყველაფერიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო.

არა, აღარ შევა კაფე „პასკალ“-ში, არც „სუფლო“-ში, არც „დარკურ“-ში.

ერთხელ კიდევ მოიფათურა ჯიბე და სწრაფი ნაბიჯით წავიდა პანთეონისკენ. ქუჩა რომ გადასჭრა, გაღმა მიმავალ ავტობუსს შეახტა და მთვარეულივით ჩამოჯდა.

დღეს რომ სევრიდან პარიზში მოდიოდა, ჰფიქრობდა: კონსული ვიზას მომცემს. მერე ტელეფონებსაც ავამუშავებ და პნევმატური ფოსტითაც დეპეშებს დავუგზავნი... ყველას, ყველას, უკლებლივ ყველას—ამხანაგსაც და... ნაამხანაგარსაც. დეე ყველანი მოვიდნენ და უკანასკნელად მნახონ. ერთხელ მაინც გადაუხდი დიდ ნადიმს და... არა, მშვიდობით დარჩენას მაინც ვერ ვუსურვებ. საშინელი ალიაქოთი ასტყდება. ვინ იცის, იქნება მომდრიკონ და დამტოვონ კიდევაც.

სალამომდე ლათინთა უბანს დაივლის, სორბონის მიდამოებში ოციოდე ქართველს წააწყდება და ყველას საუზმეზე დაპატიჟებს. სალამოზე კი გაღმა წაიყვანს და სადმე, ოპერის მახლობლად, თუნდაც „გრანდ-ჰოტელ“-ში, დიდებულ სადილს მიართმევს... იქიდან ელისეს მინდვრებზე გაივლიან და იქ კავკასიელთა „სელექტ“-ში შეიხედავენ.

შემდეგ გამობრუნდებიან, დიდ ბულვარებზე აივლიან, მონმარტის აღმართს შეუდგებიან და შუაღამეზე პიგალის უბანში ავლენ.

„იქ ჩვენებურებს ღამის კაბარე აქვთ გამართული — „შატო კოკაზიენი.“ წინ წითელ ჩოხიანი მეკარენი დაგვიხვდებიან, შიგნით კი ყველაფერი ჩვენებური იშოვება: საცივიც და ლომიც, ჩიხირთმაც და ხარჩოც, ჩახოხბილიც და ცოცხალიც, ტაბაკაც და... და წითელი ბორდოც, რომელიც კახურს ენათესავება“.

წითელი ბორდოც, ტკბილი დუდუკიც და გიჟური ლეკურიც — ნამდვილზე ნამდვილესი, თითის წვერებზე შემდგარი, ორბივით მქროლავი, ცეცხლივით მწვავე და ჩაბარუხივით მჩქეფავი. გული გაიხსნან მეგობრებმა, [illegible]ამონ დევებივით! იმღერონ, იცეკვონ და თუნდაც ყველაფერი ყირაზე დააყენონ!

ნოდარს ეხლა ფული აქვს. დანახარჯს გადაიხდის, მერე სევრში დაბრუნდება, ბარგს აიკიდებს და გზას გაუდგება, იმ ნაცნობ გზას დაადგება, რომელიც ოდესღაც... იქიდან... დაულეველი... დაფშვნილი მინით იყო მოფენილი, ეხლა კი, აქედან, მკლავზე უმოკლესად და ბამბაზე ურბილესად ეჩვენება.

დიაღ, ასე ჰქარგავდა დილას, პასპორტის მიღების მოლოდინში, ახლა კი...

ახლა შატლეს თეატრთან ჩამოხტება, იქვე სადმე შესჭამს რასმეს და დღესვე სევრში დაბრუნდება. მერე კი — „მერე ვნახავ რაც მოხდება".

ავტობუსმა სენ-მიშელის ხიდზე გაისრიალა და შატლეს წინ შესდგა. არავინ არ ჩამოხტა და ისევ თავის გზით წავიდა.

ჰკუაც ისე სჭამს რწმენას, როგორც მზე — ყინულს.

— წრეულს, გაზაფხულზე დაიწყება, — მუდამ ესმოდა ნოდარს ყოველ მხრიდან.

— უეჭველად!

— აუცილებლივ!! — ადასტურებდნენ ათასები.

ნოდარს კი ომის რწმენა უდნებოდა და მის მაგივრად მეორე ულვივდებოდა: რომ ამ ქვეყნად მშვიდობის წყურვილი ომის ჟინზე უფრო ძლიერიაო.

ჭკუა რწმენას თოვლსავით სჭამს, მაგრამ—

„მაგრამ — ლურსმანივით ჩაუჯდა ფიქრი შუბიძეს — ვინც ერთხელ იგემა ომის ზარი, მეორეჯელ ალაგიდან ველარ დასძრავ".

— ნოტა მზადდება, ნოტა! — თოფივით სადმე გავარდებოდა დროგამოშვებით და ირგვლივ ზოგიერთი იმავე თოფის წამალივით იფეთქებდა ხოლმე:

— იწყება!.. იქნება!

— უეჭველად!

— აუცილებლივ!

ნოდარ შუბიძე კი ისევ უნდობლად ილიმებოდა და გულში თავისთვის ამბობდა: „ყველა ნოტები, და მუქარაც კი, ჯერჯერობით ზავის ღმერთს ემსახურება, შემდეგ კი — ვინ იცის, ვინ იტყვის, ვინ გამოიცნობს? აკი თვითონ „პაპაც" გამოტყდა: შეიძლება წითელმა ქვეყანამ ოცი და ოცდაათი წელიწადიც გასძლოსო.

მაშ შესაძლებელი ყოფილა ორმოცდაათსაც გასტანოს, ან ასსაც, ან რამოდენიმე საუკუნეც გადაიტანოს. უკვე გაცვეთილი ამბავია: ძველი ქვეყანა ახალს მუდამ ეშურლება და მის დასანგრევად იჭურვება. ასჯერ და ათასჯერ აშლილან ერთმანეთის შესამუსრავად, მაგრამ მუდამ, თითქმის მუდამ, ისევ მორიგებულან და ახალს ათასი წლობით უცხოვრია და თავისი გზით უვლია, ეხლაც იგივე განმეორდება, ან შეიძლება განმეორდეს, ამიტომ"...

და ნოდარს სწორედ ამიტომ დაელია იმედიც და მოთმინებაც — როდის და როგორ, ეს ხომ სულ ერთია!

ჰქუა იმედს სჰაჩს მეთქი, როგორც სითბო თოვლს, და ეს თოვლი — ოდესღაც ღრმა და გაუვალი — ნელ-ნელა შეთხელდა, შემდეგ აქა-იქ ლილო გამოჩნდა, ქაჩალივით დაიკორტნა, მერე კი სულაც აიკრიფა და სენას წყალს გაჰყვა.

ახლაც ეცინება ნოდარს, წარსული რომ აგონდება. დილით-დილამდე ან წიგნებში იყო ჩაჰქდილი, ან ფაიფურის ქარხანაში ორად მოკეცილი მუშაობდა, დროგამოშვებით უცებ საიდანმე ფაჩუნი მოესმოდა, ოვითონაც სხკებივით აიშლებოდა და ბარგის ჩალაგებას შეუდგებოდა.

ყველანი დარბოდნენ, მხნეობდნენ და ემზადებოდნენ. მერე ის ფაჩუნი ისევ გაჰქრებოდა, ნოდარს კი ორიოდე კვირა ეკარგებოდა და თავისსავე თავს დასცინოდა.

ხანი გავიდოდა. სადმე ცაზე ჩიტი გაიფართხალებდა, ან შორს სადმე მონადირე თოფს გაისროდა და ლევილშიც და „ბულმიშშიც“ ყველას ხელახლად ააფორიაქებდა.

სევრიც იქვეა. ჩოჩქოლი იქაც ჩაფრინდებოდა, ნოდარსაც მეასეჯერ შეაფართხალებდა და სწავლა შრომას შეაწყვეტინებდა.

— გაიგე?.. წაიკითხე? – მდუღარე ხმით ჰკითხავდენ ხოლმე ნოდარს.

გაგებულიც ჰქონდა და წაკითხულიც, მაგრამ მაინც გულგრილი კილოთი უპასუხებდა ხოლმე:

— რა, რა მოხდა?—და მოსაუბრის ნაამბობში ჩაუქრობელი წყურვილით ეძებდა უკვე წაკითხულისა და გაგონილის ახალს, ზედმეტ სიტყვას, მეხუთე ვარიანტს, ახალ ანარეკლსა და აზრის ახალ მინახვევს.

ასე ხდებოდა ოდესღაც, რამოდენიმე წლის წინათ, ახლა კი, ვინმე რომ ჰკითხავდა: „გაიგე? წაიკითხე?“, გულდინჯად უპასუხებდა:

—გავიგე... წავიკითხე.— და ყურებს ნებისყოფით იცობდა, გონება კი მუდამ იქ ჰქონდა. სევრში, ფაიფურის ქარხნებში, ლაბორატორიაში, ღუმელებსა, ქურასა და ათნაირ თიხაში.

— უკანვე მიბრძანდებით, ბატონო?—გამოაფხიზლა ნოდარი ავტობუსის კონდუქტორმა.

— როგორ თუ უკან?—გაოცდა შუბიძე.— განა სადა ვართ?

— სენ-ლაზარეს სადგურზე.—ღიმილით მიუგო კონდუქტორმა და შოფერს საოხუნჯო რაღაც მიუგდო.

ნოდარმა მიმოიხედა. ავტობუსი დაიცალა და ხელახლად ივსებოდა. შერცხვა, ფაცა-ფუცით ჩამოვიდა, ფორი გადასჭრა, მაღაზიის წინ შესდგა, ჯიბე ისევ მოიფათურა და შვებით ამოიოხრა, რადგან იქ ნადები იქვე აღმოჩნდა.

„დაბნეულობა დამჩემდა. —გაიფიქრა. – არსად არაფერი დამემართოს“.

მართლაც უკანასკნელ დროს გულმავიწყობა მეტის-მეტად შეეპარა. დილით რომ შეუდგებოდა თიხების, კაოლინებისა და სხვადასხვა ნივთიერებათა შეზავებას, ანალიზსა და დაწვას, დროც ავიწყდებოდა, ჭამაც, წესრიგიც და ყოველივეც, რაც ირგვლივ ხდებოდა.

— საუზმის დროა, ბატონო შუბიძე.—ეტყოდნენ ხოლმე თანამშრომლები და მოსამსახურენი.

—ეხლავე.—წაილუღლუღებდა და ეს „ეხლავე“ზოგჯერ შუაღამემდეც ძლივს მოვიდოდა.

დიასახლისი მუდამ გამწყრალი ჰყავდა, რადგან ნოდარის [illegible]ბოდა, და თვითონ ნოდარიც დიდი ხანია ცხელ საჭმელს თითქმის გადაეჩვია.

ზოგჯერ კი მუშაობის ნაცვლად რამდენიმე საათს იჯდა გახევებული, ან მიდამოებში დაჰბორიალებდა და თავის-თავს გაოცებით ხან ვერსალში აღმოაჩენდა, ხან მედონის ტყეში იპოვიდა, ხან სენ კლუს ბაღში და ზოგჯერ კი უფრო შორს სადმე უცნობ სოფელ-ქალაქში გამოფხიზლდებოდა ხოლმე.

ქარხნის დირექტორი ბუზღუნებდა, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია და ბოლოს „ანარქისტ შუბიძეს“ ხელფეხი გაუხსნა: როცა ჰსუროდა—ეძინა, როცა უნდოდა—ღვიძა, სჭამდა, შიმშილობდა, დაეხეტებოდა, ან სადმე კუთხეში ბერივით იდგა დაყუდებული, ან კიდევ როდენის „აზრი“-ვით იჯდა და იმავე ძეგლივით სდუმდა.

აი ეხლაც: ნოდარს შატლეს თეატრთან უნდოდა ჩამომხტარიყო, იქვე სადმე ესაუზმნა, იქვე ასულიყო გეზზე და სევრში დაბრუნებულიყო, ნამდვილად კი სამი ზედმეტი კილომეტრი ბრმასავით გამოიარა და აღარ იცის, სად ისაუზმოს, ან იქნება სჯობდეს უჭმელი დაბრუნდეს და საღამოზე ისადილოს?

ნოდარ შუბიძე უფრო ქიმიურ ლაბორატორიისთვის იყო გაჩენილი, ვიდრე აქტიურ პოლიტიკისათვის. ერთ დროს ბრწყინვალედ დაასრულა ეს დარგი და ქიმიკოსთა ოჯახში გაშლილი დროშით აპირებდა შესვლას, მაგრამ ფოთისა და ქუჩის ყივილმა გამოაბრუნა, მოიტაცა და ნაფოტივით დააბორიალა.

„ჯანსაღ მეცნიერებას წინ ჯანსაღი კონსტიტუცია უნდა უძღოდეს“.—ჰფიქრობდა მას აქეთ და ამ წინამავალისათვის მუდამ წინა რიგებში იდგა.

მაგრამ მეცხრე ტალღამ მათი ლაშქარი—წინანიც და უკანანიც—ქვეყანაზე განაბნია და ნოდარ შუბიძე პარიზის ბულვარებზე გადააგდო. მაშინღა მოაგონდა უნებურად, რომ ერთი ხელობაც ჰქონდა მარაგად შენახული და უცხოელ მფარველთა წყალობით მალე სევრის ქარხნების ლაბორატორიაში უბრალო მოსამსახურედ შევიდა.

განცხრომილი კაბინეტის მაგიერ—მყრალი ბუღით და მოწამლული ოშივარით სავსე უბადრუკი ოთახი, პორტფელის ნაცვლად—ვარვარი ღუმელი და ცხელი სარჩილავი, ხოლო ხელში—ადამიანის სულისა და ხასიათის გამოკვეთის მაგივრად—მიწის ყალიბი, სველი ალიზი, თიხა, კაოლინი, ფაიფური და მინანქარი.

მაგრამ ნოდარი ქიმიკოსი იყო და კარგად იცოდა რომ თიხა ოქროზე უფრო საინტერესო მასალაა და ხშირად მასზე მეტსაც იწონის. გარდა ამისა, საჯდომი რკინისა ჰქონდა, მოთმინება—კამეჩისა და შრომის უნარი—მომართული საათისა.

მალე თვალი დაადგეს. შემდეგ ვერცხლად დააფასეს, მერე კი ოქროსაც აღარ აკადრებდნენ. დღე-ღამეში თექვსმეტ საათს მუშაობდა და მუშაობის ნებართვის გარდა არასოდეს არაფერს არ თხოულობდა.

სხვები რომ სამსახურის კიბეებზე მუჯლუგუნებით მიიწევდნენ, ნოდარს ზედამდეგები მიათრევდნენ და თანდათან რთულ საქმეს აბარებდნენ. შუბიძემაც ზედიზედ მისცა ქარხანას მინანქრის რამდენიმე ახალი შენადნობი, ფაიფურის თიხის შენაზავი და ძალიან დიდი მოგება, სამაგიეროდ პატარა ლაბორატორია მოითხოვა, რომელიც უმალვე მიუჩინეს და თავი მიანებეს.

სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ. შუბიძე თითქმის დაივიწყეს, რადგან იმანაც დაივიწყა ქარხანაც და მთელი ქვეყანაც. მხოლოდ ერთხელღა გაიხსენეს, რადგან ეგონათ, „ჟეორჟიენი" გაგვიგიჟდაო.

ერთ დილას ნოდარ შუბიძე ლაბორატორიიდან თავშიშველი გამოვარდა და მედონის ტყისკენ გაიქცა. ხუთ დღეს იყო დაკარგული, ტელეფონების, დეპეშებისა და პოლიციის დახმარებით ეძებდნენ. ბურლარეინში ენახათ—თავჩაღუნული მიჰქელავდა მაღალ ყანებს და გლეხებს ჯოხებით გამოეგდოთ ნათესებიდან; შარანტონში კინაღამ საგიჟეთში ჩაემწყვდიათ; ჟუანვილში დედაკაცები ცოცხებით დასდევნებოდნენ; შემდეგ ობერვილიეში ამოეყო თავი და რადგან სადილის ფული ვერ გადაეხადნა, ოქმი შეედგინათ და ოდნავ მოეთელნათ კიდევაც, ხოლო რომენვილში უპასპორტოდ ხეტიალის გამო დაეპატიმრებინათ და პოლიციელის თანხლებით სევრში გამოეგზავნათ. ძლივსღა იცნეს თავიანთი ქიმიკოსი, რადგან აპაშს ჰგავდა და ჭკუაზედაც შეთხელებულიყო.

„ჟეორჟიენი" ისევ ჩაიკეტა, ერთი კვირის შემდეგღა გამოვიდა და საკონსულოს მიადგა, სადაც დღეს, სამი თვის შემდეგ, ცივი უარი მიიღო.

ეხლა ნოდარი დინჯად არის, მაგრამ არ იცის, სად წავიდეს და რა ილონოს. ცოტა ხანს იფიქრა, შემდეგ უცბად ფილაქანს მოსხლტა, გავლილი გზა ხელახლად გადასჭრა და იმავე ავტობუსზე შეხტა, რომელმაც სამიოდე წუთის წინ სენ-მიშელის ბულვარიდან მოიყვანა.

ოციოდე წუთის შემდეგ „ო შანჟ"-ის ხიდთან ჩამოვიდა და პატარა გემით სენას წყალს დაჰყვა, ხოლო საათის სამზე სევრის ქარხნების დირექტორის კაბინეტში იჯდა და მელოტ კაცს ჩუმი ხმით ეუბნებოდა:

— თითქმის რვა წელიწადია თქვენთანა ვმუშაობ...

— მართალია, ბატონო შუბიძე. მერე, რა გნებავთ?

— და ერთხელაც არ დამისვენია.

— ეგეც მართალია. გნებავთ დაისვენოთ?

— დიაღ, მინდა დავისვენო... მინდა ინგლისში წავიდე და კერამიკული ქარხნები დავათვალიერო. ჯამაგირს და გზის ფულს არ მოვითხოვ.

— დიდებული აზრია.—მოეწონა დირექტორს.—უეჭველად ნახეთ მინტონის ქარხანა სტრაფორდშირში. არც კოპლანდისა დაივიწყოთ.

— მინდა ვეჯვუდისაც დავათვალიერო.

— დიდებულია, მშვენიერია!—აჭრთოვანდა დირექტორი, რომელსაც მისი კონკურენტი ინგლისელები დამპალი კბილივით აწვალებდნენ.—ნამეტნავად დააკვირდით კედლისა და იატაკის ფერად აგურებს, ფაიანსსა და ქვის ჭურჭელს, რომელსაც ლამბეტში დოულტონის ქარხანა ამზადებს, და უფრო მეტად კი—ფაიფურის ქარხანა გაჩხრიკეთ ვორჩესტერში.

— დიახ მეც ვფიქრობდი... ვორჩესტერში შევლას.

— იქნება ზოგი რამ გაიგოთ და... იმედია მოხსენებას [illegible]

ბიბლიოთეკა

— უეჭველად.

დირექტორი გახარბებულიც იყო: არაფერს ჰხარჯავდა, მოგებით კი... ვინ იცის, შეიძლება ,,ანარშისტ შუბიდზეს" საიდუმლოება რამე გაეგო და ჩამოეტანა.

— როდის აპირებთ?—ჰკითხა დირექტორმა.

— ხვალ დილით.

— რამდენი ხნით?

— ერთი ან ორი თვით.

— მშვენიერია. იქნება... მფარველი გყავთ ვინმე და რომელიმე ქარხანაში მოახერხოთ სამსახური?

— შეიძლება. ვეცდები.

— რა თქმა უნდა, ჩვენს სიკეთეს არ დაივიწყებთ და ისევ დაგვიბრუნდებით.

— უეჭველად დავბრუნდები და ყველაფერს მოგახსენებთ.

— მაშ მშვიდობით მგზავრობას და გამარჯვებას გისურვებთ. ადგილს, რა თქმა უნდა, შეგინახავთ.

— დიდათ გმადლობთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო დირექტორო და გამოვიდა.

— წუხელის მშვენივრათ გეძინათ, ბატონო შუბიდზე.—უთხრა მეორე დილას დიასახლისმა, რომელიც დიდი ხანია მდგმურის ძილს გადაეჩვია.—რა მოხდა? რომელმა წამალმა გარგოთ?

ნოდარს მართლა ქვასავით ეძინა. რა მოხდა? ეს ბებრუცუნას საქმე არ არის. სულ ერთია, ვერ გაიგებს.

— მაშ ერთი თვით მიბრძანდებით?—ჰკითხა დიასახლისმა.

— დიახ, ერთი თვით მივდივარ.

ერთი თვის ქირა წინდაწინვე ჩაუთვალა და დაუმატა:

— თუ დავიგვიანე... ვინ იცის, რა მოხდეს? თუ დავიგვიანე, ჩემი ბარგი აქ სადმე შეინახეთ, ან იმას გადაეცით, ვინც ჩემს წერილს მოგიტანთ, ოთახი შეგიძლიანთ ერთი თვის შემდეგ გააქირაოთ.

— ტრე ბიენ, მესიე შუბიდზე, ტრე ბიენ.

— იქ წიგნების მეტი არაფერია.

— ვიცი.

— ყუთებში ჩავალაგე.

— ვნახე.

— მაშ მშვიდობით იყავით.

— მშვიდობით კი არა ნახვამდის, ბატონო შუბიდზე.

— ნახვამდის, ქალბატონო, ნახვამდის.

და ერთი საათის შემდეგ ნოდარ შუბიძე ერთი პატარა ჩემოდანით სენლაზარეს სადგურის ნაცვლად ლიონის სადგურს მიადგა, ხოლო ნაყიდ ბილეთზე მცირე ასოებით ეწერა: „პარიზი—მარსელი".

კუპეში რომ ჩაჯდა, დამწვარი ხელი ჯიბეზე ნერვიულად მოისვა და ოდნავ გაიღიმა. სამი მგზავრიდან ერთმა გაზეთის კითხვა შესწყვიტა და ნოდარს თვალი დაადგა.

ბიბლიოთეკა

შუბიძე უცებ შეშფოთდა და გაიფიქრა: ,,ვინ იცის, იქნება ჯიბგირია. აქ არაფერი იფიქროს“... და ჯიბიდან აბრეშუმის ხელსახოცში შეხვეული რაღაც ნივთი ამოიღო. ფრთხილად გაშალა და ხელში ყავის პატარა ფინჯანი შერჩა — უსწორ-მასწორო, ფაიფურის მხგავსი და უცნაური ფერისა: არც ყვითელი, არც წითელი, არც ჩალისფერისა, არამედ ერთიც, მეორეც და რაღაც მეხუთეც. და მას ისეთი სიყვარულით, სინაზით და სიფრთხილით დაუწყო სინჯვა, თითქო ქვეყნის თვალი ეჭირა და დამსხვრევისა ეშინოდაო.

დილხანს ატრიალა, სამივე მგზავრს დაანახვა, მერე ისევ შეახვია და განძივით შეინახა, ნამდვილი განძი კი — შვიდი წლის მწარე შენაძენი, ათას-ფრანკიანების სქელი დასტა, რომელიც დღეს დილით გამოიტანა ბანკიდან, — დაუდევრად ედო უბის ჯიბეში და თითქმის არც კი ახსოვდა.

მესამე მგზავრმა ერთხელ კიდევ აათვალიერა ნოდარი, მის ხელში გაზეთ „Humanité“-ს მოჰკრა თვალი და გაიფიქრა: ,,რა ამის საქმეა პირველ კლასში ჯდომა?“ — და ისევ თავის ,,Figaro“-ს დაუბრუნდა.

ნოდარი კი მსხვილი ასოებით დაბეჭდილ სათაურებს კითხულობდა: ,,კაპიტალისტური ევროპა საბჭოთა კავშირს თავდასხმას უპირობს... ომი ახლოა... ულტიმატუმი იწერება... მაგრამ ჩვენ ნებას არ მივცემთ“.

გაზეთი გადასდო და ჩაფიქრდა. ომს უპირობენ, ნოდარი კი სწორედ იქ მიდის, სადაც შეიძლება მალე ჯუჯუხები დატრიალდეს. მაშ გაგიჟდა? იმ ერთ ქათამსავით დანა მოენატრა? და თუ მართლა დღეს-თუ-ხვალ, ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ ომი იქნება, ეგებ სჯობდეს...

და უცებ მტკიცედ გადასჭრა:

,,არა, არა მჯერა. ისინი, პარიზში რომ დავტოვე, მუდამ ომს ნატრულობენ, რადგან მხოლოდ გამარჯვებული ომია მათი მხსნელი, მაგრამ ესენი?.. ესენი ომს ჭირსავით ერიდებიან, და არც ევროპას სცალიან ომისათვის. მუდამ ემზადებიან, მაგრამ არ ეძებენ. დიდი ხანია ყველაფერი თავის კალაპოტში ჩაიბჯდა და ასე ადრე და ასე ადვილად ველარ ამოვარდება.“ ნოდარ შუბიძეს კი ლაი შეუძლიან უთავბოლო მოცდა, აღარ ძალუძს ლანდების დევნა, ღრუბლებში ფრენა და მოჩვენებასთან მუდმივი ბრძოლა. მას ვალი ადევს კისერზე — უმძიმესი, უმაღლესი, უნეტარესი — და ეხლა ამ მწვავე ტვირთის მოსახდელად მიდის და შვებით მხოლოდ მაშინღა ამოისუნთქავს, როცა მოსახსნელს მოიხსნის და მისართმევს მიართმევს — მიდის და სიხარულით მიართმევს იმ დიდსა და მარადიულს, რომელსაც რვა წლის წინათ მოსწყდა და კინალამ დაეკარგა.

კარი დაკეტილია? ფანჯრიდან გადავა.

ფანჯარაც მოხურულია? საკვამლეში ჩაეშვება.

საკვამლეც დაცობილია? თაგვის ხვრელით შეძვრება და მაინც თავის ოჯახში შევა — დიდ ოჯახშიც და პატარაშიც, საერთოშიც და საკუთარშიც, სადაც რვა წლის უნახავი ცოლი — თითქმის დაქვრივებული სიდონია — მოლოდინით

დასქნა, დაილია; სადაც სამარის პირზე მიმდგარს დედა მართას ნატვრად გადაექცა ერთხელ და უკანასკნელად ნახვა თავის ერთა [illegible] სადაც ნოდარის სამი წლის ვაჟი გაიზრდა ახლა თერთმეტის [illegible] და მამა ჯერ არც კი უნახავს, რადგან აღარ ახსოვს; სადაც რვა წლის წინათ უამრავი მეგობარი და ნათესავი დასტოვა, ნათესავი და მშრომელი ხალხი, რომელსაც მან, ნოდარ შუბიძემ, თითქმის ყველაფერი შესწირა, და რომელიც ეხლაღა სწავლობს უმძიმეს მეცნიერებას—შრომას, და უძნელეს ხელოვნებას — საკუთარ ფეხზე სიარულს. და განა არსებობს სადმე მოვალეობა უტკბესი და უმაღლესი იმ ხარკისა და ძღვენისა, რომელიც ნოდარ შუბიძეს მიაქვს?

არა, არ არსებობს.

მაშ დროა, ნოდარ შუბიძევ, დრო!

2.

ტრაპიზონი პატარა და ლამაზი ქალაქია—მთების ძირში ვეება თეთრი ნალივით მოკუნჭული.

ნოდარ შუბიძე „მესაჟერი მარიტიმას“ გემიდან კორაპა-ნავში გადმოჯდა და იმ ნალის ერთ კუთხეში თითქმის უჩინრად შესხლტა. მერე ერთ ყავახანას მიადგა, მოისვენა, მცირე რამ მოითხოვა და ერთი ლირას მაგიერ კაფეჯის ათიანი მისცა, თანაც დააყოლა:

— ხურდა საჭირო არ არის, ოსმან.

მცირე ხ ასის შემდეგ ოსმანი სადღაც გაიქცა, ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა, ნოდარის წინ ჩაცუცქდა და სათქმელი დაწვრილებით მოახსენა.

კიდევ ერთი საათის შემდეგ, ლაზურად გადაცმული შუბიძე იალქნიან ხომალდზე ავიდა, რომელმაც რიჟრაჟზე აფრები აუშვა და ცხვირი ხოფასკენ იბრუნა.

აქედან ღლისით სიარული სახიფათოა. ვინმე აგედევნება, ხმა გავარდება, ეს ხმა წინ გაგისწრობს და...

და აუტკივარი თავი აგტკივდება.

ამ ტკივილის ასაცდენად ხელდამწვარი „ეფენდი“ დღეს სადმე ფანჩატურში ამოკლებს, ბინდისას კი ცხენს მოაჯდება და რამდენიმე ჭანის თანხლებით ღამის ქურდივით მოიპარება.

ზამთარია. ირგვლივ დათოვლილი მთებისა და გაცრეცილი ტყის მეტი არა მოსჩანს-რა. გზა ზოგჯერ ბილიკდება, ზოგჯერ კი აღარც ბილიკი მოსჩანს და ნატერფალსაც ვერავინ პოულობს, მაგრამ ,,კოტის“ და ,,ვიქტორიას“ აგენტებსაც სწორედ ეს უნდათ.

მეძებრებივით დაგეშილან და გზას უფრო ცხვირით იკვლევენ, ვიდრე თვალით. თითოს ოცდაათი ოყა ჰკიდია.

ხვნეშით და ოხვრით მოდიოდნენ, ალაგ-ალაგ მოსცოცავდნენ, მოსცურავდნენ, ხრამში ჩავარდნილ დათვებივით მოფოფხავდნენ ® სამი საათის გზას რიჟრაჟამდე უნელებოდნენ. ასე გამოიარეს ძანძული, ბორჩხა და მარადიდს მოადგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაბანდის პატრონი ჯემალი ყოველ სადგურზე ძველებს ისტუმრებდა და ახლები მოჰყავდა, და უკვე ნავალების გასტუმრების დროს ორ საათს მაინც იდგა ყაყანი, ლიჯინი და ჩარჩული ვაჭრობა.

ბოლოს ლამის მუშები ბუზღუნით უკანვე ბრუნდებოდნენ და თან მიჰქონდათ კოტის ფირმის სუნი, თითქმის ძალით ანაგლეჯი სამიოდე ლირა და ამდენივე „გურჯი-ეფენდის" მიერ ნაჩუქარი, რომელსაც თვითონვე მოჰქონდა თავის-თავიც და ერთი ხელი ევროპიული ტანისამოსიც.

მარადიდში დიდხანს ისხდნენ. ზემო სართულში ცალკე ოთახი ჰქონდათ მიჩენილი, სადაც დღისითაც კი ბინდი იდგა, რადგან ფანჯრებს მუქი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

ჯემალი თავის საქონელს ზედ აჯდა, ყალიონს აბოლებდა, ყავას სრუტავდა და გარედან „ხაბარს" ელოდებოდა. ერთი ჩუმი აჭარელი თხუნელასავით დაძვრებოდა, მოსატანი ჩურჩულით მოჰქონდა, უცოდველივით ვაჭრობდა, თითო შემოსვლაზე ხუთ ფინჯან ყავას სვამდა და უჩინარ ძაფების გადაბმას ლამობდა.

მოვაჭრენი ეფენდის ერიდებოდნენ და თათრულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ზოგჯერ ქართულიც წამოსცდებოდათ ხოლმე.

— რა მოხდა, ჯემალ?—ჰკითხა ნოდარმა კოტის აგენტების ბელადს.—რას ამბობს ეგ კაცი ჩემზე?

— არაფერი, ეფენდი, ისთე...

— მაინც?

— იბრაჰიმ ამბობს, ჰოვ, ეფენდის... სხვები ამბობენ თურმე, ეფენდის ჯიბაში ძალიან ძვირფასი რამე აქვსო.

— საიდან იციან?—ჰკითხა ნოდარმა და შეშფოთებით წამოიწია.

კონტრაბანდისტებმა გაიცინეს.

— იბრაჰიმ ამბობს... სხვები ამბობენ თურმე, ეფენდის ხელი სულ ჯიბაში აქვსო და სულ ეძებს, ხომ არ დეიკარქაო.

ნოდარმა შვებით ამოისუნთქა, გაიღიმა და გაიფიქრა: „მართლა არაფერი ეგონოსთ და არაფერი დამიშავონ".

შალვრის ორივე ჯიბე გადმოიბრუნა, წვრილმანი ამოალაგა და ხელსახოცში გახვეული ფინჯანიც ამოიღო.

— ეს არის ძვირფასი?—ჰკითხა და ფინჯანი აჩვენა.

ჯემალმა ფინჯანი ჩამოართვა, ხამუშით შეათვალიერა, დაუბრუნა და იბრაჰიმი გულნაკლულად გაისტუმრა. მერე ისევ გააბოლა, დიდხანს იყუჩა და ნოდარს ჰკითხა:

— რა ხაბარია ფრანცუზებში, ეფენდი? ალარ აპირებს ჩონთან მოსვლას?

— არა, არ აპირებს.—მიუგო ნოდარმა და საუბარი აქეთ გადმოიტანა: რა ქეოდება აგერ იმ ქედის გადაღმა? რას ამბობენ ხოჯები? როგორ სცხოვრობს ფუკარა ხალხი და მოიხსნეს თუ არა ქალებმა პირსაბურავი?

ჯემალი ყურანის ავტორებზე უფრო მართლმორწმუნე გამოდგა. სულიერი სასწორი მოირღვია, კალაპოტიდან ამოვარდა და იმ პატარა ოთახში ჰოროხის ოდენა გესლი დააყენა.

ნოდარი უქნევდა თავს, ალაპარაკებდა, გულში კი იცინოდა, რადგან იცოდა, რომ იქ, აგერ იმ ქედის გადაღმა, მართლა დაუვიწყარი და თვალუწვდენელი საქმე კეთდებოდა.

ბიბლიოთეკა

იბრაჰიმი მალე შემობრუნდა და ჯემალი ფანჯრიდან გაახედა. ორივენი თოვლიან ქედსა და ცას ათვალიერებდნენ და იმედნეულად ანგარიშობდნენ. ლურჯად მოკამკამე ცაზე მუქი ღრუბლის ნაგლეჯი მოსცურავდა, ხოლო ქედის თხემზე თეთრი კორიანტელი მოჰქროდა.

— კარგი დარი მოდის, ეფენდი.—ანუგეშა ნოდარი ჯემალმა და ხელები მოიფშვნიტა. ნოდარმაც გაიხედა და მიუხვდა, რადგან კარგი ქარბუქი ამათთვის კარგ დარს უდრიდა.

ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ღრუბელმა ის ქედი—სახიფათო, მიუსაფარი, წითელი „ურუსების იამან საზღვარი"—აფურთხნული ღრუბლით შეიმოსა, ხოლო ნამქერის კორიანტელი მარადიდშიც სისინით და ზუილით ჩამოიჭრა.

იბრაჰიმი გარეთ გაიჭრა, ჯემალი კი სიამით ილიმებოდა და ნოდარს ეუბნებოდა:

— ალაჰმა კარგი დარი დაგვიყენა, ეფენდი, ძალიან კარგი, ძალიან. აჰა, ნახევარი აქ გვიბოძე და ნახევარი იქა.—და ჯანყით ჩაცმულ მთებზე მიუთითა.

ნოდარმა მონარიგის ნახევარი ჩაუთვალა და შეემზადა, თუმცა შესამზადებელი არაფერი ჰქონდა.

მასპინძელმა შვიდი თეთრი ნაბადი შემოიტანა, მისალები მიიღო და გავიდა.

მერე ხუთი აჭარელი შემოვიდა. საზიდავი მოიკიდეს, თეთრი ნაბდები მოიბურეს, გრძელი ჯოხები აიღეს, ფეხებზე თხილამურები მოიბეს, ნოდარსაც მიაბეს და თეთრ ალმართს თეთრი ბატებივით აჰყვნენ.

ცივი ბუქი თავპირში ხან სისინით ულხაპუნებსთ, ხან ალერსით ელამუნებათ, ზოგჯერ კი გიჟივით ეტაკებათ, ხვრელებს ეძებს და შიშველ ალაგებით შიგნით მისცურავს, მიიჭრების და მისცოცავს.

დატვირთული რაზმი მაინც წინ მიიწევს, იმ ნიავივით მისცურავს და მისახვევებში თეთრი გველივით მიიკლაკნება. დროგამოშვებით სადმე კლდის ძირში შესდგებიან, თხილამურების ნაცვლად წრიაპებს აიკრავენ, ოდნავ შეისვენებენ, წინ მზვერავს გაიგდებენ და ხვნეშით და ბორძიკით მისდევენ.

წითელ ასკერს ჰრელი და მჭრელი თვალი აქვს და თოვლსაც და ყინვასაც დათვზე ადვილად უძლებს. ახლა ყვავიც კი გაიყინება, ის კი ბოძივით სდგას მკერდამდე თოვლში ჩაფლული და მგელივით ჰყნოსავს სადაველოს.

არც ჯემალის ლეკვები არიან შაქარლამაზე გაზრდილები: ქვებზე ჯეირანებივით ჰხტიან, თავქვეზე ბურთებივით მიჰგორავენ, აუვალ ალმართზე ჯაგებს ეჭიდებიან და ობობასავით მისცოცავენ. ისე გაუსხლტებიან წითელ ასკერებს თითების შუა, როგორც ხელიკი—ლობეში.

— ეფენდი, დეილალე?—ეკითხება ჯემალი შუბიძეს.

— არა, მაგრამ...

მაგრამ ეს გზა მარტო აჭარლებისა და ეშმაკებისთვის არის გაჩენილი.

— შკუქჭურ ალლაჰა!—ხშირად სწირავს ჯემალი მადლობას ალლაჰს, რომელმაც ეს საზღვარი, ვიღაც კოტი ✝ დიდი ბაქები გააჩინა, ფეთფეთი... ჯემალი და ეს ბეჩავი ხალხი კი ამ საზღვრის გადალმა დაასახლა. და ვინ იცის ბედისწერას მიერ აგდებულმა ბელადმა, რით და როგორ იცხოვრებდა, ან ვინ აუშენებდა ბორჩხაში ორსართულიან ოდას, უცბად საზღვარი რომ წაეშალნათ, ან ბაქები მოესპოთ, ან ვიღაც კოტის რომ ფეხები გაეფშიკნა?

წვრილმანიანი გახშირდა და მავალებმაც სიფრთხილეს უმატეს. თვალებს მოუსვენრად აცეცებენ, ხშირ-ხშირად ისვენებენ და თეთრ ვირთაგვასავით მაძვრენალ მხვერავს ხან ხეზე ააცოცებენ, ხან კლდის წვერზე ააგდებენ, ზოგჯერ ჯაგნარში შეაყოფინებენ თავს, ზოგჯერ კი წინ გაუშვებენ და დიდხანს ელოდებიან დაბრუნებას.

ქარბუქმა გადაიარა, სამაგიეროდ ხშირი ნისლი ჩამოწვა და ის ქედი შეაბინდა. მავალები მოიბუზნენ, დაპატარავდნენ და თითქმის ოთხით მიდიან, უფრო კი მიჰბობლავენ.

აჰა საზღვარიც. აგერ იქ, იმ თხემზე გადადის და ორივე მხრის ასკერებიც—ჯემალის იოლდაშებიც და უ-ურუსებიც—სადღაც აქვე უნდა დაჰბორიალებდნენ.

— ფოთხილად!.. იუსუფ, არ წაიქცე!

მაგრამ გაფრთხილება ზედმეტია. ხმას არავინ იღებს და ყველა მოდრეკით მისცოცავს.

კარგა ხანია თათარ გუშაგებს გამოსცდნენ და ღრმა ხევში ჩაიფლნენ. თოვლი გაღრმავდა და სიარული გაძნელდა. მაგრამ არა უშავს-რა: აგერ იქ, მაღალი კლდის ძირში შეისვენებენ, ძალას მოიკრეფავენ, ერთხელ კიდევ მიაწვებიან და წითელი ასკერების მესერში გაძვრებიან. სამაგიეროდ მერე დაისვენებენ და გაიხარებენ: ლირებსა და ჩერვონცებს ჩაილაგებენ და თავიანთ ცოლშვილს ან დ:ნიშნულებს საკაბეს, ფეხსაცმელს, სამკაულსა და მჭადს მიუტანენ.

— აპა, ფრთხილად! ყოჩაღად! მაჰმუდ, ფეხი არ დაგიცდეს!.. აი და, კიდევაც მივედით... აგერ, აქვეა.

უცებ წინამავალი შესდგა და ხელი გამოიქნია. რაზმიც გაშეშდა და ზღარბივით აიბურძნა. რამდენიმე ხელი უნებურად დასწვდა იარაღს, რომელიც ასეთ დროს ბუდიდან თავის-თავად ამოსხლტება და პატრონის დაუკითხავად აყეფდება ხოლმე.

ოთარიც გახევდა. ხელიც არ გაუნძრევია, რადგან ჯიბეში ფინჯნის მეტი არა ედო რა, მაგრამ გული მძლავრად აუტოკდა და გაიფიქრა: „ნუ თუ ბედმა მიღალატა?“

და უცებ გულს მოეშვა: წინამავალმა მაღალი ჩურჩულით შეატყობინა:

— ჩვენები არიან... წამოდით.—და ჯაგნარიდან გავიდა.

სხვებიც მიჰყვნენ, კლდის ძირას მიადგნენ და იქ მსხდომებს ჩუმი ნიშნებით მიესალმნენ.

პიტალო კლდეს ხუთი უცნობი მოჰფარებოდა. იარაღი მოემართნათ და საბრძოლველად შემხადებულიყვნენ, ახლა კი, თავისიანები რომ იცნეს, შვებით

ილიმებოდნენ, ახალმოსულებს ტვირთის ჩამოხსნას ჰშველოდნენ და ჩუმი ხმით „ხაბარს“ ეკითხებოდნენ.

მხოლოდ ერთი იდგა მოშორებით. იმასაც ნაბადი ესხა, მაგრამ ყაბალახის მაგიერ თავზე ურუმის ქუდი ეხურა.

ახალმოსულებმა მას ყური არ ათხოვეს, რადგან ასეთი მგზავრი ხშირად ენახათ და ეხლა თვითონაც ერთი გჲურჯი ეფენდი მოჰყავდათ.

მაგრამ ნოდარმა...

„არა, შეუძლებელია... ის არ არის.—გაიფიქრა, შესდგა და თვალი მოიფშვნიტა.—ის არ არის... დაუჯერებელია! შეუძლებელია!“

მაგრამ ის არის, სწორედ ის არის. დასაჯერებელიც არის და შესაძლებელიც, რადგან „ის“ ღიმილით მიდის ნოდარისკენ და ორივე ხელთათმანიან ხელს უშვერს, შემდეგ კი განცვიფრებით აღებს პირს და ღელვით ბუტბუტებს:

— ნოდარ?.. შენა ხარ?

ეხლა კი ცხადია! მართლა სარდიონია, სარდიონ გლურჯიშვილია!

— კაცო... სარდიონ... მართლა შენა ხარ? და ორი სიყრმის მეგობარი ერთმანეთს ჩაეხვია. შემდეგ ურთიერთს ღიმილით დააშტერდნენ, თითქოს უნდოდათ კარგად დარწმუნებულიყვნენ, რომ არაფერი მოელანდათ, და ხელახლა გადაეხვივნენ.

— მართლა შენა ხარ? მართლა?—აღარ აცლიდა ერთი-მეორეს.—საიდან?.. როგორ?.. სად?.. რისთვის? ქვებზე ჩამომსხდარი და ჩაკუნტული აჭარლები ოფლს იხოცავდნენ და ორს ეფენდი-მეგობარს გაოცებით შესცქეროდნენ, რომელიც აქ, ამ უდაბურ ტყეში, ორი ქვეყნის საზღვარზე, ყველაზე სახიფათო ალაგას შეჰხვდა ერთმანეთს, და მათთვისაც კი უფრო საკვირველი ის იყო, რომ ერთი მათგანი წითელ გჲურჯისტანიდან „ურუმების ქოყანაში“ მიიპარებოდა, მეორე კი „ფირანგის ქოყნიდან“ სამშობლოში მორბოდა.

— აქ მო, დავსხდეთ.—უთხრა ნოდარმა მეგობარი ხელით განზე გაიყვანა. ორივენი ნამქერის ბექობზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთი ერთხელ კიდევ აათვალიერეს.

— სად მიხვალ?—ჰკითხა ნოდარმა.

— შენ სადლა მოხვალ?—მიუგო სარდიონმა.

— ჯერ შენ მითხარი, სად მიხვალ მეთქი?

— მივრბივარ.

— სად, რად, რისთვის?

— შენც გეცოდინება, რისთვის გარბის ადამიანი ჯოჯოხეთიდან?

— დაიცა. ეხლავე გაფრთხილებ: ხელი აიღე მაგარ სიტყვებზე.

ნუ ხარ მუდამ ელდა-ნაცემი. დინჯად მითხარი.

— დინჯად და მოკლედ გეუბნები: ჯოჯოხეთს გაურბივარ მეთქი, ჯოჯოხეთს.

— ისევ!

— კაცო, გაიგე და დამიჯერე: გიჟი ხომ არა ვარ, რომ სამუდამოდ, ან თითქმის სამუდამოდ, ხელი ავიღო ცოლზე, დედაზე, შვილებზე, ნათესავ-მეგობრებზე და უცხოეთში გადავიხიზნო!?

— მუშაობდი? ებრძოდი?

— არა.

— დასაჭერად დაგდევდნენ?

— არა მეთქი.

— მაშ... არ მესმის, გამაგებინე.

და მოკლედ გააგებინა. მდუღარე კილოთი და გალესილი სიტყვებით მოსთქვამდა ქვეყნისა და თავის დაღუპვას: რომ ყველა და ყოველივე ინგრევა, დნება, იწვის; რომ ეს ქვეყანა უზარმაზარ სასაფლაოდ გადაიქცა, სადაც ყველაფერი ჩაკვდა და ჩაიხრჩო: პიროვნებაც და ადამიანობაც, მორალიც და უფლებაც, შრომაც და სიხარულიც; რომ ხალხი გამხეცდა და ბატონყმობის აღდგენას ნატრულობს.

— დაიცა, დაიცა! მესამეჯერ გააწყვეტინა ნოდარმა.—დაიცა მეთქი! ეგ მჭრელი და ჭრელი სიტყვები ათასჯერ გამიგია. შენ თეთრების პროკლამაციას მიკითხავ. ან იქნება შენც გათეთრდი?

სარდიონმა ხელში ხელი სტაცა და თითქმის მუდარით შესძახა:

— ნოდარ, შენ რომ ჩემს ალაგას ყოფილიყავი, გათეთრდებოდი კი არა, დამიჯერე, კიდევაც გაშავდებოდი.

— ვერ დაგიჯერებ, ჩემო სარდი. თითქმის რვა წელიწადია აქაურობას მოვწყდი, მაგრამ მაინც ვერ დაგიჯერებ.

— რატომ, კაცო, რატომ არ მიჯერებ?—გულნაკლული ბავშვივით იწყინა გამოქცეულმა.

— იმიტომ, რომ... ორი უკიდურესი აზრი არსებობს: „ჯოჯოხეთია!"—ჰკივით შენ და შენისთანები. „სამოთხეა!"—მარწმუნებენ სხვები. სიმართლე კი სადღაც შუაში უნდა იყოს. ჩავალ, ვნახავ და დავრწმუნდები.

— აპა, ადექით,—სთქვა ჯემალმა და ორ მეგობარს მიუბრუნდა:—ეფენდი, ქეა დროი წევიდეთ.

— მოიცა, ჯემალ, ცოტა ხანს მოიცა.—უთხრა ნოდარმა.

— სად მიეჩქარებით! გვალაპარაკეთ.—დაუმატა სარდიონმა. და ნოდარს მიუბრუნდა:

— შენვე დარწმუნდები, რომ მე ცამდე მართალი ვარ. მაგრამ თუ აგეთია შენი რწმენა, რად მიდიხარ საბრძოლველად?

— მე საბრძოლველად კი არ მივდივარ,—მიუგო ნოდარმა,—არამედ სამუშაოდ, აშკარა მუშაობისათვის მივდივარ.

— მაშ ამ გზით რად მიდიხარ?—გაოცდა სარდიონი.

— იმიტომ, რომ... პასპორტი არ მომცეს.

— დაგიჭერენ!

— არ დამიჭერენ.

— დაგიჭერენ მეთქი!

— დამიჯერე, არ დამიჭერენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეფენდი, დროა.—გაახსენა ჯემალმა და წამოიწია.

— დაიცა, ჯემალ, დაიცა მეთქი!—შეეხვეწა ორივე და მალე სხაპა-სხუპით განაგრძეს.

ნოდარი არწმუნებდა: თუ ყველაფერი მართალია, თუ ხალხი, „ჩვენი მშრომელი ხალხი", მართლა ასეთ განსაცდელშია, სარდიონიც და სხვებიც მოვალენი არიან სწორედ ასეთ დროს გამოიჩინონ სულიერი სიმტკიცე, მხნეობა, სიყვარული, და მისთვის თავდადებით, ერთგულად და პირნათლად იმუშავონო.

— ვინ გამუშავებს, კაცო, ვინ? შენ იმ ხალხს არ იცნობ, შენ არაფერი არ იცი.—ჰკიოდა სარდიონი და ისე ცხარეთ აჯერებდა ძველ მეგობარს, უკან დაბრუნებულიყო, თითქოს ის მართლა ჯოჯოხეთში მიდენილიყო, გლურჯიშვილი კი გულწრფელად ლამობდა მის გადარჩენას, თანაც მეხუთეჯერ ეკითხებოდა:

— ვინ მიგიშვებს ხალხთან, ვინ?

— ხალხს თავი დაანებე და შენთვის მაინც იცხოვრე.—მოუჭრა ნოდარმა დი მის ხმაში მწვავე კილომ გამოჟონა.

— დამიჯერე მეთქი, ნოდარ,—უკვე ეაჯებოდა სარდიონი,—დამიჯერე: ხალხს დიდი ხანია თავი დავანებეთ და მარტო იმისთვისღა ვზრუნავთ, რომ ფიზიკური სიცოცხლე შევინარჩუნოთ, მშობლები და ცოლი შევინახოთ და შვილები დავზარდოთ, მაგრამ—გეუბნები—არსებობის ყველა გზები მოგვიჭრეს მეთქი.

— მაინც არა მჯერა.

— დამიჯერებ, როცა ნახავ, ახლა კი გეტყვი: ყველანი განწირულები ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ცოცხლები დავდივართ და ცოტა რაღაც გვესმის.

— კმარა, გაჩუმდი! არასოდეს არ დავიჯერებ.

— დაიჯერებ.

— არა მეთქი!

— ეფენდი, წასვლის დროოა.—ერთხელ კიდევ გაახსენა ჯემალმა.

— დაიცა, კაცო, გვალაპარაკე.—შეეხვეწა სარდიონი.

— რა დროის ლაპარაკია, ეფენდი?!—გაცხარდა ჯემალი. — როიცხა ასკერი მოვა, მაშვინ ილაპარაკე.

ნოდარი წამოდგა:

— ადე, გეყოფა.

— ნოდარ, გაფრთხილებ—და სარდიონიც წამოდგა.

— მეც გაფრთხილებ. წამო, დაბრუნდი.

— ნოდარ, გეხვეწები, თავს ნუ იღუპავ.

აჰარლებიც წამოიშალნენ და ბარგის აკიდებას შეუდგნენ, მეგობრები კი ერთმანეთს ეჩიდებოდნენ, აჯერებდნენ და ეხვეწებოდნენ:

— სარდი, წერას ნუ აუტანიხარ მეთქი!

— ნოდარ, თავს ნუ იღუპავ მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სარდი, გეუბნები: ხელობა არა გაქვს და მშიერი მოკვდები.

— გაიგე, ნოდარ: ხელობაცა გაქვს და მაინც ჩაკვდები.

— წამო, დაბრუნდი მეთქი, შე დეზერტირო!

— დეზერტირიცა ხარ და მოღალატეც!

— არ გაგიშვებ!

— არც მე გაგიშვებ.

და ერთმანეთი ჩაბღუჯეს. აჭარლები კი კბილებს თეთრად აელვებდნენ და აჩქარებდნენ:

— ეფენდი, დროა, ვიგვიანებთ.

— ეფენდი, გაათავეთ.

— ეფენდი, ჩონ მივდივართ.

ბოლოს ნოდარმა უთხრა:

— სარდი, ყური მიგდე: წამო, დაბრუნდი; ყველაფერს ვნახავ, და თუ მართალი გამოდექი, ორივენი ერთად წამოვიდეთ. თანახმა ხარ?

სარდიონი შეყოყმანდა. ხელჩახვეული იდგნენ და ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ. მცირე დუმილის შემდეგ სარდიონმა ჰკითხა:

— პატიოსან სიტყვას მაძლევ?

— პატიოსან სიტყვას გაძლევ. — მტკიცედ უპასუხა ნოდარმა და დაუმატა: — ესეც დამიჯერე: მშიერი არ დარჩები.

— სად? — სწრაფად ჰკითხა სარდიონმა.

— არც აქ და არც „იქ“.

— მაშ...

— მაშ გათავებულია. მივდივართ.

სარდიონმა ცივი ოფლი მოიხოცა და თავის მეგზაურებს მოტეხილი ხმით მიჰმართა:

— მე... მე უკანვე მივდივარ... თქვენ წადით.

— ფული? ეფენდი, ფული?

— ჰო, მართლა... კიდევ გერგებათ. აი, ინებეთ. — თეთრი თუმნიანები ჩააბარა და უცებ გაიხსენა: — მართლა, ჩემი წერილი... წერილი დამიბრუნეთ.

— რა წერილია? — ჰკითხა ნოდარმა.

— ჩემი წამოსვლა არავინ იცის. ქურდულად გამოვიპარე... ცოლსაც კი ვერ გავუბედე... რადგან... იმიტომ რომ...

— მაშ ბედი გქონია. — უთხრა ნოდარმა. — ადვილად ბრუნდები.

სარდიონმა აჭარელს წერილი გამოართვა, ოთხჯერ გადაჰხია, თოვლზე გააბნია და წაიბუტბუტა:

— ამ აჭარელს ეს წერილი უკანვე უნდა წაეღო და ქედაში ან ხულოში ფოსტაში უნდა ჩაეგდო.

— მაშ მივდივართ. — ნაზად სთქვა ნოდარმა და მეგობარს მკლავში გაუყარა ხელი.

— წაეიდეთ. — მორჩილი ხმით უპასუხა სარდიმ და დაუმატა: — ყველაფერი შენს კისერზე იყოს, ჩემი ცოდოც და მადლიც.

— ვკისრულობ.—ღიმილით უპასუხა ნოდარმა და მეგობარი სწრულივით წამოიყვანა, თან ამხნევებდა, ართობდა და ძველის-ძველს საერთო თავგადასავალს იგონებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

დილის მატარებელი ტფილისის სადგურს ჭექით, რახუნით და ოხვრით მოადგა.

ერთი ვაგონიდან ორი მეგობარი გადმოვიდა. თავჩაღუნულები გაჰყვნენ ერთმანეთს, საბილეთო კარში გამოსხლტნენ, სადგურის ფორზე გავიდნენ და კუთხეში შესდგნენ.

— მაშ პირდაპირ... შინ მიდიხარ?—რყევით ჰკითხა სარდიონმა.

— ჯერ შინ წავალ, ცოლ-შვილს დავხედავ და... ხომ არ მატყუებ, სარდიონ, ხომ კარგად არიან?

— აკი გითხარი, ხუთიოდე თვე იქნება არ მინახავს მეთქი. მაშინ კარგად იყვნენ.

— რა ვიცი, რამდენიმეჯერ გკითხე და... და შენს ხმაში რაღაც ყოყმანი, რაღაც რყევა მომელანდა.

— რის ყოყმანი, რის რყევა!—მიუგო სარდიონმა.—წადი და გაახარე, მერე ჩემთან შემოიარე, კიდევ ვისაუბროთ.

— შენ თვითონ მოდი მეთქი ჩემთან.

— არა, გეთაყვა, დღეს და ხვალ გარეთ ვერ გამოვალ. მიზეზს მერე გაიგებ. მაშ შინიდან პირდაპირ „იქ" წახვალ?

„იქ" წავალ, თორემ მანამდე რომ მტაცონ ხელი, ძალიან უხერხული იქნება.

და დამწვარი ხელი სამ დღეში მეასეჯერ მოისვა მარცხენა ჯიბეზე.

— მანდ არის?—ჰკითხა სარდიონმა.

— აქ არის.

სარდიონი შეყოყმანდა. მერე მკლავში ხელი სტაცა და თითქმის შეემუდარა:

— ნოდარ, ერთხელ კიდევ მოიფიქრე. ნუ მისცემ, ნუ გაამჟღავნებ.

— ისევ დაიწყე?

— დამიჯერე, ნოდარ, მაგ ხალხს შენზე უკეთ ვიცნობ მეთქი. არ დაგიფასებენ, მოგატყუებენ და ხელცარიელს დაგტოვებენ.

— გეყოფა, სარდი, გავიგე. ვერ დამაჯერებ. ხელცარიელი კი არასოდეს არ დავრჩები. კერამისტი ვარ და საქმეს მუდამ ვიშოვნი.

— მაგას არ გეუბნები. შენ საშინელ იარაღს აძლევ ხელში, რომელიც სულ სხვაგან და სხვანაირად იქნება მოხმარებული.

— ნუ გეშინიან, დაზლვეული ვარ. აბა, გავათავოთ. აქ დგომა სახიფათოა.

— შენ იცი.—მორჩილად უთხრა სარდიონმა.—უკანასკნელად გაგაფრთხილე. დანარჩენი შენი საქმეა.

— მაშ ნახვამდის.

— ნახვამდის. მოგელოდები.

და ერთმანეთს დაშორდნენ.

გლურჯიშვილმა მარცხნივ გაუხვია, შუბიძე კი პირდაპირ დაჰყვა და გუშინდელივით ყველაფერს ხარბად სჭამდა თვალებით: ხალხს, შენობებს, ქვაფენილსა და მაღაზიებს: რა სწერია მავალების თვალებში, სევდა თუ მხნეობა? უწინდელზე უკეთ აცვიათ თუ უარესად? შენობები ახალი კაბა-ჯუბით შეიმოსა თუ მაშინდელზე მეტად დაიძონძა? ქვაფენილი დაინგრა თუ მოიკირწლა? ჭუჭყმა იმატა თუ დაიკლო?

და როცა აქა-იქ უწინდელზე უკეთესს რამეს მოჰკრავდა თვალს, გული სიამით ევსებოდა, ხოლო თუ სადმე გაუარესებას შეამჩნევდა, ზოგსავით ბოღმით კი არ ივსებოდა, არამედ გული ეკუმშებოდა და ისეთ ტკივილსა და სირცხვილს ჰგრძნობდა, თითქო მინაბარს ვერ მოუარა და თავის ბედოვლათობა საქვეყნოდ გამოჰფინაო...

მარცხნივ, რკინის გზის სამმართველოს გვერდით, ახალს, თლილი ქვის დიდ შენობას მოჰკრა თვალი და გზიდან გადაუხვია. სიხარულით უმზერდა ხალვათს, განიერ-ფანჯრიან შენობას, და გაიფიქრა:

„დიდებულია. ხელახლად ვპოულობთ ჩვენს სახეს. ვისაც საკუთარი სტილი არა აქვს, მას საკუთარი კულტურაც არა აქვს“.

წამოვიდა და ახლად-გაყვანილ ქუჩაზე გამოიარა.

„მშვენიერია“—გაიფიქრა, მაგრამ თითო და ორ-სართულიანი ქოხმახები რომ დაინახა, სთქვა:—„ეს კი არ მესმის. რად გადაუქცევიათ შუა-ქალაქი სოფლად?“

გვერდით კრიალა და მძიმე ვაგონმა გაუარა.

„საუცხოვოა, მაგრამ“...—და გაახსენდა, რომ ოდესღაც აქაურ გაზეთში ამოიკითხა: თითო ვაგონი ოცდაათ-ათასამდე დაჯდაო, და სთქვა: მაშ თითო ვაგონი სამიოდე სამ-სართულიან სახლს ყიდულობს“.

დღე იყო და ვერ დაინახავდა, ქალაქი როგორ უნდა ყოფილიყო განათებული. მაგრამ ლამფების რიგს თვალი გაავლო და გაიფიქრა:

„დიდებულად“. და მოაგონდა წელანდელი საუბარი, მცხეთას რომ გამოსცდნენ, დარი ხარბად დააშტერდა ზაჰესს ტ რამდენიმე აღტაცებული სიტყვა სთქვა.

— ნუ ჩქარობ,—შეანელა სარდიონმა, — ჯერ დასთვალე რამდენი დაჯდა და მერე სთქვი.

— გესლი მოიშორე სარდი.—უპასუხა ნოდარმა.—მართალიც რომ იყო, დათვლა ალარაფერს არგებს. ახლა იმაზედა უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოვიყენოთ ეს უამრავი ენერგია.

— ვერ გამოიყენებ. ჯერ სახურავი ააშენეს და საძირკველზე ეხლაღა ჰფიქრობენ.

— დამიჯერე, მალე ათი ამოდენა სადგურიც არ გვეყოფა.

— ვითომ? რა რისთვის?

— ფინჯანი დაგავიწყდა.

— ჰო, მარცილა, დამავიწყდა.— დაეთანხმა სარდიონი.

— ეს ფინჯანიც რომ არ იყოს, ისედაც დაგვჭირდება. ნუ სჩქარობ. ათიოდე წელიწადი მოითმინე და მერე ჩემი ნათქვამი გაიხსენე.

უცებ ვილაცას მოჰკრა თვალი. ერთი უცნობი შესდგა და ნოდარს დააშტერდა.

„რა ღმერთი მიწყრება!—გაიფიქრა შუბიძემ. მერეც მოვასწრებ ყველაფრის ნახვას“.—და იმ ვაგონს შეახტა, რომელიც სამს საშუალო შენობას უდრიდა.

ვერაზე ნოდარს საკუთარი სახლი აქვს,—არა, ნოდარს კი არა, იმის ცოლს სიდონიას, მზითევში რომ მოჰყვა—ერთ სართულიანი, ხუთ-ოთახიანი, ფართე, სუფთა და ნათელი. სახლს უკან პატარა ბაღიც აქვს, სადაც შუბიძე თავისუფალ დროს დიდი ხალისით და სიყვარულით მუშაობდა ხოლმე.

აგერ მისი წყნარი ქუჩაც. აი მისი თეთრი და მხიარული სახლიც. ფანჯრებს თხელი სუზანები აქვს ჩამოფარებული. ჯერ ადრეა, რვა საათიც ძლივს იქნება, მაგრამ ალბათ ყველანი ზეზე იქნებიან.

ნოდარის დედა მართა რიჟრაჟზე დგებოდა და სანამ მისი შვილი და რძალი სიდონია ადგებოდნენ, მოახლეს მოიშველებდა, დატრიალდებოდა და ყველაფერს დამზადებულს დაუხვედრებდა ხოლმე.

ეხლაც ყოველივე მზად ექნება. ოთახებიც მოკრიალებულია. მაგიდაზე სამოვარი ჩიფჩიფებს. სიდონიაც ან ფეხზეა, ან ეხლაღა დგება. გაიოზი—ნოდარის შვილი, მისი ერთა. ბუთხუზა, ფუნჩულა, ანცი და გრუზა ბაჭია,—საცაა თერთმეტისა შესრულდება, უკვე სკოლაში დარბის და ამ ჟამად, ამ დილას, აი ამ წუთში, ფაცა-ფუცით ემზადება გასაქცევად.

ნეტა იცნობს თუ არა მამას? რა თქმა უნდა, ვერ იცნობს. მაგრამ ეს არაფერია. სიდონიაც და ნოდარის დედაც პატარა გაიოზს თავსა და გულში რვა წელიწადში ალბათ ყოველ დღე ცეცხლსავით უბერავდნენ და ულვივებდნენ მამის ხსოვნას.

„შვილო გაიოზ,—ღიმილით ეტყვის ნოდარი,—იცანი მამა-შენი?“.

გაიოზი ჯერ აირევა, მერე გაიღიმებს და დაკარგულ მამას კისერზე შეასკდება.

და საცაა, ორი წუთის შემდეგ, ამ პატარა სახლში, სიხარულის ალიაქოთი შადრევანივით იფეთქებს. დედა მართა—ალბათ თოვლივით გათეთრებული, შვილის მოლოდინით დანაოჭებული, დაბალი და მკვირცხლი ბებრუცანა—მჭლე მკლავებით ეკალივით ჩამოეკიდება მკვდრეთით ამდგარ ერთას და მკერდს ცრემლით მოურწყავს.

სიდონია—მისი ერთგული და დატანჯული მეგობარი, რვა წლის ნამარხულევი, თითქმის ობოლი და თითქმის ქვრივი—ჯერ დავარცხნილიც არ იქნება. თმა-გაშლილი, გაწეწილი გამოვარდება და ნოდარს ჩაეხვევა.

დიდ სიხარულს ძლიერ დარდსავით ცრემლი სწყურია. ოთხივენი ატირდებიან, შვების ცრემლით. მოლბებიან და...

და მოღიმარე, მხიარული, სიხარულით გაჟღენთილი ნოდარი ბალღივით არბის ხუთიოდე საფეხურს, ნერვიულად აწკარუნებს ნაცნობ ზარს და გულის ფანცქალით უცდის კარის გაღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამი წუთად გადაიქცა, წუთი საათივით გაიჭიმა. რა ამბავია! რა მოხდა! ჩქარა გაალეთ, მალე შეუშვით, თორემ გული მიელია.

და ზარის წკრიალს უმალვე ძლიერი კაკუნი მიაყოლა.

შიგნით მეორე კარის ჭრაჭუნი და ფეხის ხმა გაისმა. მერე გასაღებმა დაიჩხარუნა. ღია კარში ვიღაც დედაკაცი, ვიღაც ხნიერი მოსამსახურე გამოჩნდა და—

— ვინა გნებავთ?—წაილუღლუღა.

ვინცა ჰნებავს, ნოდარის საქმეა. რა საჭიროა მახარობლის შეგზავნა, გაფრთხილება და ტალანში მოცდა! თვითონვე შევა, შევარდება და ობოლ ოჯახში სასიხარულო ელდას მეხსავით შეიტანს.

ტუჩებზე ხელი დაიდო, მსახურს დუმილი ანიშნა, მეორე კარი გამოაღო და ისე შევიდა სასადილოში, როგორც საკუთარ ოჯახში შედიან ხოლმე: თავისუფლად და გაბედულად, თან ხალვათი ღიმილი და მწვავე სიხარული შეიტანა.

თავისიანებისთვის მოულოდნელი ელდა შეჰქონდა, მაგრამ კარებშივე ნამეხარივით შესდგა, რადგან სასიხარულო ელდა გაოცების ელვად გადაექცა, რომელმაც პირი იბრუნა, თვითონ ნოდარს დაჰკრა თავში და სადღაც ქუსლებში ჩაიკარგა.

მაგიდის ირგვლივ სამნი ისხდნენ და ჩაის სვამდენ: გაიოზი, სიდონია და... ნოდარის სიყრმის მეგობარი ლევან შაბრიშვილი.

პატარა გაიოზს სავსე პირი ღია დარჩა. სიდონიას ტუჩები აუთრთოლდა, ხელები ქვეით ჩაუვარდა, ხოლო ფართედ დაჭყეტილ თვალებში სიხარულის ნაცვლად სასიკვდილო შიში და ძრწოლა ჩაუსახლდა.

ერთ ხანს განწირულივით შეჰყურებდა ქმარს თუ ნაქმრევს, შემდეგ ჩუმი ხმით გადმოაგდო: „ვაი მე!“ და ალაგიდან მოსწყდა. მოსწყდა და, თმა-გაშლილი, შველივით გაიქცა. მეორე ოთახში შევარდა, კარი მიიხურა და გასაღებით ჩაიკეტა.

ნოდარი კედელს მიეყუდა. უძრავად იდგა და გაშტერებული, გაოცებული თვალები ცოლისა თუ ნაცოლარის ზურგიდან ლევანზე გადმოიტანა.

სტუმარი თუ მასპინძელი, ნოდარის მეგობარი თუ ნამეგობრალი—ინჟენერი ლევან შაბრიშვილი—უკვე ზეზე იდგა, მორცხვად იღიმებოდა, ხელებს უაზროდ აფათურებდა, უცნაურად იშმუშნებოდა და არ იცოდა, რა ექნა და რა ეთქვა. ტანზე ხალათი ეცვა და ეტყობოდა, რომ ახლად შემოსული კი არ იყო, არამედ აქაური, შინაური, ამ ოჯახის წევრი, ან... ან პატრონი.

ოცი წლის ნამეგობრალები იყვნენ და ერთმანეთს თავიანთ-თავზე უკეთ იცნობდნენ. თავდაპირველად ლევანს ერთი რამ ემცნაურა, ერთი რამ ეცა ტვინსა და ყურში: ნოდარის მარცხენა ხელის სალოკი თითი ისე აკაკუნდა კედელზე, თითქო წამის მეათედს ითვლიდაო. ასე აფართხალდებოდა ხოლმე ეს თითი მუდამ, როცა ნოდარის სულში დიდი რამ შფოთი შეიჭრებოდა. თრთოლა, კანკალი, რაკუნი და ფართხალი უებარი მაჩვენებელი იყო ნოდარის გუნებისა, და ლევანსაც ასჯერ უთქვამს მისთვის: — მაჩვენე შენი ტერმომეტრი... მაგ თითზე გეტყობა ყველაფერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ეს თითი ტერმომეტრი ეხლა დაკლულ ქათამივით ფართხალებდა და მრისხანე დუმილს მწვავე კაკუნით არღვევდა.

,,იქნებ მდგმურად ჩასახლდა და... მეტი არაფერი?''.—გაუღიმა ნოდარს, და იმედიანულად გაიღიმა, მაგრამ სიდონიას ,,ვაი მე'' და გაქცევა რომ გაახსენდა, თვითონაც ,,ვაი-მე'' ამოიკვნესა გულში და თავში გრიგალი შეეჭრა.

ბალღი მობრუნებული დარჩა. იჯდა და გაოცებული თვალებით ხან ,,ძია ლევანს'' შესცქეროდა, ხან უცნობს სინჯავდა, თანაც პატარა გულით ჰგრძნობდა, რომ ვიღაც ახალმოსულმა, ასე უცნაურად რომ არახუნებდა კედელს, ამ მყუდრო ოჯახში რაღაც ქარიშხალი შემოიტანა და აქამდე სუფთა ჰაერი ელვით და ჩუმი ქუხილით გაჟღინთა.

გაიოზი ამ ელვას ნათლად ხედავდა უცნობის სახეზე, რომელიც უცნაურად იკლაკნებოდა და საოცარი სისწრაფით იცვლებოდა. ნეტა ვინ არის ეს შავი კაცი? რად შემოიჭრა ყაჩაღივით? რად აკაკუნებს ამ კედელს? ან მუდამ დინჯი და უშიშარი ,,ძია ლევანი'' რაღად დაიბნა და აირია? რატომ არაფერს არ ეტყვის? თუ მტერია, მტრულად დაუხვდეს, და თუ სტუმარია, რატომ გამარჯვებას არ ეუბნება და დასაჯდომად სკამს არ სთავაზობს?

ან დედას რაღა დაემართა? ასე შეშინებული გაიოზს არასოდეს არ უნახავს... მას შემდეგ აღარ უნახავს, როცა... სამი თვის წინათ გაიოზს ბებია მართა უკვდებოდა. მანამდე ძია ლევანი მხოლოდ სტუმრად მოდიოდა ხოლმე, მართას სიკვდილის შემდეგ კი ამ სახლში გადმოვიდა და გაიოზს მამობა დაუწყო.

მაგრამ ბებია მართა რომ კვდებოდა, გაიოზის დედა მხოლოდ დარდობდა, სტიროდა კიდევაც, ახლა კი შვილმა დედის სახეზე ჯერ უნახავ შიშს მოჰკრა თვალი და მისი ელდანაცემი ,,ვაი მე'' ახლაც ყურებში უწივის. გარდა ამისა, რად მოსხლტა, რად გაიქცა, რად ჩაიკეტა კარი?

ამ დიდმა კითხვებმა სწრაფად გაურბინა პატარა თავში და პასუხს ლაპარაკიდან მოელოდა, რომელიც საცაა უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ორივენი ჩუმად იდგნენ და თავიანთ-თავს ებრძოდენ.

— გაიოზ,—ხმა ამოიღო ძია ლევანმა,—დაგიგვიანდა.

გაიოზს ჯერ ერთი ჭიქაც არ დაელია. საათს აჰხედა. ჯერ ადრე იყო, ჯერ ოცი წუთი კიდევ ჰქონდა.

— წადი,—დაუმატა ლევანმა.—იქ სადმე დალიე, ან მაწონი შესჭამე.

— ხელი წაავლო, მიატრიალა და ტალანში გაიყვანა. ბავშვი უხმოდ დაემორჩილა და ერთი წუთის შემდეგ სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

ლევანმა კარი ჩაუკეტა, მეორე კარიც გამოიხურა და ნოდარს აჰხედა. ახალმოსული ისევ წელანდელივით იდგა, ოღონდ ორივე ხელი მძიმე სკამის ზურგისთვის ჩაეჭიდნა, ოდნავ მოხრილიყო, დამწვარ თითს ახლა სკამს ურახუნებდა და ამღვრეული თვალები კედლისთვის მიებჯინა.

ლევანმა თავის-თავი უკვე იპოვა. ნელი ნაბიჯით შემოუარა მაგიდას და წელანდელ ალაგზე შესდგა. გრძნობდა, რომ პირველი სიტყვა თვითონ უნდა ეთქვა, თოფივით გატენილი ოთახი როგორმე უნდა დაეცალნა და აყენებული

ჩახმახი სულ ნელა, უხმოდ უნდა ჩამოეშვა. უნდოდა თბილად, ძველებურად, მეგობრულად ეთქვა: ,,გამარჯვება, ძმაო ნოდარ! საიდან გაჩნდი, როდის ჩამოხვედი?“ და ორივე ხელი ჩამოერთმია. მაგრამ ლევანის მაგიერ [illegible] სხვამ ერთად-ერთი სიტყვა მიუგდო—მშრალი, ცივი და უგულო: „დაჯექი“.

და ორივეს—მთქმელსაც და გამგონსაც—უმალვე გაახსენდათ გამომძიებელი, რომელიც დასაკითხად შემოყვანილ მდაბიო ვინმე ბრალდებულს სწორედ ასე ცივად ეუბნება ხოლმე: ,,დაჯექი‘‘.

და ამ ,,დაჯექის‘‘ გაგონებაზე თითმა რაკუნს მოუხშირა.

ლევანი სხვანაირ კილოს ეძებდა და სულ სხვანაირს წააწყდა. მაგრამ გვიანღა იყო გამოცვლა. აღარ შეეძლო თბილად ეთქვა: ,,გამარჯვება, ნოდარ! კაცო, საიდან გაჩნდი, როდის ჩამოხვედი?‘‘

მაგრამ გაყინული „დაჯექიც“ უკუ აგდო და ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა:

ეგ ხელი სად დაიწვი?

დამწვარმა თითმა კიდევ მოუხშირა რახა-რუხს. ლევანმა კი ისევ იგრძნო, რომ ის ხელი მის მიერ უხეშად მოთრეული საბაბი იყო ჰაერის გაწმენდისათვის, უქმი ცდა იყო კილოს პოვნისათვის, და ისევ აჯობებდა ეკითხნა: „როგორ იმგზავრე, ნოდარ? რა ამბავია ემიგრაციის ბანაკში?“.

ნოდარმა მასპინძელს გესლიანი ღიმილი შეასხა, თითქოს ეუბნებოდა: „მაგაზე ნამდვილი სათქმელი ველარ იპოვნე?“ და ხრინწიანი ხმით ჰკითხა:

— ჯერ ეს მითხარი, ვინა ხარ აქ... ვინა ხარ ამ ოჯახში, სტუმარი თუ... თუ მასპინძელი?

ამ კითხვამ იდუმალების ფარდა ქალალდივით გაფხრიწა. დრო იყო ნამალევი თქმულიყო და ნაჩუმარი გამოჩენილიყო. ლევანი არც ლამობდა ამ წამის გადადებას და თვითონაც ეძებდა შესაფერ სიტყვებს. ოღონდ ეგონა, წაიბორძიკებდა, და ეშინოდა სათქმელი ლუღლუღით არ ეთქვა.

— მასპინძელი გახლავარ.

და ეს ორი სიტყვა ისე მტკიცედ წარმოსთქვა, რომ თვითონაც გაოცდა. ნამეტნავად უკვირდა, რატომ არ უთხრა: „მასპინძელი ვარ“, და რად იხმარა ასეთ დროს მწვავე და კადნიერი „გახლავარ“. რაც უნდა იყოს ძმათნაფიცები არიან. სიდონიაც ნოდარის ნაცოლევია და ეს ავეჯიც, ბინის მთელი მორთულობაც ამ კაცს ეკუთვნის... ან მისი ნაკუთვნევია.

მაგრამ არა უშავს-რა: ლევანი კმაყოფილიც იყო, რომ ეს სიტყვა იხმარა, რადგან მტკიცე ხასიათი ჰქონდა, და დოსტაქარი რომ ყოფილიყო, სურდოს მკურნალობასაც კი ნეშტარით შეუდგებოდა.

ნოდარის თითი ავტოს მოტორივით არაკუნდა. ლევანი უძრავად იდგა და ერთ თვალს იმ თითს ადევნებდა, მეორე კი ნოდარის სახეზე ჰქონდა მიბჯენილი, რომელიც ტკივილის ელვისგან თრთოდა და იგრიხებოდა.

„ეს წუთი გადასჭრის ყველაფერს“.—გაიფიქრა ლევანმა და მარჯვენა ხელი უნებურად ჯიბისკენ წაიღო.

ნოდარმა სკამი იქით გადასდგა. თითი ჰაერში აუთამაშდა. კრიჭა შეეკრა და ხელები თავისთავად მოეკუმშა. უნდოდა რაღაც ექნა თუ ეთქვა — რაღაც უკმეხი, შხამიანი და სახიფათო. მაგრამ ამ დროს — სწორედ ამ დროს — ჩაკეტილ ოთახიდან უცნაური ხმაური მოისმა. ნოდარმაც და ლევანმაც ყური მიუგდეს და მიჰხვდნენ: იქ, ჩაკეტილში, სიდონია ქვითინებდა.

იდგნენ და ხმა ვეღარ ამოეღოთ. ჩამხჩვალი, ჩუმი და ნაგლეჯად ამოვარდნილი ტირილი თითქოს ორივეს ალხობდა, არბილებდა, დაჭიმულ სიმებს ადუნებდა, და ნოდარის თითმაც თითქო ფართხალს დაუკლო.

— დედა-შენი... დედა-შენმა აქ რაღაც დაგიტოვა. — უცებ ალაპარაკდა ლევანი.

— დედამ? — გაოცდა ნოდარი იმის გამო, რომ მშობელი ეხლაღა გაახსენდა, სხვამ გაახსენა. და ოთახს თვალი მოავლო, თითქო ვინმეს ეძებდაო. „რა იქნა?.. სად არის დედა?“

— დედა-შენი? — ისე ჰკითხა მასპინძელმა, თითქო კითხვა ვერ გაიგოო, და თავი ჩაჰლუნა.

— ჰო, დედა. სად არის დედა?

ლევანმა უფრო დაბლა ჩაღუნა თავი და სდუმდა.

მეორე ოთახში სიდონიას სლუკუნმა იმატა.

— დედა სად არის მეთქი, ლევან?

ლევანმა თავი ასწია, თვალებში შეხედა და ჩუმი ხმით უთხრა:

— ნოდარ... — და დუმილის შემდეგ დაუმატა: — უკვე სამი თვე გავიდა... ფილტვების ანთება ჰქონდა.

ნოდარმა დამწვარი ხელი მკერდზე მიიდო, ღრმად ამოიხვნეშა და ბარბაცით იქვე სკამზე დაეშვა.

წეღან ლევანი გუმანით მიხვდა, რომ სიდონიას ქვითინმა აყენებული ჩახმახი ნახევრამდე დაუშვა, ეხლა კი დედის სიკვდილმა თითქო კარ-ფანჯარაც გამოაღო და მოშხამულ ოთახში გრილი და სუფთა ჰაერი შემოუშვა.

— დაიცა... აქ მოიცა. — უფრო დაბალი ხმით უთხრა ლევანმა. — წავალ, სიდონიას დავხედავ. — და მეორე კარისკენ გაემართა. და სანამ გავიდოდა, დაინახა, რომ ნოდარმა ისე ჩაიქნია თავი, თითქო თავის ბედს სჩიოდა, ან ლევანს ეუბნებოდა: ჰო, წადი, სიდონიას მიჰხედეო.

ჩაკეტილ ოთახში ჩურჩული გაისმა, მერე გახშირდა, სამაგიეროდ ქვითინი ჯერ სლუკუნად გადაიქცა და შემდეგ სრული დუმილი ჩამოვარდა.

როცა ათიოდე წუთის შემდეგ ლევანი სასადილოში შემობრუნდა, ახალმოსული ისევ გახევებული იდგა და ეტყობოდა, მეგობრის თუ ნამეგობრალის დაბრუნებას ელოდებოდა. ეხლა მთელი ტანით თრთოდა და ფორხილით ამბობდა:

— წეღან... წეღანვე მინდოდა შენი ნახვა, სანამ... მანამ გავიგებდი, რომ შენ ამ სახლში... მაგრამ გადავდოთ.

— გადავდოთ. — უმალვე დაეთანხმა ლევანი.

— ასე სჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სჯობია.

— მაშ...—უნდოდა ეთქვა „მშვიდობით“, მაგრამ სთქვა:—მაშ წავალ.

— წადი.

და ლევანის „წადი“, „სჯობია“ და „გადავედოთ“ წელანდელ „დაჯექი“-ვით მშრალი და ცივი აღარ იყო, მაგრამ არც ოდინდელივით თბილი, არამედ მუდამივით დინჯი, წყნარი და იმ წითელ მაგიდასავით სწორი, სადაც ლევანი იჯდა ხოლმე და თანამშრომლებს მოკლედ და მკაფიოდ უჭრიდა:

— კარგი,.. არა... წადით... მოიტათ.

და ნოდარიც წამოვიდა, ისე წამოვიდა, როგორც სამი თვის ნაწოლარი გამოდის ხოლმე სამკურნალოდან.

წელანდელივით ქალაქს აღარ ათვალიერებდა. გულზე ლოდი აწვა, თავში ბინდი ედგა და წინ კაეშანი მიუძღოდა.

ერთი საათის შემდეგ სარდიონთან შევიდა და უთხრა:

— ოთახი მინდა.—და იქვე ჩამოჯდა.

სარდიონმა შეჰხედა, ენა დაიდუმა და გავიდა. ათიოდე წუთის შემდეგ ისევ შემოვიდა და მოკლედ მოსჭრა:

— მზად არის.—და ვეღარაფერი ვერ შეჰბედა.

ნოდარი ლასლასით გავიდა და ისე ჩაიკეტა კარი, როგორც წელან სიდონიამ. შემდეგ ნამეხარ გულზე ხელი მიიდო, თითქოს მისი შემაგრება ეწადოს, ოდნავ წაბარბაცდა და ჩაზნექილ საწოლზე მიეგდო. და ის საწოლიც ნოდარივით აკრუსუნდა, აკვნესდა და დროგამოშვებით ისე მოსთქვამდა და ოხრავდა, თითქო ზედმწოლარეზე მგლოვიარედ იყო და ზარს ეუბნებოდაო.

მაშ ასე: დედა ჰყავდა და აღარა ჰყავს; შვილი ეზრდებოდა და ვეღარც კი იცნო; ერთი მეგობარი—საყვარელი, უძაგივრო, ერთგული ცოლი ჰყავდა და ისიც მოჰპარეს.

„დიაღ, მომპარეს. არც კი შემატყობინეს“.

სამი თვის წინათ, როცა დედა უკვდებოდა, ან უკვე მკვდარი ჰყავდა, სიდონიასგან უკანასკნელი წერილი მიიღო. ორჯერ მაინც წაიკითხა, მაგრამ იქ გადაკვრითაც არაფერი ეწერა. ახლაც ჯიბეში აქვს ის წერილი.

და მოთელილ ქაღალდს გულდასმით დაუწყო კითხვა:

„ჩემო ნოდარ“...—და ეხლაღა აკვირდება: აღარც „ძვირფასო“, აღარც „იმედო“, აღარც „სიცოცხლევ“. მაშ რაღაც მომხდარა, სადღაც რაღაც გამწყდარა. რამ გააბრუა მაგრე რიგად, რომ ეს მშრალი და ცივი დასაწყისი აქამდე ყურად არ იღო? ჰო, მართლა, მაშინ სხვა რამით იყო დაყრუებული, დაბრმავებული.

„მოთმინება გამომელია. მეტის ატანა აღარ შემიძლიან“.

ცხადია, აშკარად ამბობს ყველაფერს. მაგრამ ნოდარმა ამასაც არ დასდო ფასი, რადგან რვა წელიწადში ერთი წერილიც არ მიუღია, რომ იგივე „აღარ შემიძლიან“ არ წერებულიყო.

ფინჯნის ბრალია, ფინჯნისა!

„რაკი შენი ლანდები (ჰმ, ლანდები!—გაიფიქრა ნოდარმა) ჩემს თავსა და ჩვენს შვილს ამჯობინე, პასუხიც სავსებით მარტო შენ უნდა იკისრო“.

ბიბლიოთეკა

მარტო ნოდარმა უნდა იკისროს! ესეც ცხადია. აკი კისრულობს, აკი ჰგდია სხვის ოთახში და მოღვარებულ კაეშანს მარტო ებრძვის,—მარტოდ-მარტო, ისევ მარტო, ისევ ერთი, ერთად-ერთი!

„...და ნუ გაგიკვირდება, თუ იმანაც დაგივიწყა, ვინც რვა წელიწადია თითქმის აღარ გაგონდება“.

განა ამაზე პირდაპირ კიდევ შეიძლება აზრის გამოთქმა?! „ნუ გაგიკვირდება!“ აკი არც უკვირს!.. დიაღ, აღარ უკვირს, მაგრამ ეს ოხერი გული ლამის ამოფრინდეს და ამ სულელმა ცრემლმაც ლამის სულ დაალბოს ეს წერილი. და ისე ამოიოხრა: „ვაი მე!“, თითქოს ის გულიც ამოეყოლებინოს. ამოიოხრა და სიდონიას წელანდელი „ვაი მე“ გაახსენდა.

მართლა ვუი შენ, ნოდარ შუბიძევ, რადგან ასე უცებ დაობლდი, დაქვრივდი და მთელ ქვეყანაზე ოხერ-ტიალად დარჩი. მაგრამ განაგრძე კითხვა, იქნებ იქ მაინც იპოვნო გულის მოსაოხი და ცრემლის მოსაშრობი.

„შენ მიერ გამოგზავნილ ფულს მარტო გაიოზის აღზრდაზე ვხარჯავ, ჩემზე კი მანეთსაც აღარ ვიმეტებ, რადგან ეხლა უშენოდაც შემიძლია ვიცხოვრო“.

აჰა, ცხადზედ-უცხადესია! „ჩემზე კი მანეთსაც აღარ ვიმეტებ (მაშ წინათ იმეტებდა!), რადგან ეხლა უშენოდაც შემიძლიან ვიცხოვრო“.

რა თქმა უნდა, შეუძლიან! ძალიან ადვილადაც შეუძლიან. ახალი ქმარი თუ საყვარელი იშოვნა (ეხლა ვიღა გაარჩევს!) და იმის ხარჯით სცხოვრობს. მაგრამ რამ გამოატვინა ნოდარ შუბიძე, რომ ეს სტრიქონებიც ვერ გახსნა და ცხადი გასაგები ვერ გაიგო!

„ფინჯანი, წყეული ფინჯანი!“—წამოიძახა და განაგრძო:

„დროა გათავდეს და ჩვენს წარსულს მიჯნა დაედოს“.

რაო, რა სწერია? დროა გათავდეს?.. აჰა, მორჩა და გათავდა!.. და მიჯნა დაედოს... დადებულია, ჩაყრილია! წელან, ორი საათის წინათ ისეთი მიჯნა დაედო,—არა, დაედო კი არა, ჩაითხარა, უფსკრულივით ჩაინგრა,—რომ იმ ზღვარს, იმ უნაპირო და უძირო ხრამს არწივიც ველარ გადაუვლის.

რა ფუქსავატია, რა ბეყეჩა ვინმეა ნოდარი!

„წყეული, შეჩვენებული ფინჯანი!“—და ფაიფური მაგიდაზე გადააგდო. ფინჯანმა ზარის ხმით გაიცინა, ყირამალა შეტრიალდა, პირქვე დაემხო და გახევდა.

ნოდარმა ძლივს ჩაიკითხა წერილი, რომელიც ვერხვის ფოთოლივით კანკალებდა, რადგან დამწვარი თითი ქვეიდან გრიგალივით ეხეთქებოდა და იალქანსავით ჰფურთხიდა.

წერილიც გადააგდო, მოიბუზა და კედლისკენ გადაბრუნდა, თითქო ვინმესი სცხვენოდა და პირსახეს იმალავდა.

სადილის დროს სარდიონმა კარი დაურახუნა·

— არ მინდა,—უპასუხა და ფანჯარას მიუჯდა.

ვახშამმა რომ მოაწია, ერთხელ კიდევ დაუკაკუნეს.

ნოდარმა ბრაზით შესძახა:

— არ მინდა მეთქი!

და სამ დღეს იჯდა ტუსაღივით და დროგამოშვებით იძახდა:

— აკი გითხარი, არ მინდა!.. თავი დამანებე!.. გეუბნები, არ მინდა მეთქი!

ხოლო მეოთხე დილას ასე ჰფიქრობდა:

„დედა მომიხუცდა, გაცივდა და ფილტვების ანთებას გადაჰყვა. მაშ ბრალი არავისაც არ ედება. აქ რომ ვყოფილიყავი, ვერც მე ვუშველიდი“.

რასაკვირველია, ვერაფერს უშველიდა. რა თქმა უნდა, ბრალს ვერავის დასდებდა. რომ არ მისწერეს, ესეც გასაგებია. მაშ დედის საქმე გათავებულია.

„გაიოზი ჩემთვის არავის წაურთმევია. საბრალო სიდონია რვა წელიწადს უჩემოდ ზრდიდა, და რადგან უკვე გათხოვდა, და შეიძლება მეორე და მესამეც ეყოლოს, ამიტომ“...

ამიტომ სიდონია გაიოზის თავს არ შეედავება. ესეც ცხადია და გათავებულია.

„თვითონ სიდონია ხომ“...

სიდონიას საქმეც ხომ მორჩომილია. ვერაფრით ველარ უშველის, ვერ დაიბრუნებს. და თუნდაც რომ მოახერხოს, არც იკადრებს: რა ოხრად უნდა ქალი სხვისი ნატუჩარი, ნახელარი და მონათელი?! ჩანჩურაც აღარ მიიკარებს თავის და სხვის ნაცოლარს, მაშ რად უნდა შეირცხვინოს სახელი ნოდარ შუბიძემ, დიდებული სახელი, დიაღ, დიდებული, რადგან ასეთია მისი მომავალი: ხვალ თუ ზეგ მეხივით გავარდება და მთელ ქვეყანას მოედება.

და ფინჯანს ორივე ხელით მაგრად ეჭიდებოდა, თითქოს ეშინოდა, ჩიტივით არ გამიფრინდესო.

არა, რაღა ლევანს აეკიდა, რაღა ლევან შაბრიშვილს შეეფეთა, ნამეგობრალს და ერთად-ერთ ინჟინერ-კერამისტს, რომელიც პარიზიდანვე აირჩია დამხმარედ და შუამავლად? ბედის სიცილია, უბრალო შემთხვევაა. ზევიდან ჩამოვარდნილი აგური რომ ვინმეს დაეცემა, ან ვაგონი გაიტანს, ყველა მისი ნაცნობ-ნათესავი იტყვის ხოლმე: „რაღა იმ უბედურს დაემართაო?“ და ეს „უბედური“ დღეს ნოდარ შუბიძე გამოდგა, ბედნიერად კი ნამეგობრალი ლევანი მოეჩვენა, რომელიც მრავალ ქარტეხილს გადარჩა, რადგან მუდამ შორს იდგა გრიგალების ბუდესგან და მხოლოდ თავის დარგში მუშაობდა — თავჩაღუნული, დაძაფული და კამეჩივით გამძლე.

თუმცა რა ბედენაა! ლევანს გაჰყვა თუ სხვა ვინმეს, რა ფასი აქვს? პირველ დღეს გულისთქმას აჰყვა, პატივის შელახვა იუკადრისა და სერიოზულად ჰფიქრობდა უკანვე დაბრუნებას, ახლა კი ამაზე თითქმის ეცინებოდა და თავის-თავს არიგებდა: „შე ტუტუცო, ეს ფინჯანი, ქვეყნის საჰე, ხელში გეჭიროს და ცოლის დაკარგვის გამო გასწირო შენი თავიც, შენი სახელიც, შენი მშრომელი ხალხიც და მისი მომავალიც?! ალბათ გავგიჟდი, თორემ ეს სისულელე თუნდ ერთი წამითაც როგორ მოიკიდებდა ფეხს ჩემს თავში?“.

აგრეა, ცხადია: გაგიჟდა, დროებით შეირყა. ან რა ექნა? ნოდარიც ქართველია და ისიც ყალბი სიამაყით, ხავსმოდებული თავმოყვარეობით არის გაჟღენთილი. მაგრამ რა დროს ეს არის!

„ჯანდაბას სიდონიაც და ჩემი თავიც!“ — ღრმა რწმენით წამოიძახა და ერთხელ კიდევ გადალახა საზღვარი.

ფითრის ფერი ედო, მაგრამ უკვე განკურნებული იყო: ფეხზე მაგრად იდგა, თვალები ულივლივებდა, სახეზე ხალისიანი ღიმილი [illegible] ხმაც მტკიცე ჰქონდა, როცა სარდიონი შემოუშვა. ფული მისცა [illegible]

-- ნურაფერს დამაკლებ, ნურც თქვენ დაიკლებთ. დღეს ერთი კარგი სადილი შეამზადებინე და... ჰო, ის უნდა მეთქვა: საათის სამზე სიღონიასთან გადი და გაიოზი... გაიოზი მომიყვანე... უთხარი, დღესვე უკან გამოვგზავნითქო.

— მეტი არაფერი ვუთხრა? — ყოყმანით ჰკითხა სარდიონმა.

— მეტი არაფერი... ჰო, მართლა, შენს კნეინასთან ბოდიში მომხადე. ოთხი დღეა აქა ვარ და ვერც კი მოვიკითხე. ახლა მეჩქარება... სადილად დავბრუნდები და მეც მოვთხოვ შენდობას. მაშ ჯერჯერობით კარგად იყავით.

და გულდინჯად გავიდა.

ერთი საათის შემდეგ შუბიძე ფართე და ნათელ კაბინეტში შევიდა, ერთ წამს კარებში შესდგა, მაგიდასთან მჯდომს გადაჰხედა, გაუღიმა და ხელგაწვდენილი გაემართა მისკენ, თანაც მიაძახა:

— გამარჯვება, ლევან!

ლევან შაბრიშვილი წამოუდგა, ღიმილითვე უპასუხა და ხელი მაგრად ჩამოართვა:

— გაგიმარჯოს, ნოდარ. როგორა ხარ?

— ძალიან კარგად.

— მეგონა აღარ მოხვიდოდი.

— მართალს გეტყვი: უკანვე გაქცევის სურვილმა ერთი წუთით გამკრა, მხოლოდ ერთით, მაგრამ დავძლიე და აი... აქა ვარ.

— მაშ რატომ აქამდის არა მნახე?

ნოდარმა მხრები შეიშმუშნა, გაიღიმა, შეყოყმანდა და —

— ვინელებდი. — მორცხვად უპასუხა.

ლევანმა თვალი აარიდა და მცირე დუმილის შემდეგ დაბალი ხმით ჰკითხა:

— მერე?

— გათავდა... მოვინელე. — უფრო დაუწია ხმას ნოდარმა. — მოვინელე, რადგან... რადგან ეს საქმე... ჩემი პირადი საქმე მცირე წერტილად მომეჩვენა თვალუწვდენელ მინდორზე... მინდორზე, რომელიც უნდა მოვხნათ... ჩვენ უნდა მოვხნათ.

პირისპირ იდგნენ. თვალი თვალში გაუყარეს. ლევანს თვალებში სიამისა და ნდობის ნაპერწკლებმა გაურბინა.

— მაშ მე. . მე აღარაფერს მაბრალებ? -- ჩურჩულით ჰკითხა.

-- არაფერს... აღარაფერს. -- წრფელი კილოთი მიუგო ნოდარმა.

ლევანმა ხელი გაუწოდა. ნოდარმა თავისი დაუხვედრა. დიდხანს ეჭირათ და უსიტყვოდ ილიმებოდნენ. მერე ლევანმა ერთი სიტყვა მიუგდო:

— დაჯექი.

ნოდარს ოთხი დღის წინათ ნათქვამი „დაჯექი“ გაახსენდა, უნებურად შეადარა და დღევანდელში სითბო, ნდობა და სირბილე მოეჩვენა.

ორივენი პირისპირ მიუსხდნენ მაგიდას და დადუმდნენ. ხანგრძლივი, უხერხული სიჩუმე ჩამოწვა წითელ ოთახში. ორივენი პირველ სიტყვას ერთმანეთისაგან ელოდებოდნენ.

ბოლოს ლევანმა ჰკითხა:

— რას მეტყვი?

— აჰა, დავბრუნდი. ჩუმად შემოვიპარე. —და გაჩუმდა.

— მართლა? მერე?

—ვიცოდი, რომ შეეძლოთ სასტიკად დავესაჯეთ... მაგრამ ველარ მოვითმინე და წამოვედი.

— რა ვერ მოითმინე?—და თვალი თვალში გაუყარა.

— უცხოეთში ხეტიალი... აღარა მჯერა იმათი... ჩვენს ხალხს დავუბრუნდი.

— რომელ ხალხს?

— ცხადია, მშრომელ ხალხს. სხვანაირი ხალხი აღარც არსებობს. ასში ხუთი სათვალავში ჩასაგდებიც არ არის.

— მიზანი?

— შენთან და „იმათთან" ერთად მუშაობა ჩვენს მშრომელ ხალხისთვის და მასთან ყოფნა ლხინშიც და ჭირშიც, ნამეტნავად ჭირში, რადგან ლხინის დროს აფრიკელებიც კი აქ ამოვლენ, გაქცევით კი ბედნიერ ცხოვრებას მხოლოდ გიჟი გაექცევა.

და ისევ დუმილი ჩამოწვა. ლევანი სწორად იჯდა და ნოდარს თვალს არ აშორებდა. ტუჩებზე ისევ წეღანდელი ოდნავი ღიმილი უთრთოდა, ხოლო შავი, ცივი, მჭრელი თვალები მოსაუბრის გულში ჰქონდა ჩაბჯენილი.

უცებ ის თვალები ნოდარის დამწვარ ხელზე გადაიტანა და შეამჩნია, რომ თითი-ტერმომეტრი ოდნავლა უკანკალებდა.

„ორგული რომ ყოფილიყო,—გაიფიქრა,—თითი ფართხალს და კაკუნს დაუწყებდა, მცირე თრთოლვა კი ამ წუთს ბუნებრივიც არის".

იმ თითიდან თვალი კვლავ ნოდარის გულში გადაიტანა, იქიდან ისევ თითზე გადმოვიდა და ბოლოს ჰკითხა?

— მაშ... რა მოგვიტანე? რა გიდევს თავში?

ნოდარმა თავისებურად გაიგო და უპასუხა:

— თითქმის რვა წელიწადს ვმუშაობდი განთქმულ სევრის ქარხნებში, ქიმიკოსი და კერამისტი ვარ.

— ვიცი. პოლიტიკურად რას იტყვი?

ნოდარი არც ჩაფიქრდა, არც აირია და მტკიცე ხმით მიუგო:

— სრული ლოიალობა, სრული ერთგულება.

ლევანი კვლავ ტუჩებით იღიმებოდა, ზედატანით ოდნავ შესამჩნევად ირხეოდა. მკვეთრი თვალები ნოდარის გულიდან თითზე და თითიდან ისევ გულში გადაჰქონდა. შემდეგ თითქო თავისთვის წაილაპარაკა:

— ოდესლაც ეგეც საკმარისი იყო, ახლა კი...—და გაჩუმდა.

— ახლა კი შეიძლება აღარ იკმარონ?—გაოცებით დაამთავრა ნოდარმა და თვალი თვალში გაუსწორა. მაგრამ იქ ვერაფერი ამოიკითხა, რადგან მეგობრის თუ ნამეგობრალის თვალებსა და ღიმილში ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს კითხულობდა. დუმილის დროს მისი აზრი, მისი „ჰო“, „არა“, წყრომაც, სიამეც, დასტურიც და უარიც მუდამ გულსა და ტვინში რჩებოდა ცხრაკლიტურით ჩაკეტილი და არასოდეს თვალებსა და ტუჩებზე არ გადმოდიოდა.

— ახლა კი შეიძლება აღარ იკმარონ? ხელახლა ჰკითხა ნოდარმა და თითმა კანკალს ოდნავ უმატა.

ლევანმა ტერმომეტრის აწევა შენიშნა და ისევ ღიმილით სდუმდა.

მაშინ ნოდარმა უთხრა:

— ლევან, ყური მიგდე.—და თითის კანკალის ანარეკლი ხმაში გადმოესხლდა.—ერთგულება ხურმა კი არ არის, რომ მოგზეზრდეთ და დაიწუნოთ, ხვალ რომ რამე მოხდეს, თოფი უნდა ავიღო და მტრისა და ჩემი სისხლი უნდა დავღვარო.

— საბუთს მოგთხოვენ.—ცივად მიუგო ლევანმა.

— ამ საბუთს მაშინღა მივცემ, როცა დრო დადგება.—და გაჩუმდა.

— საბუთს მოგთხოვენ მეთქი.—განიმეორა ლევანმა.

— აქაურ ფულზე რომ ვიანგარიშოთ, პარიზში ორი ათასი მანეთი მექლეოდა, აქ კი... არ ვიცი რა მომელის. შეიძლება ციმბირშიც გადამასახლონ.

— ადვილათ შეიძლება.—დაუდასტურა ლევანმა.

— მიუხედავად ამისა, მაინც ვეახელი.

— საბუთი მეთქი?—ჩააცივდა ლევანი.

ნოდარმა იყუჩა. თითმა კიდევ მოუმატა კანკალს.

— საბუთი მეთქი?—გაახსენა მეგობარმა თუ ნამეგობრალმა და ისე გაუშვირა ხელი, თითქო მონათხოვს ნივთსავით ხელში ჩადებას ელოდებოდა.

— საბუთი?—ჰკითხა ნოდარმა და წამოდგა.

დამწვარი ხელი აუჯანყდა, ჯიბისკენ წაიღო, ისევ ამოიღო და ლევანს გამოწვდენილ ხელში პატარა ფინჯანი ჩაუდო, თანაც დააყოლა:

— აჰა, ინებე.

და ისეთი იერი აისახა, თითქოს იმ ხელში ქვეყნის ბედი ჩაედოს.

ლევანმა იმ ფინჯანს დაჰხედა, შემდეგ გაოცებული თვალები ნოდარს აავლო და გაიფიქრა: „გაგიჟდა?“ მერე ის თვალები ისევ ფინჯანზე გადმოიტანა, კვლავ ამაყად მოღიმარე ნამეგობრალს შეანათა და განცვიფრებას ოდნავი შიში დაერთო: „ცხადია, გაგიჟდა“, და ორი სიტყვაც დაუმატა: „საწყალი ნოდარი!“

და შეწუხებული ლევანი იმაზეღა ჰფიქრობდა, რომ „საწყალი ნოდარი“ როგორმე მშვიდობიანად გაესტუმრებინა. უცებ მეგობრულად გაუღიმა და უთხრა:

— დიდებულია!... მშვენიერია!

— მშვენიერი კი არა, განძია, უდიდესი განძია.—ღრმა რწმენით შეუსწორა ნოდარმა.

— რა თქმა უნდა, — უმალვე დაეთანხმა ლევანი, — განძია, ნამდვილი განძია.

— ფასდაუდებელი რამ არის! ფორიაქით შესძახა შუბიძემ. — ორ წელიწადში ქვეყანას შეატრიალებს და მილიარდებს მოგვცემს.

„საწყალი!“ — ერთხელ კიდევ გაიფიქრა, ხმამაღლა კი უმალვე დაეთანხმა: — უეჭველად, უეჭველად. და ფინჯანი გაუწოდა. — წაიღე და მაგრად შეინახე. არავის აჩვენო, თორემ...

ნოდარი ეხლაღა მიუხვდა: „გიჟი ვგონივარ.“ ფინჯანი ჩამოართვა და უთხრა:

— ლევან, ჭკუიანი, მცოდნე კაცი ხარ და მალე გაიგებ. აბა, მიყურე და მიმიხვდი.

უცებ ხელი მოიქნია, ის ფინჯანი მთელი ძალღონით კედელს მიანარცხა.

ფინჯანმა უცნაური ზრიალი მოიღო და ოთახი რაღაც ახალი, უჩვეული და გაუგონარი ჟღარუნით გაავსო; კრიალით უკანვე გადმოხტა, მუხის იატაკზე გაგორდა და იდუმალი ჟღარუნი ერთხელ კიდევ გაიღო.

ნოდარი გაგორებულ ფინჯანს მიჰყვა; შმაგიანივით ეცა და ისე ურტყამდა მძიმე ფეხებს, თითქო გველს სჭყლეტავდაო, თანაც სიხარულით გაიძახოდა:

— აჰა, ლევან, აჰა!.. შეხედე!... ნახე! დარწმუნდი!

შემდეგ უვნებელი ფაიფური აჯანყებული ხელით აიღო, განცვიფრებულ ლევანს გადასცა და ჰკითხა:

— გაიგე?.. გესმის?.. მოისაზრე?

ლევანს სწრაფი მოსაზრება და შესაფერი ცოდნა ჰქონდა, ამიტომ პირველივე სიტყვა საგნის შუაგულს მოახვედრა:

— რისგან არის ეს ფინჯანი?

— თიხისაგან.

— რაო?. — და თავის სიცოცხლეში თვალები პირველად გაახილა ასე ფართედ და განცვიფრებით.

— თიხისგან მეთქი! — ამაყი სიხარულით მიუგო ნოდარმა.

— თიხისგან?

— თიხისგან, ნამდვილი თიხისგან. — განიმეორა ნოდარმა.

— თიხისგან და... და კიდევ რა?

— შვიდი მეათედი თიხა, ესე იგი უფასო მასალა, და კიდევ რაღაც... რაღაც... ძალიან იაფი. ყური მიგდე, ლევან... — და ორივე ხელით მაგიდაზე დაებჯინა. თითი სარეკელასავით არახუნდა. — ყური მიგდე. ეს თიხა, ეს ფინჯანი ფოლადზე უფრო მაგარია.

— დაუჯერებელია!

— ეხლავე დაიჯერებ... აქ მომეცი.

ფინჯანი ხელახლა გამოართვა, კედელთან მდგარს პატარა მაგიდაზე გვერდით დასდო, ზედ კედელს მიაყუდა და უთხრა:

— ამოიღე რევოლვერი და ესროლე, შიგ ძირში ესროლე...

ლევანი ყოყმანობდა.

— ამოიღე მეთქი, ნუ გეშინიან. პირველი მცდელი და მიმრქმელიც შენ იქნები.

— დაიცა, აქ არ შეიძლება. სარდაფში ჩავიდეთ.

— ძალიან კარგი. ჩავიდეთ, სამი წუთის შემდეგ ელექტრონით განათებულ სარდაფში იყვნენ. ოთარმა ფინჯანი ისევ კედელს მიაყუდა და ზანზე ჩადგა.

ლევანის ხელში ნაგანის შავმა ლულამ იელვა.

— ოღონდ ოდნავ ცერად დადექი... ტყვია არ ასხლტეს და არ მოგხვდეს... აი ესე... აბა, დაუმიზნე.

ლულამ ჰაერში რკალი მოხაზა, ნელა დაეშვა და გაიყინა.

უცებ სარდაფი ქუხილმა გაავსო.

— აჰა, დაჰხედე.—და ნოდარმა უვნებელი ფინჯანი მიაწოდა.

ლევანი ფინჯანს ათვალიერებდა და არა სჯეროდა: ძირის შუაგულში ოდნავ ეტყობოდა მონახვედრი.

— აი ტყვია სად არის.

ლევანმა უკან მიიხედა და იქ, კედელზე, სადაც ნოდარის თითი ფართხალებდა, მცირე ნაჩვრეტი დაინახა. ისევ ზევით ამოვიდნენ. ლევანმა ორივე კარი გასაღებით ჩაჰკეტა, ისევ თავის ალაგზე დაჯდა და უთხრა:

— კარგად გამაგებინე.

ნოდარმა ადვილად გააგებინა, რადგან ლევანს სწრაფი მოსაზრება ჰქონდა და ამ დარგშიც კარგა ხნის ნამუშავარიც იყო. დაბალი ხმით, მაგრამ აღფრთოვანებით და ფორიაქით უხსნიდა:

მალე მთელ ქვეყანას ამის ჰურჭელი მოედება, რადგან ძალიან ლამაზიც არის და არც ოდესმე გატყდება; ხის მრავალ ნივთსაც გასდევნის და ერთი სახლიც არ დარჩება, რომ გარედან მაინც აგურისა და ქვის მაგივრობა არ გასწიოს; რკინა და ფოლადი დაძველდა, დაძვირდა და მალე მათი სახსენებელიც აღარ იქნება.

— დაიცა, დაიცა!—შეაწყვეტინა ლევანმა.—ან შენ ყოფილხარ გიჟი, ან გსურს მე გამაგიჟო.

— ყური მიგდე მეთქი.

ყური უგდეთ და ნუ შეშინდებით: არც ნოდარია გიჟი, არც ლევანი გაგიჟდება, რადგან—

— ვთქვათ რკინისა და ფოლადის გაუქმება ცოტა შორეული ამბავია, დანარჩენი ხომ შენვე გამოსცადე და უკვე ხელში გიჭირავს.

— ეგეც კმარა, თუ მართლა აგური, ხე, ქვა, ფაიფური და ფაიანსი განდევნა.

— დამიჯერე, კიდევ ბევრ რამეს განდევნის. მთელი ქვეყანა პურსავით მიესევა. უმთავრესი კი ის არის, რომ საიდუმლოებას ვერ გაიგებენ.

— მართლა?

— მართალს გეუბნები. ჩვენი ქვეყანა ბოლოთ გაიქალინთება. ყოველ მხრიდან მილიარდები წამოვა. ათიოდე წელიწადში ჩვენს თავს ჩვენც ვეღარ ვიცნობთ. ქვეყანას ბადესავით დავსერავთ ქარხნებით, გზებით, არხებით, სკოლებით, სამკურნალოებით; ხალხი ჰუჰეს მოიცლის, უმეცრებას ჩამოირეცხავს, გასუქდება და... და ამერიკას გაუსწრობს.

ეროვნული

— დაიცა, დაიცა!—ერთხელ კიდევ შეაჩერა ლევანმა, რადგან თვითონვე ეშინოდა, ნოდარის ბოდვა დაეჯერებინა.

მაგრამ აშლილი გამომგონი მაშინღა შესდგა, როცა სათქმელი ძირამდე დასცალა, დასცალა და დაუმატა:

— ეხლა ხომ გესმის ჩემი?

— მესმის, მაგრამ... ჩემს გარდა კიდევ ვინ იცის ეს ამბავი?

— ჯერ არავინ, არც ერთმა სულიერმა.

— არც უცხოეთში?

— არც უცხოეთში. მე ადვილად შემეძლო მილიონების შოვნა, მაგრამ... უკვე გითხარი... ხომ გესმის ლევან?

ლევანი უხმოდ უგდებდა ყურს და აღარ იცოდა, ნათქვამის მეათედი დაეჯერნა თუ მეასედი. მაგრამ სწრაფი, ნათელი, პრაქტიკული გონება ჰქონდა და უმთავრესი თავის თვალით ნახა და ტყვიითაც გამოსცადა. ესეც საკმარისი იყო, რომ ეს ურყევი, მტკიცე და შეუვალი კაციც შინაგანი ცეცხლით და იმედით ანთებულიყო. ბედნაკრავ მეგობარს ყველაფრით უსმენდა: ყურებით, გულით, თვალებით, შუბლით, ტვინით და კბილებითაც, უსმენდა და წელანდელი „საბუთი“ აღარც კი აგონდებოდა.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს, ათასჯერ ასწონეს, გაზომეს და ნაუბარს თავი მოუყარეს. ბოლოს ლევანმა უთხრა:

— წამო, ნოდარ, „იქ“ წავიდეთ, და ეს საქმე გავაცნოთ და იმათაც მოვუსმინოთ.

— წავიდეთ.

და ორივენი წავიდნენ.

კარს რომ მიადგნენ, ლევანი შესდგა და მეგობარს მოუბრუნდა:

— ერთი რამ უნდა გკითხო, ნოდარ.

— მკითხე, ლევან.

— ეს... ეს ფინჯანი რომ არ გქონოდა, მაინც... მაინც დაბრუნდებოდი?— და მჭრელი თვალებით გულის ფსკერამდე ჩასწვდა.

— რა თქმა უნდა, დავბრუნდებოდი!—უმალვე დაუხვედრა შუბიძემ.—უფრო ადრეც დავბრუნდებოდი.

ლევანმა თავი ჩაიქნია და გაიფიქრა: „დაბრუნდებოდა,“ და კარებში გასაღები გადაატრიალა.

— მაშ მივდივართ?

— მივდივართ.

და სწრაფი ნაბიჯით გავიდნენ.

როდიონ ქორქია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვარდი და ცოცხი

## I

ვზივარ ოთახში მარტოკა. გამოშიგნულია გული და გამოფიტული სული. იწვის ტვინი და საშინელი მარტოობა ეკლებივით მჩხვლეტს მკერდსა. ოთახის კედლები თითქოს უახლოვდებიან ერთმანეთსა, ჭერი თითქოს დაბლა იწევს, მე კი ულონო ვარ, ვერსად გავიქცევი, უნდა გავიჭყლიტო კედლებსა და ჭერს შუა. წიგნი გავშალე, ვერ ვიკითხე, ყოველი სტრიქონი ათასნაირ სახეებს იწვევს წარსულიდან. ეს სახეები ავსებენ ოთახს: ხეები, ყვავილები, ველები, მთები, მდინარენი, ქალები; ალერსი, ცრემლი, სიცილი, სიმღერა. არა, ეს სახეები გახეთქავენ თავის ქალას. ტილო დავასველე და შუბლზე დავიდევი. რა ვქნა? უნდა შევებრძოლო მარტოობას. რით? უჯრა გავაღე და ძველი წერილები ამოვალაგე.

ძველი წერილები... წარსულთა დღეთა მოწმენი, წარსულის გამომწვევნი, თითქოს სამარიდან ამოდიან და ჩამწარებული თვალებით მიყურებენ. ყველაფერს აქვს მომავალი. ამათ კი, ძველ წერილებს, არა აქვთ მომავალი. რაოდენ წელთა განმავლობაში გაზეთში გახვეულნი, ბაწრით ჯვარედინად შეკრულნი, განისვენებენ უჯრაში, და იშვიათად, როდესაც სევდა ხელს დარევს ჩემს სულსა და მარტოობა დამეუფლება, მე, ვათვალიერებ მათ. აი, ისე, როგორც ახლა.

ეს წერილები ჩემი გრძნობების სულთა სიაა.

აი ისინი:

წერილი პირველი. პატარაა და მოკლე.

„— თქვენი თვალები ვარსკვლავებივით იცინიან. ვინ არის ის ბედნიერი, რომელსაც ისინი უცინიან და უნათებენ?

— ჯერ არავინ არის...“

ჰო, გამახსენდა. ხუთმეტის წლის წინად ჩვენს ქალაქში, ქალთა გიმნაზიაში მიმიწვიეს ახლად კურს დამთავრებულთა საღამოზე. მე ერთი ახლათ კურს დამთავრებული ქალი მომეწონა, გულიკო, და ეს პატარა ბარათი მივწერე. პასუხი იმავე ბარათზე მიმიწერა. მე მაშინ სტუდენტი ვიყავი.

ოთახი გაივსო მუსიკის გიჟური ხმებით. ვხედავ, ცხოვრების დილაზე ქალწული ქალები მოდიან დროშით, სიმღერით, სიცილით...

წერილი მეორე. ეს წერილი პირველზე დიდია:

„—თქვენ გულიკო გქვიათ. რა ლამაზი სახელია... ნეტავ ვიცოდე, გულიც ასეთი ლამაზი გაქვთ?

— შეეცადეთ გაიგოთ.

— არამც თუ შევეცდები, მსხვერპლად შევეწირები.

— ლიტონი სიტყვებია, თქვენ რუსეთს წახვალთ და დამივიწყებთ.

— მე თქვენ ერთი თვეა გიცნობთ, მაგრამ ასე მგონია უსსოვარი დროიდან თან დამსდევს თქვენი სახე, თქვენი სიცილი, როგორ შემიძლია დავივიწყო ის, რაც ჩემს სულის საუნჯეს შეადგენს? გულიკო, გულიკო, ნეტავი ასი გული მომცა, ყველა თქვენ მოგიძღვნათ, ისე, როგორც ეს ვარდები...

— ნეტავ შემეძლოს თქვენს სიტყვებს ვენდო..."

ესეც საღამოზეა დაწერილი. ჩვენ, რუსეთს მიმავალ სტუდენტებმა, გამგზავრების წინ საღამო გავმართეთ და იმ საღამოზე გულიკომ და მე ასეთი სიტყვებით მივმართეთ ერთმანეთს. იმ საღამოს ლანაზი ვარდების თაიგული ვუძღვენი გულიკოს.

ჩემი ოთახი უნახავმა ყვავილებმა გაავსო, ვარდის დამათრობელმა სუნმა გამაჭაბუკა.

მესამე წერილი ასე თავდება:

„ხშირად მესიზმრება, თითქოს შენ შემოდიხარ ჩემს ოთახში, ალერსითა და ყვავილებით დატვირთული. შენ იცინი, შენი ხუჭუჭა და გრძელი თმებიც თითქოს სიცილისაგან ირხევიან. ხშირს წარბებს ქვეშ თვალები გიცინის, გაჩერდები ჩემს საწოლთან და მლოცავ. გამეღვიძება და ბედნიერი ვარ. ნეტავ, ჩქარა დასრულდეს ეს წელი. ჩქარა ჩამოხვიდე ჩვენს საქართველოში და ვისუნთქო შენთან ერთად ბედნიერების ალერსით. შენთან შეყრამდე უფესვო ხე ვიყავი, უსუსური ტირიფი. ახლა კი მუხასავით გადგმული მაქვს ფესვები ღრმად. ასე მგონია, შენს მკლავებში უდრეკი ძალაა და არ მიმტყუნებენ მე ეს მკლავები".

ეს მეოთხე წერილი, რუსეთში მომწერა გულიკომ. გულიკოს სიყვარული გულს მითბობდა რუსეთში.

ჩემი ოთახი უეცრივ წიგნებით აივსო. კედელთან ერთი პატარა ტახტი დგას, ფანჯარასთან მაგიდა, კუთხეში პირსაბანი. მე ვზივარ და ვმეცადინობ. ოთახში ცივა, გარედ ცივა, მაგრამ გულში თბილა, მაქვს მიზანი და მკვებავს იმედი. ბედნიერი დრო, ჩემი სტუდენტობის დრო, ჩემი სტუდენტური ოთახი.

ვკითხულობ მეხუთე წერილსა და თვალი ჩერდება შემდეგ სტრიქონებზე:

„რუს მწერალს, გრიგოლ პეტროვს, თავის კრიტიკულ წერილების კრებულში, რომელსაც ჰქვიან „Братья писатели", აქვს ასეთი ადგილი: წეროები მიფრინავენ სამხრეთისაკენ. ერთი ფრთამოტეხილი წერო ჩამორჩა ამხანაგებს, დაეშვა ლერწამში, შეჰყურებს ცის სივრცეს, სურს სამხრეთისაკენ გაფრენა, ცად აწევა, თბილ მზის ქვეშ ცხოვრება, მაგრამ... ფრთა მოტეხილია, აფრინდება, დაეცემა, და ყივის ლერწამში, უფრთო და ობოლი. ასეთი ფრთა მოტეხილი წერო ვარ მე დღეს. ცხოვრების პირობათა სიძლიერე შენს სიყვარულზე ძლიერი აღმოჩნდა. მაგონდება იბსენის სიტყვები: „Когда мы мертвые проснемся?".

ჰო გულიკოსთან შეუღლებაზე, გულიკოს მშობლებმა უარი მითხრეს და ეს მწარე წერილი სასოწარკვეთილებამ დამაწერინა.

## II

წერილები გადავდევი და ოცნებას მივეცი. მაგონდება [illegible] დღეები, ზღაპრული ღამეები, მთვარიანი ალერსი და მხიანი სიყვარული. მე რუსეთიდან დავბრუნდი და გულიკო ჩემი ოთახის ხშირი სტუმარი გახდა. სიცილით შემოირბენდა ხოლმე ოთახში, ჩამეხუტებოდა, თმებს გამიშლიდა, მიმღერდა. მე კალთაში ჩავუდებდი თავსა და ვუსმენდი მის ლამაზს ხმას, ალერსით სავსეს, თბილსა და ხავერდოვანს. მე უკვე უნივერსიტეტს ვამთავრებ და ჩვენ არ გვეშინიან გულიკოს მშობლებისა, დეე, გვითხრან უარი, მაინც გავიტანთ ჩვენსას. გულიკო მეუბნებოდა:

— შენთან, ჩემო, ხის ძირშიაც ვიცხოვრებ. და სიმღერით უმატებს:

„უშენოთ ჩემი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დიდი ძნელია“.

ბოლოს, ერთ საღამოს, გულიკომ ჩემს ოთახში, ჩამავალი მზის სხივებზე, თმები დაივარცხნა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გულიკოს მშობლების სიკერპე გულიკოს კაბების ვიწროვემ მოსტეხა და ჩვენ შევუღლდით.

ფარვანა ეცა ლამპას და კინაღამ ჩამიქრო.

გამოვერკვიე, ისევ წერილებს დავუწყე კითხვა.

წერილი მეექვსე:

თვალებში მეჩხირება შემდეგი სტრიქონები:

„არ ვიცი რა დაგემართა. აგარაკზე რომ ფულებია საჭირო ეს ბავშმაც კი იცის. მონაზონივით ხომ არ ვიცხოვრებ, კაცო! აქ თეატრია, ხალხია, ჩაცმა დახურვაა საჭირო, ტიტველი ხომ ვერ ვიარ. შენ რომ გროშებს მიგზავნი მოახლე ხომ არა ვარ. შენი გამოგზავნილი გროშები ვალებს არ აუვიდა. საჩქაროდ გამოგზავნე იცოდე. არ დაგავიწყდეს აგრეთვე აფთიაქში თმების წამალი, თმები ისევ მცვივა...“

ამას მე გულიკო მწერს. ის ბორჯომშია, მე ტფილისში ვარ. მეხუთე წერილის შემდეგ ათი წელი გავიდა. ათმა წელმა ისე გაჭიმეს დრო, თითქოს ათი საუკუნე გასულიყო. უწინ, ამ ათ წლამდე, ერთი დღე მეორეს არ გავდა. ყოველ დღეს ახალი სახე ჰქონდა, ახალი სული, ახალი სიცილი. სადღა არიან ახლა ის დღეები? ახლა არამც თუ დღეები, წლეები არ განირჩევიან ერთმანეთისაგან. ჩვენი ცხოვრება ურმის ბორბალს დაემსგავსა. მიღოღავს ურემი, მიგორავს ეს ბორბალი, ჭრიჭინებს და მე თითქოს ხარი ვარ. ხარი, რომელიც თვით შევები ამ ურემში, და როდესაც გამიჭირდება, საკუთარ შუბლზე სახრეს დავირტყამ ხოლმე, მეტკინება, მაგრამ მივათრევ ურემსა. დღით მზის სიცხე მიწვავს კისერს, ღამით ვარსკვლავები მიშფოთავენ სულს.

ოთახი გაივსო აყალ-მაყალით, ვხედავ: ცხოვრების მწუხრზე ძუძუებ დამჭკნარი ქალები მიდიან უდროშოთ, უსიცილოთ, ჩამწარებული თვალებით.

და მაგონდება ის შორეული საღამო, როდესაც გულიკოს პირველი ბარათი მივწერე: „თქვენი თვალები ვარსკვლავებივით იცინიან, ვინ არის ის ბედნიერი, ვისაც ისინი უცინიან და უნათებენ?“.

ჰო, ვინ არის ახლა ის, ვინც უნათებს და უცინის ურემში შებმულ ხარს?

„ჯერ არავინ არის...“

არც იქნება. სანამ ადამიანი ხარივით ქედმოხრილია, მაშ რაღა უნდა ნათება და სიცილი?

და მინდა ვესროლო ჩემს მარტოობას, ჩემს საკუთარ თავს. რისხვის სიტყვები: თავი მაღლა ადამიანო!

მაგრამ...

მაგრამ მეშვიდე წერილი ასე თავდება:

„სტეფანეს დუქანში ცოცხი იყიდე და დამახვედრე. სტეფანეს კარგი ცოცხები აქვს. არ დაგავიწყდეს იცოდე...“

ნწარედ გამეცინა, ვარდით დავიწყე ცხოვრება და ცოცხამდე მივედი.

ვინ არის უფრო ბედნიერი: ფრთა მოტეხილი წერო, თუ ცოცხიანი კაცი? წერილების კითხვა შევწყვიტე. თავი დამიმძიმდა. ისევ გავხვიე გაზეთში წერილები, ისევ ჯვარედინად შევკარი ბაწრით, ისევ ჩავდევი ყუთში. ბევრ ხანს, ბევრ ხანს არ წავიკითხავ აწი ამ წერილებს, ძველ წერილებს, ძველთა წელთა მოწმეებს.

რატომ წავიკითხო? იმ წერილების უკან ორი ქალი დგას: ერთია ვარსკვლავ-თვალებიანი, გრძელ თმიანი, სიყვარულით სავსე და ალერსით დატვირთული გულიკო. მეორეა თვალებ ჩამქრალი, თმებ ჩამოცვივნული, სიყვარულისაგან დაწრეტილი და უალერსო ქალი. და ეს ქალია იგივე გულიკო... უწინ, ყოველ დილით, გაღვიძებისას, გულიკო თვალებში მაკოცებდა და მეტყოდა:

— მზის სხივებზე ადრე ჩემი კოცნა უნდა ნახოს შენმა თვალებმა. ახლა კი, ყოველ დილით, გულიკო ცივათ მეტყვის:

— ადექ კაცო! რას უყურებ, სამსახურში დაგაგვიანდება.

და ხანდახან ზმორებით დაუმატებს:

— პრიმუსი გააჩაღე. ასანთი მანდაა.

ხამუშ-ხამუშ გულიკო აფორიაქდება, ძველებურად გაუგანიერდება თვალები, დავიწროებულ წარბებს შეკრავს და მეტყვის:

— მომბეზრდა ასეთი ცხოვრება. შენ მე დამიხშე ყველა გზები. მე არ ვიყავი გაჩენილი ასეთი ცხოვრებისათვის. შენ შეზღუდე ჩემი ცხოვრება სამზარეულოთი და არტახებით. რა ვარ მე—სამზარეულოს ცოლი? არ მსურს ვათრიო ასეთი უღელი. წავალ, სადმე წავალ, თუნდაც ჯანდაბაში.

მაგრამ მე ვიცი: გულიკო არსად წავა. ისიც და მეც, და ბევრი—ათასნი ჩვენგვარნი, უკვე მისულნი ვართ ჯანდაბაში. მე ვიცი მხოლოდ, რომ ასეთ შემთხვევაში გულიკო სადილს არ გააკეთებს. მანიკურს გაიკეთებს, ტუჩებს, შეიღებავს, შეიღებავს პირსაც, ჩაიცვამს სუფთად და დაჯდება ფანჯარასთან. შემდეგ მოსწყინდება და დაიძინებს, ან მეზობელ ქალს წაეჩხუბება. საღამოთი კი უეჭველათ სადმე წავა და განგებ დაიგვიანებს, რომ დამოუკიდებლობა გამოიჩინოს. მოვა გვიან, გაბედულად შემოაღებს კარებს, ნელი ხმით უსიტყვო სიმღერას დაიწყებს. მაგრამ ეტყობა რცხვენია და ერიდება. მერე ტანთ გაიხდის, გაიზმორება და დაწვება.

და ასე მიდის ის, რაც ჩვენ გვსურდა ოდესღაც ზღაპრულ ოცნებათ გვექცია, რაც გახდა ჯაგვივით ულამაზო, და რასაც ეწოდება ცხოვრება.

ამიტომ არ წავიკითხავ კიდევ ბევრ ხანს იმ წერილებს.

კვლავ მარტოკა ვზივარ. გამოშიგნულია სული და გამოფიტული გული. იწვის ტვინი და საშინელი მარტოობა ეკლებივით მიჩხვლეტს მკერდსა. ოთახის კედლები თითქოს უახლოვდებიან ერთმანეთს, ჭერი თითქოს დაბლა იწევს, და მე ულონო ვარ, ვერსად გავიქცევი, უნდა გავიჭყლიტო კედლებსა და ჭერს შუა.

ე... ეხ!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბექანა დაბრუნებულა *)

„ორი ქოთანი ვიყიდე-ე... ჰ-ე-ე“...

სტუმარი და მასპინძელი ამ სიმღერით მიადგენ ბეხრეკიძის სახლის კარებს.

— ფოტინე! ერთი კაი ვახშამი გაგვიმზადე, თუ ქალი ხარ! აგერ ერთი უცხო სტუმარი მოგიყვანე...

შორიდანვე მიაძახა ეზოში ჩასულმა ბეხეხერმა სამზარეულოში თავის მეუღლეს და თვითონ ბეჟანათურთ ოდაში შევიდა.

ბეხეხერი არა ჰგავდა ძველებურ უსაქმურსა და უსიკეთო აზნაურებს. მან თითქმის იმ თავიდანვე აული ცხოვრებას ალლო. შრომასა და გლეხებთან ერთობას არა თუ არ გაურბოდა, არამედ უბრალო გლეხში ვერაფრით ვერ გამოარჩევდით. დღე და ღამ სულ შრომასა და წელებზე ფეხის დგმაში იყო.

გლეხებისაგან ბეხეხერი განირჩეოდა მხოლოთ კაი სმა-ჭამითა, ჩაცმა-დახურვით და ოჯახის დოვლათ-მორთულობით, მაგრამ გარეშეთათვის კი იგი დიდი კრიჟანგი და პურაძვირიც იყო იმავე დროს.

შეიძლება ეს იმისი ოჯახური მდგომარეობითაც აიხსნებოდა.

ასეც ხსნიდენ.

უშვილო კაცი და პურაძვირი—სოფლად თითქმის ერთი და იგივეა.

ბეხრეკიძეც სწორეთ უშვილო იყო. უკვე ოცდა თუთხმეტი წლის შეუღლებულნი იყვენ ისა და მისი ცოლი—ფოტინე, მაგრამ შვილი კი არ გასჩენოდათ.

ამ თავიანთი მეუღლეობის ნახევარ მანძილის მიჯნაზე, იმათ ცხოვრებაში მოხდა ერთი შესანიშნავი მოვლენა, სახელდობ: ბეხეხერის სახლის წინ ჩუმად ჩასდგეს ახლად დაბადებული ბავშვი, მდედრობითი სქესისა.

— ბატონო, ბავშვი ბეხეხერაის არის!

ირწმუნებოდნენ სოფლის გამოცდილი დედაკაცები.

ასახელებდენ კიდეც ბავშვის მშობელს.

— კაი ქნა ძალიანი! ამდენ ქონებას პატრონი და მომვლელი გაუჩნდება, თორემ აგერ მაქიმედა „ყადის“ მუნიანი ბალნები გეიჯგიმებოდენ ზედ...

და მართლაც ამ მოვლენას ასე ხსნიდენ, რომ თითქოს ბეხეხერმა განგებ, თანახმად ეგრედ წოდებულ—სოციალურ დაკვეთისა, შეაქნა ბავშვი ერთ ქვრივ დედაკაცს ახლობელ სოფლიდან, როცა საკუთარ სახლში ფოტინესთან ამ მხრივ

იხ. ჟურ. „მნათობი“ № 1.

ვერავითარ წამატებას ვერ ელირსაო. და აი, ახლა ბეხეხერსაც ჰყავს ოჯახში ერთი გასათხოვარი ქალი, სახელად – ქიფო.

თითქმის უკვე ოცი წლის ქალია ქიფო. განსაკუთრებულ შესახედაობასა და სილამაზეს ვერ დაიჩემებს იგი, მაგრამ ოჯახობასა და მეუყაითობაში კი არ ჩამოუვარდება არც ბეხეხერსა და არც იმის ცოლს – ფოტინეს, რომელსაც ქიფო, რა თქმა უნდა, თავის კანონიერ დედათა სთვლის.

ფოტინესაც სწორეთ ამიტომ შვილსავით უყვარს ქიფო და მას იგი სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებს.

სხვა დრო რომ იყვეს, იმ ქონებით, რომელიც ცოლ-ქმარ ბეხრეკიძეებს მოეპოებათ, ერთ საუკეთესო ვაჟკაცს მიათხოვებდენ თავიანთ ქიფოს, თუ საჭირო იქნებოდა, აზნაურსაც იმავ დროს. მაგრამ დღეს კაი ვაჟკაცი სოფელში აღარ იცდის, ყველა ქალაქს აშურებს. ბეხეხერსა და ფოტინეს კი სიძის ოჯახში ჩამოყვანა აქვთ აზრათ, ზედსიძედ. ოჯახიდან ისინი ქალს გარედ არ გაათხოვებენ.

არც თუ ახალ წესებს თანაუგრძნობენ მოხუცნი. ღმერთი სწამთ, წირვა-ლოცვას ჯერ კიდევ ეტანებიან და თავიანთ ქიფოსაც იმავე პირობებში აცხოვრებენ. მათი კანონების კოდექსი ტრადიციითა და ზნეჩვეულებით განისაზღვრება. რევოლიუციამ ძველი ყოფისგან ქვა-ქვაზეც კი არ დასტოვა, მაგრამ ხელმომთბარ ბეხეხერის ოჯახს მან ჯერ ვერც კი შეატანა შიგ, ასე ვსთქვათ, ნაჭუჭზე ნისკარტიც კი ვერ დაჰკრა...

ბექანას ქიფო, კაი ხანია, თვალში მოსდიოდა. ჯერ კიდევ მისი რევკომის თავმჯდომარეთ ყოფნის დროს, როცა ბექანას ხშირად უხდებოდა ბეხრეკიძეების ოჯახთან დამოკიდებულების დაჭერა, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა საზარალოდ, ხოლო სოფლის სასარგებლოთ, ჯერ კიდევ იმ ხანებში არა ერთხელ შეუსწრია მას თვალი მუდამ საქმით დატვირთულ, განუწყვეტლივ მოფუსფუსე, სანდომიანი შესახედაობის ქიფოსათვის.

არის ადამიანში რაღაც საიდუმლო ძალა, რომელიც უსიტყვოდ, უენოდ მეტყველია პირველისავე შეხვედრიდან.

ბექანასაც სწორედ ასე მოუვიდა ქიფოს პირველივე ნახვაზე. ამ მუდამ საქმით დატვირთულ, მოუქნელ და ხეპრე კაცს, რომელსაც ცეცხლის გზნებასავით სწყუროდა თანაგრძნობიანი ალერსი მოწინააღმდეგე სქესისა, რაღაც იმ წუთიდანვე გულში შეუფრინდა ახალგაზრდა ქალი.

იყო კიდევ გარემოება, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენიმედ ნიადაგსაც უმზადებდა ამ შეხვედრას, ამ შეხვედრის შედეგს.

ფირანა, რევკომის უახლოესი მსახური და იმ თავიდანვე დღემდი თემის მილიციელი, ბეხრეკიძიდან ცხენით თუ სხვა რამ ბეგარით ხელ-დამშვენებულად დაბრუნებული, თავისი „თავმჯდომარის“ გულის მოსაგებად ხშირად იტყოდა ხოლმე:

„ძალიან კი შეხტა და შეკუნტრუშდა აი ჩვენი „კულაკი“, მარა ჩემთან რა გაუვიდოდა?!. მოიცადოს ცოტა. სადაც არის, მგონია, მომიწევს იმ „ჩაბუსკვნული“ გოგოსთვის ხელის შევლებაც-“ო, დაატანდა ფირანა ქიფოს შესახებ,

ულვაშებში ჩაცინებით. ფირანას მართლაც სწამდა მაშინ, რომ „საქმე“ აქამდისაც მივიდოდა, მდიდრების შევიწროება თუ კი თანდათან იმატებდა.

და აი, როცა ერთხელ ბექანასაც მოუწია ამ „ჩაბუსკუნული“ ქიფოსთვის თვალის შევლება, როცა ერთხელ მოთმინებიდან გამოსული ბეხეხერი იმდენად გაუძალიანდა ფირანასთვის ცხენის დათმობას, რომ საჭირო შეიქნა თვით რევკომის თავმჯდომარის ბეხეხერის ჰიშკართან მისვლა, ბექანამ თვალი მოჰკრა ქიფოს და ქიფოც მას გულში შეუფრინდა...

ამ გრძნობის გამომჟღავნებაში ბექანას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ქიფო იყო მდიდარი ოჯახის შვილი, ყოფილი აზნაურიც იმავე დროს.

სასაცილო და მისი მდგომარეობისთვის საზიანოც იქნებოდა, რომ ბექანას, რევოლიუციის ჯარისკაცს და რევკომის თავმჯდომარეს, რომელიც დღეს არა ხვალ წინ წაწევას და „მაზრაში“ თავის ამოყოფას მოელის, უცბათ ყოფილი აზნაურის ქალი შეერთო ცოლად.

ამიტომ ბექანა თავს იკავებდა, გულის თქმას არ ჰყვებოდა, თუმცა იყო ნიშნები, რომ საცაა ამ მიმართულებითაც უნდა გახსნოდათ მას და მისთანებს გზა. იყო ეგრეთ წოდებული „ნეპმანური გადაგვარების“ ნიშნები.

— არა, ჯერ სხვებმა „გასტეხონ ფონი“... ამბობდა თავის გულში ბექანა.

მალე „ფონიც გასტეხეს“!..

ბექანა კი მაინც თავს იჭერდა... მხოლოთ უკლო ბეხრეკიძის ოჯახს დაბეგვრა და იშვიათი ასეთი აქტის დროსაც ფირანას აღარ აგზავნიდა მარტოს: ან თითონ მისდევდა, ანდა მარტოდ-მარტო მისდგებოდა ბეხეხერის ჰისკართან და გადასძახებდა სახლის პატრონს, რაც უნდოდა.

ოჯახის სიმტკიცისა და პატიოსნების მცველი ბეხეხერი სიტყვის შეუბრუნებლად უსრულებდა ყველაფერს „ღვთის რისხვა“ სოფლის „დიქტატორს“. მოხუცს ეშინოდა ბექანაში მომხდარ გარდატეხისაც კი, იმ რბილი და თავაზიანი მოპყრობისა მისდამი, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ბექანა იჩენდა ბეხეხერის მიმართ.

— თვალებს რომ შტრინგავს, რაღაც გლახათ აკვირდება ჩემს ეზოსო, ამბობდა მოხუცი ბეხეხერი და ფრთხილობდა; ბექანას ეს უკანასკნელი ქცევა კიდევ უფრო აფიქრებდა და საგონებელში აგდებდა. ამ შემთხვევაში ქიფო, ბექანას ამ ქცევის ნამდვილი მიზეზი, ვის ენაღვლებოდა! ბეხეხერის შიშს ფართო ეზო და ჯერ კიდევ მდიდარი ქონება იწვევდა. არ იყო ამ მხრივ კომუნისტების რეპუტაცია მაინცა და მაინც სახარბიელო ბეხრეკიძეებისათვის. თორემ ბექანას რომ ქიფოს ხელი ეთხოვა, ვინ იცის, მოხუცებულები იქნება არც გაძალიანებულიყვენ დიდათ. ბეხეხერი კრინტსაც არ დასძრავდა, ყოველ შემთხვევაში, თუ არჩევანი ქონებასა და ქიფოს შესახებ დადგებოდა, ბეხეხერი ქონებას დაიცავდა, ხოლო ამის სანაცვლო ქიფო კი თუნდაც ეშმაკსაც ეზიდნა...

ცოტა ხანი რომ კიდევ დასცლოდა, „მაზრაში“ გადასვლისა და იქ ფეხის მომაგრების შესახებ ბექანას მოლოდინი რომ სავსებით გამართლებულიყო, მას აზრადაც ჰქონდა უკვე ბეხეხერის ქალის თხოვნა.

მაგრამ ყველაფერი ისე რიგზე არ წავიდა, როგორც ბექანას უნდოდა. მისი ბედის ჩარხი ამის შემდეგ გადატრიალდა სულ სხვა მიმართულებით. მისი სოფლად დაბრუნება იმ ტრიუმფალურ პირველ მოსვლას არ ჰგავდა, ბექანა რომ რევკომის თავმჯდომარედ მოევლინა თემს. ახლა კიდეც ერცხვინებოდა ბექანას თავისი ხვედრისა. ქიფოს ცოლად შერთვის სანუკვარს ოცნებას იგი ახლა კიდევ მეტად იყო დაშორებული, ვიდრე უწინ, თავისი დიდების მწვერვალზე მყოფი.

თუმცა ახლა მას უკვე უფრო ჰქონდა ხელ-ფეხი გახსნილი ბეხრეკიძეებთან დასიძებისაკენ, სამაგიეროდ, ახლა მას აკლდა სწორედ ის, რაც მაშინ ხელს უკრავდა, აკლდა ძველი დიდება, სახელი და გავლენა.

მაგრამ ბექანა აგრე ადვილად არ დაუთმობს ბედს თავის ასე გაბახებას.

— დამაცადონ!.. დამაცადონ!.. მე მაგათ ვაჩვენებ... ემუქრებოდა ბექანა ვიღაცას რაღაცაზედ სწორედ ისე, როგორც ბეხეხერის შეხვედრის წინ ემუქრებოდა ამ საღამოს ვიღაცას სოფლის ორღობეში. ხმა-მაღლა ეს მუქარა მჟღავნდებოდა მხოლოთ მისი სიმთვრალის დროს, და ისიც რაიმე საბაბის მიხედვით.

დღესაც, „დუქნების“ წინ რომ ჩაიარა და თვალი შეასწრო საჯლანეს წინ „დაყრილ“ ხალხს, რომელიც მას ირონიული ღრეცით მიაცილებდა, ბექანას ბრაზი მოერია, რადგან იგრძნო ორმაგი შეურაცხყოფა; შეურაცხყოფა იმ ხალხიდან, რომელიც, ამ რამდენიმე ხნის წინ, თავს მისი „ხელის შემხედვარედ“ სთვლიდა, მისგან გამოელოდა რაიმე სიკეთეს და დახმარებას, ხოლო ახლა კი...

— დამაცადონ მე მაგათ... დამაცადონ... მოკვდეს ბექანა, თუ თავისი ვერ გაიტანოს!..

სწორეთ ასეთ პირობებში შეეხეჩა მას წინ სახლში მომავალი ბეხეხერი და ბექანაც მოტყდა, მოლბა — მან წინააღმდეგობაც ველარ გაუწია ბეხეხერის დაჟინებულ თხოვნასა და პატიჟს და მორჩილებით ნოიხარა ქედი ამ თავისი ადრინდელი მტრის წინაშე. აზრმა ქიფოს შესახებ, რომელმაც ამ წუთს განსაკუთრებული მტკივნეული სიმწვავით გაუელვა ბექანას გულში, სულ დაატყვევა ის. მან წინააღმდეგობის გაწევაც კი არ სცადა ბეხეხერის დაჟინებული მიპატიჟებისათვის თავის სახლში. ამ წუთს არც სტუმარი და არც მასპინძელი არ სთხოვდა და არც აძლევდა თავის ქცევას ანგარიშს. ეს ხდებოდა რაღაც ისე, ბუნებრივად. ამ ბუნებრივობას თუმცა ყოველთვის სოფლის ცხოვრების ტრადიცია და თავისებურობა იწვევს და ქმნის, მაგრამ იგი მაინც რაღაც შეუგრძნობ-შეუცნობლობისა და სტიქიურობის ხასიათს ატარებს ხოლმე, რაღაც მისტიურობით მოცული ეგონება გარეშე მაყურებელს. ოდესმე ძლიერი და ტლანქი ბექანა, ახლა კრავივით დამორჩილდა სუსტსა და დაბალ ლობესავით საჯექნ ბეხეხერს. როლები შეიცვალა: როგორც მასპინძელი, ბეხეხერი ძლიერი აღმოჩნდა, როგორც მიპატიჟებული სტუმარი ბექანა — სუსტი.

და ეს უკანასკნელიც აედევნა უკან პირველს, როგორც აედევნება ხოლმე წყალდიდობის დროს მდინარის ქეჩოზე ატივტივებულ ხის უზარმაზარ კუნძს პატარა და უმნიშვნელო ნაფოტი.

* * *

სუფრას შემოუსხდენ ოთხნი: ბექანა, როგორც სტუმარ-მასპინძელი და იმისი ცოლშვილი: ფოტინე და ქიფო.

ბიბლიოთეკა

ჯერ თითო ჭიქა არც კი დაელოცნათ, რომ კარებს მოადგა ფოტინეს ახლო ნათესავი, მარკოზა.

— ემატოს!..

წამოიძახა, ამის გამო, თითქოს რაღაც განსაკუთრებულ სიამოვნების გრძნობა-მორეულმა ბეხეხერმა და მოსული სუფრისაკენ მოიწვია.

სუფრა გახმიანდა და გამხიარულდა.

ბექანას დღიური ნამთვრალეობა უკვე საკმაოდ გამოენელებინა და ახლა ქიფოს სიახლოვის გავლენის ქვეშ იგი ამ ვახშამსაც და ღვინოსაც განსაკუთრებული მადით ეტანებოდა. მით უფრო, რომ ყველაფერში სჩანდა დახელოვნებული დიასახლისისა და მასპინძლის ხელი.

მარკოზასაც თან შემოჰყვა სიჯანსაღე, ხალისი და უსაზღვრო მადა. ფოტინესა და ბეხეხერის ოჯახში მარკოზა, ასე ვსთქვათ, თითქმის სავსებით შინაური იყო და, რომ ქიფო არა, ბეხეხერის მთელი ქონების ერთად ერთი მემკვიდრე მარკოზა იქნებოდა, რომელიც პატარაობიდანვე ბეხეხერის კარზე იზრდებოდა. რვა წლისა იყო მარკოზა, როცა ამ ქვეყანაზე გაჩნდა ქიფო, როგორც მისი მეტოქე.

მაშინ მარკოზამ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა. ქიფო უყვარდა კიდეც, როგორც ბავშვს-ბავშვი და ახლო ნათესავი.

ფოტინეს კი სრულიადაც არ ავიწყდებოდა მარკოზა, როგორც თავისი სისხლი და ხორცი, და უნდოდა ქიფოსა და ვაჟის შესაფერი კომბინაციით, მარკოზა, ასე ვსთქვათ, ისევ აღედგინა თავის შემთხვევით შერყეულს უფლებაში.

მაგრამ არ მოსწონდა ბეხეხერს ცოლის ასეთი მიკერძოება თავისიანისადმი, თუმცა მარკოზა არც მას სძულდა და შეძლებისამებრ კიდეც ეხმარებოდა, რითაც იყო.

არც ქიფოს მოსწონდა მარკოზა, რომელსაც, რომ გაებედნა და თავისი მეუღლეობა შეეთავაზებინა, უეჭველად უარს ეტყოდა. ისე კი ახლობლობასა და ნაცნობ-მეგობრობას მასთან არ სწყვეტდა.. როგორც ფოტინეს ასულს, მას მარკოზა თავის ნათესავადაც მიაჩნდა და რაიმე სხვა გრძნობას მისდამი გულში ერთის წამითაც ვერ დაუშვებდა, მიუხედავათ ათასგვარი საბაბის მიცემისა ამ უკანასკნელისაგან, თუ თავისი დედისგან.

ქიფოს აოცებდა ხანდახან დედის თავისუფალი აზრი ნათესაობის შესახებ, როცა ფოტინეს სარწმუნოებრივი თუ სხვა ზნეობრივი სიმტკიცე, თითქმის მთელ სოფელში სამაგალითოდ მიჩნეული, მას ამის ნებას სრულიადაც არ აძლევდა.

საიდუმლოება, რომელიც ქალ-ვაჟის გასაგონათ ნათესავური დამოკიდებულების შესახებ ასეთ თავისუფალ აზრს გამოათქმევინებდა მორწმუნესა და ზნეობის სამაგალითოდ დამცველ ფოტინეს, ქიფოსთვის ჯერ-ჯერობით სრულიად გამოუცნობი და გაუგებარი რამ იყო.

თუმცა მარკოზას კაი ხანია გულ-ბოყვში ჰქონდა გამჯდარი ქიფოს სიყვარული, მაგრამ ამის გამომჟღავნებას ის, ზევით აღნიშნული მიზეზის გამო, ძალიან ერიდებოდა; ეშინოდა, თავი არ მოეჭრას, სახელი არ გაუტყდეს, ნათესაობის მკრეხელობა არ მიეკიჟინონო.

იმის გამომჟღავნება, რომ მარკოზას ქიფო უყვარდა, ასატანად ძნელი იქნებოდა ახალგაზრდა ქალისათვის. ამას მშვენივრად გრძნობდა ფოტინე და ამიტომ ოდესმე ამის გამოაშკარავებით მოსალოდნელ მძიმე შთაბეჭდილების წინ-წინ შესანელებლად და ქიფოს მარკოზასთან შეუღლების მოსალოდნელი ფაქტისათვის, ასე ვსთქვათ, შესაჩვევათ, დრო და დრო განზრახ გამოსთქვამდა ხოლმე ნათესაობის შესახებ, ზევით ჩვენ მიერ აღნიშნულ თავისუფალ აზრებს, რომელთაც იგი სხვა შემთხვევაში არა თუ თავის თავს, სხვასაც კი არ აპატიებდა.

ახლა კი, როცა მან ბეჟანაში აშკარად შეამჩნია ქიფოსადმი განსაკუთრებული ყურადღება, ხოლო ახალგაზრდა ქალში ვაჟის სასარგებლო ერთნაირი თანაგრძნობის მაგვარი ტოკვა, ფოტინემ გამბედაობას უმატა, ქიფოს ყურადღებას ნაძალადევათ სულ მარკოზასკენ ერეკებოდა და ნიშნებითა და გადაკრულებით აგრძნობინებდა ბეჟანას, რომ ქიფოზე ყოველი მისი ფიქრი და ზრახვა უიმედოა, რომ ქიფო სხვას ეკუთვნის და ეს სხვა კი მარკოზაა.

ბეხეხერს არ მოსწონდა ცოლის ასეთი ქცევა და მას გადაწყვეტილი ჰქონდა, არას დიდებით არ დაეთმო თავისი დედაკაცისათვის ასეთი მისი დაჯაბნების განზრახვა.

ჯიუტი რამ იყო მოხუცი ბეხეხერი. მან არ იცოდა ვისიმე წინაშე დათმობა.

მართალია, ცოლი უყვარდა, მაგრამ თავის-თავს, თავის, ზოგჯერ ყოვლად გაუმართლებელ დაჩემებასაც კი უფრო მეტად აფასებდა, ვიდრე ცოლს, ან სხვა ვისმე.

ბეხეხერის ასეთმა ხასიათმაც დიდათ შეუწყო ხელი ფოტინეში ოსტატურ სარისტიანობისა და მოქნილ ხერხების თავის ჩენას, მათ კიდევ უფრო გაბასვრას და ქალური გრძნებით გაპიროფხიანებას. მართალია, ხანში შესულობასთან ერთად, ეს ცეცხლიც თანდათან ნელდებოდა მასში, მაგრამ ამისგან ნარჩენი ღველფიც კი საკმაო იყო ერთი და ორი ადამიანის დასაწვავ-დასანელებლად, თუ მდგომარეობა მის ქალურს თავმოყვარეობას რითიმე დამუქრებას დაუწყებდა. ის ფხიზლად ატანდა თვალს ყველას, თუმცა გარეგნულად ამას არ იმჩნევდა და გახალისებულს ბეხეხერს ახლა, სხვების დასანახავად, თავზე თაფლად აღნებოდა: თითონაც წამდა-უწუმ მოჰქონდა სუფრაზე სხვადასხვა სასმელ-საჭმელი, თუ ხმელი ხილი, რითაც საერთო აღტაცებას იწვევდა, და ამავე საქმეში ქიფოსაც საკმაოდ ითანაზიარებდა.

მასპინძლების ასეთი ქცევით სტუმრებიც გათამამდენ და გახალისდენ. განსაკუთრებით ბეჟანა იყო მოხიბლული ჯერ ბეხრეკიძეების ოჯახში მისი ასეთი მიღებით და მერე ქიფოს ახლა უკვე რაღაც განსაკუთრებული ძალით მსჭვალავი გარეგნობით, თუ თბილი ჰვრეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტინეს ტუჩების გრეხას, ცივ გადახედვებს და გადაჭრილ სიტყვებს გულზე ეშხის ცეცხლ-მოდებული ვაჟი აინუნშიაც კი არ იკარებდა. ის იმდენად გალაღებული იყო ამ დროს, რომ არავითარი საზღვარი და მოკრძალება მისთვის უკვე აღარ არსებობდა.

ყოველივე ამას ფოტინე თავის გულში ბექანას სითავხედით ხსნიდა.

ბექანა მას სძულდა, მუდმივი, შეურიგებელი სიძულვილით. ახლა ეს სიძულვილი, კიდევ უფრო ორკეცდებოდა, რადგან ხედავდა, თუ როგორ ხედმეტად ილახებოდა მისი ქალური თავმოყვარეობა ბექანასთან ამ უშუალო ურთიერთობის დროს. და ყოველივე ეს ხდებოდა მის ოჯახში, სადაც მას, როგორც დიასახლისს, საშვალება წართმეული ჰქონდა მომაბეზრებელ ბექანას წინააღმდეგ რაიმე მკაცრი ზომების მიღებისა.

ფოტინეს არა ნაკლებ აღელვებდა ის გარემოება, რომ მარკოზა სრულიად ვერა გრძნობდა თავის გვერდით ამ საშიშ მეტოქეს. ის უკვე აყოლილი იყო საერთო ფეხის ხმას. ამ ხმაში კი ბექანას ვაჟკაცური და რიხიანი კილო პირველობდა. ის განსაკუთრებული გატაცებით მოუთხრობდა სუფრის გარშემო მსხდომთ თავის თავგადასავალს.

ეს თავგადასავალი მაყურებლებისათვის ბევრი ახალი და მეტად საინტერესო ცნობებით იყო სავსე.

იყო ისეთი მომენტი, როცა ბექანას ნალაპარაკევი ადამიანს ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა, როცა თვითონ მოლაპარაკეს, ამა თუ იმ საინტერესო ეპიზოდის გმირს სამოქალაქო ომიდან, რასაც ამ ჟამად ბექანას საუბარი შეეხებოდა, ერთი ათად ამაღლებდა მაყურებელთა თვალში.

ჟიფო იწოდა.

მის ატკერცილ ლოყებსა და ანთებულ თვალებს ამ ჟამად თვით თავხედი ბექანაც კი ველარ უსწორებდა თვალს.

ეს ამდენი გაჭირვებისა და გმირულ საქმის გარდამხედი კაცი, საბჭოთა რუსეთში გადახდილი ძნელი და მძიმე სამოქალაქო ომის ამჟამად აქ ერთად ერთი წარმომადგენელი, ახალგაზრდა ქალის ცოცხალი წარმოდგენით, მისი „კორიფეი", მისი „მომგები" და „გამმარჯვებელი", ახლა ამ სოფლელი ქალის წინაშე გაფასებულად და ყველა იარაღ-დაყრილად გრძნობდა თავს. იგი თანდათან რაღაც სიობლისა, უთვისტომობის და უმწეობის გრძნობით იმსჭვალებოდა და, რამდენადაც ღრმავდებოდა მასში ეს განწყობილება, იმდენად უფრო კდემამოსილი, სადა, ალალ-მართალი და დამაჯერებელი ხდებოდა იმისი საუბარი; იმდენადვე უფრო მაღლდებოდა თვითონ ის მაყურებელთა თვალში, თავისდა შეუმჩნევლად.

მიუხედავათ მისი სიტყვების ასეთი ნაზი სიფაფუკით მსჭვალაობისა, მის საუბარში მაინც მთელი სიცხადით გამოსჩანდა ბექანას კლასობრივი სიძულვილი მაძღარი და მდიდარი ხალხისადმი.

ამ ხალხის შევიწროებას სამოქალაქო ომში ბექანა განსაკუთრებული სიამის ჩენით მოუთხრობდა მაყურებელთ. მაგრამ ამ საერთო სისასტიკის ფონზე იგი იმავე დროს მოხდენილად შლიდა, ფანტავდა თავის თუ სხვის პირად სი-

რაინდის სურათებს. და მსმენელნიც უმტკივნეულოდ იტანდენ ამ საერთო ხისას-ტიკუზე მოხდენილი სიცხოველით შეფერადებულ ამბებს, სადაც ამა თუ იმ უმ-წეო ერთეულებისადმი გამოსარჩლებისა და მფარველობის სიმპატიური, რაინ-დული შემთხვევები თავის განსაკუთრებული მიმზიდველობით მაყურებელთა თვალში ჩრდილავდენ და თითქმის სრულიად ჰფარავდენ სამოქალაქო ომის სა-ერთო სურათის დანარჩენ, „უარყოფით“ მხარეებს. ქიფოს გულში კი შემდეგმა მისმა ნაამბობმა განსაკუთრებული სისპეტაკის შარავანდით შემოსა ბეჟანა, რომელზეც, როგორც რუსეთში „ნათრევ-ნახანხალ“ მამაკაცზე, სოფლის ქალები, ერთობ ცუდი წარმოდგენისა იყვნენ.

— ყაზანში ჩვენი რაზმი ერთი მდიდარი თათრის ოჯახში ჩააყენეს.

თათარს ჩვენთვისაც და თავისთვისაც საკმაო ბინა ჰქონდა, მაგრამ მაინც უნდა გენახათ ამ მრავალ-რიცხოვან ოჯახის ჩვენი იქ ჩაყენებით გამოწვეული შიში და მწუხარება. ყველას ისე ეგონა, თითქოს ჩვენ კაცი-ჭამიები შევიჭერით მათთან.

მე მომიწია დაბინავება თათრის ოთხი, ერთი-მეორის მომდევნო გასათხო-ვარი ქალის საძილო ოთახში.

გარეთ იანვრის საშინელი ყინვა იდგა.

თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ იქაურ ყინვებზე.

ოთახი შედარებით პატარა იყო.

მიუხედავათ იმისა, რომ, მგონი, უფრო ამ შემთხვევის გამო, ქალებთან მათი დედაც მოთავსდა იმ ღამეს, მაინც უნდა გენახათ ქალების სასოწარკვე-თილი სახეები, ამ უცხო მამაკაცის მათ საძილო ოთახში შეთავსების გამო.

მე უკვე გავშალე ლოგინი, ე. ი., ქვეშ—თივის საკმაოდ სქელი ნამჯა და ზედაც ჩემი შინელი და „პლაშჩი“, მაგრამ, ვხედავდი რა ახალგაზრდა ქალების მოუსვენრობას, თვითონაც მოუსვენრობას განვიცდიდი.

მიუხედავათ ჩემი სასტიკი დაღლილობისა, დიდხანს, როგორც ქალებს, ისე არც მე ძილი არ მოგვკარებია.

რა უნდა მექნა?

გარეთ ისეთი აუტანელი ყინვა უჭერდა...

და ჩვენც ხომ ამ ყინვამ გვაიძულა ამ ხალხის ასე შევიწროება.

მე მძულდა ეს სავსე ტიკებივით ჩამრგვალებული, წარმავალ კმაყოფილე-ბის გრძნობით დამჯავებული ხალხი, მაგრამ თან კიდევაც შემებრალა ისინი, როგორც ქალები.

შემებრალა თავზედ უფრო.

მჩხვლეტავმა აზრებმა წაიღო ჩემი გული და გონება.

მე ავდექი, კარი გამოვაღე და იქვე, ოთახის კარებთან, სახლის ტალანში გავიშალე ჩემი ტლანქი საწოლი.

მე ჯერ კარგათ არც კი ჩავმძრალიყავ ჩემი თივის ბულულში, რომ კარმა ოდნავ იჭრიალა და ჩემს თავზე ზედი-ზედ დაეცა ორი რაღაც მძიმე, მაგრამ თა-ნაც რბილი და ფაფუკი საგანი.

ხელის ცნობით მივხდი, რომ ეს იყო ლები და საბანი.

მე ორივე ერთავად თავზე წავიხურე და, მცირე ხნის შემდეგ, როცა ოთახიდან გამოისმა ხუთი ადამიანის უდარდელი ხვრინვა, მალე იმას, ალბათ, გემრიელ მოძახილად შეუერთდა ტალახიდან ჩემი ბოხი ღრუტუნი [illegible]

ყინვამ დიდხანს არ მომასვენა, საჭირო შეიქნა ლოგინის [illegible] და ლების ქვეშ წაგება, რადგან თივაში ყინვა ძალუმად ატანდა.

ასე ვიხლაკნებოდი დიდხანს თივის ბულულში, როცა ბოლოს, როგორც უკვე ვსთქვი, გავთბი და ღრმათ ჩამეძინა.

დილის ნალარამ იძულებული გამხადა ფეხზე წამოვმხტარიყავ.

ჩემს მასპინძლებზ მზად ჰქონდათ ჩემთვის ნაირ-ნაირი საჩუქრები: თუთუნი, ასანთი, საპონი, თეთრეული და, ასე გასინჯეთ, სხვადასხვა ტკბილეულიც კი.

ამის შემდევ, როცა ერთხელ, კოლჩაკელთა იერიშების გამო, უკან დავიხიეთ, კაზანში მე ისევ მომიხდა ჩემი ნაცნობი თათრის ოჯახში დაბინავება.

ჩემი დიასახლისები უკვე აღარ დამიხვდენ იქ. და მე იმ ერთ ღამეს, სიცივესთან და რაღაც სულიერ ობლობასთან ერთად, განსაკუთრებული სიმწვავით შემბოჭა რაღაც მშობლიურმა ფიქრმა მათზე: ნეტა, სად არიან ამ ჟამად ისინი? რა აწუხებთ? რა უჭირთ? რა ულხინთ?.. მაგრამ ვინ იყო ამ ჩემ მწუხარე კითხვებზე პასუხის გამცემი?..

ასეთია სამოქალაქო ომი. როგორც ულმობელი ნიაღვარი, იგი ყველაფერს სძრავს, შლის და აფორიაქებს თავისი მსვლელობის გზაზე...

ბეჟანამ ბევრი, ბევრი საგულისხმო და თანაც სავალალო ფერებით უხვად შეზავებული ამბები ჩამოათავა იმ ღამეს.

დალლილ მოსაუბრეს ხან-გამოშვებით სხვებიც სცვლიდენ.

რამდენიმე ამბავი თავისი მოწაფეობის ცხოვრებიდან მარკოზამაც სთქვა.

...ქალაქიდან მოვდიოდი. საგზაო ბილეთი მე ლიტერით მქონდა მიღებული.

რა ცუდია, როცა გრძნობ, რომ შენც იმდენი ხარჯი არ მიგიძღვის რაიმე უფლებით სარგებლობის მიღებაში, როგორც მეორეს. გრძნობ რაღაც თავის სიმცირეს ამ მეორესთან შედარებით...

ჩვენთან ვაგონში ჩამოჯდა ერთი ჩამრგვალებული ქერა ქუთათური. ვაგონში იმდენი რამე შემოალაგა, რომ ერთი კუთხე მარტო მასა და მის ბარგს მოუნდა.

— ებრაელი თუ იყო? ჩაურთო ბეჟანამ თავის მხრით.

მარკოზამ განაგრძო:

— ჯერ ბარგი გააწყო სკამზე და შემდეგ ზედ თვითონაც არხეინად მოიკალათა. ასე რომ ჩემთვის უბრალო დასაჯდომიც კი აღარ მორჩა. არც სხვაგან იყო თავისუფალი ადგილი, რომ მუხლები მაინც მომეკოდა.

რიონამდის სულ ფეხზე ვიდექი. ხან სადმე კედელზე თუ მივეყრდნობოდი, მივადებდი ვაგონის ცივს კედელს გახურებულს შუბლს ან ლოყას და ამით ვიფრთხობდი მოძალებულ ძილს...

მარკოზას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ბეჟანამ გააწყვეტინა:

— აი, დედასა, სად ვიყავი იმ დროს, რომ ერთი იმ ქუთათურისთვის წამეთავაზებინა და ერთიც შენთვის, ასე ტყემლის მარცვალივით რომ შეგირჩენია მისთვის შენი ამდენი გაწამება?!.

შე ოხერო, ჩემი ახლო მეზობელი მაინც არ იყვე. არა, რას ერიდებოდი იმ ქუთათურ ქერა ლორს, ა?..

ალბათ, ვინმე ჩაკურატებული ბურჟუა იქნებოდა. არიან ჯერჯერობით კიდევ ასეთები ჩვენში. ისინი ყოველთვის მოახერხებენ შენისთანა სათუთმათუთი ყმაწვილების შევიწროებას, მაგრამ, აბა, ერთი ჩემთან სცადონ ასეთები!..

ვერ მივართვი პატრიქანი,—

მე გახლავარ ეს ბექანი“-ო!..

ღიმილითა და ხუმრობით დაათავა ბექანამ, რომ მარკოზასთვის შეურაცხყოფის რაიმე საბაბი არ მიეცა თავისი, ცოტა არ იყვეს, ენამწვავე შენიშვნითა.

ამ შენიშვნამ ფოტინე გულში ერთხელ კიდევ ზედ-მეტად აღაშფოთა ბექანაზე; ქიფოს პირზე ღიმილი მოჰგვარა, ხოლო ბეხეხერ გულიანად ააროხროხა.

მოხუცმა, მოწონების ნიშნად, ბექანას ბეჭებზე ხელი დაჰკრა და დაცალიერებულ ჭიქაში ღვინო ხალისით ჩაუჩხრიალა.

ეხლა რომ ბექანას გაებედნა მისთვის ქიფოს ხელის თხოვნა, ბეხეხერი დიდის სიამოვნებით მიიღებდა ამ თხოვნას და კიდეც თანახმა გაუხდებოდა მას. მით უფრო, რომ ბეხეხერში, ნაწილობრივ ბექანას გულ-ახდილობისა, გარეგან ვაჟკაცურ შესახედაობისა, თუ სხვა თვისებათა ჩვენის ნიადაგზე, უკვე ხდებოდა ერთგვარი ბექანას სასარგებლო გარდატეხა. ბექანა თანდათან მაღლდებოდა ბეხეხერის თვალში. ამ ადრინდელ უხეშსა და უკმეხ „დიქტატორში“ მოხუც ბეხრეკიძის დაკვირვებული თვალი ამ ჟამად უკვე აშკარად ამჩნევდა ბრგე ვაჟკაცსა და ფოლადის ნებისყოფით აღჭურვილს მამაკაცს, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ლმობიერებაცა და ადამიანური, ლამაზი სინაზეც უხვად მოეპოვება თურმე.

აი, რით მოინადირა „ხეპრე“ ბექანამ თავისი ადრინდელი მოძულე კირკიტა მოხუც ბეხეხერის გული!

„გასტეხს ქვასაცა, მაგარსა, გოდემლი ტყვიისა ლბილისა“-ო,—ტყვილა კი არ არის ნათქვამი პოეტის მიერ.

ქიფოს ბედი უმთავრესად ბეხეხერის თანხმობისაგან იყო დამოკიდებული. ამგვარი გახლდათ ამ ოჯახის შინაგანი განწყობილება, შინაგანი ტრადიცია სოფლურ ტრადიციულობის ფონზე.

ფოტინეს გამჭრიახ თვალს, რა თქმა უნდა, არც ბეხეხერის მნიშვნელობა ეპარებოდა მხედველობიდან, მაგრამ მას თავისი წონაც კარგათ ესმოდა იმავე დროს და ამას ხომ იგი სასწორზე ბეხეხერისთვის ხელსაყრელ მხარეს არ დასდებდა.

სუფრაზე კი ორი ფალავანი ერთმანეთს ღონეს უსინჯავდა.

ორი მოქიშპე ერთმანეთს ჯერ-ჯერობით სიტყვებითა და ჟესტებით ეკინწლავებოდენ; ეჯიბრებოდენ კიდევ ერთმანეთს ბეხეხერის ცეცხლივით ღვინითა. ეს იყო ამ ხანად ის საერთო იარაღი, რომელსაც ორივე მოწინააღმდეგე, ბე-

ქანა და მარკოზა, მიმართავდენ თავის მხრით მეორის განსანადგურებლად და თავისი თავის ასამაღლებლად დანარჩენი სამის თვალში, უფრო-კი — მესამისა.

და ეს მესამე იყო ქიფო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ქიდილმა შუაღამემდე გასტანა. მაყურებლები გაიტაცა „სპორტმა". მასპინძლებს გადაავიწყდათ თავიანთი სიკრიქანგე.

ბეხხერი რომ ამ საერთო გახალისებამ „შეიწირა" და სიმთვრალისა და მოძალებული ძილის წინაშე თავის ქინდვრას მოჰყვა, შემდეგ ღვინოს ფოტინე და ქიფო ეზიდებოდენ მარნიდან.

მარკოზა პირველი მოსქდა. ღვინო იუარა და, ჰაერზე გასვლის მომიზეზებით, სუფრიდან გაიპარა.

მოწინააღმდეგის დაბრუნებაზე იმედ-გაცრუებული ბექანაც წამოდგა, მასპინძლებს უზომო პატივისცემისთვის მადლობა გადაუხადა, ქიფოზე თვალების ვნებიანი ნთებითა და კარებში მილეწ-მოლეწებით, გარეთ ძლივს გამოეტია და ბორიალ-ბორიალით შთაინთქა ღამის სიბნელეში.

მეორე დილით დანით მკერდ-გაფატრული მარკოზა იმ ორღობეში იპოვნეს, სადაც ბექანას უნდა გამოევლო.

ბექანა შეიპყრეს.

სასამართლოში მას ეჭვისა და ჯიბრის ნიადაგზე წინასწარ განზრახვით მარკოზას საზიზღარი მკვლელობის ბრალდება წამოუყენეს, მაგრამ, აშკარა დამამტკიცებელი საბუთის უქონლობისა გამო, ამ საქმეზე მოხდილი წინასწარი დაპატიმრება აკმარეს და სახლისაკენ გამოისტუმრეს...

ამ შემთხვევამ და ციხეში გატარებულმა რამდენიმე დღემ უკვე საკმაო გარდატეხა მოახდინეს ბექანაში. მასში ისევ იჩინა თავი რევოლიუციონერის დროებით და შემთხვევით მიყუჩებულმა თავმოყვარეობამ. რითიმე უნდა გამოესწორებინა ბექანას ეს. დაშორებულ ამხანაგებს და საქმეს, რომელსაც იმდენი მსხვერპლი შესწირა მან ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, იგი ისევ უნდა დაჰბრუნებოდა, ან უნდა დაღუპულიყო საუკუნოთ. ბექანას წინ აღიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევანი!..

* * *

ვინ მოჰკლა მარკოზა?

ეს კითხვა ბევრს აოცებდა, მაგრამ ყველაზე მეტად იგი ისევ ბექანას უკვირდა და აღშფოთებდა.

მართალია, კაცის სისხლი ბევრი ედო ბექანას, მაგრამ ეს მომხდარა აშკარა ბრძოლასა, თუ სამოქალაქო ომში. ასეთ სამარცხვინო საქმესთან კი, როგორიც იყო მარკოზას მკვლელობა და ისიც ღამით, ჩუმათ, ქურდულათ, ბექანას არაფერი საერთო არ ჰქონია. მიუხედავათ თავისი ზოგი სუსტი მხარისა, ბექანა თავს მაინც რაინდათ სთვლიდა და თავის დამამცირებელ საქმეს განზრახ არასდროს არ ჩაიდენდა.

რაღაც არც ბეხეხერს მოსდიოდა ჭკუაში, რომ ეს მკვლელობა ბექანას საქმე ყოფილიყვეს, ხოლო, როცა სასამართლოს შემდეგ მას შემთხვევით გზაში ბექანა შეეფეთა და გულწრფელად შესჩივლა ამ საქმეში თავისი სრული უდანაშაულობა, ბეხეხერს უკვე ყოველივე ეჭვი გაეფანტა ბექანას შესახებ.

მაშ, ვისი ხელია აქ გასვრილი და რა მიზნით?

ბეხეხერი და ფოტინე დიდხანს მსჯელობდენ ამაზე. ფოტინე არ უთმობდა და თუთიყუშივით სულ ერთსა და იმასვე გაიძახოდა. მისთვის უდაო იყო, რომ მკვლელობაში ბექანას მეტი, ხელს არავინ გაისვრიდა.

— „კომუნისტობაში რომ კუდი მოაწყდა, ახლა ჩვენი სახლ-კარის დაპატრონება განიზრახა“-ო, გადაჭრით ადებდა ხელს ბექანას და თანაც ამით მარკოზას შესახებ თავის გულში შედგენილს ზრახვებს ამჟღავნებდა.

— „რა ვუყოთ მერე, რომ სუდში ვერ დაუმტკიცეს? ახლანდელი სამართალიც ისეთია, როგორიც ბექანა და ბექანასთანეები ბრძანდებიან, ქვეყანა რომ ასვარეს“-ო.

უმატებდა ავტორიტეტული სიმტკიცით ძველ შეხედულებებზე მტკიცედ მდგომი მოხუცი დედაკაცი და ბურთს სჩრიდა პირში ბეხეხერს, რომელიც მზად იყო, მისი რწმენით, მტრედივით მართალ ბექანასთან ძველი, შემთხვევით დამყარებული, მაგრამ შემთხვევითვე შეწყვეტილი ურთი-ერთობა ისევ აღედგინა.

ქიფო გულდასმით ადევნებდა ყოველივე ამას თვალ-ყურს და რაღაც შინაგანი დაჯერებით მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ბექანა აქ არაფერ შუაში იყო. იგი მსხვერპლი შეიქნა იჭვისა და ფოტინეს ბოროტი ჟინის, რომელსაც ყველაზე მეტი დამსახურება მიუძღოდა ბექანასთვის დანაშაულის თავზე მოხვევის ცდაში.

ბექანა თანდათან თავისუფლდებოდა შავი ლაქებისაგან და ახალგაზრდა ქალის თვალში იგი დღითი დღე უფრო მაღლდებოდა და სპეტაკდებოდა. მართალია, არც მარკოზაში იყო რაიმე ცუდი და იმდენათ უარყოფითი, რომ. იგი ღირსი ყოფილიყვეს ღამით ჩუმათ ვერაგული თავდასხმის და ისე საცოდავათ სიცოცხლეს გამოსალმებისა, მაგრამ ქიფოს დამორჩილების განზრახვით მოქმედ და მოლაპარაკე ფოტინესათვის თითქმის მუდამ მხარის დაჭერაში კი მარკოზა უეჭვოთ არა სიმპატიურ მიდრეკილებას იჩენდა.

ეს გარემოება რამდენიმეთ ანელებდა ყმაწვილ ქალში მარკოზას დაღუპვით ოჯახში გამოწვეულ საერთო წუხილს და აღშფოთებას, ხოლო ის აზრი კი, რომ ბექანა უთუოდ სრულიად უდანაშაულოთ დაისაჯა ამ საქმეზე, ამ უკანასკნელისადმი თანაგრძნობას ერთი ორად კიდევ უფრო ზრდიდა ქალის გულში და ეს თანაგრძნობა იქ გადადიოდა რაღაც სხვა, უფრო გამოუთქმელ გულის ტკივილად.

ძველ საშუალო საუკუნოების მხევალივით ოჯახში ჩეკეტილი ქიფო მოწყურებული იყო მასავით ახალგაზრდა ადამიანთა საზოგადოებას, განსაკუთრებით მოპირდაპირე სქესის წარმომადგენელთან დაახლოებას და ფოტინეს მიერ ახალგაზრდა ქალისთვის განზრახ შექმნილს ასეთ მდგომარეობაში სცენაზე მარტო ერთად ერთმა მარკოზას დაჟინებულმა გამოჩენამ, მისმა, ასე ვსთქვათ,

უმეტოქეო უპირატესობამ, სწორეთ იმის წინაალმდეგს მიაღწიეს, რაც ფოტინეს ასე გულით სურდა.

ეროვნული

ბეჟანა ამ შემთხვევაში მეორე იყო, თანაც ისეთი, რომელსაც უმალავდენ ბეხეხერის ოჯახში მის ამ შემთხვევით ერთად ერთი გამოჩენის განმეორებას. ჟიფოს თვალში ბეჟანა იყო ის აკრძალული ხილი, რომელიც იმდენათვე გემრიელი და მიმზიდველია, რამდენათ იშვიათი და მიუღწეველი.

არც თუ გარეგნობით იყო ბეჟანა დასაწუნარი. მარკოზასთანა ორი გამოიჭრებოდა მისგან, ამასთან სახითაც მიმზიდველი, იმ ასაკში მყოფი და იმ ცეცხლით აღსავსე, რომელიც ქალებს ასე გაგიჟებით მოსწონთ მამაკაცებში.

„ცეცხლივით ვაჟკაცია“-ო, იტყოდა ხოლმე ხშირად ბეხეხერიც ბეჟანაზე ფოტინეს გასაღიზიანებლათ და ამ თქმას, თავის მხრით, ჩუმად კვერს უკრავდა ამ „რკინის კაცის“ ხშირი ჭვრეტის ძლიერი ნდომით აძგერებული ჟიფოს გული.

ახალგაზრდა ქალისთვის, გულში რაღაც ინსტიქტიური გრძნობით აღძრული დაჯერებით, უეჭვო იყო რომ ბეჟანასაც, თავის მხრით, ალბათ, ჟიფოსთან ხშირი ყოფნა უნდოდა. ბეხეხერთან ხშირი შეხვედრებიც, რომელთა შესახებაც ეს უკანასკნელი თითქმის ყოველთვის მოსწრებულად გადუკრავდა ხოლმე სიტყვას თავის ცოლს, სწორედ იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ბეჟანა ძლიერ იყო მოწყურებული ბეხეხერის ოჯახში სტუმრად მოსვლის განმეორების და ეს სურვილი კი სავსებით ჟიფოს მიერ იყო, აღძრული მასში. ჟიფოსაც არა ერთხელ მოუკრავს თვალი ბეჟანასთვის, რომელიც ბეხეხერის ეზოს გვერდით მიმავალ შუკაში რამდენიმე ადგილას შეჩერებულა და გაფაციცებით დაუწყია მზერა ბეხეხერის ეზოსაკენ.

ვის ან რას ეძებდა ბეჟანა აქ?

ცხადია—ჟიფოს.

მაგრამ თვითონ ჟიფოს, რომელსაც თავის მხრითაც ძალიან უნდოდა ბეჟანასთან შეხვედრა, მისი სიტყვის მოსმენა და ყურადღების თავისკენ მიპყრობა, რაღაც გამოუთქმელი შიშითა და რყევით ერცხვინებოდა მოყურადის წინაშე თავის გამოჩენისა და იგი განგებ ისეთ საფარს მიმართავდა ამ შემთხვევებში, საიდანაც თვითონ გარკვევით ხედავდა გზაში შემდგარ ვაჟს, სივრცის ამაოდ მზვერავი ბეჟანა კი საფარში მყოფ ქალს ვერ ამჩნევდა. ეტყობოდა, რომ ვაჟკაცი იწოდა თავის გულში, რასაც იქ, შუკაში დგომის დროს, იგი სხვათაშორის ერთ ადგილზე წრიალითა და მოუსვენრობითაც აშკარად ამჟღავნებდა.

ბეჟანას მართლაც უყვარდა ჟიფო. და რამდენადაც მოწყვეტილი იყო იგი ამ თავის სატრფიალო საგანს, რამდენადაც შეუძლებელი ხდებოდა, ფოტინეს გამოისობით, მისი ბეხეხერის ოჯახში მისვლა და ქალის იქ ნახვა, იმდენათ უფრო ძლიერდებოდა მასში ჟიფოსადმი ერთხელ აღძრული გრძნობა და გულისთქმა.

*
* *

წელს ვნების კვირაში გოგია ხარაზის საჯლანეს განსაკუთრებული სიცოცხლე დაეტყო.

სოფელმა უხვად გაზიდა მისგან წითელი საპირეებიანი თუ შავსა და იისფერ საპირეებზე ფერად ქუბა-მოყოლებული ჩუსტები ბავშვებისა და ქალებისათვის.

— „დაეწვა და დაცვივდა გოგია ხარაზს მისი სამზერი თვალები, რავარც აგი წულები დამწვარი ტყავისაგან კი შეუკერავს თავისი მუნიანი ხელებით იმ მუნიანსა და ზლმურტლიანსო“..

გაკაპასებით გაჰკიოდა ერთ დილას თავის ეზოში კესარია ,,ალენჯა‘‘ რომელსაც ცალი ჩუსტი ხელში ეჭირა და ზედ რაღაცას სინჯავდა, ხოლო მეორე ცალი კი ფეხზე ეცვა და ასე სახლის წინ სამფეხა სკამიდან წამომდგარი იხედებოდა: ხან—გზისკენ, ხან—წულებისაკენ, ხან კიდევ—გოგია ხარაზის საჯლანესაკენ.

წყევლით და კაპასით რომ გული იჯერა, ,,ალენჯა‘‘ მოწყვეტით ისევ სკამზე დაეშვა, აქ მან მეორე ჩუსტიც წაიძარცვა ფეხიდან, ნამეტანი ხმარისაგან ძირ-გადაგლესილი, ოჩაფეხებზე შედგა, რის გამო, ისედაც უზომოთ მაღალი კესარია სიკვდილის ჩონჩხივით აწიოკებული და საშიშარ მოჩვენებასავით ახმახი გამოჩნდა ახლა, როცა სკამიდან ხელმეორედ წამოდგა, და ლაჯების გამალებული ქნევით თავს წამოადგა ნაგავში ჩამძვრალ, ჭიასავით ჯღანების გროვაში ჩაფლულს გოგია ხარაზს.

ხვალზევით აღდგომაა და გოგია სცდილობს რაც შეიძლება მალე გაინთავისუფლოს თავი ამ ძველებისაგან. ესენია აქ შესაკეთებლად მოტანილი სხვადასხვა სიდიდისა და ხარისხის ნახმარი ფეხსაცმელები: მომუშავე გლეხების წულები, ქალების ხარაზული ტუფლები, ბავშვების პოლუსაპოშკები, ერთი ოროოდე წყვილი მაღალ-ყელეპიანი წაღა და ერთიც—შედარებით უფრო კოხტა, ქალის ლაკის ფეხსაცმელი, რომელიც, ამდენი სისაძაგლის ხროვაში თავს რომ უხერხულად გრძნობს, ქუსლი ღრმათ ჩაუფლავს ბავშვების ფეხსაცმელების კალოში, ხოლო ცხვირი ისე მაღლა აუწევია, რომ თითქმის ოთხივე წაღის გამანადგურებელი სიცილი სამართლიანად აქვს დამსახურებული.

მართალია, სხვადასხვა პოზაში მყოფ წაღების სიცილი, სხვადასხვა სიფართოვისა და ზომისაა, მაგრამ მათი აზრი და მიზანი კი ერთი და იგივეა, ხოლო გარეგნულად ყველანი ამას მაინც კბილების გადმოხარჭალებით აჩენენ. ამ საქმეში აღარც ყბებში ჩამტვრეული კბილები არის შეწყნარებული და, მიუხედავათ მათი ერთნაირი უფერული კდემამოსილებისა, ისინიც ისევე აშკარად არიან გატიტვლებულნი ჩექმის ლანჩებში თავიანთ ნახევრად ჩაშავებულ ძირებამდი, როგორც სალი, ბუდიდან ახლად ამოშიშვლებული, თხილივით გადმოკაჭრული კბილები.

იცინიან წაღები სიამისაგან, რომ ისინი მალე უნდა შეაკეთონ და ისევ სამუშაოთ აამოძრაონ...

გოგია ხარაზიც ხელს ურევს იქვე ახლოს დახვავებულ ჯღანში, რის გამო, კოპწია ტუფლები ხან ისევ ჯღანის ხროვაში ჩაჰკრავენ ცხვირებს, თითქოს კეკემალულობიას თამაშობენო, ხან კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მათ და მაშინ ჩექმების კბილებ-გადმოყრილი სიცილიც კიდევ უფრო ძლიერი, გულის მომკვლელი და გამანადგურებელია მათი ნაზი აგებულებისათვის.

დუქანში ჯღანისა და უსუფთაობის სუნი და მტვერი ტრიალებს, რომელშიც გაზაფხულის საგრძნობლათ გრილი და ნესტიანი ნიავი უბერავს თავის ბარაქიან ხელებს და დაყენებულს ბდღვირს გარეთ არ უშვებს, ფიქრობს მისგან ქვეყნის წაბილწვისა ეშინიაო.

ჩამქრალ პაპიროზის ნამწვავს, რომელიც საქმეში სულიან-ხორციანად ჩაფლულს გოგია ხარაზს პირში შესციებია, ახლა მყრალი აბლი და ნახშირიანი მტვერი სცვივა, რომელიც გოგიას ცხვირის და ოდნავ დალებულ პირისაკენ შესასუნთქავად აღძრულს ჰაერს ერევა. ამ ნარევს ისუნთქავს გოგია, მკერდში რაღაც ციცქნას გრძნობს, უნდა დაახველოს, მაგრამ თითქოს პირიდან ცალს ტუჩზე მიგლესილ პაპიროსის ნამწვავის ძირს დავარდნისა ეშინია და თავს იმაგრებსო.

მაგრამ აი, შეისვენა გოგიამ. დაკერილი ჯღანი ერთი მხრით გადაალაგა, პაპიროსი შეისუნთქა, იგრძნო, რომ ჩამქრალია; ნამწვავი ზანტად პირიდან გამოიღო და წინ სამუშაო დაზგაზე დასდო. წელში ოდნავ გასწორდა. სასულედან მოწოლილი ნახველი ამოახორხიალა და ის იყო უნდა გაეფურთხებინა წინ, რომ თავს კესარია „ალენჯა“ წამოადგა და ნაკერავზე საძირეს პირ-მოხლეჩილი, ჯერ კიდევ თითქმის უხმარი წუღა წინ დაუგდო, ხოლო მეორე კი თავში გამეტებით ჩაუტყაპუნა.

გოგიამ ახედა სახე-შეშფოთებულ კესარიას და, სერიოზული საქმის ხუმრობაში ჩატარების მიზნით, სიცილით შენიშნა.

— რავა სიკვდილივით წამომადექი თავზე ამ დილას, კესა?!.

მაგრამ კესარიას აღარ ეხუმრებოდა.

— რა შენი თვალის დაფსებაა, გოგიავ, აი?!.

მიმართა მან მკვახეთ გოგია ხარაზს და განახლეჩი ადგილი წუღაზე კიდევ უფრო გასწია თითებით.

ტყავმა ერთი „პრიწო“ დაიძახა და დაყვა ნაკერავს...

ჯღანისაგან საგრძნობლად გამურული გოგია ჯერ გაწითლდა, შემდეგ ნაცრის ფერი გადაედო, ხოლო, პატარა ხანს ასეთ ყოფაში დარჩენის შემდეგ, უსიტყვოთ ადგა, დაბრუნებული ფეხსაცმელები შორს კედლის ძირში გადამალა, ხოლო კესარიას იმავე ზომის ახალი ჩუსტები გამოუწოდა.

გულმოჯერებულმა „ალენჯამ“ ახალ ჩუსტებს ხელი დაავლო, ნაკერავებში მისინჯ-მოსინჯა, ქუბები დაუჭიმა და, რა კი შენიშნა, რომ ეს წყვილი უფრო სალი ტყავისაგან იყო ნაკერი, ფეხებზე მოირგო, გასინჯა და, იმათ სიკარგესა და სარგოობაში რომ სავსებით დარწმუნდა, ადგა და ოჩოფეხებზე შემდგარმა, გამოუმშვიდობებლად მიატოვა გულდაწყვეტილი გოგია და მისი სახარაზო, რადგან სახლისკენ ეჩქარებოდა: დიდი ხუთშაბათი გახლდათ და დღეს კესარიას ზიარება უნდა მიეღო.

ასიოდ მეტრითაც კი არ იქნებოდა კესარია გოგიას საჯღანეს გამოშორებული, რომ წინ ბექანა შეეფეთა.

არ მოსწონდა კესარიას ბექანა, მაგრამ უკანასკნელის სახეზე მან ამ დილით ისეთი სასოწარკვეთილება შენიშნა, რომ პირველად ცხოვრებაში შეებრალა

მას ეს ,,ველური" ადამიანი და თხოვნა, რომლითაც მას ბეჟანამ მიმართა, გულდასმით მოისმინა, თუმცა ცივად მოუჭრა:

— დღეს მე, ნენავ, ზიარებას ვიღებ და, რამდენი კუდ[illegible] დედა-კაცია, იმის სამუსაიფოთ არ მცალია. სხვა დროისთვის იყოს"-ო.

მიუხედავათ ამისა, სწორედ იმ დღეს, წირვა რომ გათავდა, ს. ჰყიმას ახლად გახსნილ ეკლესიაზე, წელს პირველად ასეთის ამბით ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში საზიარებლათ მოგროვილი ათიოდე სოფლის დედაკაცი ქრისტეს ,,ხორცითა" და ,,სისხლით" დაანაყრა გაბრიელ ხუცესმა, თმა და წვერ თეთრმა, როგორც ზოგი ხატით წარმოდგენილი მამალმერთი, ხოლო ახმახმა, როგორც კესარია ,,ალენჯა".

კესარია ,,ალენჯასთან" ერთად, წელს ზიარება მიიღეს ფოტინემ და ქიფომ. ამ უკანასკნელმა, რა თქმა უნდა, პირველის რჩევითა და ძალდატანებით, თორემ ძალიან დიდს უხერხულობას გრძნობდა, როცა ამ ცხრა თუ ათ დედა-ბერში მარტო ის ერთი ერია ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე.

— ბეჟანაის სახსენებელი ჩაშავდა, თორემ ახალგაზრდა ქალს რა ეზია-რებოდა"-ო, ტუჩების წმაწვნით სცდილობდა ფოტინე ქიფოს ამ ბებერთა შო-რის ყოფნის გამართლებას.

— აქ კი კესარიამ იდროვა და მოხსნა პირს საცო.

— ბეჟანა არაფერს შუაშია, ჩემო დაიავ! ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ბეჟანა კი მაგ საქმეში უდანაშაულოა. ეს საქმე რაცხა სულ სხვანაირად, ,,შინაურულად" შემზადებული უნდა იყვეს, როგორც ახლა ვხედავ"-ო.

ლაპარაკში სიტყვის ,,შინაურულად" გარევა და ამით ასეთმა იჭვებიანმა გადაკვრამ ფოტინე სულ მოთმინებიდან გამოიყვანა და შეიქნა ეკლესიის ეზოში ერთი ქალთა დაუსრულებელი ალიაქოთი. და რომ თითონ ხუცესი არ ჩამო-რეოდა ამ ამბავში, ქალთა შორის დავა უთუოდ ერთმანეთის თმების ქიჩვითა და თვალების კაწვრით დაგვირგვინდებოდა.

ამის შემდეგ, ფოტინე და კესარია ერთმანეთს დაშორდენ, მაგრამ გზაში უკანასკნელმა მაინც მოასწრო ქიფოსთვის გვერდში ხელის წაკვრა და ბეჟანას მიერ გამოტანებული წერილის სხვების შეუმჩნევლად გადაცემა.

* * *

— „თქვენი ეზოს უკან რომ ვაშლის ხე სდგას..."

სწერდა ბეჟანა ქიფოს და უნიშნავდა შეხვედრის დროდ მომავალ შაბათ საღამოს.

შემდეგ მოუთხრობდა თავის სრულს უდანაშაულობას, აუწერდა აშკარა გარდატეხას თავის სულიერ არსებაში და აღუთქვამდა მომავალში გამოსწორე-ბას და შესაფერ კაცად დადგომას, თუ ამასთან ქიფოს თანაგრძნობასაც ეღირ-სებოდა.

მაგრამ რაში ეჭირვებოდა ყველაფერი ეს ქიფოს, რომელიც ისედაც მშვენივრად იყო დარწმუნებული ბეჟანას უდანაშაულობაში? ქიფოს სწამდა, რომ ბეჟანა არა თუ გამოსწორდებოდა, არამედ გაუსწორებლადაც ბევრს უკვე

„სწორს“ დღესაც სჯობნიდა პირადათ მისთვის, მიუხედავათ იმისა, რომ იცოდა რა მისდამი თავისი „დედის“ დამოკიდებულება, პაემანზე მისვლა მაინც არ შეეძლო.

ეროვნული

ვერც ოჯახიდან და ფოტინეს მხედველობიდან თავის განთავისუფლება, კესარიასას მისვლა და ბექანასთვის შესაფერი ცნობის თავის დროზე მიწოდება მოახერხა ქიფომ, რათა აეცდინა ვაშლის ხის ძირში უაზრო ლოდინი ბექანასთვის. მხოლოთ მოახლოებულ საღამოს სახლსა და გულში კიდევ უფრო ღრმად ჩაიკეტა და იქიდან იშვიათი ხმა-მაღალი გამოხმაურებით, სახლიდან „დედისა“ თუ მამის მისამართზე ძახილით მაინც სურდა ეცნობებია, ალბათ, ამ დროს უკვე ვაშლის ხის ძირში მომლოდინე ბექანასათვის, რომ ის იქ ტყუილ-უბრალოთ ნუ ელოდება მას, რომ ქიფომ სხვა უფრო შესაფერი დრო უნდა შეარჩიოს ბექანასათვის გულის ნადების გადასაშლელათ და გასანდობლათ ყოველივე იმის საპასუხოდ, რასაც წერილით უმჟღავნებდა მას ბექანა.

* * *

თითქმის შუაღამემდის ელოდა ბექანა ქიფოს დანიშნულ ადგილზე, და ის იყო, ლოდინით გულ-გადაღლეული ბექანა ადგომას და წასვლას აპირებდა, რომ შორი ახლო ხეებ შორის გაჩუჩუნდა ორი ადამიანის ჩრდილი. ერთი იმ ჩრდილთაგანი შედარებით უფრო დაბალი იყო, ხოლო მეორე კი კესარია „ალენჯასავით“ ახმახი.

პირველად ბექანას ეს ახმახი მართლაც კესარია ეგონა, ხოლო მეორე, უფრო მდაბალი—ქიფო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ საქმე მამაკაცებთან ჰქონოდა.

ჩრდილები, გზისა და გარემოს სინჯვით, ფრთხილად მოიწევდენ წინ და ბექანადან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე შეჩერდენ, ასე რომ ბექანას არა თუ ყოველი მათი ნათქვამი, თვით სუნთქვისაგან ჰაერის რხევაც კი გარკვევით ესმოდა.

ბექანამ სული გატვრინა, ხის ძირს მიმკვდარებულივით მიეგდო და მიწას მიაცივდა.

თითქმის მთელი ათი წლის სამოქალაქო თუ ისე, ომში თრევამ ზედმიწევნით შეასწავლა ბექანას არა თუ ხის, თვით უმნიშვნელო საგნისაც კი ამ მიზნით გამოყენება.

— ბიძია, საკუთარს თითსაც კი აეფარები ომში, როცა გაგიჭირდებაო...

იცოდა ბექანამ თქმა ზოგი ომის ცეცხლის გამოუცდელი მოტრაბახე ცრუგულადისათვის, რათა თავისი გამოცდილება დაურღვეველ საბუთად წამოეყენებინა რომელიმე ფუქსავატი განცხადების გასაფანტავად.

და აი, ეხლაც სწორედ ამ გამოცდილებით სარგებლობდა ის.

ამ სტრატეგიულმა გამოცდილებამ დიდი სამსახური გაუწია ბექანას. დაყუდებულში მან აშკმრად გამოიცნო მაქიმედ „ყადი“, რომელიც გზას ანიშნებდა ნაბდიანს. ყველაფრიდან სჩანდა, რომ ეს ნაბდიანი იარაღით უნდა ყოფილიყვეს აღჭურვილი.

საშინელი გეგმა მზადდებოდა ამ ბნელსა და უგულო ღამეში. დრო არ იყო ნახსენები, თორემ, როცა იქნებოდა, ალბათ, ერთ-ერთ მომავალ ღამეს ბეხხერის სახლს უნდა დასცემოდნენ: დედაბერი და ბერიკაცი უნდა ამოეხოცათ, ქალი კი ამ ჟამად უვნებლად უნდა გაეშვათ; ხოლო, რამდენიმე ხნის შემდეგ, თავდასხმა ისევ უნდა გამეორებულიყო, ამ უკანასკნელ შემთხვევაში უკვე, ქალის გატაცების მიზნით.

ყოველივე ეს ისეთის სიფრთხილითა და ოსტატობით უნდა შეესრულებინათ, რომ ბოროტმოქმედების კვალისთვისაც კი ვერავის მიეგნო და ამ ორ, ერთი მეორეს დროთი დაშორებულ თავდასხმის ერთმანეთთან დაკავშირება ვერ მოეხერხებინათ.

ვის სასარგებლოთ მზადდებოდა ეს თავდასხმები: მოხუცებულთა ამოხოცვა, ხოლო შემდეგ—ქალის გატაცება?

ქიფოს?!.

და ბეჟანასათვის ახლა, გულის მღრღნელი ეჭვების მიხედვით, თითქოს გასაგები შეიქნა, თუ რისთვის არ გამოცხადდა ქალი ამაღამ დანიშნულს ადგილს.

მაგრამ ახლა საჭიროა მაქიმედ „ყადისათვის“ ხელის შეშლა, რათა მან თავისი ვერაგული განზრახვა მაინც სისრულეში ვერ მოიყვანოს.

მწარ ფიქრ-ნარევი აზრი განსაკუთრებულის სიძლიერით ამუშავდა ბეჟანას თავში.

აჩრდილები მორჩნენ თავიანთ თათბირს და გაბრუნდნენ ბეხხერის ეზოდან.

მიმავალთ აედევნა უკან მესამე ჩრდილი, რომელიც ბნელში გზის ადვილათ გამკვლევ ნადირის მოძრაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის ადევნებას.

ბეჟანა ფოთხვით მისდევდა ბოროტ გამზრახველებს, რომლებიც ეზოდან ფრთხილად გადაცოცდნენ ერთ ადგილს მესერში ჩატანიებულ ქვის ღობეზე და გავიდნენ იქ მდებარე პატარა რაყის პირში, სადაც მათ ელოდებოდა კიდევ ერთი წყვილი ჩრდილი.

ბეჟანას დაკვირვებულმა თვალებმა მოთეს იმ ორის გამოცნობაც. ესენი იყვნენ: სტეფანა და გოგია „ხარაზები“.

— ჩინებული კამპანია ყოფილა, გაიფიქრა ბეჟანამ თავის გულში.

— აი, ვის უნდა მოეკლას მარკოზა და ვისი წყალობით მჯდარა ბეჟანა საპყრობილეში!..

ნუთუ ყოველივე ეს ქიფოს გულისთვის სჭირდა მას? მას კი, სულელს, სწორედ ამ ქალის გულისთვის უნდოდა უმთავრესად ამ ჟამად თავისი წაჩხდარი საქმის ისევ გამობრუნება, შემთხვევით გამრუდებული გზის ისევ გამოსწორება და ასე თავისი მომავალი ცხოვრების საკეთილოდ შეცვლა, სადაც მას სწორედ ქიფო ჰყავდა წარმოდგენილი ამ ცხოვრების მამოძრავებელ გულად, იმის მაცისკროვნებელ შუქურვარსკვლავად...

ყოველივე ამის შემდეგ, ნუ თუ ამ ბნელ საქმეში ქიფოს ხელიც ურევია?

— სახლიდან რომ მალი-მალე გადიოდა და ისევ შემოდიოდა იმ საბედისწერო ღამეს, იქნება, სწორეთ ამ საქმეს აწყობდა მაშინ?!. გაუელვა ბეჟანას აზრმა.

— მაგრამ მას ამ შემთხვევაში ხომ ფოტინეც მუდამ თან ახლდა?.. განა, წარმოსადგენია, რომ უკანასკნელიც ხელს უწყობდა მას ამაში?!. მაგრამ რა კავშირში უნდა იყვეს მათთან მაქიმედ „ყადი", ან კიდევ გოგია, ან სტეფანე „ხარაზი"?!. და ბეჟანას თვალწინ წარმოუდგა მაქიმედის უფროსი ვაჟი—ტიმოთა, მამაზე არა ნაკლებ ახმახი, უშნო და უხეირო.

— ნუ თუ ამ არამზადაზე გამცვალა ქიფომ მე, ან თუ გინდ მარკოზზე? ეჰ, რა უნდა ვუთხრა ქალის ჭკუას, თორემ ტიმოთას ხომ მარკოზაც სჯობდა. განსვენებული ისე უხეირო და ულაზათო მაინც არ იყო, როგორც ტიმოთაა. აბა, თავისთავს ხომ ტიმოთას ერთ წუთსაც ვერ შეადარებს. არც კი აკადრებს თავის თავს იმდენად დამცირებას, რომ ტიმოთას საცალოდ სასწორზე დასდგეს...

— ოხ, ქიფო!.. ქიფო!.. რა ვუთხრა მე იმ წუთს, როცა შენზე ისეთი მაღალი აზრითა და წარმოდგენით დავიმძიმე ჩემი საბრალო გული!.. რას ჰგავს ახლა ეს გული, განძარცვული მთელი რიგი ტკბილი განცდებისა და ლტოლვათაგან, რომლებმაც მე აქაც კი მომიყვანეს, ამ ბნელსა და უგულო ღამეში?!. თავის უიმედოთ ჩაქნევით გაიფიქრა გულში ბეჟანამ.

მაგრამ არ ნანობს ბეჟანა ამ ღამის გაცდენას, რადგან ამან თვალები აუხილა მას, სიმართლე და სინათლე დაანახა. რა გინდ მწარეც არ უნდა იყვეს ეს სიმართლე, იმ სიყალბესა და სიწამხდრეს მაინც სჯობია იგი, რომლის მონაწილეთაც ამ ჟამად მას ძლიერის დაეჭვებით ქიფო მიეგულვებოდა...

მაგრამ რათ უნდა აჰყვეს ბეჟანა ახლაც ისევ ქიფოზე ასე შეუმოწმებლათ ამ გაბოროტებულსა და, შესაძლოა, ყალბ აზრებს?!. ჯერ ხომ ამ ეჭვს შემოწმება ეჭირვებოდა და გულსაც ურყევი საბუთით დაჯერება?!.

— შეჩერდი, ბეჟანავ! ნუ ჩქარობ. იქნება ჯერ ყველაფერი ისე არაა დაღუპული, შენ რომ გეჩვენება?!.

როგორ შეიძლება ამდენ წინააღმდეგობათა ქსელში რაიმე ერთი მთლიანი გეგმის არსებობა და ისიც ტიმოთაის სასაოგებლოთ, ხოლო ბეჟანას და, გნებავთ, მარკოზას საზარალოთ და, რაც მთავარია, თვითონ იმის საზარალოთაც, ვინც ამ გეგმის მონაწილე გგონია შენ ამ ჟამად?.. ამ შემთხვევაში ხომ ტიმოთას სარგებლობა ქიფოს აშკარა ზარალი იქნებოდა... ანუგეშებდა თავის თავს ბეჟანა, რომლის ცნობისმოყვარეობას ახლა, სანამ ამ საქმის სრულს შინაარსს არ გაიგებდა და გულიდან მღრღნელ ეჭვს არ გაიფანტავდა, უკვე სახღვარი არ უჩანდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლეგენდა ჩადრზე

სმენა იყოს,
გესმით, სმენა;
ყური უგდეთ
თარს ნეტარულს.
სიმთა კვნესით
გამცნობთ თქვენა
ამბავს ძველს და
ლეგენდარულს,
თუ რა ძალუძს
გულში ფარულს
აფეთქებულ
ბრმა სიყვარულს.

მაშ ისმინეთ
და აჰყევით
თარს წკრიალას,
მონარნარეს,
ჰანგთა რხევით
გაგიტაცებთ
შორეულს და
უცხო მხარეს,
ფრინველივით
გადაგაფრენთ
ცხრა მთასა და
ცხრა მდინარეს
და გაჩვენებთ
მზე-ქალ ბიბის, *)
ძველ მეჩეთს და
ძველ მინარეთს.

იტყვით:
ნეტა ვინ ააგო
ეს ტაძარი,
ეს მეჩეთი;
საზღაპრო და
საალნაგო,
სიყვარულზე
უფრო მკვეთი,
მსგავსს ვერ ჰპოვებს
ვერსად ვერვინ,
თუნდაც შესძრას
ზღვა-ხმელეთი.

ახოვანი
თემურხანი
იყო მაშინ
აქ ბატონათ
და აღიძრა
ის მრისხანე
სპარსელების
დასამონათ.

ბრძანა:
რადგან
სპარსეთის შაჰს
ხარკის ძლევა
აღარ ჰნებავს, —
შევანანებ,
ვფიცავ ალლაჰს,
ჩემს მახვილზე
აეგება,
ამბის მთხრობიც
არ დარჩება,
ქვეყნად ისე
აღიგვება!

*) ქალის სახელია სამარყანდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, დაჰკარით
ბუკ-ნაღარას
და გასძახოს
დღესვე მოლამ,
რომ ხელთ ვიღებ
ხვალ იარაღს
და ვუცხადებ
სპარსეთს ბრძოლას!

და გაისმა
კიდით-კიდეს
საომარი
საყვირის ხმა;
იარაღი
გადიკიდეს
და ჩუხჩუხი
იწყო სისხლმა.

ჰა, ინათა
და მთის წვერზე
წითლად იწყო
მზემ კაშკაში;
თემურხანი
მიჰქრის მტერზე
რახტიანი
შავი რაშით.

ცხენოსანი
რჩეულ ჯარით
მიჰქრის თემურ
სპარსთ საჩეხათ.
ჰა, საზღვარიც
გადალახა
და დაატყდა
რისხვის მეხათ.

და გაჩაღდა
ხელ-ჩართული
ფიცხელი და
შმაგი ომი;
მრისხანე და
მედიდური
იბრძვის თემურ,
როგორც ლომი.

დაჭრილების
გმინვა-კვნესა,
ხმალ-აბჯართა
ჩხარა-ჩხური,—
ურთიერთში
გაილესა,
ასისინდა
ღვარძლი,
შური
და ორ მშრომელ
ხალხთა შორის
დაიღვარა
სისხლი ძმური.

და დამარცხდა
სპარსთა ჯარი,
განახევრდა,
განადგურდა
და მათ სისხლში
თემურხანი
პირ-მცინარი
ღრმად შეცურდა.
ქვა-ქვაზე არ
დააყენა,
დანაქადი
შეუსრულდა
და მარგილზე
წამოაგო
ვინც ეურჩა,
ვინცა სძულდა.

იქ თუ თემურ
ჰკვეთდა
მტრის თავს
და აგებდა
მკვდართა ზვინებს,—
აქ კიდევ მის
ძლევის ამბავს
ბიბიხანუმ
აგვირგვინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ქალი,
მისი ცოლი,
უტურფესი
ბიბიხანუმ
ქმრის ბრძოლებით
ანათრთოლი,
ალვის ხეს რომ
უგავს ტანი,—
თემურხანის
სადიდებლათ
სამარყანდში
აგებს მეჩეთს,
მონა-ქალნი
ჰყვანან მხლებლათ,
ვერ იშორებს
წუთით ვერც ერთს.

ცით მოწყვეტილ
ვარსკვლავსა ჰგავს
თემურხანის ცოლი,
ვინც შეხედავს
გონსა ჰკარგავს,
ქვეყნად არ ჰყავს
ტოლი.

ღამღამობით
თვის სარკმლიდან
ბნელს ისე აშუქებს,
რომ მთვარეც კი
გზას უცლის და
პირბადრობას უქებს.
ნეტავი მას,
ვისაც იგი
ნაზ ღიმილს აჩუქებს.

დილით ადრე
ალმობრწყენით
მზეც კი ეშურება,
რადგან ბიბის
გამოჩენით
მას ეშხი უქრება
და ფრინველთა
ამო სტვენით
ჰანგებათ ილვრება.

ვინც თვალს
მოჰკრავს
მის წერწეტ ტანს
და გულ-მკერდის
ბორცვებს,—
ოხვრა-კვნესით
თან გაატანს
სატრფიალო
ლოცვებს,
ყვავილებიც
კი ნატრობენ
ბიბის ფერხთა
კოცნებს.

რჩეულ ყრმათა
თვალთა ელვა
მისკენ
შვილდისრობენ,
მაგრამ ბიბის
გულის ღელვას
ვაჰ, რომ
ვერ იპყრობენ.

ბიბიხანუმს
უყვარს ქმარი,
ქმარი—
თემურხანი,
მას ექუთვნის,
მისი არი
მინაქარი
ტანი.

მისთვის აგებს
იგი მეჩეთს,
საქებ-სადიდებლად
მონათა რიცხვს
აორკეცებს,
ჰგზავნის
მშენებლებათ.

თვით ოსტატიც
მონა არის
მონა —
შემოქმედი;
მონა ბიბის,
შუქ მფინარის,
მშვიდი,
როგორც მტრედი.

და ამ მონას
შეუყვარდა
ბიბი —
ქალბატონი;
გულში დარდათ
ჩაუვარდა
და წაერთვა
გონი.

მუშაობაც
შეაჩერა
მონამ,
ნიჭ-ნაკურთხმა;
მეჩეთს უმზერს
ალმაცერად,
ველარ ჰკვეთს
ჩუქურთმას.

და მოიხმო
ბიბიმ მონა,
მონა —
შემოქმედი,
გულს ისარი
განეწონა,
მოუხარა
ქედი,
ხოლო ბიბი
თავმომწონე
იდგა,
როგორც გედი
და ზღვასავით
უღელავდა
აზვირთული
მკერდი.

— მითხარ:
როდის
დაასრულებ
მეჩეთის
მინარეთს? —
ჰკითხა ბიბიმ
და შეჰხედა
ოსტატს
უწინარეს.

— არასოდეს! —
ჰკადრა მონამ
შუქთა მფრქვეველ
მთვარეს
და გაბრუნდა
წასასვლელად,
მიაშურა
კარებს.

შეკრთა ბიბი.
არ ელოდა.
წამოიჭრა ზეზე.
ბრძანა:
მონავ!
ურჩობისთვის
ჩიმოგახრჩობ ხეზე.

— მეჩეთს მაინც
ვერ ააგებთ! —
მოაძახა
მონამ.
ბიბი-ხანუმს
ელდა ეცა,
ეს რომ გაიგონა.

— მაშ მიიღე:
ოქრო-ვერცხლი —
ჯილდო —
შენი წონა —
მოლბა ბიბი
და ამ ქცევით
მოაბრუნა მონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

—თავისუფლებას
განიჭებ,
მინარეთს თუ
დაასრულებ.
— ქალთა მზეო,
მიჯობს მოვკვდე,
თქვენს ახლოს თუ
არ მიგულებთ.

— მითხარ:
რა გსურს?
ვფიცავ
ალლაჰს,
შეგისრულო
რაც კი გინდა.
ნუ ახანებ,
თემურხანი
ახლოვდება
შორი გზიდან.

— დამაწაფე
მაგ შენს ბაგეს
და...
— და?
— და მეჩეთსაც
მყის ავაგებ...

გაუღიმა
ოდნავ ბიბიმ,
თვალი-თვალში
გაუყარა;
აუთრთოლდა
ოსტატს ტანი,
მის წინ ქედი
მოიხარა.

— მაშ, გიყვარვარ?!—
ბიბის ბაგით
ხმის კანკალით
წარმოითქვა.

— ჰკითხეთ მეჩეთს,
მის ყოველ ნაკვთს—
სთქვა მონამ და
იქცა ვით ქვა.

— მჯერა, მჯერა.
ჰა, მაკოცე—
ძლივს ალირსა
ბიბიმ მონას,
და მის ტუჩებს
მონა უცებ
ვნების ცეცხლით
დაეკონა.

ლაწვზეც ჰკადრა
კოცნა ცხელი,
აღებეჭდა
ბიბის დაღათ;
მონამ მეჩეთს
მიჰყო ხელი,
შენდებოდა
სწრაფად,
ლაღათ.
ქვის მაგივრათ
გულს უგებდა
და აჰყავდა
ტრფობის
თაღათ.

დაასრულა
მინარეთი
სიყვარულის
ტყვედ-ქმნილ
მონამ,
და ბიბიმაც
ინახულა,
გაგიჟებით
მოეწონა;
კოცნა რომ არ
გაემხილნა,
მისცა ოქრო
მისი წონა.

მაგრამ ბიბის
მონის კოცნით

ეწვის ლაწვი,
ეწვის კანი,
არ ასვენებს,
სტანჯავს,
ჰქეჯნის
მას ლალატი
თემურხანის.
თუ შეუტყო
ვერ ასცდება:
ან სიკვდილი,
ან საკანი.

ისეთი რა
მოიგონოს,
რომ დაჰფაროს
კოცნის დაღი?—
ჰფიქრობს ბიბი,
იმტვრევს თითებს,
უძლურია,
როგორც ბალღი.
თემურიკი
მოდის,
მოჰქრის,
გამარჯვების
ბაირაღით.

აღარ არის
ჯავრით ბიბი,
მიცვალებულს
უგავს სახე,
იცრემლება,
ილეველფება
სანთელივით
მოცახცახე.
მაგრამ საქმეს
რას უშველის
ტირილი და
სივაგლახე?

თემურმა კი
ალტაცებით
გადმოლახა
რაშით მთანი
და ლანდივით
წინ მოუძღვის
საოცნებო
ბიბიხანიმ.

ვერას გახდა
ფიქრით ბიბი,
დაიქანცა,
დაიღალა;
ცად ალაპყრო
ბროლის ხელნი,
შეჰღაღადა
მოთქმით
ალლაჰს.

არ უსმინა
ბიბის ზეცამ,
არც ალლაჰმა
შეიწყნარა:
ჩაიკეცა
სარეცელში
და ცრემლებათ
დაილვარა.

გულ-ამოსკვნილ
ვალალებით
ჩაეძინა
ბიბის წყნარათ,
სახე ნაზათ
გაუბრწყინდა
მოქათქათე
მთვარის დარათ.

სჩანს რაღაცა
დაესიზმრა
საამო და
სანუკვარი,
სიხარულით
წამოვარ და,
გამოაღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკის კარი,
ტაში დაჰკრა
და მოიხმო
მსახურ-ქალთა
მთელი ჯარი.

ბრძანა:
რადგან
სილამაზეს
უმზადებენ
ხშირად მახეს,—
დღეის იქით
ყველა ქალმა
შეიბუროს
ჩადრით სახე.

ბიბიც ჩადრში
გაეხვია,
მით დაჰფარა
კოცნის დალი;
გახალისდა,
გაცისკარდა,
დასრიალებს
კვლავ გულ-ლაღი,
და კისკისით
წყაროს ჰბაძავს,
მხიარულობს,
როგორც ბალღი.

ისე ჰშვენის,
ისე ჰხატავს,
თეთრ ბიბი-ქალს
შავი ჩადრი,—
გეგონებათ
ცის ღრუბლებში
დასცურავსო
მთვარე ბადრი.

ჰა, თემურიც
ძველებური,
რაინდული
ხმალ-აბჯარით,
მოედანზე
მოჰქრის რაშით,
ახოვანი,
უშიშარი.
უკან მოსდევს
თვისი ჯარი
გამარჯვების
ბუკ-ნალარით.
ყველანი წინ
შეეგებნენ:
ზოგს მამა ჰყავს,
ზოგსაც ქმარი.

შეკრთა,
შესდგა
თემურხანი
და გაფითრდა
როგორც მკვდარი,
ჩადრ-შემოსილ
ქალთა ნახვით.
მეხ-დაკრულს ჰგავს
მთელი ჯარი.

— ეს რას ნიშნავს?
ვისა ჰგლოვობთ?
ვინ შეგმოსათ
ასე თალხში?—
სთქვა თემურმა
და გამოჩნდა
ბიბიხანუმ
ჩადრით ხალხში.

— თემურ-ლომო,
ვისაც ესმის
სიმშვენივრის
მოვლა-ყადრი,—
ის კანონად
აღიარებს,
რომ ატაროს
ქალმა ჩადრი.
— რისთვის?
— მზეს რომ
არ მოსტაცონ
მთვარე ნაზი,
მთვარე ბადრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქალიც ხომ
მთვარე არის,
ბიბისავით
შუქნარნარი?
მზეც ვაჟია,
თემურივით
მოკაშკაშე,
სხივმფინარი.

ჰო-და, მთვარე
მეუღლეა
ცეცხლის მფრქვეველ
ჭაბუკ მზისა;
დასაბამი,
დასასრული
სიკვდილის და
სიცოცხლისა.

სხვის ცოლს
რომ არ ეტრფიალოს
უცხო ვინმე,
ქმარის გარდა, —
ეს პირბადე
შეწოვილე
სიმშვენივრის
მფარველ ფარდათ.

გაიღიმა
თემურხანმა
მეუღლე რომ
იცნო ხმაზე,
გადუწია
ოდნავ ჩადრი
და მოხიბლა
სილამაზემ.

გასჭრა ბიბის
თვალთმაქცობამ,
დაიოკა
გულისთქმანი.
მაშხალები
ჩახჩახებენ
ნადიმს იხდის
თემურხანი.
გამარჯვებას
ულოცავენ,
ადიდებენ
შინაყმანი.

დრო კი
მიჰქრის,
მასთან ერთად
კვდება,
ჰქრება
ყველაფერი;
მხოლოდ
რჩება
მოგონება,
ბიბისავით
მშვენიერი.

ასეთია
ეს თქმულება,
წარსულ დროთა
მონაბერი,
ასე ჰკვნესენ
თარის სიმნი
და აშუღიც
ასე მღერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იალლუჯა*)

## IX

### ბედნიერება

ალიბეგ ალა თავისმა ხელობამ ჩაისუტა, ჩაითრია, ყაჩაღობა ძვალსა და რბილში გაუჯდა. დრო და დრო მოუნდებოდა ხოლმე „საქმის“ გაკეთება. რაც დრო გადიოდა, მით ყაჩაღობა უფრო საყვარელი ხდებოდა. ყველგან ჰყავდა „თავისი კაცები“. მისი თვალი ყველგან ტრიალებდა. მის ყურს ყველაფერი ესმოდა. მისი გონება ყველაფერს მიხვდებოდა ხოლმე. ამდენი ხანია ხალხსა ძარცვამს და ჯერ „ხათაბალაში“ არ ჩავარდნილა, ამან გაათამამა და გააძლიერა.

წელიწადში ერთხელ-ორჯელ გავიდოდა დიდ საქმეზე და იმდენს იშოვნიდა, რამდენიც მის გულს აშოაგებდა. მაგრამ საშოვრის ინტერესი იჩრდილებოდა, მას საქმის მოწყობა, სახელის მოხვეჭა, კარგად ჩატარებული ყოჩაღობა ახარებდა.

ხშირად თითონ არც კი გადიოდა საყაჩაღოდ. მხოლოდ შორიდან, სახლიდან აწყობდა საქმეს, გასცემდა განკარგულებას, წარმართავდა, ისე როგორც მთავარსარდალი ჯარის ზურგს უკან მუშაობს და ბრძოლას მოიგებს.

შემოდგომის მიწურულებში ალიბეგამ ფაშა დაიბარა.

— ჰასან კალასთან ვილაცეებს საქონელი მოუტაცნიათ. გუშინ შემატყობინეს, აქეთ მოერეკებიან, ძველები არავინ არის. ვილაც ახლები გამოჩენილან. ასი სული უნდა იყვეს. კარგი საქონელია. ცხრა კაცი მოსდევს თანა. ხვალ საღამოთი არპაჩაის გადმოვლენ. ზულავრელი ჩალვადრები უკვე მორიგებული ყოფილან და ისინი ყიდულობენ. ჩვენ არავის უნდა გავატანოთ ის საქონელი. თავის ფეხით მოვიდა ჩვენთან. ჩალვადრები ჯალალოღლში დაუხვდებიან. ჩემის ანგარიშით ზეგ საღამომდის ვერ მოაღწევენ ჯალალოღლს. ბიჭები დაამზადე.

ფაშა ჩუმად ისმენდა ალას ნათქვამს. ალიბეგა მოკლედ, მოჭრით, ლაპარაკობდა. მის ლაპარაკში აშბავიც იყო და გაცემული ბრძანებაც.

— ხვალ საღამოთი გადით. მე ტფილისში დაგიცდით: წაიყვანე სულეიმანა, თათი და კურბანა. ყველა ერთბაშად არ წახვიდეთ. დღესვე დაიწყეთ გასვლა, ისე რომ ხვალ საღამოთი ყველა გასული იყვეს. საქონელი ყაზახში გარეკეთ. კაცი არ მოჰკლათ. თუ რამ მოხდეს მაშინვე შემატყობინეთ. კურბანა გა-

*) იხ. „მნათობი“ № 1. 1929 წ.

მოჰგზავნე. იმას კარგი ცხენი ჰყავს. როცა ყაზახში იქნებით თათი გამოგზავნე. ყაზახში მისვლა მაჰამედ ალას შეატყობინეთ. საქონელს ის მოუვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი დღის შემდეგ ალიბეგ ალას ტფილისში თათი ეახლა.

— საქონელი ყაზახშია. ასოცი სულია. გელიან.

ხალილოვმა ტფილისიდანვე გაანაწილა საქონელი და განაღდებას სამი კვირა მოუნდა. სამას თუმნამდი ფული დადგა, ბევრი მოჰყვა თან ქამარ-ხანჯალი, საათები და ბეჭდები.

ფაშა ჯავრობდა, იაფად გადავყარეთ საქონელიო, მაგრამ ალიბეგ ალა ამას არა დარდობდა. ალიბეგამ იცოდა, ნათრევი, უსვენებლივ გამორეკილი საქონელი, დაღლილი და უჭმელი მეტად ვერ გაიყიდებოდა. გაყიდვაც და თავიდან მოშორებაც ხომ საჩქარო იყო: ოსმალეთის მთავრობა უკვე ქაღალდებსა სწერდა და ამტკიცებდა, ყაჩაღები რუსეთიდან არიან გადმოსულებიო. კავკასიის მთავრობა კი ამტკიცებდა, ყაჩაღები ოსმალოები არიანო.

როცა ყველაფერი გათავდა და დამშვიდდა, ფაშამ თავისი წილი მოგება ალას დაულაგა წინ და უთხრა:

— შენი ერთგული ვარ, ალავ, ხომ იცი.

— ჩემი ერთგული კი არა ხარ, შენი თავის ერთგული ხარ. რა ამბავია?

— აბა, ალავ! არა მსურს მოგაგონო ყველაფერი. მარტო ალი მაჰამედ ოღლის საქმეა საკმარისი.

ალიბეგ ალას სახეზე ალმური აუვიდა. ჯერ არავის გაუხსენებია მისთვის ის ამბავი.

— არა, ალავ! საწყენოდ არ გეუბნები. მე ჩემი დარდი მაქვს.

— რა მოხდა?

— გთხოვ და ალსრულება შენ იცი. ჩემი თხოვნა ეს არის: მან ოლუმ!— მე მოგიკვდე.

ალიბეგ ალამ თვალი თვალში გაუყარა ფაშას. მან ოლუმ! უდიდესი ხვეწნაა.

— სთქვი. მაგ სიტყვის შემდეგ, უარს ვერ გეტყვი, ხომ იცი.

— მე დურსუნ ალას მწყემსად რომ დავდექ, ხომ გახსოვს?

ალიბეგ ალას როგორ არ ახსოვს. კარგად ახსოვს, მაშინ ფაშას თხოვნამ რომ გააკვირვა. მაშინვე დაებადა ეჭვები. ეხლა ეს ეჭვები ისევ გამოცოცხლდა.

— მერე?

— მერე და ეხლა ქონება მაქვს. ცოლი აღარა მყავს. შვილიც მოვიშორე. მე სამწყემსო რა მქონდა მაშინ!?

— ეგენი ვიცი. შენ საქმე სთქვი.

— დურსუნ ალას შენ რომ უთხრა, უარს არ გეტყვის. რასაც მთხოვს მივცემ.

— ჰაი ქიში, პირდაპირ სთქვი, კაცო. მე ვიცი რაც გსურს, მაგრამ თუ შენ არ იტყვი, რა გამოვა.

— ყველაფერს და ყველას დავლუპავ. ჩემი ცოცხალი თავით... ქალს მოვიტაცებ... ეხლა ხალილ ალას შემდეგ დურსუნას ოჯახში მეორე დეიდაშვილზე ჰქონიათ ლაპარაკი, მაგრამ ტყუილია.

ხალილ ალას ხსენებაზე ფაშას წარბიც არ შეუხრია, მაგრამ ალიბეგ ალა კი დააშტერდა მოსაუბრეს და მის თავში ერთბაშად გადიშალა ხალილ ალას უბედური სიკვდილის ამბავი. ხალილ ალა გადიჩეხაო, ალიბეგს წინათაც არა სჯეროდა, ეხლა კი მის წინ თითქოს წიგნი გაიშალაო, ისე წაიკითხა ფაშას გული. ხალილ ალა ალიბეგას მამიდაშვილი იყო და მისი ეხლანდელი მოსაზრებანი რომ გაჰართლებულიყო ფაშასა და ალიბეგ ალას შორის სისხლი დადგებოდა. ალიბეგ ალას გონება მუშაობდა. რა ჰქნას. ეხლავე დაიჭიროს ამ დანაშაულში? ამას ყველაფერი მოჰყვება: სისხლის მტრობა, ფაშა აღარ მოისვენებს, რაკი ასე ჩაუდვია გულში ქალი, მოიტაცებს. ალიბეგ ალას თავს დაანებებს. ყველაფერი აირევა, აიწეწება. მაინც ჯერ გადაწყვეტილი არა იცის რა ალიბეგამ. ჯერ ყველაფერს გაგება უნდა.

ფაშა კი ეხლავე თხოულობს პასუხს. ფაშა დინჯად ზის, წკეპლით მიწასა ხაზავს და პასუხს ელის.

— მაშ უსტა, ფაშავ! ქალის ღირსი ხარ.

ქვეყნად ამ სიტყვებზე ძვირფასი აღარა იყო რა. ამაზე დიდი სიხარული შეუძლებელია.

ფაშამ იცოდა, ამ საქმეში ალიბეგ ალა თუ ჩაერეოდა, საქმე გაკეთდებოდა კიდეც. დურსუნ ალა მას უარს არ ეტყვის, ვერ ეტყვის. ალიბეგ ალამ კი უკვე სთქვა: მაშ უსტა. მაშ ჩაერევა ამ საქმეში.

შარშან გაზაფხულზე დაიწყო ფაშამ სახლის აშენება და დამთავრებას ეხლა ცოტა უკლია. აქამდის არა სჩქარობდა. გადაწყვეტით არ იცოდა, ვისთვის და რისთვის აშენებდა სახლსა. ეხლა კი საქმე გამორკვეულია და დაჩქარებაა საჭირო.

დურსუნ ალას ბიძაშვილისაგან ძღვენი მოუვიდა. ალიბეგას სიტყვით ფაშამაც ძროხა გაუგზავნა.

დურსუნამ საჩუქარი მიიღო. ასეთი შემატება მას ყოველთვის ახარებდა ხოლმე. რა მიზეზით დაასაჩუქრეს ჯერ არ იცოდა. ალბად საქმეა რაღაცა. მუდამ ასეა: ჯერ ძღვენი მოვა და მერე ერთი-ორი კვირის შემდეგ საქმეც გამომჟღავნდება ხოლმე. დურსუნ ალამ იცოდა, რაკი ძღვენი ალიბეგასა და ფაშასაგან ერთად მიუვიდა, ალბად საქმე ფაშას ეხება და ალიბეგა შუამავალი იქნება. რა საქმე უნდა იყვეს? ოსმალური საქონელი რომ მოიტაცეს, ალბად, იქ გაუხათაბალავდათ საქმე. ფაშა თუ ჩავარდა და ეხლა დახსნაა საჭირო? ასეთი ამბავი ხშირათ ყოფილა და დურსუნ ალა ხშირად წასულა ან ქალაქში, ან შულავერში საქმის მოსაგვარებლად. სხვებიც ბევრნი გასჯილან ასე. ჩვეულებრივი მოვლენაა.

ნოვრუზ ბაირამი იყო. დიდი მარხვა. მთვარის ამოსვლამდე არასა სჭამდენ. შემდეგ კი სუფრა სავსეა ყველაფრით.

ალიბეგ ალამ ეს ვახშმობის ხანი შეარჩია და ბიძაშვილს ესტუმრა. ტახტზე ლურჯი სუფრა იყო გაშლილი. ზედ დიდრონი სინებით ბლომად იყო ფლავი, შემწვარი ბატკანი, თაფლი, კარაქი, ყველი.

დურსუნ ალა ტახტის თავში იჯდა მუხლებ მოკეცილი, როცა მასთან ალიბეგ ალა მივიდა, მაშინვე დედაკაცები გავიდნენ ოთახიდან. უმცროსი ვაჟები თავს დაადგნენ მამასა და ბიძას.

ალიბეგ ალამ ბიძაშვილს წასჩურჩულა: დურსუნამ თვალი უყო ბიჭებს და ყველანი გავიდნენ.

ხალილოვმა პირდაპირ დაუსვა საკითხი დურსუნას. მიკიბ-მოკიბვა საჭირო არ იყო. ალიბეგ ალამ კარგად იცოდა თავისი ბიძაშვილის ხასიათი: ოჯახში მრისხანე, ხელ-მომჭირე, ქონების მოყვარული, ანგარიშიანი, დურსუნა ალიბეგაზე ერთი ოცი წლით იყო უფროსი, ხანში შესული, ადათების დამცველი. ალიბეგ ალას ადათები არა სწამდა, ან თუ სწამდა მხოლოდ მაშინ, როცა ეს მისთვის საჭირო იყო. ისე კი ბევრს არად დაგიდევდა ძველს ადათებს. აუცილებელს, უფრო დიდ და თვალსაჩინო ადათს ასრულებდა, წვრილმანს კი ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ როცა საჭირო იყო ზედმიწევნით დაიცავდა.

ამისთანა კაცთან, როგორიც არის დურსუნა ალა, რა საჭირო იყო კეკელაურობა. პირდაპირ და გაბედულად სჯობდა ლაპარაკი.

დურსუნ ალა ერთ ხანს ჩუმად იყო. მერე თავი ასწია და უპასუხა:

— მოვიფიქრებ.

— რასაკვირველია, უნდა მოიფიქრო! ყოველ საქმეს მოფიქრება უნდა. მაგრამ აქ, ამ საქმეში მოფიქრება საჭირო არ არის. ბოლოს კი ვიხდი, მაგრამ აქ საქმე ისე უნდა გადასწყდეს, როგორც მე ვამბობ. სხვა გზა არ არის და იმიტომ.

— რატომ? მუქარაა.

— არა, დურსუნ ალავ! აქ მუქარა რა შუაშია. მე შენ ვერ დაგემუქრები და ვერც სხვა გაგიბედავს. მაგრამ ისეა საქმე, ან ჰო, ან უბედურება. ჩოფურ ოღლის ხომ იცნობ. მე უკეთესად ვიცნობ. ვიცი, თავს გადასდებს.

— მაინც რა მოხდება ვითომ?

— ის, რომ კეთილობით დაწყებული საქმე კეთილად გათავდება.

— თუ არა და?..

— მე აქ იმიტომ მოველი, რომ ვიცი რაც მოხდება და კეთილი მინდა. ჩემს ბიძაშვილს ფაშას თავს ვერ ვანაცვალებ.

— რა კაცია ფაშა?

— რაც კაცია, მე მენდე. ქონება აქვს. თუ გსურს დაწვრილებით ჩამოგითვლი ყველაფერს. გამრჯეა, კარგი ვაჭრობა იცის. მშვენიერი სახლი აიშენა.

— კიდევ?

— რასაცა სთხოვ მოგცემს, თუ სთხოვ უარს არ იტყვის. ქიბინში მთელ თავის ქონებასა სწერს.

— შვილიანია.

— შვილი გაბარებული ჰყავს. შენს ქალს იმით არ შეაწუხებს და პირველს ცოლს კი შენი ქალისათვის დაანება თავი. გაიგებდი, ბევრი მისცა და მოიშორა. ოთხმოცდა ათი თუმანი მისცა.—იტყუა ალიბეგმა.

— მაინც მოვიფიქრებ, პასუხს დღის შემდეგ მოგცემ.—დურსუნ ალამ სამი თითი ასწია. ლაპარაკში მას რიცხვების თქმა არ ეხერხებოდა, თითქოს თვლა არ იცოდა. ყოველთვის ასე ლაპარაკობდა ხოლმე, რიცხვს თითებით ანიშნებდა

მოსაუბრეს. ხუთი თუმანი ღირს ძროხა — ხუთ თითს ასწევდა და იტყოდა „თუმანი“.

ალიბეგ ალა შინ დაბრუნდა და ილოდა, სამი დღის შემდეგ დურსუნ ალა-რას იტყოდა.

აგერ ორი დღეა ოჯახში რაღაც ჩურჩულია. დედა რაღაცაზე გაჯავრებულია, მამა უტევს. ორჯელ ჩხუბიც მოუვიდათ. თამამამ ყურები სცქვიტა, მაგრამ ვერა გაიგო რა. არავინ არაფერი უთხრა. ჰგრძნობდა კი ქალი, ოჯახში რაღაცა ხდებაო.

სოფლად კი უკვე გავიდა ხმა: ჩოფურ ოღლი დურსუნ ალას ქალსა თხოულობსო.

დურსუნ ალა იმ სამ დღეს ანგარიშში იყო: ჩოფურ ოღლი კარგი ბიჭია, ყოჩაღი, გამრჯე. ქონება აქვს. ცოლი აღარა ჰყავს. რასაკვირველია, პირობას დასდებს, სხვა აღარ შეირთოს. მართალს ამბობს ალიბეგა: უარის თქმა არ შეიძლება: ფაშა არ მოისვენებს. ქალს ვინმე რომ გამოუჩნდეს მთხოველი, ორ მთხოვნელს შუა ქიშპობა ჩამოვარდება. სისხლი დატრიალდება. ხალილ ალას მაინც სჯობს ფაშა.

თამამას ბედი გადასწყდა.

მართალია, ქალის დედა უარს იყო. მას თავისი ქალი მზითევიანად მეორე დის შვილისათვის უნდოდა. თუ ერთზე ვერ მოხერხდა, მეორეზე ხომ მოხერხდება. მაგრამ ქმარმა ბევრი არ ალაპარაკა და დაარიგა, ქალი მოამზადეო. სამი დღის ბრძოლის შემდეგ დედამ შვილს უთხრა:

— მე არა მსურს და ჩემი ბრალი არ იყვეს. მამაშენის სურვილია და ბრალიც იმაზეა. ხვალ შენი მოწმენი მოვლენ და თანხმობა უნდა გამოუცხადო.

თამამას გაუკვირდა. ასე ერთბაშად, მოულოდნელად.

— მეორე ვინ არის... — ქალმა ვერა სთქვა სიტყვა ვერც „საქმრო“, ვერც „ვაჟი“.

— ვინც მამაშენს მოსწონს. გასული ყაჩაღი. ჩოფურ ოღლი.

ქალი ერთბაშად გაწითლდა. თვალებიც გაუწითლდა და ცრემლებით გაევსო. უცაბედად გაისმა მის ყურებში ფაშას ხმა, პირველად ამ ორი წლის წინედ რომ გაიგონა. ერთბაშად დაინახა შავი ტუჩ-ულვაში, თეთრი კბილები, თოფზე დაყრდნობილი ვაჟკაცი, შუბლ-შეკრული, ხანჯალზე ატრცნილი ვერცხლი.

ისე გამოვიდა, თითქოს ის ნატვრა, რაც მას გულში ჰქონდა უთქმელი და შეუგრძნობელი ერთბაშად თავისთავად ასრულდაო. სულში რაღაც გადატყდა, მძლავრად, მტკივნეულად. ტახტზე დაეცა, თავი მუთაქაში ჩაჰყო და უნებური ტირილი დაიწყო. არც სიხარულისა იყო ეს ტირილი, არც დარდისა. ძალიან სასიამოვნო კი იყო. თითონ ტირილი ბედნიერება ეგონა.

დედამ თავზე ხელი გადუსვა და თითონაც დაიწყო ტირილი.

— არ გინდა შვილო? ჩოფურ ოღლი არ გინდა?

თამამამ თავი გაიქნია: არა ეგ არ მატირებსო. დედა ვერ მიუხვდა შვილსა, ისე მიიღო ეს ტირილი, ვითომც ქალს არა ჰსურდა ეს საქმრო.

დედა ბევრ რამე საწინააღმდეგოსა ჰხედავდა ფაშასას. რა საჭიროა ქალი კაცმა ყაჩაღს მიათხოვოს, უბრალო კაცს, ნამწყემსარს.

განა არ იცოდა დედამ ქმრის ანგარიში, მაგრამ მაინ[illegible]ახმა. მისი დისწული უკეთესი იყო. ბევრად უკეთესი.

ეროვნული

შვილის ტირილზე დედამაც დაიწყო ტირილი. ამის გაგონებაზე ქალმა უფრო უმატა ქვითინს: შეეცოდა დედა. ჰსუროდა მისი დამშვიდება, მაგრამ ცრემლი ხმას უწყვეტავდა.

ოთახი ქვითინმა გაავსო.

— რა ამბავია.—შემოაღო კარები დურსუნ აღამ.—მოგიკვდათ ვინმე?

— აი, თავს იკლავს. არ ჰსურს შენი ფაშა. დურსუნამ თვალები გადაატრიალა.

— შენ გითხრეს ქალი დაარიგე და მოამზადეო. განა დადექი და იტირეო. დაამშვიდე და დაარიგე. რა მაგის საქმეა საქმროს არჩევა.

— ცოდოა.

— არ მოკვდება. იტირებს და გაჩუმდება. ქალის საქმე ეგ არის.

საღამოთი თამამა ყველას აკვირვებდა. ტახტზე იჯდა სრულიად მშვიდი, თვალები ულიმოდა, თავის სამკაულებს არჩევდა და ფიქრობდა.

ეხლაც იმას ჰფიქრობდა, რასაც მაშინ, როცა ხალილ აღას საცოლე იყო: ხალილ აღა არ ახარებდა. ჩოფურ ოღლიმ კი გაახარა. რად იყო ესე?

ხალილ აღა რომ მოკვდა, გულით სტიროდა თამამა. ჩოფურ ოღლი რომ მოკვდეს?—გული დაუმძიმდა თამამას. მიხვდა, ხალილ აღას სიკვდილს სტიროდა, მაგრამ უბედურება არ განუცდია. ეხლა კი,- ფაშას სიკვდილი რომ წარმოიდგინა უბედურებაც იგრძნო. თავს მოიკლავს ჩოფურ ოღლის რომ რამე მოუვიდეს.

ქალმა ის ბედნიერება იგრძნო, რასაც ჰგრძნობს საერთოდ ქალი, როცა თავის სურვილით თხოვდება და რაც ვერ იგრძნო თამამამ მაშინ, როცა ხალილ აღაზე ათხოვებდენ.

ქებინის ქაღალდში ფაშამ ყველაფერი დასწერა, რაც დურსუნამ მოსთხოვა. მთელი თავისი ქონება დასდო პირგასამტეხელოდ, თუ თამამას თავს დაანებებდა, ან მეორე ცოლს მოიყვანდა.

რაც დურსუნ აღას ქორწილში ხარჯი უნდა მოსვლოდა, სულ ფაშამ გადიხადა. მზითევი რაც გაიმეტა დურსუნამ ის წამოიღო ფაშამ, თითონ კი ათჯერ მეტი მისცა და ხმა არ ამოუღია.

დურსუნამ ამ საქმეში ფულიც მოიგო.

## X

### ციება

სდულს და გადმოდის ოჯახი. ყველაფერია: დოვლათი, ლამაზი და საყვარელი ცოლი, სავსეა გული. არც მტერია. ამაყი და ბედნიერი დადის ფაშა სოფელში. შემნატვრელი ბევრი ჰყავს. მაგრამ გულის ფსკერზე ახალი დარდი

ჩაწვა, ჩაილექა. სადაც უნდა იყვეს, რასაც უნდა აკეთებდეს, ეს დარდი ყოველივე სიამოვნებას და საქმეს უშხამავს.

სახიფათო გზაზე სდგას: ალიბეგ ალასთან მეგობრობა სადმე რამე უბედურებაში ჩააგდებს და ყველაფერს, რასაც ეტრფოდა, რაც შეიძინა გაქრება, ბედნიერება, სიცოცხლე, სიყვარულ-სიხარული მოისპობა.

ერთად ერთი იმედი მხოლოდ ის არის, რომ ამ გზაზე სიარულში ხიფათი ჯერ არ შეხვედრიათ. მაგრამ ასეთი ბედი ყოველთვის ხომ არ იქნება? ერთხელაც არის...

და შიში უვსებდა სულს.

ეს დარდი აქამდის არა ჰქონია. ამდენი ხნის ყაჩაღია, მაგრამ შიში არ განუცდია, ხიფათი იქნებაო, არ უგვრძვნია. შიში საჭირო არ იყო, ისე აკეთებდნენ საქმეს. მუდამ იცოდნენ, მათ საქმეს სახიფათო არა მოჰყვებოდა რა.

ეხლა კი მთლად, სრული სიდიადით წამოიჭრა მის წინ ეს ხიფათი.

თვითონ ცოლმა ჩააწვეთა ყურსა და გულში ქმარს ეს შიში: მისი პირველი თხოვნა ეს იყო: ალიბეგ ალას დაანებე თავიო.

დედაკაცის გულმა იგრძნო ხიფათი, თავის სიყვარულს გაატანა და ვაჟკაცის გულში ჩასახა.

კარგად ხედავდა ფაშა ცოლის სიყვარულს: ისეთი თვალებით შესცქეროდა ქმარს, ისეთი ნათელი ედგა დედაკაცის სახეს და იმდენი მოწიწება ეწერა შუბლს, რომ მამაკაცი, ყაჩაღი და კაცის მკვლელი, დნებოდა.

ამის შემდეგ ყაჩაღობამ ფაშასთვის არამც თუ ფასი დაჰკარგა, სახიფათოც გახდა.

რაც ცოლი შეირთო ფაშამ, ორჯელ გაჰყვა ხალილოვს საქმეზე და ორჯელვე ფეხები უკან რჩებოდა. ყოველ წასვლაზე ისე გადიოდა სახლიდან, თითქოს სამუდამოდ ეთხოვება ყველაფერსაო.

ალბად ალაც ატყობდა გულის აცრუებას, და ისეთ სიბრთხილეს, რომელიც ფაშას წინედ არსად გაუმხელია და რომელიც მხოლოდ მშიშარასა სჩვევია. ამაზე ხალილოვი ხან დასცინოდა გუნებაში, ხან ბრაზობდა. ჰხედავდა ხალილოვი, ჩოფურ ოღლის ფიქრი რაც იყო: როგორმე დაეხწია თავი მისი ხელიდან, გასდგომოდა. ამაზე ჯავრობდა. ეს კარგად ესმოდა ფაშას და შიშობდა: ალიბეგ ალას წყენინება ადვილი არ იყო. მაგრამ რა ექნა: თავი ენანებოდა. ენანებოდა ლამაზი ცოლი. იმასაც გრძნობდა, ალიბეგა განდგომისათვის დამღუპავსო. ორ წყალ შუა იყო: ხალილოვთან დარჩენაც ჭირი იყო და მისგან გაცლაც.

თავის თავზე გული მოსდიოდა ფაშას, თავის ლაჩრობაზე. ვერ მიმხვდარიყო თუ რად დალაჩრდა ისე, რომ ალიბეგ ალა დასცინის. თუ ცოლმა დაალაჩრა ასე, მაშ რაღა ვაჟკაცია! და ხანდახან ეჯავრებოდა ცოლი: მას აბრალებდა თავის ასეთ გალაჩრებას. გუნებაში საყვედურს აძლევდა. ხანდახან ნანობდა თამამას შერთვას. ხშირად, როცა ასეთი გრძნობები მოადგებოდა, ბუზღუნს, ღრენას დაიწყებდა ხოლმე. რაღაცას ასაყვედურებდა ცოლსა, შარიანობდა.

ხანდახან ისე მოეჩვენებოდა ხოლმე, თითქოს აი დღეს, ხვალ დამიბარებს ალიბეგა საქმეზეო. შეშინებული ჩოფურ ოღლი გარბოდა, მიდიოდა სადმე შორს,

მთელი კვირაობით თავს ანებებდა ოჯახს, ვითომც ემალებოდა ხალილოვს, მაგრამ ასე მოწყვეტა ოჯახს, ახლად შერთულ ცოლს, უფრო აბრაზებდა, აღონებდა, სტანჯავდა.

თამამა კი ქმარის ასეთ გუნებას რომ ამჩნევდა შიშობდა: თუმცა შიში და დარდი თითონვე ჩაუყენა კაცს გულში, მაგრამ არ კი იცოდა, ქმრის ავგუნებიანობის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო და თრთოდა: ალბად ფაშამ გული აიყარა ჩემზეო—ჰფიქრობდა დედაკაცი და ქმრის ჩუმად სტიროდა. მაგრამ როცა დაინახავდა ქმარს, ჰხარობდა, თვალებში შესცქეროდა, უღიმოდა, თავს დასტრიალებდა. ამის დამნახავი ქმარი უფრო ეფლებოდა სიყვარულში და ცოლის მონა ხდებოდა.

ესეც აჯავრებდა ფაშას? ვაჟკაცი, კარგი ყაჩაღი, ერთ დროს ნებიანი, ორი კაცის გულ-გრილად მკვლელი, დედაკაცის მორჩილი გახდა. კვლავ შესჯავრდებოდა ხოლმე ცოლი, კვლავ გარბოდა, კვლავ სწყურდებოდა ცოლი.

შემოდგომაზე ისევ დაიბარა ალიბეგ აღამ. ფაშამ იცოდა რაც უნდა მომხდარიყო: ხალილოვი რაღაც დიდსა და სახიფათოს აპირებდა. ნათქვამიც ჰქონდა მასთან. ეშინოდა ფაშას და ეხლა, ამ დაძახებაზე გული ერთბაშად დაეცალა. ტანმსხვილი ვაჟკაცი ერთბაშად მოდუნდა, გაშავდა, მოიკუნტა.

თამამამ გაიგო ეს ამბავი და აკანკალდა. შეხედა ქმარს, ვერა გაუბედა რა, მაგრამ მისი მუდარა ადვილი მისახვედრი იყო.

ცოლი ქმრის ჩუმად სტიროდა და ცრემლებს არა მალავდა.

ჩოფურ ოღლი კი, ყაჩაღი ფაშა, უძლური გახდა: ცოლს რომ უცქეროდა ისე ეგონა, ამ ჯერად თუ გავყვები ალიბეგ აღას, ცოლს უკვე ველარა ვნახავო.

მთელი დღე მუშაობდა თამამას გონება და საღამოთი ქმრის დარდი ისეთი ხერხით გადახერხა, რასაც ჩოფურ ოღლი არ მოელოდა.

სრულიად გულ-მშვიდმა, თითქოს მთელი დღის დარდ დავიწყებულმა, უდარდელმა და პირღიმილიანმა უთხრა საღამოთი:

— კაცო! შენს ადილს ჩუმ-ჩუმად ნახულობ, ვიცი.

ქმარმა გაკვირვებით შეჰხედა, ეს მოულოდნელი იყო. აგერ ორი წელიწადია თამამა მისი ცოლია და ბავშვი არ უხსენებია.

— მერე შენ რა გინდა?—შეუბღვირა ქმარმა.—ეგ რა შენი საქმეა! ნება მაქვს და ვნახულობ. პირობაში ეგ აღკრძალული ხომ არა მაქვს!?

— არა! მაგას როდი გეუბნები.—უპასუხა სიცილით ცოლმა.

— მაშ რა გინდა?

— მე მინდა ვიცოდე, მამიდა როგორ ინახავს.

— მაინც შენ რა?

— ცოდოა ბავშვი. შენს დას შვილები ბევრი ჰყავს და ვიცი ადილს ველარ მოუვლის.

— მართალია, მაგრამ შენ რა. შენ ხომ არ მოგავლევინებ!

— რატომაც. რა იქნება რომ მე მოვუარო!

ფაშა გაჰკვირდა. რას ამბობს ეს დედაკაცი! ქორწინების ქაღალდში სიმამრმა პირობად ჩააწერინა, ფაშას თავის პირველ ცოლთან ნაყოლი შვილი

შინ არ მიეყვანა. ეხლა კი ამაზე ლაპარაკი თითონ თამამამ დაიწყო. რა ჰსურს დედაკაცს?

— მართალია, ცოლმა ფაშას ყველაფერი დაავიწყებინა, ამის მოწმეც ის იყო, რომ შვილის შინ მოყვანაზე უარი სთქვა, მაგრამ მაინც უყვარდა ვაჟიშვილი, პირველი შვილი. უნათესაოს, მარტოხელს, ვაჟიშვილი ახარებს: პირმშო ვაჟიშვილი კი ბორჩალოელისთვის დიდი საგანძურია. ცოტა არ იყვეს სცხვენოდა კიდეც: შეძლებული მამის შვილი სხვათა კარებზე იზრდებოდა. ცოლის ნათქვამი რასაკვირველია გასახარი იყო.

— მერე, ქებინი?!—შესძახა ფაშამ ცოლს პასუხად.

— ქებინი? შენ ხომ არ არღვევ პირობას. მე ვარღვევ.

— კარგი, მაგრამ რად გინდა სხვათა შვილი?

— სხვათა შვილი რად იქნება? შენი შვილია. ჩემთვის სირცხვილია, შენი შვილი შენს ხელში არ იყვეს.

ჩოფურ ოღლის ძალიან გაუხარდა: და ასაყვედურებდა ადილის აღზრდას. მართალია ფაშა არას იშურებდა, ყველაფერს აძლევდა დას, მაგრამ ის მაინც მეტ სიტყვას წააყვედრიდა ხოლმე.

— მერე, მამაშენი!?—შეეკითხა ქმარი ცოლს.

— მამას რა უნდა, მე ვიცი და ჩემმა საქმემ.

— მოელაპარაკე მამაშენს. შემიცვალოს პირობა.

— კარგი. მამაჩემთან მე გავაწყობ საქმეს.

თამამას სხვა დარდიც ჰქონდა: აგერ ორი წელიწადია, რაც გათხოვილია და ჯერ არ დაორსულებულა. ამის გულისათვის ფაშა ადვილად აიყრის გულს მასზე. ადილის შინ მოყვანით კი ფაშას გუნება უკეთესი გახდება, ოჯახი გაივსება.

დილით ცოლმა ქმარი ლოგინიდან არ ააყენა. ხალილოვს კი შეუთვალეს: ფაშას აციებსო.

## XI

## იალლუჯაზი

მას შემდეგ, რაც ფაშამ ხალილოვს თამამას თხოვნაში შუაკაცობა სთხოვა, ალიბეგ ალას გონებას ხალილ ალას სიკვდილი არ მოშორებია. ეს გონება მუშაობდა, საზრისობდა, სჩხრეკდა და ბოლოს მიხვდა, ხალილ ალა თავისით არ იყო გადაჩეხილი.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოიკითხა ხალილოვმა და გაიგო, ხალილ ალას სიკვდილის დღეს ჩოფურ ოღლის ძროხა ჰყავდა დაკარგული. გამოცდილ, გონება-მახვილ კაცისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. მხოლოდ საქმარისი საბუთი იყო საჭირო: მნახველი, მთქმელი. მამიდაშვილის სიკვდილის თუ მოკვლის ასე დატოვება არ შეიძლება, თუ... თუ საჭირო იქნება.

ალიბეგ ალამ იცოდა, ფაშას მალარია სჭირდა, მაგრამ მისი მოტყუება არც ეგრე ადვილი იყო. ხალილოვი კაცის გულს მკერდის შიგნით ჰხედავდა.

მუდამ ეჭვიანი და უნდო ალიბეგა ყველაფერს კრიტიკით მიუდგებოდა ხოლმე, ყველაფერს გასჩხრეკავდა და ძნელად თუ მოსტყუვდებოდა.

დიდი ხანია მან ყველაფერი შეატყო ფაშას: ცოლის სიყვარულიც, მისი გავლენაც, ის გულის გაციებაც, ფაშას რომ მოუვიდა ალიბეგასადმი. ჰხახა რომ ფაშა ჰღალატობდა, გაურბოდა: მისი გაბედნიერებული, მისი გამდიდრებული ჩოფურ ოღლი ეხლა უკან იხევდა.

გული მოსდიოდა.

——

ტფილისიდან ათიოდ ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა მხარეზე ამართულია ერთი ჯგუფი მთა. მისი დაქანებული კალთები, მარაოსავით იშლება, ალგეთის ნაპირებს აწყდება და სამხრეთისაკენ მიდის.

დიდი საძოვრებია. ნოყიერი ბალახი. სუფთა ჰაერი. მთა და ბარი აქ დამეგობრებულან. სიცხისას, ცხვარს ალალავენ მაღლობზე, სიგრილისას გაშლილზე გამოუშვებენ.

მთელი ბორჩალოს ცხოვრება და სიცოცხლე აქ არის. აქვეა სიკვდილიც. სოფლად დაბადებული ადამიანი ბევრი ჩასახულა იაღლუჯის ბინებში და ბევრს აქვე დაულევია სული. აქვეა ქვეყნის სიმდიდრეც. აქ გადის ერთი მხრით შარა გზა და მეორე მხრით რკინისა. ტფილისის მეზობელი, იაღლუჯა მუდამ ცოცხალი, მუდამ მოძრავია.

გაშლილი მთა იაღლუჯა მტერს თავისუფლად უშვებდა საქართველოსაკენ, მის პირდაპირ, აქეთ მხარეს მას კრიჭაში დაუდგა ტფილისი, ნარიყალა და მეტეხი. ამათ შეაჩერეს დებედა ჩაის ვიწროებში გამოსული და ბორჩალოს ვაკეზე მომავალი მტერი და ეს მტერი, ტფილისიდან ორი ბიჯის სიშორეზე გაჩერდა: მუსულმანური სოღანლუხი უცქერდა ნარიყალას, მაგრამ ამას იქით წამოსვლას ველარ ჰბედავდა.

ვინ იცის, ნარიყალა და მეტეხის კლდეები ბუნებას ცოტა ქვეით, სამხრეთით რომ გაეჩინა, იქნებ საქართველოს ისტორია სხვანაირი ყოფილიყო.

ეს ადგილი ამოარჩია ამ ჟამად ალიბეგ აღამ.

პოლიტიკურად თუ ველარას აწყობდა დაცემული აღალარი, სხვაფრივ მაინც უშლიდა ხელს იმ კულტურის მიმდინარეობას, რაც ტფილისიდან მიდიოდა წინედ ქართული და ეხლა გარუსებული, ევროპიული.

დილით, ახალ გათენებაზე იაღლუჯაზე, სოღანლუღის პირდაპირ, ნავთლუღიდან ხუთი ვერსის მანძილზე, ტფილისიდან მიმავალ ეტლს ორმა შეიარაღებულმა გზა მოუჭრა, ხევში შეიყვანა და გასცარცვა.

ამ ეტლს მოჰყვა მეორე. მესამე... ხევში დაგროვდნენ ურმები, ფურგუნები, დაცარცული ხალხი.

აქ ოციოდ შეიარაღებული მუშაობდა. მთის მაღლობებზე კი, აქა-იქ, კაცები მოსჩანდნენ, მიდამოს ათვალიერებდნენ.

მიწაზე ნაცარცვი დაგროვდა: ფართალი, ტყავეულობა, ჩაი, შაქარი, ქამარ-ხანჯალი, ჩოხები, ქუდები, ფეხსაცმელები, საათები. ყველაფერი რაც შარა გზაზე დადის.

ეტლებში რაც თვალსაჩინო ცხენები იყო, გამოუშვეს. ნაცარცვით ავსებდნენ ტომრებს, ჰკიდებდნენ ცხენებს და სადღაც მიჰქონდათ. ხევის ვიწროებში, კლდეების ქვეშ დაცარცული ხალხი ისხდა, შეშინებული, ფერ-წასული. გამოცდილებმა და ნავალებმა ჩურჩული დაიწყეს: იცნეს ალიბეგ ალას ნამოქმედარი.

საათი საათს მისდევდა და ამ ამბავს ბოლო არ უჩანდა.

შუადღისას სტვენა გაისმა. გზაზე მყოფნი ყაჩაღები ხევში შესცვივდნენ. ტყვეებს თოფები დაუმიზნეს და გაჩუმება უბრძანეს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ორმა მცველმა ხევში შესავალი გზა შეჰკრა.

შარაზე თქრიალით გაიარა ეტლმა. უკან სამი ჩაფარი მისდევდა.

როცა გზაზე ეტლის აყენებული მტვერი დალაგდა, ყაჩაღებმა საქმე განაგრძეს.

საღამოთი, უკვე ბინდზე, როცა ხევში ყაჩაღები აღარ იყვნენ, დაცარცულები წამოიშალნენ და წასვლა დააპირეს. სადღაც ორი თოფი გავარდა. შეშინებული ხალხი ისევ შეიმალა ხევში. მხოლოდ სრულ დაღამების შემდეგ გაჰბედეს იქიდან წასვლა.

— რა ამბავია?—დაუყვირა ეზოს კარზე მდგომ ხალხს ბოქაულმა. ზოგი ფეხშველა იყო, ზოგი უჩოხო.

— დაგვცარცვეს.

— როდის, ვინა!

— გუშინ, იალღუჯაზე. დილიდან-საღამომდე გვცარცვავდნენ.'

— რას ამბობთ!—შეუტია ბოქაულმა:—გუშინ დილით არ იყო, იქით გამოვიარე? რატომ არაფერი ვნახე.

— კი, გამოიარეთ. ჩვენც დაგინახეთ, მაგრამ ყაჩაღებმა თავისუფლად გაგატარეს. დაიმალნენ.

ახლად დანიშნული ბოქაული კურაგინი დატრიალდა: პატაკი მაზრის უფროსს. იქიდან გუბერნატორს. იქიდანაც მოვიდა მოწერილობა. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. გზები შეჰკრეს. მდევარი გააგზავნეს, მაგრამ ყაჩაღებიც, ნაცარცვიც, მათი კვალიც ცამ ჩაჰყლაპა და დედამიწამ.

ყველაზე ძალიან თავი კურაგინმა გამოიდო. მის საბოქაულოში მოხდა ასეთი საარაკო ამბავი, თითონ ისიც გააცურეს, თვალ-წინ დაუცარცვეს ხალხი. გაგებული ჰქონდა აქაურ ყაჩაღების ამბავი. ეხლა თავისი თვალით და ყურით ნახა და გაიგონა. აქაურ ხალხს არ იცნობდა და ნახულ-გაგონილი აკვირვებდა და არცა სჯეროდა.

შეუძლებელია ასეთი თავხედური ყაჩაღობა არ გამომჟღავნდეს. ეს ხომ ყველამ იცის, რომ ეს ალიბეგ ალას საქმეა.

ვინც კი საეჭვო იყო ყველა იქნა დატუსაღებული. ფაშასაც ეწვია კურაგინი, მაგრამ იმას მოწმედ მამასახლისი გამოადგა: ფაშა იმ დღეს ავად იყო, შინ იწვა.

კურაგინის თავგამოდებასთან ერთად ბორჩალოს ალალარებისაგან ფეშქეშები დაიძრა: ბოქაულებს, მაზრის უფროსს, მოსამართლეს, გამომძიებელს, ყველის მიუვიდა ძღვენი.

— ბაირამობა არის და ადათია.

ასე იცის ბორჩალომ: როცა საჭიროა, ყოველთვის არის ბაირამობა.

კურაგინს მოულოდნელად ეწვია პროკურორი. დიდი ამბავი იყო, დიდი თავხედური საქმე მოხდა და მისი ყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. დატუსაღებულთა საქმე გადაათვალიერა. ბევრი საჩივრები ჰქონდა პროკურორს კურაგინზე მოსული, უკანონოდ ატუსაღებს ხალხსაო, მართლაც დატუსაღებისა საბუთი არა იყო რა, უბრალო ეჭვის გარდა და პროკურორმა ყველანი გაანთავისუფლა. კურაგინმა უსაბუთოდ ხალხის დატუსაღებაში საყვედურიც მიიღო.

ხალილოვის სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერც ხალილოვი იპოვნეს და ვერც საეჭვო რამ.

მამასახლისი ფიცულობდა, ხალილოვი თითქმის არა სცხოვრობს ამ სოფელში. სად არის არ ვიციო.

ფაშას კი მოულოდნელი რამ მოუხდა: ხალილოვმა საუკეთესო ცხენი გამოუგზავნა: შენ რომ წამოსულიყავი, მეტი გერგებოდა, მაგრამ არა მსურს უწილო დარჩეო, საიდანღაც უთვლიდა მას ალიბეგა.— ავადმყოფობის მიზეზით შენ შენი წილი არ უნდა დაგაკლდესო.

საიდან უგზავნიდენ ცხენს და საიდან უთვლიდა ხალილოვი ფაშას ამ სიტყვებს, ცხენის მომყვანმა არ უთხრა.

ეს პირველი იყო, ფაშამ რომ არ იცოდა ხალილოვის ბინა. მიხვდა ფაშა, აღარ მენდობა ალაო. ალას საჩუქარმა კი ძალიან შეაფიქრიანა და შეაშინა ჩოფურ ოღლი.

თუ ალიბეგას ნდობა დაჰკარგა, ჰაშ გაჯავრებულია ალა. თუ გაჯავრებულია, რისთვის-ღა გამოუგზავნა საჩუქარი? ფაშას გულის მოსაგებად თუ ხიფათში ჩასაგდებად?

არა. ხალილოვი ამას ვერ გაბედავს. ფაშა რომ ხიფათში ჩააგდოს, კარგი დღე არც თითონ ალიბეგას დაადგება. ამას ბევრი რამ ცუდი მოჰყვება.

მაშ რა უდევს ხალილოვს გუნებაში? მისი გულის მოგება თუ მასხარად აგდება?

მაგრამ რაც უნდა იყვეს, ეხლა, როცა მთელი პოლიცია ფეხზე სდგას, როცა თითონ ფაშაც ძლივს გადარჩა დატუსაღებას და ალიბეგამ ყველაფერი ეს კარგად იცის, ამ ცხენის აქ მოყვანა რა საჭირო იყო? რას უმზადებს მას ალიბეგა? ძნელია მისი გულის ნადების გაგება. იცის ფაშამ, რომ ალა გაჯავრებულია და თუ ერთხელ კიდევ გაარიდა თავი საქმეს, ხალილოვი ჯავრს იყრის.

მაგრამ ამ ჟამად ერთი რამ არის საჭირო: ცხენის მოშორება თავიდან.

თავისი დარდი ფაშამ სიმამრს შესჩივლა.

ფაშა რომ არ გაჰყვა ალიბეგს, დურსუნ ალამ უკვე იცოდა და ძალიან უხაროდა. ქორწინების ქალაღდში დააპირა კიდევაც ყაჩაღობაზე ხელის აღება ჩაეწერინებინა სიძისათვის, მაგრამ ეს მოუხერხებელი გამოდგა: ფაშა საქვეყნოდ ხომ ვერ აღიარებდა თავის ავკაცობას.

დურსუნ ალა მაშინვე მიხვდა, თუ რა მდგომარეობაში ჰყავდა ჩავარდნილი სიძე. ჰნახა, რომ სწრაფი მოქმედება იყო საჭირო.

დურსუნ ალამ ცხენი თავის ერთგულ მოჯამაგირეს გაატანა ალბულაღში.

— ცხენი შენია, ყურბან—დაარიგა მოჯამაგირე დურსუნამ;—ვინც გკითხოს, აგრე უთხარი ჩემიათქო. მიდიხარ ალბულაღში და მოსაკითხი მიმაქვს მწყემს ძმასთან.

ნამცხვრებით და დაკლულ ქათმებით სავსე ხურჯინი გადაჰკიდეს ცხენს და გაისტუმრეს ყურბანა.

ჩოფურ ოღლიმ გული ცოტათი დაიმშვიდა, მაგრამ დილით ადრე ახალი უბედურება დაატყდა თავსა: სიმამრმა დაიბარა და ფერ წასულ ყურბანაზე მიუთითა.

— გაება, ეს ღორი.

— ალავ, დავილუპე!—ლუღლუღებდა შეშინებული ყურბანა. კალონიასთან ერთმა ნემენცმა ცხენს თავი დაუჭირა. წუხელის მეც დაჭერილი ვიყავი. დღეს გამომიშვეს! საბუთი უნდა მიუტანო იმისი, რომ ცხენი ჩემია. ვინ მომცემს.

ფაშამ თავში ხელი შემოიკრა:

რა ღმერთი გაუწყრა, როგორ გამოტვინდა. ასეთი რამ როგორ მოუვიდა!? ხომ ჰნახა, ცხენი ნემენცური იყო? რათ გაგზავნა კალონიაზე! რატომ ტფილისზე არ გაჰგზავნა!

ცხენის პი,ვნამ კურაგინი ძალიან გაახარა. ხელში გორგლის წვერი ჩაუვარდა და მთელი გორგლის გამოშლა ეხლა ადვილი იყო.

ყურბანამ მოწმობა ვერ იშოვნა, ცხენის ნიშნები ნამდვილად არავინ იცოდა. ბოქაული მას სდევნიდა. ისიც იმალებოდა.

ალიბეგ ალას ეს ამბავი ძალიან ეწყინა.

— რასა ღორობს, ეგ ქოფაკ ოღლი, ეგა. რაც ცოლი შეირთო სულ მთლად დაჰკარგა ჭკუა. იმდენი როგორ ვერ მოისაზრა, რომ ცხენისათვის ადამიანურად ეპატრონებინა.

ორი მხრიდან დაიძრა და წამოვიდა განკარგულებანი: ერთი მოდიოდა პოლიციისგან და მეორე ალიბეგასგან. ეს განკარგულებანი ერთმანეთს სადღაც უნდა შეხვედროდნენ და დასჯახებოდნენ.

ცხენის ამბავმა დიდ სახიფათოში ჩააგდო ალიბეგა.

კვლავ დაიძრა ბორჩალოდან ფეშქეშები.

ერთი გრძელი ხალიჩა წავიდა ტფილისში.

დაჭერილ ცხენს ჩაფრები დააქანებდნენ მაზრაში: საკუთარ ცხენებს უბრთხილდებოდნენ და ხან რომელი ჩაფარი ეჯდა ზურგზე ამ ცხენს და ხან რომელი.

პატრონი თავს იკლავდა. მას ცხენი უნდოდა. ბოქაულს კი ყაჩაღის დაჭერა სურდა და ცხენი ფეხებზე ეკიდა.

ყურბანას მფარველობა ალიბეგ ალამ იკისრა. ისა ჰმალავდა.

ერთ დღეს ბოქაულ კურაგინს საიდუმლო პაკეტი მოუვიდა: კურაგინი ახალქალაქის მაზრაში იყო გადაყვანილი. რად, რისთვის? თითონაც ვერ გაიგო მაგრამ ყაჩაღების საქმეც, ცხენიც, ყველაფერი აქ დარჩა.

მისი მოშორების შემდეგ, საქმე უფრო გაადვილდა. ალიბეგ ახლა სოფელში მოვიდა და უშუალოდ თითონ დაუწყო საქმეს გაგებლობა.

რაკი კურბანამ ცხენი თავისად აღიარა, სხვა გზა აღარ იყო: მას ცხენის საკუთრების მოწმობა უნდა ეშოვნა. დაწვრილებით უნდა ყოფილიყო ამ მოწმობაში ცხენის ნიშნები. ისე დაწვრილებით ის არავინ იცოდა და კურბანამ ხომ სულ არა. რაღაც მოხერხებულ დროს ელოდა ალიბეგა და არა სჩქარობდა.

კურბანას კი ჯიბეში ედო მოწმობა თავის საკუთარი ცხენისა.

ერთ დღეს ალიბეგას აცნობეს, მამასახლისთან ჩაფარი მოვიდა და იმ ცხენზე ზისო.

მამასახლისს ხალილოვისაგან ცხვარი მიუვიდა და ცხვარს ფაშაც მიჰყვა.

საღამოთი კი ჩაფარმა საბოქაულოს თავლაში კურბანას ცხენი დააბა. უბეში მას ორი თუმანი ედო.

ამ ფულით ჩაფარმა ორ დღეს იქეიფა.

მეორე დღეს კურბანა თამამად მივიდა ახალ ბოქაულთან და ორი მოწმობა მიუტანა: ერთი იყო ექიმისა, ორი თვეა კურბან ოლლი ავად არისო.

— ამიტომ ვეღარ გიახელით, ბატონო. ტფილისში ვწამლობდი თავს. — მოახსენა ბოქაულს კურბანამ.

მეორე მოწმობა ცხენისა იყო.

კურბანამ თავისი ცხენი წამოიყვანა.

ნემენცი კი თითქოს დარწმუნდა რომ ცხენი მისი არ აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ვერა გაეგო რა.

ყველა გადარჩა თუმცა იაფი არ დაჯდა ეს გადარჩენა, ხალილოვს კი ფაშას უტვინობა ისევ აჯავრებდა. უკვე სამუდამოდ დარწმუნდა, ფაშა ჩემთვის გამოსადეგი აღარ არისო: რაკი ერთხელ დაშინდა, უკვე ადვილად ჩავარდება ხათაბალაშიო, იმაზე უარესში, რომელშიც ცხენის მიზეზით ჩავარდა და მთლად დაღუპავს ყველასაო.

ასეთი კაცი გამოსადეგი აღარ არის. ან რა საჭიროა ქვეყნად იყვეს ისეთი კაცი, რომელიც აღარაფერში ვარგა და რომელიც მხოლოდ მოწმედ გამოდგება და რომელსაც ცოტა არ იყოს სისხლიცა ჰმართებს.

მაგრამ ფაშა დამშვიდდა. დაინახა, ხალილოვი აღარ მიჯავრდებაო. პირიქით უფრო დაუმეგობრდა. ქირვობასაც დაჰპირდა, თუ თამამა ვაჟს გააჩენდა.

## XII

## სისხლი გამოჩნდა

თამამას ქალი ეყოლა— საქინა! ალიბეგა ქირვად ვერ გაუხდა, მაგრამ ამისი სიტყვა უკვე ჰქონდა მიცემული და ქირვად იხსენიებოდა. ამათი მეგობრობა და ნდობა უფრო განმტკიცდა და ამ მეგობრულის კილოთი ალიბეგამ ისეთი რამ უთხრა ფაშას, რამაც ფეხქვეშ მთელი დედამიწა გამოაცალა.

— კაცო! იცი რა ამბავია?—გულდაწყვეტილად უთხრა ერთხელ ხალილოვმა.

— რა ამბავი უნდა იყვეს!?

— ხალილ ალას სიკვდილს სულთანოვები შენ გაბრალებენ.

ფაშას ფერი წაუვიდა. უკვე ხუთი წელიწადი გავიდა ხალილ ალას სიკვდილის შემდეგ. ეს ამბავი ყველას ჰქონდა დავიწყებული. ჩოფურ ოღლის ეგონა, ეს ამბავი მარტო მე ვიციო. მოწმე მარტო მთა იყო. ნუთუ ყველაფერი გამომჟღავნდა.

ალიბეგ ალასთან საქმის დაჭერა არ იყო საშიში.

— სადაც კაცი არ მოელის, უბედურება იქ დაუხვდება.—წაილაპარაკა ფაშამ, თითქოს თავის გასამართლებლად.

ალიბეგა კი ამ სიტყვების სათავეს მიხვდა: ფაშამ უნებლიედ ის წარმოსთქვა, რაც გულში ედო, მართლაც და აქედან არ მოელოდა ფაშა უბედურებას.

— რას იზამ, ფაშავ!—სთქვა ხალილოვმა; უკვე დაბეჯითებითაც იცოდა, რომ ფაშა იყო ხალილ ალას მკვლელი.—მაგრამ არა უშავს რა, საქმეს მოვაგვარებთ.

—მეორე, სულთანოვები მე რად მაბრალებენ? ან რატომ აქამდის არ ამოიღეს ხმა?

— ეგ სწორედ არ ვიცი. მაგრამ იმ დღეს კი მითხრეს ეს ამბავი.

— საბუთი რა აქვთ?

დამნაშავე სწორედ საბუთს ეძებს თავის გასამართლებლად.

— მნახველი ყოფილა.—თავი ჩაღუნა ალიბეგამ თან კი ქვეშ-ქვეშ გახედა. ფაშამაც პირი მიიბრუნა, ალბად იმისთვის, რომ ალას სახეზე არაფერი შეეტყო.

— მნახველი? ვინ არის?—წამოიძახა ფაშამ.

ისევ გაითვალისწინა ის, რასაც ითვალისწინებდა, მაშინ, როცა ალიბეგას ამხანაგობაზე ხელს იღებდა. ერთბაშად წარმოუდგა თვალწინ დაღუპული სიცოცხლე, დაკარგული ცოლი.

— ვინ არის მნახველი?

ვინც არის, რა შენი საქმეა.

გატყდა ჩოფურ ოღლი და მეტი რაღა იყო საჭირო?

— მაშ არ უნდა ვიცოდე ვინ არის ჩემი მტერი?

— რა საჭიროა? ან რა მტრობაა აქა? მნახველი სულთანოვების კაცია და მართლის მთქმელი.

— მითხარ ვინ არის! წამოიძახა გაბრაზებულმა ფაშამ.

ის ველარ მოახერხა და ვერა სთქვა: მნახველი ვერ იქნება, რადგანაც მკვლელი მე არა ვარო.

— არ გეტყვი.—გულმშვიდად უპასუხა ხალილოვმა.

— რატომ?

— კმარა ის მტრობა, რაც ეხლა სულთანოვებისა და შენს შორის არის. მნახველი თუ დავასახელო, შენ იმას ჩამოემტერები, ის შენა—და ამით შენი საქმე უფრო გაფუჭდება. შენ ისა სთქვი რას აპირებ.

ფაშა არას აპირებდა. გონება აღარ მუშაობდა.

— რა უნდა დავაპირო?

— რა პასუხი გავცე სულთანოვებს.

— რაც გინდა ის უთხარ. მე იმათი სისხლი არა მმართებს.

გაჰქრა ყველაფერი. გაჰქრა მშვიდობა სულისა; დამძიმდა ცხოვრება.

ცოლს რომ უცქეროდა ფაშა, ჰგრძნობდა, დაკარგული ჰყავდა და უფრო უყვარდებოდა. იმასაც ჰხედავდა, რომ სწორედ ამ სიყვარულმა ჩააგდო ამ უბედურებაში. თამამა იყო დამნაშავე და კვლავ სიძულვილით აივსო ფაშა.

დაღვრემილ ფაშას ცოლი დარდს ატყობდა.

წინანდებური მიზეზიანობა ისევ დაიწყო ქმარმა. ცოლი კი თვალებში უცქეროდა, სიტყვა-გადაკვრით ეკითხებოდა, უკან დასდევდა, უთვალთვალებდა და ვაჟკაცს აბრაზებდა.

ღამე, ქმარს რომ მიუწვა და მიეხახუნა, თაჴამამ იგრძნო, ვაჟკაცი დაცემული იყო. ქმარმა ხელი ჰკრა ცოლს და კბილები დააკრაჭუნა.

თავის თავზედაც მოსდიოდა ბრაზი: ჰხედავდა, რომ შეშინდა და დაძაბუნდა. სად დაჰკარგა ყოჩაღობა, ვერ გაეგო.

წინედ ასეთი რამ ვერ შეაშინებდა: თუ ძალიან გაუჭირდებოდა საქმე, სამუდამოდ გავიდოდა ტყეში, მთაში. გადასახლდებოდა. ეხლა კი ეს შეუძლებელი ჰგონია: სად წავიდეს, რა უყოს ცოლს, შვილებს, ოჯახს, ქონებას.

სულთანოვები არ მოისვენებენ. ცეცხლს წაუკიდებენ. შვილს მოუკლავენ და ძმასა.

ჩავარდა კაცი ორმოში და ზედ ჯადო გადაეფარა.

ქმრის ხელის კვრაზე თამამამ დაიკვნესა და ტირილი დაიწყო.

ფაშას შეეცოდა ქალი, აინთო სიყვარულით, მაგრამ საალერსოთ გული მაინც ვერ მოიბრუნა.

— შენი დეიდაშვილები ხალილ აღას მოკვლას მაბრალებენ.

სახე გაუშეშდა ფაშას, რაც ამ ხუთი წლის წინად მოხდა ყველაფერი ერთბაშად გადაეშალა თვალ-წინ. თითქოს აქამდის არ იცოდა და მხოლოდ ეხლა დარწმუნდა, რომ მართლა თითონ იყო მკვლელი.

აქამდის თავს იმართლებდა თავის საკუთარ თავისავე წინაშე, მაგრამ ეხლა დარწმუნდა, მტყუანი ვარო და უფრო შეშინდა. თავის მართლების უნარი დაჰკარგა.

ცოლმა ქმრის სიტყვებზე თავში შემოიკრა ხელები და ლოგინზე წამოჯდა. თვალ წინ ერთბაშად წარმოუდგა ის რაც ამის შემდეგ მოხდებოდა: თავის წინ მწოლარე ქმარი მკვდარი დაინახა. იმ წუთს აღარც კი ეგონა, თუ ფაშა მართლა ცოცხალი იყო. ეს ფაშა უკვე მკვდარია. ტყვიით განგმირული წევს აქა. სისხლი გადაენთხშევა მთელს გვარს და ნათესაობას.

— რათა?—წამოიძახა ქალმა.—

თვალები დაუდიდდა, საცვალ ქვეშ მხრები და მკერდი უთრთოდა.

— რათა? მერე და, შენ მოჰკალი?.

ქმარი დააკვირდა ცოლს და თვალი თვალში გაუყარა.

ის იყო, თავის გონებაში თავი მტყუანი დაინახა და ეხლა ცოლს ტყუილი ვერ უთხრა, მაგრამ ვერც სიმართლის სათქმელად დაიძრა ენა. ჩააშტერდა ცოლს თვალებში და სახეზე შესაბრალისობა გამოეხატა: თუ ეს საყვარელი ადამიანი გაუდგება ისე, როგორც გაუდგებიან ეხლა სხვები, ამ დედაკაცის ნათესავები?

ქმრის შესაბრალისი თვალები და სახე ცოლმა მიიღო და დარწმუნდა, რომ ფაშა მისი დეიდაშვილის მკვლელი არ იყო: უყვარს ცოლი და დეიდაშვილს არ მოუკლავდა.

ეს შეუძლებელია. ფაშა რომ ხალილ ალას მკვლელი იყვეს, არა სჯობს თამაშას, ამით ხომ დაჰკარგავს ქმარსა.

ღამეს ვიშ-ვიშით და მკვნესარე ძილით გაიარა.

— წავალ. მამას მოველაპარაკები. —უთხრა დილით მთელი ღამის ნადარდმა და უძილო ცოლმა,

ფაშამ შეხედა და ხმა არ გასცა: რაც უნდა მოხდეს, ვიც რა უნდა სთქვას, ვისაც რა ჰსურს ისა ჰქნას, ოღონდ კი ეს საქმე დაწყნარდეს.

ალიბეგ ალამ რაკი გაიგო მართალი, გულმა ველარ მოუსვენა. მეორე დღესვე ეწვია სულთანოვებს.

სულთანოვები, დიდი ქონების პატრონნი, დიდი ნათესაობისა და ნაცნობმეგობრების მყოლნი, ხალილოვს ყოველთვისა სჭირდებოდნენ. მათი გულის მოგება, მუდამ საჭირო იყო.

ალალარას, ნათესავს და განთქმულ ყაჩაღს დიდი მოწიწებით და პატივით დიუხვდნენ, დაიკლა ცხვარი, ფლავის ქვაბები შესდგეს. მთელი გვარი დაფაცურდა.

ხალილ ალას ძმა არა ჰყავდა და ალიბეგ ალა მის ბიძაშვილებთან მივიდა.

სადილობამდე ხალილოვს ჩაი მიართვეს.

ტახტზე მოკეცილი ალიბეგა ტკბილ ჩაის მიირთმევდა და დინჯად ლაპარაკობდა.

გვერდით მარტო მოხუცი სულთანოვი ეჯდა, ხალილ ალას ბიძა. ახალგაზრდობა ფეხზე იდგა და სტუმარს გულ ამღვრეული უსმენდა.

მართლა და დიდი ამბავი მოუტანა გვარს ალიბეგამ: ხალილ ალას მოკვლის ამბავი.

რუსულის კარგი მცოდნე, ქალაქად გასული, ტფილისის მაღალ წოდებაში მიღებული ხალილ ალა ნათესავებს დიდად სწამდათ და აფასებდნენ. ახალგაზრდა იყო, მაგრამ მისი პატივი უფროსებსაც კი ჰქონდათ. ეს პატივი და სიყვარული ეხლა უფრო გაიზარდა და გაარჯილდა, ეს საწყენიც იყო და დიდი შეურაცხოფაც.

— მართალ ამბავს გეუბნებით: თითონ მკვლელის პირით მაქვს გაგონილი. აი, აქ, ჯეელებში ვამბობ ამას. ჯეელების საქმეა... შენ ჩემო ბიძავ—მიუბრუნდა ხალილ ალა მევლიუდ სულთანოვს—მოხუცი ხარ და ამ საქმეში ვერ გამოდგები. ღმერთი იყვეს ამათი შემნახავი.

ბებერმა მევლიუდამ თავი ჩაჰკიდა და დაფიქრდა.

— ეჭვები კი მქონდა ხალილ ალას სიკვდილისა, მაგრამ ის კი არ მეგონა თუ მაგ საქმეს ის ლაწირაკი ჩაიდენდა.

— ჩაიდინა.

— შენი მადლობლები ვართ, მტერი დაგვანახვე. მაგრამ... მოხუცი ვარ და სისხლის თავი არა მაქვს.

— შენ რა. მაგისათვის სხვები გყვანან გვარში, ღირსეულები. ჩემი მოვალეობა შევასრულე ხალილ ალა- ხმა აძალლებით და მეტი მოურიდებლად წარმოსთქვა ალიბეგამ და თან ჯეელებს გადახედა — ჩემი ნათესავი იყო და ჩემი ვალი იყო მეთქვა თქვენთვის.

— ალავ! იქ არ იყავი, როცა მაგას გეუბნებოდა ის ლორი ისა. რატომ იქვე არ გაათავე? ხომ შენიც ნათესავი იყო ხალილ ალა.— დაიძახა ერთმა ახალგაზრდამ.

მოხუცმა მევლიუდამ შეუბღვირა, უფროსების ლაპარაკში რად ჩაერიეო. ალიბეგამ შეხედა ჯეელს და ჩაიცინა.

— შენ სისხლის ამღებად ვერ გამოდგები, რადგანაც ჯერ ძალიან პატარა ყოფილხარ. გონებით მაინც. ჩოჯურ ოღლის ჩემი ბიძაშვილის შვილი ჰყავს ცოლად და იქაც ნათესაობა მაქვს. დურსუნ ალას მე ვერ გავაჯავრებ. ამას გარდა ხალილ ალა თქვენი გვარისაა და არა ჩემისა. მოვალეობა თქვენია.

თამამას მამა უქეიფოდ დაუხვდა. ლოგინში იწვა და თავზე ხილაბანდი ჰქონდა წაკრული.

მამის ავადმყოფობა ორნაირად ეწყინა ქალსა: ეს ავადმყოფობა საქმეში უშლიდა ხელს, ავადმყოფს ხომ ვერ შეაწუხებდა და თვით უქეიფობაც საწყენი იყო; დურსუნ ალა მოხუცს ციება ერყოდა.

თავის დარდი ქალმა დედას შესჩივლა.

დედამაც თავში შემოიკრა ხელები: დისწული მოიგონა და ცრემლები გადმოჰყარა.

— მართალი ვიყავ, მაგ ყაჩაღისათვის რომ არ მემეტებოდი.

— რა იყო დედი.—უპასუხა შვილმა:—ფაშა არ არის მკვლელი, ვიცი. ეს მხოლოდ შარია. ფაშას ჩემსავით არავინ იცნობს.

— ის ისეთი ყაჩაღია, რომ კიდევაც მოჰკლავდა.

— არა. არა. არა.—იძახოდა თამამა. ქვითინებდა.

— შენ რა გადარდებს. შენ რა შუაში ხარ. ფაშამ იცის და იმისმა საქმემ.

— მოჰკლავენ!

— შენ კარგად იყავი. უკეთესს გიშოვნი.—დამშვიდებით უთხრა დედამ.

სიდედრს ეჯავრებოდა სიძე. ქალი დისწულისთვის უნდოდა და ვიღაც ყაჩაღმა კი წაართვა.

— ფაშა! ფაშა უნდა მოკვდეს? როგორ შეიძლება!

შვილის მოტანილი ამბავი ცოლმა ავადმყოფ ქმარს მაინც უთხრა:

— გაიგე შენი ყაჩაღი სიძის საქმე?

მამამ დაუძახა შვილს და ტახტზე დაისვა.

თამამა შიშის და მუდარის თვალით უცქეროდა მამას: ერთად ერთი ნუგეში და ხსნა ეხლა მხოლოდ ეს მოხუცი ავადმყოფი მამა იყო: თუ მოისურვებდა—საქმეს გაარიგებდა კიდეც, შეარიგებდა. მთელს საცხოვრებელს გაიმეტებს თამამა, ყველაფერს, ოღონდ ფაშა გადარჩეს.

მამა დიდხანს უცქეროდა შვილს. იცოდა, თამამას რომ უყვარდა ქმარი და ებრალებოდა შვილი.

— რას ვიზამთ. თუ ფაშა მტყუანია, პასუხიც უნდა აგოს. ადათია.

თამამას გული გადუქანდა: იცოდა მამა დიდი დამცველი იყო ადათისა. მაგრამ განა ფაშა აღარ უნდა იყვეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფაშა არ არის დამნაშავე. არა. არა.

— თუ ალიბეგ ალამ იცის, მაშ მართალია. იმას ყველაფერი დაეჯერება. იმას დაუჯერებენ და შენ კი არა.

ეს ისეთი სიმართლე იყო, რამაც თამამას ტირილი დააწყებინა.

— სულთანოვებს კარგად ვიცნობ.—განაგრძო დურსუნამ:—ძალიან გულქვა და ამაყი ხალხია. თავისას არ დასთმობენ. ისინი ბევრნი არიან. ფაშა მარტოა. ერთი ბიძა ჰყავს მოხუცებული და უშვილო და ერთი ძმა. ამით უფრო გათამამდებიან და ფაშა იმათ ვერ ებრძოლება.—დინჯად ლაპარაკობდა დურსუნ ალა და ქალის გულის დარდის გუნდას უფრო ამძიმებდა.

— შერიგება, მამავ, შერიგება. შენ შეგიძლიან შეგვარიგო. ფაშა მაინც არ არის მკვლელი.

— შენ რა, შვილო! მართალია, შენი ქმარია და საქებურია რომ ეგრე იქცევი, მაგრამ რას ვიზამთ? პასუხისმგებელი ფაშაა. ეგ არ იქნება, სხვას გიშოვნი...

დედის სიტყვები უთხრა მამამაც. კვლავ დაიწყო ქვითინი.

წუხანდელს აქეთ ქმარსა ჰხედავს მოკლულს და გიჟდება. აქ კი, მშობლების სახლში ამ სურათს აცოცხლებენ. აქ ადათია და ადათმა დაჰფარა ბედნიერება, შავი კალთა გადააფარა. რის იმედი-ღა უნდა ჰქონდეს თამამას, როცა მშობლებიც კი ეუბნებიან ქმარი უნდა მოგიკვდესო. მაგრამ მით უფრო ჯიუტი ხდება თამამა.

— წადი სულთანოვებთან, სთხოვე შერიგება.

დურსუნ ალამ შუბლი შეიკრა.

— მე, მოხუცი კაცი, იმ ლაწირაკებთან უნდა წავიდე?!

— რათა ლაწირაკებთან, მამავ!

— მაშ ვინ არიან. სისხლს ჯეელები აიღებენ.—ძალიან გულგრილად ამბობდა მამა ამ სიტყვას.

— ჩემგან ხომ არ გესწავლება მამავ! სისხლის ამღებნი ჯეელები არიან, მაგრამ საქმე მოხუცებულების ხელშია. ისინი გადასწყვეტავენ საკითხს. მევლიუდ ალას მოელაპარაკე. ის არის იმათ გვარში უფროსი.

— რაც დედაშენი შემირთავს და იმათი მოყვარე გავმხდარვარ, სულთანოვებისათვის არა მითხოვნია რა. ეხლა თავი დავიმდაბლო!

— მაშ კაცი უნდა მოკვდეს?

— თუ კი ერთი მოკვდა?

— რა ვქნათ. მეცა ვარ დამნაშავე თუ ფაშამ ის უბედური ჩემი გულისათვის მოჰკლა, ეხლა ქმრის მოკვლაშიაც მე გამოვიდე მიზეზი!?

— მე რა ვქნა?

— ფაშას არავინა ჰყავს. თუ შენც არ დაუჭერ მხარს, მაშ ვინ ეყოლება ქომაგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე რა. მეც და ჩემი გვარიც ჩავრიო სისხლში?

— არა, მამავ, არა. შერიგება შეგიძლიან მოახდინო.

— ეს როგორი ხალხი გაჩნდა!—ჩაილაპარაკა დურსუნ ალამ,— აღარც დიდი იციან, აღარც პატარა, აღარც ადათი, აღარც სირცხვილი. ქმარზე ისე ლაპარაკობ, თითქოს დარიგება არ იყვეს საჭირო.

მეტი ლაპარაკი ველარ გაუბედა ქალმა და თვალცრემლიანი მოშორდა მამას.

დურსუნ ალა კი დაუფიქრდა საქმეს.

თამამა საყვარელი და ნაზიერი შვილი იყო მისი. ქმარი რომ მოუკლან, ალბად უბედური იქნება, რადგანაც უყვარს ქმარი. ცოდოა ფაშაც, მთლად ამოწყდება.

თამამა მამის სახლს არ მოშორდა. ბავშვები აქ მოიყვანა და თავისი აქ ყოფნით მამას თავის თხოვნას და სურვილს აგონებდა. ამით ჰაურდა გაეტეხნა მოხუცი. მაგრამ იგი უკვე თითონ გატყდა. ეხლა მხოლოდ მოლონიერებას ელოდა.

თამამას გონება კი არეული ჰქონდა. სულ ის ეჩვენებოდა, ვითომც მისი დეიდაშვილების გვარი დაეცა მის სახლს და მოჰკლეს ფაშა.

თამამამ ფაშა დროებით ტფილისში გაჰგზავნა. თვალს მოაშორა.

ერთი კვირის შემდეგ დურსუნ ალა ცხენზე შეჯდა და სულთანოვებთან წავიდა.

თამამა ცოტათი დაიმედიანდა.

## XIII

## მოციქული

მივიდა თუ არა დურსუნ ალა სულთანოვიანთს, ცხენიდან ჩამოხტომისასვე იგრძნო, რომ არ უნდა მოსულიყო. მევლიუდ ალამ დაინახა თუ არა მოყვარე, მაშინვე მიხვდა მისი მოსვლის მიზეზს.

მიგებებაშივე გამოიხატა ყველაფერი.

სულთანოვებს ხალილ ალას მოკვლის ამბავი ახალი გაგებული ჰქონდათ. მისი სიკვდილის შემდეგ ხანი იყო გასული, გული ისე აღარ ეწოდათ, როგორც პირველ ხანად. მართალია, ფაშას ჯავრი ედოთ გულში, მაგრამ ჯერ მხოლოდ საქმის მოსაზრებას აპირებდენ, გადაწყვეტილი კი არა ჰქონდათ რა. ოჯახში, გვარში ლაპარაკი ჰქონგათ, მითქმა-მოთქმა, მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ მხოლოდ ამღვრეულ გულის და ჯავრის ლაპარაკი იყო. ალიბეგ ალას მოტანილი ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო, ასე ადვილად ვერას გადასწყვეტდენ. იგონებდნენ ხალილ ალას სიკვდილის წვრილმანსაც კი, მის სიკეთეს, აფასებდნენ მას.

ხანდახან ეჭვშიაც კი იყვნენ: იცოდნენ, ალიბეგ ალას და ჩოფურ ოღლის უთანხმოება ჰქონდათ და ამბობდნენ, იქნებ ხალილოვმა მოიპორაო. მაგრამ თამამას შერთვა მოწმე იყო იმისი, რომ ჩოფურ ოღლის ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი.

დურსუნ ალას ავადმყოფობაც იცოდნენ და ეხლა მისმა მისვლამ უკვე უყოყმანოდ დაარწმუნა სულთანოვები ყველაფერში.

მევლიუდ ალას რომ შეხედა დურსუნამ და ჯეელებს გამჭრიახი თვალი, მიხვდა, ჩემი აქ მოსვლა საჭირო არ იყო, ან ნაადრევიაო.

მისალმებაში, ცხენის ჩამორთმევაში, ხმაში, დურსუნ ალა ჰგრძნობდა, ისე დამიხვდნენ, როგორც მტრის ბანაკიდან მოსულსაო.

— მაინც, რა მეჩქარებოდა აქ მოსვლა? ჯერ ხომ ხმა არაფერი გამოსულა, არაფერი ვიცით.—გაიფიქრა დურსუნ ალამ და გონებით დაუწყო თავის აქ მოსვლის გამამართლებელ მიზეზს ძებნა.

საქმე ის არის, რომ თუ კაცმა მოციქულობა უდროო დროს დაიწყო, სამოციქულო საქმე მოლად ჩაიშლება.

სულთანოვები, რაკი ამ საქმეზე მოსული დაინახეს დურსუნ ალა, თავს გაიზვიადებენ, ფეხს დააჭერენ, უარს იტყვიან სისხლის აღებაზე, თავს მოიკატუნებენ, ან ერთ ისეთ რამეს მოიგონებენ, რომ გააცურებენ, გააცრუებენ კაცსა და დურსუნს თავმოყვარეობას შეულახავენ.

ყველაფერი ეს კი თამამას ბრალი იყო. ჯერ უმიზეზოთ გადირია. თავი დაჰკარგა. სწორი და ნამდვილი ამბავი ვერ მიუტანა მამას. თითონაც ველარაფერი გამოჰკითხა. დარწმუნებული იყო, თამამამ ყველაფერი იცის და იმიტომ ლაპარაკობს ასე დაბეჯითებით და თავგამოდებითო. ამაში მოსტყუვდა მოხუცი. მაგრამ უკვე გვიან იყო.

პირველ მოკითხვისას და ჩაის სმაშიაც დურსუნ ალას გონება ძალიან მუშაობდა და ჰფიქრობდა, თუ თავისი მისვლისა რა მიზეზი ეთქვა. თან თვალს ადევნებდა ახალგაზრდა სულთანოვებს და მათ გუნებას აკვირდებოდა: რას ეტყოდა ეს მათი გუნება, რას მოითხოვდა.

დინჯსა და მოწიწებიან მათ მასპინძლობაში დურსუნ ალა მტრის სულის ქვეთებას ჰყნოსავდა.

ჩაის შემდეგ დურსუნამ ახალგაზრდობას თვალი აშკარად გადაავლო და მერე მოხუც მევლიუდს შეხედა. ისიც მიუხვდა საწადილს და ჯეელებს თავი კარებისკენ გაუქნია.

ოთახში მარტო ის ორი მოხუცი დარჩა.

— გაიკვირვებდი ჩემს აქ მოსვლას მევლიუდ ალავ!—დაიწყო დურსუნამ და თავში ჯერ კიდევ არჩევანი ედვა: რა ეთქვა თავის მისვლის მიზეზი: ნამდვილი თუ მოგონილი და ან რა მოეგონა.

— არა, რათა, ძალიან სასიამოვნო და საპატიო სტუმარი ხარ.—მიუგო მევლიუდამ.

— ჰო! შენც ჩემთვის ეგრეთივე იქნები მაგრამ, მაინც უდროო დროს მოსვლა...

— უდროო დრო რად არის. როცა ინებო, ჩემი სახლი შენი იყვეს. ალბად საქმე გექნება, თორემ ავადმყოფი არ გაირჯებოდი.

— ეჰ! ჩვენში ავადმყოფობას რომ უცქიროს კაცმა სად წავა! ჩვენში ყველა ავადმყოფია. განა არ იცი, შენც ხომ გაციებს.

დურსუნა ხალილოვი სიტყვას აგრძელებდა, სათქმელს ვერ ამბობდა, რადგანაც გადაწყვეტილი არა ჰქონდა, რა ეთქვა.

ელოდა. იმედი ჰქონდა, იქნებ მევლიუდამ თითონ დაიწყოს ლაპარაკიო, მაგრამ იგი აინუნში არას იგდებდა.

დურსუნ ალა კი ეხლა, აქ რომ იჯდა, საზრისობდა, რომ სულთანოვები, ყველაზე მდიდრები არიან ცხვრით, საქონლით და ამათ შერიგებაში, კაცი ფულით ვერ დაახარბებს.

მაშ რა უნდა უთხრას? რას მოსთხოვენ?

ჰხედავდა მოხუცი, რომ მოსვლით უფრო წაახდინა საქმე.

— მარტო მაინც არ წამოვსულიყავი, საპატიო კაცები წამომეყვანა, უფრო უკეთესი იქნებოდა.—გაიფიქრა დურსუნამ:

მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ განგებ წამოვიდა მარტოკა: სახლიდან წამოსვლისას საქმის გახმაურება საჭირო არ ეგონა, მარტოდ მოლაპარაკება ემჯობინებაო, ჰფიქრობდა, დასაწყისში მაინც და სხვა შუაკაცების ჩაბმა საქმეში ხომ ყოველთვის შეიძლებაო.

— ალიბეგ ალა მობრძანდება.—შემოიძახა კარებში ვიღაცამ.

მთელი ოჯახი დერეფანში გაიფინა. რამდენიმე ახალგაზრდა ხალილოვს ეზოს გარედ გზაზე მიეგება. მევლიუდ ალა გვიან გავიდა და სტუმარს დირესთან დახვდა დერეფანში.

ბიძაშვილის სახელის გაგონებაზე დურსუნა უფრო დაიბნა. აღარ იცოდა, კარგ ბედზე მოვიდა ალიბეგა თუ ცუდზე. ან საიდან გაჩნდა ამ დროს აქა.

დურსუნამ არ იცოდა რა ედო გუნებაში ბიძაშვილს, მაგრამ ის კი იცოდა, რომ ცხენის უგუნურ ამბისათვის ალიბეგა ორივეზე იყო გაჯავრებული: სიძეზედაც და სიმამრზედაც.

დიდის მოწიწებით შემოჰყვნენ ალიბეგას სახლში. იმან ქეთილი სალამი მისცა სახლს, ახალგაზრდებს წაღები დაახდევინა, ხელები გადიბანა და ტახტზე ავიდა.

ასე გაიმართა ჩაის სმა.

— შორიდან მოვდივარ. ქალაქიდან. შენთან დიდი საქმე მაქვს, მევლიუდ ალავ!—სთქვა ხალილოვმა და დურსუნას გადაჰხედა.

ეს რომ აქ დაუხვდა, ალიბეგს არ გაჰკვირვებია. ისე მიეგება, თითქოს ელოდა, აქ დამიხვდებაო.

ეს დურსუნას არ მოეწონა: სულთანოვები იფიქრებდნენ, ბიძაშვილები შეპირებულნი იყვნენ აქ ერთად შეყრასაო.

— ჯერ ჩაი მიირთვი, მოისვენე. დაღლილი ხარ. საქმე მერე იყვეს.—უთხრა მევლიუდ ალამ.

— ჰო! არ მეჩქარება. არც ისეთი იოლად გასათავებელი საქმე მაქვს.—სთქვა ხალილოვმა და კვლავ გადაჰხედა ბიძაშვილს.

ეს გადახედვა აბრაზებდა დურსუნ ალას. მართლა და ისე გამოდიოდა, თითქოს განგებ შეიყარნენ აქა.

ტფილისიდან მოვდივარო, ეს სიტყვები უბრალოდ არ იყო ნათქვამი. ფაშა იქ არის. ალბად იმისი გამოგზავნილია. ფაშა ეტყოდა, ჩემი სიმამრი დღეს იქ იქნებაო. ალიბეგამაც აქეთ მოაშურა.—საზრისობდა დურსუნა და მართალიც იყო.

ეს ეწყინა დურსუნას. აქამდის თუ ყოყმანში იყო, ეხლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ეთქვა თავისი აქ მოსვლის ნამდვილი მიზეზი.

როცა სტუმარ-მასპინძელმა გადასწყვიტა, საქმე მერე იყვესო, დურსუნას ეამა: ამ ხანში იქნება მოასწროს და თავის მისვლის სხვა მიზეზი სოქვას.

დაე ისევ ალიბეგ ალამ დაიწყოს ლაპარაკი იმ საქმეზე და ჩაითრიონ საქმეში.

ესე უკეთ გამოვა: თუ სულთანოვები ცარიელას გაისტუმრებენ, თავმოყვარეობა მაინც არ შეილახება.

ჩაის შემდეგ ალიბეგა მოსასვენებლად წამოწვა.

მევლიუდმა დურსუნაც მიიპატიჟა, უარი მიიღო:

— მეჩქარება, მევლიუდ ალავ! თუ შეიძლება მომისმინე და წავალ.

— რა გეჩქარება. მოითმინე. შენი ბიძაშვილიც აქ არის. ერთად წახვალთ. უკვე გვიანაა. დაგიბნელდება.

ალიბეგ ალა ბურანში იყო, მაგრამ ეს ლაპარაკი მაინც შეესმა. ბურანშივე მოისაზრა ყველაფერი, რაც ხდებოდა.

ფაშასაგან ხომ იცოდა, რისთვის იყო აქ მოსული დურსუნა და ეხლა თუ ასე მალე აპირებს წასვლას, ალბად აქ ნიადაგი ვერა ნახა და გაპარვა უნდა.

— არ წახვიდე, დურსუნ, არა. შენთანაც მაქვს საქმე.—დაიძახა ტახტზე მწოლარე ალიბეგამ ისე, რომ თვალიც არ გაუხელია.

— კარგი. რაკი აგრეა, დავრჩები.—უპასუხა დურსუნამ, კარი გააღო, დერეფანში გავიდა და მასპინძელიც თან გაიყოლა: მაინც უნდოდა თავისი მოსვლის მიზეზი სხვანაირი გამოეყვანა.

დერეფანში მევლიუდს უთხრა.

— აი მევლიუდ! ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ საჭიროა, სხვას ველარ მივმართე. ალიბეგაც არ იყო სოფელში. ისე კი ყველას ხომ ვერ გაუყადრებს კაცი თავსა. ერთი მოჯამაგირე მიდის. აღარა დგება. მამა მოუკვდა და ოჯახს უნდა მიხედოო. ფულსა მთხოვს. ერთი ხუთი თუმანი დამჭირდა. შენ თუ ვერ მოახერხებ, ალიბეგას გამოვართმევ.

ამისი თქმაც ძნელი იყო: სულთანოვისთანა კაცისგან ფულის სესხება, ხარბისა, ძუნწისაგან. მაგრამ ამ ჟამად მეტი გზა არ იყო.

— ერთი კვირით მინდოდა ფული. მერე ტფილისიდან მომივა...

უნდოდა ეთქვა სიძე მომიტანსო, მაგრამ ფაშას სახელი ველარ ახსენა.

მევლიუდ ალას დურსუნას სიტყვები გაუკვირდა: დურსუნას იმისგან ფული თავის დღეში არ უსესხნია. თითონ კი ბევრჯელ წაულია, უსარგებლოდაც.

— კეთილი. ამ საათში არა მაქვს, მაგრამ სიმამრიშვილსა ჰმართებს. ამჟამად აქვს კიდევაც სახლში ფული. კაცს გავგზავნი და დილამდის გადმოვატანინებ.

მაინც დარჩენა მიხდება და არა უშავს რა.

დურსუნმა თავისუფლად ამოისუნთქა: რაც ძნელი იყო უკვე დასძლიოს.

შუა დღე იყო, ალიბეგა რომ დაწვა და მზის ჩასვლამდის ეძინა. ამ ხანში მევლიუდამაც და დურსუნამაც ორჯელ დაიძინეს და გაიღვიძეს. [illegible] შიოდათ, მაგრამ სტუმრის გაღვიძებას ელოდნენ.

ვახშმობისას გაიღვიძა ალიბეგამ. პირის დაბანვა მოითხოვა.

ახალგაზრდა სულთანოვი წყალს რომ უსხამდა, მევლიუდას რაღასაც ეჩურჩულებოდა.

დურსუნამ ეს ჩურჩული შეამჩნია. ცუდად მოხვდა გულში: ალიბეგა თითქოს იმ საქმეზე ლაპარაკობდა.

სუფრაზე კი ალიბეგ ალა თამამად დაელაპარაკა სულთანოვს:

— შუა კაცად ვარ გამოგზავნილი. ქალაქში ფაშა ვნახე. თქვენი კაცის მოკვლას იმას აბრალებთ. ის კიდევ შერიგებას გთხოვთ. აი, დურსუნ ალაც აქ არის და მოვილაპარაკოთ. მე ამისი ბიძაშვილი ვარ და თქვენიც დეიდაშვილი.

სულთანოვმა თავი დაღუნა. კედლის ძირას, ფეხზე მდგომი ახალგაზრდები შეირხნენ, ატოკდნენ.

— მე ისე ვიცი, რომ ჩემი სიძე არ არის მაგ საქმის ჩამდენი.

— მაშ ვინ არის?—კითხა სულთანოვმა.

— ეგ არ ვიცი. აკი გადირჩეხაო.

— გადირჩეხა, რა ბავშვი ის იყო—უპასუხა მევლიუდამ.

— ყისმათია. ხიფათი ყველას მოუვა.

— რა ლაპარაკი უნდა, ხიფათიც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მნახველი გვყავს.

— ერთი კაცის მოწმობა არ იქნება. ვინ იცის დუშმანია. მოწმეს მოწმე უნდა.

— ალბად გვყავს.

— თუ აგრეა საქმე, რაღას უყურებთ?

— ჩვენც ვიცით რასაც ვუყურებთ. ჩვენ ისეთი კაცი ხომ არ მოგვიკლეს, რო არად მივიჩნიოთ, უბრალოდ ჩავატაროთ მისი სახელი. ხალილ ალას სახელს ღირსეულად უნდა მოხსენება.

— მევლიუდ ალა მართალია. ხალილ ალა უბრალო კაცი არ იყო. გვარის თვალი იყო. არც სულთანოვები არიან ულირსნი. კაცები ჰყავთ. მაგრამ საქე ეს არ არის. საქმე ის არის, რომ ჩვენ ყველანი ნათესავნი ვართ. ფაშაც ნათესავად ჩაითვლება. შეიძლება, საქმე კეთილად გავათავოთ.

— მე ჩემი სიძისაგან პირი არა მაქვს. არ ვიცი რას იტყვის და რას არა, მე მის მაგივრად ვერ ვილაპარაკებ. ვიცი მხოლოდ, რომ ის თავს არა სთვლის დამნაშავედ.

— მაგისთანა საქმეზე ვინ იტყვის ჩემი ჩადენილიაო.—უპასუხა მევლიუდამ.

— დურსუნამ ხმა აღარ გასცა. რაც უნდა ყოფილიყო, სულთანოვებს ერთი დიდი საბუთი ჰქონდათ: თამამა ხალილ ალას საცოლე ფაშას სურვებია და შეირთო კიდეც. ამიტომ ერიდებოდა დურსუნა ამ ლაპარაკს: თითქოს თითონაც დამნაშავე გამოდიოდა: მისი ქალის გულისათვის მოკვდა ხალილა.

— მაგას თავი დავანებოთ. სულთანოვები სისხლს ფაშასა სთხოვენ.—ჩაერია ლაპარაკში ხალილოვი.—შენ შენი სიძის მაგივრად კი ნუ ილაპარაკებ, შენ შენით ილაპარაკე. გავიგოთ, ესენი რას იტყვიან. მერე იმასაც გავაგებინოთ.

— რა ვიცი. აბა რას იტყვის მევლიუდ ალა.—სთქვა დურსუნამ.

ჯეელებმა ულვაშები გადიგრიხეს. და ხანჯლებზე ხელები დაილაგეს. მათ მევლიუდამ თვალი გადაავლო და დააწყნარა.

— მოითმინეთ. დრო გვაქვს. მოვილაპარაკებთ.—უპასუხა სულთანოვმა.

დურსუნა ბრაზობდა. თავის თავზე გული მოსდიოდა, ასეთ სულელურ ყოფაში რომ ჩავარდა.

სულთანოვი ლაპარაკს თავს არიდებდა. ალიბეგ ალაც, აშკარა იყო, იმათ მხარეზე იდგა. წელანდელი საიდუმლო ჩურჩული პირის ბანვის დროს რომ ჰქონდა ალიბეგას სულთანოვთან, გულში ჩარჩა დურსუნას.

მევლიუდა უფრო ჩუმად იყო. პასუხის თქმას ერიდებოდა. უფრო ბიძაშვილები ლაპარაკობდნენ: თითქოს ესენი უნდა მორიგებულიყვნენ.

პურის ჭამა გათავდა და შედეგი არაფერი იყო.

დილის საუზმეზე ისევ ალიბეგამ დაიწყო ლაპარაკი:

— რას იტყვი, მევლიუდ! რა პასუხი წავუღოთ ჩოფურ ოღლის.

— რა უნდა ვთქვა. მე სისხლი არ მინდა.

— ეგ კარგია: დანარჩენი ადვილი იქნება.

— დანარჩენს მე ვერ გეტყვით. ეგ ხომ მარტო მე არ შემეხება. გვარის საქმეა. ზარალი ხალილ ალის დედისაც არის.

ცხენებზე რომ სხდებოდნენ, დურსუნამ ვერ მოითმინა. უნაგირზე სწორდებოდა და მასპინძელს ჰკითხა:

— მაინც როდის მოგვცემთ პასუხს.

— რა ვიცი. ჩვენ მაგ საქმეზე ლაპარაკი არა გვქონია რა. ამ ერთ-ორ კვირაში ალბად მოვიფიქრებთ, ნათესავები ვართ.—უპასუხა მევლიუდამ.

გზა ტალახიანი იყო. წუხელის ეწვიმნა და ბურუსიც იდგა. სოფლამდე ოცი ვერსი იყო. მდინარესა და ჭაობიან არხებზე მიდიოდა გზა. „სომხის ეკონომიაზე“ კი გზა ქვიშით იყო დაფენილი და ლაფი არ იყო.

დურსუნ ალა უგუნებოდ მიდიოდა. რაც გუშინ გამოსცადა ისიც აწუხებდა, უბრალოდ ნასესხები ხუთი თუმანიც, მარცხენა უბეში რომ ედო, გულს უმძიმებდა, თითქოს ძუძუ უნდა ჩამოსწყვიტოსო. ბურუსიან ამინდზე ჯანში მტვრევა დააწყებინა. იგრძნო, ციება ისევ აეშლებოდა.

შეურაცხყოფილი და დარდიანი მისდევდა ბიძაშვილს, რომელიც რაღასაც ლაპარაკობდა, ხელებს იშვერდა, სომხებს ახსენებდა. მაგრამ მისი ლაპარაკისა დურსუნას არა ესმოდა რა, დაუფიქრებლად აძლევდა პასუხს.

წვიმაზე მდინარეს ემატნა და ფონი მოსანახავი გამხდარიყო.

ალიბეგმა მალე იპოვნა ფონი და ცხენი შეაგდო. დურსუნაც მას მიჰყვა. მაგრამ ჯანავადმყოფიანმა, ფიქრში წასულმა ნაპირს თვალი ვერ დაავლო. ცხენმა წაიბორძიკა, წინა მუხლებზე დაიჩოქა და დურსუნას წყალი წელამდის შემოადგა. მალე მოვიდა დურსუნა გონსა: ფიქრები გადიყარა. ცხენი ჩამოაყენა და გასცურდა.

თამამა შინ დაუხვდა.

კატასავით შეჰყურებდა თვალებში. მაგრამ ლაპარაკის [illegible] დასველებულ და დაღლილ მოხუცს მოსვენება ესაჭიროებოდა.

გაჯავრებაც შეეტყო მამას და ვერა გაუბედა რა.

დურსუნამ ლოგინს მიაშურა.

მხოლოდ საღამოთი გაიგო თამამამ მამის მოტანილი პასუხი.

არაფრად ღირდა. ისევ ლოდინი იყო საჭირო და გული ისევ შიშით და ბოლმით უნდა ყოფილიყო სავსე.

სულთანოვებმა დაპირებული ვადა გაუშვეს და არა შემოთვალეს რა. ისე კი ყველგან ლაპარაკობდნენ, სისხლს არ გამოუდგებითო, მაგრამ ფაშას არა სჯეროდა: როგორ იქნება, სისხლი არ იძიონ!

დურსუნ ალამ მევლიუდას ვალი შვილის ხელით გაუგზავნა, იქნებ რამე ამბავი მოიტანოსო, მაგრამ სულთანოვებმა საქმისა არა შემოთვალეს რა.

უარესად დაშინდა ფაშა. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო:

სულთანოვები ჩემსავით ცოტანი რომ იყვნენ, ერთი ან ორი კაცი, არა მიშავს რა — გავბედავ და ამოვწყვეტავო — ჰფიქრობდა ჩოფურ ოღლი. — მაგრამ უბედურება ისაა, სულთანოვები ბევრნი არიან: ერთი და ორი რომ მოვკლა სისხლი უფრო გაარჯლდებაო. ეხლა თავს იმით მაინც იმართლებს, რომ ამბობს, მე არა ვარ მკვლელიო. მაშინ ხომ ამას ველარ იტყვის.

თამანა დურსუნ კიზი უარესად დაიბნა: ქმრის დარდიც ჰქონდა და მამისაც.

თითქმის სამი თვე გახდა, რაც მამა ლოგინად არის: ფერდს იტკიებს, გამუდმებული ციებ ცხელება აქვს. ახველებს. ვერც ლოცვებმა უშველეს, ვერც სოფლის ექიმბაშებმა და ვერც შულავერიდან მოყვანილმა ნასწავლმა ექიმმა.

დურსუნ კიზი თავის თავსა სდებდა ბრალს:

— მე რომ არ გამეგზავნა მამა იქა, არც წყალში დასველდებოდა და არც ავად გახდებოდაო. რაღაც უბედური დედაკაცი ვარ: ხალილ ალას მოკვლაშიაც მე მიდევს წილი, მამის ავადმყოფობაშიაც და ქმრის უბედურებაშიაც.

უბედურება ახლა სხვაც გაჩნდა: ალიბეგ ალას წასვლის შემდეგ ყაჩაღები გამრავლდნენ. იალღუჯის გზებზე გავლა შეუძლებელი გახდა. ყაჩაღები სოფლებშიაც შედიოდნენ. ქურდობაც გახშირდა. კაცის კვლაც.

პოლიციამ ეჭვები ფაშაზე მიიტანა, მაგრამ ჩოფურ ოღლი იმან იხსნა, რომ მისი საქონელიც გაიტაცეს — თხუთმეტი სული.

მათ კვალს და ძებნას ფაშა ვერ შეუდგა: ამ საქმეზე სიარული ხიფათში ადვილად ჩააგდებდა. ვინ იცის, იქნებ სულთანოვების მოხერხებულიც იყო საქონლის გატაცება.

ფაშამ ვაჭრობასაც დაანება თავი: შიშით ველარ მიდიოდა ქალაქში. ასე თუ წავიდა საქმე, ოჯახი დაიღუპება.

ბრაზობდა ფაშა, ტიროდა თამამა.

ყველა უბედურობის სათავე კი იმაში იყო, რომ სულთანოვები ხმას არ იღებდნენ. მაგრამ შუა კაცი არავინ იყო: სიმამრის ოჯახში ამაზე ლაპარაკი

აღარ შეიძლებოდა: ავადმყოფი ბრაზობდა, როცა თავისი მარცხი აგონდებოდა.

ფაშამ ცხვარი დაჰკლა. ფლავი მოხარშა და სტუმრები დაპატიჟა: თავის სოფლის მოლა, სეიდი, და ახუნდს. ერთი ახუნდი სულთანოვების სოფლიდანაც მოიწვია.

— პირველადვე თქვენ რომ გამეგზავნეთ შუაკაცებად, უკეთესი იქნებოდა. ისინი თქვენ პატივს დაგდებდნენ, მაგრამ მოვტყუვდი.— ეუბნებოდა მათ ფაშა და შუაკაცობასა სთხოვდა.

— მართალია, ფაშავ! მაგრამ ჩვენი ესრედ წასვლა არ იქნება. თან ნათესავი ვინმე უნდა გაგვატანო.

— განა თქვენ არ იცით, რომ არავინა მყავს? ერთი ძმა მყავს და ის იქ ვერ გამოჩნდება. ბიძა მოხუცია, თუ წამოვა არ ვიცი... მაგრამ ის ბებერია. არაფერში გამოგადგებათ.

— ცოლის ძმები? ამისთანა საქმეში ცოლის ნათესავები უნდა იყვნენ, იმათთან სისხლი არ არის.

— არ წამოვლენ. მამა ჰყავთ ავად და თანაც მამისგან აღკრძალული აქვთ სისხლის ამ საქმეში ჩარევა.

შუაკაცნი მარტონი წავიდნენ, მაგრამ ფაშას იმედი მაინც არ ჰქონდა. მესამე დღეს ამბავი მოუტანეს:

სულთანოვებს შემოეთვალნათ: სისხლს არ ვეძებთ. ფაშამ ზარალი აგვინაზღაუროსო; საზღაურს ასეთს თხოულობდნენ: ათას თუმან ფულს; ფაშასა და მის ძმის გადასახლებას. ამას გარდა, ფაშა ცოლს უნდა გაჰყროდა. ამის შემდეგ თამამას ერთ-ერთი სულთანოვი ითხოვდა, რადგანაც თამამა თავიდანვე სულთანოვების რძლად იყო ნათქვამი და ხალილ აღას მკვლელობაც მისი მიზეზით მოხდა.

ეს შერიგების პირობა კი არ იყო, ეს დაცინვა იყო, მასხარად აგდება.

მიხვდა ფაშა, რომ კვლავ წააგო საქმე: კვლავ გასცა თავისი თავი, და კვლავ უარესად გაფუჭდა საქმე.

ყველაფერი შეიძლება გაიმეტოს კაცმა: ფულიც, ქონებაც, შეიძლება გადასახლდეს კიდეც, მაგრამ ცოლი... ცოლის წართმევა! სად გაგონილა! თავის მტერს, თავის ნებით ვინ დაუთმობს ცოლსა. მაინც და მაინც რა უნდა მოხდეს ისეთი? მოჰკლავენ, სხვა ხომ არაფერი. მოჰკლავენ და მოჰკლან. ცოლს მაინც არ გაჰყიდის, მტერს არ გაახარებს, არ ათქმევინებს, ცოცხალი თავით წავართვით ცოლიო.

ბევრნი არიან სულთანოვები, მაგრამ ფაშასთანა ერთიც არა ჰყავთ.

თამამამ თავში წაიშინა და მამის ოჯახისაკენ გაიქცა: მამა ჰყავს, ძმები. ნუ თუ ისინი არ დაიფარავენ, გადააგდებენ, მტერს ჩაუგდებენ ხელში. ან რას იზამს ფაშა? დასთმობს ცოლს თუ არა. ან როგორ უნდა დასთმოს? რაც ქონება აქვს ფაშას ქორწინების პირობაში უწერია: თუ გაეყრება, ეს ქონება თამამას უნდა მისცეს. რომელ ერთს ეს ქონება: სულთანოვებს თუ თამამას. რას იტყვის სამშობლო, გაიმეტებენ შვილს თუ ვერა?

კარებში ძმა დაუხვდა.

იმას შეჰბლავლა თამამამ:

— გაიგე ძმაო, ჯაფარ! გაიგე რა შემოსთვალეს სულთანოვებმა!

ბიბლიოთეკა

ჯაფარამ ტუჩებზე ხელი მიაფარა:

— სსუ!

თამამა შეკრთა.

ძმას ამღვრეული და დარდიანი სახე ჰქონდა.

ოთახიდან დედაკაცების ბღავილი შემოესმა. შეიხედა თამამამ და ტახტზე სუდარა გადაფარებული მამა დაინახა.

დედაკაცების ბღავილს თამამას ხმაც შეუერთდა.

## XV

## ქელეხში

დურსუნ ალას დასაფლავებას თითქმის მთელი ბორჩალო დაესწრო: ნათესავები, მეგობრები, ქირვები შორი სოფლებიდან მოვიდნენ.

ყველა სულთანოვის გზისაკენ იცქირებოდა; მოვიდოდნენ თუ არა: ისურვებდენ თუ არა მოსისხლე მტერთან შეხვედრას. მაგრამ მოვიდნენ. ხუთი კაცი მოვიდა მათი.

დასაფლავების და ქელეხის საქმეში სარისტის მიმცემი ფაშა იყო. ის დატრიალებდა სახლში და კარში: ის აკვლევინებდა საქონელს, იმან მოიტანა ბრინჯი, ალჯანაბადი, წაბლი, ქიშმიში, ლაბლაბო, ჩაი, შაქარი.

გარედ, ეზოში, ქვებზე შედგმულ დიდრონ ქვაბებს ის დასტრიალებდა თავსა და მისი ხელმძღვანელობით მზადდებოდა ფლავიც, ხაშლამაც, ყაურმაც.

ყოველი სოფლიდან მოვიდნენ მოლები, ახუნდები, სეიდები.

ჟამდაჟამ ბღავილი და გულში მუშტის ცემის ხმა მთელს სახლსა და მიდამოს ავსებდა. ეს ხმა სოფელს ედებოდა და შორიდანვე საზარი იყო.

სულთანოვები და ფაშა ერთმანეთს ერიდებოდნენ.

მუშაობაში გართულ ჩოფურ ოღლს, ახალმა საფიქრებელმა და საოჯახო უბედურებამ გონება დაუმშვიდეს. თუმცა თავის დარდი გონებიდან არ გამოსდიოდა, მაგრამ, ეხლა უფრო მშვიდად აზროვნებდა. რაკი გარეშე და ახალმა საქმემ გონების ძალა და გულისყური გაუნახევრა, სიმშვიდე შევიდა მის სულში. მოსაზრებანი უფრო გამჭრიახი იყო.

ეხლა აქ ფლავის ქვაბებს რომ ჩაჰყურებდა ფაშა, მიხვდა, თავის საქმეში თავიდანვე ძალიან აჩქარებულად მოქმედობდა. მიხვდა, ამდენი მოციქულების გაგზავნით სულთანოვები უფრო გათავხედდნენო. მაინც და მაინც ამ ჟამად, ასე საჩქაროდ საშიში არა იყო რა. სულთანოვები დღეს და ხვალ არას იმოქმედებენ, რადგანაც ამბავი ახალია. და ფაშას რამე რომ მოუვიდეს ეჭვს ყველა სულთანოვებზე მიიტანს.

ასე აშკარად კაცის მოკვლა არ შეიძლება. კარგი მაშინ არის მტრის მოკვლა, როცა მკვლელს ვერ დაიჭერენ და ვერ გაიგებენ.—ეს იციან სულთანო-

ვებმა და ალბად ამიტომ არ აჩქარდებიან, დროს დაუცდიან, დაახანებენ, ვიდრე ლაპარაკი მისწყდება, ყველა დაივიწყებს ამ ამბავს. ხომ უკვე წლებია გასული ხალილ ალას სიკვდილის შემდეგ: გული გაგრილებულია, ჭრილობა ახალი არ არის. სულთანოვები აგრე ადვილად აღარ აჰყვებიან გულის თქმას.

ამ სამი წლის წინედ რომ გაეგოთ ხალილ ალას სიკვდილის ამბავი, მაშინ, შეიძლებოდა, სულთანოვებს ერთბაშად რამე ჩაედინათ. ეხლა კი, გონება დამშვიდებული აქვთ და საზრისობენ.

სულთანოვები დიდხანს არ დარჩნენ დურსუნ ალას ოჯახში. ისინიც ერიდებოდნენ ფაშას. დაასაფლავეს თუ არა მიცვალებული, მაშინვე წავიდნენ. ისიც საკმარისი იყო, რომ მოვიდნენ აქ, სადაც მტერს შეხვდებოდნენ. ფაშა ამან უფრო დაამშვიდა. ამ მოსვლით გამომჟღავნდა, რომ ასე მოკლე ხანში სულთანოვები არას აპირობდნენ.

რაც უფრო მეტად აკვირდებოდა თავის საქმეს ჩოფურ ოღლი, მით უფრო მეტად მშვიდდებოდა.

აქამდის თავს ამიტომ უბრთხილდებოდა, რომ ოჯახი და ცოლი ენანებოდა: ეხლა კი, რახან სულთანოვების პირობა ცოლს შეეხო, ფაშასათვის სულ ერთი იყო, როგორ დაჰკარგავდა ცოლს, თავისი სიკვდილით თუ იმით, რომ მტერს დაუთმობდა. ეს მეორე უფრო უარესი იყო: ცოლი თავცოცხალს უნდა დაეთმო.

თამამას გული კი ვერ დამშვიდდა! მამის სიკვდილში თავს დამნაშავედ ჰგრძნობდა; ყველაფერში თავის თავს სდებდა ბრალს.

დურსუნ ალას დასაფლავების შემდეგ მის სახლში ტირილი და ბღავილი ერთბაშად შესწყდა. სრული მყუდროება ჩამოვარდა და ოჯახის მეთაური ახლა უფროსი შვილი—ჯაფარა გახდა.

ფაშაც ცოტა დამშვიდებით იყო.

## XVI

## ახდილი ფარდა

დამშვიდდა ფაშა. მისი სიმშვიდე ცოლსაც გადაედო. მაგრამ ამ სიმშვიდემ დიდხანს ვერ გასტანა.

სწორედ ამ დროს გაიგო ფაშამ ისეთი ამბავი, რამაც სულის სიმშვიდე პირქვე დაამხო. ჩოფურ ოღლი ალიბეგას ეხლა მგლის თვალით უცქერდა.

სულთანოვიანთ ბავშმაც კი იცოდა, რომ ხალილ ალას მოკვლის ამბავი იმათ ალიბეგამ მიუტანა. სულთანოვებს სულ ამის ლაპარაკი ჰქონდათ. ეს ხვაშიადი გვარიდან სულთანოვების ცოლეულებში გადავიდა. ნელა დაძვრებოდა ეს საიდუმლო და ბოლოს ყველამ გაიგო, ვისთვისაც კი საინტერესო იყო. ყველამ იცოდა—ჩოფურ ოღლის გამცემი ალი ბეგ ალააო.

ფაშას ყურში ეს ამბავი ყველაზე გვიან ჩავარდა: ცოლს ბიძაშვილებმა უთხრეს. ცოლმა ქმარს. ამის შემდეგ ჩოფურ ოღლის გული მუდამ აშლვრეული იყო. ალიბეგას შეხვედრას ერიდებოდა. იგი სანდო აღარ იყო.

ერთ საღამოს ასტყდა ძაღლების ყეფა და ჩოფურ ოღლის ალიბეგს ეწვია. ეს პასუხი იყო იმისი, რომ ჩოფურ ოღლი მასთან აღარ დადიოდა.

— ქალაქიდან ვაჭრები მოდიან. მატყლს მევაჭრეებიან. ხვალ საღამოთი ჩემთან იქნებიან. გადმოდი და მოვურიგდეთ. შენ უფრო გამოცდილი ხარ. — უთხრა ალიბეგამ ფაშას.

ფაშამ თვალი თვალში გაუყარა, წარბები შეიკრა და დინჯად უპასუხა:

— არა, აღავ! ვერ გადმოვალ.

— რატომ!

— არ იცი, რამდენი დუშმანი მყავს? დღისითაც კი ვერიდები სიარულს და ღამით ხომ არსად დავდივარ.

— კაცო! ვინ არის შენი დუშმანი?

— აღამ, განა, არ იცის?

— ალბად სულთანოვები გყავნან გუნებაში.

— თუნდაც ისინი.

— მერე ისინი აქ საიდან გაჩნდებიან? იმათ რა იციან, ამ ოცი ვერსის მანძილზე შენ სად იქნები?

— ვინ იცის, დუშმანს ათასი თვალი აქვს და ათასი ხელი. მტერი კაცს სწორედ იქ დაუხვდება, სადაც არ ელის.

— კი, მაგრამ, იმათ რა იციან რომ შენ კარში იქნები?

ალიბეგას მიპატიჟებამ ჩოფურ ოღლის გულში გაჰკაწრა: სხვა დროს რატომ არ დაუბარებია ასეთ საქმეზე? ალიბეგამ თითონაც კარგად იცის ვაჭრობა. ეჭვებით გაივსო დაშინებული ფაშა.

ალიბეგ აღას კი სულ სხვა ჰქონდა აზრად:
მას ჰსურდა ერთხელ კიდევ ცდილიყო მის დაახლოვებას, მისთვის გადაეცა თავისი სავაჭრო, საქმეები და თუ ყაჩაღობაში არ გამოადგებოდა ფაშა, სავაჭრო საქმეში მაინც გამოეყენებინა. ამით ალიბეგა მეტად იქნებოდა თავისუფალი და თავის საყვარელ საქმეს უკეთესად შეასრულებდა.

ფაშას კი ასეთმა ლაპარაკმა უფრო აღუძრა ეჭვები.

— იციან. მტერმა ყველაფერი იცის, როცა მეგობრები ჰყავს.

— აქ ვინ არის იმათი მეგობარი?

— რა ვიცი. კაცის გულს ვინ წაიკითხავს. სოფელში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ხომ იცი, კაცი ძმასაც არ უნდა ენდოს.—უპასუხა ფაშამ, კვლავ ჩააცქერდა თვალებში და მერე პირი იბრუნა: — ჩემი მტრის მეგობარი, ჩემი მტერია.

ხალილოვმა თავით-ფეხებამდე ჩაათვალიერა მოსაუბრე და მკვახედ ჰკითხა:

— მაინც!

მიხვდა, ფაშას ეს სიტყვები მე მეხებაო.

ალიბეგ აღამ ეჭვებით მიხვედრა არ იცოდა. ყოველთვის ზედმიწევნით მიხვდებოდა ხოლმე ყველაფერს. მისი ეჭვი მუდამ ნამდვილი იყო. თითონაც კარგად იცოდა, რომ სულთანოვებისაგან უნებურად გასული ამბავი მთელს ბორჩალოს მოედო, ფაშას ყურებამდისაც მივიდოდა.

— მაინც!—შეეკითხა ისევ ალიბეგა.

— არაფერი—უპასუხა ფაშამ და ოთახში გაიარ-გამოიარა. —ყველას ხომ ვერ ვენდობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ უკვე ორივემ გადაწყვეტით იცოდა, რომ მათ შუა საერთო აღარაფერი იყო. ეს კი არა, ალიბეგ ალას ნამდვილი მტერი გაუჩნდა: ვინ იტყვის, რომ ამის შემდეგ ფაშამ დაინდო?

მით უკეთესი ხალილოვისათვის: მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა მისი თავიდან მოშორება და მით უარესი ფაშასათვის: მეგობარი დაჰკარგა და მტერი გაიჩინა.

ერთი კვირაც არ გავიდა ამის შემდეგ, რომ ფაშამ ალი ჩაჰმედ ოღლის ძმების ძროხებში სულთანოვების ძროხები იცნო.

საიდან გაუჩნდათ მათ ეს ძროხები? სულთანოვებს რომ გასასყიდი საქონელი ჰყოლოდეთ, ამისი ხმა არ გაპოსულა არც სოფლად, არც ბინებში. ალის ძმები ამ ძვირფას ძროხების მყიდველები ვერ იყვნენ.

რაღაც კავშირია ალიას ძმებსა და სულთანოვებს შუა.

ალიას მოკვლის ნამდვილი ამბავი მხოლოდ ალიბეგამ იცოდა. სხვამ არავინ. იმისი დარიგებით და მითითებით მოჰკლა ალია ჩოფურ ოღლიმ. ისე კი მთელმა ბორჩალომ იცოდა, რომ ალია ჩაფრებმა მოჰკლეს. ალიბეგას შიშით ფაშას ხმას ვერავინა სცემდა: არავინ ამბობდა, ფაშა თუ მკვლელი არ არის, მონაწილე მაინც არისო. მაშ ისევ ალიბეგამ გასცა ფაშა და ალიას ძმებს აცნობა, თუ ვინ იყო მათი ძმის მკვლელი.

სამი მხრიდან მოდიოდა მტერი და ჩოფურ ოღლის გასაქანი ეკვროდა. მეოთხე გზა იყო გადასახლება, მაგრამ მტერს ამითაც ვერ გაექცევა.

## XVII

## ცეცხლი

კიდევ მოვიდა გაზაფხული. დოლი ადრე დაიწყო. თითო-ოროლა ბატკანი იანვრის ბოლოშივე გაჩნდა. შემდეგ იმატა და აპრილში სამუშაო გაჩაღდა.

ჩოფურ ოღლი ცხვარს ველარა შორდებოდა. დღე-ღამ ბინებში უხდებოდა ყოფნა. იაილუჯა ხალხით გაივსო. ყველა თავის ცხვარს უვლიდა.

ზამთრის შემდეგ მინდორი სიცოცხლით ივსებოდა: ახალი ცხოვრება იწყებოდა, ახალი სიცოცხლე იბადებოდა. ჩვილთა ბლავილმა გაავსო მიდამო. ბალახთან ერთად მინდორში ბატკნებიც ამოდიოდნენ.

ამ მუშაობამ ფაშა გაიტაცა. ზამთარი კარგი იყო, თბილი. საქონელს საკვები ჰქონდა და ცხვარი დოლს ღონიერი დახვდა. ქონებას ქონება ემატებოდა.

ყველაფერი დაავიწყდა ფაშას. მტერი ძალიან მშვიდად იყო. ისიც გართული იყო საქმეში.

რამდენი ხანია მტერი ჩუმად არის. ამ სიჩუმესთან ერთად ფაშა უფრო ფხიზლობს, მაგრამ ეხლა გახურებულ მუშაობაში ყველაფერი დაავიწყდა. დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღამ არა აქვს მოსვენება, ცხვარი გაბმით ბარტყობს, და გონება იღლება. წვრილმანს ველარ მისდევს.

ღამე ხშირად მოუხდება ხოლმე ბინაზე დარჩენა.

ამალამაც ეგრეა. ჩათვლემას ვერ ასწრობს, ხან ერთი ცხვარი დაიბღავლებს მშობიარობის გასაჭირში, ხან მეორე. აქეთ იქით გარბის; მწყემსები და მისი ძმაც დაიქანცნენ.

აგერ ერთ ცხვარს გაუჭირდა, ნაყოფი მრუდედ წამოვიდა. ცხოველი თავს ძალას ატანს, თვალები სისხლით გაევსო. წინა ფეხების მუხლებზე იჩოქებს, კვნესის, წვალობს, გაქცევას აპიროებს. დახმარება აუცილებელია. ნაყოფი უნდა გასწორდეს, თუ არა და უნდა გამოსჭრან. ყველა ამ ცხვარს შემოეხვია. დაკუზული ფაშა ზურგზე ხელს უსვამს და ამშვიდებს.

ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. მიხდვრისკენ გაიქცნენ და რაღაცას დაედევნენ.

— გახედეთ, რა ამბავია.

მწყემსმა თოფი გაიყოლია და წავიდა.

გაისმა სტვენის ხმა და ძაღლების ყეფა. სადღაც თოფი გავარდა. მას მეორე მოჰყვა.

— ცეცხლია, ფაშავ! სოფელში ცეცხლია. რაღაცა იწვის. დაიძახა მწყემსმა.

ფარეხიდან გასულმა ფაშამ გაჰხედა სოფელს.

მთელი ის მხარე განათებული იყო. ყვითელ ალს თავზე ბოლის შავი გვირგვინი ედგა და იკლაკნებოდა. ხან წვებოდა, ხან ისევ იმართებოდა და დაგრეხილ ხელებს ცასა ჰხვევდა. სოფლიდანაც ისმოდა ძაღლების ყეფა.

ფაშა დააკვირდა ცეცხლის ადგილს, გაზომა თვალით და მიხვდა, რომ ცეცხლი მის ეზოში იყო. იწვის ამ ზამთარს დარჩენილი თივა. ორი დიდი ძირი. თივა ლობესთან სდგას... ცეცხლი ლობეს მოედება. მერე თავლას, ბეღელს და სახლს.

ერთბაშად ჩაუქრა გული ფაშას. მერე გასწია სახლისკენ.

— ცხენები.—დაიძახა მან.

ორივ ძმა უბელო ცხენებს მოახტა და სოფლისკენ გაქანდა.

თვალები ცეცხლს მიაშტერეს. გზას აღარ უყურებენ. ნაჩვევი ცხენები თავისით მიდიან ამ გზაზე. გონება კი მარტო იმას იკვლევს, თუ რა მოხდა სოფელში.

— ღუშმანის საქმეა. უეჭველია დუშმანის საქმეა. რომელია. როგორ მოახერხა. რა ხდება ეხლა იქ. სოფელი ებრძვის ცეცხლს თუ არა, ალბად ებრძვის. უნდა ებრძოლოს, თორემ მარტო ჩოფურ ოღლი არ დაიღუპება. მთელს სოფელს მოედება ცეცხლი.

შუა გზიდანვე შეამჩნიეს, რომ ცეცხლმა იკლო. მაშ სოფელი მუშაობს. კარგად მუშაობს. მაგრამ ჩქარა, ჩქარა უნდა მისვლა, საკუთარი დახმარების მიტანა.

ცოტა ხანიც—და ცა დაბნელდა.

დამშვიდდა გული.

ეტყობა ლობე ჩასჭრეს და დამალეს. თივა გაჰფანტეს წყალი დროზე მიუგდეს. ყველაფერი რასაც გზაში ჰფიქრობდა ფაშა, ყველაფერი იქ უკვე შესრულებულია. ეხლა მხოლოდ ოჯახია სადარდებელი. როგორ გახარებული იქნება თამამა. ჩქარა უნდა მივიდეს კაცი. მიეშველოს დედაკაცს, ბავშვებს, გაიგოს რა ამბავია.

განათების შემდეგ ცა და ქვეყანა უფრო ჩაბნელდა. თვალი ველარას ჰხედავს. ძაღლებიც გაჩუმდნენ.

ცხენები კი ისევ მიჭენობენ. მაინც საჩქარო მისვლაა საჭირო.

სადღაც წინ, ბუჩქებში პატარა ალმა იფეთქა და თოფის გუგუნმა მიდამო გაავსო. იმ სროლას მეორეც მოჰყვა, მესამეც.

ფაშამ თავი დაჰკიდა, შეტორტმანდა და ცხენიდან გადავარდა.

— ძმაო, გამოგვიტყუეს!

დაიძახა მიწაზე დაცემულმა, გადაბრუნდა, გაიზმორა, ფეხები გაჭიმა და გაჩუმდა.

ნამდვილი ცეცხლი ჩამქრალი იყო, როცა ურემმა თამამას უფრო დიდი და უკვე ჩაუნელებელი ცეცხლი მიაყენა კარებს.

მიხეილ მრევლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხავს მოდებული ნაფოტები

> კაცობრიობის ნამსხვრევებო, წელში მოხრილნო, შემოგხვევიათ ბედის შიში გარს ჩრდილებივით, მომწიფებულნო მარადიულ განსვენებისთვის, თითქოს სალამის და საკუთარი თავის გრცხვენოდეთ, ისე დალოლავთ კედელ-კედელ აჩრდილებივით.
>
> **შ. ბოდლერი.**

## თ ა ვ ი I

ბარაი იაბურ—ასე ეძახდნენ.

ვიღაც გამვლელმა დაარქვა მას, კარგა ხნის წინად. ასე დარჩა. ათიოდ წელი გავიდა მას შემდეგ: ბარაი იაბურ წელში მოიხარა, თმაში ჭაღარა შეერია, თვალები ბაცი და უაზრო გაუხდა, ტუჩებში ღიმილი—არც თუ დამცინავი, არც თუ კეთილი—აუთამაშდა, სახეზედ მკრთალი ნარინჯისებური სიყვითლე აეკრო.

არავინ იცოდა ვინაობა ბარაი იაბურისა.

მეზობლები ხშირად ხედავდნენ მარტოდ მჯდომარეს დანგრეული ქოხის ზღურბლთან, რიდესთან. —მისი თვალი მუდამ ერთ წერტილს გაჰყურებდა. მისი ღიმილი მუდამ ერთნაირი იყო. ხშირად კვირაობით იკარგებოდა ის,—და არ იცოდნენ მეზობლებმა, საით ვიდოდა კაცი უცნობი და უთვისტომო.

სცხოვრობდა ბარაი-იაბურ ქალაქს გარედ, რკინის-გზის დარაჯის დანგრეულ ქოხში. რიდეს ჩამომჯდარი, საათობით გადაჰყურებდა ქალაქს განფენილს მთის უბეში. მისი გამოხედვა აშტერდებოდა ცას, აელვებულს დასავლეთით. შუბის ტარზედ გადახრილ მზეს, უცხოდ ნაქარგ ღრუბლის ჩუქურთმას და ცას გადაწვდილს მთებიდან მთებამდე.

შემოდგომა ახლოვდებოდა. მზე დალუპული გემისავით იძირებოდა. მისი სხივები სწვდებოდა ღრუბლებს და ალის ფეროად ჰღებავდა მათ. თეთრი ღრუბლები ცის ტატნობზედ, უდაბნოდ გაშლილ ქარავანს ჰგავდა. ნელის ნაბიჯით მიგოგმანებდა წყება ღრუბლების.

და იყო უსაზღვრო ცა და იყო უდაბნოს ქარავანი.

სხივი სწვდებოდა ხის წვეროსაც და წითლად შემჭკნარი ფოთლები ტოტებზედ, ჰგვანდნენ წვეთებს წითელი სისხლისას.

ნიავს მოჰქონდა ხმაური ქალაქის და შმორის სუნი სანაგვე ყუთიდან.

იყო სიჩუმე და ამ სიჩუმეში ბარაი იაბურ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სჭრიდა სიჩუმეს, ათასში ერთხელ აკივლებული სხივები ჭანდრიდან და დგანდგარი ხიდზედ მიმავალ ორთქმავალთა. ღამე წვებოდა და შლიდენ ფრთას ჩრდილები დიდი ჭანდრისა. ურიის ქალი ლიანდაგზედ გასულ გოგონას მისდევდა და შემკრთალი ხმით უკან იხმობდა.

— რახილ! დაბრუნდი რახილ!

აციმციმებული ელექტროს ლამპრები მდელოზედ ნაპკურ ცვრებივით ბრჭყვინავდენ. და სადღაც შორს, თითქო ქალაქის მეორე კუთხეში, ელავდა რეკლამა. იხატებოდნენ ცეცხლის ასონი და ისევ ჰქრებოდნენ. იწერებოდა წყება სიტყვების:

„ერბოს მაგიერ საუკეთესო მარგარინ“.

ბარაი იაბურ მაშინალურად კითხულობდა...

სადღაც ყორანმა გადიჩხავლა. შეკრთა შედედებული სიჩუმე ღამისა. ბარაი იაბურ ნელა წამოდგა და სახლს მიაშურა. ჭანდართან რაღაც ჩრდილი შეირხა და წინ წამოდგა.

— ვინ არის?? — შეეკითხა ბარაი იაბურ.

— თქვენი ერთგული მეგობარი, თქვენო ბრწყინვალებავ!

ბარაი იაბურ შეკრთა. ტუჩებზედ ხელი მიიდო და ქოხში შევიდა.

აჩრდილიც შეჰყვა.

ქოხში ბნელოდა. ბარაი იაბურმა ჰრაქი მოსძებნა და აანთო.

მკრთალად განათდა. შავი კატა გადმოხტა ბუხრიდან, შეატრიალა ბჭყვიალა თვალები და ოთახი გადაირბინა. ბარაი შემოსულს მიუბრუნდა.

— რისთვის გარჯილხართ მეგობარო?

— თავადის ქალმა გამომგზავნა, თქვენი ნახვა სურს, დღეს მგონი დღესასწაულია მათი ბრწყინვალების, თანაც თქვენთან რაღაც საქმე აქვს. მოსვლა გიბრძანათ უსათუოდ.

ბარაი შეირხა.

— დღესასწაული?!

— დიახ გრაფ!

— ტს!.. — ტუჩებზედ ხელი მიაფარა, შეშინებულმა მიმოიხედა და შემდეგ განაგრძო. — ეს აღარ წამოგცდეთ. რა საჭიროა ტიტულები. ხედავთ გრაფ ემანუილ გარბო სადა სცხოვრობს... სჭამს დღეში ერთხელ, აკეთებს პატარა საბაშო ტიკინებს და ჰყიდის ბაზარში.

გესლიანად გადიხარხარა. მერე ხელი მძლავრად ჩაიქნია. მიუახლოვდა იქვე მდგომსა და საიდუმლოდ წასჩურჩულა.

— მე მგონია ჩვენ ყველანი ჰკუიდან შევსცდით, ზოგი ფიქრობს რომ ასე სჯობია — ცოტახანს შემდეგ კვლავ დასძინა — წადით. მე მოვალ.

აჩრდილი გაჰქრა.

ბარაი იაბურ სკამზედ ჩამოჯდა, გაჰხედა ცას, ფანჯარაში ვიწროდ მოჩარჩოებულს. ღრუბლები ნელა ირეოდენ, ზოგი შავი — ზოგიც მოთეთრო, ებრძოდენ ერთმანეთს, ერთმანეთში ილესებოდენ.

— გრაფ!.. გრაფ!... შეჰყვირა მან და ზე წამოიჭრა.—ჭკუიდან შესცდი მეგობარო. ნუ გელანდება წარსული დიდება, ეხლა წარსული მხოლოდ ზღაპარია, ლამაზი ზღაპარი.

ბიბლიოთეკა

ბარაი იაბურ კედელს მიეყრდნო. მოგონებამ ფრთები გაშალა.—გადაიშალა უბსკრული წარსულის; სრა სასახლენი, პატივი, დიდება. ახალგაზრდობა უცხოეთში; პარიზი, მონმარტრი, M-me ბლანშ-ეს ინტიმური საღამოები. როზეტ· ლულუ· დაბრუნება სამშობლოსაკენ: პოლიტიკური კარიერა. პორტფელი მინისტრის და რომანი თავადის ქალთან.

მერე!.. მერე კოშმარი: რევოლიუცია, ზარბაზნები, ბრძოლა და სისხლი. ხიზნობა უცხოეთს, ხეტიალი კარიდან კარს, მათხოვარივით. თვალუსწრაფესი დაქანება უბსკრულებისკენ: არაყი, ღვინო, კოკაინი, სპეკულიაცია. ვაჭრობა ცრცხალი ხორცით და საკუთარი შვილის გაყიდვა ამ საყასბოზედ.

და გაიელვა მის თვალებში სტამბულის ქუჩამ, სავსემ ხალხით სხვადასხვა მხრიდან. წვრილ თვალა ბეგის სქელმა პირმა. ოქრომ რომელსაც ითვლიდა ის და შეშინებული შვილის თვალებმა.

— გაჭირვებამ გამაყიდინა!—შეჰყვირა მან თითქოს თავის დასამშვიდებლად.

— მიგაყიდინა ვიღაც უცნობს—უკბინა აზრმა.

— არა ბარაი, მას შემდეგ უკვე ათი წელია. დროა დაივიწყო. დროა ცოდო მოინანიო. ბეგი, რომელსაც შვილი მიყიდე, უშვილო იყო, ის როგორც თავის საკუთარ ბავშვს ისე მოუვლიდა პატარა იურიკს.—და ამ პასუხზედ კვლავ აელვარდა მწარე სიტყვები.

— მამა უსვინდისო, შვილის გამყიდველი!—და ბარაი იაბურ წელში მოიხარა. თვალები დახუჭა, აეკრო ქოხის ნოტიო კედელს. თვალებში რგოლი დატრიალდა, ცეცხლის რკალივით შემოიხაზა დიდი ბეჭედი და ამ ბეჭედში აციმციმდა სახე პატარა ქერა ბიჭისა.

— იურკა!—შეჰყვირა ბარაი იაბურმა და ხელები თვალზედ გადისო, თითქო აჩრდილის წასაშლელად·

ჩამოიზიდა ქოხში ჩრდილები. კატა პატრონს მიუახლოვდა, გარს შემოურბინა და ნელა შეჰკნავლა.

ბარაი გონს მოვიდა. გაახსენდა თავადის ქალი. გულს დარდი ოდნავ გადეყარა. წამოდგომისას ხელი ჩაიქნია, თითქოს ლანდების გასაფანტად. აზრმიუცემლად მიაშურა მძიმე რკინის ყუთს. გაიჭრიალეს ჟანგით შეჭმულ რკინის ბოლთებმა. მათი ჭრიალი მოედო ქოხს და კუნჭულებში გაიფანტა.

დადგა სუნი ნაფტალინისა.

სევდა გამძაფრდა.

ბარაი იაბურმა ამოიღო ძველი სმოკინგი, ყვითელი პერანგი, ყელსაბამი და სამაჯურის ღილთიკები.

როცა ჩაცმული, ბუხრის თავზედ მიყუდებულ, სარკის ნატეხს მიუახლოვდა და შიგ თავის სილუეტს ჩაჰხედა, ღიმილი საცოდავი და საბრალო ათამაშდა იმის ტუჩებზედ. ჭრაქის სიმკრთალე ვერ აჩენდა სრულს მორთულობას. ძველი

სმოკინგი იდაყვებზედ გადამსკდარიყო. ჩამოსჩეჩოდა გამხმარ მხრებზედ ძველი მაუდი. ყელსახვევი მრუდეთ ჰქონდა ამონასკული. სმოკინგის ქვემოდან პერანგი მოსჩანდა, ჭუჭყისაგან გაყვითლებული.

— გრაფ ემანუილ გარბო, ილხინეთ და ისიამოვნეთ! — გესლიანად შესძახა მან. მერე მობრუნდა: ზემოდ მაზარა გადაიცო, თავზედ ფაფახი დაიხურა, ხელთათმანები ძაღლის ტყავისა ჯიბეში ჩაიდო და კარში გავიდა.

ტფილისი ფეთქავდა.

მამადავითის მთაზედ მოსჩანდა დიდი ვარსკვლავი წითელის ფერისა.

გრაფს გააჟრჟოლა.

ცივი ქარი სახეში სცემდა.

ოდნავ ზეუტავდა ფარნები ქუჩისა, სადარბაზო კარებთა ბჭეზედ. ყველა მათგანზედ ახატულიყო ფერწასული „ნუმერო“ რიცხვით. ნესტი შემოდგომისა, წუმპედ გამდგარიყო სველ ქუჩებში. ნიავს, დარაბა აკრულ დუქნებიდან, ახლად დაკრეფილი ხილისა და დამპალი ვაშლის სუნი მოჰქონდა.

ხიდს მიახლოვებული ბარაი იაბურ, მტკვარს დაცქერდა. მიდუდუნებდა ჭაღარა მოხუცი ნელი სრბოლვით. მწყობრად მისდევდა ტალღა ტალღას. სულს-ჩახვეული მრისხანებით ეხეთქებოდა ხიდის სვეტებს, იმსხვრეოდა ათას ჩქეფებათ და ხავს მოდებულ ნაპირებში იკარგებოდა.

„ჩვენში მდინარე ასეთი როდია“. — გაიფიქრა ხიდზედ მდგომარემ და ტალღათ ნაკვთზედ აისახა დიდი ქალაქი. მოაგონდა დღენი წარსულის...

გადმოიზიდა ტალღებიდან ნისლში ჩაფლული პეტ ერბურლი. ამოტივტივდნენ სანაპირონი გრანიტისა. მხედარი ყალყზედ შემდგარი რაშით და სასახლენი მარმარილოსი.

ნევა მქუხარე და მრისხანე. ნევა ორგული და უპირო. და მოედო თითქო მის ტანს, ცივი სიო იმ მდინარისა, გაჟღენთილი სველი ბალღამით. მეტად ძველი და მშობლიური იგრძნო ანაზდათ მოქროლილ ნიავში. ძველი მაზარა ქარს გაეშალნა და ელექტრონის შუქზედ მოსჩანდა, კაცი სმოკინგში, გარინდული ქანდაკისავით.

ის მტკვრის ტალღებში აშლილ ქალაქს გადაჰყურებდა.

ქალაქს ცრემლს და მწუთხეს ცრემლივით.

ამოზიდული ქალაქი წყლიდან, ნისლში ჩაეფლო.

ბარაი იაბურ გამოერკვა. მოჩვენება მტკვარმა ჩაჰყლაპა. მის ნაპირებზედ სჩანდა ქალაქი სულ სხვა ფერისა. მარჯვნივ და მარცხნივ ტფილისი ელავდა, და გადმოჰყურებდა მთებიდან მტკვარს დიდი ვარსკვლავი.

მოშორდა ხიდს.

„დღესასწაული“ — გაიფიქრა აზრ მიუცემლად. ნაბიჯს უმატა. თავადის ქალთან ის ყოველთვის სიხარულს გრძნობდა. იქ კიდევ იყო მოწიწება. იქ კიდევ იყო სურნელება დიდი წარსულის.

უცბად შეჩერდა.

— გრაფ ემანუილ გარბო — მიმართა თავის თავს — როგორ გეკადრებათ დღესასწაულზედ ასე მისვლა, ხელცარიელი!?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარბო შეკრთა.

— ხელცარიელი?..—მას კი ფულის ნასახიც არა აქვს. არც ერთი კაპიკი, არც ერთი გროში!

— შეუძლებელია—იფიქრა მან. თითქოს უკანაც დაიხია, მაგრამ სურვილმა მაინც დასძლია.

— გრაფ გარბო! იქნებ სადმე თაიგული მაინც იშოვოთ, შემოდგომის ყვავილებისა.

— თაიგული ყვავილებისა?.. სად! როგორ! რითი!

გაჰხედა ქუჩას. გადაღმა ელავდა ათას ფერებათ, ათარის პატარა და ვიწრო დუქანი. წინა დაზგაზედ ყვავილები ათასნაირი. ვარდი თეთრი და ვარდი წითელი.

ქუჩა გადასჭრა და დარაბას ცქერა დაუწყო.

— რას ინებებთ—მოესმა ხმა ბებერი მედუქნის—ყვავილები სულ ახალია. მიბრძანებ შევკრა თაიგული?

ბარაი დაიბნა. ყელში რაღაც წაილუღლუღა და გასცდა დუქანს.

თეთრი სახლები და ბოძები ელექტრონისა, ღამის ბურუსში იფლობოდნენ ქუჩაზე ძუკნა მიძუნძულებდა. ათასში ერთხელ ჩერდებოდა, ცას შეჰყურებდა და მთვარეს დაძირულს სქელ ღრუბლებში საცოდავათ შესწკმუტუნებდა.

გრაფს გაეცინა. შეხედა ძაღლსა და ნაღვლიანად გაეცინა. და ეს სიცილი ცარიელი ქუჩის სივრცეში, ისე აგორდა, როგორც ნისლი. და როგორც ნისლი განიფანტა ღამის ბურუსში.

მისდევდა: ქუჩებს. სახლებს. დარაბებს. გაჩირაღდნებულ ყავახანებს და ისევ ქუჩებს, უგზოთ და უკვლოდ.

ერთი ფიქრი ულრღნიდა გულს.—გრაფ გარბოს არ ეკადრება, თავადის ქალთან დღესასწაულზედ მისვლა ასე ხელცარიელი.

ნელი ნაბიჯით მიმავალმა, ქაშვეთის საყდრის ფანჯრებიდან, მკრთალ შუქთა სხივის მონადენ კონას თვალი შეასწრო.

შევიდა ეზოში. აჰყვა კიბეებს. გაკვირვებული შეჩერდა კარებთან.

ტაძარი სდუმდა.

— ილოცე ცოდვილო—უთხრა თავის თავს და მოწიწებით ემთხვია რიდეს.

— ილოცე იურკას სულისათვის—გაუმეორა აზრმა თავში.

საყდრის კარებს მძლავრად მიაწვა და უბრალოდ გადარაზული ნელა შეაღო.

არავინ იყო. იდგა სუნი დამწვარი სანთლების და საკმევლისა.

ტაძრის შუაგულში იდგა წითლად ნაფარი ტახტი. ტახტზედ კუბო. კუბოში ვიღაც ცხედარი ესვენა სამუდამო ძილს მიცემული. ყვავილები შემოდგომისა მიმოეფანტნად მის გარშემო.

იყო სიჩუმე სამარისებური.

კელაპტრები ცხედრის გარშემო და ალოე მწვანე ფინჯნებში, მკრთალ შუქსა ჰფენდნენ ფერწასულ ხატებს. და იყურებოდნენ ჩრდილებიდან, სახეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდანებისა, მკაცრად და პირქუშად. ტრაპეზის თავზედ მოსჩანდა ქრისტე გოლგოთის ჯვარით, გოლგოთის მთაზედ მიმავალი.

იყო სევდა, შიში, ცდუნება და ფარისევლობა.

— ყვავილები! თაიგული ყვავილებისა!—გასტყორცნა სიტყვებმა ბარაის თავში.

ლოცვაც დაავიწყდა. ღმერთებიც. ქრისტეც. ის ნელი ცოცვით მიუახლოვდა კუბოს, აკანკალებული გადასწვდა თაიგულს, რომელიც ცხედრის გულზედ ესვენა, ჩაბღუჯა ხელში და...

ბარაი იაბურ შეკრთა. ცხედარი იღიმებოდა, ყვითელი სახე და ტუჩები გაფითრებული უკრთოდა თითქოს. ნახევრად ხელილ თვალის უპედან, წვეთი ცრემლისა თეთრ ლოყაზედ ედინებოდა.

აკანკალდა ალი სანთლების. აცეკვდნენ ხატები. შეირხა ტაძარი. შეშინებული ბარაი კარში გავარდა.

— მოჩვენებაა, მხოლოდ მოჩვენება—ამშვიდებდა თავის თავს გარბო.

ბოლოს სიომ გამოაფხიზლა.

ყვავილები; ზოგი უაჰფანტოდა, ზოგიც ისევ ხელში ეჭირა. ღიმილი სიამოვნებისა აჰკროდა ტუჩებს. წელში მოხრილი ქუჩას ქურდივით ბრთხილად მისდევდა.

II

თავადის ქალი ქალაქის გარე უბანში სცხოვრობდა. ბარაი უახლოვდებოდა. გადაიარა ვიწრო ქუჩები. ქვაფენილებზედ იდგა ნესტი შემოდგომისა. სარდაფებიდან ამოდიოდა ბოლთან ერთად, შმორი ხავს მოდებულ ნაფოტებისა. გადაღმა შხუოდა წყალი და სიოს მოჰქონდა ოხშივარი ციეი ბურუსის.

ერთ ძომცრო სახლის კარებთან შეჩერდა. გარს მიმოავლო ქუჩას თვალი და ბრთხილად შევიდა. გადაიარა პატარა ეზო სავსე ლაფითა და ნაგავით. მოსძებნა კიბე სარდაფისაკენ მიმავალი და ნელა დაჰყვა.

გაიჰრიალეს ძირ მომპალმა საფეხურებმა.

ბნელოდა. მოსძებნა ვიწრო დერეფანი, შევიდა შიგ. იდგა ჰაერი ლოდივით მძიმე და უძრავი. სადღაც სიღრმეში კედლებიდან მონადენი წვეთი ნესტისა, ეცემოდა ძირ გავარდნილ თუნუქის ტაშტზედ და ჟღრიალებდა თუნუქის ხმა მძიმეთ და ნელა. ათასში ერთხელ ხვადი ღმუოდა და სიბნელეში მისი თვალი ალმასისაებრ პრიალებდა. თავბრუ დამსხმელი სუნი ჰუჰყისა გამდგარიყო მთელს დერეფანში.

დააკაკუნა.

მოისმა პატარა ტაკსის ყეფა. მერე ნელი და ბოხი ხმა.

— ვინ არის?

— შინაური—იყო პასუხი ბარაი იაბურისა, რომელმაც ტანისამოსის შესწორება უკვე მოასწრო და რომელიც ეხლა საჩქაროდ იცვამდა, ძაღლის ტყავისგან ნაკერ ხელთათმანს. ძველი ტყავი იჭიმებოდა და სკდებოდა ხან ნეკზედ ხან ცერში.

კარები გაიღო. ბარაი შევიდა.

ვიწრო ოთახი დაბალი ჭერით სავსე იყო ბოლით და ორთქლით, ავეჯი ძველი და დამტვრეული უწესრიგოთ ეყარა გარშემო. ერთ კუთხეში ხატი ეკიდა, მეორეში დიდი სურათი ლამაზი ქალისა. თაგვებისგან კუთხე მოჭმული გრძელი პანო, ჯვარზედ გაკრული ცოდვილივით იყურებოდა. გობელენი მჴვარტლისაგან გაშავებული, ჰგავდა ძონძს უმაქნისსა და ჰუჰყიანს.

იყო ხავსი.

ღრმა სავარძლები გაცვეთილი წელსაყრდნობებით, გახუნებული ფარდაგებით, კუდმოგლეჯილი ხალიჩები, პირმომტვრეული ლარნაკები, გაბზარული ბროლის თასები, ნამტვრევები იტალიანური გრავიურისა და ქანდაკება როკოკოს სტილისა, ერთმანეთში არეულიყო.

იყო ნაცარი და მოსჩანდა საგნების ჩრდილში უცნაური ბედის ცდუნება·

ჩამოზიდული ოთახის ჩრდილები, ამ ავეჯში იკარგებოდა და ჰგავდა ოთახი, ძველით მოვაჭრე ურიის დუქანს ან ანტიკვარის მაღაზიას, სადაც სურნელება და მტვერი წარსულისა, შეერთებია შმორსა თუ ჟანგს, ლეშსა თუ დამპალი მძორის სურნელებას.

იყურებოდნენ საგნები ისე, თითქოს უნდოდათ ეთქვათ ზღაპარი და ილიმებოდა მწარე ღიმილით, შუად ამოკერილ გაწყალებულ სუფრის ბოლოში, ინიციალი ნ. მ. ო. გვირგვინით, სკიპტრით და თეთრი მტრედით, ნახევრად გაშლილ პერგამენტზედ.

ოთახის ბოლოში ატუზულიყო ტრიუმო ფრანგული გემოვნებისა. ჩატეხილ მინებში მოსჩანდნენ საგნები სხვა და სხვა ფერის და სიდიდის. კუთხე გაბზარულ სარკის პირზედ, ლივლივებდა შუქი სანთლისა და ფერებად ნატყორცნი სხივი, ალმასისაებრ ბრჭყვიალებდა. და სჩანდა მინის ნამტვრევებში, ცისარტყელა შვიდ ფეროვანი: ლალი, მარჯანი, ზურმუხტი, ქარვა და კიდევ სხვა ფერი ათასი და მრავალ-ნაირი.

ოთახში ნავთის ლამპარი ბჟუტავდა. იყო სიყვითლე გაცრეცილი და ხანჯლებივით ეკიდა ჭერზედ, პირბადის მზგავსი აბლაბუდა.

იყო მტვერი.

— მეტის მეტად დაიგვიანეთ გრაფ!—მიმართა შემოსულს თავადის ქალმა.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ! —წაილუღლუღა გარბომ და კონა თეთრი ყვავილებისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაშორებოდა სურნელება საკმეველისა, გადასცა ქალს.

— გმადლობთ, მეგობარო, რათა სწუხდებოდით!—ნასიამოვნები ხმით წარმოსთქვა ქალმა და ყვავილები ცხვირთან მიიტანა.

— საკვირველია, ამ ბოლო ხანებში მეტათ უცნაური ზნე დამჩემდა. ყველგან საკმევლის სუნი მელანდება, ეს ყვავილების ლამაზი კონაც, თითქოს მითაა გაჟღენთილი. რას მოასწავებს ნეტავი ეს—იქნებ ჩემი აღსასრულის მოახლოვებას. ჰა გრაფ! თქვენ როგორ ფიქრობთ?

ბარაი იაბურ შეკრთა და დაიბნა.

— რა მოგახსენოთ—ძლივს-ძლიობით წარმოსთქვა მან.

— არაფერია მეგობარო—დრო არის, დრო!.

გრაფ გარბოს რათა ალელვება გადაეფარა, ოთახში მყოფებს შეუბრუნდა.

სტუმრები გარდა ბარაი იაბურისა სულ ორნი იყვნენ: თავადი წერეთელი, ყოფილი მეფის გენერალი და ვილაც უცხო ახალგაზრდა.

თავადი, გარბოს გასწვრივ იჯდა ღრმა სავარძელში, თეთრად დაპენტილ გრძელ წვერებზედ იყურებოდა და მუხლის თავზედ გამსკდარ შარვალს ხელს იშვიათად აშორებდა. თავადს მგონი საცვალი არ ეცვა.

უცნობი ვაჟი ჩრდილში იჯდა, მოშორებით, მის სახესაც ჩრდილი ჰფარავდა.

გარბომ ოთახს ცერად გაჰხედა.

ოთახი ჰგავდა, გვირაბს—გამოთხრილს ზღვის ტალღებით, ანაზდად შემკულს, წყლით გამორიყულ, ხავს მოდებული ნაფოტებით, დამსხვრეული ხომალდებიდან.

გარბო წერეთელს მიუბრუნდა.

— თქვენა თავადო?..

— ასე... გმადლობთ—წაიზმუკუნა წერეთელმა.

— იმედითა და მოთმინებით არა?

— დიახ გრაფ.

თავადის ქალს მწარედ ჩაეცინა. სიცილი ჰგავდა გაბზარული თუნუქის ხმას. გარბომ შეჰხედა. ქალი გოშიას უალერსებდა, გასუქებულსა და უშნოდ გადღნარულს. გარბომ უნებურად გამოხედვა, იქვე აკრულ, დიდ სურათზედ გადაიტანა. შეკრთა. განსხვავება უსაზღვრო იყო.

სურათი ჰხატავდა ქალის მთელ სხეულს. სარო ტანზედ შემოსალტოდა კაბა შინდისფერი ხავერდისა. გრძელსა და თითქო განგებ ნაკვეთ, ხელის თითებში, ტყავის პატარა როზგი ეჭირა. ფართედ გაჭრილი თვალებიდან იყურებოდა, სიშავე ღამისა და სითბო ალერსის. სისხლისფერ ტუჩებში, ღიმილი ელავდა და ბრჭყვიალებდა მწკრივი კბილებისა, ზღვის ქაფის ფერი კენჭების მაგვარად. სწორი და ოდნავ მოგრძო ცხვირი, გადაჭიმული ნესტოებით, ვნებას ამხელდნენ. კანი პირისა, ნასერი წვრილ ლურჯი მილებით, ლამაზად აწვდილ ბროლის ყელთან და უფრო ნაზი ვიდრე სინაზე პეპლის ფრთებისა—ამკობდა ქალის წარმტაცობას.

ასეთი იყო ეს სურათი. სინამდვილე სულ სხვას ამბობდა.

გარბოს წინ ეხლა ლეში იყო. ჩამოშვებული ღაბაბები ოდნავ ბრწყინავდნენ ლამპრის შუქზედ. ფერდაკარგული, უსიცოცხლო ნაოჭებით ნალარი სახე ემგზავსებოდა სახრით ნაცემ კამეჩის ზურგს. მკრთალი ტუჩები ფითრის ფერისა, ღიმილის დროს, აჩენდენ კენტად დარჩენილ კბილებს, ჩუგუზალივით გაშავებულთ. წამოწეული თვალის კაკლები, იმზირებოდენ გომბეშოს მზგავსად, სავსენი სიხარბით, შიშით და ნდობით. ნაფლეთებიდან, რომელიც ტანს ცუდათ ჰმოსავდა, სჩანდა ხორცი დასიებული და ნაკეცი ათას ნაოჭად. და სდიოდა თავადის ქალს მყრალი სუნი ოფლის და ჭუჭყის.

— წყეული დრო. წყეული დრო—იფიქრა გარბომ და გული აერია.

თავადის ქალი მიუხვდა თითქოს. კაბა შეისწორა. შეხედა სურათს და ამოიოხრა. ეს ოხვრა ჰგავდა მწარე გმინვას და იყო ლოდზედ უფრო მძიმე.

— გრაფ!—მიმართა ქალმა ბარაი იაბურს—მე თქვენთვის მეტად სასიხარულო ამბავი მაქვს.

ბარაი იაბურ წამოიწია.

ჩრდილში შეირხა უცნობის ლანდი.

— ბრძანეთ.

— არა, შემდეგ—სთქვა ქალმა და მაგიდას მიუახლოვდა.

— რათა შემდეგ? ეხლა მიბრძანეთ—იურჩა გარბომ.

ქალმა თითქოს ყოყმანი დაიწყო, მერე უპასუხა.

— არა, მეგობარო, ცოტაც მოითმინეთ. შემდეგ როგორმე, ცოტახანს შემდეგ.

გარბომ ნიშნად გაკვირვებისა, მხრები კისრისკენ აიჩეჩა.

ქალმა ღვინის პატარა თასში წყალი დაისხა და ნელა შესვა.

მაგიდაზედ არა იყო რა, გარდა პირმომტვრეული ჩინური ფინჯნისა და ხმელი ხილის პატარა ყუთისა, რომელშიდაც ხილის მაგიერ პაპიროსის ნამწვი ეყარა. მის შორი-ახლოს მწვანე მინის გრძელი ლარნაკი, ფერგადასული ყვავილებით.

თავადის ქალი მიუახლოვდა ჩრდილში მჯდომსა და ბაასი დაუწყო.

გენერალი გარბოს მიუბრუნდა.

— გრაფ! თქვენ ისევ თქვენი ტიკინებით?

— დიახ წერეთელო. მაგრამ საუბედუროთ თქვენი დედა-ქალაქი ნაკლებად ეტანება ასეთ ტიკინებს. ტფილისს ეტყობა ხუმრობა არ უყვარს.

წერეთელმა ქარაგმულად გადმორტყმულ სიტყვას, პასუხი არ გასცა. ის უფრო ახლოს მიჩოჩდა გარბოსთან და მეტად დაბალი ხმით შეეკითხა.

— როგორა ფიქრობთ გრაფ; ნუ-თუ მართლა არ არის ხსნა?

— იმედი თავადო, იმედი და მოთმინება—შესძახა მან და მტკიცეთ განაგრძო. —ღრუბელი ჩქარა გადაიყრის, ცა მოიწმინდება და დიდი რუსეთის ცისარტყელა, კვლავ ძველებურად იბრჭყვიალებს სამშობლოს ცაზედ.

მოხუცი შეკრთა დიდი რუსეთის გაგონებაზედ, სწორი ლარიეით გაიჭიმა, თვალის გუგა გაუფართოვდა და აბრწყინებულ თვალის კაკლებში, გამოჩნდა მეფე ნიკოლოზ მეორე, ეპოლეტებით.

გარბომ გაჭიმულ წერეთელს შეჰხედა და მის ტუჩებზედ გამოისახა ზიზღი, თუ დაცინვა.

— საუბედუროდ გენერალო! ქართველები მეფის წინაშე მეტად სტყუით.

— ქართველიც არის და ქართველიც, ამას რათ ამბობთ გრაფ!—იწყინა მოხუცმა.

— ჰო! ეს იქნებ მართალიც იყოს. მაგრამ მაინც ყველა თქვენთაგანში რაღაც მატლი ზის, მოყვარული თავისუფლების და რე..ვოლი..უ..ცი..ის... —უკანასკნელი ორი სიტყვა გრაფმა თითქოს დაცინვით სთქვა, მერე დასძინა—ეს მატლი უნდა ძირში ჩაკვდეს, ჩემო თავადო. უნდა მოისპოს.

— თქვენ მართალს ამბობთ გრაფ! უნდა მოისპოს, მაგრამ მაინც ხოგმა ჩვენგანმა არ დაიმსახურა ასეთი წყრომა.

— თქვენზედ არ ვამბობ გენერალო! თქვენ ხომ უკვე [illegible] ხართ სისხლით და ხორცით. ჩვენი ერთგული, ჩვენი პირმშო. —გრაფის [illegible] რაღაც დამცინავი კილო დაეტყო.

წერეთელი ამ სიტყვებზედ თავს მორცხვად ხრიდა. წითლდებოდა პატარძალივით და ნიშნად დიდი მადლობისა, რაღაც გაურკვევს ლუღლუღებდა.

— მაგრამ მოხუცო არ დაგავიწყდეს, რომ შენი შვილი დღეს ჩვენი მტრების ბანაკშია და იქნება თვით შენ მოვიხდეს მისი დაღრჩობა.

— ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა გრაფ! გამოუცდელი.

— სულერთია, მაიც მატლია. ეს უნდა კარგად გახსოვდეს მოხუცო. უნდა გახსოვდეს რადგან კიდევ ცოტა-ღა დაგვრჩენია. დიახ თავადო კიდევ ცოტაც და მერე—ზე-წამოიჭრა, შუბლი შეიკრა, თვალნი დახუჭა და ხელი სივრცეს მიაშვირა—სისხლი და ტყვია ამ საძაგლებს.—და მოულოდნელად თვალებ დახუჭულ ბარაი იაბურს, თითქოს სამარიდან მოესმა ხმა.

— ვის ემუქრები მამაჩემო?!

გრაფ გარბო შეკრთა. ხელი აუთრთოლდა. შვილის აჩრდილი ეხლა ხშირად ეჩვენებოდა და ეს სიტყვებიც მას მიაწერა. თავი შეიკავა და ისევ ისე ამაყად მდგომმა, თვალ დახუჭულმა და ხელ გაწვდილმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა, აჩრდილის კითხვას.

— რე..ვო..ლიუ...ციას... მის ბელადებს... ყველას...

და კვლავ მოესმა ნაცნობი ხმა, უფრო მკაფიოდ, უფრო მძაფრად.

— დამშვიდდით გრაფ, აღელვება არ გეკადრებათ.

თვალთ გაახილა.

შეკრთა.

მის წინ, ჩრდილიდან გამოსული უცნობი იდგა. ახალგაზრდა ქერა თმიანი და ლურჯთვალება. მაღალი ტანით. სახე ნაღარი, მეტად ნაადრევ ნაოჭებით და დარდიანი გამოხედვით.

— იურკა!—შეჰყვირა ბარაიმ.

— მიცან მოხუცო?!—შეეკითხა გრაფს ახალგაზრდა.

„ეხლავ გაქრება, აჩრდილია. არ შეგეშინდეს".—იმეორებდა ბარაი იაბურ და ნელი-ნელ უკან იხევდა.

— მამაჩემო! მოჩვენება ხომ არ გგონივარ. რამ შეგაშინა—შეჰყვირა იურკამ.

— იურიკ შვილო!—აქვითინდა ბარაი იაბურ და სავარძელში მძიმედ დაეშო. ჩამოწვა სიჩუმე. დიდი ჩრდილები კედლებიდან უფრო მძიმედ ჩამოიზიდა და აცეკვდა მოხუცის თვალში მთელი ოთახი და უცნაური მორთულობა მტვერად ქცეული წარსულისა. კვლავ აიხატა ქუჩა სტამბულის, წითური სახე მსუქანი ბეგისა და გაყიდული ბავშვის სილუეტი.

ეხლა ეს ცოდო წამოიჭრა მთელის სიშიშვლით მის წინაშე. ეხლა აჩრდილის მაგივრობას მკვდრეთით აღმსდგარი შვილი გაუწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარაი შეინძრა.

— არ მოელოდით გრაფ?—შეეკითხა თავადის ქალი.

— მოულოდნელობამ ასე იცის—ჩაურთო თავადმა.

— ვაპირებდი, მე მეთქვა თქვენთვის, მაგრამ იურიმ არ დამაცალა—დასძინა ქალმა.

— ბოდიშს მოვითხოვ, რომ მეტი ველარ მოვითმინე. მამა არის, ნახვა მწყუროდა—სთქვა ეს იურიმ და გესლიანად გაიღიმა.

— საიდან... როგორ?—იკითხა თავადმა.

— სტამბულიდან, თათრების ქვეყნიდან, გენერალო. მეტის მოთმენა არ შემეძლო. მინდოდა კიდევ ერთხელ მენახა ჩვენი ქვეყანა. გზად აქ შევჩერდი საქართველოში. გავიგე მამის აქ ყოფნა და ძებნა დავუწყე.

იურიკ გაჩუმდა. ბარაიმ შუბლზედ ხელი გადისო.

— როგორ მოგწონთ აქაურობა?—კვლავ ჰკითხა თავადმა.

— ძალიან მომწონს გენერალო! მოვედი რომ განვთავისუფლდე იმ საშინელი კოშმარიდან, რომელსაც იქ ცხოვრებას არქმევენ. ეხლა აქ თითქოს ნათლადა ვგრძნობ, სულ სხვა ქვეყანას. სხვა ხალხს. სხვა სუნთქვას.

— იქ სტამბულში?—არა სცხრებოდა ბებერი თავადი.

— სტამბულში სხვა იყო—იურიკს გააჟრჟოლა.—სტაბული ჭუჭყია. იქ ოქრო მეფობს და ნადირობა ამ ოქროზე რითაცა გნებავთ. გნებავთ სინდისით, გნებავთ ხორცით. გნებავთ თქვენი პირმშო შვილებით.

ბარაი შეკრთა.

— იურიკ, სტყუი!—შეჰყვირა მან.

— არა მამა სიმართლეს ვამბობ, სრულ სიმართლეს.

ბარაი წამოდგა. მიუახლოვდა სავარძელში ჩამომჯდარ იურიკს, ჩაჰხედა თვალებში და ხმა დაბლა ჰკითხა:

— შენ ჩამოხვედი რომ შეურიგდე?..

— ვისა მამა?

— ბოლშევიკებს!

იურკამ მამა თვალით გაზომა.

— იქნება ასეც, მერე რა გინდა?

— იურიკ მიჰქარავ!

ჭაბუკი გაწითლდა.

— მე თუ მივქარავ, შენ მიჰქარე ათის წლის წინად.

ბარაი იაბურ განზედ გადგა და თავი ამაყად მაღლაასწია.

— გრაფ იურიკ გარბოს, ჩემს შვილს, ჩემს პირმშოს ასეთი სიტყვები არ შეშვენის.

— მაშ რა შეშვენის გრაფ!.. ერთად ერთი შვილის გაყიდვა? გაყიდვა ისე როგორც ქათმის და მერე ვისზე, ვიღაც გახრწნილ და ზნე დაცემულ თათრის ბეგზედ, რომ...

— იურიკ ზრდილობა, აქ არის მათი ბრწყინვალება თავადის ქალი, ნუ გავიწყდება.

იურიკამ იქ მყოფებს გადაჰხედა, მერე კვლავ მამას მიუბრუნდა და დამცინავი კილოთი უთხრა.

— მათ ბრწყინვალებას ტანზედ მკბენარი დაჰხვევია. ისა სჭირდია მათმა ბრწყინვალებამ სარეცხი რეცხოს და აბანოსთვის ფული იშოვოს.

— იურიკ! — შეჰყვირა გარბომ.

და გრგვინვასავით გავარდა ხმა ბარაი იაბურისა.

გაიჟღრიალეს ბროლის ნამტვრევებმა.

გამეფდა სიჩუმე და ლოდი ჩამოწვა.

მოისმა სველი წვეთების ჟონვა და ნელი ხმაური თუნუქისა.

და მოსჩანდნენ ლამპრის თალხ შუქზედ, ქვად ნაქცევი სილუეტები.

და იყო მათ თვალებში სევდა. იყო დარდი და უთვისტომობა.

შავი ხოჭო ნელა მილოლავდა შუაზედ გაკერილ თეთრ სუფრაზედ და სცვივოდათ დამჭკნარ ყვავილებს ყვითელი ფოთლები.

იდგა სუნი საკმეველისა და ესმოდა ყველა მათგანს ნესტიანი კედლის ხილრმიდან წმინდაოს გალობა.

ლპებოდა ლეში და მათ ტანზედ მკბენარი ლოლავდა.

იბურებოდნენ პირმომტვერეული ნივთები ნისლით და მოსჩანდა აქა-იქ ფერ გადასული ასოები. ნ. მ. ო. გვირგვინით, სკიპტრით და თეთრი მტრედით ნახევრად გაშლილ პერგამენტზედ.

იურიკ შეინძრა, მიუახლოვდა გრაფს და მკლავზე ხელი მძიმედ დაადო.

გარბო შეკრთა.

— წავიდეთ მოხუცო, სათქმელი კიდევ მაქვს.

— წავიდეთ — წაიჩურჩულა უგულოთ ბარაიმ და იმის ხმაში მოისმა რაღაც გადამტყდარი, ავადმყოფური.

### III

ქუჩაში გამოსულთ იგრძნეს სუსხი გარიჟრაჟისა.

იცრიცებოდა ბურუსი ღამის. სადღაც გადაღმა გულ ამოსკვნილი ძაღლი ჰყმუოდა.

გაფითრებული ცა იყო ჭრელი და იალტიალ.

მიძინებული ქალაქი ძლივს ღა ჰფეთქავდა და იზმორებოდნენ გრძელი ქუჩები დილის ნისლში.

იურიკ მამას გვერდით მისდევდა. მისი სახე ფერმკრთალი და ჩამოღვენთილი, ჰგავდა ნისლს ქუჩაში გამდგარს. მიმოხვრა ნაზი და ქალური ჰქონდა. ტუჩებში ღიმილი უთამაშებდა სავსე ბიწიერებითა და უცნაური კეკლუცობით. თვალებში, სევდა და ზიზღი ღრუბლებივით ჩამოსწოლოდა.

იყო ჭაბუკში რაღაც მზგავსი მაჯლაჯუნასი: ზანტი, მოღლილი, დაქანცული. მისი გრძელი და სწორი თითები, მსგავსნი ნაზი ქალური ხელისა, ხშირად ნერვიულად იგრიხებოდნენ

ბარაი იაბურ თავის მაზარის გრძელ საყელოდან, ათასში ერთხელ გამოხედვას შვილს აშტერებდა. იყო ამ ცქერაში, თბილი, მამობრივი, ალერსიანი — და იყო აქვე, ამავ ცქერაში, ზიზღი თუ შიში ერთმანეთში გადარეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიკ მამას არ უყურებდა. თავ ჩაქინდრული მისდევდა გზას და მიმავალი მწარედ ოხრავდა.

და მიგორავდა მისი ოხვრა ნამით დაფარულ ქვაფენილზედ.

და ხვდებოდა მოხუცის გულს ეს მძიმე ოხვრა, როგორც ტყვია მტრის თოფიდან გამონავარდნი.

ქალაქის ბაღზედ მიდიოდნენ.

ჩამოზიდულიყვნენ ტოტები ხისა, დარცხვენილნი, გაშიშვლებული ქალებივით. ნამი აკრული მათ ღეროზედ ჰგავდა წმინდა ცრემლს ქალწულისას ბურუსიდან ძლივს იყურებოდნენ ტან-აყრილი კვიპაროსები, მაგვარნი ობლად დარჩენილნი მასპინძლებისა, ნადიმის შემდეგ. თრთვილებ აკრული ალვის ხენი ფოთოლ გაცვენილ ქოჩორა თავს ჰკარგავდნენ ნისლში. ნაძვი ლიბანისა, პატარძალივით თავდახრილი გაჰყურებდა არეულ სუფრას. წყალ ამომშრალი შადრევნები ნისკარტ მომტვრეული გედის ქანდაკებით, დაფარულიყო ყვითელი ფოთლებით და ჰგავდა საფლავს.

იდგა სუნი დამპალი ფოთლების.

იურკა შეჩერდა. გაჰხედა ბაღს.

— ხედავ მოხუცო, ხედავ!

— რას ამბობ იურიკ?..

— იმას მოხუცო, რომ მე და შენ თითქოს ამ შემოდგომის ბაღსა ვგევართ

ბარაი შეკრთა. წარბი შეიჭმუხნა.

— იურიკ, გეყოფა!

— გრძნობ მოხუცო, დამპალი ფოთლების სუნს?

— რა გინდა სთქვა!?

— ბევრი არაფერი, ჩვენც ალბად ასეთი სუნი გვდის,—სუნი დამპალი ფოთლებისა.

— იურიკ, ღვთის გულისათვის!

— ჩუმად მოხუცო, არავინ გაგიგოს. გაეცინებათ. ვინ შენ—ვინ ღმერთი!

ბარაი აკანკალდა.

ეხლა გარბო ყველაფერს ნათლად და კარგათ გრძნობდა. შვილი მოვიდა, რომ ყორანივით თავს დასჩხავლოს უბედურება. იურიკ პოულობს ლამაზ სიტყვებს, რომ ცხადჰყოს სინამდვილე ბარაი იაბურისა. გრაფს კი სხვა უნდა. ის ემზადება ახალი ბრძოლისთვის.– ტყვია და ცეცხლი რევოლიუციას.—ნუ თუ ეს მხოლოდ ზღაპარია. მხოლოდ ოცნება ჭკუა გადასულ მოხუცისა. არა და არა. აჩრდილები უნდა ჩამოდგნენ და ის ცრობილი გამყიდველი ტიკინებისა, ბარაი იაბურ, კვლავ უნდა იშვას, უნდა გაცოცხლდეს. და მაშინ, ცეცხლი წითელ დოოშას, ალისფერად რომა პრიალებს.

ცეცხლი და ტყვია. ცეცხლი და ზილფო.

თვალები დახუჭა.

ოცნებად წასულს, სიცილი მოესმა, სიცილი მწარე და გესლიანი. შეხედა შვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიკ იცინოდა.

იდგნენ ისინი შემოდგომის გაცრეცილ ბაღში და ერთმანეთს თვალით ზომავდნენ.

და იდგა ნისლი მათ გარშემო.

— წავიდეთ გრაფ — გასწყვიტა იურიმ.

ბარაი მიუახლოვდა.

— ჯერ მიპასუხე, წეღან რაცა სთქვი მართალია? შენ მოღალატე ხომ არა ხარ?!

— ვისი მოხუცო?

— დიდი რუსეთის, შვილო ჩემო. მეფის და ტახტის?!

იურიკ გაოცდა.

— რას ამბობ მოხუცო. რის მეფე, რა ტახტი?!

— შენ ეხლავ უნდა მიპასუხო?

იურკამ მოხუცი თვალებით გადასჭრა. ორიოდ ნაბიჯი უკან დაიხია და შუბლ შეკრულმა ხმა დაბლა დაიწყო.

— მამა თუ ძაღლო, მე არ ვიცი როგორ მოგმართო პატიოსანო მამაჩემო. ალბად მეორის ღირსი უფრო ისეთი მამა, რომელიც თავის ერთადერთ შვილს, ოქროში გასცვლის, რომ ამ ოქროთი ერთი სმოკინგი შეიკეროს და ვარდები უყიდოს თავის საყვარელს.

აქ იურკას ხმა უფრო დადაბლდა, მოიკუმშა.

— შენ იქნებ არ იცი რა გადვიტანე იმათ ხელში. იქნებ არ იცი რომ მე ეხლა ჩრდილი ღა ვარ. ეხლა ვინ იცის, რომ ვეცადო ახლად გარდავქმნა წაბილწული ახალგაზრდობა, მაინც ველარას მივაღწიო. შენ და ათასი შენისთანა რომელთ გარყვნილი სისხლი და სხეული, არ ინდობს არც ოჯახს, არც ცოლს არც შვილებს, ეს ხალხი ახალს ველარას გვეტყვის. მე აქ მოვედი მამაჩემო, შენთან კი არა, უფრო შენს მტრებთან და თუ მიმიღეს, ისინი ჩემში ერთგულ ამხანაგს იპოვნიან. შენ კი მამა სათქმელი თითქოს არა გაქვსრა. ექვსი წლის გამყიდე — ვიცი, ბეგმა მოგატყუა, უშვილო იყო და აღგითქვა, როგორც შვილი ისე შევენახე. ალბად შენთვის სხვა გზა არ იყო, კვდებოდი შიმშილით. მთელი ქონება რუსეთში დასტოვე. მათხოვარივით დადიოდი, კარიდან კარს. თუ ასე იყო გრაფ, ისა სჯობდა შენი თავი და შენი შვილი იქვე მოგეკლა, ეს უსათუოდ კეთილ საქმედ ჩაგეთვლებოდა, ან და შიმშილმა ისე როგორ აგიბა თვალი ან ეხლა როცა ათი წელი უკვე გავიდა და შენი ხელით დაღუპულ შვილს პირველად ხედავ, რატომ არ ჰკითხავ, ვინ არის ის — კაცი თუ ლეში. ადამიანი თუ პირუტყვი. საშინელია მამაჩემო, კაცი ჰხედავდე ამ ქვეყანას — გინდოდეს ბრძოლა და ამავე დროს შენვე გრძნობდე შენი თავის უკანონობას...

იურკა დადუმდა. აცახცახებული მთელის ტანით, სველ ხეს მიეყრდნო. მისი ჩურჩული აბრიალებულ ხის ტოტებში მიმოიფანტა და ლოდებივით ჩამოწვა ბაღში, გაფითრებული განთიადის ფერებთან ერთად.

ბარაი იაბურ წელში მოხრილი, ქანდაკსა ჰგავდა სამუდამოდ ენა ჩავარდნილს.

სიჩუმე მძიმე ჩამოვარდნილიყო მათ გარშემო.

უცბად იურკა მოშორდა ადგილს. მიუახლოვდა მამასა და ხელი მოჰკიდა.

— კარგი მამა, რაც იყო-იყო, ეხლა წავიდეთ—ყმაწვილს სახე სევდით აევსო, თვალებიდან ცრემლის წვეთები მსგავსნი ტოტზედ დანაკიდ ცვრებისა გამხმარ ლოყებზედ ჩამოუგორდა.

— იურიკ!.. იურიკ!—შეჰყვირა ბარაიმ და იყო მის ხმაში სითბო და ალერსი.

მამა-შვილი ერთმანეთს მიეკვრნენ.

შეირხა ბაღი და მოსწყდა ტოტებს ცვრები მსგავსი წმინდა ცრემლისა და დაეპკურა ფოთლებისგან გაპოხილ მიწას და აშოიზიდა მზე, სადღაც გადალმა ცის ნაგლეჯში.

მამა-შვილმა განაგრძეს გზა. და იყო მათში რაღაც უცნაური, მზგავსი გარს გამდგარ თეთრი ნისლისა და შიგ გაფანტულ ფანტომების.

ქუჩიდან ქუჩას გადადიოდნენ. ჩუმი ლუღლუღი სწვდებოდა ყურს. გაურკვევი იყო იმათთვის, სიტყვებიც, გრძნობაც, სიყვარულიც.

პატარა შუკა მტკვრის ნაპირას კლდესთან გადაწყდა. გზა აღარ იყო. იქვე შეჩერდნენ. ქვემოდ ტბად გამდგარ დიდ მორევში ნელა სცურავდა ჰუჰყი ქალაქის, მილივლივებდა მტკვარი ნელა და ყურს ხვდებოდა ჩუმი შრიალი სიმებისა, მონადენი ხიდის ყურიდან.

თენდებოდა.

ჰყვიროდა სირენა.

აღმოსავლეთი ლივლივებდა ოქროს ფერებად და იზრდებოდა კონტურები ბნელში ჩაფლული სახლებისა.

ორივენი მტკვარს გაჰყურებდნენ.

ტალღა ტალღას მიაქანებდა. სუნი შმორისა და ნაგავის შეერთებოდა სუფთა ჰაერს. ნისლი კიდევ იწვა ქუჩებში და ჰხვევდა გარემოს თეთრ ბურუსში. ზეწარ გადაკრულ თეთრ ტილოზედ მოსჩანდა ორი უცნობის ლანდი. ერთი მათგანი წელში მოხრილი, მაზარაში გახვეულიყო. მეორე მდგომი იმის გვერდით გულ-ხელდაკრეფილი, გადაჰყურებდა, უბსკრულს გადაშლილს მის ფეხთა ქვეშ.

იზრდებოდა თეთრი სვეტი ცის კიდურებზედ. იშლებოდა დილის ცისკარი. ბრჭყვიალებდა ხარის-პარია უცხო თვალივით.

მოჰქონდა მზეს თეთრ ჩარჩოებში ჩასმული დღე.

იურკა ერთ წერტილს გაჰყურებდა. მის ტუჩებში გახლართულიყო ისევ ის ცივი და ნაზი ღიმილი.

ბარაის გააჟრჟოლა.

— აქით გზა მგონი აღარ არის. დავბრუნდეთ უკან.

ახალგაზრდამ არ უპასუხა.

ქუჩაში ნელი ღიღინი მოისმა. გამოჩნდა მგზავრი. ხელში დიდი წერაქვი ეჭირა. საკინძე ახსნილ საყელოდან მოსჩანდა მკერდი ფიქალივით გამოკვეთილი. მღეროდა რაღაც მხიარულს, ქუჩურს და მის სიმღერას ბანს აძლევდა რკინით ნაჭედი ფეხსაცმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰხედა უცნობთ, გაუღიმა და გზა განაგრძო.

— ბედნიერია!—აზრმიუცემლად წაიჩურჩულა ახალგაზრდამ.

ბარაის სახე ზიზღით აევსო.

— მამა! ვინ იცის, მე ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, იქნებ მეც შევძლო წერაქვის დაჭერა. იქნებ მამა, იქნებ!?

ბარაიმ იფეთქა.

— გრაფ გარბოს შვილი და წერაქვი? არა იურიკ, ეს არ იქნება!

— მაშ რა ექნათ მამა?

— უნდა ვიბრძოლოთ.

— არა, მამა!—შენთვის და ჩემთვის როგორც ვატყობ აი იქ სჯობია—სთქვა იურკამ და წყლის ტალღებზედ მიუთითა. ბარაი დაიბნა. წყალი მათ ქვეშ ნელა ლივლივებდა. ბარაიმ ჩაჰხედა. მერე იურიკს დაუწყო ცქერა.—ჭაბუკი რაღაც გაურკვევს ამბობდა. უბსკრულის პირას მიმდგარი იურიკ, ჰგავდა აჩრდილს სანთელივით ყვითლად ჩამომდნარს. ღიმილი უძლური აჭკროდა ტუჩებზედ.

— ქალაქი ილევიძებს. ხედავ მამა, როგორ ნელა ილვიძებს ქალაქი! კიდევ ცოტაც და გოლიათი ამეტყველდება. შენ გინდა ცეცხლს და ტყვიას მისცე აქაურობა. დამერწმუნე—მხოლოდ იმისთვის, რომ გარყვნილებით აივსოს აქაც ყველა უბნები? არა მამა, ბრძოლა საჭირო აღარ არის! ეხლა მხოლოდ ეს უბსკრულია ჩვენს წინაშე. ხედავ მამა, წყლის ტალღები, როგორ ლამაზად სრიალებენ. კარგია იქ, ძალიან კარგია!—ვაჟმა ჰაერი შეისუნთქა მერე კვლავ მოხუცს მიუბრუნდა.

— ჰაერს შმორი და ლეში აფუჭებს, ვერა გრძნობთ, გრაფ?

ბარაი თრთოდა. ზიზღი თან და თან იზრდებოდა იმის თვალებში. უნდოდა ეთქო, ეპასუხნა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა.

იურიკ დაბალ მოაჯირს მიეყრდნო, თითქოს შემკრთალი საშინელი მოჩვენებებით, გაფითრებული გაჰყურებდა, წყლის მღვრია ტალღებს. უთრთოდა სხეული. ნესტოები ებერებოდა. ფართედ გაჭრილი ღრმა თვალები, ლურჯი ბურუსით ევსებოდა. თითქოს ჭაბუკი ვიღაცას ეძებდა. თითქოს ჭაბუკს რაღაც მძვინვარე აწამებდა. მისი ტუჩები კიდევ ლულლულებდნენ.

— დასტკბი მოხუცო. ნაწამები შვილის ყურებით.

— გაჩუმდი იურიკ!—შეჰყვირა ბარაიმ და მრისხანებამ სახე გაუსერა.

— ერთი ჩვენგანი უნდა გაჩუმდეს, ეს მართალია—ისევ ჩურჩურით უპასუხა, თითქოს ბურანში წასულმა იურკამ.

შეირხა ბარაი.

ელვის სისწრაფით გასერა თავი ათასმა ფიქრმა.

„ჩქარა გრაფ გარბო. ჩქარა. ჩქარა. ჰკიოდა აზრი.—შენი შვილი მოლალატეა. შენი შვილი უძლური ლეშია. ის მებრძოლად აღარ ივარგებს. განთავისუფლდი“.

და ამოიზიდა ფიქრებთან ერთად იურიკის სახე.

ჭაბუკი თრთოდა. შემკრთალი თვალები უცხო ნდომით ავსებულიყო. ნაპირს მიმდგარი, ქვევით უბსკრულს გადაჰყურებდა.

„ის მებრძოლად აღარ ივარგებს. ის მხოლოდ შენი დაცინვაა. მოღალატეა შენი შვილი, ბრწყინვალე გრაფ!“—კვლავ გაუელვა გარბოს თავში და უნებურად, თითქოს ვიღაც უცხოს კარნახით, ხელი ჰკრა შვილს.

შეირხა ჩრდილი. შეტორტმანდა ლანდი სივრცეში და უბსკრულიდან მოისმა ხმა წყალში ჩავარდნილ მძიმე ტვირთისა.

ბარაიმ ფრთხილად მიმოიხედა და ფეხაკრეფით მოშორდა უბსკრულს.

ცაში ყვავებმა გადიჩხავლეს.

. . .

მიდის ბარაი და ფიქრი ირევა. „ბარაი-იაბურ, თავისუფალია! შვილი გამდგარი იმის გზაზე, დამცინავი მისი ჭაღარის, მოხიბლული მტრების ნებით მტკვარმა ჩაჰყლაპა. ბარაი იაბურ, თავისუფალია! მტკვარმა ჩაჰყლაპა ბარაის ცოდოც. ეხლა ვერავინ დასჩხავლებს მას შავი ყორანივით.“ ეხლა იურკაც თავისუფალია, ნება აქვს ეხლავ მიაფურთხოს თავის შავ წარსულს და იქ ეძებოს საიქიოს რევოლიუცია“.—აქ ბარაიმ გესლიანათ გადიხარხარა და ისევ შეკრთა.

ატორტმანდნენ ქვაფენილები. შეირხა ქუჩა. პირმონგრეულ საკვამურებზე გამოჩნდა იურიკ. ერთი... ორი... მრავალი... ყველგან... დასცხა ბარაის. მაზარა გაიძრო. ყელსაბამი ჩამოიგლიჯა. ფეხს აუჩქარა.

. . .

მზე ამობრწყინდა. განათდა ქუჩები. ნისლი დილისა ცის კიდურზედ გადაიხიზნა, იქცა ღრუბელთა ქარავნებად და ცად გაწვდილი ლურჯ ტატნობს გაჰყვა.

ელვარებდნენ სახურავები. შუშა ნაფარი ქარვასლები აბრჭყვიალდნენ ათას ფერად.

ქვით ნაფენ ქუჩებს, გადაესერნათ ფერდობები მთისკალთებისა.

სითბო შემოდგომის დამჭკნარი მზისა, შეერთებოდა დილის მწველ სუსხს და იყო ჰაერი ბროლივით სუფთა.

ქალაქი ნელა იზმორებოდა.

ქუჩები ხალხით ივსებოდა. მოჭრიალებდნენ: ურმები ტვირთით, ვირები ნახშირით, ტვირთ მზიდავი დიდი ავტოები ნაირი საქონლით. მოგოგმანებდა დილის რონოდა, მხიარული ზარის წკრიალით. დარაბა ახსნილ დუქნებიდან, ნიავს მოჰქონდა სურნელება: ქიშმიშისა, ალჯანაბადის, ინდის ხურმისა, ძეხვებისა და მჟავე ლახანის.

შუშებს გადაღმა ქსოვილი ბრწყინავდა. არეულიყო ერთმანეთში: ბაღდადი ჭრელი, ჩითი კაბისა, შეიდიში, შალი ქიშმირის და საპერანგე ფართე მოვები.

ტალღა ხალხისა მიისწრაფოდა აქეთ და იქით. მათ სახეებზედ იყო დარდი ყოველ დღიური და დარდთან ერთად, ღიმილი ჯანსაღი, მზგავსი დილის ბრჭყვიალა ცვრებისა.

მხოლოდ ძუკნა ღამე ნათევი და მოღლილი მიეთრეოდა ბუნაგისაკენ. ის ყურადღებას არ აქცევდა მორევს ხალხისას, გახარებულს მზით და სიცოცხლით.

აგურ ნაყარი ბაღის მოედანი ბავშვებს ალევსოთ. მათი ყიჟინა შეერთებოდა დაბდაფის ხმას და მხიარული ჟრიამული მათი წითელი დროშების ქროლვას.

რიგი ცელქობდა. რიგი ფეხბურთით იქცევდა თავს და ყვითელ [illegible] მზეს შეჰხაროდა.

მზე თავ მოკვეთილ გოლიათივით, მიგოგმანობდა ლურჯ ლაჟვარდზედ. გუნდი ბავშვების უცბად შეჩერდა.

ბაღში ვილაც მოხუცი გამოჩნდა.

ის წელ-მოხრილი, ნელის ნაბიჯით მოდიოდა. აცქერდებოდა ჯგუფად გამდგარ ბავშვების გუნდს, თითქოს მათში ვილაცას ეძებდა. მოხუცს ტანზედ დაფლეთილი სმოკინგი ეცვა. ყელსაბამი ჩამოჰგლეჯოდა და საცოდავად ცალ ტოტზედ ეკიდა.

ის უახლოვდებოდა ბავშვების გუნდს და შემკრთალი ეკითხებოდა.

— მეგობრებო! ჩემი იურიკ ხომ არ გინახავთ?

ბავშვები სდუმდნენ.

გზად მიმავალმა მოქალაქემ დარაჯს მოუხმო.

— ის კაცი გიჟი უნდა იყოს. ყმაწვილები არ შეაშინოს. მოუარეთ.

დარაჯმა მოხუცს მიაშურა.

მოქალაქემ განაგრძო გზა.

წუთით შემწყდარი ჟრიამული კვლავ ცას მოედო და გაისმა დაფ-დაფის ხმა.

1928 წ.—ოქტომბერი.
დედა-ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ღამე*)

თარგმანი და არანჟირომა შალვა დადიანისა.

### მოქმედნი

თავადი.
თავადის ასული.
ძიძა.
ძიძიშვილი, ჭაბუკი.
უცხო.
მისი ვაჟი.
სტუმრები, შინაყმები, მხევლები, გლეხები.

თავადის ეზო და სასახლის კარი. შორით მოისმის საყვირის ხმები. ეზოში გამოფენილნი სასახლის მოსამსახურენი, თით-ქმის მისაგებებლად ემზადებიან, მათ შორის ძიძა და ძიძიშვი-ლი, ახალგაზრდა სახიერი ჭაბუკი.

ჭაბუკი. ახლოს არიან. გესმის, დედი, საყვირის ხმები?,.
ძიძა. შენ რას დამცინი!.. მე ჯერ როდი დავყრუებულვარ...

---

*) რუსეთის გამოჩენილ დრამატურგს გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ს აქვს ერთი ნაწყვეტი ტრაგედიისა, რომელსაც სახელად „ქართული ღამე“ ეწოდება.

ტრაგედიის შინაარსი ესეთი ყოფილა:

„ერთმა ქართველმა თავადმა მეორე თავადს საყვარელ ცხენის გამოსასყიდათ მისი ყმა, ჭაბუკი ძიძიშვილი მისცა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და თავადსაც არაფერი არ უფიქრნია იმაზე თუ რა შეიძლებოდა ცხენში ყმის გაყიდვას მოჰყოლოდა. უეცრად მასთან მოდის გაყიდულის დედა, ძიძა თავადისა, გამზრდელი თავადის ასულისა და აღშფოთებული მიმართავს მას, ახსენებს მის ამაგს, სამსახურს და თხოულობს, რომ ან შვილი დაუბრუნოს, ან თვით ძიძაც მიჰყიდოს და გახადოს მონა-მხევალი იმ თავადისა, რომელსაც შვილი მიჰყიდა, თანაც ჯოჯოხეთის შურის ძიებით იმუქრება. თავადი პირველ ხანებში წყრება, ბრაზდება, შემდეგ კი პირდება შვილის გამოყიდვას, მაგრამ ბოლოს, თავადურის ჩვეულებით, ივიწყებს დაპირებულს. დედას კი, რა თქმა უნდა, არ ავიწყდება მკერდით მოგლეჯილი მისი შვილი და, როგორც აზიელი ქალი, განიზრახავს საშინელ შურის

ეი, მსახურნო! აბა გმართებთ დატრიალება,
ხომ იცით ბატონს როდი უყვარს ცდა და ლოდინე.
გაშალეთ სუფრა რომ მზათ იყოს სუყველაფერი,..

(მსახურნი დაფაცურდებიან, შლიან სუფრას)

თავადის ასული. (გამოვარდება), ოჰ, მამა მოდის?
ძიძა. დიაღ, შვილო, სტუმრებიც მოჰყავს.
ეტყობა ქეიფს და დიდ ლხინსა იგი აპირებს.
მეც წავალ ეხლა, მეც მინდა რომ ჩემსა გაზრდილსა
ვაამო რამე. იმას უყვარს ხაბისგინები
ჩემი ნამცხვარი, შეუდგები მის სამზადისსა,.. (გადის)
ასული. (პაპიშვილს-ჭაბუკს)
შენ კი რას იზამ, რით აამებ მამა ჩემს, ბატონს?
ჭაბუკი. მე შენ გახლავარ ბავშობითვე შენთან შეზრდილი
და შენს სამსახურს დამიმადლებს ისიც, მგონია.
ასული. მართლა, მითხარი: რას იზამდი რომ გამათხოვონ?..

---

ძიებას. მიდის ტყეში და იწვევს (ტყის სულს) დელის (შეიძლება დალის ანუ ალს), საერთოდ საქართველოში ცნობილს მავნე სულებს და მისი ბატონის გვარისა და ჯილაგის დასაღუპავათ მათთან კავშირს შეჰკრავს. თავადის სახლში გაჩნდება ვინმე რუსი აფიცერი, რომელიც თავის გრძნობებითა და აზროვნებით მეტად უცნაურსა და საიდუმლო არსებას წარმოადგენს. ძიძა, ალის მეოხებით, მის გაზრდილს, თავადის ასულს ჩაუნერგავს სიყვარულს აფიცერისადმი და ისიც თავის საყვარელთან ერთად მიდის მშობელ ოჯახიდან. თავადს უნდა შური იძიოს, ეძებს კიდეც შეყვარებულთ და იპოვნის მამადავითის გორაზე. აიღებს და თოფს აფიცერს დაუმიზნებს, მაგრამ მავნე სულებს ტყვია მისი ასულის გულის გასაგმირავათ მიაქვთ. ამითი კიდევ არ დასრულებულა გაბოროტებულ ძიძის შურის ძიება. იგი თხოულობს თოფს თავადის მოსაკლავათ, მაგრამ ეგეც თავადის მაგიერათ ტყვიას შემთხვევით შვილს მოახვედრებს და კლავს კიდეც".

ესე გადმოგვცემს გრიბოედოვის მომსწრე ბულგარინი ტრაგედიის შინაარსს. ტრაგედია გრიბოედოვს მეგობრებისათვის წაუკითხავს კიდეც, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ხელნაწერი დაღუპულა. ამ ჟამად არის დარჩენილი ტრაგედიის მხოლოდ ორი ნაწყვეტი: ძიძისა და თავადის დიალოგი და ძიძისავე მონოლოგი და სცენა მავნე სულებთან.

1929 წლის იანვარში გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 100 წელიწადი შესრულდა, მთელს რუსეთში ამის გამო იმართება საიუბილეო გახსენებანი.

მე კი გრიბოედოვის მიერ დარჩენილი ნაწყვეტები ტრაგედიისა ქართულად გადავთარგმნე და შევეცადე თავი და ბოლოც მომება როგორმე.

მხოლოდ ჩემი შემოქმედების ფარგალი დიდათ შევზღუდე, რადგანაც გრიბოედოვის მიერ შექსპირულად განზრახული მავნე სულები, ფერიები და ვილაც დემონიური აფიცერიც თავიდან ავირიდე.

მე მგონია, ჩემი ნამუშევრის გასამართლებლათ ისიც საკმარისია, რომ ქართულ თეატრს ძალიან ცოტა აქვს ბატონ ყმობის დროიდან სასცენო ილიუსტრაციები და მეორე და უმთავრესი ის, რომ განთქმულ გრიბოედოვს მოვისმენთ ქართულად ქართულს ცხოვრებაზე ალაპარაკებულს.

ტექსტი გრიბოედოვისა ყველგან ნაჩვენებია.

შ. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ა ბ უ კ ი. რამდენჯერ მითქვამს,—თან გაგყვები ერთგულ შინაყმათ...
ა ს უ ლ ი. არ მოგწყინდება მერე ესე შორით ყურება?
ქ ა ბ უ კ ი. თავადის ქალო, რისთვის გიყვარს ჩემი წვალება?..
მშვენივრად იცი—განაცვალებ ჩემსა სიცოცხლეს.
ა ს უ ლ ი. ძიძიშვილი ხარ, გევალება ეგრე მოიქცე...
ქ ა ბ უ კ ი. ოჰ, ულმერთო ხარ, მაგრამ თვით შენ ჩემი ღმერთი ხარ!..
ა ს უ ლ ი. კიდეცა ჯავრობ?.. მიყვარს, როცა ეგრე ბრაზდები!

(მიუახლოვდება, თვალებში აგზნებულად ჩახედავს. ქაბუკი ათრთოლდება ასულის მოახლოვებისაგან)

თვალნი ბრწყინავენ! მზათ ხარ თითქო ვეფხსაც შეებე
და ვერ არჩევ, რომ მე მხოლოდ შენ გეხუმრები...
ქ ა ბ უ კ ი. მიბრძანე, ქალო, რა მოგართვა, რა ჩავიდინო?
ჩიტის რძე გინდა, თუ წყარო უკვდავებისა?
ა ს უ ლ ი. კარგია ეხლა... მოახლოვდნენ... წა, მიეგებე!
მამას არ უყვარს, როცა ერთად ჩვენ გვნახავს ხოლმე!

(ქაბუკი თავს დახრის და ეზოში ჩადის. ქალი ერდოდგან გადმოჰყურებს. ეზოში შემოდიან ცხენოსნები და ქვეითები ბაღლ-ბით, ჩანთებით, საცხარებით, ნანადირევით. ქვეითები ცხენოსნებს ლაგამს უკავებენ და ცხენოსნებიც ცხენებიდან ჩამოხტებიან. ქაბუკი მიდის თავადთან და ჩამოსვლაში შველის)

თ ა ვ ა დ ი. (ქაბუკს)
შენ კიდევ აქ ხარ?.. დედა შენმა განა არ გითხრა—
დრო არის უკვე მიწვის ღალა შემოიტანო...
ქ ა ბ უ კ ი. დედამ მითხრა, რომ მიწვის ღალა ჩვენ გვეპატია...
თ ა ვ ა დ ი. მას ენა უსწრებს, დამოკლება ცოტა სჭირია!..
აბა, სტუმრებო, გეთაყვანეთ მიბრძანდით ზევით...

(ერთ-ერთ მოხელეთაგანს, ერთ რომელიმეზე უჩვენებს)

ეს ვიღა არის? აქ რა უნდა, ვინ მოიწვია?..
ე რ თ - ე რ თ ი  ს ტ უ მ ა რ ი. არ ვიცი სწორედ გზაში როგორ შემოგვერია!..
უ ც ხ ო. თავადო, გიკვირს ჩემი ყოფნა შენს სტუმრებს შორის?
ამის მიზეზი სულ ადვილი ასახსნელია!
ყველას გსმენიათ რომ კაცი ვარ მე პირდაპირი:—
სტუმრათ მოვედი და კეთილის განზრახვებითა—
არ დავიჭირვე შუა-კაცი და მოციქული...

(ამასობაში სტუმრები ეზოში დგანან და უსმენენ უცხოს. ასული, სადაც იდგა, იქიდგან გადმოჰყურებს ყველას. ქაბუკი ავიდა ერდოზე, ერთ-ერთ სვეტს აეკრა და იქიდან ისმენს ყოველივეს)

ერთი ვაჟი მყავს, შეხე, ხომ ჰგავს თითქო ტარიელს!

(მიუთითებს მერე მოცქანილობის ჯაჭვაცზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი, ვიცი რომ გყავს ასული—მზეთუნახავი.
ჭ ა ბ უ კ ი. (სხვებთან) ვაიმე!—ნუ თუ ესე მალე გაათხოვებენ?—
ნეტა რას ეტყვის მამა მისი ამ უცხო კაცსა?
ა ს უ ლ ი. (მეორე სხვებთან)
რა ამბავია? მგონი ჩემზე ლაპარაკი აქვთ!
თ ა ვ ა დ ი. (უცხოს)
შესდექ, გაჩუმდი... აბა როგორ წარმოიდგინე,
რომ მე ქალს მოგცემ შენ უკუდო აზნაურასა...
სად გაქ მამული, ანუ ყმები, ციხე-დარბაზი,
ხშირად თვით პურიც სანატრელი რომ გაგხდომია...
უ ც ხ ო. მაგას რათ მკადრებ? სიღარიბე საძრახისია?
ჩვენ ვაჟკაცნი ვართ გამრჯე, მხნე და პატიოსანი...
სიმდიდრე შენ გაქვს, მორჭმულობა, დიდი დოვლათი,
ვაჟი არა გყავს, გივის მხოლოდ ერთი ასული,—
ჩვენ ვუპატრონებთ, ჩვენ ვიქნებით მისი მფარველი.
თ ა ვ ა დ ი. სანამ ცოცხალვარ, მფარველობა არვის მჭირია,
როცა მოვკვდები მე დავტოვებ ისეთ მემკვიდრეს,
რომ შენისთანა წუწკ მეზობელს ხმა ჩაუკმინდოს...
ჭ ა ბ უ კ ი. (სხვებთან)
გულზე მომეშვა, ასულს ჯერ ვერ გაათხოვებენ...
ა ს უ ლ ი. (მეორე სხვებთან)
გულს ჩამივარდა უცხო ვაჟის სახიერება.,.
უ ც ხ ო. ტყულა გაქებდნენ, არ გცოდნია სტუმრის მიღება!
სახლში არც კი შემიპატიჟე, არ მიმიწვიე,
რომ იქ გულ-დასმით გაგვერჩია საკითხი ჩვენი...
გულ-ფიცხობითა ილანძღები, უკადრს მაკადრებ,
მოყვრობისა წილ მტრობა გინდა განუკითხავი,
მაგრამ, იცოდე, ზვიადობით ფონს ველარ გახვალ...
გირჩევ გულ-დასმით მოიფიქრო და მიპასუხო..
თ ა ვ ა დ ი. ჩემი პასუხი ჰა ეს არის: გზები ფართოა,
ჭისკარს რომ გახვალ, ოთხივ-კუთხივ მიემართება!..,
უ ც ხ ო. მაშ გამაწბილე?.. არ მიიღე ჩემი მოყვრობა?..
დე, ეგრე იყოს! გახსოვდეს კი რომ შეინანებ...
თუ ქუდი მხურავს—შენს ასულსა ძალით წაგართმევ...
ა ს უ ლ ი. (სიხარულით შეჰკივლებს)
ოჰ, რა კარგია ვაჟკაცი რომ ქალს მოგიტაცებს!..
უ ც ხ ო. კბილით სულ ხორცსა გაგლეჯინებ, ბედს გაწყევლინებ...
(შვილს)
წამოდი, შვილო, ჩვენ აქ აღარ დაგვედგომება!—
(ორნივ ცხენებს მოახტებიან და გააქროლებენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ა დ ი. შეხე ამ ბრიყვსა... არ ვანანო მისი სიტყვები?!
(შინაყმებს)
გასწით ეხლავე, დაედევნეთ, შეჰკარ-შებოჭეთ!
ს ტ უ მ ა რ თ ა გ ა ნ ი. მაგას ნუ იზამ, დაიმშვიდე გული ის გიჟია...
ბრაზზე მოსული კაცი ბევრჯერ ზედ-მეტსა იტყვის...
საშვილიშვილო მტრობას შენცა ნუ გაალვივებ...
(შინაყმებს)
შესდექით ყველა... მოიფიქრებს დიდი ბატონი
დამშვიდებული შემდეგ გეტყვით თუ ვით მოიქცეთ...
თ ა ვ ა დ ი. (მშვიდდება. შინაყმებს)
კარგი, შესდექით... (სტუმრებს) მომიტევეთ ეს აღელვება!..
სულ დამავიწყდა რომ ნადიმი წინ გვიძევს ტკბილი...
მოდით, მობრძანდით, მოვიკეცოთ მამაპაპურათ
ჰერში ქუდი ვკრათ და დილამდე ჯიხვით ვსვათ ღვინო?
(ადის ერდოზე, სხვებიც ადიან და უსხდებიან სუფრას. მსახურთ
სანოვაგე მოაქვთ. ცოტა ხნის შემდეგ მოისმის ტკბილი ღიღინი)
ქ ა ბ უ კ ი. (ერთ სვეტთან მიმდგარი თითქო საიდუმლოთ ელაპარაკება მეორე სვეტთან
მიყუდებულ ასულს)
მაგრათ დაუხვდა მამა შენი იმ უცხო ბრიყვსა! —
ა ს უ ლ ი. (მეორე სვეტთან, ეგრეთვე საიდუმლოთ)
მაგრამ იმ ვაჟმა ჩემი გული თან წაიყოლა.
ქ ა ბ უ კ ი. (თითქო თავზარდაცემული)
ის მოგეწონა?.. ვაჰ მე!! მერე რაღას აპირებ?
ა ს უ ლ ი. შევატყობინებ მომიტაცოს... შენ ხომ არ გამცემ?—
ქ ა ბ უ კ ი. (ეტყობა იტანჯება)
მე როგორ გაგცემ?.. მაშინ მრისხოს ლაშარის მადლმა! —
მაგრამ მამისა უდასტუროთ ვაჟს ვით გაჰყვები...
ა ს უ ლ ი. შენ რა განაღვლებს?.. ხომ დამპირდი შინაყმობასა!..
მე წამომყვები, სიკვდილამდე ჩემი იქნები...
თ ა ვ ა დ ი. (შინაყმებს)
აბა უბრძანეთ სამაია ჩვენსა ქალებსა!..
(გამოდის სამი ასული და მუსიკის ხმაზე ასრულებენ სამაიას)
ს ტ უ მ რ ე ბ ი. დიდო თავადო, ვთხოვოთ შენსა კოხტა ასულსა...
სად არის იგი?.. რაღ გვიმალავ?.. დაგვატკბოს ცეკვით!..
თ ა ვ ა დ ი. (შინაყმებს)
სთხოვეთ ასულსა.
ა ს უ ლ ი. (სვეტს მოშორდება)
მე აქა ვარ... რას მიბრძანებდით?
თ ა ვ ა დ ი. (თავისთან მოიხმობს, აკოცებს შუბლზე და ყურში რაღაცას ეუბნება)
ს ტ უ მ რ ე ბ ი. მართლა რომ უცხო სილამაზის არის ასული!

რა ნარნარია, რა ნაზი და ჰაეროვანი!
როგორა შვენის... უკვე როგორ დაქალებულა!

(მუსიკა. ქალი ცეკვავს ხალხით რომელიმე აღმოსავლურ ცეკვას. სტუმრები აიღებენ ჯიხვებს და მიმართავენ თავადს)

გიცოცხლოს ქალი! გაგახაროს მისი ბედითა!

თ ა ვ ა დ ი. (სტუმრებს მადლობას უხდის და იქვე განაგრძობს შეწყვეტილ საუბარს)

რას მეუბნები?.. მაშ შენ აქ გყავს ჩემი მერანი?

მ ო ს ა უ ბ რ ე. სისწორეს ვამბობ... გინდა ეხლავ მოვაყვანინებ...

(ერთ-ერთ შინაყმას რაღაცას ეტყვის. შინაყმა გადის)

თ ა ვ ა დ ი. (ფიქრშია წასული).

ჩემი მერანი!.. ოჰ რამდენ ჭირს გადამარჩინა,..
ხშირად ომის დროს, ხელ-ჩართულსა სასტიკ ბრძოლაში,
როცა არ მოსჩანს არსით შველა, ალყა გარტყია,
ამ ჩემს მერანსა ეგე ალყა შვა-გაუპია,
გაუტაცნივარ, სამშვიდობოს გაუყვანივარ...
ჩემი მერანი!.. ოჰ, ვინ მოსთვლის მის ღვაწლს ჩემზედა...
ცხენი კი არა, ძმაა ჩემი, ძმაზე ერთგული...

მ ო ს ა უ ბ რ ე. მაშ გინდა გულით დაიბრუნო შენი მერანი?..

თ ა ვ ა დ ი. მას წინ რა უდგა? არ ვიცოდი თუ ვისა ჰყავდა?..
მეგონა კვლავაც ლეკებსა ჰყავს, დიდათ ვგლოვობდი..

მ ო ს ა უ ბ რ ე. არა, ხომ ხედავ, აგერა მყავს, ეხლა ჩემია.—

(შემოყავთ ცხენი. მოსაუბრე და თავადი ეზოში ჩამოდიან, ცხენს ეალერსებიან. ჭაბუკი ბიბიშვილიც მათთან მიდის და შემდგომ მოსაუბრეს ცხენზე შეჯდომაში ეხმარება. ქალი და სხვა სტუმრებიც ეზოზე გადმოდგებიან და უცქერიან თუ როგორ ათამაშებს მოსაუბრე ცხენს. ცხენის თამაში. თამაშს გაათავებს და მოსაუბრე ჩამოხტება).

ხომ ხედავ როგორ შენახული მე იგი მყავდა,
ისევ მარდია, ფიცხი, მძლავრი, შემმართებელი!..

თ ა ვ ა დ ი. (ცხენს ეალერსება, თვალებში ჰკოცნის. ცხენი ლაგამით ჭა-ბუკს უჭირავს).

ჩემო მერანო, საყვარელო! ძლივს არ გიხილე,
კვლავ ჩემთანა ხარ, მე დაგიხსნი, ჩემი იქნები...

მ ო ს ა უ ბ რ ე. მაშ გინდა მართლა დაიბრუნო, გამოისყიდო?

თ ა ვ ა დ ი. რაღა თქმა უნდა აქ სიტყვები ზედ-მეტი არი...
მხოლოდ მითხარი, რა მოგართვა მის სამუქაფოდ?

მ ო ს ა უ ბ რ ე. (ცხენს ჭაბუკს ჩამოართმევს და სხვას გადასცემს, ჭაბუკს კი ეძახის).

აქ მოდი, ბიჭო, დამენახვე, კარგა გაგსინჯო!..

(ჭაბუკი მივა. მოსაუბრე იქით-აქეთ [illegible] უსინჯავს, მკლავებს. ჭაბუკი გაოცებულია, [illegible] რა-ღაც კარგი არ არის მის თავს, მაგრამ [illegible] ემორჩილება და ვერ გარკვეულა).

თავადი. შეხე, რა უნდა... ეგ ხომ ჩემი ძიძიშვილია...

მოსაუბრე. ეს ვაჟი მომეც... სხვას არას გთხოვ დასათავარსა...

თავადი. ძვირი მიჯდება, მეტად ძვირი მერანის დახსნა,
მაგრამ რას ვიზამ... მაგ მერანში ბიჭს შეველევი...

ჭაბუკი. (დაიყვირებს).
როგორ, მე მყიდი? ცხენში მყიდი შენს ძიძიშვილსა?

თავადი. ხმა ჩაიკმინდე!.. შენ არავინ არ გეკითხება!

ჭაბუკი. (მუხლს მოიყრის).
დიდო ბატონო, ნუ გამყიდი, ნუ!.. შემიბრალე!..

(ფოფხვით ასულისკენ)

ჩემთან შეზრდილო!.. ხმა გაილე ჩემდა საშველად...

ასული. ოჰ, მამა, მამა! რას ჩადიხარ? მაგას ნუ იზამ—
ეგ ხომ ჩემი შინაყმა არის...

თავადი. შენც რას ტიტინობ!

(ჭაბუკს)

ზეზე წამოდექ!

(შინაყმებს)

გაუკარით ეხლავ ხელები!

ჭაბუკი. (წამოვარდება).
თუ ასე არის ცოცხლივ არვის არ დავნებდები!

თავადი. რაღას უდგეხართ... აბა, ყველა მიესიენით!

(შინაყმები მიესევიან. ჭაბუკი ხანჯალს იძრობს, მაგრამ უკა-ნიდან მივარდებიან, წაართმევენ და გათოკავენ).

ასული. ოჰ, მე ვერ შევძლებ ამის ცქერას... ოჰ, გული მიმდის.

(მიესვევიან ასულს და კუთხეში მუთაქაზე მიასვენებენ. თავადი ერთხელ კიდევ მიუალერსებს მერანს და ერდოზე ადის. იმავე დროს გამოდის ძიძა და ხონჩით მოაქვს ხაბიზგინები).

ძიძა. ჩემო გაზრდილო!.. ჰა, მიირთვი ხაბიზგინები!...

თავადი. (ძიძის დანახვაზე მოკრთება, მაგრამ არ შეიმჩნევს).
ხაბიზგინები? ჰო, კარგია, კარგათ აკეთებ...
მაგრამ ეს ეხლა როდი კმარა... დაჰკათ მუსიკას!
ისე ვარ ეხლა მხიარული, გახარებული! —
ჩემი მერანი კვლავ ვიპოვნე, ჩემი მერანი...

ძ ი ძ ა. შენი მერანი?..

(გაიხედავს, მერანის მაგივრათ დაინახავს [illegible] შვილს, ცოცხა ხელიდან გაუვარდება, მიავარდება).

ეს რაღაა?.. ვაიმე შვილო!..

(ჩაირბენს კიბეს და შვილს მივარდება).

შვილო, შვილო!

(მექით ერდოზე გასვენებული ხავერდით მუსიკა).

ა ნ ტ რ ა ქ ტ ი.

## ძიძა და თავადი.

თ ა ვ ა დ ი. მერე, განა მე მიხარია, რომ მწუხარეთ ხარ? *)
თავს დააბრალე და ამ შენსა დაბერებასა.
დიდი ხანია შენგან ღალაც არ ამიღია.
ძ ი ძ ა. სიბერისათვის რომ დაძრახო ადამიანი
ეს მხოლოდ შესდგამს შენს უხეშს და მკაცრ ხასიათსა.
მართალი არის მე დავბერდი, მაგრამ ხნით არა!
არა თამაშმა და ლაღობამ მე დამაბერა.
შენს სახლს ვუვლიდი და ვგამდლობდი შენსა შვილებსა.
როდესაც ატყდა ამბოხება რუსთ წინააღმდეგ
და შენც პირდაპირ შეუტიე?—სიკვდილისაგან
მაშინ სწორეთ მე დაგიცავი: გადაგაფარე
ჩემი ძონძები, შენ ცოცხალი გადაგარჩინე.
ხოლო, როდესაც შეპყრობილი, ტყვეთ წაყვანილი
შენს სამშობლოში უსახელოთ მიჩნეულ იყავ,
აქ, ამ ცარიელ სასახლეში ქარი დაჰქროდა,
მე შენს ქალს ვზრდიდი დიდი ხნობით, აი, ამ მკერდზე.
მაშ იცოდე შენ მოთხრობა ამ ჭაღარა თმების,
დახუთულისა ამ მუხლების, ამ ნაოჭების,
რომლითაც ზრუნვამ, შენზე შრომამ სახე დასერა.
ბრალი შენია. სიყმაწვილე ჰა, სად დავღუპე!
შენ კი რაღა ჰქენ? უღალატე ღმერთსა და სინდისს,
ნახევრად გული ამომგლიჯე თავის ბუდიდგან!
არ მეშინიან შენი რისხვის, შენი მუქარის.
დე უსამართლო ბოროტების ბრაზიც მოგედოს...
თვით ფრინველიც კი—რომ წაართვათ მას მისი ბარტყი,
კივის, ფრთებსა სცემს გაშმაგებულ მეომარივით,
მის წარმტაცებელს უთანაბრო ბრძოლაში იწვევს,

*) ტექსტი გრიბოედოვისა.

მე კი შენს წინა რათ დავჩუმდე?!—შვილზე ვწუხვარ მე.*)
ეროვნული ბიბლიოთეკა
მშობელი დედა, მასთან კიდევ ადამიანი...
ჰოი, უფალო, ყოვლის შემძლევ, სად არის შენი
ძალი და გრგვინა შემასრზენი, მეხის დამცემი!..
თავადი. ოჰ, შემოქმედო, მომანიჭე კვლავ გაძევება
დამეცი თავზე ბუნებისა ჭირი, ვარამი...
ქსნის ხეობაში, საცა ქსანი ჭაღარა ზვირთებს
ბრაზით აგორებს, მირჩევნიან რომ ჩავილუპო.
მიჯობს ყაჩაღთა განვიცადო შევიწროება,
გადავიტანო შიმშილი და მძაფრი სიცივე—
ცუდსა ტაროსში არ მებუროს მე არაფერი—
ეს მირჩევნია, ვიდრე ამ როკაპ დედაკაცის
ცქერას ვითმენდე და ვისმენდე გაბოროტებულს
მისი სულისა გესლიანსა საყვედურებსა.
ძიძა. გულს შენ ვერაფრით ვერ მოგილბობ.
არც სიკეთის გახსენებით, არც ცრემლთ ნაკადით!
კარგა იფიქრე: მამა ხარ და ვაჟი არა გყავს.
ხომ გახსოვს, როცა მოიტანეს გულ-განგმირული,
უკანასკნელად ესალმოდი საყვარელ ცხედარს:
ჭკუა-შეშლილი დაეწაფე მის მიმქრალ თვალებს
და მათ ახელას, გაცოცხლებას გულით ჰლამობდი.
შენი ცოლისა და შვილების წივილ-კივილი
ჰაერს არყევდა, მთანი მათ ბანს ეუბნებოდენ;
შენ თვითონ გსურდა, ცოცხლივ მასთან დამარხულიყავ.
მაგრამ ვინც კვდება, არასოდეს აღარ ბრუნდება!
რომ შეგძლებოდა ტყვეობიდან იგი დაგეხსნა,
რომელ ხაზინას დაზოგავდი, დაიშურებდი,
რომელ რისხვასა მაშინ წინ არ დაუდგებოდი?
ან ვის მუხლებსა მაშინ შენ არ მოეხვევოდი?
თავადი. არა, შენდამი მტრობას ვერ ვგრძნობ!...
ულმერთო არ ვარ, მებრალება ადამიანი
და შენი შვილიც უბრალოთ არ გამიყიდნია.
ჩემი ნამუსი გაცემული მქონდა საწინდრათ,
მის საფასურით დავიბრუნე ჩემი მერანი,
რომელმაც ომში მომანიჭა დიდი სახელი...
სასტიკ ბრძოლის დროს ხიფათს ბევრჯერ გადამარჩინა
და მის სხვის ხელში დატოვება მე არ შემეძლო,
ეს შეუძლიანთ მხოლოდ ფლიდებს და უმადურებს.
ძიძა. არც შენ იმ ცხენსა სანაქებოს, საომარ მერანს
და არც საყვარელ შენ მსახურთა, არც ერთს იმათგანს

*)ტექსტი გრიბაედოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენსა წინაშე არ მიუძღვის დამაშვრალობა *)
ისეთი დიდი და ამაგი, ვით მე მიმიძღვის.
და ჩემი ვაჟიც, როს ვაჟკაცათ ის დადგებოდა
შენი ოჯახის სახელისთვის, მის სანაქებოთ
ერთი ასჯერაც ხმალ-ხანჯალსა დააჩლუნგებდა,
არ დაიხევდა ზარბაზნის წინ, ან სხვა ჭირისაგან
და, როგორც ხშირად დედა მისსა შენ დაუხსნიხარ,
ბრძოლის ველითგან გაჭირვებულს მხრით გაგიტანდა.

თავადი. წა, დამეკარგე, დამეკარგე-მეთქი, ბებერო!
ნულა მაჯავრებ და ჩემს რისხვას ნუ ეხუმრები,—
ჩემს ყურს ვედრებით ნუ აწუხებ, უდროო არის
მისთვის ეგ შენი კვნესა, მოთქმა, ოხვრა, ჩივილი.
შენი ვაჟი აწ სხვა ბატონს ჰყავს, მისი მონაა,
აქ აღარ არის, დაუტევა მან ჩემი სახლი.
იგი მივყიდე, მე ამისი უფლება მქონდა!
ის იყო ჩემი ყმა...

ძიძა. ჩემი კი შვილია—ჩემი!..
მომეც მე შვილი! მართალია მე ყმა ვარ შენი,
მაგრამ დედას შენ რად წამართვი, შენ შვილი ჩემი!
მომეც ერთხელ კვლავ რომ ჩავიკრა გამხმარ გულ-მკერდში.
გაფიცებ ღმერთსა, წმინდა სახელს შემოქმედისას
კვლავ დამიბრუნე შვილი ჩემი, თვალის სინათლე!..
და არ იხილავ სისხლიანსა ჩემსა ცრემლებსა.

თავადი. ნუ იმეორებ შენსა მწარე საყვედურებსა!
მთასა და ბარში გზა ფართოა, წყალი მდინარეებს,
გადაჯექ სადმე უფსკრულისა შენ ნაპირასა
და ღამის წყვიადს შესჩივლე შენ შვილის ამბავი,
ტრიალ მინდორი გაალვიძე შენის კვნესითა,
მხოლოდ ჩემს სახლში არ დაბრუნდე, გა, გამეცალე!
დამშვიდდი ან და თვალით ნულა დამენახვები.

ძიძა. როგორ გცოდნია სამსახურის შენ დაფასება!
მაშ წყეულ იყავ შენ და მთელი შენი ოჯახი,
შენი ასულიც და სულ მთელი შენი დოვლათი!
როგორც ბაზიერს, მონადირეს ვერ დააკავებს
ვერცა მდინარე სწრაფი, ვერც კლდე ქარაფოვანი,
მაინც მიჰქროლავს და მიჰქენობს ქარს გაყოლილი,
სანამ მის ხელით განგმირული არ დაეცემა
რამე ნადირი სისხლ-დაცლილი და დაფლეთილი —
ეგრე უწყალოთ განადგურდეს შენი ცხოვრება,
დანით, ღალატით გამოგიდგნენ შენიანები!

*) ტექსტი გრიბოედოვისა

უმადურობის სამაგიეროთ არ ურჩდეს ბოლო *)
შენსა ტანჯვასა, გაწამებას, გაჯახირებას!
მიყიდე შენი სული ეშმაკს, როგორც გავჰყიდე
შენ შვილი ჩემი ულმერთოდ და შეუბრალებლად.
დაუნდობელო, დაიგლიჯე გაშმაგებულმა
შენივე ხორცი შენის კბილით, შე-მოღალატევ!
ღამით შფოთავდე, დღისით ძრწოდე სანამ ცოცხალ ხარ,
როცა მოკვდები არ გეღირსოს სამარე მიწის!
გამელელ-გამოვლელთ წყევა უძღვნან შენს გაყინულ გვამს,
შენი ცხედარი გაუმაძღარ ჰკორტნონ სვავებმა...
საიქიოს კი არ გეღირსოს შენ განსვენება!

## ა ნ ტ რ ა ქ ტ ი

საღამოს ხანია. მზე თანდათან ჩადის და მთების სულ მწვერ-ვალზეა. შორით მოისმის ფანდური. თანდათან წყვეტდიან გლეხები და მიემართებიან სოფლისაკენ. ნაწილი რჩება სასახლის ეზოში და ცოტა ხნით ისვენებს. ნელა ღიღინებენ, ზოგი ჩიბუხს აბოლებს.

1-ლი გ ლ ე ხ ი. ეჰ. დავიღალეთ, მეგობრებო, ცოტა შევჩერდეთ.
2-რე გ ლ ე ხ ი. კარგი იქნება რომ სამხარსა აქვე შევექცეთ.
3-ე გ ლ ე ხ ი. რა დიდებული ეზო კი აქვს ამ ჩვენს ბატონსა...
4-ხე გ ლ ე ხ ი. სწორედ შემკული: წყაროც აქვე გადმომდინარებს ,.
2-რე. მაშ რა სჯობია აქ შექცევას, დასვენებასა...

(შეექცევიან სამხარს. ახალგაზრდები შეიბმება ცოტა ცეკვას გააჩაღებენ. მღერიან. სასახლის ეზოში გამოჩნდება ძიძის შა-ვი ნაჭრით დიდ ყავარჯენზე დაყრდნობილი).

3-ე. შეხე, გამოჩნდა აგერ ძიძა ამ ჩვენ ბატონის...
4-ხე. ოჰ, მაგის ცოდვა, ვიცი, ბატონს არ გაახარებს...
1-ლი. მართალი არის, რომ შეირყა ვითომ ჭკუაზე?...
2-რე. ყური დაუგდე, ლაპარაკობს, თვითვე მიხედები,..
(ყური უგდებენ).
ძ ი ძ ა. ხალხნო? ვინა სთქვა, ვინ უწოდა ადამიანი **)
იმათ, ვინც სისხლის საშოსაგან მისთვის შობილან,
რომ მათთვე -მსგავსსა მოევლინონ დამღუპველებათ!
გ ლ ე ხ ე ბ ი. აი, და-და-და! შეხე როგორ წყობისით ამბობს!
ძ ი ძ ა. მაგრამ სხვაც არის ძალთა ძალი! შორს შიში, კრძალვა ***)
და შორს ნამუსი, მე მივმართავ მაინე სულებსა...

*) ტექსტი გრიბოედოვისა.
**) აგრეთვე.
***) აგრეთვე.

გლეხები. ეჰე, ეხლა კი შეურიაა... რა ცოდო არის?..
ძიძა. ოჰ, ალქაჯებო, ბნელ ღამეში რომ დატანტალებთ *).
დამიმეგობრდით, ისე, როგორც თქვენა მეგობრობდით,
მოღალატეებს, გამცემებს და ბოროტ სულებსა!
გამომინათეთ სამარისა თქვენ სანათურით
დაჰბერეთ ქარი თქვენ აღვრილი კვნესა-ოხვრითა.
ქაჯთა რაზმებო, ჰინკებო და მავნე სულებო!
აგერ ნიშანი ხუთი ღერი თქვენი ბალნისა
ჩემმა ღვიძლმა ძმამ რომ წაგართვათ, თქვენმა დუშმანმა,
როდესაც იგი ხავსიანსა კლდეზე ფორთხავდა...
მე მაშინ ვიყავ ბედნიერი მშობელი დედა...
ეხლა ვაგდივარ ქვრივ-ოხერი, მიტოვებული.
ნეტა ჩემს ტანჯვას შეედრება ვისიმე ტანჯვა?..
აბა მოფრინდით! ბნელი ღამე თქვენ გიწყობთ ხელსა.
სწორეთ ესეთ დროს გამოდიან მავნე სულები
თოვლიან მთებით და კლდოვანი სოროებითა,
გახრწნილებისა და ფერფლისა ხროვებისაგან,
მიძინებულის, შლამიანის ზვირთებისაგან,
მრავალ-კუბოვან უდაბნოთგან, სად ნადიმობენ
ჭია ღუები მიცვალებულთ გახრწნილ ცხედრებზე!..
მაგრამ ეჰ, არა! ხედავთ არც კი გამეხმაურენ!
მხოლოდ ღრუბლები მიმოდიან და ქარი კვნესის...
ჩუ, ჰა, ისინი!..

(მიეყრდნობა თითქო კლდეს და საშინლად ჩაფიქრდება)

1-ლი გლ. რას დაძრწი მუდამ, დედაბერო? ან ვის ეძახი?
ეს ჩვენ ვართ შენი მეზობლები, წამოდი ჩვენთან...
ცოტა ხნით აქ ჩვენ შევისვენეთ, ეხლა მივდივართ...
ძიძა. (მავნე სული ჰგონია, თრთის, თითქოს თავისთვის)
სულთ მეხუთება, ენა მებმის, ოჰ, გასკდი მიწავ,
თან ჩამიტანე...
2-რე გლ. რათ გეშინის? ჩვენა ვართ, ჩვენა!
1-ლი გლ. რაც შენ გაწუხებს, ის არ ვიცით, ჩვენა, გგონია?...
ჩვენ გულშიც არის დაგროვილი ბოღმა, ვარაძი
მის წინაალმდეგ სწორედ, ვინც შენ ესე გაგხადა...
მაგრამ მოვა დრო გადაუხდით სამაგიეროს!
ნუ გეშინან, ბატონებზე ვიძიებთ შურსა!
2-რე გლ. შორს აღარ არის, დადგება დღე, დაჰკრავს საათი!
4-ხე გლ. აღივსო ჩვენიც მოთმინების უკვე ფიალა...
1-ლი გლ. და გადახდება ჩვენ მჩაგვრელებს სამაგიერო...
2-რე გლ. ეხლა წამოდი... წამოგვყევი, სოფლად მივდივართ...

*) ტექსტი გრიბოედოვისა.

ძიძა. ჰო, მანუგეშეთ თქვენ, მდევებო, მპყრობელნო ქვეყნის,
სულნო ძლიერნო, ცის და ქვეყნის ბედის მჭედელნო!

(ჩამოჰყავთ ბაბა და მიდიან ეზოსაკენ. იმათ [illegible] მხრი-დან მოიპარება ნაბდით შეხვეული ვაჟი. ადის ერდოზე და ნიშ-ნით იწვევს ასულს. ასული გამოდის. დანარჩენები ეზოდან მიჩერებიან, რაც ერდოზე სდება.)

ასული. ოჰ, ეს შენა ხარ, სასურველო, სიცოცხლის ნატვრავ?!

(ეხვევა ნაბდიანს)

გული როგორ სცემს!.. არ ველოდი თუ ასე მალე..

ვაჟი. ვიჩქაროთ ტურფავ!.. დრო ხელს გვიწყობს... ბნელი ღამეა...
მთვარეს გავასწროთ... თითო წუთი ძვირფასი არის!..

3-მე გლ. ბიჭო, ვუშველოთ.. ბატონის ქალს ვიღაც იტაცებს...

4-ხე გლ. შე უხეირო, ეგდე განდა, ვინ გეკითხება!..

1-ლი გლ. ჩვენი ბატონი ღირსი არის უარესისაც.

2-რე გლ. ვისაც რომ მიჰყავს ისიც აკი აზნაურია...

4-ხე გლ. არაფერია, ძაღლი ძაღლის ძვალს როდი შეჭამს...

1-ლი გლ. მოიპარებიან... ჩვენ გავჰყვოთ, ჩვენ გზას ვეშუროთ...

ასული. ჩემი წყეული მამა მიიღე... რომ გეძახოდი?

ვაჟი. მაშ ისე აქ მე რა მინდოდა... წამო ვიჩქაროთ...

ასული. რის გეეშინია... მსახურთ სძინავთ... მამა არ არის...

ვაჟი. სიფრთხილეს თავი არა სტკივა... ალერსს მოვასწრებთ...

(მოხვევს ხელს, ნაბადს გადააფარებს და ქურდულად მიიპარე-ბიან. იმავე დროს ეზოდან შემოდის თავადი. მიდის ერდოსკენ და დაინახავს ქურდულად მიმავალ ნაქვთებს. გლეხები მოდიოდნენ და თავადის პაიცუკებზე შორი-ახლო შეჩერდებიან. თავადი გლე-ხებს ვერ ამჩნევს)

თავადი. ეი, ვინა ხართ, ქურდულად რას მიიპარებით!..
აქეთ მობრუნდით თუ თქვენ არ ხართ ავი სულები!

(ვაჟი და ასული კიდევ ერდოზე არიან და სვეტებს ეფარებიან)

ვინა ხართ მეთქი, თქვენ არ გესმით ჩემი ძახილი?
ეი, მსახურნო!.. სად ხართ, გძინავთ?

(თანდათან ერდოს უახლოვდება)

ხმა გამეთ-მეთქი!
ვინ მოგპარვიათ?

(შეჩერდება ერთ ალაგას)

თორემ ვფიცავ ჩემს საფიცარსა.

(მხრიდან თოფს გადმოიღებს)

ეხლავ ორივეს ამ შაშხანით ბოლოს მოგიღებთ...

ვაჟი. (ნაბადს გადისხდის და წინ წამოდგება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰ, ეგ არა ქმნა... ასულია! შენი ასული!

თავადი. ჩემი ასული?—შენ ვიღა ხარ?—ჰა, გიცან, ვინც ხარ...

გატაცება შენ მოისურვე?

(თოფს დაუმიზნებს)

მაშ ესეც შენა...

(ისვრის. თოფის დამიზნებისთანავე ასული გადაეფარება ვაჟს და ტყვია მას მოხვდება. ასული დაეცემა)

ასული. (მომაკვდავი)

რა ჰქენი, მამა, შე-უწყალო...

(კვდება. სროლაზე გლეხებიც ეზოსაკენ გაეშურებიან. მსახურნი სასახლიდან გამოდიან ჩირაღდნებით. სცენა ნათდება. თავადი ავარდება ეზოზე და მიაკრდება შვილს. ძიძა ნელ-ნელა მიდის ეზოსაკენ, ეტყობა ჯერ ვერ გაურკვევია რა მოხდა).

თავადი. ოჰ, თვალის ჩინო!

ნუ თუ შენ მოგხვდა, შენ მოგკალი, შენ ღვიძლო შვილო?!.

ვაჟი. (დაჩოქილი ცხედართან)

არ შეიბრალეთ თქვენ ამისი ყმაწვილ-ქალობა!

თავადი. (თავ-ჩაღუნული)

ბეცი შემთხვევა...

(უეცრად თავს აიღებს, ვაჟს შეხედავს)

შე-უჯიშო... გა, გამეცალე!—

მინდოდა მე შენ მომეკალი, შენი ბრალია!—

ვაჟი. (არ ირყევა, მშვიდად)

ჩემი ბრალია, მაგრამ იყო მისი თანხმობა!..

თავადი. ოჰ, შვილო ჩემო, ერთად-ერთო ჩემო ნუგეშო!—

ბედმა მიმუხთლა, ძიძის ჯავრი ამოიყარა.

ძიძა. (ნახევრად ეზოზეა ასული)

ძიძაო?—ვინ სთქვა... ეს რა არის, ეს რა მომხდარა?!.

(ხარხარებს)

აჰ, გულო ჩემო გაიხარე... ძლივს არ მეღირსა.—

(გლეხებს)

გმადლობთ თქვენ, ჩემო გმირთა გმირნო, ქაჯნო, ალებო!

1-ლი გლეხი. მაგ უბედურსა კვლავ მდევნი, ქაჯნი ვგონივართ.

ძიძა. არ განმიკითხა მე უფალმა სამაგიეროთ

ჰა, ამ მდევებმა შემწეობა აღმომიჩინეს:

შენვე მოჰკალი შენი შვილი მამამ მშობელმა!..

ოჰ, გულო ჩემო, გაიხარე...

(გლეხებს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ არ ჩარხარებთ!—
მტერი დაეცა, თქვენ ყველანი განთავისუფლდით.—
(თავადზე უჩვენებს)
აწ რაღა არის მის სიცოცხლე, ფუჭი უმგვანო?
ჩემსავით ეგეც ფესვიანად ამოწყდა უკვე...
ნახავთ ამ ალაგს, სადა ეხლა სრა-სასახლეა—
გლეხი გუთანზე ლილინებდეს, ყანასა ხნავდეს
და რაც დოვლათი ჩვენის სისხლით დაუგროვია,
თქვენ დაგირიგდეთ, მშრომელთ ხელში გადანაწილდეს...
ოჰ, გიცნობთ ეხლა, თქვენ ჩემს ძმებს და კეთილ მეზობლებს...
ჩემსა გონებას აწ სიბნელე გადაეყარა...
მაგრამ სიხარულს ჩემსას სწორედ არ აქვს საზღვარი...
გახარებულებს გმართებთ უთხრათ გლოვისა ზარი!—

(გლეხები ჰკრავენ საგანგაშო ზარს, მთიულურ „დალაი, და-
ლაის". თავადი საკინძს ჩამოიგლეჯს, ცალ მხარს გაიხდის და
მათრახს იღებს მოთქმით: „შვილო, შვილო!").

დ ა ს ა ს რ უ ლ ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# Ode Genoise

## I

1. ახ ეს მაჭარი უტკბილესი და უნაზესი
ნარგიზის სისხლი ბოკალებში აქაფებული
სანუკველია ტუჩებისთვის ვიდრე თვით ქაფი,
ქაფი, პურისა თავთავების ფერად ნალები.
ამ სისხლის მსმელებს ჰხამს ახსოვდეთ
ისინი მარად
ვინც აშმორებულ ქალაქებში ოფლს იწურავენ.
2. დეე დაათროს ღვინომ ტვინი,
და სიცხემ ხსოვნა,
დეე, ხსოვნისა საზურველი იყოს თვით ღვინო,
ასე დნებოდა სექტემბერში ოქროს სარანჯი,—
ამ მათხოვრების საუკუნეს ვერ დავივიწყებ.
3. ამ მათხოვრების საუკუნეს ვერ დავივიწყებ.
ვერ დავივიწყებ რომ უფლება იმათ ხელშია,
ვინც ბევრი სისხლი დაანთხია, ბევრიც იცრუა,
მე მრწამს ძნელია ხალხის მართვა, ხალხის გაძღოლა.
წყდებიან წელში მოქალაქენი,
და ლაქლაქებენ პარლამენტები,
ერის სხეულში კი ნალველი სივდება ძველი.
4. დამღუპველ ომში, ამ სხეულის წამწყმედელ ომში,
ბრალი არა აქვს არც მეფეებს და არც მინისტრებს
ასე ამბობენ, მაგრამ ვიცი ვისია ბრალი,
მათ ურჩევნიათ გვესროლონ შუბლში და არა ფეხში,
„გონიერი გზით“ გაუსწორდნენ მოსისხარ მტერსა,
მათ არ ეწადათ მოზღვავება ამდენი ცხედრის,
მაგრამ მათ მაინც დააწვება ზურგზე ბრალდება.
ამ გარეწარებს მიწის პირზე ნუ ვაზოგინებთ,
გვერჩივნა ყველა ეშაფოტზე რომ დაგვენახა.

## II

1. ეს ჩემი ბოლმა,
ჩემი რისხვა,
ჩემი ყივილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე გადმოგეცით
ასე ცხდად, ასე ბავშურად.
რა ვქნა? მე არ მაქვს
არცა ფული, არცა უფლება,
ვშობილვარ ღარიბ,
დამონებულ კაცის ოჯახში,
ჩემსა წინაპარებს პირისოფლით
უმკიათ პური.
სხვებს ქარხნები აქვთ, ზოგს ბანკები,
ზოგსაც სახლები და ჟურნალები,
ზოგსა ვერფები, ქარვასლები და ხომალდები.
სახელმწიფოებს მეწვრილმანის ალაბი ხელში.—
ომის და ზავის საკითხები თუ გადაიჭრა,
საკითხი ყოფის და ცხოვრების მოსაგვარები,
ეს ყოველივე სხვის საქმეა,
სხვას ეკითხება,
მე ამ საქმეში ვიცი წილი არ დამედება.
2. მე ვლაპარაკობ დღეს უფლება აყრილთა პირით
თუნდ იგულისხმეთ თითქოს იმათ ახსნოდეთ ბაგე.
თქვენ გეუბნებით,
ამა ქვეყნის ძლიერნო თქვენა,
წადით, გეყოფათ რაც გვიქენით, რაც დაგვიმონეთ.
წა, გაათავეთ თქვენ თამაშა
ეგ ორპირული.
ჩამოირეცხეთ ტუჩებიდან ეგ ჩვენი სისხლი
მოვიდა ჟამი განკითხვისა,
წა, გაგვეცალეთ.
ხელი აიღეთ „უმნიშვნელო ხალხის“ საქმეზე.
3. კაცის მკვლელებო,
მეკობრენო გაშლილი ზღვების,
აწ მოგვიტევეთ ჩვენ ბალღური მიამიტობა.
ჩვენ არც ეგზომად მცირედნი ვართ
აწ ქვეყანაზე.
და ჩვენს გმირობას არ ეჭირვება
სისხლის ნადიმი და ღრეობა პირსისხლიანი.
ისედაც ბევრი დაიშრიტა წყურვილისაგან
კალოზე, რთველში და ყანაზე მოჭირნახული.
შენს მტვერს ჰყლაპავენ
ჰოი აგვისტოვ,
აქოთებული ქარხნის ეზოში.
ჩვენ დაგვანებეთ ჩვენი ვენახი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ჩვენი ყანა.
ჩვენ დაგვანებეთ ჩვენი დაზგა,
ჩვენი ქარხანა.
და თუნდ სამკეცად დამნაშავე
იყოს ეს ხანა
ჩვენ ძმისა სისხლით ხელს არ ვისვრით,
სისხლს ვერიდებით.
4. და თქვენ საკუთარ ხელით ნაგებ
მახეს მოჰყევით!
თქვენივე ხელით გაითხარეთ სამარე თქვენი.
როცა სივრცეთა უდაბნოში
თქვენ მორთავთ ყიჟინს
გეხმაურებათ არა ზავი, ის თქვენ ჩაჰქოლეთ,—
გეხმაურებათ უდაბნოდან ისევე ომი.
ჩვენ საკმარისი მოგვეძევა
მამაკაცობა
ყოველდღიური ჯაფისათვის
ჩვენს ქარხანაში.
როცა იალონს
ფეხს მიაბჯენს
სიზმარი შავი,
მაშინ ვილაცას
ხმა მოგვესმის:
ადსდექ, ხელ-პირი დაიბანე
და სამოსელით დაიფარე
სიშიშვლე ტანის.
წელში ვსწორდებით,
ვემზადებით დღიურ ბრძოლისთვის.
გვყოფნის სიმხნევე
დამცირების გადასატანი,
ხანაც სიმხნევის ნატამალიც
ჩვენ შეგვრჩენია
რომ უდრტვინველად ჩვენს დაზგასთან
დავლიოთ სული.
ეს არის რაც გვაქვს,
სულ ეს არის რაც გაგვაჩნია.
თქვენ კი?
ოცნებობთ ძლევამოსილ ომების ეტლზე,
შეჰხარით ახალ ზარბაზნებს და
ჯავშნოსანებს.

(თარგმანი ფრანგულიდან უ. უ—სი)

მ. გორკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არტამონოვების საქმე

(გაგრძელება) *)

## IV

სანამ იაკობ არტამონოვს ოცდაათი წელი შეუსრულდებოდა, იგი წყნარად, კარგად ცხოვრობდა. განსაკუთრებული რამ უსიამოვნობა არ შეხვედრია. მაგრამ შემდეგ, წყნარი ცხოვრების მოყვარული ადამიანების მტერი დრო ისე შემოუჩნდა, რომ დააბნია, გზა-კვალი აურია.

დაიწყო ეს აპრილში, ღამით, სამიოდე წლის შემდეგ, არეულობიდან, რომელმაც მომთმენიანი ხალხი ააფორიაქა.

იაკობი დივანზე იწვა და თამბაქოს ეწეოდა. იგი განცხომაში იყო. გამაძღრობას გრძნობდა, რომელიც ყოველ სურვილს ფარავს ხოლმე. ასეთ სულიერ განწყობილებას ის ყველაზე უფრო აფასებდა ცხოვრებაში, ვინემ სხვას რასმე. იგი მიაჩნდა ცხოვრებას აზრად. როგორც გემრიელი სადილს შემდეგ, ესევე ლამაზი ქალის ყოლის შემდეგაც ესეთი სულიერი განწყობილება მას თანაბრად ეწვეოდა ხოლმე.

მომგვრალო და კარგად მოყვანილი ქალი იდგა მაგიდასთან შუა ოთახში და დაფიქრებული სახით უცქეროდა სპირტის ლამპის ცისფერ შუშუნა ცეცხლს, რომელზედაც საყავე იდგა. მისი შიშველი ხელები და ბავშური სახე წითელ აბაჟურიანი ლამპის სინათლეზე კარგად გამომცხვარი ხაჭაპურის კანის ფრად ლივლივებდა.

გაშლილი შავი თმა ნახატივით ებნია კისრისა და ბეჭების გარშემო. პოლინას შიშველ ტანს მხოლოოდენ ბუხარული ყვითელ ოქროს ფერი ხალათი ფარავდა. ფეხებზე ეცვა მწვანე სამოგვის ტუფლები. მისი დამახასიათებელია არა რუსული რამ სიმსუბუქე. სახე მოზრდილ ყმაწვილს მიუგავს. ტუჩები სავსე, ამაყი თვალები, ბლის კაკალივით მგვრალები.

ახლაც კი, მიუხედავად იმისა რომ იაკობი მისით გამძღარია, მას მაინც სიამოვნობს იგი. რა თქმა უნდა, პოლინა იაკობის ნაცნობ ქალებში ყველას სჯობია. მაგრამ იგი კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ პულელური ხასიათი არ ჰქონდეს.

— მე არ მინდა ყავა, ჩემო ფორთოხალო,—უთხრა მას იაკობმა, რომელიც პაპიროსის ბოლში იყო გახვეული. პოლინამ არ შეხედა, ისე კითხვა შეუბრუნა:

---

*) იხ. „ჟურ. მნათობი“ № 12.

— მე კი რა მინდა?

— მე არ ვიცი შენ რა გინდა,—უპასუხა იაკობმა და დაამთქნარა.

— არა, კარგადაც იცი, სწრაფად მიუგო ქალმა დამტვრეული ხმით და თავი შეაქანა, იაკობმა მთელი ორი წუთი უსმინა მის ეკალივით მჩხვლეტავ და მიკიბულ-მოკიბულ სიტყვებს, მერე წამოდგა, პაპიროსი იატაკზე დააგდო და ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო. ამოხვრით წარმოსთქვა:

— არ მესმის რად გაქვს ასეთი ჩვეულება? უთუოდ გუნება უნდა გაუფუჭო ადამიანს. ხომ კარგად, იცი რომ სანამ მამაჩემი ცოცხალია, მე ცოლის შერთვა არ შემიძლია.

როგორც ყოველთვის, პოლინამ ახლაც მწარე სიტყვების კორიანტელი დააყენა:

— რასაკვირველია, შენ ყოველთვის შენს სულიერ განწყობილებას ელოლიავები, ობობავ. მე კარგად ვიცი ის, რომ შენ მზადა ხარ ძონძის მოვაჭრე თათარსაც კი მიჰყიდო ჩემი თავი, ოღონდ კარგი გუნება არ გაგიფუჭდეს. დიახ. შენ უპატიოსნო ადამიანი ხარ.

იაკობს განსაკუთრებით არ უყვარდა, როცა მას ობობას უწოდებდენ. ალერსის დროს პოლინას მისთვის სხვა სახელი ჰქონდა—„სოლენენკი". იაკობი ფიქრობდა, რომ სწორედ დღეს არ უნდა აეტეხნა მის საყვარელს ჩხუბი,—სულ ორი საათიც არ იყო გასული, რაც მას ასი მანეთი მისცა.

— ყვირილით ვერაფერს ვერ გახდები,—მშვიდად გააფრთხილა ქალი, ქუდი დაიხურა და ხელი გაუწოდა.—ნახვამდის.

— ღორი ხარ. ნამწვები კვლავ იატაკზე დაგიგდია.

ქუჩაში ნესტიანი ქარი ჰქროდა. ღრუბლების ჩრდილები მიწაზე დახოხავდენ, თითქოს წუმპის ამოშრობა ჰსურთო. ერთი წამით მთვარე გადმოიხედავდა მაღლიდან და მაშინ წუმპეში ჩამდგარი წყლის თხელი ყინული გადაკრული ზედაპირი სპილენძივით გაიბზრიალებდა. ამ წელიწადს ზამთარი განსაკუთრებით ჯიუტობდა და გაზაფხულს ადგილს არ უთმობდა. ჯერ კიდევ გუშინ თოვლი მოდიოდა.

იაკობი არტამონოვს ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ასე აუჩქარებლად მიდიოდა. იღლიას ქვეშ დიდი ჯოხი ამოედვა.

იგი იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენად გაუგებარი და უცნაური იყო, რომ ადამიანები ესოდენად სულელები იყვნენ. რა უნდა მაგალითად პოლინას, ამ მშვენიერს, მაგრამ სულელ ქალს? ცხოვრობს მისთვის მშვიდად, უზრუნველად. საჩუქრები არ აკლია. აცვია, ახურავს. თვეში ას მანეთს ხარჯავს. იაკობი კარგად გრძნობდა, რომ მას მოსწონდა პოლინა.

მაშ, კიდევ რა უნდა? რად უნდა ეს ჯვარისწერა?

— სისულელეა, როგორც მურაბის ქურქელში ჩამწყვდეული თაგვი,—დაასკვნა მან მის მიერვე გამოგონილი ანდაზით.

ცხოვრება მას ძალიან უბრალო რამედ ეჩვენებოდა, რომელიც ადამიანისაგან იმაზე მეტს არაფერს არ მოითხოვდა, რაც მას აქვს. არსებითად სწორია,

ცხადია ის, რომ ყოველ ადამიანს ერთი რამ სურს ყველაზე უფრო, რაც შეიძლება მეტი სიმშვიდე. დღის ფაცაფუცი ეს არასასიამოვნო შესავალია ღამის მყუდროებისა, იმ წყნარი საათებისა, როცა ადამიანი მარტო რჩება თავის საყვარელ ქალთან, და მერე მისი ალერსით დამტკბარი და გამძღარი იგი უსიზმრო ძილს ეძლევა. ეს არის მართლაც ცხოვრების ნამდვილად მნიშვნელოვანი და არსებითი მხარე.

ადამიანები სულელები იმით არიან, რომ თითქმის ყველანი, ახდილად თუ მალულად, ფიქრობენ, თითქოს იაკობზე უფრო ჭკუიანები იყვნენ. ისინი ბევრს ზედმეტს რასმე იგონებენ. შესაძლებელია, ასე იქცევიან იმიტომ, რომ ბრმები არიან და ჰგონიათ, რომ სხვებს სჯობნიან. შიშობენ, თუ ასე არ მოიქცნენ დაიკარგებიან, სხვებში გაითქვიფებიან.

სულელია ილია, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ჩაიფლო წიგნებში, როცა გიმნაზიაში სწავლობდა, და ახლა კი სადღაც სოციალისტებ შორის დაღოღიალობს. იაკობს ბევრი უსიამოვნება შეხვედრია მისგან, მაგრამ აი მაინც დიდი ხანი არ არის, რაც ილიას ფული გაუგზავნა სადღაც ციმბირში.

აუტანელად სულელია და სასაცილო დედაც.

უფრო აუტანელია და კიდევ უფრო სულელი გულმძიმე მამა, ბებერი დათვი, რომელიც ვერავის ვერ ეთვისება, ლოთობს და ბინძური დადის.

სასაცილოა მუდამ მოფუსფუსე ბიძა ალექსი. მას უნდა სახელმწიფო სათათბიროში მოხვდეს. ამისათვის ხარბად კითხულობს გაზეთებს, ეფარისევლება ყველას ქალაქში და გარყვნილი ბებერი დედაკაცივით ფაბრიკის მუშების წინაშე თავს იწონებს.

განსაკუთრებულად კი, გულის შემღონებლად, საშინლად სულელია ეს დიდცხვირა კოდალა მირონი. მას თავი ყველაზე უფრო ჭკუიან კაცად მოაქვს მთელ რუსეთში. ალბად თავი მომავალ მინისტრად აქვს წარმოდგენილი და ახლაც კი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მან ერთმა იცის (და ამას არც მალავს), თუ ხალხმა რა უნდა აკეთოს, როგორ უნდა იფიქროს. ისიც ცდილობს მუშების ყურადღება დაიმსახუროს და მათთვის გასართობებს მმართავს. ფუტბოლისტების ჯგუფი შეადგინა, ბიბლიოთეკა მოაწყო, სიტყვით, ის უნდა, რომ მგლის გული სტაფილოთ მოიგოს.

მუშები მშვენიერ ტილოს ქსოვენ. თვითონ კი დაფლეთილი ტანსაცმელი აცვიათ, ბინძურად ცხოვრობენ და ლოთობენ. იაკობ არტამონოვს მუშებზე ძალიან ბევრი უფიქრია, უფრო მეტი, ვინემ სხვებზე, რადგანაც ყოველ დღეს მათთან საქმე ჰქონდა და ურთიერთობა.

წინადაც, როცა ყმაწვილი იყო, მუშები მასში მტრულ გრძნობას იწვევდენ. ყმაწვილობისას არა ერთი და ორი შეტაკება ჰქონებია ახალგაზრდა ფეიქრებთან გოგოებისათვის, და დღესაც კი ამ ნიადაგზე მოწინააღმდეგებს არ დავიწყებიათ მისგან მიყენებული შეურაცხება.

როცა უწვერულვაშო იყო, ღამით ორჯერ ქვები დაუშინეს. დედამის უხდებოდა შვილის დანაშაულის ფულით გამოყიდვა, რომ სკანდალი არ დამართოდა და დედაკაცების ჩივილისაგან თავი დაეხწია. იგი სასაცილო რჩევას აძლევდა თავგასულ ვაჟს:

— რას ჰგავს ეს? მამალი ხომ არ ხარ? მოიცადე სანამ ცოლს შეირთავ, ან ერთი რომელიმე იყოლიე და ამით დაკმაყოფილდი, თორემ მამასთან გიჩივლებენ, და ის ილიასავით სახლიდან გაგაგდებს.

ბიბლიოთეკა

ორი-სამი წლის განმავლობაში, რაც კი არეულობა დაიწყო, იაკობს არაფერი განსაკუთრებულად საშიში არ შეუმჩნევია ფაბრიკის ცხოვრებაში, მაგრამ მირონის სიტყვები, ბიძია ალექსის ოხვრა, გაზეთები, რომლების კითხვა უმცროსს არტამონოვს არ უყვარდა, მაგრამ რომლებიც დაუფარავი ბოროტეული გახარებით მოუთხრობდენ მკითხველს მუშათა მოძრაობის შესახებ და მათი წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებს სიხარულით ბეჭდავდენ,—ყოველივე ეს იაკობს ფაბრიკის ხალხისადმი მტრობას უღძრავდა, მათ ეჩვენებოდა, რომ უკვე შეისწავლა ხერხი, თუ როგორ უნდა დაეფარა ეს მისი გრძნობა მცირეოდენი დათმობის სახით, გაღიმებით და წახუმრებით.

საერთოდ, საქმე ცუდად არ მიმდინარეობდა, თუმცა დრო-გამოშვებით მას მოულოდნელად შეიპყრობდა ისეთი გრძნობა, თითქოს ის, იაკობი არტამონოვი, ფაბრიკის პატრონი, სტუმარი იყო იმ ხალხისა, რომელიც მისთვის მუშაობდა. დიდი ხნის სტუმრობით თავი მოაბეზრა ყველას. ჩუმი საყვედურით შესცქერიან მას და თითქოს ეუბნებიან:

— რად აღარ მიდიხარ. დროა.

ასეთ დროს, მას ის წინათგრძნობა აწუხებდა, რომ ფაბრიკაში მალულად მისთვის პირადად, დიდად საშიში რამ მზადდებოდა.

ნაცნობებში, ყველაზე უფრო ჭკუიანად მოხუცებული ტიხონ ვიალოვი მიაჩნდა. მის წყნარ ხასიათს რომ აკვირდებოდა, იაკობი შურით ივსებოდა. ტიხონმა ჭკუიანი ძილიც კი იცოდა: იგი ისე ამოიდებდა ბალიშს ყურს ქვეშ, ან მიწაზე დასდევდა თავს, თითქოს რაღასაც უსმენსო.

იაკობი შეეკითხა ტიხონს:

— სიზმრებს ხედავ?

— რათა? მე ხომ დედა-კაცი არ ვარ,—უპასუხა ტიხონმა. მისმა სიტყვებმა იაკობს აგრძნობინა, რომ ეს მოხუცი შეურყევლად ძლიერი იყო, შეურყეველი.

— დედაკაცის სიზმრებია,—ფიქრობდა უმცროსი არტამონოვი, როცა იგი ალექსის სახლში კამათს ისმენდა. ფიქრობდა და თან გუნებაში იცინოდა.

საზოგადოდ, მძიმედ დაფიქრება სჩვეოდა. ამის გამო მძიმედაც დადიოდა, თითქოს ტვირთი ჰკიდიაო. ,თავჩაქინდრული სიარული იცოდა, ქვეშ, მიწას დასცქეროდა.

სწორედ ასე მოდიოდა იგი პოლინასაგან, და ამიტომ არც კი შეუმჩნევია, საიდან გაჩნდა მის წინ დაბალი, ნაცრისფერი ფიგურა, ჰაერში შემართული ხელით. იაკობი მყისვე მუხლებზე დაეშვა, პალტოს ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და უცნობს ფეხში ესროლა. რევოლვერის ხმა ყრუდ გაისმა, უცნობი უკან გადახტა და ღობეს მიეყრდნო. მერე ერთი დაილმუილა, ძირს მიწაზე დასცურდა ქანობით.

მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო იაკობმა, რომ იგი საშინლად იყო შეშინებული, ისე საშინლად, რომ დაყვირებაც კი ვერ შესძლო, ხელები უცახცახებდა და ფეხები არ ემორჩილებოდენ. ვერ წამოდგა. მისგან ათიოდე ნაბიჯის მანძილზე ის კაცი ადგომას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. უქუდო იყო და ხუხუჭა თმა უჩანდა.

— მოჰკლავ, იცოდე,—ჩახრიალებით დაუყვირა მას იაკობმა და რევოლვერიანი ხელი გაუშვირა, დაუმიზნა. უცნობმა ახლა მისკენ პირი მოიბრუნა და ჩაიბუტბუტა:

— უკვე მომკალით და ეს არის...

ახლა იაკობმა იცნო იგი და გაკვირვებით წამოიყვირა:

— ნოსკოვი? შე არამზადავ! ეს შენ ხარ?

იაკობის შიში სიხარულის მაგვარმა გრძნობამ შეცვალა. ეს მხოლოდ იმ შეგნებით კი არ იყო გამოწვეული, რომ ის გადარჩა და თავდასხმა მარჯვედ მოიგერია, არამედ იმ გარემოებითაც, რომ თავდამსხმელი უცხო ადამიანი აღმოჩნდა, არა მუშა.

ეს ნოსკოვი, მონადირე და გარმონზე დამკვრელი, მარტოხელა კაცი იყო. იგი დიაკვნის ქვრივის პარაკლიტოვას ბინაზე ცხოვრობდა. მის შესახებ არავის გაუგონია რაიმე ცუდი.

— აი, თურმე შენ რა ხელობის კაცი ყოფილხარ! —უთხრა მას იაკობმა და ფეხზე წამოდგა. მიმოიხედა. გარშემო სიჩუმე იყო, მხოლოდ ქარი ხის ტოტს არხევდა ღობესთან.

— რა ხელობის?—უცებ, ხმამაღლა იკითხა ნოსკოვმა.—მე ვიხუმრე. მინდოდა შემეშინებინე. მეტი არაფერი. თქვენ კი მაშინვე მესროლეთ. ამას არავინ არ მოგიწონებს. აი მეც შემეშინდა...

— მაშ, აი რა ყოფილა!...—დამცინავად სთქვა გამარჯვებულის ხმით არტამონოვმა.—მაშ, ადექი, წამომყევი პოლიციაში.

— წამოსვლა არ შემიძლია. ფეხში დაჭრილი ვარ.

ნოსკოვმა ქუდი აიღო, შიგ ჩახედა და დაამატა:

— პოლიციის მე არ მეშინია.

— ამას იქ დავინახავთ. ადე, ადე.

— არ მეშინია, გაიმეორა ნოსკოვმა. რით დაამტკიცებ, რომ თავდამსხმელი მე ვარ და არა თქვენ? ეს ერთი.

— ასე. მეორე?—ჰკითხა იაკობმა, რომელიც ცოტა არ იყოს გაეკვირვებინა ნოსკოვის სრულიად დამშვიდებულ სიტყვებს.

— არის მეორე გარემოებაც. მე თქვენთვის სასარგებლო კაცი ვარ.

— ეს ზღაპარია.

და გარმონზე დამკვრელს რევოლვერი სახეში დაუმიზნა. უცებ ავად აეგზნო და დაემუქრა:

— მე შენ მაგ თავს დაგიმსხვრევ.

ნოსკოვმა თვალები ასწია, მერე ისევ ქუდში ჩაიხედა და ბეჯითად წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ ახდენთ სკანდალს. არაფრის დამტკიცება თქვენ არ შეგიძლიათ, თუმცა მდიდარი ხართ. მე ვამბობ, ხუმრობა მინდოდა მეთქი, მე მამათქვენს ვიცნობ. მისთვის არაერთხელ დამიკრავს გარმონზე.

მან ქუდი თავზე მოიგდო, მერე თავი დახარა და ბურდღულით შალვარი ამოიწია. ცხვირსახოცი ამოიღო და ჭრილობის შეხვევას შეუდგა. ჭრილობა მუხლს ზევით აღმოჩნდა. იგი რაღასაც გაუგებარს ცხვირში ბუტბუტებდა, მაგრამ იაკობს ყური არ უთხოვებია მისი ბუტბუტისათვის. გაოცებული იყო, რომ მისი მარცხმოსული მძარცველი ასე უცნაურად იქცეოდა.

მისთვის უჩვეულო სისწრაფით იაკობმა მოიაზრა: — რა თქმა უნდა სჯობია, რომ ნოსკოვი აქ ღობესთან დარჩეს, თვითონ კი წავიდეს ქალაქში და ღამის ყარაულს დაუძახოს, მიუყენოს იგი დაჭრილს, სანამ პოლიციაში წავიდოდეს და ამ ამბავს აუწყებდეს. დაიწყება გამოძიება. ნოსკოვი, რა თქმა უნდა, არ დაფარავს უფროსი არტამონოვის ქეიფის ამბავს დიაკვნის ქვრივის სახლში. იქნება, ნოსკოვს მეგობრებიც ჰყავს, მასავით თავზე ხელაღებულები, რომლებიც უთუოდ შურს იძიებენ.—მაგრამ არც ის შეიძლება, რომ დაუსჯელად დასტოვოს ეს კაცი...

სიცივე ძლიერდებოდა. იაკობს რევოლვერიანი ხელი უყინდებოდა. პოლიციის სამმართველომდე ძალიან შორი იყო. იქ ალბად ახლა ყველას ეძინა. იაკობი ბრაზისაგან მძიმედ ითქვამდა სულს. არ იცოდა, რა გადაეწყვიტა. ახლა გულში ნანობდა, რომ მაშინვე არ მოჰკლა ეს ნოსკოვი, რომელსაც ისეთი ბრუნდი ფეხები ჰქონდა, თითქოს მთელი მისი სიცოცხლე ბოჭკაზე გადამჯდარი გაეტარებინოს.

და ამ დროს მას მოესმა ნოსკოვის სიტყვები, რომლებმაც იგი მოულოდნელობით გააოცეს:

— მე, თქვენ პირდაპირ გეტყვით, თუმცა ეს საიდუმლოებაა:—მე აქ იმისთვის ვცხოვრობ, რომ თქვენი სასარგებლო ვიყო: თვალყურს ვადევნებ თქვენს მუშებს. მე, იქნება, განზრახ გითხარით, რომ გეხუმრეთ მეთქი. ნამდვილად კი, მე აქ უნდა შემეპყრო ერთი კაცი და... შემეშალა.

— როგორ?—ჰკითხა იაკობმა.

— როგორ და, აი, საქმე რა არის: თქვენ არ იცით, თორემ დიაკვნის ქვრივის აბანოში სოციალისტები იკრიბებიან და კვლავ აჯანყებაზე თათბირობენ, წიგნებს კითხულობენ.

— სტყუი,—ხმადაბლა შენიშნა იაკობმა, მაგრამ დაუჯერა კი ნათქვამი,—ვინ, ვინ არიან რომ იკრიბებიან?

— ამის თქმის ნება არა მაქვს. როცა მათ შეიპყრობენ, მაშინ გაიგებთ.

ნოსკოვმა ღობის ფიცარი მოიშველია და წამოდგა. იაკობს თხოვნით მიმართა:

— მომაწოდეთ ჯოხი. უჯოხოთ ვერ ვივლი.

იაკობი დაიღუნა, აიღო ჯოხი და გაუწოდა. მერე გაიხედ-გამოიხედა და ჩუმად ჰკითხა:

— თუ ასე იყო, რატომ მოხდა, რომ შენ... თქვენ, მე დამესხით თავზე?

— არც მიფიქრნია თავდასხმა. შემეშალეთ მეთქი. მერე [illegible]ნეთ, ვინც უნდა... მაგრამ დაანებოთ ამას თავი. შეცდომა მოხდა. თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ მე მართალს ვამბობ. ახლა კი მომეცით ფული, რომ ფეხი მოვირჩინო. აი...

ლობეზე მიყრდნობით, ჯოხის დახმარებით, ნოსკოვმა ნელა აამოძრავა თავისი ბრუნდე ფეხები. ის გაემართა ქალაქის განაპირა უბნის ჩაბნელებული სახლებისკენ. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, შეკავებული ხმით დაუძახა არტამონოვს:

— იაკობ პეტრეს ძევ!

იაკობმა უმალვე მოირბინა მასთან. ნოსკოვმა უთხრა:

— თქვენ ამ შემთხვევის შესახებ, არავისთან არ დასძრათ სიტყვა... თორემ... ახლა თქვენ თვითონ იცით.

ჯოხი მოიმარჯვა და გზა განაგრძო. იაკობი სახტად დარჩა, გასულელებულივით.

ერთბაშად, ბევრის მოფიქრება დასჭირდა. საჭირო იყო იმის გადაწყვეტა: ისე მოიქცა, როგორც საჭირო იყო, თუ არა? თუ ნოსკოვი თვალყურს ადევნებს სოციალისტებს, ის სასარგებლო, საჭირო კაცი ყოფილა. მაგრამ თუ ტყუილი სთქვა, რათა დრო მოეგო და მერე კიდევ შური იძიოს დაჭრისათვის? უთუოდ სტყუის. არც შეშლია და არც შემცდარა. ეს ცხადია. იქნება მუშებმა მოისყიდეს, რომ იაკობი მოეკლა. ფეიქარ მუშებს შორის იყო ერთი დიდი ჯგუფი თავზე ხელაღებულთა, მოქეიფეთა, მაგრამ სოციალისტებად მათი წარმოდგენა ძალიან ძნელია. ყველაზე უფრო სერიოზული მუშები, როგორც სედოვი, კრიკუნოვი, მასლოვი და სხვები თვითონვე მოითხოვდენ ამასწინად, რომ ამ ჯგუფიდან კანტორას ყველაზე უფრო თავხედი დაეთხოვნა. არა, ნოსკოვმა უთუოდ მოატყუილა. საჭიროა თუ არა მირონს შეატყობინოს ეს შემთხვევა?

იაკობს ვერ წარმოედგინა, რა იქნებოდა, როცა მირონი გაიგებდა ამ ამბავს. რა თქმა უნდა, ძმა გამოკითხავდა მას ყველაფერს, როგორც მოსამართლე. გაამტყუნებდა ალბად და მერე კიდევაც დასცინებდა. თუ ნოსკოვი ჯაშუშია, ეს მირონს ეცოდინება უთუოდ.

და ბოლოს, არც არის გამორკვეული, თუ ვინ მოსტყუვდა: ნოსკოვი, თუ თვითონ იაკობი? ნოსკოვმა უთხრა:

— მალე ნახავთ, რომ მე მართალს ვამბობ.

მან თვალები გაადევნა მონადირეს, სანამ იგი ღამის წყვდიადში არ მიიმალა.

თითქოს ყველაფერი უბრალოდ მოხდა და ყოველივე ნათელი იყო; ნოსკოვი მას თავს დაესხა გაძარცვის მიზნით. იაკობმა კი მას რევოლვერი ესროლა... და შემდეგ დაიწყო ის, რაც სიზმარს უფრო ჰგავდა.

ნაბიჯის არაჩვეულებრივი დგმით მიდიოდა ნოსკოვი ღობის გასწვრივ და არაჩვეულებრივი სქელი ნაკვეთებით, მიწაზე ხოხვით, მისდევდენ მას უცნაური ჩრდილები. იაკობი პირველად ხედავდა, რომ ჩრდილები ასე ადევნებოდენ ადამიანს...

უმცროსი არტამონოვი ფიქრებმა გააწვალეს და მოქანცეს. მან გადასწყვიტა არავისთვის გაემხილა, რაც ნოსკოვთან ამბავი შეემთხვა. სულ ნოსკოვზე ფიქრობდა. სახე ელრუბლებოდა, თავს ავად გრძნობდა. სადილის დროს, როცა მუშები კორპუსიდან გამოვიდოდნენ, ის კანტორის ფანჯარასთან დადგებოდა და თვალს არ აშორებდა მათ. უნდოდა ეცნო, რომელი მათგანი იყო სოციალისტი? ნუ თუ ვოსკა კოჩეგარი, ეს ბინძი და კოჭლი, რომელმაც სერაფიმე ხუროსაგან გარმონზე დამღერება ისწავლა?

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა თავლაში დგომით დახუთულ ცხენს ხედნიდა, ტყის პირად თვალი მოჰკრა ჟანდარმს ნესტორენკოს, რომელსაც შვედური კურტკა ეცვა და მაღალი ჩექმები, ხელში თოფი ეჭირა და მხარზე ნანადირევი ფრინველით სავსე სანადირო ჩანთა ეკიდა. ნესტორენკო ტყისაკენ იცქირებოდა, ზურგი გზისკენ ჰქონდა შექცეული. თავი დაეწია, ხელი პირთან მიეტანა და პაპიროსს სწევდა. მისი მოწითალო ტყავის ზურგს მზე ადგა და რკინისფრად აჩენდა. იაკობმა გადაწყვიტა მასთან მისვლა. ცხენი გააჩქარა და მიესალმა.

— არ მოველოდი, რომ აქ გნახავდით.

— მესამე დღეა რაც ვნადირობ. ჩემი ცოლი კი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, უფრო ცუდათ არის. დიახ.

ეს სამწუხარო ცნობა ნესტორენკომ იაკობ არტამონოვს გაცხოველებული სახით გადასცა, მერე ხელი დაიკრა ჩანთაზე და დაამატა:

— მე კი, აი! ხომ კარგად მინადირნია?

— თქვენ იცნობთ მონადირე ნოსკოვს?—ჰკითხა იაკობმა ხმადაწეულად. ოფიცრის წითური წარბები გაკვირვებით მაღლა აიწურენ, ჩინური ულვაშები აუცმაცურდენ. მან ცალ ულვაშზე ხელი წაივლო, თვალები დაიპატარავა და ცისკენ აიხედა. ყოველივე ამან იაკობი დაარწმუნა, რომ იგი უთუოდ იცრუებდა.

— ვინ? ნოსკოვი? რა კაცია?

— მონადირე. თმახუჭუჭა. ფეხებმოქცეული.

— ჰმ... თითქოს შემხვდა ამგვარი ვინმე ტყეში... ვერაფერი შვილი თოფი ჰქონდა... რათ მკითხეთ?

ახლა ოფიცერი პირდაპირ შესცქეროდა თვალებში იაკობს, რომელმაც დაწვრილებით უამბო მას ნოსკოვის ამბავი. ნესტორენკომ თვალების დახრით მოუსმინა ბოლომდის. თან თოფის კონდახით ფიჭვის კაკრას სტკეპნიდა. თვალები არ აუწევია, ისე ჰკითხა:

— რატომ პოლიციას არ განუცხადეთ? ეს მისი საქმეა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ხოლო თქვენი მოვალეობა.

— აკი გითხარით: მგონი მუშებს ჯაშუშად ჰყავს მიყენებული, და ეს ხომ თქვენი საქმეა.

— ასეა მაშ,—სთქვა ჟანდარმა და პაპიროსის ნამწვავი თოფის ლულაზე დააქრო. მერე თვალების წკურვით ისევ იაკობს შეაცქერდა და ბეჯითად, მაგრამ გაუგებრად დაიწყო ლაპარაკი. ისე გამოდიოდა, რომ იაკობი უკანონოდ მოიქცა, რადგანაც თავდასხმის შემთხვევა პოლიციას თავის დროზე არ აცნობა. ახლა კი გვიან არის.

— მაშინვე რომ პოლიციის სამმართველოში წაგეყვანათ, მტკიცება ალარ დაგჭირდებოდათ. თუმცა არც ისე ნათელი და ცხადია ეს ამბავი. ახლა კი როგორ გინდათ დაამტკიცოთ, რომ იგი თავს დაგესხათ? დაჭრილი რომ არის, ეს არაფერს ამტკიცებს. ხომ შეიძლება კაცმა თოფი შიშისაგან გაისროლოს? ან შემთხვევით, გაუფრთხილებლობით...

იაკობი გრძნობდა, რომ ნესტორენკო თვალთმაქცობდა, მიკიბულ-მოკიბულს რაღაცას ლაპარაკობდა, თითქოს მისი შეშინება უნდაო, ან ამ საქმეში გარევა არ სურსო. როცა მან ის აზრი გამოსთქვა, რომ შესაძლებელი იყო იაკობს რევოლვერი შიშით გავარდნოდა, არტამონოვს ეჭვი უფრო გაუმტკიცდა.

— სტყუის.

— დიახ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი. იმისთვის კი, რომ მას მზვერავად, ზედამხედველად მოაქვს თავი, რა თქმა უნდა, პასუხი მოეთხოვება მაგ ბატსა. ჩვენ მას დავკითხავთ ამის შესახებ.

მერე მხარზე ხელი დაადვა და უთხრა:

— აი, რა გითხრათ: მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ ყოველივე ეს ჩვენს შორის დარჩება. ამას თქვენი ინტერესებისთვის ვამბობ. მაშ ასე. პატიოსანი სიტყვა!

— რა თქმა უნდა. ინებეთ.

— თქვენ ამას არ ეტყვით არც ბიძას, არც მირონ ალექსისძეს... მართლა, ჯერ არ გითქვამთ მისთვის? ასე მაშ: ეს საქმე მის საკუთარ ლოგიკას მივანდოთ. არავისთან კრინტი. ხომ? მონადირემ თავისი თავი თვითონვე დაიჭრა. თქვენ რა შუაში ხართ!

იაკობმა გაიღიმა. მას ახლა სულ სხვა კაცი ელაპარაკებოდა: მხიარული და კეთილი.

— ნახვამდის,—სთქვა მან.—პატიოსანი სიტყვა არ დაგავიწყდეთ.

უმცროსი არტამონოვი რამდენიმედ დამშვიდებული დაბრუნდა სახლში. საღამოს ბიძამ წინადადება მისცა გამგზავრებულიყო საგუბერნიო ქალაქში. იგი სიამოვნებით გაემგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და როცა სადილათ ბიძამისისას იმყოფებოდა, მირონისაგან შემდეგი ამბავი გაიგო.

— ნესტორენკო არც ისე უსაქმური კაცი აღმოჩნდა, როგორც მეგონა, მან ქალაქშიაც შეიპყრო სამი კაცი: მასწავლებელი მოდესტოვი და კიდევ ვილაცეები.

— ჩვენთან ვინ?—შეეკითხა იაკობი.

— ჩვენთან: სედოვი, კრიკუნოვი, აბრამოვი და ხუთი კიდევ უფრო ახალგაზრდა. თუმცა მათ შესაპყრობად ქალაქიდან ჩამოვიდენ ჟანდარმები, მაგრამ, ეჭვი არ არის, ეს ნესტორენკოს საქმეა. ამნაირად მისი ცოლი ჩვენდა სასარგებლოდ ავადმყოფობს. სჩანს სულელი არ უნდა იყოს. ალბად ეშინია, რომ არ მიაკლან.

— ახლა აღარ ჰკლავენ,—შენიშნა ალექსიმ.

— ნუ თუ,- სთქვა მირონმა.—ჰო, მართლა, ქალაქში კიდევ შეუპყრიათ ის... მონადირე.

— ნოსკოვი?—დაბალი ხმით იკითხა შეშინებულმა ილიამ.

— არ ვიცი. ის დიაკვნის ქვრივის სახლში სცხოვრობდა. მისას, სწორედ აბანოში, რევოლიუციონერები კონგრესებს მართავდენ. მისავე სახლში და მასთან დროს ატარებდა მამაშენი, როგორც ეს შენც მოგეხსენება. ეს ორი ამბავი რომ ერთმანეთს ხვდება ვერ არის მაინც და მაინც მოხერხებული.

-- მართალია, მაგრამ რას იზამ?—მელოტი თავის გაქნევით სთქვა ალექსიმ.—რა უნდა უყოთ მაგ კაცს?

იაკობს თვალთ დაუბნელდა. მას აღარ შეეძლო იმის მოსმენა, რაზედაც ძმა ან ბიძამისი საუბრობდენ. იგი ფიქრობდა: ნოსკოვი შეპყრობილია, მაშასადამე, ცხადია, რომ ისიც სოციალისტია და არა მძარცველი. ალბად მუშებმა უბრძანეს, მოვეკალი, ან ეცემნა ჩემთვის. ეს ჩაიდინეს იმ მუშებმა, რომლებიც იაკობს ყველაზე უფრო სერიოზულ, წყნარ ხალხად მიაჩნდა. სედოვი, ყოველთვის სუფთათ-ჩაცმული—უკვე ხანში შესული—კრიკუნოვი, თავაზიანი, მხიარული ზეინკალი. სასიამოვნო კაცი, აბრამოვი—მომღერალი და მარჯვე... განა შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რომ ესენიც იაკობის მტრები არიან.

მას ეჩვენებოდა, რომ ბიძამისის სახლში ამ ჟამად უფრო მეტი ხმაურობა იყო და ყვირილი. ოქროსკბილიანი ექიმი იაკოვლევი, რომელიც არასოდეს არავისზე კარგს არ იტყოდა და ყველაფერს უფრო ადამიანის თვალით უცქეროდა, ახლა სულ იღიმებოდა რალაცნაირად და მუქარით ატრიალებდა თვალებს.—დიახ,—ამბობდა იგი ოქროს კბილის ბრჭყვიალით,—ვმოძრაობთ, ვიღვიძებთ. ხალხი გაზარმაცებულ მოსამსახურეს დაემსგავსა, რომელმაც გაიგო თუ არა უფროსების მოულოდნელი დაბრუნების ამბავი, ადგილიდან დათხოვნის შეეშინდა და აჩქარებით შეუდგა დაგვას, სახლის წესრიგში მოყვანას.

— ორაზროვნად ლაპარაკობთ ექიმო, — შენიშნა მას მირონმა დაღრეჯით. — ეს თქვენი ანარქიზმია, სკეპტიციზმი...

მაგრამ ექიმმა უფრო ხმამაღლა განაგრძო. იაკობს იგი შიშს უღძრავდა. ისე სჩანდა, თითქოს ყველას რაღაცის ეშინოდა. ყველა ერთმანეთს ემუქრებოდა. ურთიერთის უბედურებას აზვიადებდა. კაცს ეგონებოდა, რომ ადამიანებს იმისი ეშინოდათ, რასაც თვითონვე აკეთებდენ—საკუთარი აზრების, სიტყვების. ამაში იაკობს საერთო გასულელების ზრდა ელანდებოდა, თვითონ კი სრულიად რეალურ შიშს განიცდიდა. იგი მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ კისერზე თოკი ჰქონდა შემოხვეული, რომელიც უხილავი იყო, მაგრამ მაინც დიდი ვაების და აუცდენელ დაღუპვისაკენ მიაქანებდა.

მისი შიში უფრო გაიზარდა ორიოდე თვის შემდეგ, როცა ქალაქში ისევ გამოჩნდა ნოსკოვი, ხოლო ფაბრიკაში კი—აბრამოვი, ლამაზად გაპარსული, ყვითელი და ხმელი.

—კვლავ მომცემთ სამუშაოს მოხუცებულ მუშას?—ჰკითხა მან ღიმებით. იაკობმა მას უარი ვერ უთხრა.

— ცუდი იყო ციხეში ყოფნა?--შეეკითხა იგი აბრამოვს, რომელმაც ღიმილითვე უპასუხა:

— ძალიან ვიწროობა. სახადი რომ არ ეხმარებოდეს მთავრობას, არ ვიცი, ამდენ ხალხს სად დაამწყვდევდა.

— დიახ,—გაიფიქრა იაკობმა, როცა აბრამოვი გააცილა- შენ იცი, მაგრამ მე კი ვიცი კარგად, რასაც ფიქრობ.

იმავე საღამოს აბრამოვის მიღებისათვის მირონმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. თითქოს უყვირა, ფეხების დაბრახუნებით გაუწყრა, თითქოს საქმე ლაქიასთან ჰქონდა.

— გაგიჟდი? ჭკუაზე შეიშალე?— ჰყვიროდა მირონი და ცხვირი უწითლდებოდა.—ხვალვე ისევ დაითხოვე, იცოდე.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა იაკობი დილას ტანს იბანდა ოკაში, მას თავს წაადგენ პორუჩიკი მავრინი და ნესტერენკო. ისინი ნავით მოადგენ ნაპირს. ნავზე ულვაშებივით ეკიდა ანკესების გროვა. მავრინმა ცივად მისცა სალამი იაკობს და მდინარის შუა გულისკენ გააცურა ნავი. ნესტერენკო კი ტანზე გახდას შეუდგა. მან ჩუმად უთხრა იაკობს:

— თქვენ ტყუილად დაითხოვეთ აბრამოვი. ვწუხვარ, არ ვიცოდი, თორემ გაგაბრთხილებდით.

— ეს მირონის ბრალია,—ჩაიბუტბუტა უმცროსმა არტამონოვმა. მას ნესტერენკოს პირიდან სპირტის სუნი ეცა.

— მართლა?—ჰკითხა ოფიცერმა.—მაშ, ის თქვენ არ დაგითხოვნიათ?

— არა.

— სამწუხაროა. გამოგადგებოდათ კი უთუოდ.

— უთხრა და თანამოაზრის გამომეტყველებით იაკობს თვალებში შეაცქერდა. როცა გატიტვლდა, მზეზე ტანის ოქროსფერი კანი თევზის ქერტლივით გაუბრწყინდა. მერე კვლავ ჰკითხა იაკობს:

— ნახეთ თქვენი მეგობარი? მონადირე? და ნელი სიცილით გაიცინა, როგორც კმაყოფილ ადამიანს სჩვევია ხოლმე.

— იცით, რატომ ნადირობდა იგი თქვენზე? ორლულიანი თოფის ყიდვა უნდოდა. ასე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ყველაფერი ვნების ბრალია. დიახ. ეს მონადირე ახლა ძალიან სასარგებლო კაცი იქნება: იმ შეცდომის წყალობით, მე იგი ახლა ხელში მყავს.

— რა შეცდომა, როცა თქვენ ამბობთ რომ...

— შეცდომა იყო, თქვენ ხართ ჩემი ბატონი. შეცდომა.—სთქვა ოფიცერმა, წყალი შეაპო და შიშველ მკერდზე პირჯვრის გადასახვით ცხენივით მდინარეში შეიჭრა.

— ეშმაკმაც კი წაგიღოთ ყველა,—გაიფიქრა თავისთვის იაკობმა.—

ეს მოულოდნელად მოხდა, თითქოს ოთახის კარი უცებ დაიხურაო;—სადაც ხმაურობა იყო, იქ სიკვდილი შემობრძანდა.

შუა ღამე იყო, როცა აქვითინებულმა დედამ იაკობი გააღვიძა:

— ჩქარა ადექი. ტიხონმა ეს-არის მოირბინა და ამბავი მოიტანა რომ ალექსი გარდაიცვალაო.

იაკობი წამოხტა.

— როგორ შეიძლება? ავად რომ არ ყოფილა?

ბარბაცით, მძიმე სუნთქვით, ოთახში მამა შემოძვრა.

ეროვნული

— ტიხონია?..—ამბობდა იგი.—სადაც ტიხონია, იქ სიკეთე არ იქნება. ა? რას იტყვი, იაკობ? ასე უცებ...

იგი ფეხშიშველი იყო, სალამურ პერანგზე ხალათი წამ[illegible]ისრესდა, აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა, თითქოს უცხო ადგილას შემთხვევით მოხვდაო.

— ჰოჰ...—ოხრავდა იგი.

— მაინც როგორ მოხდა?—კვლავ გაიკვირვა იაკობმა.

— უზიარებლად...—წარმოსთქვა დედამ, რომელიც დიდ ტომარა ფქვილს ჰგავდა.

ეტლით წავიდენ. იაკობი მეეტლეს მაგიერობას სწევდა. იგი პირდაპირ ტიხონს შესცქეროდა, რომელიც წინ ცხენით მიდიოდა. მეეზოვეს გვერდით ადევნებოდა მისივე ლანდი, რომელიც გზაზე ისე გართხულიყო, თითქოს მიწაში ჩაძვრომას სცდილობსო.

ოლგა მათ ეზოში დახვდა. იგი ფარდულსა და ჭიშკარ შუა დადიოდა; თეთრ იუბკაში. სალამურ კოფთაში გამოწყობილი მთვარის შუქზე მოლურჯო სჩანდა. უცნაური იყო, რომ მისი ტანის ლანდი ეზოს სიპის მელოტ ქვაზე სქლად ეცემოდა.

— აი, გათავდა ჩემი ცხოვრებაც,—ჩუმად სთქვა მან.

შავი ძაღლი კუჩუმი კვალდაკვალ დასდევდა მას.

სამზარეულოს ფანჯარასთან, სკამზე, მირონი იჯდა მოკეცილად. ერთ ხელში გაბოლებული პაპიროსი ეჭირა, მეორეში კი სათვალეები, რომლის შუშები მთვარის შუქზე ბრჭყვიალებდენ. მირონის უსათვალებო ცხვირი ახლა უფრო დიდი სჩანდა. იაკობი უსიტყვოდ მიუახლოვდა მას და გვერდით მოუჯდა. მამა კი შუა ეზოში დამდგარიყო და ღია ფანჯარას ისე შესცქეროდა, როგორც მოწყალების მისაღებად მოსული მათხოვარი. ოლგამ ცას მიაპყრო თვალები და ნატალიას ხმამაღლა უამბო:

— ვერც კი შევნიშნე, როდის მოხდა... უცებ მხარი სასიკვდილოთ გაუცივდა, პირი დაალო... ვერ მოასწრო, ჩემთვის უკანასკნელი სიტყვა ეთქვა. გუშინ ჩიოდა: გულში ჭვალი მაქვსო.

ოლგა ისე ამბობდა ამას, თითქოს მისი სიტყვების ლანდიც მიწაზე ეფინებოდა.

მირონმა პაპიროსი გადააგდო, თავით მიეყრდნო იაკობს და შეკავებული ჩაზმუილებით წარმოსთქვა:

— შ-შენ არ იცი, რა კარგი...

—რა უნდა ექნათ?—უპასუხა იაკობმა, რომელმაც არ იცოდა, რა უნდა ეთქვა. საჭირო იყო ბიცოლასთვისაც ეთქვა რამე, მაგრამ რა უნდა ეთქვა? ისევ სიჩუმე არჩია, თავი ძირს დახარა.

მამამ ერთი ჩაახველა და სახლში ფრთხილად შევიდა. მას მიჰყვა ცერზე შემდგარი იაკობიც. მიცვალებულ ბიძას ზეწარი ჰქონდა ტანზე გადაფარებული. თავზე რქებივით აშოჩროდა თავსაკრავის შენასკვილი წვეტები, რომლითაც ყბა შეეხვიათ.

ეზოში კუჩუმმა დაიყმუილა და, თითქოს ამ ყმუილს უპასუხაო, უფროსმა არტამონოვმა ფართოდ პირჯვარი გადაიწერა და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— მსუბუქი იყო შენი ცხოვრება. მსუბუქი შეგვხდა სიკვდილიც.

ფანჯრიდან იაკობმა დაინახა, რომ ეზოში ბიცოლას გვერდით ვერა პოპოვა დადიოდა, შავში გამოწყობილი, როგორც მონაზონი. ოლგა ახლა მას უამბობდა ხმამაღლა:

— ძილში მიიცვალა...

— ნუ სულელობ!—დაბალი ხმით წამოიყვირა ვიალოვმა: იგი ცხენს ოფლს სწმენდდა თივით და თავს აქეთ-იქით ხრიდა რომ ცხენს მისთვის ყურზე არ ეკბინა. უფროსმა არტამონოვმა ფანჯარაში გადაიხედა.

— რას ბლავის ეს სულელი... არაფერი არ გაეგება.

— არაფრის თქმა არ არის აქ საჭირო,—გაიფიქრა იაკობმა და აივანზე გამოვიდა.

დედა ტიხონს რაღასაც ეჩურჩულებოდა. ტიხონი ეთანხმებოდა. ეთანხმებოდა ცხენიც: მის თვალებში სპილენძის ფერი გუგა ანათებდა. სახლიდან მამა გამოვიდა, დედამ უთხრა მას:

— ნიკიტა ილიასძეს დეპეშა გაუგზავნოთ. ტიხონმა იცის, სად იმყოფება ამ ჟამად.

— ტიხონმა იცის!—ბრაზით სთქვა მამამ.—გაგზავნე, მირონ...

მირონი ადგა. წავიდა. ბეჭი გასავალი კარის წირთხლს მიარტყა. შესდგა, წირთხლს ხელი გადაუსვა.

— ილიასაც გაუგზავნე,—მიაძახა მას მამამ. კედლის შავი ჭუჭრუტანიდან მირონმა უპასუხა.

— ილიას არ შეუძლია ჩამოსვლა.

— მე ხომ მასთან ოცდაათი წელიწადი ვიცხოვრე,—ამბობდა ოლგა და თითონ უკვირდა ის, რასაც ლაპარაკობდა.—დაგვირგვინებამდე ოთხი წელიწადი კიდევ ვმეგობრობდით. ახლა კი რა ვქნა? როგორ ვიცხოვრო?

მამა იაკობთან მივიდა.

— სად იმყოფება ილია?

— არ ვიცი.

— სტყუი.

— რა დროს ილიაზე ლაპარაკია ახლა, მამა.

ეზოში აჩქარებით შემოვიდა ექიმი იაკოვლევი. იკითხა:

— საწოლ ოთახშია?

— სულელი,—გაიფიქრა იაკობმა.—სულს ხომ ვერ ჩაუდგამს.

იაკობი იმაზე ფიქრობდა, თუ ეს მძიმე საათები როგორ გაეტარებინა. გარშემო ყოველივე აუტანელი იყო და მას ზედმეტად ეჩვენებოდა: ხალხიც, ლაპარაკიც, ცხენიც, რომელიც მთვარის შუქზე ბრინჯაოსავით ელვარებდა, და შავი, ჩუმად დანაღვლიანებული ძაღლიც....

ალექსის დასაფლავების დღეს, როცა კუბო უკვე საფლავში ჩაუშვეს და ყვითელ მიწას პეშვით აყრიდენ, გამოჩნდა ბიძა ნიკიტა.

— აი, ესეც.—გაიფიქრა იაკობმა, როცა შეხედა ბერის უხეშ ტანს, რომლითაც იგი მის მიერვე დარგულ არყის ხეს მიყრდნობოდა.

— დაავგვიანე,—უთხრა მას მამამ. ძმას მიუახლოვდა და თვალებზე ცრემლი შეიმშრალა. ბერმა კუზში შეჭყო თავი კუსავით, მათხოვარს ჰგავდა. მზისაგან გახუნებული ანაფორა ეცვა. ბარტყულას ძველი, გადაგდებული ჩაის ფერი მისცემოდა. გაცვეთილი ჩექმები ეცვა. მტვრიანი სახე გასივებოდა: ამღვრეულ თვალებით უცქეროდა ხალხის ზურგს, რომელიც საფლავს გარს შემოხვეოდა. იგი ისეთი დაბალი ხმით ესაუბრებოდა ძმას, რომ არ ისმოდა. ნაცრისფერი წვერი უცანცარებდა. იაკობმა ცნობისმოყვარეობით მისკენ პირი მოიბრუნა და შეამჩნია, რომ ბერს ხალხი გაკვირვებით ათვალიერებდა. ალბად ყველას აინტერესებდა მდიდარი არტამონოვების მახინჯი ბიძის ნახვა. იქნება, სკანდალს რასმე მოელოდნენ. იაკობმა კარგად იცოდა, რომ მთელ ქალაქს სწამდა: კუზიანი მონასტერში იმისთვის გაგზავნეს, რომ მამის სიკვდილის შემდეგ მისი წილი მემკვიდრეობა ძმებს მიეთვისებინათ.

მსხვილი და კეთილი მღვდელი მამა ნიკოლოზ წვრილი ხმით ანუგეშებდა ოლგას.

— ნუ შეურაცხყოფთ უფალსა ჩვენსა მოთქმითა და ცრემლით, ვინაიდან ნება მისი...

ოლგა ხმისაწევით აძლევდა პასუხს:

— მე ხომ არ ვსტირი... არც ვჩივი...

მას ხელები უცახცახებდა. იუბკაზე ჯიბეს ეძებდა, რომ სველი ცხვირსახოცი შეენახა.

ტიხონ ვიალოვი საფლავს მარჯვედ აყრიდა მიწას. იგი სასაფლაოს დარაჯს ეხმარებოდა. საფლავთან სვეტივით ამართულიყო მირონი. კუზიანი ბერი კი ნელი ხმით შესჩიოდა ნატალიას:

— როგორ გამხდარხარ? ძნელი საცნობი ხარ.

მერე წინა კუზზე თითი ჩაიკრა და უადგილოდ წარმოსთქვა:

— ჩემი ცნობა კი ადვილია. ეს შენი შვილია, იაკობი? ის კი, მაღალი რომ არის, ალიოშას მირონია? ასე. ასე. მაშ, წავიდეთ.

იაკობი სასაფლაოზე დარჩა. ერთი წუთით წინ მან თვალი მოჰკრა ნოსკოვს, რომელიც მუშებ შორის იდგა. მონადირეს კოჩეგარი ვასკა ახლდა. იაკობს ახლოს ჩაუარა. ნოსკოვმა იაკობს არა კეთილი თვალები მიაპყრო, თითქოს რაღასაც ეკითხებაო. ნეტავი, რას ფიქრობს ეს ადამიანი? რა თქმა უნდა, მას არ შეუძლია ცუდი არ იფიქროს ისეთ ადამიანზე, რომელმაც მას რევოლვერი ესროლა. ხომ შეეძლო მოეკლა.

იაკობთან ახლა ტიხონი მივიდა. პადიოვკაზე მტვერი ჩამოიფერთხა და სთქვა:

— რამდენს არ ცდილობდა ალექსი ილიასძე, მაგრამ მაინც... აი... ნიკიტა ილიასძეც სუსტად არის.

— აქ არის...—დაიწყო მოულოდნელად იაკობმა, მაგრამ უმალვე დადუმდა.

— რაო?

— მუშებს ეცოდებათ ბიძაჩემი.

— მაშ.

— აქ არის ერთი... ნოსკოვი მონადირე...—ისევ დაიწყო იაკობმა.—მე მინდა გითხრა იმის შესახებ, რომ...

— ადამიანს ცხენის დაკარგვაც კი დასწყვეტს გულს.—გაფიქრებით ამბობდა ტიხონი.

— ალექსი ილიასძე ისე ცხოვრობდა, გეგონებოდათ, თითქოს გარბისო... ასევე მოკვდა,.. თითქოს თავი რასმე მიარტყაო. სიკვდილის წინა დღეს კი მე მეუბნებოდა...

იაკობი დადუმდა, რადგანაც მიხვდა, რომ ტიხონი მას მაინც ვერ გაუგებდა. გადაწყვეტილი კი ჰქონდა, რომ ნოსკოვზე სიტყვა ჩამოეგდო ტიხონთან, რადგანაც მოთხოვნილება ჰქონდა, ვისმესთვის გაეზიარებინა თავისი აზრი ამ ადამიანის შესახებ. ნოსკოვზე ფიქრი კი მას უფრო მძიმედ აწვებოდა, ვინემ ყოველივე ის, რაც მის გარშემო ხდებოდა. გუშინ, ქალაქში ყოფნის დროს საიდღანაც მასთან ეს ბრუნდი ფეხებიანი კაცი მივიდა, ქუდი მოიხადა, შიგ მის სარჩულს ჩააცქერდა და სთქვა:

— მაქვს მცირე ვალი თქვენგან მისაღები, დამპირდით ფეხის მოსარჩენად მოგცემო. ამასთანვე თქვენი ბიძაც მიიცვალა, ასე რომ ეს მისი სულის მოსახსენებელიც იქნება. მე კი შემთხვევა მეძლევა—იშვიათი გარმონი შევიძინო თქვენი მამის გასართველად.

იაკობი გაოცებით შესცქეროდა მას და სდუმდა. მაშინ ნოსკოვმა ჭკუაზე დამრიგებელივით ბეჯითად განაგრძო:

— და კიდევ იმისთვის, რომ თქვენდა სასარგებლოდ ვმსახურობ რუსეთის მტრების წინაამდეგ.

— რამდენი გინდა?—ჰკითხა იაკობმა.

ნოსკოვმა შეგვიანებით უპასუხა:

—სამ თუმან ნახევარი...

იაკობმა მას ფული გადასცა და სწრაფად მოშორდა. იგი აღშფოთებული იყო და შეშინებულიც. უთუოდ სულელი ვგონივარ. ალბად ფიქრობს, რომ მე მისი მეშინია! არამზადა... მაგრამ დამაცადოს...

ახლაც როცა ნელი ნაბიჯით შინ ბრუნდებოდა, იმაზე ფიქრობდა თუ როგორ მოეცილებინა თავიდან ეს კაცი, რომელიც, უეჭველია, მას ხარსავით სასაფლაოზე მიათრევდა.

ქელეხი დაუსრულებლად გაგრძელდა. ხალხი იმით ერთობოდა, რომ დიაკვანს კარცევს განუწყვეტლივ აგალობებდა „საუკუნო იყოს ხსენება მისი"., ქიტეიკინი ისე დათვრა, რომ ჩანგალს იქნევდა და შეუფერებელს რასმე მღეროდა მრისხანე გამომეტყველებით:

«Бойцы вспоминают минувшие дни
И бытвы, где вместе рубились они.

სტეპან ბარსკიმ, როცა მისი ბალიშივით დაბალი ტანი ეტლში შეაგორეს, ხმამაღლა შეაქო უფროსი არტამონოვი:

— ასეა პეტრე ილიასძევ, შენ ჭეშმარიტად გყვარებია შენი ძმა. ასეთი ქელეხი ხალხს დიდხანს არ დაავიწყდება.

იაკობმა კარგად გაიგონა, რომ მამამისმა, რომელსაც კარგა ბერმად დაელია, დაცინვით უპასუხა მას:

— შენ მალე დაგავიწყდება ყველაფერი... მალე გასკდება...

იაკობმა ეზოში სამზარეულოს ფანჯრის ძირში მიდგმულ სკამზე ტიხონის გვერდით მჯდარი ბერის შავი ფიგურა შენიშნა, რომელიც უცნაურად ჰგავდა დამტვრეულ მანქანას. მელოტ თავზე ბარტყულა არ ეხურა, ამის გამო უფრო დაბალი, მაგრამ უფრო განიერი მოსჩანდა. ხავსმოკიდებული სახე ბავშისას მიუგავდა. ხელში ჭიქა ეჭირა, გვერდით კი ერთი ბოთლი ბურახი ედგა.

— ვინ არის ეს?--დაბალი ხმით იკითხა ბერმა და თვითონვე გასცა პასუხი

— ეს იაშაა. დაჯექი ჩვენთან, ბებრებთან, იაშა.

და ჭიქა ასწია, მთვარის პირდაპირ ამართა და მღვრიე ბურახს გახედა.

ეზოში ალექსის საყვარელი დიდ დინგიანი ძაღლი კუჩუმი დარბოდა და მიწას სუნავდა. მერე უცებ შესდგა, თავი მაღლა ცისკენ ასწია და ყრუდ დაიყმუილა, თითქოს ზეცას რაღაც შეეკითხაო.

— მოდი აქ, კუჩუმ,—დაუძახა ძაღლს ტიხონმა.

ძაღლი მივიდა. თავი ტიხონის მუხლებს შუა ჩარგო და კიდევ დაიყმუილა.

— გრძნობს, —შენიშნა იაკობმა. მისი შენიშვნა უპასუხოდ დასტოვეს. მას კი უნდოდა ესაუბრნა, რათა ფიქრებისაგან თავი დაეხწია.

— ვამბობ, პირუტყვი გრძნობს მეთქი,—ბეჯითად გაიმეორა მან. მეეზოვემ ჩუმად უპასუხა:

— მაშ!

— სუზდალში მონასტრის ძაღლი ძროხებს სუნით არჩევდა,—მოაგონდა ბერს...

— რის შესახებ საუბრობთ?—ჰკითხა იაკობმა. ბერმა ბურახი დალია, ანაფორის სახელოებით პირი მოიწმინდა და, თითქოს კიბეზე ჩამოდისო, ისეთი ხმით უპასუხა:

— აი, ტიხონი, კვლავ ამჩნევს, რომ ხალხს აჯანყება უნდა... მოსალოდნელიცაა. ყველა ამაზე ფიქრობს.

— საქმემ შეაწუხა „ხალხი,—ჩაურთო ტიხონმა, რომელიც ძაღლის ყურს ეთამაშებოდა.

— გააგდე ძაღლი,—უბრძანა იაკობმა.—რწყილს ავრცელებს.

მეეზოვემ კუჩუმის თათები მუხლიდან გადაიგდო და ძაღლს ფეხი ჰკრა. კუჩუმმა კუდი შემოიკეცა, ზედ დააჯდა და ორჯელ მოწყენილად დაიყეფა. სამმა ადამიანმა შეხედეს მას და ერთმა მათგანმა ჩუმად გაიფიქრა, რომ ტიხონსა და ბერს ბევრად უფრო ძაღლი ეცოდებოდა, ვინემ მისი მიწაში ჩამარხული პატრონი.

— აჯანყება იქნება,—სთქვა იაკობმა და ფრთხილად შეათვალიერა ეზოს ბნელი კუთხეები—გახსოვს, ტიხონ, რომ სედოვი ამხანაგებით ურთ შეიპყრეს?

—როგორ არა?

ბერმა თუნუქის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან, გახსნა, თამბაქოს უსუნა და ძმის შვილს აუწყა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, თამბაქოს ვსუნავ, თვალს შველის, თორემ სინათლე მაკლდება.

ცხვირს დააცემინა და განაგრძო:

— შეიპყრობენ სოფლებშიაც...

— ჯაშუშები გამრავლდენ,—სთქვა იაკობმა, რომელსაც უნდოდა უბრალოდ დაელაპარაკნა.

— უთვალთვალებენ ყველაფერს.

ტიხონმა თავისებურად ჩაიბუტბუტა:

— თუ არ უთვალთვალეს, რას გაიგებენ.

იაკობი კი რაღაც გაუბედავად აწძრევდა პირში ენას, ღამის სიგრილისაგან, თუ შიშისაგან იკუმშებოდა და თითქმის ჩურჩულით ამბობდა.

— ჩვენთანაც არიან. ნოსკოვის შესახებ, მონადირე რომ არის, ცუდი ხმა დადის...

ამბობენ თითქოს მან დააბეზღაო სედოვი და სხვებიც ქალაქში.

— შეხედე ამ სულელს,—დაყოვნების შემდეგ სთქვა ტიხონმა და ხელი ძაღლისკენ გაიშვირა, მაგრამ ისევ მუხლზე დაიდვა. იაკობმა კი იგრძნო, რომ ტიხონმა სრულიად უმნიშვნელოდ წარმოსთქვა სიტყვები, რომლებიც სადღაც სიცალიერეში ჩაინთქენ, მან მაინც გააფრთხილა ტიხონი:

— შენ მაინც ნურავის ეტყვი ნოსკოვის შესახებ.

— რათ უნდა ვუთხრა? ეს მე არ შემეხება. მაინც ვის უნდა ვუთხრა, არავინ არავის არ უჯერის.

— მართალია,—სთქვა ბერმა.—რწმენა არ არის. ომის შემდეგ დაჭრილ ჯარისკაცებს ველაპარაკე. ჯარისკაცსაც არ სწამს ომი. რკინა, იაშა, რკინაა ყველგან, მანქანა. მანქანა მუშაობს, მანქანა მღერის, მანქანავე ლაპარაკობს... ამ რკინის ქარხნის დროა და რკინის ხალხიც არის საჭირო. ბევრს კიდევაც ესმის ეს. მე შემხვედრია ამ რწმენის ხალხი. ისინი ამბობენ: ჩვენ თქვენ გაჩვენებთ, ლბილ კანიანებსო... არიან ისეთები, რომელთაც ეს აჯავრებს. როცა ადამიანია უფროსი,—ეს არაფერი, ამას შეჩვეულები არიან, მაგრამ როცა რკინის ლითონია მბრძანებელი—ეს სწყინთ. ნაჯახს, ქაქუჩს და ასეთ რასმე რაც ხელში ასაღებია შეჩვეულები არიან, ეს მანქანა კი ას ფუთს იწონის და ცოცხალივითაა...

ტიხონმა ჩაახველა და, იაკობს არც კი გაუგონია, ისე ჩაიცინა.

— ცხენების წინ ეტლი გარბის... ჰე, ეშმაკმაც კი წაგიღონ.

— და ბევრი ძალიან გაბრაზდა კიდევაც,—განაგრძობდა ნელი ხმით ბერი.—მე სამი წლის განმავლობაში ყველგან ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე: ძალიან გაბრაზდენ. მაგრამ მათი ბრაზი იქითკენ არ არის მიმართული, საითკენაც საჭიროა. ერთმანეთს უჯავრდებიან. თუმცა ყველა დამნაშავეა—ზოგი იმისთვის რომ ჭკვიანია, ზოგი კიდევ—რომ სულელია. ეს მე ხუცესმა გლეხმა მითხრა: ძალიან კარგად არის თქმული.

— ხუცესი გლეხი ცოცხალია?

— ის ხუცესი კი აღარ არის.—უპასუხა ტიხონმა.—გაიკრიჭა, ახლა სოფლის ბაზრობაზე დადის და წიგნებს ჰყიდის.

— კარგი მღვდელი იყო, სთქვა ტიხონმა. მასთან აღსარებაზე ვყოფილვარ. კარგი იყო. მაგრამ ხუცესად იმიტომ იყო, რომ ღარიბი იყო, თორემ ღმერთი არ სწამდა მე მგონია.

— არა, ქრისტე სწამდა. თითოეულს თავისებურად სწამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამიტომაც არის არეულობა, — მტკიცედ განაცხადა ტიხონმა და ისევ ცუდად, თავისებურად ჩაიცინა. —

აივანზე უფროსი არტამონოვი გამოვიდა ჩუმად, ფეხშიშველი, ღამის პერანგის ამარა. ჯერ ცას შეხედა და მერე ძირს მყოფ ხალხს მიმართა:

— არ მეძინება. ძაღლი მიშლის. თქვენც გაგიბავთ მასლაათი...

ძაღლი შუა ეზოში წამომჯდარიყო, ყმუოდა და გალებული ფანჯარის ბნელ ჰურჰუტანას მისჩერებოდა, ალბად იმის მოლოდინში იყო: აი, სადაც არის პატრონი დამიძახებსო.

— შენ კი ისევ შენსაც იჩემებ, არა ტიხონ? — დაიწყო ატამონოვმა. აი, იაკობ, მე შენ რა გითხრა: ეს გლეხი ერთ აზრს წიმოეგო და მას თავიდან ველარ იცილებს. მგელი რომ ხაფანგში მოემწყვდევა, ისეთი საქმე სჭირს... შენს ძმასაც ასეთი ამბავი სჭირს... ნიკიტა. ილიას ამბავი ხომ იცი?

— გამიგონია.

— დიახ. მე ის სახლიდან გავაგდე. მისთვის, უცხო ცხენზე შეჯდა და გააჭენა... მაგრამ საით?.. რა თქმა უნდა, ყველას როდი შეუძლია მისსებურად უარი სთქვას სიმდიდრეზე და ასე იცხოვროს...

— ალექსის, ამ ღვთის კაცსაც, ასე მოუვიდა, — ჩუმად მოაგონა ძმას ნიკიტამ.

ფროსმა არტამონოვმა საფეთქელზე ხელი მიიდვა, ერთ ხანს ასე დარჩა ჩუმად, და მერე ბაღში ჩავიდა. იაკობს უთხრა:

— მომიტანე ფაჩატურში საბანი და ბალიში. იქნება იქ მაინც დამეძინოს.

მძიმე, გასივებული, სულ თეთრში გამოწყობილი და თავზე თმა აბურძგვნილი, არტამანოვი საშინელი სანახავი იყო.

— მანქანებზე ასე ტყუილა ლაპარაკობ, ნიკიტა, — სთქვა მან და ეზოში შესდგა, — შენ რა გესმის მანქანისა? შენი საქმეა ღმერთზე ლაპარაკი. მანქანა ხელს არ უშლის...

ტიხონმა მოურიდებლად, ჯიუტური გამოთქმით შეაწყვეტინა მას სიტყვა:

— მანქანების წყალობით ცხოვრება გაძვირებულია,.. ხმაურობაც მისგან მეტია. —

უფროსმა არტამანოვმა მას ხელი ჩაუქნია და ბაღში შევიდა. იაკობი მას წინ მიუძღოდა საბნითა და ბალიშით და გაჯავრებული ფიქრობდა:

— ეს მამაა, ის კიდევ ბიძაჩემი... მაგრამ რად მინდა მე ისინი?... რაში გამომადგებიან.

უფროსი არტამონოვი არ შეპატიჟებია ძმას, მის სახლში მოეცადა. ბერიც ოლგასას დადგა, სხვენზე.

— მე ცოტა ხანს დავრჩები... მალე წავალ.

ცხოვრობდა იგი შეუმჩნევლად. თუ არ მიიწვევდენ, ძირს არც კი ჩამოვიდოდა. სულ ბაღში დაფაცაფუცობდა, ხეებს შემხმარ ტოტებს აცლიდა, კუსავით დახოხავდა მიწაზე და სარეველა ბალახს ხელით გლეჯდა. სახე დაუნაოჭდა, შეხმა. — ხალხთან ისე ჩუმად ლაპარაკობდა, თითქოს დიდს რასმე საიდუმლოებას ანდობსო. საყდარში იშვიათად წავიდოდა, ავადმყოფობას იმიზეზებდა. სახლშიაც ძალიან ცოტას ლოცულობდა. ღმერთზე საუბარი არ უყვარდა, გაურბოდა ამ საგანზე ლაპარაკს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# კრიტიკა მეცნიერება
# პუბლიცისტიკა

გ. მუშიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურის მნათობი

## შენიშვნები ლიტერატურულ პრობლემებზე

1.

ნ. ჟორდანიამ ექვსიოდე წლის წინეთ პარიზში ერთი რუსული წიგნი გამოსცა—„ბოლშევიზმი“. სხვათა შორის ბოლშევიზმის ,,გამანადგურებელ“ არგუმენტად საბჭოთა კავშირში „ცივილიზაციისა და კულტურის“ დაცემა, დაღუპვა დაასახელა. მისი აზრით, ბოლშევიზმი როგორც „დამშლელი ძალა“ განსაკუთრებით თავს იჩენს „სულიერ კულტურის“ საკითხში. ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორს, მართალია, არავითარი დამაჯერებელი ფაქტი არ მოყავს, არის მხოლოდ ჩვეულებრივი მენშევიკური წუწუნი, ფანტასტიურ, არ არსებულ სინამდვილეზე გოდება, დედაბრული ჭორიკანობა დ „ქართველი ერის“ სევდით დაავადებულ ადამიანის მშრალი ცრემლები. ვინ იცის მდინარე სენის პირას კიდევ რამდენ „თეთრ სისხლს“ აფრქვევს ნოე ჟორდანია კულტურისა დ ბოლშევიზმის პრობლემებზე! ერთი კი აშკარაა დ ცხადზე-უცხადესი: ნ. ჟორდანიას ვერც თეთრი წვერის არგუმენტი, ვერც „ცხელი ცრემლის მდუღარება“ ვერ დააჯერებს ვერავის, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკაში, კერძოთ საბჭოთა საქართველოში ცხოვრობს. შეგვიძლია ვიფიქროთ, ახლა ბოლშევიზმის ბარბაროსობის ამბავი გულწრფელად ვერც „მექანიკურ მოქალაქესაც“ სჯერა რიგიანათ.

მოქარგულ სიტყვებით, მომხიბვლელ ფრაზებით და ენა-წყლიანობით დღეს ვერავის გააკვირვებთ. იყო ამის დრო—და წავიდა სამუდამოთ. საცოდავია ადამიანი, რომელიც ზაფხულის პაპანებაში, სქელ ანაფორაში გახვეული, დარბის გამწარებით და დიოგენის ფარნით ეძებს „ვინმეს“, ქართული მენშევიზმით გარეტიანებულს. არა, ხერხემლის ტვინით დღეს მენშევიკის მეტი არავინ აზროვნობს. ფაქტი და მაგალითი-–ასეთია დღევანდლობის სამართლიანი მოთხოვნილება. ნ. ჟორდანიას და მის მიმდევრებს კი ვურჩევთ სიცრუისა და ჭორიკანობის დროშას ერთი სიმართლე მაინც წააწერონ:

Мы малодушны, мы коварны,
Бесстыдны, злы, неблагодарны,
Мы сердцем хладные скопцы,
Клеветники, рабы, глупцы,
Теснятся клубом в нас пороки...

სიმართლეც აღიარებული იქნება და პუშკინიც დაკმაყოფილებული.

განა ღირს ყველაფრის სერიოზულად მტკიცება? არის აქსიომა, თავისთავათ ცხადი დებულება, რომელიც არ მოითხოვს დასაბუთებას. ნ. ჟორდანია რაიმონდ პუანკარეს მისალებ ოთახს რომ ამტვერიანებს, ჭეშმარიტებაა ცხადი თავისთავად, ცხადი ყველასათვის. ბოლშევიზმი კი არ სპობს კულტურას, პირიქით, ერთად ერთი პირობაა ნამდვილი მასსიური სოციალისტური, ახალი კულტურის—ამაზე ფიქრი და ლაპარაკი უკვე „ძველია“, „ზედმეტი“. ეს თავისთავად იგულისხმება. აქ ფაქტები, მაგალითები, სინამდვილე, უდიდესი მიღწევები დაუნდობლად გვცემს ცხვირ-პირს. ბოლშევიკები მარტო არ ამბობენ ამას. ასე სწერენ ხანდახან თვით ნ. ჟორდანიას „ბოლშევიზანები“. „კულტურის დაღუპვის“ წინასწარმეტყველებაშიაც მოიგრიხა კუდი და კისერი ქართულმა მენშევიზმმა.

ამაზე ფიქრი უნებურათ გებადება ადამიანს, როცა ხედავ, კიდევ ერთი უდიდესი ფაქტი ემატება ახალი კულტურის მშენებლობას. ჩვენ ვამბობთ ჟურნალ „მნათობის“ იშვიათ იუბილეზე. ეს არის იშვიათი, ვიტყვით პირდაპირ —პირველი მაგალითი ეგრედ წოდებულ ქართული კულტურის ისტორიაში. მხატვრულ-ლიტერატურულ, მეცნიერულ-პუბლიცისტურ სქელტანიან ქართულ ჟურნალის სისტემატიურად გამოცემა ხუთი წლის მანძილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვებაა კულტურულ მუშაობის ასპარეზზე. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ამით, ამაყობასა და ბაქი-ბუქიაობას რომ ვიყოთ შეჩვეული. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ: აი კიდევ ერთი დიდი აგური, რომელსაც ვუდებთ „საძირკვლად“ ახალი, კომუნისტური კულტურის უზარმაზარ შენობას.

„მნათობი“-ს პირველი ხუთი წელი განსაკუთრებით ხუთ მომენტზე მიგვითითებს. პირველი—სავსებით სწორია, ლენინურია პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. მეორე—საბჭოთა საქართველოში ძლიერია კულტურული მაჯის-ცემა, კულტურული მშენებლობა. მესამე—გაძლიერდა მოწინავე, პროგრესიული საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობს ხელი-ხელ ჩაკიდებული. მეოთხე—ქართული მენშევიზმის ნაციონალისტური „ლოზუნგი“ „ქართულ კულტურის“ დაცემა--დაღუპვის შესახებ გაკოტრდა სრულებით. დაბოლოს მეხუთეც—უეჭველად დიდია და მიმზიდველი განახლებული, სოციალისტური კულტურის მშენებლობის პერსპექტივები საბჭოთა საქართველოში.

აი, მოკლეთ, რაზე ლაპარაკობს ჩვენი „მნათობი“. ნუ მივიშნევთ ამას გადაჭარბებათ. შეიძლება მეტიც ითქვას, მეტი დაიწეროს. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარს და ძირითადს,—ისიც მშრალად და სქემატიურად.

არ გავყვებით „შორეულ ისტორიას“, ახლო წარსულს მოვიგონებთ. მენშევიკური საქართველო, დემოკრატიული სამოთხე! რა მდგომარეობაში იყო „ქართული კულტურა“: „ქართული ხელოვნება“, „ქართული მწერლობა“? ყველას გვახსოვს ეს, ყველამ ვიცით ამის პასუხი. მაგრამ გვინდა ხაზი გავუსვათ:

მენშევიკებმაც სცადეს „მნათობის“ გამოცემა, ერთის კი არა, შვიდის ფირმით! მხოლოდ ორიოდე ნომერი გამოვიდა „შვიდი მნათობი-“ს, მხოლოდ ორიოდე თვე იცოცხლა, ამ ჟურნალმა—ერთაათ ერთმა სქელტანიანმა გამოცემამ, რომელიც პერიოდულობის პრეტენზიას აცხადებდა. შვიდჯერ კი არა ერთხელაც ვერ გაანათა: გაიბჟუტა და... გაჰქრა.

შემთხვევითი არ არის ეს ფაქტი. მენშევიკურ საქართველოში არ იყო კულტურული აღორძინების ნიადაგი. მენშევიზმი კულტურაა დაცემის, უკანსვლის, კულტურულ ძალების განადგურების. ვისაც გსურთ მენშევიკურ და ბოლშევიკურ საქართველოს შედარება—და არა მარტო კულტურულ მშენებლობის სფეროში—აიღეთ და შეადარეთ „შვიდი მნათობი“ ჩვენს ერთ „მნათობს“! ეს შედარება გაცილებით უფრო მეტს ამბობს, მეტს ამტკიცებს, გაცილებით უფრო ღრმათ გვარწმუნებს, გვაჯერებს, ვინემ ჟორდანია-რამიშვილების დაობებულ ტვინის „ღრმა ნააზრევი“. ეს არის ხარაბუზის და ხარის შედარება!

საბჭოთა რუსეთში სდუღს და გადმოდუღს კულტურული ცხოვრება, გაცილებით ფართოა იქ კულტურული მუშაობის სარბიელი, გაცილებით ღრმაა ამ მუშაობის შინასკნელი, ეს უდაოა, აშკარაა. რუსული თანამედროვე მწერლობაც მაღალ საფეხურზე სდგას. მის მიღწევებსა და ზრდაზე ევროპაც ლაპარაკობს, Красная новь და Новый мир — აი რა არის ამ მწერლობის მაჯისცემის გამომხატველი. ,,მნათობი“ Красная новь-ის ქართული გამოცემაა, მისი ,,უმცროსი ძმა“, თანამებრძოლი. და ვიტყვით მიუდგომლად, სავსებით გულწრფელად: მიუხედავად ,,სოციალურ არეს“ კოლოსალურ განსხვავების—„გავლენის სფეროს“ თვალსაზრისით განსაკუთრებით,—,,მნათობი“ კვალ და კვალ მისდევდა და მისდევს გაცილებით დიდი კულტურული შესაძლებლობის გამომხატველ Красная новь-ს.

ამით გვინდა ამოვწუროთ ,,მნათობი“-ს ზოგადი დახასიათება.

## 2.

,,მნათობი“-ს ლიტერატურული პლატფორმა, მხატვრული პროგრამა ბევრისათვის გაუგებარია დღემდე. ზოგი ფიქრობს, ,,მნათობი“ თანამგზავრული ჟურნალია, ზოგი ეკლექტიური, ზოგი—,,საშუალო“, ,,ცენტრისტული“ და სხვადასხვა. არც ერთი ეს დებულება არ არის სამართლიანი და, რაც მთავარია, სინამდვილის გამომხატველი.

ლიტერატურულ პლატფორმაზე ლაპარაკი ორ მომენტს ჰგულისხმობს. ესაა ჟურნალის იდეოლოგია და პრაქტიკული პოლიტიკა. უკანასკნელი პირველიდან გამომდინარეობს, პირველი—მეორეს განსაზღვრავს. იდეოლოგიური მომენტი ორ მხარეს შეიცავს—მხატვრულ მასალის ფორმას და ლიტერატურულ ნაწარმოების შინაარსს. როგორია ,,მნათობი“-ს პოზიცია ამ საკითხებში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენთვის საინტერესო საკითხს სავსებით გამოარკვევს.

,,მნათობი“-ს პირველ ნომერს დართული აქვს მოკლე, მაგრამ საყურადღებო წერილი ,,რედაქციისაგან“. სამწუხაროთ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს ამჟამად ეს ნომერი, მაშასადამე, არც ამ წერილიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ დამახასიათებელი ამონაწერი. იმედი გვაქვს მეხსიერების და აღვადგენთ მხოლოდ წერილის უკანასკნელ სტრიქონებს, უკეთ რომ ვსთქვათ, მათ შინაარსს, ისიც დაახლოვებით. რედაქცია აცხადებს წერილის დასასრულ: ,,მნათობის“ კარები ღია იქნება ყველა პროგრესიულ, მოწინავე, საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მწერლისათვის, რომლის ნაწარმოები არ არის მიუღებელი თანამედროვეობისათვის და ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულებაც არის მნიშვნელობას მოკლებული.

მაშასადამე, აქ კალმის ერთი მოსმით, მაგრამ სხარტათ და მკაფიოთ მოცემულია ჟურნალის „იდეოლოგიური პლატფორმა“. ჟურნალში დაიბეჭდება მხოლოდ ისეთი ავტორი, რომლის მხატვრული შემოქმედება არ არის საბჭოთა საზოგადოებრივობისათვის მიუღებელი, არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილებას, პროლეტარიატის დიქტატურას, ოქტომბრის რევოლიუციის დედა-აზრს. ეს ერთი. მეორე—ლიტერატურული ფაქტი უნდა იყოს მართლაც ლიტერატურული—სათანადოთ მხატვრულ ხერხებით შესრულებული. ცხადია, როგორც ერთი, ისე მეორეც ზოგადად, საერთოდ არის მოხაზული. დამახასიათებელი ძარღვი მაინც მოცემულია და განსაზღვრული.

შეიძლება თუ არა უფრო გარკვეული, კონკრეტიული ხაზი აელო ჟურნალს იმთავითვე? აშკარაა, ეს ძნელი იყო და „ფანტასტიურიც“. იმ ხანებში პარტიაც იმყოფებოდა ლიტერატურულ პოლიტიკის შემუშავების პროცესში. არ იყო გამომუშავებული პარტიის პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში. ეს პოლიტიკა გამომუშავდა ცოტა დაგვიანებით, როცა „მნათობი“ უკვე რამოდენიმე ნომერს ითვლიდა, მიღებულ გამოცდილებას სინჯავდა. მიუხედავათ ამისა, „მნათობი“-ს გზა სავსებით სწორი აღმოჩნდა. ჩვენ არ გამოუდგებით ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას. ავღნიშნავთ მხოლოდ, „მნათობი“-ს ხაზი პარტიის ლიტერატურულ პოლიტიკასთან შეფარდებული გამოდგა. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მხოლოდ პარტიული რეზოლიუციის გადათვალიერება და „მნათობი“-ს ნომრების გულდასმით გადახედვა. ესაა ძირითადი დებულება, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ დღეს.

მაშასადამე, როცა „მნთობი“-ს მიმართულებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს პარტიის ხაზი მხატვრულ ლიტერატურაში. თუ პარტიის პოლიტიკა „თანამგზავრულია“, „ეკლექტიური“, „ცენტრისტული“, ვერც „მნათობი“ ასცდება ამ დაუმსახურებელ ბრალდებას. მაგრამ ვინ იტყვის, ვინ დაამტკიცებს, რომ პარტიის ლიტერატურული პოლიტიკა ეკლექტიურია, ცენტრისტული? ამის თქმას ვერ ბედავენ ვერც უკიდურესი „მემარცხენენი“, „ყოვლად უკიდურესი“ ამხ. ვარდინის ჯგუფიდანაც კი. ჩვენც გვგონია—და ვფიქრობთ დაგვეთანხმებიან ამაში,—„მნათობი-ს ლიტერატურული „მიმართულება“, ლიტერატურული პოლიტიკა გა-

ნისაზღვრებოდა და განისაზღვრება კომუნისტური პარტიის პოლიტიკით მხატვრულ ლიტერატურაში.

ეროვნული

ამ დებულების გაგება შეიძლება ვულგარულად. საერთოდ, [illegible] ვულგარიზაცია ადვილია ყოველთვის, ვინემ მისი ობიექტიურად გაგება. ვულგარული იქნება შემდეგი დასკვნის გამოყვანა: მაშ „მნათობი“ პარტიის ლიტერატურული ორგანოა, ისევე, როგორც, მაგალითად, „კომუნისტი“ პარტიის ორგანოა პოლიტიკური. ეს იქნება ჩვენი აზრის ვულგარული გაგება. ასეთი დასკვნა სრულებით არ გამომდინარეობს ჩვენი მოსაზრებიდან. „მნათობი“ ატარებს პარტიის ხაზს მხატვრულ ლიტერატურაში, მაგრამ იგი არ არის პარტიული ორგანო. ჯერ ერთი, პარტია სდგას ყოველგვარ ლიტერატურულ დაჯგუფების გარეშე. არც ერთი ლიტერატურული დაჯგუფება არ არის პარტიის მიერ საკუთარ, პარტიულ დაჯგუფებად გამოცხადებული. ეს არის პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულება. პარტია არ აცხადებს რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფების მონოპოლიას. მონოპოლიური უფლებით, დღევანდელ პირობებში, არც ერთი ლიტერატურული ორგანიზაცია არ არის აღჭურვილი. მართალია, ზოგი ლიტერატურული დაჯგუფება ახლოს სდგას პარტიასთან იდეოლოგიურად, ახლოს სდგას ორგანიზაციულად, პოლიტიკურად; ახლოს სდგას, მაგრამ პარტიის რიგებში არ არის, ე. ი. კომუნისტურ დაჯგუფებას არ წარმოადგენს. ამისათვის საჭიროა დრო, გამოცდილება, კომუნისტური იდეოლოგიის მთლიანად გატარება მხატვრულ შემოქმედებაში. ასეთია თანამედროვე პროლეტარული მწერლობა. ზოგი ლიტერატურული დაჯგუფება უფრო შორს სდგას თანამედროვეობისგან, მაშასადამე, პარტიისაგანაც პირველ რიგში. ზოგი დაჯგუფება ისე დაშორებულია ჩვენს გზას, პოლიტიკას, ხაზს, როგორც მარსი დედა-მიწას. ასეთია ჩვენი ცხოვრების ლიტერატურული სინამდვილე. პარტიის ლიტერატურული პოლიტიკაც ითვალისწინებს ამ სინამდვილეს, მისგან გამოდის და მასთან ბრძოლის, არსებულ ლიტერატურული სინამდვილის გარდაქმნის თვალსაზრისზე სდგას. ასეთია პარტიის დამოკიდებულება ლიტერატურულ პოლიტიკის პრობლემასთან.

„მნათობი“ არ არის პარტიული ლიტერატურული ორგანო. ასეთი ორგანო, საერთოდ პარტიას არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს სოციალისტურ მშენებლობის თანამედროვე პერიოდში.

ასეთია „ფორმალური“ მოსაზრება. მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი და მნიშვნელოვანი. მთავარია იდეოლოგიის საკითხი, როგორც ეს ტერმინი ჩვენ გვესმის საზოგადოთ. აქ განსხვავება აშკარაა თვალის ერთი მიმოვლებით. პარტიის იდეოლოგია არის კომუნისტური, პროლეტარული. ეს არის იდეოლოგია მოწინავე მუშათა კლასის. განა შეიძლება ითქვას, „მნათობი“ მხატვრულ ლიტერატურაში ამ იდეოლოგიას, კომუნისტურ იდეოლოგიას გამოხატავს? ცხადია, არა. „მნათობი“ ვერ გამოხატავს ამ იდეოლოგიას. კომუნისტური იდეოლოგიის გამომხატველი მხატვრული ჟურნალი არ არის საბჭოთა კავშირში, მთელ მსოფლიოში. არ არის ჩვენშიაც. აქ საკვირველი არა-

ფერია. მხატვრული ლიტერატურა პარტიას იდეოლოგიურად ჯერ კიდევ არ დაუპყრია. პროლეტარიატის მხატვრული ჰეგემონია იქმნება და იქნება კიდეც. პარტიის ლიტერატურული პოლიტიკ[illegible]ენაა სწორედ მიმართული. პარტია ანვითარებს ამ პოლიტიკას, ანვითარებს მტკიცეთ და ბოლშევიკურათ.

მაშასადამე, ჩვენ „სასტიკ წინააღმდეგობის ხლართში“ გავეხვიეთ. „მნათობი“-ს ლიტერატურული პოლიტიკა ეთანხმება პარტიის ლიტერატურულ პოლიტიკას. ხოლო „მნათობი“-ს მხატვრული იდეოლოგია კი არ შეიცავს პარტიის იდეოლოგიას. გამოდის წინააღმდეგობა: ერთია პოლიტიკა, მეორეა იდეოლოგია. ასეთია ფორმალური მიდგომა, ფორმალური თვალსაზრისი. მას არაფერი აქვს საერთო საკითხის გაგების დიალექტიურ ბუნებასთან, სინამდვილესთან, ჭეშმარიტებასთან. ც მართლაც: შეიძლება თუ არა „მნათობი“ დახვეწილ კომუნისტურ იდეოლოგიის ნიადაგზე იდგეს? არა, არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს იდეოლოგიურათ სავსებით გამართლებული მხატვრული პროდუქცია. იდეოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს შემდეგი სახის ნაწარმოები: ანტისაბჭოთა, ანტიპარტიული. შემდეგ—ლოიალური—არც მტრული, არც მეგობრული. და ბოლოს—საბჭოთა, პროლეტარული, იდეოლოგიურად საერთოდ მისაღები, მაგრამ კომუნისტური იდეოლოგიის თვალსაზრისით მაინც არა სავსებით გამართლებული. აი სამი მთავარი კატეგორია ლიტერატურულ ფაქტების, იდეოლოგიურ მისაღეობის თვალსაზრისით.

არ ვლაპარაკობთ ისეთ ლიტერატურულ ფაქტებზე, რომელიც „მთელი 100%-ით“ გვაკმაყოფილებს იდეოლოგიურათ. სამწუხაროდ, ასეთი ნაწარმოები ჯერ კიდევ იშვიათია, შემთხვევითი, თითზე ჩამოსათვლელი. რაც არის, უმეტესათ ისიც სუსტია მხატვრული თვალსაზრისით და ამიტომ ვერ წარმოადგენს ნამდვილ მხატვრულ ღირებულებას.

ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, ანტისაბჭოთა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მხატვრული ფაქტი „მნათობში“ არ იბეჭდებოდა, არც დაბეჭდილა. მართალია, იყო შემთხვევა „სკანდალის“, ნომრის „ჩავარდნის“· ეს მოხდა მაშინ, როცა „მნათობი“ არ იყო ხერხემალ გამაგრებული, ჟურნალი იძულებული იყო განურჩეველ, ლოიალურ ნაწარმოებს დამყარებოდა. როგორც ვიცით, „ლოიალური“ ხშირათ ძნელად გაირჩევა არალოიალურისაგან. ეს იყო ყველაზე სახიფათო პერიოდი „მნათობის“ ლიტერატურულ მოღვაწეობის. საერთოდ „ქართული ატმოსფერა“ მტრული იყო ინტელიგენციაში, კერძოთ—მწერალთა წრეებში. პოლიტიკური გარდატეხა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი. ცხადია, თვით ლოიალური ნაწარმოებიც კი „დიდ რევოლიუციონურ“ მოვლენად ითვლებოდა ლიტერატურაში. „მნათობი“-ს შეცდომები, უმთავრესად ამ პერიოდს ეკუთვნის. პირიქით, „მნათობი“-ს ისტორია—ეს არის თანამედროვეობისათვის მისაღებ ლიტერატურისათვის ბრძოლის ისტორია.

ამ ჟამად „მნათობი“ განვითარების მეორე საფეხურზე სდგას. კარგა ხანია ის ამ საფეხურზე შესდგა. ეს არის—ბრძოლა იდეოლოგიურად

უფრო გამართლებულ ნაწარმოებისათვის. „ლოიალური“ ნაწარმოების ავტორიტეტი დაეცა. ახლა საკითხი სდგას იდეოლოგიურად მისაღებ ლიტერატურულ ფაქტებზე. როგორც ავღნიშნეთ, იდეოლოგიურად საერთოდ მისაღები არ ნიშნავს იდეოლოგიურათ გამართლებულს. აქ ჯერ კიდევ საკმაო განსხვავებაა. მისაღებია საერთოდ, უმთავრესად, უმეტესად, მაგრამ არა მთლიანად, თავიდან ბოლომდე, წერტილიდან წერტილამდე. ვფიქრობთ, გასაგებია ეს. შემდეგი საფეხური — სავსებით მისაღებ, იდეოლოგიურად გამართლებულ ლიტერატურულ პროდუქციაზე გადასვლაა. ვამბობთ, „შემდეგი“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ასეთი პროდუქცია უდიდეს უპირატესობით არ სარგებლობდეს დღეს და დღესაც არ წარმოადგენდეს „მნათობი“-სათვის აქტუალურ პრობლემას.

ასეთია „მნათობი“-ს „ლიტერატურული პოლიტიკის“ ძთავარი ხაზები. როგორც ვხედავთ, ეს პოლიტიკა მიმართულია ჩვენს ძირითად მიზნისაკენ ლიტერატურაში კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცებისაკენ. მაშასადამე, „მნათობი“-ს ლიტერატურული პოლიტიკა სრულებით არ ეწინააღმდეგება კომუნისტურ პარტიის იდეოლოგიას. პირიქით, სავსებით მიმართულია ამ იდეოლოგიის გამოცანებისაკენ მხატვრულ ლიტერატურაში. აქ „პოლიტიკა“ არ ეწინააღმდეგება „იდეოლოგიას“ და პირიქით, ვინც ამას ვერ ამჩნევს, მარქსიზმის ანბანსაც ვერ გაარჩევს...

3.

ჩვენ ვსთქვით, დაწურულ კომუნისტურ იდეოლოგიას ჯერ-ჯერობით „მნათობი“ ვერ ნოგვცემს, ვერ გაატარებს მხატვრულ ლიტერატურაში. ეს უკვე მესამე პერიოდის საქმეა. ახლა კი „მნათობი“ სდგას იდეოლოგიურად საერთოდ მისაღებ ლიტერატურისათვის ბრძოლის პოზიციაზე. შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რამდენი ხანი დასჭირდება ამ ბრძოლას, როდის გახდება შესაძლებელი შემდეგ პერიოდში გადასვლა. ერთადერთი სწორი საზომი ასეთია: რამდენად პროლეტარიატი და მისი პარტია განამტკიცებს თავის გავლენას „იდეოლოგიურ სფეროში“, დაიპყრობს „სულიერ კულტურის“ მწვერვალებს, ხელთ იგდებს „ზედნაშენის“ თითოეულ კუნჭულს, იმდენად ადვილი და აუცილებელი გახდება მხატვრულ ლიტერატურაშიაც დახვეწილ კომუნისტური იდეოლოგიის მთლიანად დაცვა და განმტკიცება.

მაგრამ დღეს ხომ არის პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობა, საბჭოთა ხელისუფლება. რატომ არ უნდა იყოს გაბატონებული კლასის იდეები მხატვრულ ლიტერატურაშიაც გაბატონებული? ხშირად აყენებდნენ ამ კითხვას და მის გადაჭრას სცდილობდნენ მარქსიზმის წარმოუდგენელი დამახინჯებით, ვულგარიზაციით. „კომუნისტური მანიფესტი“-ს ავტორები სწერდენ „ეპოქისა“ და „იდეების“ შესახებ: „რას ამტკიცებს იდეების ისტორია თუ არა იმას, რომ გონებრივი შემოქმედება იცვლება მატერიალურთან ერთად? ყოველ ეპოქაში გაბატონებულ კლასის იდეებათ ყოველთვის იყო გაბატო-

ნებული კლასის იდეები.“[1]) ან კიდევ: „კომუნისტური რევოლუცია არის კავშირის რადიკალურად გაწყვეტა არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან; რა გასაკვირია, რომ ის რადიკალურათ სწყვეტს კავშირს ტრადიციულ იდეებთან.“[2]) ასე სწერდნენ მარქსი და ენგელსი.

საკითხი ისმება: შეიძლება თუ არა ეს დებულება მხატვრულ ლიტერატურაში დღესვე სავალდებულოდ გამოვაცხადოთ? არა, არ შეიძლება. ეს იქნებოდა მარქსიზმის სრული არ გაგება. მატერიალურ კულტურის ცვლილება იწვევს „გონებრივ შემოქმედების ცვლილებას“. „კავშირის რადიკალურად გაწყვეტა არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან“ აუცილებლად იწვევს კავშირის „რადიკალურათ გაწყვეტას ტრადიციულ იდეებთან“. ახალი ნივთიერი ურთიერთობა იწვევს ახალ გონებრივ შემოქმედებას. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, „საგნების“ განვითარებას შეესაბამება „იდეების“ განვითარება. ასეთია ისტორიული მატერიალიზმის ელემენტარული მცნებები.

მარქს-ენგელსის მიერ მოცემული ფორმულები ალგებრაულია. საჭიროა მისი გაგება და გამოყენება. და აი როცა ჩვენ ვსცდილობთ ამ ფორმულების დაშლას ადვილად გაგების მიზნით, ჩვენთვის აშკარა ხდება მრავალი „საიდუმლოება“. მთავარი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც ჩვენთვის აუცილებლად ირკვევა, ეს არის: „იდეები“ უფრო გვიან იცვლებიან, ვინემ „საგნები“. გ. პლეხანოვი სამართლიანად აღნიშნავს „კომუნისტური მანიფესტის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში, როცა ამბობს: „საზოგადოებრივ ურთიერთობაში რევოლიუციონურ მოძრაობას შეესაბამება რევოლიუციონური მოძრაობა სულიერ ცხოვრების სფეროში“.[3]) მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი რევოლიუცია დაუყონებლივ იწვევს ასეთივე რევოლიუციას სულიერ კულტურის დარგში. „იდეების მსვლელობას წინ უსწრებს საგნების მსვლელობა“.[4]) ჯერ „მსვლელობა საგნების“, მერე—იდეების. ჯერ რევოლიუცია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მერე—„სულიერ ცხოვრების სფეროში“. საგნები წინ უსწრებს იდეებს, იდეები საგნებს მიყვება კვალ და კვალ. მაშასადამე, ტრადიციულ იდეებთან კავშირის რადიკალური გაწყვეტა ხდება იმდენად, რამდენად რადიკალურად სწყდება კავშირი „არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან“. მაგრამ „არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან“ კავშირის გაწყვეტა რადიკალურათ არ ხდება ერთბაშათ, თვალის ერთი დახამხამებით. ახალი საზოგადოება არ იბადება მზა-მზარეულად, „აუცილებლობის სამეფოდან ნახტომი თავისუფლების სამეფოში“ ვერ ხერხდება განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიურ ევოლიუციის განუვლელად. ეს არის გადამავალი პერიოდი—კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გრძელი თუ მოკლე მანძილი. აი ამ პერიოდის შესახებ ლაპარაკობდა მარქსიც. გარდამავალი პერიოდი ისტორიული აუცილებლობი-

[1]) Комунистический манифест. 1905 წ. გ. პლეხანოვის წინასიტყვაობით. გვ. 108.

[2]) ibid. გვ. 110. კურსივი ჩვენია.

[3]) ibid. გვ. 56

[4]) ibid. გვ. 53.

თაა აღმართული ძველსა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა ჰგულისხმობს გარდამავალ ხანის იდეებს, ფსიხოლოგიას, განწყობილებებს, შეხედულებებს, „გრძნობათა სისტემას“. ეს არ იქნება წმინდა კომუნისტური „ფსიხოლოგია“, კომუნისტური „იდეოლოგია“. არ იქნება არც ბურჟუაზიული „ფსიხოლოგია“ და „იდეოლოგია. გარდამავალ საზოგადოებრივ ურთიერთობის პროცესში, გარდამავალ პერიოდში არც ერთს და არც მეორეს არ აქვს შესაფერი ნივთიერი საფუძველი. სამაგიეროთ, აქ განსხვავებაცაა კოლოსალური: კომუნისტურ იდეოლოგიას ე ქ მ ნ ე ბ ა სათანადო ნივთიერი საფუძველი, ხოლო ბურჟუაზიულს—ე ც ლ ე ბ ა ის. კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებაც აუცილებელი ხდება.

მხატვრული ლიტერატურა, საერთოდ—ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ყველაზე უფრო რ თ უ ლ ი მოვლენაა იდეოლოგიურ სფეროში. საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილება იქ ისე ა დ ვ ი ლ ა დ და ისე მ ძ ლ ა ვ რ ა თ ვერ იჩენს თავს, როგორც „ზედნაშენის“ სხვა დარგში. რა არის საჭირო „ტრადიციულ იდეებთან კავშირის რადიკალურათ გასაწყვეტად“? ამისათვის საჭიროა მთელი რიგი რთული პროცესების, რომლებიც უნდა განვითარდეს საზოგადოებრივ ცხოვრების სიღრმეში. ამხ. ნ. ბ უ ხ ა რ ი ნ ი საკმაო მეცნიერული სერიოზულობით ირკვევს „ზედნაშენის“, კერძოთ—მხატვრული ლიტერატურისა და ნივთიერ საფუძვლის ურთიერთობის პრობლემას. ის ჩვენ გვაძლევს ჩამოყალიბებულ შეხედულებას, რომელიც ეთანხმება დიალექტიურ, ისტორიულ მატერიალიზმის ძირითად დასკვნებს და დებულებებს. აქ ჩვენ გვაქვს მოვლენათა შემდეგი თანმიმდევრობა: ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ი ს განვითარებაში ცვლილება იწვევს ცვლილებას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი, ცვლილება საზოგადოებრივ ურთიერთობაში იწვევს ცვლილებას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ფ ს ი ხ ო ლ ო გ ი ა შ ი, ცვლილება საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში იწვევს ცვლილებას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი დ ე ო ლ ო გ ი ა შ ი, ეს უკანასკნელი კი ახალ მიმართულებას აძლევს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს.[1]) ასეთია „მიზეზობრივობის“ არც ისე მოკლე ჯაჭვი, რომლის თითოული რგოლი მტკიცეთაა ერთმანეთთან შეერთებული. საწარმოო ძალების განვითარება „ზედნაშენის“ შეცვლის ძირითადი პირობაა. მათი განვითარება საფუძველს უყრის ახალ ნივთიერ ურთიერთობას. საზოგადოების წიაღში მომხდარი ნივთიერ დამოკიდებულების შეცვლა იწვევს ადამიანთა შორის ახალ ურთიერთობას. იბადება ახალი „შეხედულება“ საგნებზე, მოვლენებზე, ახალი განწყობილება, იქმნება ახალი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ფ ს ი ხ ო ლ ო გ ი ა. აქ არ არის შეხედულებების, განწყობილებების, აზრების სისტემატიური დალაგება, გარკვეულ კალაპოტში ჩამოყალიბება. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა აყალიბებს მათ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ი დ ე ო ლ ო გ ი ი ს სახით.[2]) გაბატონებული კლასის იდეოლოგია კი იჭრება „სულიერ კულტურის“ ყველა დარგში, იჭრება მხატვრულ ლიტერატურაშიაც.

[1]). Н. Бухарин. Теория историчск. материализма, გვ. 231—241.

[2]) გ. პლეხანოვი სწერს: „ყველა იდეოლოგიას აქვს ერთი საერთო ფესვი—მოცემულ ეპოქის ფსიქოლოგია“ (Г. Плеханов. Основные вопросы марксизма, გვ. 68).

დააკვირდით ამ პროცესს და დაინახავთ, რამდენად რთულია „ეპოქისა“ და „იდეების“ ურთიერთობის პრობლემა. „გაბატონებულ იდეებათ ყოველთვის იყო გაბატონებული კლასის იდეები.“ ასე იყო ისტორიულად, ასე იქნება კიდეც, სანამ არსებობს კლასები, კლასიური საზოგადოება.

საზოგადოებრივ ნივთიერ ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებათა სხივები თვალის დახამხამების სიჩქარით როდი გარდაიტეხება მხატვრულ ლიტერატურის პრიზმაში. გარდატეხა აუცილებლობაა ისტორიული, მაგრამ არ არის გაზომილი ამ აუცილებლობის „სისწრაფე“. ისტორიაში ხდება ხშირათ, როცა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის გამომხატველ იდეოლოგიას“ შორის პირველ ხანებში აშკარა წინააღმდეგობა იბადება. კერძოთ, ეს წინააღმდეგობა მთელი თავისი სიღრმე-სიგანით მოსჩანს ხელოვნების საკითხში. აქ განსაკუთრებით მწვავდება „დისპროპორციულობა“, რომლის შესახებ მარქსი ლაპარაკობდა. ცნობილ Zur Kritik der Politischen Oekonomie-ს შესავალში მარქსი გაკვრით შეეხო ხელოვნებასა და საზოგადოებრივ განვითარების საკითხს· მართალია, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, დაუმთავრებელი, დაუმუშავებელი აზრები მოგვცა მარქსმა, მაგრამ მაინც საგულისხმო და მეტად მნიშვნელოვანი. აი რას სწერს კ. მარქსი ზემოთ დასახელებულ თხუზულების შესავალში:

> ...არა თანაბარი მიმართება მატერიალურ წარმოების განვითარებისა, მაგალითად, მხატვრულ ლიტერატურისადმი... ხელოვნებისა და სხვა საკითხებში ეს დისპროპორციულობა არც ისე საგულსხმიეროა და არც ისე ძნელია გასაგებათ, როგორც პრაქტიკულ სოციალურ ურთიერთობაში...
>
> ...ხელოვნების შესახებ კი ცნობილია, ხელოვნების აყვავების განსაზღვრული პერიოდები არავითარ თანაბრობაში არ იმყოფება საზოგადოების საერთო განვითარებასთან და, მაშასადამე, ამ საზოგადოების არც მატერიალურ საფუძვლებთან [1])...

მარქსის ამ ფრაგმენტებში შესანიშნავი აზრია გამოთქმული. „მატერიალურ წარმოების განვითარება“ და მხატვრული ლიტერატურა ხშირათ დისპროპორციულობაში იმყოფება. ჩვენს ენაზე რომ ვსთქვათ, მხატვრული ლიტერატურა ვერ ასახავს „მატერიალურ წარმოების განვითარებას“. მეტიც ხდება ხელოვნების და საზოგადოების საერთო განვითარების დამოკიდებულების საკითხში. აქ ეს დისპროპორციულობა აშკარათ გვიჩვენებს „ხელოვნების აყვავების განსაზღვრული პერიოდების“ დაშორებას „საზოგადოების მატერიალურ საფუძვლებიდან“. გ. პლეხანოვი, ალბათ, ამ დებულებიდან გამოდიოდა, როცა სწერდა, რომ „ხელოვნებასა და სხვა იდეოლოგიაზე ეკონომიის უშუალო გავლენა საზოგადოთ იშვიათად ხდება“. [2]) „ეკონომია“ უშუალოდ იშვიათად ახდენს გავლენას ხელოვნებაზე. აქ მთელი რიგი მომენტებია „საფუძველსა“ და „ზედნაშენს“ შორის, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა ლაპარაკი. და აი სწორეთ ის გარემოება, რომ „ეკონომია“ უშუალოდ იშვიათად ახდენს გავლენას ხელოვნებაზე, წარმოადგენს „დისპროპორციის“ ნიადაგს.

[1]) К. Маркс. К критике политической экономии. 1923 წ. გვ. 24.

[2]) Бельтов. За 20 лет. გვ 257.

მრავალი ბურჟუაზიული მკვლევარი ჩაჰკირკიტებს მარქსის ამ მოსაზრებას და სცდილობს, ეს მოსაზრება ბურჟუაზიულ „ხელოვნების სოციოლოგიის“ და, წარმოიდგინეთ, „ლიტერატურული გემოვნების სოციოლოგიის“ ამოსავალ წერტილად დასახოს. აქედან ლოზუნგი—ხელოვნება ხელოვნებისათვის. აქედან მტკიცება: ხელოვნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრების შორის კავშირი არ არის და მრავალი სხვა ანალოგიური მარგალიტები.

„დისპროპორცია“, რომელიც „საზოგადოების მატერიალურ საფუძველსა“ და მხატვრულ ლიტერატურის შორის წარმოიშვება, არ არის მარადიული, უცვლელი, დაუძლეველი კატეგორია. მარქსი ამტკიცებს, ეს დისპროპორცია დროულია, გარდამავალი. ის არ არის შემთხვევითი, მაშასადამე არც მისი დაძლევაა შემთხვევითი, „კეთილ შემთხვევებზე“ დამყარებული. ისტორიულ განვითარების განსაზღვრულ პერიოდში წარმოიშობა „დისპროპორციულობა“ ცხოვრებასა და მწერლობის შორის. იგივე „ისტორიული განვითარება“ აუცილებლად შლის ამ დისპროპორციულობის კვალს. მოვუსმინოთ თვით მარქსს, რას ამბობს ამის შესახებ:

> ...სიძნელე იწყება მხოლოდ ამ წინააღმდეგობათა (ე. ი. დისპროპორციის. გ. მ.) საერთო ფორმულის ძიების დროს. ავიღოთ, მაგალითად, ბერძნული ხელოვნების დამოკიდებულება თანამედროვეობასთან. ცნობილია, ბერძნული მითოლოგია წარმოადგენს ბერძნულ ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. განა შესაძლებელი იქნებოდა ბუნებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე ის შეხედულება, რომელიც საფუძვლად უდევს ბერძნულ ფანტაზიას და ამიტომაც ბერძნულ ხელოვნებას,—სელფაქტორების, რკინის-გზების, ლოკომატივების და ელექტრო-ტელეგრაფის დროს... მთელი მითოლოგია იპყრობს და იძლევა განსახებაში ბუნების ძალთა ფორმულებს განსახებისვე საშუალებით, და, მაშასადამე, ჰქრება განსახებაზე ნამდვილ გაბატონებით... [1])

აქ მარქსი გარკვევით და ყველასათვის გასაგებათ ლაპარაკობს: საზოგადოებრივ ურთიერთობის სტრუქტურა აუცილებლად სცვლის იმ წარმოდგენებს, შეხედულებებს „ბუნებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე“, „ფანტაზიას“, ერთი სიტყვით, სცვლის იმ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას და იდეოლოგიას, რომელიც ამ სტრუქტურის განმტკიცებამდე იყო გაბატონებული. იდეები იცვლება და ვითარდება საგნების განვითარება-ცვლილებასთან ერთად. მართალია მხოლოდ ეს ცვლა-განვითარება არ ხდება ისეთი სისწრაფით და ინტენსიურობით, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ მატერიალურ კულტურის, ნივთიერ ურთიერთობის სფეროში. [2]) ამაში მდგომარეობს დისპროპორცია „იდეებსა“ და საგნებს შორის. ამიტომ ისტორიულ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თავს იჩენს „დისპროპორციულობა“: მწერლობა ცოტათ თუ ბევრათ ჩამოშორდება საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს არ არის

[1]) К. Маркс. Op. cit. გვ. 25.

[2]) აი რას სწერს ამხ. ბუხარინი ამის შესახებ: „ზედნაშენი, საერთოდ, ვითარდება იმდენად ჩქარა, რამდენად ჩქარა ვითარდება საზოგადოებრივი ტეხნიკა. ეს უდაოა. მაგრამ ასევე უდაოა ისიც, რომ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, ვითომც „ზედნაშენი“ მიდის წინ (ან და, გარემოების მიხედვით—უკან) თანაბარი ნაბიჯით. ეს არ ხდება არც მატერიალურ წარმოებაში“ (Н. Бухарин. Op. cit გვ 187, კურსივი ჩვენია)

შემთხვევითი მოვლენა. მას საფუძვლად უდევს ღრმა სოციალური მიზეზები. ამავე მიზეზების მეოხებით „დისპროპორციულობა“ ისპობა ნელი თუ ჩქარი ნაბიჯით. გაბატონებული კლასის იდეები გვევლინება გაბატონებულ იდეებათ მთელ ეპოქაში. ასეთია ისტორიულ მოვლენათა დიალექტიური განვითარება.

დიდად საინტერესოა „დისპროპორციულობის“ ხანგრძლივობის პრობლემა. პრინციპიალურათ მარქსის დებულებას ბევრი ლებულობს, მაგრამ ამ დებულების გამოყენებას საკუთარ გემოვნებას უფარდებს. მარქსის სწორათ გაგების ნაცვლად ჩვენ ვღებულობთ მარქსიზმის ნამდვილ კარიკატურას. „დისპროპორციულობა“ თითქმის ყველგან გვხვდება, ისტორიულ განვითარების მთელ მანძილზე. ყველა მოწინავე ხალხის ისტორია აღნიშნავს ამ „დისპროპორციულობას“ ხელოვნებისა და თანამედროვეობის შორის. იბადება აზრი, ისმება საკითხი: რამდენად ხანგრძლივია ეს დისპროპორციულობა? ამ კითხვაზე პასუხის მიღება შეუძლებელია მეტაფიზიკური პირდაპირობით. ან ხანგრძლივია წინააღმდეგობის ეს პერიოდი, ან—ხანმოკლე—უნიადაგოა ასე საკითხის დაყენება. ან „ჰო“ ან „არა“—ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა. „დისპროპორციულობის“ დრო და სივრცე უნდა იქნეს განხილული ამავე დროისა და სივრცის სიბრტყეზე. თითოულ ცალკე ისტორიულ ვითარებაში სხვადასხვანაირია დისპროპორციულობის სიგრძე და მოცულობა. მარქსი ამბობს, ბერძნული მითოლოგია ნიადაგ გამოცლილია და შეუძლებელი „სელფაქტორების, რკინის-გზების, ლოკომოტივების და ელექტრო-ტელეგრაფის დროს“. მაგრამ განა ეს ნიშნავს, დისპროპორციულობის პერიოდი ისევე ვრცელია, როგორც ისტორიული მანძილი ჰომიროსის ეპოქასა და ელექტრო-ტელეგრაფის საბერძნეთს შორის? ეს სოფისტიკაა და არა მეცნიერული მსჯელობა. „დისპროპორციულობა“ შედარებით ხანგრძლივია, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობის ევოლიუცია შედარებით ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს. „დისპროპორცია“ შედარებით მოკლეა, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობაში შედარებით ჩქარი ტემპით ხდება სოციალური ცვლილება. საზოგადოებრივ ცხოვრების, ნივთიერ ურთიერთობის სწრაფი ტრანსფორმაციის პერიოდში დისპროპორცია მწერლობასა და თანამედროვეობის შორის ძალზე მოკლდება, თუმცა არ ჰქრება სრულებით, რამდენად ეს საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იმყოფება. ასეთია მოკლე პასუხი „დისპროპორციულობის“ ხანგრძლივობის პრობლემაზე. აქედან აშკარაა, როგორ სდგას „დისპროპორციულობის“ საკითხი პროლეტარულ რევოლიუციების პირობებში. პროლეტარული რევოლიუცია, პროლეტარიატის დიქტატურა ძალზე ამცირებს „დისპროპორციას“, აჩქარებს მის სრულ ლიკვიდაციას. გაბატონებულ კლასის—პროლეტარიატის—იდეები ხდება გაბატონებულ იდეებათ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. აი როგორ უნდა გვესმოდეს „კომუნისტური მანიფესტი“-ს სიტყვები: კომუნისტური რევოლიუცია არის კავშირის რადიკალური გაწყვეტა ტრადიციულ იდეებთან.

„ლიტერატურული მაკრატელის“ პრობლემა მწვავედ დააყენა ოქტომბრის რევოლიუციამ. ეს „მაკრატელი“ საერთოდ თანდათან იქცევა, „დისპროპორციულობა“ საერთოდ თანდათან მცირდება. ჩვენ ვამბობთ — თანდათან. გასაგებია ეს: რამდენად რევოლიუციონური პროლეტარიატი ცვლის არსებულ ნივთიერ ურთიერთობას და ამაგრებს სოციალიზმის პოზიციებს, რამდენად ფართოვდება და ვითარდება სოციალისტური მშენებლობა, ერთი სიტყვით—რადიკალურათ იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობის სტრუქტურა,—იმდენადვე ძლიერდება და ბატონდება პროლეტარიატის იდეოლოგია „სულიერ კულტურის“ თითოულ დარგში.

როგორც ვხედავთ, „დისპროპორციულობის“ საკითხს სოციალური პირობები აყენებს. თვით სოციალური პირობების განვითარება სწყვეტს ამ საკითხს საფუძვლიანად და რადიკალურათ. რასაკვირველია, ჩვენ გვერდს არ ვუხვევთ გამარჯვებული პროლეტარიატის პრაქტიკულ „პოლიტიკის“ გავლენას „დისპროპორციულობის“ პრობლემის გადაჭრაში. ამ პოლიტიკას ჩვენ ვგულისხმობთ „საზოგადოებრივ ტრანსფორმაციის“ საერთო კონტექსტში. Политика, это—сконцентрированная экономика, და პირიქით. ასე ამბობდა ლენინი.

მაშ ასე. ჩვენთვის ცხადია საკითხი, რატომ არ აცხადებს ჩვენი პარტია, საბჭოთა კავშირის მებრძოლი პროლეტარიატი გაბატონებულ იდეოლოგიათ კომუნისტურ იდეოლოგიას „სულიერ კულტურის“, კერძოთ—მხატვრულ ლიტერატურის სფეროში. ეს „განცხადება“ არცაა საჭირო, რადგან პროლეტარული იდეოლოგია განუწყვეტლივ იკვლევს გზას დღემდე დაუპყრობელ კულტურის ციხე-სიმაგრისაკენ. ვერავითარი სიძნელე და დაბრკოლება ამ გზაზე ვერ შეაჩერებს კომუნისტური იდეოლოგიის ძლევამოსილ მსვლელობას.

ჩვენთვის ცხადია აგრეთვე, რატომ არ შეუძლია „მნათობს“ მოგვცეს დახვეწილი კომუნისტური იდეოლოგია საზოგადოებრივ განვითარების თანამედროვე საფეხურზე.

4.

მხატვრული ფორმის პრობლემა სრულებით არ არის მოკლებული აქტუალურ ღირებულებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სდგას დღეს, როცა ჩვენ უშუალოთ შეუდექით მხატვრულ ლიტერატურაში „ფასეულობათა გადაფასებას“. „მნათობის“ წინაშე ყოველთვის იდგა ეს საკითხი და, ვფიქრობთ, კიდევ დიდხანს არ მოიხსნება მისი მუშაობის დღის წესრიგიდან. ამ საკითხის მოხსნა უდრის „მნათობი“-ს მხატვრული ავტორიტეტის დაკარგვას. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენ.

რა არის, საზოგადოთ, ხელოვნება? ამ კითხვაზე ყველაზე უფრო სწორათ ჩვენ მიგვაჩნია ამხ. ბუხარინის პასუხი. ის ასე განმარტავს ხელოვნებას:

„ხელოვნება—ესაა „გრძნობის განსაზოგადოების“ საშუალება, ანდა როგორც სავსებით სწორათ განსაზღვრავდა ლ. ტოლსტოი, средство эмоционального заражения.. მეცნიერება ახდენს ადამიანთა აზრების სისტემატიზაციას... ხელოვნება კი—გრძნობების“ [1]) ან კიდევ: „ხელოვნება—ეს სისტემაა შეგრძნობების, გრძნობების, სახეების“ [2]). და, ბოლოს: „ხელოვნება—ესაა გრძნობათა სისტემატიზაცია სახეებში. გასაგებია ხელოვნების როლი, როგორც საშუალება გრძნობების განსაზოგადოების, მათი (გრძნობების) გადაცემის, მათი გავრცელების საზოგადოებაში“ [3]).

ჩვენ ეს განმარტება მიგვაჩნია სრულებით მისაღებათ, რადგან ამ განმარტებაში მოცემულია ხელოვნების რაობის, დანიშნულების და საზოგადოებრივი როლის სწორად გაგების ფესვები. ორ უმთავრეს მომენტს ვაქცევთ აქ მთავარ ყურადღებას. პირველი ხელოვნება „აჯამებს“ გრძნობებს, ახდენს მათ სისტემატიზაციას და აყალიბებს განსაკუთრებულ კალაპოტში—სახეებში. მეორე—ხელოვნება არის საშუალება „Эмоционального заражения“. აქ მოცემულია ხელოვნების აქტუალური საზოგადოებრივი როლი და სოციალური დანიშნულება. აი რატომ არის, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ლიტერატურის დარგშიაც ვიხელმძღვანელოთ ძველი ლიბერალური პრინციპით: Laisser faire, laisser passer. ხელოვნების აშკარა კლასიური ბუნება აქ ცხადზე უცხადესია და მარტივად მოცემული. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს პირველი მომენტი—„სახეებით აზროვნება“. ეს უშუალოდაა დაკავშირებული „გრძნობათა სისტემატიზაციის“ ხერხების, მეთოდების საკითხთან. ეს არის საკითხი ამ სისტემატიურათ დალაგებულ გრძნობების გაფორმების. ყოველგვარი ნაწარმოები უმთავრესად მაშინ ღებულობს მხატვრულ ლიტერატურის სახეს, როცა ეს ნაწარმოები ყალიბდება სათანადო მხატვრულ ფორმაში. ამიტომაც არის, ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოები არ არის მხატვრული. პუბლიცისტური ნარკვევი, რომელიც დაწერილია კარგათ მაგარი ჟურნალისტური ხელით, არ არის მხატვრული ნაწარმოები, თუმცა ლიტერატურულ ღირსებას მას ვერავინ წაართმევს. ის პუბლიცისტიკაა, ლიტერატურაა, მაგრამ არა ხელოვნება, მხატვრული ნაწარმოები. ამიტომაც არის, დიდათ სცდება ის, ვინც ფიქრობს, ფორმალურ მომენტს მხოლოდ „დამატებითი“ მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურაში. ნამდვილად კი ასე არ არის საკითხი მარტივად დაყენებული.

სინამდვილეში, კონკრეტიულ მაგალითებში, „ფორმა“ და „შინაარსი“ ცალ-ცალკე არასოდეს არ გვევლინება. ორივე მომენტი შეზავებულია, შესისხლხორცებული, ერთმანეთთან შეზრდილი. ხოლო როცა ვაცალკევებთ ამ მომენტებს საერთო მთლიანობიდან, ამით ჩვენ ვახდენთ აბსტრაქციას. ეს დანაშაული არ არის. აბსტრაქციის საჭიროებას ვერ გაექცევა ვერც ერთი სერიო-

[1]) Н. Бухарин. Op. cit. გვ. 186.

[2]) ibid. გვ. 206.

[3]) ibidem, გვ. 186.

ზული მკვლევარი. ეს ასე რომ არ იყოს, კაცობრიობა მოკლებული იქნებოდა ,,კაპიტალს‘‘, რადგან მისი ავტორიც არ გაურბოდა მეცნიერულ აბსტრაქციას.

მაშასადამე, აბსტრაქციულია ფორმისა და შინაარსის ცალ-ცალკე დაყენების საკითხი. რას იზამთ, მხატვრული ფაქტის შეფასება ვერ გაექცევა ამ აუცილებლობას.

ფორმისა და შინაარსის მიმართების საკითხში ჩვენ გვაქვს ორი ,,მიმართულება“. პირველია—ფორმით გატაცება, ფორმის ფეტიშიზმი და შინაარსის მიფუჩეჩება. აქ გაბატონებულია მშრალი ფორმალიზმი. მეორე—შინაარსით გატაცება, შინაარსის ფეტიშიზმი და ფორმის დავიწყება, თუ არა სრული იგნორაცია. ჩვენის აზრით, არც ერთი მიმართულება არ არის სწორი. პირველი არ არის სწორი, რადგან ფორმით გატაცება და შინაარსის ,,გამოქინქლვა‘‘ იძლევა უბრალო ზაუმს. აქ ფრაზების რახა-რუხია და მეტი არაფერი. მეორე არ არის სწორი, რადგან აქ „ამბის მოყოლაა“, არ არის ,,სახეებით აზროვნება, არ არის ხელოვნება. ასეთია ,,ფორმალური‘‘ არგუმენტაცია. მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ უნდა ჩავსწვდეთ პრობლემის დედა-ძარღვს, გავარკვიოთ საკითხის დინამიკა. აქ კი იხატება სხვანაირი სურათი.

ფორმალიზმი უშუალოდ ,,ებჯინება‘‘ თეორიას—ხელოვნება ხელოვნებისათვის. ეს თეორია რევოლიუციონურია საზოგადოებრივ განვითარების ერთ პერიოდში, რეაქციონური—მეორეში [1]). ერთი კი უნდა ითქვას გადაჭრით: ეს თეორია წარმოიშვება მხოლოდ იქ, სადაც ლიტერატურასა და საზოგადოებრივობას შორის წინააღმდეგობა იბადება. ეს არის არსებულ წყობილებით უკმაყოფილების მხატვრული გამოხატულება. გ. პლეხანოვი სამართლიანად აღნიშნავს ამ თეორიის შესახებ, როცა სწერს: თეორია— ,,ხელოვნება ხელოვნებისათვის წარმოიშვება იქ, სადაც არსებობს განხეთქილება ხელოვანსა და მის გარშემო არსებულ საზოგადოებრივ არეს შორის‘‘ [2]). ამიტომ სცდებიან, როცა ფიქრობენ, ვითომც თეორია ,,ხელოვნება ხელოვნებისათვის‘‘ ემყარება ხელოვნების კლასიურ ბუნების უარყოფას. პირიქით, საზოგადოებრივობიდან განზე გამდგარი ხელოვანი აყენებს ამ თეორიას, რადგან მას არ სურს შესცვალოს საკუთარი ,,კლასიური ხაზი‘‘ და ის გაბატონებულ კლასის ინტერესებს შეუფარდოს. ხელოვნების კლასიური ბუნება არის სწორედ თანამედროვეობიდან გაქცევის მიზეზი.

ჩვენში ,,ხელოვნება ხელოვნებისათვის‘‘ ვერ პოულობს აშკარა დამცველს. სამიოდე წლის წინეთ კიდევ გაისმოდა ძახილი ამ თეორიის დასაცავად. უკანასკნელ ხანებში მიწყნარდა ეს ძახილიც. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ამ თეორიის ,,სული‘‘ არ ტრიალებდეს მხატვრულ ლიტერატურაში. და აი სწორედ ეს ,,სული‘‘ გვევლინება ახალ მანტიაში. ეს არის „ფორმალიზმის‘‘

[1]) ეს თეორია მშვენივრათ აქვს გარკვეული გ. პლეხანოვს თავის ბროშურაში: „Искусство и общественная жизнь“. არის ქართული გამოცემა, სახელგამის, ს. აბაშელის კარგი წინასიტყვაობით და უცნობის ცუდი თარგმანით...

[2]) Г. Плеханов Собр. соч., ტ. XIV, გვ. 126. იხ. აგრეთვე გვ. 131.

სამოსელი, ვისაც ფორმის ფეტიშიზმი სწამს, მას უნდა სწამდეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. და პირიქით. ფორმალიზმით გატაცება, წმინდა ფორმალურ ხერხებით ფონს გასვლა შეადგენს თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ორგანიულ ნაწილს, მის საფუძველს, დასაყრდენს. აი რას სწერს გ. პლეხანოვი დასახელებულ შრომაში: „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“:

> განსაკუთრებული ზრუნვა მხოლოდ ფორმაზე აიხსნება საზოგადოებრივი და პოლიტიკური გულგრილობით. ის ნაწარმოები, რომელიც ზრუნავს მხოლოდ ფორმაზე, ყოველთვის გამოხატავს, ასე თუ ისე,... ავტორის უარყოფით განწყობილებას მის გარშემო არსებულ საზოგადოებასთან[1]).

მაშასადამე, მხოლოდ ფორმით გატაცება არ აიხსნება „ხელოვნების სიყვარულით“, ან სიტყვის „მარგალიტების“ ძიებით. ამ გატაცებას აქვს მეორე მხარე—თანამედროვეობის სიძულვილი, თანამედროვეობისადმი „უარყოფითი განწყობილება“. ეს აშკარაა, ამ დებულების სიმძიმეს თავს ვერავინ დააღწევს. მხოლოდ ფორმით გატაცება—ესაა დეკანდასი, მწერლობასა და ცხოვრებას შორის ხიდის ჩამტვრევა.

მეორე მხრივ, მარტო „ფორმალური მომენტით“ შესრულებული ნაწარმოები სრულებით ვერ სტოვებს მხატვრულ შთაბეჭდილებას. მკითხველი მოელის არა მარტო „მშვენიერ სიტყვებს“, ის მოითხოვს შინაარსსაც, აზრს, იდეას. სადაც ეს არ არის, იქ მხატვრული შთაბეჭდილებაც არ არის. მხატვრული ნაწარმოები კარგავს თავის დანიშნულებას. ის ვერ ახდენს „გრძნობათა სისტემატიზაციას“. ასეთი ნაწარმოები უფრო ადრე მოკვდება, ვინემ დაიბადება.

გადავიდეთ მეორე საკითხზე (მეორე—არა მნიშვნელობით, რასაკვირველია)—მხატვრულ ნაწარმოების შინაარსზე. მხოლოდ შინაარსით გატაცება ახასიათებს „განახლების“ ხანას, სოციალურ რენესანსს. ამით ეძლევა „შინაარსს“ განსაკუთრებული უპირატესობა—პრიმატი, როგორც უყვართ ლაპარაკი,—„ფორმის“ წინაშე. საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსული გაბატონებული კლასი ქმნის თავის გემოვნების ხელოვნებას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მას შინაარსი აინტერესებს, ე. ი. რა დაიწერა. მას უნდა საკუთარი თავი დაინახოს, თვალი გადაავლოს ვაჟკაცურ მკლავებს, რომლებითაც დალეწა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ბორკილი. ამ გოლიათურ, სისხლით გაჟღენთილ და მაგარ, სპილოს ძარღვებით დაფსკვნილ მკლავების ნაცვლად მან თუ ნაზი, ქალური, ან და მარმარილოდან გათლილი მკლავები დაინახა, ასეთ „სარკეს“ ის არა-ნაკლებ სიმწარით დაამსხვრევს, ვინემ დაამსხვრია ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა. გამარჯვებული საზოგადოებრივი კლასი, პირველ რიგში, „შინაარსს“ მოითხოვს, მის „პრიმატს“ იცავს „ფორმის“ წინაშე. ასე იყო ისტორიულად. საზოგადოებრივ ასპარეზზე ალბად გამოსული ევროპის ბურჟუაზიის მხატვრული მწერლობა გაიტაცა „შინაარსმა“. ავიღოთ, მაგ. „დეკამერონი“. ბურჟუაზია კითხულობდა ამ ნაწარმოებს და

[1]) ibid.

ხითხითებდა გულახდილათ, რადგან აქ ის ფეოდალური არისტოკრატიის ყურმოჭრილ მონის, სასულიერო წოდების საშინელ გამათრახებას, [illegible] ასევე „დ ო ნ - კ ი ხ ო ტ ი“. არც ბ ო კ ა ჩ ი ო, არც ს ე რ ვ [illegible]თვის აინტერესებდა, როგორც ხელოვანი. აქ საინტერესო იყო, რ ა დაიწერა და არა ის, რ ო გ ო რ დაიწერა.

ერთი სიტყვით, „შინაარსის“ ლოზუნგის წამოყენება ახასიათებს „განახლების“, აღორძინების და არა დაცემის, დაქვეითების ეპოქას. გაბატონებული საზოგადოებრივი კლასი უარს ამბობს „შინაარსზე“, როცა ეს „შინაარსი“ მისთვის მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ხდება. ევროპის ბურჟუაზია, რომელიც ერთ დროს „შინაარსის ფეტიშიზმით“ კანკალებდა, დღეს ისე გაურბის ამ „შინაარსს“, როგორც ძაღლი კომბალს. მისთვის ეს „კომბალი“ თავზარდამცემია, მომაკვდინებელი. „შინაარსში“ ბურჟუაზია არაფერს ხედავს საიმედოს. არსებული ცხოვრება ციხეა მისი „სულის“. „კაპიტალიზმის დალპობის“ პერიოდიც ხასიათდება მისტიციზმით, სპირიტიზმით, სიმვოლიზმით. ყველა ამ „იზმის“ მიზანია არ დაანახოს ბურჟუაზიას არსებული, რევოლუციებით და „კატასტროფებით“ დაორსულებული სინამდვილე. ბურჟუაზიის ადრინდელი ხელოვანი იბრძოდა „შინაარსისათვის“, ბურჟუაზიის დღევანდელი მწერლობა კი ებრძვის ამ „შინაარსს“. თეზისი გადავიდა ანტითეზაში. პროცესი უცდის „სინთეტიურ“ დასრულებას.

ფორმისა და შინაარსის საკითხის ამოსაწურათ ჩვენ მივმართავთ ისევ გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ს.

> ფ ო რ მ ა მ ჭ ი დ რ ო თ ა ა დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს თ ა ნ. მართალია, არის ეპოქაც, როცა ფორმა უკან რჩება შინაარსს ცოტად თუ ბევრად. ეს—იშვიათი ეპოქაა. ასეთ ეპოქაში ან ფორმა სცილდება შინაარსს, ან შინაარსი – ფორმას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შინაარსი უკან რჩება ფორმას არა მაშინ, როცა ლიტერატურა ჯერ კიდევ იწყებს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, არამედ მაშინ, როცა ეს ლიტერატურა უკვე ადგას დ ა ც ე მ ი ს გზას, უმეტეს შემთხვევაში, იმ საზოგადოებრივ კლასის ან წყობილების დაცემის გამო, რომლის (კლასის) მისწრაფება და გემოვნება არის ამ ლიტერატურაში გამოხატული...
>
> ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ა, სხვათა შორის, იმაში, რ ო მ ფ ო რ მ ა ს უ ფ რ ო ა ფ ა ს ე ბ ე ნ, ვ ი ნ ე მ შ ი ნ ა ა რ ს ს. მაგრამ შინაარსი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ფორმასთან, რომ შინაარსისადმი გულგრილობა დაუყონებლივ იწვევს ჯერ სიმშვენიერის დაკარგვას, შემდეგ კი – ფორმის სრულ სიმახინჯეს... ი მ ე პ ო ქ ა შ ი, ს ა დ ა ც ჯ ე რ კ ი დ ე ვ ი წ ყ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს (ა ნ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს) გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა, ა დ გ ი ლ ი ა ქ ვ ს პ ი რ დ ა პ ი რ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ო ვ ლ ე ნ ა ს, ვ ი ნ ე მ ჩ ვ ე ნ ვ ა მ ჩ ნ ე ვ თ დ ა ც ე მ ი ს ე პ ო ქ ა შ ი. მ ა შ ი ნ ა რ ა შ ი ნ ა ა რ ს ი რ ჩ ე ბ ა უ კ ა ნ ფ ო რ მ ა ს, ა რ ა მ ე დ პ ი რ ი ქ ი თ, ფ ო რ მ ა—შ ი ნ ა ა რ ს ს.[1])

აქ „სადაო საკითხი“ დღის სინათლეზეა გამოტანილი. ამ სტრიქონებს არ სჭირდება კომენტარიები. ყველაფერი აშკარაა, ცხადზე უცხადესი. საილიუ-

---

[1]) Г. Плеханов. История русской общественной мысли; ტ. III. ნაწ. III, გვ. 7—8. ხაზი ყველგან ჩვენია.

სტრაციით შეგვიძლია მოვიყვანოთ თანამედროვე პროლეტარული მწერლობა. ეს არის ლიტერატურა", რომელიც „განვითარების" გზას ადგას. ჩვენც ვხედავთ, პროლეტარულ მხატვრულ ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი შინაარსის საკითხს უჭირავს. ასეა ეს მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ასეა—უმთავრესად. მაშასადამე, ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი პირველ რიგში მოითხოვს „შინაარსს",—იმის დანახვას, რასაც აკეთებს, აშენებს და ქმნის ის.

მაგრამ შემდგომი განვითარების გზაზე შეუძლებელი ხდება ერთ ადგილზე შეჩერება. თუ „იმ ეპოქაში, სადაც ჯერ კიდევ იწყება მხოლოდ ლიტერატურის განვითარება", მხატვრულ ნაწარმოების „შინაარსს" ექცევა უდიდესი ყურადღება, სამაგიეროთ, იმ პერიოდში, როცა ლიტერატურა უკვე განვითარებულია შედარებით, შინაარსთან ერთად აუცილებელი ხდება „ფორმის" წამოყენებაც. აქ უკვე იწყება ბრძოლა ფორმისათვის. ამ ბრძოლის შედეგი ერთია მხოლოდ—შინაარსისა და ფორმის ერთ სიმაღლემდე აყვანა. ჩვენ არ შეგვიძლია დღევანდელ პირობებში ვიხმაროთ აქ ტერმინი „გაიდენტივობა", „თანასწორ ღირებულება", „თანაბარი მნიშვნელობა". არ შეგვიძლია, რადგან საერთოდ შინაარსს ჯერ კიდევ მაღლა ვაყენებთ ფორმაზე. ეს რომ ასეა, მაშინვე დავინახავთ, როგორც კი დაისმება საკითხი „არახელსაყრელ ნიადაგზე", დაისმება მეტაფიზიკურათ, განყენებულათ: ფორმა თუ შინაარსი. მაგრამ ჩვენ ხომ არა ვართ მეტაფიზიკოსები. ჩვენი პასუხიც ასეთია: ფორმაც და შინაარსიც. აი მხოლოდ ისეთი ნაწარმოები შეიძლება იყოს ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ფორმალურ მხარეს, ისე—შინაარსს, აზრს, იდეას.

ხშირათ მიმართავენ ხოლმე გ. პლეხანოვს. გ. პლეხანოვი უზარმაზარი ავტორიტეტია მარქსისტულ ლიტერატურათ მცოდნეობის სფეროშიც. ჩვენ საკმაოთ გავეცანით მის აზრებს. ამ აზრებში საკითხის ერთ მხარეს ხედავენ და სცდილობენ მეორე მხარე არც თვითონ დაინახონ, არც სხვებს დაანახონ. ეს ერთი მხარეა—შინაარსის საკითხი. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ფორმის საკითხს არ აყენებს პლეხანოვი, ან ფორმალურ მომენტს არ აქცევს სათანადო ყურადღებას? არა, არ ნიშნავს სრულებით. აი ამაშია მეორე მხარე. მხატვრულ ლიტერატურისათვის ფორმის მნიშვნელობას როდი ამცირებდა გ. პლეხანოვი. პირიქით, ფორმას უდიდეს ყურადღებას აქცევდა. კიდევ მეტი, გ. პლეხანოვი გვირჩევს „ფორმა" არ მივიტანოთ „იდეის" სამსხვერპლოზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბობს ის, ჩვენ ვერ მივიღებთ მხატვრულ ნაწარმოებსო. ფლობერი სწერდა ჟორჟ ზანდს: „მე მიმაჩნია ფორმა და შინაარსი ორ არსებათ, რომელთაგან არც ერთი არ არსებობს დამოუკიდებლად". გ. პლეხანოვს „სიამოვნებით მოყავს" ეს ამონაწერი და თან უმატებს სავსებით გარკვევით, არა ორაზროვნულად (მოგვყავს რუსულად პირდაპირ):

Кто считает возможным пожертвовать формой „для идей", тот перестает быть художником, если он и был им прежде [1].

სათანადო ფორმა, სათანადო შინაარსი, ფორმაც და შინაარსიც—შინაარსიც და ფორმაც—აი ასეთია მაქსიმალური მოთხოვნილება, რომელიც შეგვიძლია მხატვრულ ლიტერატურას წამოვუყენოთ. რასაკვირველია, საზოგადოთ ასეთ მოთხოვნილებას თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას კატეგორიულად ვერ წამოვუყენებთ. ეს იქნებოდა მთელი ლიტერატურის 90 პროცენტით შემცირება. ლიტერატურის ბაზარზე ჯერ კიდევ იშვიათია როგორც მხატვრულად, ისე იდეოლოგიურათ სავსებით გამართლებული მხატვრული გამოცემა. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ გვაქვს „კარგი" ფორმა ცუდი „შინაარსით" და პირიქით: „კარგი" შინაარსი ცუდი ფორმით. არც იმ „ბედნიერებას"ვართ მოკლებული, როცა ვკითხულობთ ნაწარმოებს როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც გულის ამრევს... სამწუხაროთ, ამ „ბედნიერებით" არც ისე ძუნწათ ვართ დაჯილდოვებული. აი რატომ ვაყენებთ ჩვენ ასე ფრთხილად ფორმისა და შინაარსის „გათანასწორების" საკითხს.

ამ საკითხის გადაჭრაში „მნათობმა" „ისტორიული როლი" უნდა ითამაშოს. ვიმეორებთ, ლიტერატურულ-მხატვრულ ავტორიტეტი დაბადებიდანვე თან დაჰყვა „მნათობს". ეს ავტორიტეტი უფრო უნდა გაიზარდოს, გაფართოვდეს. დღემდეც ითვლებოდა „მნათობი" მხატვრულ ღირებულების საზომათ. ითვლებოდა, მომავალში კი ასეთ საზომად უნდა გადაიქცეს სრულებით.

5.

ლიტერატურული მემკვიდრეობა დღესაც წარმოადგენს სერიოზულ მსჯელობის საგანს. ამავე დროს ეს საკითხი „მუდამ ძველია და თან ახალი". მემარჯვენე—„მემარცხენე" გადახრა მხატვრულ ლიტერატურის დარგში თავს იჩენს—უწინარეს ყოვლისა—ლიტერატურულ მემკვიდრეობის საკითხში. მემარჯვენეები აზვიადებენ, აჭარბებენ ლიტერატურულ მემკვიდრეობის მნიშვნელობას თანამედროვე მწერლობისათვის. ამავე დროს, პარალელურად, ამცირებენ თანამედროვე,—კერძოთ—პროლეტარული ლიტერატურის როლს და ხვედრითი წონას. „მემარცხენეები", პირიქით,ვარდებიან საწინაამდეგო უკიდურესობაში. ისინი ამცირებენ—წინეთ უარყოფდნენ—ლიტერატურულ მემკვიდრეობის მნიშვნელობას და აზვიადებენ პროლეტარულ მწერლობას.

რასაკვირველია, არც ერთი გადახრა არ არის ჩვენთვის მისაღები. ჩვენი მიზანია, ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი გადაჭრილ იქნეს პარტიის პოლიტიკის თვალსაზრისით მხატვრულ ლიტერატურაში. ლენინის სწორათ გაგება უზრუნველყოფს ამ მიზნის განხორციელებას.

მართალია, ლენინს ბევრი არ უწერია მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. მაგრამ რაც მოგვცა მან, თითოეულ ლიტერატურულ მკვლევარის ხელში წარმოადგენს საკითხის ლენინურად გაგების და გადაჭრის გასაღებს. კერძოთ, ლენინი სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

[1] Г. Плеханов. Сочинения. ტ. XIV, გვ. 179.

ცნობილია, ლენინმა ლევ ტოლსტოის „რუსეთის რევოლუციის სარკე“ უწოდა. ლევ ტოლსტოი—შემამულე, გრაფი; მისი მოძღვრება—ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის უარყოფა, ახალი რელიგია, რეაქციონერული. ლენინმა ყველაზე კარგად იცოდა ეს. თავის შენიშვნებში მან განსაკუთრებულის სიმწარით აღნიშნა ლევ ტოლსტოის მოძღვრების რეაქციონური ელემენტები. მიუხედავათ ამისა, ლენინი მოგვიწოდებდა „ვისწავლოთ ჩვენი დროის უდიდეს ადამინისაგან“. ბევრს პარადოქსათ ეჩვენება ეს. ეჩვენება, რადგან ვერ ჩამსწვდარა ლენინურათ დაყენებულ საკითხის სიღრმეს. ლენინი მოკლეთ, დაკუმშულად, მაგრამ ჩვეულებრივი, დაჯერების გენიალური არგუმენტაციით, სწერდა ლევ ტოლსტოის შესახებ:

> ტოლსტოის მოძღვრება უსათუოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციონური, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით... მოაქვს უშუალო და დიდი ზიანი... მაგრამ ეს სავსებით არ ჰნიშნავს არც იმას, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური,—არც ის, რომ ამ მოძღვრებაში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომლებსაც შეუძლია მოგვცეს ძვირფასი მასალა მოწინავე კლასების განათლებისათვის[1])

ლევ ტოლსტოის ასეთმა შეფასებამ „ალიაქოთი“ გამოიწვია მენშევიკურ ბანაკში. გამოილაშქრა ბაზაროვმა პოტრესოვის Наша заря-ს ფურცლებზე. ლენინს ერთ წუთსაც არ დაუხევია უკან, პირიქით, განსაკუთრებულის სიმახვილით და გესლით უპასუხა ბაზაროვს. საპასუხო წერილში ლენინმა უფრო გაალრმავა თავისი შეხედულება და თან ახალი დებულებაც წამოაყენა. ლენინმა შენიშნა:

> ... ასე არ უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, არ უნდა ვილაპარაკოთ აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს ხელს შეგვიშლის ვისწავლოთ ჩვენი დროის უდიდეს ადამიანისაგან[2]).

ამ ორ მოკლე, მაგრამ შესანიშნავ ამონაწერში მთლიანათაა მოცემული ლენინის აზრი ტოლსტოის მნიშვნელობის, ტოლსტოის მოძღვრება-მხატვრული ღირებლების და მისდამი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. ტოლსტოის მოძღვრება, საერთოდ, მავნეა, „დიდი ზიანის“ მომტანი, უტოპიური, რეაქციონური. მაგრამ ტოლსტოის ნაწერებში არის “კრიტიკული ელემენტები“, რომლებსაც შეუძლია მოგვცეს ძვირფასი მასალა „მუშათა კლასის და მშრომელ გლეხობის, „მოწინავე კლასების განათლებისათვის“. ასე თუ არ ვიმსჯელებთ, ვულალატებთ ჭეშმარიტებას და, რაც საგულისხმოა, ეს „ხელს შეგვიშლის ვისწავლოთ ჩვენი დროის უდიდეს ადამიანისაგან“. აქ თითოული სიტყვა მოკვეთილია, თითოული ასო თავის ადგილზეა. ვერაფერს მიუმატებთ, თუ გამოაკლებთ—ლენინის აზრებს დაამახინჯებთ მხოლოდ[3]).

[1]) Н. Ленин. Собр. соч. ტ. XI, ნაწ. II, გვ. 174-175. ხაზი ჩვენია.

[2]) ibid.

[3]) კიდევ ორი აუცილებლად აღსანიშნავი და დამახასიათებელი ციტატა. ლენინი სწერს: ლ. ტოლსტოიმ „შესძლო იმ მხატვრულ მწვერვალზე ასვლა, რომ მისმა ნაწერებმა დაიკავა ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“ ან კიდევ:

რა არის „კრიტიკული ელემენტი“, „სოციალისტური“ ტოლსტოის შემოქმედებაში? ეს სპეციალურ კვლევის საგანია, არ შედის ჩვენი თემის ფარგალში. საერთოდ, ყველამ იცის ეს. საინტერესოა მეორე საკითხი: რა უნდა ვისწავლოთ ტოლსტოისაგან, როგორც გენიალური ხელოვანისა და მხატვრისაგან? ამ კითხვაზე პასუხი საინტერესოა არა მხოლოდ ბელეტრისტებისათვის.

როგორც უკვე ვიცით, ტოლსტოი ხელოვნებაში ხედავდა საშუალებას Эмоционального заражения. მაშასადამე, ტოლსტოის კარგათ ქონდა შეგნებული მხატვრული კალმის სიძლიერე და მისი საზოგადოებრივი დანიშნულება. ხელოვნების ეს გაგება თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივითაა გავლებული ტოლსტოის მთელ შემოქმედებაში. ამ გაგებასთანაა შეფარდებული: ტოლსტოის მხატვრული ენა, სტილი, ცალკე გამოთქმები, მსჯელობის ლოღიკა, დამაჯერებელი ტონი. ერთი სიტყვით, ტოლსტოის მხატვრული კილო არა ფანტასტიური, ეთეროვანი, არამედ „რეალური“, ხშირათ „უხეში“ და „მუქი“ საღებავებითაა შესრულებული. ტოლსტოის მხატვრული ენა ხალხური ენაა. მისი თქმების მანერა—ხალხის საუბრის კილო. მაქსიმ გორკი პირად მოგონებაში იხსენიებს ლევ ტოლსტოის მიდრეკილებას ამ თვისებისადმი. ტოლსტოიმ დაუწუნა გორკის ახალი მოთხრობის ზოგიერთი ადგილები:

— განა ასე ლაპარაკობს ხალხი, ან თქვენ ლაპარაკობთ ასე? სწერეთ, როგორც ხალხი ლაპარაკობს, სწერეთ ისე, როგორც თითონ ლაპარაკობთ!— ურჩია ტოლსტოიმ გორკის.

ეს არის სწორეთ ტოლსტოის უძლიერესი მხარე. ჩვენ უნდა „ვისწავლოთ“, გადმოვიღოთ ტოლსტოისაგან ეს მხარე.

შემდეგ: ტოლსტოიმ იცის საგნისადმი მიდგომა. არაჩვეულებრივი ოსტატია ტოლსტოი თავისი „ობიექტის“ დარწმუნებაში, დაჯერებაში. მან იცის, რა მხრივ უნდა მიუდგეს მკითხველს. ტოლსტოი შესანიშნავი ოსტატია მკითხველის გრძნობების ათამაშების. მას არ უქირს მკითხველის ძარღვის დაჭიმვა, ჩონგურზე მომართვა და საკუთარ გემოზე აჟღერება. მხოლოდ გამოცდილი მკითხველი აღწევს თავს ამ „ოპერაციას“. ჩვენ უნდა „ვისწავლოთ ჩვენი დროის უდიდესი ადამიანისაგან“ ეს ხერხი, აღვიჭურვოთ ამ იარაღით. თორემ ხშირათ რა გამოგვიდის ჩვენ? ჩვენთვის ვსწერთ, ჩვენთვის ვფიქრობთ. არც ენა, არც ფიქრი არ შეეფერება იმას, ვისთვისაც ვსწერთ, ვისზე ვფიქრობთ. ეს ტრაღედიაა მწერლის, კატასტროფა გამომცემლობის, კომედიაა ღვარძლიან კრიტიკისათვის.

ბევრი რამ შეგვიძლია ჩვენ ვისწავლოთ ტოლსტოისაგან, როგორც ხელოვანისაგან. მთავარი აღვნიშნეთ ჩვენ, ბევრი დაგვრჩა კიდევ. გავუსვამთ ხაზს აგ-

„ტოლსტოი ხელოვანი უმცირესობისათვისაა ცნობილი რუსეთშიაც კი. რომ გახდეს მისი უმნიშვნელოვანესი ნაწერები ნამდვილ საკუთრებად ყველასათვის... საჭიროა სოციალისტური გადატრიალება. და ტოლსტოიმ... მოგვცა მხატვრული ნაწერები, რომლებიც ყოველთვის იქნება შეფასებული და წაკითხული მასების მიერ, როცა ეს მასსები შექმნიან ადამიანურ ცხოვრების პირობებს მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელის გადაგდებით“ (Н. Ленин. Собр. соч., ტ. XI, ნაწ. II, გვ. 115).

რეთვე ერთ გარემოებას. ეს არის „მ წ ე რ ლ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა“. ჩვენ არ ვამბობთ მწერალი ისტორიკოსი უნდა იყოს, ფიზიკოსი, ეკონომისტი, ფილოსოფოსი. მწერალი უნდა იყოს კულტურული ადამიანი, თ ა ვ ი ს დ რ ო ი ს კ უ ლ ტ უ რ ა ა თ ა ს ი ძ ა ფ ე ბ ი თ თ ა ვ ს უ ნ დ ა ი ყ რ ი დ ე ს მ წ ე რ ლ ი ს ა რ ს ე ბ ა შ ი. მწერალი მ ო წ ი ნ ა ვ ე ელემენტია საზოგადოების. შეგნებით, მოვლენათა შეგრძნობით ის მაღლა სდგას თავის წრეზე. მ წ ე რ ა ლ ი თ ა ვ ი ს ი კ ლ ა ს ი ს, თავისი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ფ ე ნ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი ა. ეს პირობა აუცილებელია მწერლისათვის. სხვანაირად მწერალი ვერ ასახავს თანამედროვეობას, ის ვერ გახდება ეპოქალური. აშკარაა, რამდენად საცოდავია, უსუსური, უდღეური და უტიფრული ზოგიერთი ბუზანკალა „კრიტიკოსის“ მტკიცება: მწერლისათვის კულტურა, ცოდნა-განვითარება არც ისე მნიშვნელოვანია და აუცილებელიო.

ლ. ტ ო ლ ს ტ ო ი საკუთარ ზურგზე ატარებდა თავისი კლასის „დიდ კულტურას“. ის განათლებული ადამიანი იყო, თავისი ეპოქის მიხედვით. ამით აიხსნება ტ ო ლ ს ტ ო ი ს სიყვარული მძიმე მუშაობისადმი. ათი-თორმეტი წელი მოუნდა ტ ო ლ ს ტ ო ი Война и мир-ის დაწერას. რამდენჯერმე გადასწერა მან ეს უზარმაზარი ნაწარმოები. ვინ არ იცის, როგორი სერიოზულობით, დაკვირვებით, ისტორიულ და ფაქტიურ მასალების, უბრალო მიწერ-მოწერის შეგროვებით, ყოველივე წვრილმან მომენტის გაცნობით,—ვინ არ იცის, ასეთი ფანატიური თავდავიწყებით, თავგანწირვით და საკვირველი გატაცებით სწერდა ლევ ტოლსტოი ცნობილ Хаджи-Мурат-ს. ასე არ ვართ ჩვენ შეჩვეული მუშაობას. ჩვენ უფრო ფანტაზიორები ვართ, მასალებს ნაკლებათ ვეძებთ, ფაქტებს ვერ ვაქცევთ სათანადო ყურადღებას. ფრთა მოჭრილი გამოდის ჩვენი „გაკეთებული“. ასე არაფერი გამოვა, სრულებით არაფერი. აქ ჩვენ უნდა „ვისწავლოთ ჩვენი დროის უდიდესი ადამიანისაგან“.

ჩვენ ტოლსტოი მოგვყავს ს ა ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ო თ. მოგვყავს იმიტომ, რომ ლ ე ნ ი ნ მ ა მიაქცია ტ ო ლ ს ტ ო ი ს განსაკუთრებული ყურადღება. ტოლსტოის მაგალითზე აშკარათ მოსჩანს ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხის სიმწვავე და აქტუალობა.

ცნობილია ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან კ. მ ა რ ქ ს ი ს დამოკიდებულებაც. აი რას ამბობს კ. მ ა რ ქ ს ი ბერძნული ხელოვნების შესახებ:

> ბერძნული ხელოვნება და ეპოსი დაკავშირებულია განვითარების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთან... ისინი კიდევ გ ვ ა ძ ლ ე ვ ე ნ ჩ ვ ე ნ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს და, განსაზღვრულ აზრით, ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ე ნ ნ ო რ მ ი ს ა დ ა მ ი უ ღ წ ე ვ ე ლ ნ ი მ უ შ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს [1]).

ამ სიტყვების სწორათ გაგებისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ მ ა რ ქ ს ი ს პირად ცხოვრებას. აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ მ ა რ ქ ს ი ს დამოკიდებულებას ლიტერატურულ მემკვიდრეობისადმი. როგორც ვიცით, მ ა რ ქ ს ს უყვარდა ჰ ო მ ე რ ო ს ი, დ ა ნ ტ ე, შ ე ქ ს პ ი რ ი, გ ო ე თ ე, ა გ რ ე თ ვ ე ე ს ხ ი ლ ი, ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი... ლ ა ფ ო რ გ ი ს მოწმობით, მ ა რ ქ ს ი ყოველ წლობით კითხულობდა

[1]) К. Маркс. Op. cit., გვ. 24.

ესხილს ორიგინალში. სათანადოთ აფასებდა დიდროს და მოლიერს /ალფრთოვანებამდე ბალზაკის „კომედიით“. ფ. მეჰრინგს თუ დავუჯერებთ, მარქსი უფრო შორს მიდიოდა ანტიურ ლიტერატურის „შეფასებაში“. ფ. მეჰრინგი ამბობს; „თავისი ძველ ბერძნების ერთგული ის (ე. ი. მარქსი გ. მ.) ყოველთვის რჩებოდა და მზად იყო ტაძრიდან შოლტით გაედევნა საცოდავი მოვაჭრე სულები, რომლებსაც სურდათ მუშების ამხედრება ანტიურ კულტურის წინააღმდეგ“ [1]) რასაკვირველია, ჩვენ საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ფ. მეჰრინგის სიტყვების საფუძვლიანობაში...

ამ რიგათ, არც მარქსი, არც ლენინი არ უარყოფდა ხელაღებით ძველ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ამ მემკვიდრეობის მისაღებ, „კრიტიკულ ელემენტებს“. ძველი ლიტერატურიდან უნდა გამოვიყენოთ, მოვიხმაროთ ყველაფერი, რაც გამოადგება თანამედროვეობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „კრიტიკული ელემენტები“ მზა-მზარეულად, ხელუხლებლად, მექანიკურად გადმოვიტანოთ თანამედროვე მწერლობაში. არა, „კრიტიკული ელემენტებიც“ უნდა მივიღოთ კრიტიკულად, ეს ელემენტები უნდა გადავხაროშოთ, ჩვენ გემოზე გარდავქმნათ. მაგრამ ერთი რამ ცხადია: არც ხალასი უარყოფა მხატვრულ მემკვიდრეობის, არც ხალასი მიღება მისი. გამოვიყენოთ და მოვიხმაროთ ის, რაც „მხატვრულ მოღვაწეობას“ გაგვიადვილებს და თანამედროვეობას გამოადგება.

ლიტერატურულ მემკვიდრეობის პრობლემა დღემდე არ „ჩამოსულა სცენიდან“. ამ პრობლემას ვერ ვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას. ეს პასივია ჩვენს ლიტერატურულ ბალანსში. ჩვენი მწერლობის უმრავლესობის დაბალი კულტურული და მხატვრული დონე უეჭველად მოითხოვს კლასიკების „გახსენებას“. საბჭოთა რუსეთის სახელგამმა კლასიკების გამოცემის ხუთწლიანი გეგმა დაამტკიცა. ეს მოწმობს, რამდენად აქტუალური გახდა ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხის დაყენება, კლასიკების გამოყენების საჭიროება.

6.

აქ ჩვენს წინაშე ლოღიკური თანმიმდევრობით ისმება ლიტერატურულ თანამგზავრობის საკითხი. მართალია, „თანამგზავრობის“ საფეხურს ზოგიერთი უკვე განვლილად სთვლის. აყენებენ ახალ ტერმინს — Сопролетарский писатель. ამ მცნების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ „თანამგზავრობამ“ მოსჭამა თავისი დრო და თანამგზავრი დროა „მგზავრათ“ გადაიქცეს. ჩვენის აზრით, სქოლასტიურია საკითხის ასე დაყენება. ჯერ ერთი, სიტყვა „„Сопролетарский“ ბევრათ არ განსხვავდება „თანამგზავრისაგან“. აქ დიდი განსხვავება არ არის, არც პრინციპიალური, არც — პრაქტიკული. Сопролетарский არ არის პროლეტარული, ისევე, როგორც „თანამგზავრული“. აქ მხოლოდ ტენდენციაა „პროლეტარულთან“ უფრო დაახლოების. ესაა და ეს. ამას არ აქვს პრინციპიალური მნიშვნელობა. ჩვენ ვდგევართ თერმინ „თანამგზავრობის“ დატოვების ნიადაგზე. სოფისტიკა მავნეა ყველგან, განსაკუთრებით — მხატვრულ ლიტერატურაში, თერმინებით ვარჯიშობა მოვარჯიშეებისათვის მიგვინდვია.

[1]) Ф. Меринг. Карл Маркс, история его жизни, გვ. 407.

ოქტომბრის რევოლიუციის ლიტერატურული თანამგზავრობა კანონ-შეწონილი საზოგადოებრივი მოვლენაა. „თანამგზავრობა“ არ არის შემთხვევითი ფაქტი, ის ისტორიულ განვითარების გარკვეული შედეგია. „თანამგზავრული“ ლიტერატურა გამოდის არაპროლეტარული, წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალურ ფენიდან. ეს საერთოდ. კერძოთ, ზოგი „თანამგზავრი“ მწერალი პირდაპირ მსხვილ ბურჟუაზიულ წრიდან არის გამოსული. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მრავალს ეშლება ბუდე,ვარდება ამ ბუდიდან. არა მარტო უკვე პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ხდება ასე. კიდევ მეტი, ამასვე ვხედავთ ჩვენ ეპოქაში, სადაც ეს დიქტატურა არ არის დამყარებული. ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიაც აქვს ადგილი „კლასიურ გადაჯგუფებას“: გაბატონებული კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი უერთდება მებრძოლ პროლეტარიატს. ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ ამ მოვლენას:

> როგორც თავად-აზნაურობის ნაწილი ოდესღაც უერთდებოდა ბურჟუაზიას, ისე გადადის ახლა პროლეტარიატის მხარეზე ბურჟუაზიის ნაწილი, გადადიან ბურჟუა იდეოლოგები, რომლებმაც თეორეტიულად გაიგეს ისტორიულ განვითარების მსვლელობა [1].

მაშასადამე, ლიტერატურულ თანამგზავრობის ისტორიული სათავეები შორიდან იწყება. ეს სათავეები მკაფიო გამოხატულებას პოულობს უმთავრესად პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, სადაც შესაძლებელი ხდება „ისტორიული განვითარების მსვლელობის“ არა მარტო „თეორეტიული გაგება“, არამედ მისი პრაქტიკული გათვალისწინებაც.

ვის ვუწოდებთ ჩვენ „თანამგზავრს“?—იმ მწერალს, რომელიც თავის შემოქმედებაში თანამედროვეობის ასახვას სცდილობს, რა თქმა უნდა, გაბატონებული კლასის თვალსაზრისით. ასეთი მწერალი არ არის პროლეტარული, რადგან ის ვერ გამოხატავს პროლეტარულ იდეოლოგიას ხელოვნებაში. ის არ არის არც ბურჟუაზიული, რადგან არ იცავს არც ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. მწერალი, რომელიც ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, არც ერთ წუთსაც არ შეიძლება იყოს თანამგზავრი. ჩვენ არ ვუყენებთ თანამგზავრს პროლეტარულ იდეოლოგიის დაცვის პირობას. ასეთ შემთხვევაში ის დაკარგავს თანამგზავრის სახეს და გახდება პროლეტარული მწერალი. არ ვუყენებთ, რადგან ჩვენი სურვილის და ნების მიხედვით არ „კეთდება“ პროლეტარული მწერალი. სამაგიეროთ, თანამგზავრისათვის აუცილებელია ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაგან განთავისუფლება. ბურჟუაზიული იდეოლოგიის უარყოფა არ ნიშნავს პროლეტარულ იდეოლოგიის მიღებას. ამ უარყოფასა დ მიღებას შორის ჯერ კიდევ საკმაო მანძილია. და აი ამ მანძილზე სდგას თანამგზავრი: მწყემსური ჯოხით ხელში, კახურ ქალამნით და მეგრული ხურჯინით მხარზე მიემგზავრება „განსაზღვრულ პუნქტისკენ“. ეს გზა არ არის ია-ვარდით მოფენილი. ხშირათ გვხდება ეკლიანი ადგილები. ბევრი მალე იქანცება, იღლება, ვერ უძლებს დაბრკოლებას და... უხვევს ამ გზიდან—ჩირგვში იმალება. ზოგი მათგანი მხნეთ განაგრძობს გზას, მტკიცეთ მიაბიჯებს. მართალია, ხშირათ ქანაობს, ბორძიკობს, მაგრამ საერთოდ მაინც წონასწორობას ინარჩუნებს.

[1] Комунистический манифест, გვ. 96.

ლიტერატურულ თანამგზავრისთვის მთავარია თანამედროვეობის მიღება, თანამედროვეობის „იდეების შეთვისება“, პროლეტარიატის თვალსაზრისის გაგება. არ ვამბობთ სრულ შეთვისებასა და გაგებაზე—ამას ვერ გაუძლებს თანამგზავრის ხერხემალი. ეს უსამართლო მოთხოვნა იქნება კიდეც. მაგრამ რაც მთავარია, უნდა შესძლოს თანამგზავრმა: არ უნდა გაყვეს თანამედროვეობის საწინააღმდეგო მდინარებას. თანამგზავრული ლიტერატურის როლი საგულისხმოა, საჭიროა მხოლოდ „თანამგზავრი“ საიმედო თანამგზავრი იყოს რევოლიუციის.

ამ შემთხვევაშიაც კიდევ ერთხელ მივმართავთ გ. პლეხანოვს. ის შენიშნავს მოსწრებულად:

> ბურჟუა იდეოლოგებში, რომლებიც პროლეტარიატის მხარეზე გადადიან, ჩვენ ვხედავთ ძალიან ცოტა ხელოვანთ. ეს აიხსნება, ალბათ იმით, რომ თეორეტიულად გაგება ისტორიულ განვითარებისა შეუძლია მათ, რომელნიც აზროვნებენ.,. მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი ბევრათ გაადიდებს თავის ძალას, თუ შეითვისებს ჩვენი დროის დიად გამანთავისუფლებელ აზრებს. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს აზრები იმას გაუჯდეს ძვალსა და რბილში... [1])

რა თქმა უნდა, „ჩვენი დროის დიადი გამანთავისუფლებელი აზრების“, დღევანდელ პირობებში კი—პროლეტარული რევოლიუციის კომუნისტური აზრების“ „შეთვისება“ უჭირს მწერალს, რომელიც გუშინ და გუშინწინ სულ სხვა ღმერთებს უგალობებდა. კარგად გვესმის ეს ჩვენ. მაგრამ ამ „გასაჭირს“ თავს ვერ დააღწევს ვერც ერთი ხელოვანი, ვერც ერთი მწერალი, რომელსაც არ სურს ამოყოს „მხატვრული“ თავი არც ისე მხატვრულ სანაგვეში. თანამედროვე ეპოქის იდეები, მისწრაფებანი, აზრები უნდა გაუჯდეს მწერალს „ძვალსა და რბილში“. სხვანაირად ის ვერ გახდება ეპოქის მწერალი. მართალია, ეს არ არის მარტივი პროცესი. ხელის ერთი დაკვრით ვერ ხერხდება ღრმა „სულიერი გარდატეხა“, რაც აუცილებლად საჭიროა „მხატვრული გარდატეხისათვის“. ლიტერატურულ, მშვენივრად დაწერილ დეკლარაციებით არ ამოიწურება „ეპოქის მიღება“. კიდევ მეტი, არამც თუ ამოიწურება, ხშირათ არც კი იწყება ამ ეპოქის საფუძვლიანი მიღება. ლიტერატურულ დეკლარაციებით მდიდარია ქართული მხატვრული ლიტერატურა. მაგრამ ამ დეკლარაციების განხორციელებას დღემდე ვერ ვხედავთ ჩვენ. რატომ? არა იმიტომ, დეკლარაციების ავტორები ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნ პოლიტიკურათ. ეს იქნებოდა სინამდვილის არ გაგება. საქმე იმაშია უმთავრესად, რომ „პოლიტიკური შეგნების“ გამოცვლა კიდევ არ ნიშნავს მხატვრულ „ფირფიტის“ გამოცვლას. ჩვენი მწერლების ერთ ნაწილისათვის გროშ-კაპიკია პოლიტიკური შეგნების გამოცვლა, რადგან ეს შეგნება მტკიცეთ არასოდეს არ იჯდა მის „ძვალსა და რბილში“. ხოლო მწერალთა ის ფენაც, რომელიც მტკიცეთ ატარებდა „პოლიტიკურ სინიდისს“ და ახლა კი მტკიცეთ გამოიცვალა ეს „სინიდისი“, ვერ ახდენს ასეთ ცვლილებას შემოქმედებაში. მა-

[1]) Г. Плеханов, Сочинения, ტ. XIV, გვ. 178—179. კურსივი ჩვენია.

შასადამე, მთავარი მიზანი მიუღწეველი რჩება. მწერალში ჩვენ ვაფასებთ უმთავრესად მის შემოქმედებას და არა პოლიტიკას. პოლიტიკას ფასი აქვს პოლიტიკურ მოღვაწეებში. მწერლის „პოლიტიკა“ კი—მისი შემოქმედებაა. შემოქმედება თუ ძველებურათ მიმდინარეობს, არაფერი შეცვლილა, არაფერი გამოცვლილა. აი რატომ აქვს დეკლარაციებს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა. მწერლის დეკლარაცია მისი მხატვრული შემოქმედებაა, ეს შემოქმედებაა ჩვენთვის ძვირფასი, თავი და თავი, უმთავრესი.

მაგრამ პოლიტიკური შეხედულების გამოცვლა აუცილებელია, ეს ძირითადი პირობაა. მოწინააღმდეგე პოლიტიკურ თვალსაზრისზე მდგომი მწერალი თავისთავად განწირულია, შეუძლებელია მის დადებით შემოქმედებაზე ლაპარაკი. ამიტომ ძველი პოლიტიკური რწმენის გამოცვლა და გამარჯვებული პროლეტარიატის თვალსაზრისზე შედგომა საძირკველია, აუცილებელი. მენშევიკურ-ნაციონალისტური სათვალეები დამსხვრეულ უნდა იქნას უსათუოდ. ეს სათვალეები შავათ აჩვენებს მწერალს ყველაფერს. აი რაში მდგომარეობს ლიტერატურული პოლიტიკური დეკლარაციების აზრი და მნიშვნელობა.

მაგრამ პოლიტიკური ძველი შეხედულების გამოცვლა და ახალ საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლა არ არის ყველაფერი ხელოვანისათვის. ეს საკმარისია პოლიტიკურ მოღვაწისათვის, ხელოვანისათვის კი—არა. სიტყვა საქმით უნდა დამტკიცდეს. სიტყვა საქმის ბექედია, საქმე—სიტყვის საფუძველი. პოლიტიკური მოღვაწე თავის სიტყვას ამტკიცებს პრაქტიკული მუშაობით, პრაქტიკული მოღვაწეობით. ხელოვანი კი—მხატვრული შემოქმედებით. აქ აშკარაა „საწყალ“ მწერლის „ტრაღედია“: მან ძველი პოლიტიკური აზრები „გადაიფიქრა“, დეკლარაციას ხელი მოაწერა, საბჭოთა თუ სხვა დაწესებულებაში ერთგულად მუშაობს. მაგრამ მაინც—ეს არაა ყველაფერი მისთვის, როგორც ხელოვანისათვის. მან თავისი სიტყვა მხატვრული ფაქტებით უნდა დაამტკიცოს. მწერლის „დეკლარაციაა“ მისი რომანი, ლექსი, პოემა—მისი მხატვრული შემოქმედება.

სამწუხაროთ, „მხატვრული გარდატეხა“ ისე იოლად როდი ხდება, როგორც გარდატეხა პოლიტიკურ რწმენაში. ძველი, დახავსებული პოლიტიკური რწმენის გამოცვლა და ახალის მიღება საშუალებაა, იარაღია, გზაა „მხატვრულ გარდატეხისაკენ“ მიმართული. ეს გზა მოკლე არ არის ხშირათ. ამ გზაზე გხვდება საზოგადოებრივი „ფსიხოლოგია“, საზოგადოებრივი „იდეოლოგია“: ძველი „ფსიხოლოგია“ და „იდეოლოგია“ ჯერ კიდევ გამჯდარია პოლიტიკურათ შეგნება გამოცვლილ მწერლის „ძვალსა და რბილში“. ეს მავნე ბაცილები ჯერ კიდევ მაგრათაა მწერლის ტვინში გამჯდარი. „შემოქმედების აპარატი“ ჯერ კიდევ არ არის ახალი მოვლენების შესაცნაურებლად მოქნილი და მომართული. ის მოიმართება უსათუოდ, თუ ხელოვანი სრულებით არ არის „დალუპული“. რეალურ მოვლენათა ზეგავლენას ვერ გაექცევა მწერლის შემოქმედება. სიცოცხლის ნიშნის მქონე მწერალი თანამედროვეობას ვერ გაუსხლტება ხელიდან. უნდა ვიცოდეთ კი შემდეგი: გარდატეხა მხატვრულ

შემოქმედებაში უფრო რთული და შედარებით ნელი პროცესია, ვინემ პოლიტიკურ შეგნებაში. ამით აიხსნება ჩვენი „თანამგზავრების“ ბორძიკი, „ჩოჩიალი“, ქანაობა და ამ ქანაობის ზოგჯერ დიდი ამპლიტუდა. აი რატომ უთქვამს ჩვენს სახელოვან პროლეტარულ მწერალს, ამხ. დემიან ბედნის—უთქვამს გულახდილად, აშკარათ, ბოლშევიკურათ:

Но однако-ж я не обманщик
Чтоб сразу дать другой мотив.

რა უადვილებს მწერალს, ხელოვანს ახალ მოტივის მოცემას? ცხადია, თანამედროვეობის „დიადი აზრების“ შ ე გ ნ ე ბ ა. მაგრამ ამ „შეგნების“ მიღება ჰგულისხმობს თანამედროვე, პროლეტარულ რევოლიუციის ეპოქის „მისწრაფებების“, „გრძნობების“, მაჯის-ცემის, „იდეების“ გ ა გ ე ბ ა ს, გაცნობას. ამისთვის კი საჭიროა თანამედროვე დიად სოციალისტურ მშენებლობის გულის სიღრმეში ჩაწვდენა, ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს თ ა ნ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა. ჩვენი მწერლების მთავარი უბედურება იმაშია, რომ მათ არ აქვთ თანამედროვეობისათვის ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა, პროლეტარული რევოლიუციის სუსხი ვერ უგემნია მათ. 1918—21 წ.წ., როცა საბჭოთა რუსეთში პროლეტარული რევოლუცია ცეცხლის ალში იყო გახვეული, ამ დროს „მენშევიკურ ოაზისში“ სუფევდა „კაცთა შორის სათნოება“ და რევოლიუციის ყუმბარა-ტყვიების გადაზიდ-გადმოზიდვის ნაცვლად ჩვენი მწერლების საგულისხმო ნაწილი სტაფილო-კომბოსტოს, ხორბლისა და ლობიოს „ოპერაციებით“ იყო გართული. ამ გარემოებას აქვს უსათუოდ თავისი მნიშვნელობა. ამასვე აღნიშნავს გულწრფელად გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე ერთ ლექსში: ფ ო ს ტ ი თ მ ი ვ ი ღ ე თ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ო. [1]) ფოსტით მიღებული რევოლიუციის მხატვრული განცდაც გამოდის ხშირათ ნაცრისფერი, ეფემერული.

ვინც ცოტათ თუ ბევრათ დაკვირვებით უთვალთვალებს ჩვენს მხატვრულ ლიტერატურას, ერთ დამახასიათებელ მოვლენას შეამჩნევს. ეს არის: რევოლიუციაზე გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე თ სწერს ის, ვისაც განუცდია ეს რევოლიუცია, მიუღია, ა ს ე თ უ ი ს ე, მონაწილეობა რევოლიუციონურ მოძრაობაში. რევოლიუციონურ მოძრაობაში კი, უმთავრესად, ორი პერიოდია. პირველი—„გენერალური რეპეტიცია“, 1905 წელი. მეორე—ოქტომბერი. ჩვენი მწერლების ნაწილი იცნობს პირველ რევოლიუციას. რაც შეეხება ოქტომბრის რევოლიუციას, აქ ეს არ შეიძლება ითქვას. ოქტომბრის სხივმა საქართველომდე მიაღწია ს ა მ ი წ ლ ი ს შ ე მ დ ე გ, როცა სამოქალაქო ბრძოლების „გმირული პერიოდი“ დასრულებული და ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანა დაწყებული იყო. და აი, მწერლები (ლ. ქიაჩელი, დ. სულიაშვილი და სხ.), რომლებიც იცნობენ 1905 წელს, სწერენ რევოლიუციონურ თემაზე უმთავრესად „1905 წლის მოძრაობიდან“. [2]) ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის. ამას აქვს თავისი მიზეზები.

---

[1]) ამ ჟამად ჩვენ ხელთ არ გვაქვს ქართული ლიტერატურა. ამიტომ იძულებული ვართ ხელი ავიღოთ მეტად საინტერესო და დამახასიათებელ ილიუსტრაციებზე...

[2]) პირადათ, ჩვენ არ გვგონია 1905 წელი „მომენშევიკო“ მწერლების საფარი იყოს, ამ თემაზე წერა თანამცხოვრებიდან გაქცევის სურვილი იყოს მხოლოდ. ამაში არ ვეთანხმებით ჩვენს კარგ მეგობარს, ამხ. ვ. ბ ა ხ ტ ა ძ ე ს..

ოქტომბრის თემაზე უმთავრესად პროლეტარული მწერლები სწერენ. აქ მაგარია ის, ვისაც „ზურგზე ჰკიდია რევოლიუციის გამოცდილება“. აი რატომ არის, შედარებით, ამხ. ს. ეული იდეოლოგიურად უფრო გამართული პროლეტარული მწერალი.

თანამგზავრულ ლიტერატურიდან ოქტომბრის რევოლიუციაზე ყველაზე მეტს სწერს (და, ალბათ, განიცდის კიდეც ამ რევოლიუციას) გალაკტიონ ტაბიძე. ეს ფაქტიც არ არის შემთხვევითი. მას უნახავს—უნახავს მაინც— „ოქტომბრის დღეები“, ახალი ეპოქის ჰექა-ქუხილი საკუთარი ყურით გაუგონია. და აი შედეგიც: „ჯონ რიდი“ და „ეპოქა“. ჩვენ არ ვიხილავთ ამ მწერლის და, საერთოდ, არც ერთი მწერლის შემოქმედებას. ეს მხოლოდ ნიმუშისათვის.

ქართული „თანამგზავრული“ ლიტერატურა უმთავრესად თავს იყრიდა— და იყრის ახლაც—„მნათობი“-ს ფურცლებზე. ამ ფურცლების გადახედვა ჩვენ გვაძლევს „თანამგზავრულ“ ლიტერატურის ევოლიუციის სწორ სურათს დაახლოვებით, ამ ევოლიუციის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

7.

ვართ თუ არა ჩვენ „თანამგზავრული“ ლიტერატურით კმაყოფილი? ეს კითხვა არ არის განსაკუთრებულ ინტერესს მოკლებული. ამის საპასუხოთ ჩვენ მოვიყვანთ ამხ. მიხ. კახიანის სიტყვებს:

> ჩვენ საკმაოთ დიდი ყურადღება მივაქციეთ ჩვენს თანამგზავრებს. მათ არ აქვთ, ჩემის აზრით, საბუთი იყვნენ ჩვენით უკმაყოფილო. სამაგიეროთ, ჩვენ შეგვიძლია არ ვიყოთ კმაყოფილი და ვსთქვათ, რომ თანამედროვე ქართულ ცხოვრების ასახვაში და თანამედროვე მუშურ-გლეხურ მკითხველის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში მიაღწიეს მეტად მცირე შედეგებს (იხ. ჟურ. „დროშა“, 1925 წ. № 28, წერილი: „პარტიის ხაზი ლიტერატურაში“. ხაზი ჩვენია).

მართალია, ეს სტრიქონები რამოდენიმე წლის წინეთ დაიწერა. მას უკან დიდძალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ქვიშა მაინც დარჩა. ჩვენ ვფიქრობთ, ეს აზრი სწორია დღესაც. და მართლაც, შეგვიძლია ჩვენ კმაყოფილი ვიყოთ დღეს თანამგზავრების ლიტერატურული პროდუქციით? არა, „არ შეგვიძლია ვიყოთ კმაყოფილი“. შეიძლება ითქვას, „თანამგზავრულმა მწერლობამ“ შესძლო „თანამედროვე ქართული ცხოვრების ასახვა“? ან კიდევ: თანამგზავრებმა „მიაღწიეს“ „თანამედროვე მუშურ-გლეხური მკითხველის დაკმაყოფილებას“? რასაკვირველია, არა.

ჩვენ არ ვამბობთ, „თანამგზავრულ შემოქმედებას“ არ აქვს მიღწევა. ცხადია, ეს მიღწევა არის. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ეს მიღწევა „მეტად მცირეა“, ჩვენ გვაქვს „მეტად მცირე შედეგები“. ამაშია საქმე, ამას ვუსაყვედურებთ ჩვენ საბჭოთა საზოგადოებრივობის ნიადაგზე მდგომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურის წარმომადგენლებს. ეს საერთოდ.

მეორე მხრივ, შეგვიძლია ვსთქვათ, 1925 წლიდან არ გვაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები? შეუძლებელია ამის თქმა. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი

ცვლილებები, ფაქტია ეს. ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების დიდ მუშაობას გავლენის გარეშე არ დაუტოვა არც მხატვრული მწერლობა. ცვლილებებიც გვაქვს უსათუოდ. მაგრამ ცვლილება ხომ ორნაირია—პროგრესიული და რეგრესიული. ორივე მომენტს ვამჩნევთ ჩვენ თანამგზავრულ ლიტერატურის განვითარების გზაზე. აი ეს არის საინტერესო.

ლიტერატურული „თანამგზავრი“ თანამგზავრია... მას შეუძლია ხელი აიღოს თანამგზავრობაზე, როგორც ვსთქვით, ჩირგვში გადაუხვიოს. თანამგზავრი ერთგვარი საშუალო „ელემენტია“. მასში „იბრძვის“ „ორმაგი ბუნება“. ასეთია თანამგზავრი, როგორც „სოციალური კატეგორია“. საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცვლილებებს ის თვალყურს ადევნებს გულდასმით. განსაკუთრებით კლასთა ბრძოლა და ამ ბრძოლის გამწვავება „კარგ გუნებაზე“ აყენებს ზოგ თანამგზავრს, ზოგს—ცუდზე, ე. ი. ზოგს არ ეშინია ბრძოლის გამწვავების, ზოგს კი კურდღლის შიშით იპყრობს ეს ბრძოლა. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ნივთიერ სტრუქტურაში ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი ცვლილება: ინდუსტრიალიზაციის მაჯის-ცემის გაძლიერება, კულაკურ მეურნეობაზე თავდასხმა, კოლექტივიზაციის განვითარება, საბჭოთა ორგანოების გაჯანსაღება, კერძო ვაჭრობის დ კაპიტალის ხვედრითი წონის შემცირება და სხვა მრავალი. ამ სოციალურ მოვლენებს უქმად არ ჩაუვლია ხელოვნებისათვისაც. ჩვენც ვხედავთ ქართულ მწერლობის ჩქარ დიფერენციაციას...

განსაკუთრებით თანამგზავრებზე მოახდინა „ცხოვრების ცვალებადობამ“ საკმაო გავლენა. ზოგმა დაიხია უკან, ზოგი—ერთ ადგილზე „გამაგრდა“, სტატუს ქვო შეინარჩუნა, ზოგი—წინ წავიდა. აი ეს მოვლენები გვაქვს ჩვენ უკანასკნელ წლების მანძილზე, როგორც იტყვიან, классовые сдвиги აშკარად მოსჩანს აქ.

დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს. მიხ. ჯავახიშვილი—„მნათობი“-ს ძველი თანამშრომელი, „არიფიონის“ ბელადი. ამ მწერალმა საკმაოდ დაიხია უკან. „ყოფილი ადამიანების“ ბედმა მწარეთ იმოქმედა მასზე. მიხ. ჯავახიშვილი „ზედმეტ ადამიანების“ მწერლათ გადაიქცა. კიდევ მეტი, ის „ოპოზიციაში“ ჩაუდგა თანამედროვეობას. ყოფილ ადამიანს სძულს ბოლშევიკი, საბჭოთა ხელისუფლება. მას უყვარს ლიტერატურა, სადაც იფრქვევა მდუღარე ცრემლები მის წარსულზე, აწმყოზე, უბედურებაზე. ყოფილ ადამიანის მწერალი, აშკარაა, ლოღიკურად, აუცილებლადვარდება თანამედროვეობასთან მტრულ განწყობილების მორევში. ასე მოუვიდა მიხ. ჯავახიშვილსაც: ყოფილ ადამიანების დროშა აიფრიალა,

[1]) ამხ. გ. ბახტაძემ ამას წინეთ მიხ. ჯავახიშვილს ეპოქის მწერალი უწოდა. მართალია, სახიფათო დახასიათებაა ეს. ჩვენ ვფიქრობთ, ამხ. გ. ბახტაძეს მხედველობაში აქვს „ეპოქის მწერალი“ იმ გაგებით, რომ მიხ. ჯავახიშვილი თანამედროვე თემებზე სწერს-თანამედროვე ეპოქის თემებს ამუშავებს, მაგრამ როგორ ამუშავებს—ესაა საქმე. სხვა, მხრივ „ეპოქაზე“ ძნელია ლაპარაკი.

„ოქროს კბილი“-დან „დამპატიჟე“-ში იოლად გადაბიჯა[1]. ორიოდე წლის წინეთ თუ კიდევ სწარმოებდა დავა ჯავახიშვილის „თანამგზავრობაზე“, დღეს ეს დავა ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. მიხ. ჯავახიშვილი „ქვარი-კადის იქით“ აგროვებს კენჭებს თანამედროვეობასთან საბრძოლველად...

გალაქტიონ ტაბიძე საკმაოდ გაიზარდა. მან უსათუოდ გადადგა საგულისხმო ნაბიჯები წინ, ამას მოწმობს მისი უშველებელი პოემა „ეპოქა“.

„მემარცხენე ხელოვნების“ „ფრონტმა“ საკმაოდ იცვალა ფრონტი. ენა გამოიცვალა, მკითხველს დაუახლოვდა. ჩვენის აზრით, ჩვენებურ ყოფ. ფუტურისტებს საკმაო მიღწევები აქვს 1925 წლიდან. ისინი ჯერ კიდევ ყოჩაღად ასრულებენ „თანამგზავრობის“ მოვალეობას. ეს არ შეიძლება ითქვას „ცისფერ ყან.“ როგორც ერთ მთლიან დაჯგუფებაზე. რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში არ გვყავს „ცისფერი ყანწების“ კერძო წევრები. ამ შეხედულობით ზოგი მათგანი „თანამგზავრობაში“ არავის უკან არ ჩამოუვარდება. მაგრამ ჩვენ ვამბობთ ზოგი მათგანი როგორც დაჯგუფება, „ყანწები“ ძნელად გახდება თანამგზავრული.

ჩვენ არაფერს ვამბობთ ცალკე მწერლებზე, მაგ. ისეთ მწერალზე, როგორიცაა გიორგი ქუჩიშვილი. ის უკვე „თანამგზავრი“ კი არა, პროლეტარული მწერალია და ჩვენის აზრით, საუკეთესო პროლეტარული მწერალი საქართველოში...

ამ რიგათ, თანამგზავრულ ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს მიღწევებიც და უარყოფითი მოვლენებიც. ერთიცაა და მეორეც. ჩვენი სურვილია მიღწევების განმტკიცება, გაფართოება. ვიმეორებთ, მიღწევები გვაქვს, მაგრამ მცირეა ეს მიღწევები. მთავარი მუშაობა ჯერ კიდევ წინა გვაქვს გადაშლილი.

მეორე საკითხია, აქვთ თუ არა „თანამგზავრებს“ „საბუთი იყვნენ ჩვენით უკმაყოფილო“? არა, არ აქვთ ამის საბუთი. მართალია, უკმაყოფილების თესლი ყველგან მოიპოება. მაგრამ ვინც მიუდგომლად, ობიექტიურად მიუდგება საკითხს, დარწმუნდება, არავითარი საბუთი არ აქვთ „თანამგზავრებს“ პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკით იყვნენ უკმაყოფილო. რას ნიშნავს უკმაყოფილების საბუთი? ზოგი მწერალი უკმაყოფილოა იმით, რომ მას ნაწარმოები დაუწუნეს, არ დაუბეჭდეს, არ გამოუცეს. ზოგი უკმაყოფილოა მისი „მწერლური სახელის უხეშათ მოხსენებით „ვილაცას“ მიერ. განა ცოტაა ასეთი მაგალითები? მაგრამ უკმაყოფილების საბუთი ასე მარტივად ვულგარულად როდი გვესმის ჩვენ. თანამცხოვრების ნიადაგზე მდგომი მწერალი შეუძლებელია მხოლოდ პირად, უტილიტარულ ინტერესებიდან, დაუშვებელ ანგარიანობიდან გამოდიოდეს. ჩვენ ვფიქრობთ, ამაში დაგვეთანხმებიან, უმეტესად მაინც. ვინც „ჯიბისტი“ არ არის, დაგვეთანხმება უსათუოდ. მართალია, ამ „მომენტებსაც“ აქვს თავისი მნიშვნელობა. არა მგონია, არც ასეთ დახურდავებულ, დაწვრილმანებულ თვალსაზრისითაც იყვნენ ჩვენი პოლიტიკით თანამედროვე მწერლები მაინც უკმაყოფილო. ჩვენ სახეში გვაქვს მთავარი და ძირითადი პრობლემები. ეს არის პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკა ქვეყნის მშენებლობის საკითხებში: ნაციონალურ კულტურის და ეკონომიკის დარგში.

საინტერესოა მოვიგონოთ ამხ. ს ე რ გ ო  ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს მეტად მგრძნობიარე და დამაჯერებელი წერილი, რომელიც მან უძღვნა პარტიულ პოლიტიკას მხატვრულ ლიტერატურაში. აქ, სხვათა შორის, აი რა არის ამონაწერი:

ჩვენი პარტიის მთავარი მიზანია აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების ინტერესების დაცვა და მათი განთავისუფლება კაპიტალიზმის მონობისაგან. ნ უ  თ უ  ვ ი ნ მ ე  დ ა ე ჭ ვ დ ე ბ ა  ი მ ა ში, რ ო მ  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ში  ჩ ვ ე ნ  ა რ  მ ი ვ მ ა რ თ ა ვ თ  ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ  ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს, რ ა თ ა  უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ვ ყ ო თ  ქ ა რ თ უ ლ ი  ე რ ო ვ ნ უ ლ ი  კ უ ლ ტ უ რ ა. ჩ ვ ე ნ  გ ა უ შ ლ ი თ  ფ ა რ თ ო  გ ზ ა ს  ქ ა რ თ უ ლ  მ წ ე რ ლ ო ბ ა ს,  თ ე ა ტ რ ს,  მ უ ს ი კ ა ს,  მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს,  მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა ს.  მ ა გ რ ა მ  თ უ  ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა,  კ უ ლ ტ უ რ ა  მ ო ი ნ დ ო მ ე ბ ს  ე მ ს ა ხ უ რ ო ს  ჩ ვ ე ნ ს  ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო  კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ  მ ი ზ ნ ე ბ ს,  მ ა შ ი ნ  ჩ ვ ე ნ ი  ბ რ ძ ო ლ ა  დ ა უ ზ ო გ ა ვ ი  ი ქ ნ ე ბ ა („დროშა“, დასახელებული №).

ჩვენ ხაზი გაუსვით ამ ამონაწერს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის. კუდქანქალა მენშევიკების ჩხავილი, ვითომც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია დაუძინებელი მტერი იყოს „ქართულ ეროვნულ კულტურის“, აი ამ სიტყვებში პოულობს სათანადო პასუხს. „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი  თ ა ვ ი ს ი  შ ი ნ ა ა რ ს ი თ,  ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი  ფ ო რ მ ი თ — ა ს ე თ ი ა  ი ს  ს ა კ ა ც ო ბ რ ი ო  კ უ ლ ტ უ რ ა,  რ ო მ ლ ი ს ა კ ე ნ  მ ი დ ი ს  ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი.  პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი  კ უ ლ ტ უ რ ა  ა რ  უ ა რ ყ ო ფ ს  ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ  კ უ ლ ტ უ რ ა ს,  მ ხ ო ლ ო დ  ა ძ ლ ე ვ ს  მ ა ს  შ ი ნ ა ა რ ს ს.  დ ა  პ ი რ ი ქ ი თ,  ე რ ო ვ ნ უ ლ ი  კ უ ლ ტ უ რ ა  ა რ  უ ა რ ყ ო ფ ს  პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ  კ უ ლ ტ უ რ ა ს,  მ ხ ო ლ ო დ  ა ძ ლ ე ვ ს  მ ა ს  ფ ო რ მ ა ს“[1] — აი ასეთი ლენინური გაგებით ლაპარაკობს ამხ. ს. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ქართულ ეროვნულ კულტურის განვითარების შესახებ. „ჩვენ გავუშლით ფართო გზას ქართულ მწერლობას, თეატრს, მუსიკას, მეცნიერებას, მხატვრობას“. მაგრამ ეს „გაშლა“ ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ხელოვნებამ, ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ  ფ ო რ მ ა ში  ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი  შ ი ნ ა ა რ ს ი  ა რ  უ ნ დ ა  გ ა ა ხ ვ ი ო ს. ეს იქნება თანამედროვეობის წინააღმდეგ ამხედრება. ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებს, დაისახავს ჩვენს საწინააღმდეგო კონტრრევოლიუციონურ მიზნებს, ჩვენი ბრძოლა დაუნდობელი იქნება მასთან.

ყველაფერი ეს გასაგებია, ანბანური, არ საჭიროებს განმარტებას. ეს კარგათ უნდა შეიგნონ „თანამგზავრებმა“, რომლებიც, ამხ. მ ი ხ. კ ა ხ ი ა ნ ი ს თქმის არ იყოს, „მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი  ს ი ტ ყ ვ ი ს  ს პ ე ც ე ბ ი  ა რ ი ა ნ“, მაგრამ ხშირათ ლიტერატურულ შახმატს თვალდაუჭულად თამაშობენ.

კერძოთ, შეუძლებელია „თანამგზავრული მწერლობა“ არ იყოს „მნათობი“-თ კმაყოფილი...

8.

რთულია ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები. კულტურულ მშენებლობის პროცესი მრავალი რთული მომენტებით ხასიათდება. ასეთ პირობებში შეუძლებელია ჩვენ გაგვაჩნდეს მზა-მზარეული, უცბათ გამომცხვარი პასუხი ლი-

[1]) И. Сталин. Вапросы ленинизма, გვ. 257—258.

ტერატურულ ცხოვრების ყველა საკითხებზე. პარტიის ლიტერატურული პოლიტიკა არ არის უნივერსალური ღონისძიება, რომელიც ყველგან და ყოველთვის ერთნაირად სჭრის და კერავს. პარტიას არ შეუძლია [illegible] პოლიტიკის თითოეული წვრილმანი გამოიმუშავოს. პოლიტიკა არის ძირითადი მთავარი პრაქტიკული ხაზი და შეუძლებელი ხდება თითოულ კერძო მომენტის იმთავითვე მონიშნეობა. ამიტომაც სამართლიანად ამბობდა ამხ. ბუხარინი:

> ძალიან ხშირად ისმება საკითხი ასე: პარტიამ უნდა გადასწყვიტოს მხატვრულ პოლიტიკის ყველა საკითხი ისევე, როგორც იძლევა პასუხს პარტია ყველა წვრილ საკითხებზე პოლიტიკურ და სხვა ცხოვრებიდან. ეს სრულებით არ არის მართალი [1]).

რატომ არ არის მართალი? იმიტომ, რომ ხელოვნების სფერო საგულისხმოთ განსხვავდება კულტურულ ცხოვრების სხვა დარგებიდან. ხელოვნების სფეროში ჩვენ ვხედავთ მრავალ თავისებურებას, რომლის თავმოყრა მექანიკურად და მექანიკურად გადაჭრა მიზანშეუწონელი გამოდის.

> კულტურული პრობლემა იმით განსხვავდება მებრძოლი პრობლემისაგან, რომ ეს პრობლემა შეუძლებელია გადაწყდეს დაკვრითი წესით, მექანიკური ძალდატანების საშუალებით. Она так-же точно не может быть решена Кавалерийским наездом, Кавалерийским наскоком [2]).

ამიტომ არის, შაბლონიური, ვარდინისტული [3]) მიდგომა მხატვრულ ლიტერატურის საკითხებისადმი ვერ მოგვცემს სათანადო ნაყოფს. ყოველ შემთხვევაში ეს ნაყოფი გულგამომპალი იქნება, ანდა—გარედან წითელი, შიგნით კი თეთრი.

პარტიის ლიტერატურული პოლიტიკა ებრძვის როგორც Кавалерийский наскок-ს, ებრძვის „მემარცხენე" მამლაყინწებს, ისე მემარჯვენე კაპიტულისტებს ძველი ლიტერატურის წინაშე. ვორონსკის ლიტერატურული შეხედულებები ისევე მიუღებელია, როგორც ვარდინის. ბრძოლა ორ ფრონტზე მხატვრულ ლიტერატურის დარგშიაც გვიხდება. ამ ბრძოლის იარაღია პარტიის სწორი პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში.

რა არის ამ პოლიტიკის დედა-აზრი, idee fix? ესაა: გამარჯვებულ მებრძოლ პროლეტარიატს უნდა ქონდეს საკუთარი ხელოვნება, საკუთარი მხატვრული ლიტერატურა. პროლეტარული იდეოლოგია უნდა გაბატონდეს მხატვრულ ლიტერატურაში. პროლეტარიატმა უნდა მოიპოვოს საკუთარი კლასიური იდეოლოგიის ჰეგემონია კულტურის მთელ სფეროში.

---

1) Вопросы културы при дикт. пролетариата. კრებული. 1925. გვ. 85.

2) Вопросы etc. გვ. 83.

3) ჩვენ არ ვიცით, დღესაც იზიარებს თუ არა ამხ. ვარდინი თავის ძველ შემცდარ შეხედულებებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სახეში გვაქვს „ისტორიული ვარდინიზმი", ვლაპარაკობთ на посту-ს ძველი გაგებით.

პარტიის მხატვრული პოლიტიკა მთლიანად მიმართულია ამ მიზნის განხორციელებისაკენ.

ასეთია გენერალური ხაზი პარტიის სახელოვნო პოლიტიკაში.

აქედან ცხადია: ყველა „მხატვრული ელემენტი“, რომელიც გაგვყვება ამ მიზნისათვის ბრძოლაში, უნდა იქნეს გამოყენებული. არა ჩამოშორება ასეთი ელემენტის. არა იზოლიაცია მათი, არამედ გამოყენება, საერთო ბრძოლაში ჩაბმა. იდეზერტირებს ბევრი, რა გაეწყობა, ჩამოგვცილდება, მასთან „ჩვენი ბრძოლა დაუზოგავი იქნება‘‘. მაგრამ ვინც გამოგვადგება, უნდა გამოვიყენოთ. ამიტომ საჭიროა გამოვიჩინოთ, როგორც ნათქვამია პარტიის რეზოლიუციაში; „უდიდესი ტაქტი, სიფრთხილე და ლმობიერება ყველა იმ ლიტერატურულ ფენებისადმი, რომელთაც შეუძლიათ გაჰყვენ პროლეტარიატს და კიდეც გაჰყვებიან მას‘‘.

აი პარტიის ამ დირექტივას ასრულებდა „მნათობი‘‘ მთელი განვლილი ხუთი წლის განმავლობაში. ეს დირექტივა არ მოუხსნია პარტიას. ეს დირექტივა არც დღეს საჭიროებს რევიზიას. „მნათობმა‘‘ უნდა შესძლოს ამ დირექტივის შესრულება მომავალშიაც. საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, პარტია და ხელისუფლება არ არის კულტურულ ფრონტზე განმარტოებული. ეს „მუსიკაა‘‘ მენშევიკების,—მუსიკა, რომელიც სამწუხაროთ ზოგიერთ ბუზანკალა კრიტიკანის ცნობიერებაშიაც პოულობს გამოძახილს. ხაზი სწორად აღებულია. პარტიის ლენინურ პოლიტიკას არ უნდა გადავუხვიოთ არც ერთი მილიმეტრით. სულ ერთია რა მიმართულებითაც არ მოხდება ეს გადახვევა. უსაფუძვლო საყვედურს, გაბუტულ წუწუნს არ უნდა შეუშინდეთ. აქ უნდა გვახსოვდეს დიდებულ ფლორენტელის სიტყვები, რომლებითაც კ. მარქსი უპასუხებდა თავის კრიტიკოსებს:

— გაყევი შენს გზას, დეე, ილაპარაკონ, რაც სურთ!

მოსკოვი, მარტის 5.

ლენინის ინსტიტუტი.

პროფ. გ. ნათაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9—10 საუკ.

გრ. მერჩულის ცნობების და სუმბათის ქრონიკის მიხედვით.

საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემა, პრობლემა მისი მთავარი მამოძრავებელი ძალებისა, რომლის გარშემო კალეიდოსკოპური მრავალფეროვანობით, უსისტემოდ ირევა მრავალი ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. დღეს ჩვენ ველარ ვიტყვით იმას, რომ საკმაო ფაქტები არ გვქონდეს დაგროვილი და საკმაო წყაროები თავმოყრილი იმისათვის, რომ მეცნიერი შეეცადოს მთავარ პრობლემების გამორკვევას, არსებულ ცოდნის სისტემაში მოყვანას და გამოაშკარავებას საქართველოს ისტორიის მთავარი ძარღვისას, რომელიც დღემდის დაფარულია მკითხველის და მეცნიერის თვალთაგან. წინაალმდეგ პროფ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებისა, რომ ვითომ საქართველოს ისტორია, შედარებით რომისა, საბერძნეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიისა, იქამდის ნაკლებად არის გამოკვლეული, რომ არსებულ ცოდნის ნიადაგზე არავითარი თეორიების შექმნა არ შეიძლება, მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტათ თვით პატივცემულ პროფესორის ნაშრომები გვაძლევენ საკმაო მასალას იმისათვის, რომ მეცნიერმა სცადოს მისი სისტემაში მოყვანა. ცნობილია, რა დიდი სამსახური გაუწია ნიბურმა უძველეს ისტორიას მაშინ, როდესაც მასალები უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ახლა გვაქვს ჩვენ საქართველოს ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. არ ვამბობ, შეიძლება ბევრი რამ მცდარი აღმოჩნდეს, შემდეგ შესწორდეს, მაგრამ ცდა, ძიება ვალდებულებაა ყოველი მეცნიერისა, მიუხედავათ იმისა, იქნება თუ არა მის მიერ გამოთქმული აზრი და დასახელებული თეორია ურყევი და სამუდამო. ვერც ერთი მეცნიერი ვერ დაიტრაბახებს იმას, რომ რაც მას უთქვამს, ის არასოდეს არ შეირყევა, და მას არასოდეს არ დასჭირდება თვითონვე თავის გამოთქმული აზრის შესწორება და ხან სრული უარყოფაც კი. რამდენია ამგვარი შემთხვევა თვით საქართველოს ისტორიულ მეცნიერებაშიც კი! მათი ჩამოთვლა სრულიად ადვილი საქმე იქნებოდა, მაგრამ არა ღირს, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია. ქვეყანა იცვლება, თვალსაზრისიც იცვლება და ახალი ცხოვრების ფორმების და თვალსაზრისის მიხედვით თვით ძველად აღმოჩენილი ფაქტების გაგე-

ბაც იცვლება. მეცნიერი ქურუმი არ არის. საქმე იმაში კი არ არის, რომ უეჭველად ისეთი რამე სთქვას მეცნიერმა, რაც სამუდამოდ ურყევი და უცვლელი იქნება, საქმე იმაშია, რომ მეცნიერი ეძიებდეს დაუღალავად და დაუცხრომლად, ეძიებდეს აღჭურვილი საუკეთესო თანამედროვე იარაღით, საუკეთესო, უკანასკნელი მეთოდებით, რომ მისი ძიება სწორე მეცნიერული გზით მიდიოდეს. ვიმეორებ, მეცნიერი ქურუმი არ არის. ეს უნდა ერთხელ და სამუდამოდ ვიცოდეთ. კვლევაძიება, ჭეშმარიტების პოვნის სურვილით გასხივებული და გამთბარი—აი მეცნიერის სინიდისის ვალდებულება. მაშასადამე საქმე მეთოდებშია. თუ იცის მეცნიერმა, როგორ მიუდგეს საკითხს, როგორ დააყენოს იგი, ბევრად უფრო მეტ შედეგებს მიაღწევს, ვიდრე მხოლოდ წყაროების ახსნა-განმარტების და წაკითხვის შემდეგ მათი თავმოყრით მხოლოდ ადგილის და დროის ნიადაგზე. ჩემი ამოცანა, როგორც მსოფლიო ისტორიის და არა საქართველოს ისტორიის სპეციალისტისა, მხოლოდ იმაშია, რომ არსებული და შესწავლილი მასალა დავალაგო და გავაშუქო სოციოლოგიური და მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით, ბუნების და შრომის დაპირისპირებით გამოვარკვიო კლასობრივი ბრძოლის ფორმები და ამ ნიადაგზე აშენებული საზოგადო ცხოვრების ორგანიზაცია და მისი დიალექტიური განვითარება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე წყარო არ არის იმნაირად შესწავლილი, რომ მომცეს მასალა საკითხის ამგვარი დაყენებისათვის, თვით წყაროს განხილვაც აუცილებელია, რათა გამოირკვეს ის, რაც საქართველოს ისტორიის მკვლევარებს თავისებური მეთოდიური მიდგომის გამო უყურადღებოდ თაუტოვებიათ.

ძირითადი ფაქტი საქართველოს ისტორიისა—მისი ბუნების და შრომის ურთი-ერთობა—რამოდონამდე უკვე მქონდა გარკვეული. (იხ. ჩემი საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა) მაგრამ სიჩქარის გამო მხოლოდ სქემა დავსახე, ხოლო დასაბუთება წყაროების ზემოდ მოხსენებული წესით განხილვის საშუალებით ვერ მოვასწარი. ახლა ვეცდები ნაწილ-ნაწილ შევავსო ეს ნაკლი ჩემი წიგნისა, რამოდენადაც შესაძლებელია ეს ჩემთვის, როგორც არასპეციალისტისათვის, რომელიც სათანადოდ აღჭურვილი არ არის (არაბული, სპარსული, სომხური) იმისთვის, რომ სათანადო კვლევა-ძიება სისრულით აწარმოოს.

საქართველოს წარსულის გამორკვევის საკითხის დასმის დროს მე მივაქციე მთავარი ყურადღება ჩვენი ქვეყნის მოხაზულობასა, რაც ქართველი ერის საქონლითი მეურნეობის. ნამუშევარს, ნაწარმოებს გარკვეულ მიმართულებას აძლევდა და იწვევდა მეურნეობის ფორმების ნიადაგზე გარკვეულ ორგანიზაციას ხალხის საზოგადო ცხოვრებისას კლასობრივად და სახელმწიფოებრივად. სავაჭრო გზებში მთავარი მნიშვნელობა მივაკუთნე მტკვარსა და რიონს, როგორც ერთ მთავარ არტერიას, რომლის საშუალებითაც ხდებოდა დაგროვილი დოვლათის გადატან-გადმოტანა და რომელიც იწვევდა აუცილებელ საჭიროებას ამ ორი მდინარის საზღვრებში ერის მეტათ თუ ნაკლებად მჭიდრო ორგანიზაციას. მაგრამ საქართველოს ისტორიამ იცის მომენტები, როდესაც კარჩაკეტულ მეურნეობის გამეფების გამო მტკვრის და რიონის ხეობები იხშობოდა და ერს გამოსავალი

გზა ესპობოდა. რა მდგომარეობაში ვარდებოდა მაშინ ხალხი? აი ისტორიული მომენტი, რომელიც ექსპერიმენტის როლს თამაშობს ჩემი მთავარ დებულების გამოსარკვევად, რომელიც არკვევს საქართველოს ბუნების და მისი ენის შემოქმედებითი ძალების ურთიერთობას, მის დიალექტიურ ცვალებადობას. განსაკუთრებით მკაფიო მაგალითს ამგვარი მდგომარეობისას ჩვენ გვაძლევს შავშეთ-კლარჯეთის ისტორია 9—10 საუკუნოებში.

ამ ისტორიულ მომენტის განსახილველად ჩვენი საქართველოს ისტორიის სპეციალისტები იყენებენ ორ უმთავრეს წყაროს: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ს და ესრეთ წოდებულ „სუმბათის ქრონიკას“, ამიტომ ამ ორ წყაროს გარჩევას ძლიერ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩემი მთავარი დებულების დასასაბუთებლად. ვნახოთ, რას გვაძლევს ეს ორი წყარო საქართველოს ამ კუთხის მდგომარეობის გამოსარკვევად.

მაგრამ ვიდრე თვით წყაროს განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა გამოვარკვიოთ, საქართველოს რა კუთხესთან გვაქვს საქმე. როგორია მისი მდებარეობა და ბუნებრივი პირობები. კლარჯეთის ბუნებაზე შემდეგ უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ საზოგადო მოხაზულობა ავწეროთ. შავშეთ-კლარჯეთი მთებით შემოხაზულ ხეობას წარმოადგენს. ალაგ-ალაგ ეს მთები დაბალია და სავალი გზა იქით მიემართება, იქ ჰქმნის უღელტეხილს. ერთი ამგვარი უღელტეხილი არსიანის მთაზეა. ამ მთაზე გადადის გზა, რომელიც მიდის ახალქალაქისაკენ და გაივლის ქალაქ არტაანზე. იმავე გზის ერთი შტო მიემართებოდა ჩრდილოეთით და მიდიოდა ოძრხეში. მესამე გზა გადადიოდა მთა ხეკრებულთაზე და მიდიოდა ოლთისში. ყველა ეს გზები თავს იყრიან არტანუჯის მახლობლად, მდ. არტანუჯის წყალთან. არტანუჯის მოშორებით მდ. არტანუჯის წყალს უერთდება მდ. შავშურა და აქა მდებარეობს დოლის ყანა. კლარჯეთს გვერდით ჩამოუდის მდ. ჭოროხი, რომლის პირზედაც ლადოს მთაზე გადადის დიდი გზა, რომელიც კლარჯეთის ცენტრს სცდება. ჭოროხს უერთდებოდა და მის ნაპირზე მიდიოდა არტანუჯის გზა, რომელიც გადიოდა ნიაგალზე. რადგანაც საქართველოს ცენტრისაკენ და უცხოეთში გასავალი გზები მხოლოდ ზემოდ ჩამოთვლილი გზები იყო, ამიტომ ჭოროხის ნაპირების მცხოვრებნი, რომელთაც ზღვით სარგებლობა ჯერ ალბათ ფართოდ არ შეეძლოთ, უცხოელებთან კავშირის დასაჭერად იძულებული უნდა ყოფილიყვნენ არტანუჯის გზაზე გაეარათ. არტანუჯის გარეშე მათ მხოლოდ აფხაზეთთან შეეძლოთ კავშირის დაჭერა.

როდესაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას ეცნობა მკვლევარი, ძალაუნებურად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ის ძვირფასი ცნობები ტაოკლარჯეთის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრების შესახებ, რომელიც ამ წყაროებშია გაფანტული, ჩვენი ისტორიკოსების მიერ სრულიად არ არის გამოყენებული. საკმარისია გადავხედოთ პროფ. მარის*) ძვირფას გამოცემას ამ წყაროსას, რომ ამაში დავრწმუნდეთ. მარტო სათაურებსაც რომ გადაჰხედოთ ამ გამოცემის სარჩევში, მიხვდებით, რომ პატივცემულ მეცნიერისათვის არ არსებობს ეკონომიური საკითხები. რამდენადაც იგი საქართველოს წარსულს ეხება მას

*) ნ. მარი, ამ გამოცემის გამოქვეყნების დროს ჯერ აკადემიკოსი არ იყო.

ერთი იოტისოდენა ეჭვიც კი არა აქვს თითქოს იმისა, რომ ეს წყარო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძველი ტაო-კლარჯეთის და იმის საშუალებით საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის დასახასიათებლად. არც ის მოსდის პროფ. მარს ფიქრად, რომ ეკონომიური მდგომარეობის საშუალებით ყველაზე საუკეთესოდ გამოირკვევა საქართველოს ამ კუთხის საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად სარწმუნოების და საზოგადოდ იდეოლოგიის საკითხებიც, რომელსაც პროფესორი ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს. პროფ. ჯავახიშვილიც ამაზე შორს არ მიდის. ის მთავარ ყურადღებას აქცევს თვით ხანძთელის მორალურ პიროვნებას, უზიარებს მკითხველს თავის აღტაცებას იმის გამო, რომ ხანძთელი დიდი ესთეტიკოსია და თუმცა იხსენიებს ქალაქ არტანუჯს, როგორც სავაჭრო ქალაქს, მაგრამ რა ნიადაგზე იყო აშენებული არტანუჯის ვაჭრობა, რა შრომის ორგანიზაციის ფორმებზე იყო იგი აშენებული, რა გავლენა ჰქონდა ამას თვით ტაო-კლარჯეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ამაზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს. პატივცემულ პროფესორს გულდასმით აქვს შესწავლილი ეს წყარო. მას ციტატები მოჰყავს იმ ადგილებიდან, რომელნიც ტაო-კლარჯეთის ეკონომიურ ცხოვრებას ახასიათებენ, მაგრამ ამ ადგილებს უმთავრესად ხანძთელის ესთეტიკურ გრძნობების და სამონასტრო მოძრაობის დასახასიათებლად და არა იმისათვის, რისთვისაც მისი გამოყენება უფრო ხელსაყრელია და ნაყოფიერი.

რათა ზემოდნათქვამი უფრო ნათელი და გასაგები იყოს, ერთ მეთოდოლოგიურ მოსაზრებას მოვიყვან. ტაოკლარჯეთის მდგომარეობის კვლევაძიება გაძნელებულია იმ გარემოებით, რომ ამ დროის შესახებ არ მოიპოვება ჯერჯერობით ისეთი მასალა, რომელსაც მეცნიერი დაეყრდნობოდა, როგორც პირდაპირ ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელ საბუთებს. ჩვენ ამისათვის გვაქვს მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურულ ნაწარმოებს და პირდაპირ მხოლოდ ქართული ეკლესიის ცხოვრებას და ქართველი ერის იდეოლოგიას ახასიათებს, ამისთანა შემთხვევები მეცნიერებაში, განსაკუთრებით უძველეს ისტორიაში, ხშირია. მაშინ მეცნიერები აქცევენ ყურადღებას იმ გარემოს, იმ სინამდვილეს, რომელშიც სწარმოებს მოქმედება, აღწერილი ლიტერატურულ ნაწარმოებში. რასაკვირველია, ის პერსონაჟები, სასწაულები და ფანტასტიური სურათები, რომელიც მოთავსებულია კერძოდ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, არ გამოგვადგება, ვინაიდგან ავტორის შეთხზულია, მაგრამ ის გარემო, ის ჩარჩო, რომელშიც ყველა ეს ფანტასტიური ამბები მოთავსებულია, არ არის მოგონილი, ვინაიდგან მისი მოგონება არ შედიოდა მწერლის ამოცანაში. მხატვარმა შეიძლება სრულიად ფანტასტიური სურათი დაჰხატოს, ისე რომ ეს სურათი არ ახასიათებდეს მის თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ ჩარჩოს ის არსებულ მასალიდგან აკეთებს, თვით ნახატს არსებულ საღებავებით და ფერადებით შეასრულებს. ჩარჩო და ფერადები კი საუცხოვო დამახასიათებელია არსებული ტეხნიკისა და შრომის უნარისა. ასეთია მდგომარეობა გრიგოლ მერჩულისა, როდესაც მის აღწერილ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას ვკითხულობთ. საქმე ის არის, რომ კლარჯეთი წარმოადგენს

კარჩაკეტილ, მთებით და წყლებით შემოფარგლულ კუთხეს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ეს კუთხე გეოგრაფიულად საქართველოსთან სხვა კუთხეებზე ნაკლებ არის დაკავშირებული. სამაგიეროდ სხვა ქვეყნებთანაც მისი კავშირი ისევე გაძნელებულია, თუ არ უარესად. ამ კუთხეს საქართველოს შუაგულთან კავშირი აქვს ერთი მხრით სამცხის და მეორე მხრივ ჯავახეთის საშუალებით. როგორც უკვე ავლნიშნეთ, ახალქალაქიდან და ახალციხიდან იქ გზები გადადის, მაგრამ ეს გზები ძლიერ ძნელი სასიარულოა დღესაც კი, არა თუ უწინდელ დროში, რადგანაც ტაო-კლარჯეთსა და მოხსენებულ ცენტრებს შორის კარგა მაღალი მთებია, რომელთა უღელტეხილები ზამთარში თითქმის გაუვალია და ზაფხულშიც ძნელი სავალია. ეს საქართველოს მოწყვეტილი კუთხე უკავშირდებოდა თავის, ასე ვსთქვათ, მეტროპოლიას, საქართველოს შუაგულს, მტკვრის და რიონის ხეობას, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მასთან ეკონომიური მიმზიდველობა მეტი იყო, ვიდრე უცხოეთთან. მაგრამ დადგა ისტორიაში ისეთი წუთი, რომელმაც ამ კუთხეს საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არგუნა. ეს იყო 9—10 საუკუნეები.

ამ დროს კლარჯეთიც, როგორც მთელი საქართველო, აკლებული იყო არაბების მიერ, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოზე ადრე განთავისუფლდა. ამან გამოიწვია დიდი ემიგრაცია მოსახლეობისა აქედან ტაო-კლარჯეთში. აკლებული და დაცარიელებული, მოსახლეობის მიერ მიტოვებული ტაო-კლარჯეთი ხელ-ახლა მშენებლობას იწყებს და მისი ახალი ცხოვრების ფორმები, რომელიც ახდენს გავლენას მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე, ტიპიური და დამახასიათებელია მისთვის. ამ მშენებლობის ხანაში იწყება იქ სამონასტრო მოძრაობა და ამიტომ სწორედ ეს ხანა აქვს დახასიათებული გრიგოლ ხანძთელს თავის ნაწარმოებში. რადგანაც იმ დროის საერო მეურნეობა არც ერთ წყაროში არ არის დახასიათებული, ამიტომ სამონასტრო მეურნეობა, მისი ჩასახვა, ზრდა, წარმატება, ბუნების ექსპლოატაციის და შრომის ფორმები—ყველა ეს უეცილებლად დამახასიათებელია საერთოდ ხალხის მეურნეობისათვისაც. ამიტომ სამონასტრო მეურნეობის შესწავლა, თუ კი ეს რამდენადმე მაინც შესაძლებელია, ჩვენ დაგვიხასიათებს მთელი ტაო-კლარჯეთის მეურნეობას. შემდეგ დამახასიათებელია აგრეთვე მონასტრების კავშირი ხელისუფლებასთან და მათი ურთიერთობა, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური. როგორ იყენებს ამ ახალ სამეურნეო ერთეულს ხელისუფლება, როგორ იმსახურებს მას საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესისათვის? ესეც რა თქმა უნდა, დამახასიათებელია საზოგადო მდგომარეობისათვის, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ხელისუფლება მონასტრების ექსპლოატაციას უფრო მოერიდებოდა, ვიდრე საერო სამეურნეო ერთეულისას. ამ ურთიერთობაზეა აგებული მთელი, მეტად მარტივი ცხოვრება ტაო-კლარჯეთისა. პირველობა და ხელმძღვანელი როლი მთელ საქართველოს ფარგალში შავშეთ-კლარჯეთს მიანიჭა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს ცენტროს ბუნებრივი გამოსავალი მსოფლიოში მოესპო არაბების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს და ტფილისის დაპყრობის შემდეგ. საერთო ცენტრო საქართველოსი, ტფილისი არაბების ხელში იყო და დამოუკიდებელი, უშუალო კავ-

შირი მსოფლიო ბაზართან, ისიც მხოლოდ საქართველოს ზოგიერთ ნაწილს შეეძლოთ მხოლოდ ტაო-კლარჯეთის საშუალებით. ხოლო რათგან ბუნებრივი პირობების გამო ტაო-კლარჯეთთან კავშირი გაძნელებული იყო, ამიტომ საქართველოს ეკონომიური ცხოვრება ამ ხანაში ვერ ვითარდებოდა და სხვა მხრივაც ჩამორჩენილი იყო, ამით აიხსნება იმ დროის ურთიერთობის მეტის მეტი სიმარტივე. ასე იყო მანამდის, ვიდრე ტფილისი და მასთან ერთად მტკვრის ხეობა არ განთავისუფლდა და მტკვრის და რიონის ხეობას არ მიეცა ბუნებრივი გზა. მაშინ ტაოკლარჯეთის როლი უკვე შესრულებული იყო, მასთან კავშირს წინანდელი მნიშვნელობა დაეკარგა და მისი როლიც გათავდა საქართველოს ისტორიაში, აი სქემა ტაოკლარჯეთის ისტორიისა 9—10 საუკუნოებში.

როგორი იყო მისი ცხოვრების ფორმები გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით? ამის გამოსარკვევად ჯერ მის ახლანდელ მდგომარეობას გავეცნოთ. თუ რამდენად უგზო და მიუვალია კლარჯეთი დღესაც, ეს სჩანს თუნდა პროფ. მარის მოგზაურობიდან. რასაკვირველია, ძველად იგი უფრო უღრანი და ადამიანისათვის ძნელი საცხოვრებელი იყო. ეხლაც მოგზაურს ხშირად ფეხით სიარული უხდება, რადგანაც ზოგან მხოლოდ საცალფეხო გზა მოიპოება.[1]) მთებზე წვიმის და ქარის დროს ყოფნა არ შეიძლება. საშინელი ნისლის გამო 100 საჟენს იქით აღარ სჩანს რა.[2]) მთის მდინარეებზე სახიფათო ხიდებია გადებული. სადაც ცხენის გზა მოიპოება, ხშირად ისეთი ვიწროა, რომ ცხენი ცხენს გზას ვერ აუქცევს. ცხენით მოსიარულენიც ხშირად თითო თითოდ მიდიან, რომ ერთმანეთს სიარული არ დაუშალონ, ალბად გზის სივიწროვის გამო. სიარულის დროს ყოველთვის მოსალოდნელია, რომ სადმე გზა იქამდის გაფუჭებული აღმოჩნდეს, რომ მის შეუკეთებლად გავლა შეუძლებელი ხდება.[3]) ცხენით მოსიარულეს ხშარად ცხენიდან ჩამოსვლა სჭირდება, რომ ცხენი აღვირით გაატაროს სახიფათო გზაზედ. საპალნიან ცხენებს ამგვარ ადგილებში ძლიერ უჭირთ გავლა, და თუ შემთხვევითი დამხმარე ვინმე არ აღმოჩნდა, იძულებულნი არიან საპალნე ჩამოჰხადონ ცხენს და ისე გაატარონ სახიფათო ალაგზე.[4]) კლდიან და მთიან-ღრანტიან ადგილების გარდა, ტყეც ბევრია გასავალი. წინდაწინვე მგზავრმა, თუნდაც მახლობელი ადგილიდან იყოს იგი, არ იცის, რა შეემთხვევა გზაზედ და რა მდგომარეობაში დაუხვდება იგი, განსაკუთრებით წვიმების დროს და მათ შემდეგ.[5]) ალაგ-ალაგ დიდი აღმართ-დაღმართები, უფსკრულები და ფრიალოები კიდევ უფრო აძნელებენ მიმოსვლას[6]). არის ისეთი ადგილებიც, სადაც თურმე ჩვეულებრივი ფეხსაცმელით სიარული არ შეიძლება და მაშინ ადგილობრივი მცხოვრებლები იცვამენ ძირ-დაწნულ ქალამნებს ჩვეულებ-

[1]) იხ. Георгий Мерчулъ житіе св. Григорія Хандзтійскаго. Дневникъ поездки в Шавшетію и Кларжетію passim. გვ. 85, 136, 18.

[2]) იქვე, გვ. 85.

[3]) იქვე, 85—86.

[4]) იქვე, გვ. 86 და 89.

[5]) იქვე გვ. 91.

[6]) იქვე, გვ. 123.

რივ ქალამნებზე[1]). ერთ ადგილზე პროფ. მარს ისეთი გზა შეხვედრია, რომ იგი მას „დაქანებულ თოკს“ უწოდებს და ამასთანავე ეს დაქანებული „თოკი“ უფსკრულის პირზე ყოფილა „გაბმული“[2]). ზოგგან[3]) ისეთი საშინელი აღმართი შეჰხვედრია პროფ. მარს მის მოგზაურობის დროს, რომ 15 წუთის სიარულის შემდეგ ძალა სრულებით გამოჰლევია. ერთ-ერთ ამგვარ აღმართზე სიარულს კედელზე ასვლას უწოდებს[4]). სადაც ცხენით გავლა შესაძლებელია, იმ გზას პროფ. მარი კარგ გზას უწოდებს[5]). კარგ გზას უწოდებდნენ პროფ. მარის თანამგზავრნი ისეთ გზებსაც კი, სადაც ფეხით სიარული სახიფათო არ იყო, თუმცა ცხენით გავლა არ შეიძლებოდა[6]). მაგრამ ამგვარი მოგზაურობა ამისთანა გზებზედაც ხანგრძლივი არ ყოფილა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ადვილად სასიარულო გზა ისევ სახიფათოდ იქცეოდა, ისიც რომ არ ვთქვათ, რომ ძირ-დაწნული ქალამნების ფეხიდან მოშორება არსად არ შეიძლებოდა[7]). ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც უცხოელის ფეხი არ მოჰხვედრია, მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ ადგილობრივი ოლქის უფროსი თუ მოვიდოდა, მაშინ იმისათვის სახელდახელოდ აქა-იქა გზები უსწორებიათ[8]). თუ სადმე გზებია, ისიც „უბადრუკი ნაშთია ქართველთა უძველესი მშენებლობისა“. ზოგი გზა 100 წლის გაკეთებულია და ზოგი 1000 წლისაც კი“[9]). ასეთია გზა შატბერდის და ოპიზის მონასტრების ნაშთების შუა. ეს გზა სულ საათნახევრის სავალი ყოფილა[10]). პროფ. მარს ერთ ალაგას ცხენი გზიდან გადაჰვარდნია და თუმცა დამსხვრევას გადარჩენილა, მაგრამ ერთი კბილი კი ჩამტვრევია. თვით პროფ. მარს თავის დროზე გამოულია უნაგრიდან ფეხები და გზაზედ დაცემულა[11]). ასეთი გზა ყოფილა ძველი ოპიზის და შატბერის მონასტრების ნაშთებს შუა. ბერთა შედარებით მდიდარი და კულტურული სოფელი ყოფილა. იქაურებს თავის სოფლიდან გზა გაუყვანიათ, მაგრამ ეს „ახალი გზაც“ როგორი ყოფილა? ერთხელ ძლივს მოუხერხებიათ პროფ. მარის თანამგზავრებს, რომ ამ გზაზე გაეტარებინათ ცხენი უმხედროდაც კი[12]). დოლისყანისაკენ კი და იქიდან ართვინისაკენ მგზავრებს კარგი გზა ჰხვდებათ. ეს გზა მიდის არტაანიდან არტანუჯში, იქიდან ართვინში და მერე ბათუმში. მაგრამ ეს ახლად გაყვანილი გზებია. ძველი გზების ნაშთი პროფ. მარს უნახავს იმერხევის პირზე არდანუჯისაკენ. დარჩენილა მხოლოდ ხიდი და კედლის ნაშთი, რომელიც ამაგრებდა გზისათვის გაკეთებულ ტერრასებს[13]).

---

1) იქვე 124 და 136.

2) იქვე 124.

3) მდინარე კარჩხალის პირზედ, რომლის მოსახვევზედაც, სადაც მას ცხუმურის წყალი ერთვის, იმყოფება მონასტერ მიძნაძორის ნანგრევები.

4) იქვე 136.

5) იქვე გვ. 138.

6) იქვე 156.

7) იქვე.

8—9) იქვე.

10) იქვე 157.

11) იქვე 166—167.

12) იქვე 173.

13) იქვე 183.

თუმცა პროფ. მარი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ეს მხარე „ბევრად უფრო გაველურებული იყო აკლების გამო იმ დროს, როდესაც აქ ქართველებს თავისი კულტურა შემოჰქონდათ, ვიდრე ეხლაო"[1], მაგრამ ქვეყანაც კულტურობის მხრივ ძლიერ შორს არ წასულა მისი ცხოვრება, როგორც სჩანს ზემოდ მოყვანილი აღწერიდან. მაგრამ ეს კიდევ ნათელი იქნება, თუ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს ახლანდელი შავშეთ კლარჯეთის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, პროფ. მარის იმავე გამოკვლევიდან.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ არავითარი მაღალი კულტურის ნიშანწყალი პროფ. მარს იქ არ უნახავს. მეურნეობას ავიღებთ, თუ ჭამა სმას, თუ ოჯახის მოწყობილობას, არც ერთს არ აზის ნიშანი მაღალი კულტურისა. როგორც ეტყობა, ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის, ყველაზე მეტად და საუკეთესოდ ადამიანს აქ გამოყენებული ჰქონია იალალები ანუ საძოვრები, განსაკუთრებით, იმ ადგილებში, სადაც გრიგოლ მერჩულის მიერ აღწერილი მონასტრების ნაშთები მოიპოვება. ასეთი საძოვარი ყოფილა წყაროს თავში და საზოგადოდ მთელ მთაზე, რომელსაც ახლა საქუჩეთს უწოდებენ და რომლის დასავლეთ ფერდზედ ყოფილა მოთავსებული ძველი მონასტერი წყაროს-თავი[2]). შატბერდის მონასტერის ნაშთის ძებნის დროს, როდესაც მოგზაურებს ერთი სოფელი სულ ცარიელი დაჰხვედრიათ, რადგანაც მცხოვრებლები საძოვარზე (იაილაზე) ყოფილან წასული[3]). „იალალზე წასვლა" იმერხევში ყოველდღიური საზრუნავი და მუდმივი სალაპარაკო მასალა ყოფილა, როგორც ჩანს პროფ. მარის სიტყვებიდან, რომელსაც გაჰკვირვებია, რომ ამ კითხვაზე მცხოვრებლებს პასუხი ქართულად ვერ მიუციათ და ოსმალურათ ახსნა დასჭირვებიათ[4]). იალალებზე, როგორც ეტყობა, მსხვილფეხა საქონლის გარდა, წვრილფეხა საქონელსაც აძოვებენ, რაც ცხადად ჩანს იქიდან, რომ ერთ მხრივ საუკეთესო სოფლებში, როგორც მაგ. ბერთაში რძის ნაწარმოები ბლომად მოიპოვება და მეორე მხრივ იმერხევში სხვადასხვა საშინაო იარაღებს შორის საპატიო ადგილი უკავია მატყლის საჩეჩს და საქსოვ იარაღებს. აი ის სია იარაღებისა, რომელიც მოჰყავს პროფ. მარს.

1. ჭახრაკი, ბორბალი ძაფისათვის. 2. საჩეჩელი 3. ხელწალი კვირისთავით, 4. მატყლის გასაპენტი 5. დეზგა (სართავი დაზგა)[5]). ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ იარაღით დამზადებული საქონელი ზემოდ აწერილ გზების პატრონებს, შორს სადმე გაჰქონდეთ გასასყიდად. პურის მოსავალი, ამ ადგილებში, ეტყობა ვერ არის კარგი და საზოგადოდ პურის მოყვანას მეურნეობაში არ სჭერია დიდი ადგილი. წყაროს თავისაკენ მგზავრობის დროს პროფ. მარს პური შემოჰკლებია და შოვნაც შეუძლებელი ყოფილა. ამიტომ იძულებული გამხ-

[1]) იქვე გვ. 156.

[2]) იქვე გვ. 118. პროფ. მარის ახსნით, საქუჩეთი—საქოჩეთი, სიტყვიდან ქოჩვა, რაც ნიშნავს გადასახლებას, ადგილმაცვალობას.

[3]) იქვე გვ. 139.

[4]) იქვე გვ. 76.

[5]) იქვე გვ. 71.

დარა არდანუჯში ნაყიდი პური, უკვე გამხმარი, გამოეზოგა დთის ეჭამა, როცა ძლიერ გაუჭირდა[1]). ოპიზის ხეობაში პური სულ არ ყოფილა. იქმჭადი ჰქონიათ საჭმელად პურის ალაგას[2]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ ამ ადგილებში ძლიერ განვითარებული ყოფილა მევენახეობა. იქ სადაც წინადაც ყოფილა გაშენებული ვაზი, ახლაც ისევ განუახლებიათ. ზოგან ახალიც გაუშენებიათ. მრავალი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, ზოგი საჭმელი და ზოგი ღვინისა, გავრცელებული ყოფილა იმ ადგილებში სადაც ძველად მონასტრები უშენებიათ და სოფლები კი ძლიერ თხლად იყო აქა-იქ გაშენებული[3]).

საზოგადოდ როგორც მეურნეობა და ყოფა-ცხოვრება ხალხისა, ისე მონასტრების არქიტექტურა და მისი ნაშთები გასაოცარი ზედმიწევნილობით მოგვაგონებს აღწერილობას, რომელსაც ვკითხულობთ გრიგოლ მერჩულის ნაწარმოებში. იგივე საოსტიგნოები, ვენახების და საწნახელების ნაშთები[4]). წარწერებიც მრავალ შემთხვევაში ცნობილ ისტორიულ პირების მოღვაწეობას[5]) ისეთი თვალსაჩინოებით გვიყენებენ თვალწინ, რომ მკითხველს სრულიად ბუნებრივად მიაჩნია ის ღელვა, რომელსაც შეუპყრია პატივცემული ნ. მარი, როდესაც ის ამ ადგილებში მისულა. შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ პროფ. მარს თავი გრიგოლ ხანძთელის სტუმრად წარმოუდგენია და უფიქრია, ახლა რომ თვით გრიგოლ ხანძთელი წარმომიდგეს თვალწინ ხორც-შესხმული, იქნება არც კი გამიკვირდესო[6]).

ამ აღწერის შემდეგ საკვირველი არ არის ისიც, რომ მთელი ეს ადგილები, თვით მონასტრების ნაშთებით, იქაური ხალხის ყოფა-ცხოვრებიანათ, იქაური ბუნების თვისებიანად, საზოგადოდ „უკიდურესი ასკეტიზმის ადგილის“ შთაბეჭდილებას სტოვებს[7]). ასკეტიზმის განსახიერებაა მთელი ის სურათი თანამედროვე კლარჯეთისა, რომელიც პროფ. მარმა თავის მეტად საინტერესო წიგნში მკითხველს თვალწინ გადაუშალა. უკიდურეს ასკეტიზმის ადგილი ყოფილა იგი უწინაც და ასეთ ადგილს რგებია ხვედრად 9-10 საუკუნოებში მთელი საქართველოს კულტურის მესაჭედ ყოფნა.

როგორ და სად მოხდა ეს? ამაზე თვით გრიგოლ მერჩული უკეთ მოგვცემს სათანადო პასუხს.

---

[1]) იქვე, გვ. 136.

[2]) იქვე, გვ. 157. სოფ. ბერთაში კარგი პური ყოფილა, მაგრამ ეს „კარგი“ მაინც ისეთი ყოფილა, რომ პროფ. მარს უპირატესობა ცივ წყალში ჩალბობილ ჯარტანუჯულ ხმელ პურისათვის მიუცია. გვ. 173.

[3]) იქვე, 165.

[4]) იქვე, 122 და სხვა.

[5]) იქვე, გვ. 153, 181 და სხვ.

[6]) გვ. 184, 163. „ესე მე აშოტმან დ წელსა გავაშენებინე (ანუ გავაკეთებინე).

[7]) იქვე, გვ. 139. „В гостях у Григорія Хандзтійскаго“, „подумалъ я. „Не удивился бы появленію во плоти самого Григория Хандзтійскаго“, с ответом на приведшій меня сюда вопрос: „Где шатбердъ“.

II

თუ რამდენად უღრან ადგილს წარმოადგენს დღესაც შავშეთ-კლარჯეთი, უკვე საკმარისად შევისწავლეთ პროფ. მარის მოგზაურობიდან. [illegible] ჩანდა, ეს ადგილი ძველად უფრო უღრანი და ადამიანის ორგული იქნებოდა. საინტერესოა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების და სხვა უძველესი ძეგლების მიხედვით, რამოდენად გავრცელებული იყო ამ ქვეყნის მოსახლეობა, რომელსაც წილად ჰხვდა მე9-ე საუკუნიდან დაწყებული, თავის შემოქმედებითი ძალა ამ უღრან ბუნების დამორჩილებაზე და დამუშავებაზე გამოეცადნა. წყაროებში გარკვეულად არის ნათქვამი, რომ შავშეთ-კლარჯეთში, არაბების შემოსვლის შემდეგ, მოსახლეობა ძლიერ თხლად ცხოვრობდა, მხოლოდ აქა-იქა, კანტი-კუნტად მოიპოვებოდა შიგადაშიგ უტეხ ტყეებს შორის. აი რას ამბობს ამაზე გრიგოლ მერჩული თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში:“ კლარჯეთსა, ტაოსა და შავშეთშიო დამუშავებული მიწები ტყეებში ადგილ-ადგილ მცირედი მოიპოვებოდაო.[1]) თითქმის სიტყვა-სიტყვით ამასავე იმეორებს მეორე წყარო, სუმბატის ქრონიკა.[2]) ბუნების პირობების მხრივ და უგზობის მხრივაც გასაოცარი მსგავსებაა გრიგოლ მერჩულის და პროფ. მარის აღწერათა შორის. იგივე ფრიალო მთები, იგივე გაუვალი ხევები, ფიცხელი კლდეები, უგზო-უკვლობა. აი რა სიტყვებით ასწერს გრიგოლ მერჩული კლარჯეთის ბუნების სიმკაცრეს:

„მაღნართა სიმრავლე ურიცხვი და მცირედი რაჲ-მე სხუაჲცა ნუგეშის საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა: ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არს. არცა იქნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“[3])

ხანძთის შესახებ: „კლდე იგი ხანძთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“[4]) იმხანის შესახებ: „მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი.“[5])

უგზოობის შესახებაც ხანძთელის ცხოვრებაში ასეთივე გარკვეული და უტყუარი ცნობებია მოთავსებული. როდესაც გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთის მეფესთან მოვიდა თავის ბერების საძებნელად, მეფის წინადადებაზე, რათა მას აფხაზეთშიც აეშენებინა მონასტრები, უპასუხებს მას, რომ აფხაზეთში მონასტრების აშენებისათვის შესაფერი პირობები არ მოიპოვებაო. რასა სთვლის გრიგოლ ხანძთელი შესაფერ პირობად, ამაზე მერე გვექნება საუბარი. ჯერ კი მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ გრიგოლ ხანძთელი აუწერს აფხაზეთის მეფეს

1) კლარჯეთს და ტაოთაშინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ ადგილ. Житіе св. Григорія Хандзтійскаго. Георгій Мерчулъ Груз. текст. გვ. ია.

2) ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა, ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოსრნა შავშეთიცა და ლადონი, და კუალად შემდგომად მისსასვლამან სატლობისამან მოოჴრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ ადგილ. სამი ისტორიული ქრონიკა. თაყაიშვილის გამოც. გვ. 52.

3) იქვე გვ. იხ.

4) იქვე, გვ. ია.

5) იქვე, გვ. ით.

კლარჯეთის პირობებს, როგორც სამონასტრო მოღვაწეობისათვის უფრო ხელსაყრელს და სხვათა შორის ამბობს, რომ იქ სამონასტრო ადგილები ქვეყანას მოწყვეტილია და მიუვალი. სანოვაგის მიტანა შესაძლებელია მხოლოდ ზურგით.[1]) მეორე ადგილას თვით გრიგოლ მერჩული მოგვითხრობს ერთ-ერთი მონასტრის აშენების ამბავსა და ამბობს, რომ ქვა და კირი შენობისათვის მოჰქონდათ „ფრიად შორით“ ძნელი გზებით კაცებს თავის ზურგით. მაშასადამე აქ ვირის სავალი გზაც კი არ ყოფილა.[2]) შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი იყო მხოლოდ მონასტრის მდგომარეობა და არა მისი მიდამოებისა. მაგრამ გრიგოლ ხანძთელი თავის აღწერაში ამბობს, რომ მთელი ეს ადგილი მცხოვრებთათვის უგზო-უკვლო და მიუვალია. მას გარს არტყია მთები და წყლები უძრავი ზღუდისავითა. შემდეგ იგი განაგრძობს, რომ ყოველ მხრივ შეზღუდვილ არიან მთებისა, ხევებისა და წყლების მიერო, რომელნიც საშინელ „ძნელოვანთა ადგილთა“ შორის მიმდინარეობდენ.“ (იქვე გვ. 30) ზედმიწევნით იგივე სურათია, რომელსაც აგვიწერს პროფ. მარი.

აქედან ცხადია, თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო მოსახლეობისათვის იქ ცხოვრება და რა საშინელი დიდი შრომა იყო საჭირო, რომ ამგვარი ბუნება დაემორჩილებინა ადამიანს და გამოეგლიჯა მისთვის ის დოვლათი, რომელსაც იგი ადამიანს, ასე ვთქვათ, თავის ნებით არ ანებებდა. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ძლიერ ბევრ ხალხს რომ ეცხოვრა აქ და ეს ხალხი აღჭურვილი ყოფილიყო განვითარებული ტექნიკით, ჰქონოდა კარგად მოწყობილი ცხოვრება, ორგანიზაციულად დაწყობილი და დალაგებული საზოგადოება. მაგრამ ჩვენ უკვე მოყვანილი ადგილებიდან მოსახლეობის სითხელის შესახებ ვიცით, რომ ეს არ ყოფილა. (იხ. ზემოდ). მაგრამ ჯერ დავრწმუნდეთ ჩვენი მოსაზრების სისწორეში შესახებ იმისა, რომ იმ დროს მეურნეობა მოწყობილი არ იყო და ხალხი მეტად გაჭირვებული და დამშეული იყო. უპირველეს ყოვლისა უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ აღწერილ პირობებში მეტად ჩამორჩენილი მეურნეობა უნდა ყოფილიყო. როგორც ყველგან, ხალხის ახლად დასახლების პერიოდში, ისე კლარჯეთში 9-10 საუკუნოებში, ხალხს შეეძლო მხოლოდ უშუალო ექსპლოატაცია ბუნების დოვლათისა, ე. ი. ტყის და ველების ექსპლოატაცია მათი დოვლათის უშუალო მოხმარების სახით. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც სწორედ ამ სურათს გვიხატავს სრულიად გარკვევით და უდავოდ. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ მონასტრების მშენებლობის დასაწყისში, როდესაც „მამები“ ახლად გადმოსახლებული იყვნენ, ეს ქვეყანა მეურნეობის მხრივ სულ სხვა სურათს წარმოადგენდა, ვიდრე შემდეგ, როდესაც მათმა მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო. გრიგოლ მერჩულს ეს განსხვავება თითქოს არ აქვს შეგნებულად გატარებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის აღწერაში სრულიად გარკვევით ჩანს იგი. როდესაც იგი იწყებს ამბავს გრიგოლ ხანძთელის ქართლიდან კლარჯეთში გადასახლებისას, ის იხსენიებს იმ განდგომილ ბერებს,

[1]) „დიდითა შრომითა როჰიკისა მისვლაჲ აქუს კარაულისა ზურგითა“. (იქვე, გვ. კდ.

[2]) „ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა“. (იქვე, გვ. ლგ).

რომელნიც გრიგოლზე უწინ დასახლებულიყვნენ კლარჯეთში, რათა მოშორებოდნენ იმ ავტანელ ცხოვრებას, რომელსაც ატარებდნენ მაშინდელი [illegible]არაბების მიერ სასტიკად დევნილნი და ძალაუნებურად ქრისტიან[illegible]ებას და მცნებებს დაშორებული. გრიგოლ მერჩულის სიტყვით ეს მამები მაშინ ცხოველების და ნადირების მსგავსად მწვანილითა და ხილით იკვებებოდენ.[1]). შემდეგ იქ, სადაც გრიგოლ ხანძთელი ბერების მოციქულს ათქმევინებს ქებას ხანძთისას მის „ლიოლოლოვან და ფიცხელ მწერვალების გამო“, მისივე პირით ახასიათებს აგრეთვე იმ ადგილების პრიმიტიულ მეურნეობას. მისი სიტყვით იქ მოიპოვება „მალნართა სიმრავლე ურიცხვი და მცირედი რამე მეუდაბნოების ნუგეშ საცემელი (უნდა ვიგულისხმოთ საჭმელი). სათესი მიწები, ყანები კი იქ სრულიად არ მოიპოვებაო, არც სათიბელი ადგილებიო[2]). „მცირედი ნუგეშის მცემელი“ ეს იგივე მწვანილი და ხილი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ იქ, სადაც თვით გრიგოლ ხანძთელი ახასიათებს თავის მონასტრების მდებარეობას და აუწყებს აფხაზეთის მეფეს თავის უდაბნოების მშვენიერებას, თითქმის იმავე სიტყვებსა ხმარობს და ბოლოს პირდაპირ ასახელებს მხალს და ხილს, როგორც ბერების საჭმელს. იმის ნათქვამ სიტყვებშიც იგივე „ურიცხვი მალნარი და წყალთასიმრავლე“, იგივე სათიბელი ადგილის უქონლობა, ყანების უქონლობა და სხვა.[3]) ამასავე ამბობს სუმბათის ქრონიკაც შესახებ მთელი შავშეთისა და არა მხოლოდ სამონასტრო ადგილებისა, ვინაიდგან „უშენებლობა“, რომელიც მოხსენებული აქვს ამ ქრონიკას, იმავე უმეურნეობას და დაუმუშავებლობას ნიშნავს[4]). ეს იგივე მდგომარეობაა, რომელიც სტრაბონსა აქვს აწერილი საქართველოს მდგომარეობის დასახასიათებლად პირველ საუკუნეში. ეტყობა ტაო-კლარჯეთი და შავშეთი, არაბების მიერ აკლების შემდეგ იმავე მდგომარეობაში ჩავარდნილა, რა მდგომარეობაშიც საქართველო —და ალბად ეს კუთხეც, ყოფილა პირველ საუკუნეში. თუ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მონასტრის მშენებელი ბერები, მით უმეტეს ასეთ მდგომარეობაში იქნებოდა ის მცირეოდენი მოსახლეობა, რომელიც მოიპოვებოდა ამ ადგილებში, განსაკუთრებით ისინი, ვინც მარტო, თითო ოჯახად სახლდებოდა. ბერები შეერთებული ძალებით ებრძოდნენ ბუნებას, და როგორც შემდეგში დავინახავთ, დასძლიეს რამოდენადმე იგი, გააჩაღეს მეურნეობა. განცალკევებულმა მოსახლეობამ კი ეს ვერ შესძლო და ბოლო დრომ-

[1]) „რამეთუ ესმოდა (გრიგოლ ხანძთელს) ანგელოზებრივი ცხოვრებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა. რომელნი იგი იზრდებოდეს მძოვრთა სახედ მწუანილითა და ხილითა“. (იქვე გვ. ვ—ზ).

[2]) „აქუს წყარო, მდიდრად გამომდინარე. შუენიერი, გრილი და ჰამოჲ. დამალნართა სიმრავლე ურიცხჳ და მცირედი რაჲმე სხჳაჲცა ნუგეშის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა: ხოლო სათესავი ყანაჲ დასათიბელი ქვეყანაჲ რაჲთ-ურთით არა არს. არცა იქნების“. და სხ. (იქვე, გვ. იზ.)

[3]) „წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქუშათა მათ შინა, ურაცხჳ მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ... და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ. არცა ყანაჲ სახნავი, არამედ... ხოლო მხალთა ველისათა არს სიმრავლე ურიცხჳ“. (იქვე, გვ. ჰ. დ.)

[4]) „ხოლო კევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. (სამი ისტ. ქრ. გვ. 52)

დის მათი უმრავლესობა ისევ იმ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხანძთელის ცხოვრებაში, მართალია, გაურკვევლად, მაგრამ მაინც მოხსენებულია რამდენიმე შემთხვევა, რომელშიც დახასიათებულია ამისთანა განმარტოებული და უმწეო ხალხის მდგომარეობა. იქ სადაც გრიგოლ მერჩული სხვა და სხვა სასწაულებს მოგვითხრობს, სხვათა შორის დასახელებული არიან მონადირენი, რომელნიც ერთ შემთხვევაში ირემს სდევნიან მოსაკლავად, მეორე შემთხვევაში კი გარეულ თხებსა. ესენი ან მეფის და აზნაურის მონადირენი არიან, ან თავისთავად, დამოუკიდებელნი. წყაროდან არ ჩანს, თუ ვინ იყვნენ სახელდობრ ეს მონადირენი. მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთი რამ უდაოდ რჩება: ნადირობა ერთ-ერთი თავის სარჩენი საქმე ყოფილა მაშინდელი შავშეთ კლარჯეთის იშვიათ მოსახლეობისა, განსაკუთრებით, პირველ ხანებში. თვით ის გარემოება, რომ გრიგოლ ხანძთელმა პირველ შემთხვევაში, ირმის გადარჩენის შემდეგ, მონადირეები მოიპატიჟა და თავისი საჭმელი აჭამა, თითქოს იმას ნიშნავს, რომ მონასტრის მოღვაწეებმა ახალი მეურნეობის და დოვლათის შოვნის წესების დანერგვის საშუალებით ხალხს სხვა, უფრო საიმედო და კულტურული საშვალება აჩვენა საჭმელ-სასმელის შოვნისა[1]). ასე ერთნაირად ხაზგასმით აღნიშვნა ერთი და იგივე ფაქტისა და მკაფიო დაპირდაპირება ერთი შრომის ფორმისა მეორის წინაშე, ძალაუნებურად ამას გვაფიქრებინებს. გავიდა დრო და მონასტრებმა გააშენეს ბაღები, გააჩაღეს მეურნეობა. მაშინ მონადირეობა, როგორც მთავარი სახსარი ცხოვრებისა, აღარ არსებობდა და დაკარგა მნიშვნელობა. არის თუ არა მართლაც ეს გარემოება ხაზგასმული ამ ლეგენდაში, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ასეთი გზა განვითარებისა უდავოა.

მაგრამ მეურნეობის განვითარება ამაზედ არ შეჩერებულა. მართალია, სამონასტრო მოღვაწეები თავის მოღვაწეობის მთავარ მიზნად ქრისტიანულ სარწმუნოების განმტკიცებას და გავრცელებას ისახავდენ, მაგრამ ნივთიერი კულტურის წარმატება და დანერგვა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება—ესეც, როგორც ყოველგან, ისე საქართველოშიც, მათს ერთერთ მთავარ მიზანთაგანს შეადგენდა. ქართველი სამონასტრო მოღვაწეები ამ მოწოდებასაც სრულიად გარკვეულად გრძნობდნენ. ესა სჩანს არა მარტო იმაში, რომ ქრისტიანულ სარწმუნოების კეთილ გავლენას ნივთიერი კულტურის და აყვავებულ მეურნეობის გავლენას ადარებენ, რასაც თავის თავად მნიშვნელობა აქვს, როგორც იდეოლოგიურ და ესთეტიურ სახეობათა შერწყმას ნივთიერ კეთილდღეობის გამომხატველ სახეობასთან. მინდვრების პოხიერებას ადარებენ ქრისტეს სარწმუნოების სიპოხეს, პურის მოსავალს ქრისტეს მოძღვრების ნაყოფიერებას და ნოყიერებას, წყაროების გამაცოცხლებელ თვისებებს ქრისტეს მოძღვრების იმავე თვისებებს ადამიანისათვის. რასაკვირველია, ბერებს რომ შეგნებული არ ჰქონოდათ დიდი მნიშვნელობა მაღალი კულტურისა, შედარებით ნახევრად ველურ ცხოვრებასთან, ამ შედარებებს არც ექნებოდა ადგილი. თვით მაღალი კულტურა, როგორც ადამიანის უხეშობის მომსპობი, კულტურულ გრძნობების განმავითარებელი, ხასიათის სირბილის და ლმობიერების შემქმნელი, უფრო უკეთესი ნიადაგი იყო ქრისტეს მოძღვრების განვითარებისათვის. მაგრამ იმის საბუთად,

[1]) „ნაცვლად ირმისა მისცა სხვაჲ სალუაწი ხორცთაჲ". მეორე შემთხვევა: „უბრძანა: რაჲთა მონადირენი იგი ისტუმრენ და წარგზავნენ. (Геор. Меч. ж. св. Гр. Ханд. ქართ. ტექსტი, გვ. იბ.)

რომ ძველი ქართველი ბერები კულტურტრეგერობას ისახავდენ თავის მიზნად, მარტო ეს არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს ამის სრულიად უტყუარი საბუთი. გრიგოლ მერჩულს მოყვანილი აქვს გრიგოლ ხანძთელის სიტყვები, რომელშიც იგი ჰხატავს მიზანს თავის გამგზავრებისას ქართლიდან კლარჯეთში. მისი მიზანია, რომ ღვთის შეწევნით და ბერების მეცადინეობით განიპოხოს უდაბნოს მშვენიერება, სიხარული მოეფინოს ბორცვებს და ღელეებში გამრავლდეს „იფქლი ღვთის მსახურებისა“.[1]) ამას გარდა, გრიგოლ ხანძთელი ამბობს, რომ იმ ადგილზე მონასტრის აშენება ბერებმა სხვათა შორის იმისთვის განიზრახეს, რომ ეს ადგილი მათ ნახეს „ნაყოფთაგან ულვაწი“. შედეგი თავის მოღვაწეობისა ბერებს სწორედ ასეც აქვთ წარმოდგენილი. ჩვენ გავწმინდეთ მხეცებისაგან ულრანი ადგილებიო და ახლა ბერებს მათგან შიში აღარ აქვთო. წინად, როდესაც თითო-თითოდ იყვნენ ბერები გაბნეულიაქა იქ, ეშმაკნი (ე. ი. მხეცები) მათთვის სახიფათო იყო. გრიგოლ ხანძთელის დასახლების შემდეგ ბერები გამრავლდნენ, მონასტრებმა ერთმანეთთან კავშირი დაიჭირეს და „მხეცნი იგი ეშმაკნი“ განდევნეს.[2]) გრიგოლ მერჩულს უყურადღებოდ არა აქვს დატოვებული აგრეთვე სარწყავი წყლების გაყვანა ბერების მიერ, რომელთა ნაშთებიც ბევრი უნახავს პროფ. მარს თავის მოგზაურობის დროს.[3]) რა არის ყველა ეს, თუ არა კულტურტრეგერობა არა მარტო ქრისტეს სარწმუნოების გავრცელების სახით, არამედ ნივთიერ კულტურის, მეურნეობის განვითარების ხელის შეწყობის სახით? იმ პერიოდში როდესაც ხალხი კლარჯეთში ახლად სახლდებოდა და ბუნების ძალების დამორჩილებას და დამუშავებას ცდილობდა, მონასტრებიც ჩაბმულან ამ სმქმეში და, შეიძლება, სხვებზე მეტი გაუკეთებიათ თავის ორგანიზაციული, კოლლექტიური მუშაობის მეოხებით. ისე რომ ის გზა, რომელიც სამონასტრო მეურნეობას გაუვლია კლარჯეთში, უნდა ტიპიურად ჩაითვალოს მთელი მოსახლეობისათვის.

მაინც რა ყოფილა პირველი მიღწევა ამ მოღვაწეებისა სამეურნეო დარგში? რა სისტემა შემოუღიათ მეურნეობისა და რა დარგი განუვითარებიათ? უპირველესად ყოვლისა იმ უტევ ადგილებში ყველაზე შესაფერი მეურნეობა მეჯოგეობა იყო და განსაკუთრებით მეცხვარეობა[4]), რომლის ნაშთიც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჩვენ დროსაც ყოფილა, თანახმად პროფ. მარის ცნობებისა. მართლაც და დაუგდოთ ყური ისევ გრიგოლ ხანძთელს. ის აფხაზეთის მეფეს პასუხად მის მოწვევაზე, რათა მან მონასტრები ააშენოს აფხაზეთში, სხვათა შორის როგორც უკვე ვიცით, ეუბნება, რომ კლარჯეთში არ არის სათიბელი

---

[1]) „სოფელნი წყალობით აღეშენნოს. და ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა, განაპოხო შენ შუენიერებაჲ უდაბნოჲსაჲ და სიხარული ბორცუთა შეიმოსონ და ღელეთა განამრავლონ იფქლი ღვთისმსახურებისაჲ“. (იქვე, გვ. ი).

[2]) ვიდრე მოსვლამდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მჴეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი განბნეულ იყვნეს, თითოჲ ანუ ორ ორი სივრცესა ამას უდაბნოსათა: ხოლო მოსვლასა წმიდისა გრიგოლისა ცხოვარნი იგი განპნდეს დამხეცნი იგი ეშმაკნი განიოტდეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.“ (იქვე, გვ. იშ).

[3]) „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს უდაბნონი კლარჯეთისანი (იქვე, გვ. ლთ).

[4]) იქვე, გვ. კდ.

ადგილებიო, სამაგიეროდ ბევრია მაღნარი და წყალთა სიმრავლეო. „მაღნართა ურიცხვობაზე" ლაპარაკობს აგრეთვე ოპოზის წარმომადგენელი [illegible] მთავრობის წინაშე.[1]) ცხადია მაღნართა სიმრავლე გრიგოლ ხანძთელს აინტერესებს არა მარტო როგორც ესტეტიკოსს, როგორც ამბობს პროფ. ჯავახიშვილი,[2]) არამედ აგრეთვე როგორც მეურნეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში რა ესტეთიური გრძნობის დამრღვევია საბალახე, სათიბი შედარებით უბრალო მაღნარებთან? ეს ადგილი პირდაპირ მეურნის ვარაუდია იმის შესახებ, თუ სად როგორი მეურნეობის მოწყობა შეიძლება და ამ თვალსაზრისით რომელი ადგილი უფრო შეეფერება სამონასტრო მეურნეობას. რისთვის ესაჭიროებოდა მონასტერს ეს „მაღნარები ურიცხვი", რომ გრიგოლ ხანძთელს უამისოდ მონასტრის ასაშენებელი ადგილი ვერ წარმოუდგენია? ცხადია, აქ საძოვარ ადგილებზეა ლაპარაკი, იმ „იალაღებზე", რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმავე ადგილებში დღესაც, რასაც ჰმოწმობს პროფ. მარის მოგზაურობა (იხ. ზემოდ) მაგრამ რაკი გრიგოლ ხანძთელი ამბობს, რომ სათიბი არ არისო, მაგრამ საძოვარი კი ბევრიაო, აქედან ცხადია, რომ იმ დროს მეჯოგეობა საზოგადოდ და, განსაკუთრებით, კერძოდ მეცხვარეობა საძოვარზე გარეკვის წესით ყოფილა, ამ პირობებში უმთავრესად მეცხვარეობა უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან მსხვილფეხა საქონლის მოშენება წარმოუდგენელია, თუ საზამთროდ თივის მარაგი არ არის. მართლაც და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში რამდენჯერმეა მოხსენებული მეცხვარეობა და თხების მოშენება. ჯერ ერთი იქ ნათქვამია, რომ ვინმე ზაქარია, მომავალი სამონასტრო მოღვაწე, თავის ბავშობაში კლარჯეთის ქვეყანაში ცხვრების მწყემსად ყოფილა. მეორე: ხანძთის მონასტრის მახლობლად ყოფილა ადგილი, სახელად წერტაჲსნი, რომელიც ჰკუთნებია ერთ აზნაურს წერტას.[3]) ამ ადგილს წერტას სახელი იმიტომ ჰრქმევია, რომ იქ ყოფილა მის თხათა სადგური. აქ სხვათა შორის ახალ გარემოებასა აქვს ადგილი: ვიღაც კერძო კაცი, არა ბერი და არა აზნაური, დიდი სიმდიდრის პატრონი ყოფილა. მაგრამ ამაზე მერე, როდესაც სოციალურ საკითხის გარჩევას შევუდგებით. ჯერ კი სრულიად ცხადად უნდა ჩავთვალოთ, რომ წვრილფეხა საქონლის მოშენება კლარჯეთში გავრცელებული ყოფილა და იქ, სადაც საძოვრები მონასტრებს ეკუთვნოდა, რასაკვირველია, ამითი ისარგებლებდნენ.

მაგრამ ეს უკანასკნელი ვარაუდი რომ სწორეც იყოს, მაინც ამ დარგში ბერების ენერგია და მათი შრომისა და სხეულის გვემის სურვილი ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა. უმთავრესად თავისი ენერგია მათ გამოუჩენიათ ბაღების და უმთავრესად ვენახების გაშენებაში, მისთვის წყლის არხებიც კი გაუყვანიათ. ამის შესახებ გრიგოლ მერჩულს მრავალი ცნობები აქვს და მართალია პროფ. მარი, როდესაც ის მის მიერ ნახულ საწნახელების და ბაღების ნაშთს იმ დროს მიაწერს. მოშენებული ვენახი გრიგოლ მერჩულს მოხსენებული აქვს თავის ნაწერის იმ ადგილში, სადაც სასწაულებზეა ლაპარაკი. მაგალითად, მას მოთხრო-

[1]) იქვე, გვ. იზ.

[2]) ივ. ჯავახიშვილი. ისტ. მიზ. წყ. მეთოდი და სხ. გვ. 52.

[3]) Г. Мерч. Ж. св. Гр. Ханлзт. გვ. ივ.

იქვე, გვ. პა.

ბილი აქვს, რომ ერთხელ ზაქარია რთველობის დროს მწიფე მტევნებს ქვეშ იჯდა და შენიშნა, რომ ყურძენს მაშვი სჭამდა. მაშვს პირჯვარი გადასწერა და ის მაშინვე მოკვდა. მერე ხელმეორედ გადასწერა პირჯვარი, და მაშვი ისევ გაცოცხლდა და გაფრინდა.[1]) მეორე შემთხვევა: ანჩის ვენახში გაჩნდა ორი ვეშაპი და მევენახენი შიშით გაექცნენ. ზაქარიამ ლოცვით დახოცა ისინი.[2]) რასაკვირველია, ჩვენი საქმე არ არის, ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ აიხსნება ეს სასწაული, ეს მსჯელობა ამ შემთხვევაში სრულიად უნაყოფო იქნებოდა. მაგრამ ის, რომ ამ სასწაულების აღწერაში ორივეჯერ ვენახებია მოხსენებული, უტყუარი ფაქტია. რა თქმა უნდა, ვენახები რომ არ ყოფილიყო, თვით სასწაულიც სხვა ჩარჩოებში მოთავსდებოდა. მესამე ადგილი, სადაც ვენახია დასახელებული, სასწაულთმოქმედების აღწერას არ შეიცავს. იქ გრიგოლ ხანძთელი მიჰმართავს ბერს ზენონს წინადადებით, შევიდეთ ვენახში, რომელიც ოპიზის გზაზე იმყოფებაო, რადგანაც რთველობის დრო იყოო. როგორც იქვეა ნათქვამი, ეს ვენახი კარგად შემუშავებული და მსხმოიარე ყოფილა[3]). ეტყობა, ვენახების მოშენება შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ ამ ადგილებზე, რადგანაც აქ სარწყავი წყაროები მოიპოვება და ხევებში კი, სადაც მთის მდინარეების გადმოგდება ხევების სიღრმიდან შეუძლებელია, ვენახების მოშენება შეუძლებელი ხდება. თვით მარის მოგზაურობასაც რომ ყურადღებით დავაკვირდეთ, მივხვდებით, რომ ჩვენ დროშიც ვენახები უფრო ამგვარ ალაგებზეა მოშენებული. რა თქმა უნდა, ამგვარ ვენახებს არ შეეძლოთ დიდი გავლენა მოეხდინათ საერთოდ კლარჯეთის ეკონომიურ ცხოვრებაზედ. ამგვარი მაღალი ტიპის კულტურა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც იგი გავრცელებულია ხშირ მოსახლეობაში, თუ უფრო წვრილ-წვრილი მიწათმფლობელობის პირობებია, ან არა და მაღალი ტექნიკის და მსხვილი წამოწყებითი კომერციულ მეურნეობის პირობებში, თუ მსხვილი მიწათ მფლობელობაა გავრცელებული. არც ერთი და არც მეორე მაშინ არ ყოფილა. მაშასადამე ამგვარ მეურნეობას მასსიური ხასიათი არ ექნებოდა. თუ რამე კულტურული მნიშვნელობა ექნებოდა ამ მეურნეობას, უმთავრესად საცდელ-საჩვენებელი, არც ტექნიკა და არც ორგანიზაცია აქ არ არსებობდა ისეთი, რომ ეს მაღალი კულტურა ძლიერ ფართოდ გავრცელებულიყო. ერთად ერთი იარაღი, რომელიც მოხსენებული აქვს გრიგოლ მერჩულს, არის წერაქვი, რომელიც ხანძთის მშენებლებს პიზიდან მიუღიათ მიწის დასაჟაქებლად მონასტრისათვის.[4]) შეიძლება ვიფიქროთ, რომ წერაქვივე იქნებოდა ბაღის დასამუშავებელი იარაღიც. ყოველ შემთხვევაში ბაღების არსებობა ჰმოწმობს, თუ რა დიდი კულტურული მუშაობა გაუწევიათ ბერებს. მაგრამ ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ პურის კულტურა არ ყოფილა მაშინ გავრცელებული. ჯერ ხომ ახლაც, როგორც ზემოდ გამოვარკვიეთ პროფ. მარის მოგზაურობის საფუძველზე, პურის მოსავალი კლარჯეთში ცოტაა და სუსტია,

1) იქვე, გვ. ჲე.

2) იქვე.

3) იქვე, გვ. ოდ.

4) იქვე, გვ. ია.

და მაშინ ხომ უარესი იქნებოდა. მართლაც გრიგოლ მერჩული სრულიად გადაჭრით გვამცნობს, რომ იმ ადგილებში, სადაც მონასტრები შენდებოდა [illegible] ყანები არც იყო და არც შეიძლება იყოს როდესმე. (იხ. შენ. 2 [illegible]) ამას გრიგოლ მერჩული თვით გრიგოლ ხანძთელის პირით გვეუბნება. მაგრამ ვნახოთ, იქნება იყო ადგილები, სადაც პურის მოსავალი მაინც იცოდა და საიდგანაც ბერებს მოჰქონდათ საჭმელად პური. ჯერ ერთი ბერებს თავის მონასტრებისათვის ვირებით მოჰქონდათ საჭირო სანოვაგე, უმთავრესად, ალბად, პური (იხ. შენ. 1. 212 გვ.) ეტყობა, დაბლობებში პურის მოსავალი ყოფილა. პურს მათ სამადლოდ, გლახაკთა განკითხვის სახით, აძლევდნენ დიდი მემამულე-ხელისუფლები. ამისათვის ბერები ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ იმის შესახებ, რომ შეძლებული ხალხი, განსაკუთრებით, ხელისუფლები, ვალდებული არიან მონასტრებს და ბერებს დახმარება გაუწიონ, რითიც კი შეუძლიანთ. [1]) ისინიც ფართო დახმარებას უწევენ: ხან სახლში მიიღებენ და აჭმევენ, ხან სანოვაგეს თან გაატანენ, ზოგი დიდძალ მამულებს უთმობს და ისეთს, რომლის დამუშავებაც უფრო მეტ ნაყოფს იძლევა. [2]) მიუხედავად აჩისა, ამნაირად სისტემატიური კვება შეუძლებელი იქნებოდა. ვირებით ზიდვა სანოვაგისა ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ დაბლობებიდან ბერებს სისტემატიურად უნდა ეზიდნათ სანოვაგე, ამისთვის კი სამაგიერო რამე უნდა თვითონაც წაეღოთ. აი სწორედ აქ იმყოფება მკვლევარი მძიმე მდგომარეობაში. გრიგოლ მერჩულს არც ერთი სიტყვით არა აქვს მოხსენებული ისეთი საქონელი, რომლის ბარში გაზიდვაც შესაძლებელი ყოფილიყო. ძალაუნებურად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას რომ ტყის და საძოვრების ექსპლოატაციის პირობებში გასაზიდი და გადასაცვლელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ცვილი, მატყლი, კუპრი, ბეწვეული და ამგვარი საქონელი. მით უმეტეს იძულებული ვართ ასე ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ დროს არაბეთში რუსეთიდანაც ეს საქონელი გაჰქონდათ და მას ძლიერ დიდი გასავალი ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე. გარდა ამისა, პირველ საუკუნეში, როდესაც მთელი საქართველო წარმოების ფორმების მხრივ იმგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიც იმყოფებოდა კლარჯეთი 9—10 საუკუნოებში, სტრაბონის სიტყვით, სწორედ ეს საქონელი მიჰქონდათ აქედან ბერძენ ვაჭრებს, გარდა მატყლისა და ბეწვეულისა. ხოლო რომ რამე საქონელი გროვდებოდა კლარჯეთის სხვადასხვა კუთხეებიდან არდანუჯში, ეს კი უდავოა, რადგანაც სრულად უტყუარი ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ არტანუჯს სწორედ ამ დროს სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა ჰქონდა. კონსტანტინე პორფიროგენის სიტყვით, ციხე არტანუჯი, ეს კარგად გამაგრებული ქალაქი, წარმოადგენს საოლქო ქალაქს და საქონელი ტრაპიზონიდან, ივერიიდან, ავარიიდან და მთელი სომხეთი და ასურეთიდან იქ გროვდება. ამათ იქ მიტანილი საქონლით დიდი ვაჭრობა ჰქონიათ ერთმა-

---

[1]) იქვე, passim.

[2]) იქვე, გვ. იზ. „ესე ვითარცა ესმა კურტპალატსა (რომ მონასტრის ადგილი ღრიღლოვანი და უნაყოფოა; გ. ნ.) შეწირნა ადგილნი კეთილნი... მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურატპალატისათა. ადარნასე და ბაგრატ და გუარამ შეწირეს თითოეულად, რაჲცა სახმარი მონასტერსა მისსა უხმდა".

ნეთში. [1]) ამ ცნობიდან შეიძლება გვეფიქრა, რომ არტანუჯი როგორც გეოგრაფიული ცენტრი, რომელზედაც გადიოდნენ გზები სხვადასხვა ქვეყნებიდან, თავის მდებარეობით სარგებლობდა და მხოლოდ სატრანზიტო წერტილი იყო, რომ ამ ვაჭრობაში თვით არტანუჯის მიდამოებს, კლარჯეთს, [illegible] მნიშვნელობა არ ჰქონია. მაგრამ კონსტანტინე პორფიროგენი კლარჯეთზე ასეთ ცნობას არ გვაძლევს. ის ამბობს, რომ ქალაქ არტანუჯის მიწა-წყალი დიდი და დოვლათიანიაო და წარმოადგენს ივერიის, აბაზგეთის და მესხეთის გასაღებსო. [2]), დავიხსომოთ ეს. მერე უფრო გამოგვადგება. ჯერ კი იძულებული ვართ ვიფიქროთ, რომ კლარჯეთს მართლაც რაღაცა მონაწილეობა ჰქონია ამ ვაჭრობაში და ამიტომ ბერებიც რასმე წვლილს გამოილებდნენ თავის მხრივ ამ ვაჭრობისათვის. იმის გადასაწყვეტად, თუ რა საქონელი უნდა გაზიდულიყო კლარჯეთიდან, კიდევ ერთი ცნობა გამოგვადგება. გრიგოლ მერჩულს აღნიშნული აქვს, რომ ბერებს ფართოდ უწარმოებიათ თავის მონასტრების გარშემო ტყის კაფვა არა მარტო შეშად, არამედ შენობებისათვისაც. მაგ. გრიგოლს პირველად ხის ეკლესია აუშენებია (იქვე გვ. ია) გრიგოლ მერჩულს მოთხრობილი აქვს შემდეგი სასწაული. ერთხელ ხანძთის ტყეში ბერები ხეებსა სჭრიდნენ და ძირსა ჰყრიდნენ. ამ დროს ერთი მოხუცებული ბერი გადიოდა იმ გზაზე, საითაც მოჭრილი ხეები ცვივოდნენ. ბერებმა სწორედ ამ დროს დააცურეს ერთი ხე, და მოხუცებულმა ბერმა ვერ გაასწრო მას. ის იყო დაცურებულ ხეს მოხუცი უნდა გაესრისნა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც ეს შეამჩნია, ღვთის ძალით შეაჩერა ეს ხე და მოხუცი ბერი სიკვდილს გადაარჩინა[3]).

ასეთი ორგანიზაცაულად მოწყობილი ხეების ჭრის დროს, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით მონასტრის წინამძღვარი, რომელიც „ადგილსა საჩინოსა“ იდგა ამ მუშაობის დროს, არ იქნება, ბერებს არ შეჰხვედროდათ ფუტკრებიანი ხე და იქიდან თაფლი არ ამოეღოთ, მით უმეტეს, რომ მონასტერს სანთელი აუცილებლად დასჭირდებოდა. ამნაირი პრიმიტიული მეფუტკრეობა ძლიერ გავრცელებული იყო თავის დროზე ყველგან, და დღესაც სვანეთში და ნაწილობრივ აფხაზეთში, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გამიგონია, მისდევენ მას: ფუტკრიან ხეს მოსჭრიან და წყალში ჩააგდებენ. როცა ფუტკარი დაიხოცება, თაფლს ფიშიანად გამოიღებენ, ხეს ხელ მოიხმარენ, თაფლს თაფლად და ფიჭას სანთლად.

ამას გარდა, რომ ნადირობა გავრცელებული ყოფილა კლარჯეთში, ეს უკვე დამტკიცებულად უნდა ჩავთვალოთ—არ ვიცით მხოლოდ, იყო თუ არა

---

[1]) „Крепость Ардануджъ сильно укрѣпленъ и имеетъ большую ограду как областной городъ И товары Трапезунта, Иверіи, Азарии и всей Арменіи и Сиріи стекаются туда и они имѣют большую таргoвлю этими товарами. (Соч. Константина Багрянороднаго. „О Θемах“ и „О народах, стр. 169. მომყავს რუსული თარგმანიდან, რადგანაც ბერძნული გამოცემა ხელთ არა მქონდა. ეს ადგილი მოხსენებული აქვს პროფ. ჯავახიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიაში).

[2]) „Область же и земля города Арданужда велика и обильна и является ключемъ Иверіи, Авагія и Месхіи“. (იქვე.)

[3]) Гр. Мерч. ж. Гр. Хандз. ქართ. ტექსტი, გვ. ნდ.

ბეწვიანი ნადირების ხოცვა და საზოგადოდ მოიპოვება თუ არა ამ ადგილებში ბეწვიანი ნადირები. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ბარში ირმის და საზოგადოდ ნადირის ხორცის ჩამოტანაც შეიძლებოდა. ამ შემთხვევაშიც უნდა ვიფიქროთ, რომ ნადირობის წინააღმდეგ ამხედრება ბერებისა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც მათ სხვა საქონელი ჰქონდათ. მაგ. მატყლი, ღვინო და სხ. (ღვინის ჩამოტანაც ხომ შეიძლებოდა ბარში გასაყიდად?).

ყოველ შემთხვევაში ყველა ეს მხოლოდ მოსაზრებებია. გასატანი საქონლის შესახებ სინამდვილით არა ვიცით რა. უდავო მხოლოდ ის არის, რომ რაღაც საქონელი ჩაჰქონდათ ბარში და იქ სცვლიდნენ საჭირო სანოვაგეზე. მერე არტანუჯში უცხოეთიდან მოსულ საქონელზე იცვლებოდა.

რაკი საერთო საბაზრო ცენტრისაკენ საქონლის გაზიდვას შევეხეთ, არ იქნება არ აღვნიშნოთ, რომ გარდა მონასტრებისა, კერძო პირნიც ბოლოს და ბოლოს, შეიძლება, არა ნაკლებ ეზიდებოდნენ საქონელს. მაგ. წერტას, რომელსაც მთელი ფარეხები ჰქონდა წვრილფეხა საქონლისათვის გამართული და მდიდარ კაცად ითვლებოდა, [1]) არ იქნება არ ეზიდნა მატყლი არტაუჯში. აგრეთვე მომავალი ეპისკოპოსი ზაქარია რომ კრავების მწყემსად იყო კლარჯეთში, (იხ. შენ. 3, 216 გვ.) იმის პატრონსაც არ იქნება არ ეზიდნა მატყლი. შემდეგ სხვა დ სხვა აზნაურები, მაგალითად, გაბრიელ დაფანჩული რომელსაც, როგორც ეტყობა, დიდი მეურნეობა ჰქონდა გაჩაღებული, თავის მეურნეობაში რასმე გასასყიდს გადაარჩენდა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ არ ვიცით, სახელდობრ, რას ჰყიდიდა ეს მდიდარი მემამულე. თვით მონადირეებიც, რომელთაც ბებერმა ირემი და თხები ხელიდან გამოაკალეს, როგორც ეტყობა, ყოველთვის თავის საკუთარი საჭიროებისათვის არ აწარმოებდნენ საქმეს. ეტყობა, ნადირობა იყო ერთ ერთი საშუალება დაუსახლებელი ტყის ექსპლოატაციისა მდიდარი მემამულეებისა და ზოგჯერ ხელისუფლების მხრივ, რაც ჩანს იქიდან, რომ მონადირეები თითოთითოდ, მარტო კი არ ნადირობდნენ, მრავალი მონადირე ერთად მიდიოდა სანადიროდ. სოფლები რომ ახლო მახლო ბლომად ყოფილიყვნენ, მაშინ შესაძლებელია, სოფლებს ეწარმოებინად ასეთი ორგანიზაციული ნადირობა. ხოლო რაკი სოფლები ძლიერ ცოტა იყო, ამისთანა ნადირობას უფრო დიდი მემამულე ან ხელისუფალი მოაწყობდა მონადირეების ჯგუფ-ჯგუფად დაგზავნით სხვა და სხვა კუთხეებში. ნანადირევი მათ სახლში მოუვიდოდათ და მერე არტანუჯში გაგზავნიდნენ, რომ უცხოეთიდან მოსული საქონლის ექვივალენტი რამე მათაც ჰქონოდათ. რომ გრიგოლ მერჩულის მიერ აღწერილი ნადირობა უბრალო ნადირობა არ იყო, იქიდან ჩანს, რომ ავტორის სიტყვით, ერთ შემთხვევაში ტყე მოცული ყოფილა მონადირეებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მონადირეთა მრავალთა მოემწყვდიათ, ოთხი თხა [2]).

აქედან ცხადი ხდება, რომ მონასტრებს, მიუხედავად მათი შედარებით მაღალი კულტურული მუშაობისა, ცენტრისათვის ნივთიერად ნაკლები უძლე-

[1]) იქვე, გვ. პა.
[2]) იქვე, გვ. იბ.

ვიათ, ვიდრე კერძო მემამულეებს და ხელისუფლებს, რომელნიც ბუნებრივად უფრო მეტად ყოფილან დაინტერესებულნი, რომ თავის სავაჭრო ცენტრში რაც შეიძლება მეტი დოვლათი მოეტანათ, ვინაიდგან ცენტრის ძლიერება იყო წყარო მათი ძლიერებისა.

მიუხედავად ყველა ამ მოსაზრებებისა და ცნობებისა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ იმ უგზო-უკვლობაში, იმ კარ-ჩაკეტილ ცხოვრებაში, იმ მოსახლეობის მხოლოდ კანტიკუნტად არსებობაში, რასაკვირველია, დიდი ვაჭრობა კლარჯეთში შეუძლებელი იყო. ამ მცირედ მიწოდებას საქონლისას ცენტრისათვის მხოლოდ იმ პირობებში შეეძლო მნიშვნელობა ჰქონოდა, როდესაც არაბებს წინა აზიის უმეტესი ნაწილი ხელში ეკავათ. არაბებს, მართალია, დიდი ვაჭრობა ჰქონდათ, მაგრამ იმ ქვეყნებში, რომელსაც ისინი ხელში იგდებდნენ, დოვლათის შოვნას და ბუნების ექსპლოატაციას ხალხზე ხარკის გაწერის სახით აწარმოებდნენ და ამიტომ კერძო ვაჭრობას ადგილობრივ მცხოვრებლებისას ძლიერ ზღუდავდნენ. ხოლო ამ ქვეყნებთან, რომელნიც დაპყრობილი არ ჰქონდათ, თავისუფლად ვაჭრობდნენ. ამ პირობებში საქართველოს მთავარი სავაჭრო გზა არაბებს ჰქონდათ ხელში და, თუ რომელიმე კუთხიდან საქონელი არაბების ხელს ასცდებოდა და წავიდოდა სხვა გზით, მაშინ იგი კლარჯეთზე და არტანუჯზე უნდა გაეტარებინათ. ამ დროს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მე-9-ე საუკუნეში არაბების ბატონობა იქამდის შესუსტდა საქართველოში, რომ გარდა ტფილისის მიდამოებისა, ტფილისის საამიროსი, დანარჩენებს ჰქონდათ საშუალება თავისი საქონელი თვითონ გაეტანათ გასასყიდად, მხოლოდ არა ტფილისზე, არამედ სხვა გზით. ერთი გზა იყო მაშინ ახალციხეზე, მეორე — ჯავახეთზე. ეს ორივე გზა ტფილისზე მიმავალ გზებს, რასაკვირველია, ვერ შეედრებოდა. საქართველოს ბუნებრივი გზა დახშული ჰქონდა, და კლარჯეთს კი საქართველოს ეკონომიური გაერთიანება არ შეეძლო იმდენად, რომ ამას გამოეწვია მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებისა. ამიტომაც იყო, რომ მთლიანი სახელმწიფოს არსებობა საქართველოშიც და თვით კლარჯეთშიც ჯერჯერობით შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს საკითხი დამოკიდებულია მიწათმფლობელობის და მასზედ აღმოცენებული სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობის საკითხზე. ამიტომ ჯერ მიწათმფლობელობის ფორმების საკითხი განვიხილოთ.

თუმცა ეს საკითხი წინად უნდა განგვეხილა, ვიდრე ეკონომიურ მდგომარეობის გარჩევას შევუდგებოდით, მაგრამ კლარჯეთის მიწათმფლობელობა და სოციალური ურთიერთობა იქამდის გაურკვეველი რამ არის, რომ წინად ამ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო. ეხლა კი, როდესაც ზოგიერთი რამ ვიცით ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, მიწათმფლობელობის და სოციალური ურთიერთობის ფორმების შესახებაც შესაძლებელი ხდება რამდენიმე მოსაზრება მოვიყვანოთ.

მიწათმფლობელობის ფორმების განხილვა დავიწყოთ ისევ მონასტრების ყოფა-ცხოვრების შესწავლით. ამისათვის ძლიერ გამოგვადგება, ასეთ წოდებული ოპიზის სიგელი, რომელიც, თანახმად ჩვენი საქართველოს ისტორიის

სპეციალისტების აზრისა, ერთად ერთი სიგელია კლარჯეთის დროისა, ჩვენ დრომდის მოღწეული და უკვე ნაპოვნი, თუმცა ეს სიგელი ეკუთვნის ბაგრატ მეოთხეს და ეხება მეთერთმეტე საუკ. (1027-1072), მაგრამ შიგ მოხსენებულია სიგელი, რომელიც დაწერილი ყოფილა გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, გურგენ მეფეთა მეფისა და ბაგრატ IV-ის პაპის ბაგრატ კურატპალატისა და გიორგი მეფისა. მაშასადამე ეს სიგელი ყოფილა შედგენილი სწორედ იმ დროს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს[1]). რას ვკითხულობთ ამ სიგელში? ოპიზის და მიჯნაძორის მონასტრებს შორის ატეხილა დავა მამულების შესახებ და ორივე მხარეს, გარდა ჩვეულებრივი თავისი საბრძოლველ იარაღისა—წმინდა ნაწილებისა და ხატებისა უფრო ბასრი იარაღიც მოუტანიათ თან—სიგელები ხელისუფლების სხვა და სხვა წარმომადგენლებისა, რომელთა სახელებიც ზემოდ ჩამოვთვალეთ. ბაგრატ მეოთხე დიდის ყურადღებით მოჰკიდებია ამ საქმეს, ვინაიდგან „უდაბნოებს“ შორის ბრძოლა არა სასურველი მაგალითი იქნებოდა ყველასათვის, ვინაიდგან, „უდაბნონი“ სიხარბის გამო ატეხილ ბრძოლისათვის კი არ არსებობდნენ, პირიქით, ,,მშვიდობისა და დაწყნარებისა და ჩვენ მეფეთა ლოცვისათვის‘‘, და ამიტომ ყოველი ღონე უღონია, რომ ეს დავა მშვიდობიანად გათავებულიყო და არც ერთი მხარე უკმაყოფილო არ დარჩენილიყო[2]). ამიტომ მას შეუკრებია მღვდელ-მოძღვარნი, ერისთავთ ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ხევთა აზნაურნი, საბჭოთა საქმეების მცოდნე პირნი და ამათთვის გაურჩევინებია საქმე, რასაკვირველია, თავის მონაწილეობით[3]). ცხადია, რომ ესეთი საგანგებო კრება განსაკუთრებულის გულმოდგინეობით განიხილავდა საქმეს და, სადაც რამ მცირეოდენი ხელმოსაკიდებელი იქნებოდა, არ გამოეპარებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმის გადაწყვეტა მეტის მეტად გაძნელებულა თუმცა მეტად გულმოდგინედ შეუსწავლიათ საქმე; წაუკითხავათ გულდასმით[4]) ორივე მხარის საბუთები, მოუსმენიათ, ორივე მხარის სიტყვიერი განცხადებებიც, მაგრამ საბუთების მიხედვით მაინც საქმის გადაწყვეტა ვერ გაუბედნიათ, ვინაიდგან ასე რომ გადაეწყვიტნათ, მიჯნაძორელებს ერგებოდათ მთელი სადავო მამული, ოპიზარნი კი სულ ცარიელზე დარჩებოდნენ[5]). რასა-

[1]) „მოიყვანეს მიჯნაძორელთა ხატნი წმინდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი და მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთ-ერისთავისა „გურგენ მეფეთა მეფისაჲ, პაპისა ჩვენისა ბაგრატ კურაპალატისაჲ და მამისა ჩუენისა გიორგი მეფისაჲ“. (ოპიზის სიგელი მეფის ბაგრატ IV-ისა 1027—1072. საქართველოს სიძველენი ტ. II. № 1. გვ. 1—3).

[2]) ჩუენ ესე შფოთი მათი გაუმძიმდა, რავდენ იგი წმინდანი უდაბნონი მშვიდობისა და დაწყნარებისა და ჩუენ მეფეთა ლოცვისათვის აღშენებულნი არიან. (იქვე).

[3]) „და გულსმიდგინა ღმერთმან და მადლმან მათ წმიდათამან და ჯელვყავ ხარკებით საურავსა მათსა, შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩვენისასა მღვდელთმოძღვარნი, ერისთავთ ერისთავნი, ერისთავნი“ და სხვ. (იქვე).

[4]) „დავსხენით წინაშე ჩვენსა და წავიკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი და, რომელი სიტყუის გებაი იყო მათ შორის, მოვისმინეთ“. (იქვე).

[5]) „სამართლად ასე გავიგონეთ, რომელ ჴელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს, და ჩუენგან მათი გატეხაი არა ჯერ იყო, და ხულთა მათ პირველთა მეფეთასა, არა დავამძიმებდით, და თუმცა ოპიზარნი უნუგეშისცემოდ გავუეშვნეს, იგინი შეწუხდებოდეს“. (იქვე).

კვირველია, მორწმუნე მეფეს და მის თანამხლებლებს ორივე მონასტრების წმინდა ნაწილებისა და ხატებისა ერთნაირად ეშინოდათ და ვინ იცის, რომელი მათგანის სიწმინდე უფრო დასძლევდა, მეფე რომ ერთ-ერთს მიემხრობოდა და ამის გამო ხატებს შორის ბრძოლა გამართულიყო? გაურკვევლობის და საქმის გადაწყვეტის სიძნელის მიზეზი ის იყო, რომ მიჯნაძორელების მიერ წარმოდგენილ სიგელებში გარკვეულად ყოფილა აღნიშნული ტყეები და საზღვრები იმ მამულებისა, რომელიც მათ ხელში ყოფილა, ხოლო ოპიზართა სიგელში კი ასეთი გარკვეულობა არ ყოფილა, და ამის გარდა, თვით ოპიზართა სიგელი არ ყოფილა მოხსენებული არც დამტკიცებულად და არც გადაგდებულად, როგორც ნათქვამია ბაგრატ IV-ის სიგელში [1]).

ამიტომ კრებულს ასე გადაუწყვეტია: მიჯნაძორელებისათვის დაუტოვებია, რაც მათ სიგელებში ყოფილა მოთავსებული, ხოლო ოპიზართათვის სულ ახალი მამულები მიუცია [2]).

ასეთი გადაწყვეტილება, როგორც ვთქვით, აიხსნება იმ გამოურკვევლობის გამო, რომელიც სიგელებში ყოფილა. როგორ მომხდარა, რომ ერთი მონასტრისათვის „კეთილმორწმუნე“ მეფეებს ყველაფერი მიუცია და მეორისათვის კი არაფერი? განა ამათ კი არ ეშინოდათ ბაგრატ მეოთხისავით, მეორე მონასტრის წმინდანებისა და ხატებისა? როგორ არ ეშინოდათ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პირველ ხანებში მონასტრები იკავებდნენ იმდენ მამულს, რამდენიც უნდოდათ, ვინაიდგან ცარიელი ადგილები აუარებელი იყო. კანონიერი მფლობელობა არ ყოფილა და ფაქტიური მფლობელობა კი დაახლოვებითაც ვერ ამოსწურავდა მთელ თავისუფალ ადგილ-მამულს. ამიტომაც პირველი მმართველები, როგორც უწინ, არ ნაღვლობდნენ, პირიქით, კიდევაც უხაროდათ, თუ ვინმე ახალ ადგილს დაიჭერდა და მის ექსპლოატაციაზე ზრუნვას დაიწყებდა, ისე რომ შემდეგ ადვილად, მხოლოდ სიტყვიერი განცხადებით, უმტკიცებდნენ ყველას, ვისაც რა მამული უნდოდა. ამიტომაც ბოლოს აღმოჩენილა, რომ მიჯნაძორელებს, რომელნიც უფრო თადარიგიანი ყოფილან, ფაქტიური მფლობელობის გარეშე მამულების შეძენაზედაც უზრუნვიათ და ყველაფერი ოგებიათ; ხოლო ოპიზარებს, როგორც უფრო დაუდევრებს, და ფაქტიური მფლობელობით კმაყოფილებს, მომავალზე არ უზრუნვიათ და არაფერი არ დარჩენიათ. დავა კი ატეხილა მაშინ, როდესაც აღმოჩენილა, რომ ფაქტიური მფლობელობა და კანონიერი ერთმანეთს არ უდრის და ამიტომ ოპიზელებს მეურნეობის გაფარ-

---

[1]) „იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძორისათუის დაემტკიცნეს, დაკრულობითა მოწმობა, დაწერილი გუარამ მამფალისაჲ, რომლითა მას ტყესა და ზღუარსა მიჯნაძორელთა, ერჩოდეს, და ამით მიჯნაძორისა სიგელთა შინა გუარამ მამფალის დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერია, არა ხსენებულ იყო არცა დამტკიცებულად, არცა გარდაგდებულად“. (იქვე)

[2]) ...ასრეთ განვაგე და დავამტკიცე: ტყენი და ზღუარნი ამათნი, ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სიგელთა შინა უწერიან, ნიშნით ზღვარნი: (ჩამოთვლილია საზღვრები) ასე ზღუარნი მტკიცენი არიან მიჯნაძორელთა ზედა, და ქედს ამერით არაიუც საქმე და სასარჩლოჲ ოპიზართა სალესველთა სათიბისაგან კიდე. და ამისდანაცულად რათამცა რათა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ სალოცველად სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებელისა ჩვენისაგან მარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ და გადავსწყვიდე მათ შორის საზიდი და სარჩელი“... (იქვე).

თოვება ველარ მოუხერხებიათ. ეს კი უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ცარიელი ადგილები ხალხით გავსებულა, ფაქტიური მფლობელობის და სარგებლობის შესაძლებლობა გაფართოებულა და მიჯნაძორელებს მოუსურვებიათ გადასახადების გაწერა იმ მოსახლეობაზე, რომელიც მათ სიგელებში მოხსენებულ ადგილებზე დასახლებულან და რომელიც ფაქტიური მფლობელების ძალით ოპიზის მონასტრის ბერებს სჭერიათ.

მაშასადამე მთავარი ძირითადი ფაქი, ამ სიგელში აღნიშნული, ის არის, რომ სამონასტრო მოძრაობის დასაწყისში გადამწყვეტი ყოფილა ფაქტიური მფლობელობა, ვინაიდგან საზღვრების აღნიშვნა საჭირო არა ყოფილა ცარიელი ადგილ-მამულის დიდი სიმრავლის გამო. ეს არის ძირითადი ფაქტი 9—10 საუკუნის ტაოკლარჯეთის მიწათმფლობელობისა საზოგადოდ. ამაში დავრწმუნდებით აგრეთვე სუმბათის ქრონიკის და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გადმოცემულ ცხოვრებითაც. ავიღოთ მაგალითად, აშოტ კურაპალატის გადმოსახლების ხანა. სუმბათის ქრონიკა გადმოგვცემს, რომ აშოტ-კურაპალატი რომ ქართლიდან წავიდა, ის საბერძნეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ, როდესაც ნახა ტაო-კლარჯეთი დაცარიელებული და დარწმუნდა, რომ აქ მამულს რამდენსაც გინდა, იმდენს დაიჭერ, და გარდა ამისა, ქვეყნის მდებარეობა ისეთია, რომ არაბების მოგერება ადვილ საქმეს წარმოადგენს, საბერძნეთის მეფესთან შეთანხმებით, აქ დარჩა და შეუდგა ქვეყნის მოწყობასა და მის მართვა გამგეობას. [1]) მთელი ის ტექსტი სუმბათის ქრონიკიდან, რომელიც ამ ამბავს ეხება, სწორედ ასე უნდა გავიგოთ, რაკი ჩვენ ვიცით უკვე, რომ აქ მოსახლეობა ძლიერ ცოტა იყო და თავისუფალი ადგილი ბევრი, ამიტომ ამ თავისუფალ ადგილის დაჭერაში მას არავინ წინააღმდეგობას არ გაუწევდა. ეს ადგილი ისე ითვლებოდა, როგორც ღვთის მიერ მოცემული, ამიტომ ეს მამული შემდეგ საგვარეულო მამული გახდა და აშოტის სიკვდილის შემდეგ იგი მისმა შვილებმა გაინაწილეს. [2]) რომ ეს არაჩვეულებრივი ხასიათი ახალი ხელისუფლების წარმოშობისა გასაგები იყოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ შავშეთ-ტაოკლარჯეთში არაბების მიერ ყველაზედ მეტად თვით არტანუჯი და მისი მიდამოები ყოფილა აკლებული, რაც ჩსანს იქიდან, რომ თვით არტანუჯი მიტოვებული და დაკარგული ყოფილა. აშოტ კურაპალატს ეს მთა უპოვნია და ზედ ციხე გაუკეთებია, გრიგოლ მერჩულის სიტყვით, თავის ცოლის საცხოვრებლად [3]), სუმბათის ქრონიკის მიხედვით, როგორც ციხე-სიმაგრე [4]). ამ ადგი

---

[1]) სამი ისტორიული ქრონიკა. თაყაიშვილის გამოცემა. „ცხოვრება და უწყება" სუმბატისა. გვ. 52. ამ ადგილის დასაწყისი უკვე ამოწერილია ზემოდ. (იხ. თ. II შენ. 2). შემდეგი: ხოლო და შთომილთა მათ მკვჳდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულით და სიყვარულითა, და დაემკვიდრა მუნ, და მისცა ღმერთმან გამარჯვება, და აჳელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. (იქვე).

[2]) არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამისა მათისა, და დასუეს და სხვ. (იქვე, გვ. 55.) ეს სიტყვები აშოტკურატპალატის შვილებზეა ნათქვამი.

[3]) ხელმწიფემან აშოტ კურატპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქვეყანანი და აღაშენაციხე არტანუჯისაჲ საცხოვრებელად დედუფლისა მეუღლისა თჳსისა. (Г. Мерч. Жит. Гр. Хандзт. ქართ. ტექსტი, გვ. 5გ.)

[4]) „პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასალნს ვახტანგს ციხედ აღეშენა, სახელით არდანუჯი, და აოჴრებულ იყო ბაღდადელისა—მის ყრუობითგან, იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი, და აღაშენა ციხესა—მას შინა ეკკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკვიდრა ციხესა—მას შინა ცხოვრებად"... (სამი ისტ. ქრ. გვ. 53)

ლის დაჭერაში, რასაკვირველია, არავინ არ წაეღავებოდა. მის ახლო-მახლო მიდამოებში სოფელი ძლიერ ცოტა ყოფილა. აშოტს ძველი სოფლებიც აღუდგენია ზოგი ახალი აუშენებია. რასაკვირველია, ეს ადვილი საქმე არ იყო. დაშინებული და დაფანტული ხალხი ამ ყველაზე საშიშ ადგილას, რომელიც ცენტრი იყო ამ მხარისა, ისე ადვილად აღარ მოვიდოდა. ამ პირობებში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ აშოტი ერთბაშად მისულიყოს იქ. როგორც ხელისუფალი, რომ მოსახლეობას ის მიეღოთ „უფლად“, ან „პატრონად“ [1]) თუ სხვა წყაროში ამის შესახებ არის რამე, ისეთ წყაროში, რომელიც ჩემთვის, როგორც არა სპეციალისტისათვის, ცნობილი არ არის, ეს არ ვიცი, თორემ სუმბატის ქრონიკაში და გრიგოლ მერჩულის ნაწერში არც „უფლობაზე“, არც „პატრონობაზე“ აშოტის შესახებ არაფერია ნათქვამი,

მართალია, იქ ნათქვამია, რომ ,,დაშთომილითა მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითაო‘‘, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ შეიწყნარეს, როგორც მათზედ უფლება-მოსილი მფლობელი. მთელ მაშინდელ კონიუნქტურას ეს სრულიად არ შეეფერება. აშოტი არ დასახლებულა აქ, როგორც ფეოდალი და ფეოდალიზმისა (პატრონობისა) ნატამალიც არა არის რა. პირიქით თვით აშოტს უნდა გაეწია მზრუნველობა იმათთვის, ვისაც ასახლებდა, და კარგი მეზობლობა იმათთვის, ვინც უკვე აქა ცხოვრობდა, რომ როგორმე დაშინებული ხალხი მოეზიდნა გაპარტახებულ ადგილებზე, მათგან კი ის ვერაფერ სამსახურს ვერ მოითხოვდა ჯერჯერობით. თუ ნათქვამია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებმა ,,შეიწყნარესო‘‘, ის შეუწყნარებიათ, როგორც კარგი და საიმედო მეზობელი, ძლიერი მეზობელი. მართალია აშოტი მალე ხელისუფალი გახდა, ,,ღმერთმა მისცა გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთის ზედა‘‘, როგორც ამბობს სუმბათის ქრონიკა, მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა, ეს არის შედეგი განვითარების პროცესისა, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ კლარჯეთის მცხოვრებლებმა, როგორც შემდეგში დავინახავთ, ძვირად დაუსვეს მას ეს მისი ,,ხელმწიფობა‘‘, ზედ საკურთხეველზე მოჰკლეს იგი [2]). მაგრამ ჯერ გზას ნუ ავუხვევთ, ჯერ მიწათმფლობელობაზე განვაგრძოთ საუბარი. აშოტი კლარჯეთის მოსახლეობისათვის ძლიერი კაცი იყო. ის დასახლდა დაცლილ ადგილებში და თან იქამდის ძლიერი რაზმი მოიყვანა, რომ ერთ ერთ ბრძოლაში მოულოდნელად თავს დასხმული არაბები დაამარცხა [3]) ამისთანა კაცის მეზობლად დასახლება და ისიც ცარიელ ადგილებში, მაშასადამე მეზობლების შეუწუხებლად, სასიამოვნო იქნებოდა. აშოტი ამგვარად გახდა მფლობელი დიდი მამულისა გაურკვეველი საზღვრებით, სადამდისაც მისი ძალა გასწვდებოდა, იმიტომ რომ თხლად დასახლებული, სრულიად

[1]) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I. ქუთაისი 1919 წ., გვ. 69.

[2]) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 54.

[3]) ქრონიკა მის რაზმს „კნინს“ ეძახის. მართლაც იგი კნინი იქნებოდა იმისთვის, რომ არაბები დაემარცხებინა, რის გამოც ქრონიკის ავტორს ეს გამარჯვება თითქმის სასწაულებრივ გამარჯვებად გამოჰყავს, მაგრამ დაქსაქსულ, დასუსტებულ შავშეთ-კლარჯელებისათვის ეს ძალაც კი დიდი და საიმედო რამ იყო.

დაქსაქსული და უორგანიზაციო მოსახლეობა სათითაოდ მას ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. პირველ ხანებში ეს არც იყო აუცილებელი. ჯერჯერობით თავისუფალი მიწები იმდენი იყო, რომ ოლონდ სამუშაო ძალა ჰყოფნოდა და მიწა არ შემოაკლდებოდა.

ერთად ერთი ცნობა, რომლის ახსნაც ამნაირად არ შეიძლება, ეს ის არის რომ აშოტს ზოგიერთი სოფელი ფასად უყიდნია [1]). მაგრამ სოფლების ყიდვა ფასად იმ პირობებში, რომელშიც აშოტი გადმოსახლებულა, ვერც იმ შემთხვევაში აიხსნება, თუ ფეოდალური წესწყობილების არსებობის აზრი მივიღეთ. გაუგებარი აქ უმთავრესად ის არის, რომ სოფლები ისედაც კანტიკუნტად იყო და ვინლა და სადღა იქნებოდა ამ სოფლის უზენაესი პატრონი, რომ მისგან სოფელი ეყიდნა? ეს სრულიად გაუგებარია და, უეჭველია, აქ ქრონიკის ავტორს რალაც შეცდომა აქვს დაშვებული ან, შეიძლება, ძველი, არაბთა შემოსვლის, წინა დროის ტრადიციით ამ სოფლებზე ნომინალურად ვინმე აცხადებდა პრეტენზიას და მის გასაჩუმებლად რომ ახლად გადმოსახლებულს არავინ გულნაკლული არ დაერჩინა თავიდანვე, რაიმე საფასური გაიღო. ხოლო ვინ უნდა ყოფილიყო ეს ნომინალური პატრონი, ამის თქმა შეუძლებელია, რადგანაც ისე ახლო არავინ ამგვარი არა ყოფილა, თავდაპირველად კი აშოტს მხოლოდ არტანუჯის ახლომახლო ტერიტორია დაუჭერია და მხოლოდ შემდეგ გაუფართოებია თავისი სოფლები ტერიტორიალურად. სოფლების და მათი შესყიდვის საკითხს შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით.

მაგრამ ყველაზე საუკეთესო მაგალითი იმისი, თუ როგორ იკავებდნენ იმ დროს მიწებს და ავრცელებდნენ თავის უფლებებს მიწებზე—მონასტრებია. როდესაც შატბერდის მონასტერი არსდებოდა, ეს არავინ არ იცოდა, გარდა ოპიზელთა, რომელთაც მონასტრის მშენებლებს დახმარება აღმოუჩინეს. შემდეგაც კაი ხანი გადის, ახალი მონასტრები შენდება. ესენი სადაც კი ხელი გაუწვდებათ, სარგებლობენ ტყით და მიწით, გაჰყავთ წყლები, აშენებენ ვენახებს და მხოლოდ შემდეგში მახლობელი აზნაური გაბრიელ დაფანჩული, ისიც შემთხვევით, როცა მას ბერები ესტუმრებიან, გაიგებს, რომ აქა და აქ ბერები დასახლებულანო[2]) არც სწყენია ეს გაბრიელ დაფანჩულს, ჩემ მეზობლად ადგილები სხვას რად დაუჭერიაო. პირიქით, მას დიდი დახმარება გაუწევია ბერებისათვის. ამას მარტო იმით ვერ ავხსნით, რომ ბერები არიანო და ჩემი სულის ცხონებისათვის ილოცებენო. მისი ნივთიერი ინტერესები რომ ამით შეზღუდულიყო, სულის ცხონება ადრე და მალე დაავიწყდებოდა. მაგრამ საქმე აქ იმაში არის, რომ სულის ცხონების შესაძლებლობას მიუვალ ტყეში და მთებზედ ახალი ადგილების დამუშავება უფროც ხელს შეუწყობდა, ვინაიდგან ის ადგილები, სადაც აქამდის მხოლოდ მხეცები ღმუოდნენ, ახლა დამუშავდებოდა და ქვეყანას სარგებლობა მიეცემოდა. გაბრიელ დაფანჩული თავის დროისათვის გაგებული კაცი ყოფილა და ესეც ალბად ესმოდა, რომ მონასტრის აშენებაში ბერებს დიდი დახმარება გაუწია.

---

[1]) მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა და ზოგი ოჳერი ალაშენა. (იქვე, გვ. 52).

[2]) მიიწია ნებითა ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა.

საგულისხმოა ისიც რომ დაფანჩულიც მაშინვე კი არ ატყობინებს არდანუჯის მფლობელს. ალბად ეს მისთვის საზიანოდ არ მიაჩნია. ამას გარდა თვით დაფანჩული სრულიად დამოუკიდებლად მოქმედობს და არაფერს არ ჰკითხავს კურაპალატს. მისივე მოქმედება ისეთივე ხასიათისაა, როგორც შემდეგში თვით კურაპალატისა. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ კურაპალატი გაიგებს ამბავს მონასტრების დაარსებისას, და გაიმართება მისვლა-მოსვლა, თათბირი, შესაწირავის გაცემა. დაფანჩულს რომ მამული „წყალობის“ სახით ჰქონოდა ალებული, ან შემდეგ ამგვარ მამულად გადაქცეულიყო, ის ასე ვერ მოიქცეოდა. ეს კი აუცილებელია ფეოდალურ დამოკიდებულებისათვის. აქედან სრულიად ცხადია, რომ ახალი მამულის დაჭერა იქ ყველას შეეძლო, შეეძლო აგრეთვე თავის მიერ ადგილმამულის ექსპლოატაცია გაევრცელებინა, სადამდისაც კი შესძლებდა. თავის თავად ცხადია, რომ თუ იქამდის გაავრცელებდა თავის ექსპლოატაციას, რომ სხვა მფლობელს შეხვდებოდა, იქ იგი ბუნებრივად შეჩერდებოდა, მაგრამ იმ დროს ეს იშვიათი შემთხვევა იყო. გაბრიელ დაფანჩულის საკითხს კიდევ დავუბრუნდებით. თვით კერძო მფლობელებიც, როგორც ეტყობა, ისევე ცხოვრობდნენ. ვის სად ჰქონდა ბინა, რით ირჩენდა თავს და სად რას აკეთებდა, არავის ეკითხებოდა. მაგალითად, შატბერდის ახლოს უცხოვრია ერთ მდაბიო კაცს, რომელსაც დიდი მონაგები შეუძენია. ამ კაცის ამბავი შატბერდელებს მაშინ შეუტყვიათ, როდესაც მის ცოლს განკურნება დასჭირებია. მანამდინ მათ უცხოვრიათ „სიხარულსა შინა“. მაშასადამე არავინ არ აწუხებდა არც ბატონობით, არც სამსახურით, არც მამულისათვის დავით. თვით წერტას „თხების სადგომი“ განა იგივე არ არის? წერტაც მდიდარი კაცი ყოფილა. თვითონ როგორც მოხსენებული იყო, ანჭკორის მცხოვრები ყოფილა და სრულიად დამშვიდებით გაუკეთებია „თხის სადგომები“ სადღაც მიუვალ ადგილას. მხოლოდ მონასტრის დაარსების შემდეგ ბერებს მიუგნიათ ამ ადგილისათვის, რომელსაც სახელიც კი თვით წერტასი დარქმევია. თვით გაბრიელ დაფანჩულიც სრულიად განმარტოვებით ცხოვრობს, თავის მამულის სრული მბრძანებელია და მხოლოდ მდიდარი და ძლიერია, იმიტომ რომ აზნაურია. თუ რას ნიშნავს ეს, ამაზე შემდეგ. ხოლ თუ დაფანჩული „მეფეს“ ეახლება და ემსახურება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეკუთვნის იმ წრეთ, რომელთაც აშოტი „შეიწყნარეს“, ესმის მნიშვნელობა შავშეთ-კლარჯეთის მფლობელების ძლიერებისა და შეგნებით ხელს უწყობს მას. ის ნება-ყოფლობით ემსახურება კურატპალატს, არავითარი მორჩილებითი ურთიერთობა მათ შორის არ არის. ყოველ შემთხვევაში ნივთიერად ის სრულიად არ არის არავისგან დამოკიდებული, რასაც ზემოდ მოყვანილი მაგალითიც მოწმობს. ძალაუნებურად უნდა ვიფიქროთ, რომ ტყეებში „ადგილ-ადგილ“ რომ ცხოვრობდა ხალხი, ცალკე ოჯახებად და გვარებად თუ ცხოვრობდნენ. მით უმეტეს, რომ გიორგი მერჩულს დასაწყისში სოფლები თითქმის არა აქვს მოხსენებული, სოფლებზე ის მხოლოდ შემდეგ ლაპარაკობს, ამიტომ ვამბობთ, რომ ეს ხანა არის ხანა მიწის თავისუფლად დაჭერისა, საგვარეულო, ან საოჯახო სამფლობელოდ, სამამულოდ, ანუ ისე, როგორც რუსეთში იყო, „вотчинное владение“, იმგვარად. ესე იგი იმ დროს

დიდძალი მიწები იყო და არავის მიერ არ ითვლებოდა მიცემულად წყალობის სახით, და პირველ ხანებში ამ ნიადაგზე არავითარი დამოკიდებული ურთიერთობა არც იქნებოდა და არც ყოფილა. ეს ფორმა მიწათმფლობელობისა სრულიად შეეფერება იმ დროინდელ მეტის მეტად ექსტენსიურ ფორმებს მეურნეობისას, როდესაც სახნავი მიწა ჩვეულებრივ არ არსებობდა, ხალხი მხალით, ტყის ნაყოფით და ნადირით იკვებებოდა და მხოლოდ მეცხვარეობა და მეთხეობა იყო შემოსავლიანი დარგი მეურნეობისა. ძნელი დასაჯერებელია ჩვენთვის, როდესაც ვიცით ისტორია ევროპის სამონასტრო მოძრაობისა, რომ საჭმელ-სასმელის სიცოტავე და მეტის მეტი სიმარტივე (მხალი, ტყის ხილი, პური მეტად ცოტა, ღვინო ძლიერ ცოტა) მარტო მონასტრის მცხოვრებლების ხვედრი ყოფილიყოს და აიხსნებოდეს სარწმუნოებრივი თავშეკავებით, მარხულობით; მით უმეტეს, რომ, როდესაც იგივე ბერები და თვით გრიგოლ ხანძთელიც გაბრიელ დაფანჩულთან ან კურაპალატთან და მის შვილებთან მიდიან, ისინი კარგად უმასპინძლდებიან და ამ მასპინძლობაზე ბერები უარს არ ამბობენ. პირიქით დიდ სიამოვნებას ეძლევიან ასეთ გულუხვ მასპინძლებთან ყოფნის დროს [1]. როდესაც ამ ძვირფას სტუმრებს გამოეთხოვებიან, გულუხვი მასპინძლები თან ატანენ მათ „მრავალ კეთილსა“, და ეს ბერებს სრულიად არ აგდებს უხერხულ მდგომარეობაში. ეს „ყოველი კეთილი“ მათ მიაქვთ მონასტერში და „განიხარებენ ფრიად“ [2]. ამას გარდა, მარაგის დაგროვების თადარიგი ბერებმა კარგათ იცოდნენ და უყვარდათ კიდეც. ალბად ამიტომ გააშენეს მათ ვენახები და კარგადაც უვლიდნენ მათ. ის, რომ პირველ ხანებში მათ ჰქონდათ მხოლოდ იმდენი საჭმელი, რაც ერთ ჭამაზე იყო სამყოფი [3], ეს ძალაუნებური იყო და კულტურის და მეურნეობის განსაკუთრებულ, სახელდობრ ელემენტურ საფეხურის მკაფიო დამახასიათებელია. შემდეგში ჩვენ სულ სხვას ვხედავთ: საოსტიგნოში ბერებისათვის მუდამ საჭმელი მზადდებოდა [4], და ამას, რასაკვირველია, ესაჭიროებოდა თავისი თადარიგი და ორგანიზაცია მარაგის დამზადებისა, რომელიმე მეთაურს თუ მოეპრიანებოდა, იმ ისთვის განსაკუთრებული ცხელი საჭ-

[1]) ვითარცა ესმა მისვლაჲ ამის ნეტარისაჲ. აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ. აზნაური მეფისაჲ და თაყვანი სცა სიხარულით და ჰამბორს უყოფდა წადიერად კელთა მისთა წმიდასა მას და წარყვანა პატივით სახედ თჳსსა და მრავალთა დღეთა განუსვენა. (იქვე, იგ).

[2]) ღვთის მოყვარჱ მეუღლჱ მისი (გაბრიელისა) მარიამ სარწმუნოებით მიეგება მამასა ჩვენსა გრიგოლს და ჯეროვანად პატივ სცა და მრ ავლითა კეთილითა განუტევა და თანა კაცნი წარმოიყვანა შესასწავლად დარქვა. „წმიდაო მამაო, ამათ კაცთა ასწავე გზაჲ მონასტრისა შენისაჲ. და სალუაწი სულიერთა შვილთა შენთაჲ უზრუნველ იყოს შენგან. რამეთუ არა დაგაკლდეს სახლისაგან ჩუენისა“ (იქვე).

„მრავალისა კეთილისა და ნაყოფითა სავსჱ მოვიდა (მოციქული) ხანძთად“ (იქვე, იზ)

[3]) სენაკთა მათთა შინა იყო მცირჱ სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჳს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი კორცთაჲ არაჲ აქუნდა საჭამადისაჲ და სასუამადისაჲ ყოვლადვე. არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბაშად ჭამიან... და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღვინოსა ყოვლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს. მცირედ იკუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არ აქუნდა. რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა. და არცა ღამჱ სანთელი აღანთიან. (იქვე, კა).

[4]) იქვე, ვვ, პბ.

მელიც მზადდებოდა, თუ იმ დღეს ამგვარი საჭმელი საოსტიგნოში არ იყო, როგორც ჩვენ ვიცით გიორგი მერჩულის ნაწარმოებიდან ავადმყოფი მოძღვარის ბასილის მაგალითიდან [1]). საერთოდ ეჭვი არ არის, რომ მხალის ჭამა საჭმელად, მარაგი მხოლოდ ერთი ჯერისათვის, უცეცხლობა, უსანთლობა — ყველა ეს განსაკუთრებული მეურნეობის კულტურული საფეხურის დამახასიათებელია. ამისთანა გაჭირების ცხოვრება ძნელი ასატანი იყო დიახაც, ვიდრე რიგიანი პირობები დამყარდებოდა. აკი ამიტომაც ზოგიერთ მათგანს ვერ გაუძლია და აფხაზეთში გაქცეულა, რომ იქ დაეარსებიათ მონასტერი, უფრო ადვილ და ხელსაყრელ პირობებში. თუმცა გრიგოლ მერჩული ამ ბერების გაპარვას ისე ხსნის, როგორც „სალმრთო შურს მონასტრის შენებისას“, მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, რა საჭირო იყო მაშინ გაპარვა? [2]) ან არა და, როდესაც გრიგოლ ხანძთელი მათ საძებნელად წავიდა და აფხაზეთში მივიდა, აფხაზთა მეფე რად უმალავდა მას ბერების იქ ყოფნას? [3]) ან, როდესაც აფხაზთა მეფე იძულებული იყო გამოეჩინა დამალული ბერები, რათ ტიროდნენ გაქცეული ბერები გრიგოლ ხანძთელის წინაშე, თუ ცოდვა არ მიუძღოდათ? [4]) შერიგების შემდეგ თვით აფხაზთა მეფესთან საუბარში გრიგოლ ხანძთელი არკვევს შეხედულებას მონასტრების როლსა და დიდმნიშვნელოვანებაზედ. აფხაზთა მეფის წინადადებაზედ, რათა მას აფხაზეთშიაც დაეარსებინა მონასტრები, გრიგოლ ხანძთელი უარს ამბობს და თავის უარს ასაბუთებს იმით, რომ აფხაზეთში არ არის შესაფერი პირობები სამონასტრო მოღვაწეობისათვის, ვინაიდან „ტალანტი მონზონისაჲ მარხვაჲ არს“. ალბათ აფხაზეთში ისეთი პირობები ყოფილა, რომ ნამდვილი ასკეტური ცხოვრება აქ შეუძლებელი ყოფილა, ესე იგი უფრო კულტურული პირობები ყოფილა და ბერებს მარხულობა აქ არ დასჭირდებოდათ, პირიქით იქ ისინი დიდი განცხრომით იქნებოდნენ [5]). რაც შეეხება იმას, რომ აფხაზეთში არ არის ისეთი სალი ადგილები, როგორც კლარჯეთში, ესეც საბუთია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქ ორი სამონასტრო სისტემაა ერთმანეთს დაპირისპირებული: ნამდვილი ასკეტური (პირველი ხანა სამონასტრო მოძრაობისა, რომელიც ჩვეულებრივ უკულტურობის და ბუნებასთან ბრძოლის მძიმე პირობებში

---

[1]) „შვილო გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საჭმელი კორკოტისაჲ მომართუ“. და მაშინ არა ებბო. სწუაჲ შევაგბე და მივართჳ. (იქვე).

[2]) „თედორეს და ქრისტეფორეს აქუნდა გულსა მათსა სალმრთოჲ შური მონასტრისა შენებისაჲ და არაჲ გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვაჲ მათი. არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს. და თანაძმანიცა ვინმე წარჰყვეს (იქვე, გვ. კბ.)

[3]) „ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქვა: არა მოსრულ არიან აქა ეგე ვითარნი მონაზონნი. რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი“. მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყუასა ზედა მეფისასა გარნისხნა და ჰრქვა: მეფეო ნუ შრომასა შემამთხუევ. მომცენ ძმანი ჩემნი. რომელნიც მოიწინეს შენდა“.

[4]) და ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ. შეუვრდეს ცრემლითა. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყვარულითა და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათვის (იქვე კგ).

[5]) „არა არს მიწაჲ. არცა წყალი ქუეყანასა ამას. სდამეც მონასტერი ალაშენა. რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს. და ამასა მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა“ (იქვე, კგ.)

მიმდინარეობს) და გავლენით, სიმდიდრით და პატივით სარგებლობისა. აფხაზთა მეფემ ეს განსხვავება ფაქტიურადაც დაამტკიცა იმით, რომ, როდესაც კლარჯეთის ბერები გაისტუმრა, მათ მისცა ათი ათასი დრამა, რაც იმათ, ალბად, არასოდეს თვალითაც არ ენახათ[1]).

შემდეგშიაც, როდესაც კლარჯეთში დაიბადა აზრი მონასტრების და ეკლესიების გაერთიანებისა და ეპისკოპოზის ამორჩევისა, როდესაც მონასტრები გამდიდრდნენ და დიდი სახელმწიფოებრივი გავლენა მოიპოვეს, გრიგოლ ხანძთელი თავის ასკეტური სისტემის ერთგული დარჩა და ეპისკოპოსობა არ ისურვა,[2]) მიუხედავად იმისა, რომ უპირველეს ყოვლისა ის იყო ამ ხარისხის ღირსი. ძველ ასკეტიურ სისტემას უფრო ზნეობრივი გავლენის ნიადაგზე მორჩილობა ახასიათებდა და გრიგოლმა ისევ ეს ზნეობრივი გავლენა ამჯობინა და ხელისუფლებითი გავლენა—ეპისკოპოსობა—სხვას დაუთმო.

ამგვარად ცხადია, რომ შევიწროებული ცხოვრება ბერებისა მარტო მარხულობის სურვილით არ აიხსნება, თვით მარხულობის, ასკეტიზმის სისტემა დოვლათის ნაკლებულობისა და კულტურულ მოთხოვნილებათა სიუბადრუკეზეა დამყარებული. ისე რომ იმ დროს ყოველი ღარიბი კაცი (მდაბიო, როგორც იხსენიებს ცხოვრება) ისევე ცხოვრობდა როგორც მონასტრის ბერები. არც იმათ ჰქონიათ სხვა რამე საცხოვრებელი, გარდა ხილისა და მხალისა, არც სანთელი და შეიძლება სახლში ცეცხლიც. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. პირველ ხანებში კლარჯეთის მდაბიოებს არც მუდმივი ბინა ექნებოდათ და ის სოფელი, რომელიც ცხოვრებაშია მოხსენებული, ჩვენი დროის სოფელს ძლიერ ნაკლებადა ჰგავდა. საქმე იმაში არის, რომ მეურნეობის იმ პირობებში, რომელიც ჩვენ გამოვარკვიეთ, მუდმივი მკვიდრი ბინადრობა იშვიათი მოვლენაა. ტყის ექსპლოატაცია, მხალის კრეფა, ცხვარი, თხა—ყველა ეს აიძულებს კაცს მუდამ ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდეს და, რასაკვირველია, ამ პირობებში მკვიდრი სოფლები არ იქნებოდა. თვით პურის მოყვანაც, რამდენადაც იგი შემოღებული იყო ამ დროს, არ ამაგრებდა კაცს ერთ ადგილზე. ამის ასახსნელად მოვიგონოთ ერთი გარემოება, როდესაც ხელისუფლებმა გაიგეს, რომ მონასტრებს სახნავ-სათესი მიწა არა აქვთ, აუარებელი მიწები აჩუქეს. თვით ოპიზის სიგელში დასახელებული მამულებიც იმდენია, რომ მათ დამუშავებას, რასაკვირველია, ბერები ვერ მოახერხებენ. პურის მოსაყვანად დიდი მიწები იყო საჭირო. მიზეზი იმისა ორნაირი შეიძლება მხოლოდ იყოს. პირველი: პურის თესვა კლარჯეთის პირობებში მხოლოდ აქა-იქ ნაჭერ-ნაჭერ შეიძლება, რადგანაც ვაკე მინდვრები არ არის. მაშასადამე ტყეში უნდა მოეხნათ და დაეთესათ. მეორე: თესვა ფრიალოებზე და კლდეებზე არ შეიძლებოდა. ტყე უნდა გაეკაფათ და ახო აელოთ. ახოს აღების დროს კი ჩვეულებრივ მინდორს ხშირად იცვლიან, რადგანაც ამ ხანაში ჩვეულებრივ მიწის დამუშავების ტეხნიკა განუვი-

[1]) „მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა ალავსნა (იქვე).

[2]) მრავალ გზის ჟამისა კელმწიფეთა განიზრახჳს დამტკიცებით ამის ნეტარისა (გრიგოლზეა გ. ნ.) ეპისკოპოსობაჲ და ფრიადითა შრომითა აწყინეს: რაჲთამცა დაემორჩილა: ხოლო მან არ ინება დიდებაჲ ესე ვითარი და გულისხმა ყყო მათ განმარტებულად. ვითარმედ „მსოფლიოთა მათ წმიდათა საყდართა არა უპრწემეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკკლესიანი.“ (იქვე, გვ. მ.)

თარებელია და ალებული ახო ზედიზედ სათესად დიდხანს ვერ ვარგობს. მსოფლიო ისტორია გამოუკლებლივ ყველგან და ყოველთვის ასეთ სურათს გვიშლის თვალწინ. სამწუხაროდ, საბუთების უქონლობის გამო გადაჭრით ვერ ვიტყვით და ვერ დავასაბუთებთ ამას საქართველოს ისტორიის ტაოკლარჯეთის ხანის შესახებ. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი საბუთი კი გვაქვს იმისი, რომ აქაც სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ, გარდა იმ საერთო კულტურულ ჩამოქვეითების სურათისა, რომელსაც თვალწინ გვიშლის როგორც სუმბატის ქრონიკა, ისე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება შავშეთ-კლარჯეთის 9—10 საუკუნოების პირველ პერიოდში, ეს წყაროები გვაძლევენ დაახლოვებით ტეხნიკურ ჩამორჩენილობის სურათსაც. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ორი ადგილია, რომელიც, თუ ყურადღებით ჩავაკვირდებით, შავშეთ-კლარჯეთში მიწის დამუშავების ტეხნიკის განვითარების პროცესს ახასიათებს. როდესაც ოპიზის წარმომადგენელი პირველად აცნობებს შავშეთ-კლარჯეთის ხელისუფალთ ახლად აშენებული მონასტრების მდგომარეობას, ის ამბობს მხოლოდ მიწის თესვაზე და მიწის ხვნაზე ხმას არ იღებს.[1] შემდეგში კი, როდესაც სამონასტრო მოძრაობა განვითარებულია და მონასტრების მეურნეობა ბევრად უფრო მაგრად სდგას ფეხზე, გრიგოლ ხანძთელი აფხაზთა მეფეს უამბობს მონასტრების ამბავს და, როდესაც პურის მოყვანაზე ლაპარაკობს, ამბობს: სახნავ-სათეს მიწებზე და არა მარტო სათესზე.[2] აქედან უნდა ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ პირველ ხანებში ხვნა არ ყოფილა, ისე უთესიათ. ალბად ან წერაქვით, ან ბარით, ან თოხით თუ სთოხნიდნენ, როგორც ჩვეულებრივ ახოს ალების წესის დროსა ხდება ხოლმე, შემდეგში კი ხვნაც შემოუღიათ.

ერთი და იგივე ავტორი ერთსა და იმავე აზრს ორი ერთი და იმავე მონასტრის ბერის პირით გადმოგვცემს თითქმის სტერეოტიპიული ზედმიწევნილობით და იმავე დროს ერთ შემთხვევაში მხოლოდ თესვას ასახელებს, მეორეში ხვნასაც. თესვის წინ ხვნა აუცილებელი არ არის და ხვნის შემდეგ თესვა კი აუცილებელია. შეუძლებელია, რომ ეს განსხვავება შემთხვევითი იყოს. შეიძლება, თვით მერჩული არც კი დაჰფიქრებია ამ განსხვავების მიზეზს, და იმ წყაროდან, რომლითაც ის სარგებლობდა, ვინაიდან სამონასტრო მოძრაობის დასაწყისის ასაწერად იმას რაიმე წყაროები უნდა ჰქონოდა, პირდაპირ გადმოუღია ეს სიტყვა. მით უფრო მნიშვნელოვანია იგი, და მით უფრო სწორია ჩვენი მოსაზრება. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ჩვენ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს აძლევს. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხრობილია ამბავი გრიგოლ ხანძთელის მოკვლის განზრახვის შესახებ და აღნიშნულია, რომ მკვლელობის მსურველმა დაიქირავა მკვლელად ერთი ღარიბი და კარგი მოისრე კაცი

[1]) „ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქვეყანაჲ რაჲთ-ურთით არა არს-არცა იქნების... ღირდლოვან თა მათ ფიცხელთა მწურვალთა ლადოთაჲსა“. (იქვე, იზ.) ეს ადგილი უკვე ამოწერილი გვქონდა, მაგრამ მას აქ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ვიმეორებთ.

[2]) „მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ საკნავი“ (იქვე, გვ. კდ).

და მოისყიდა იგი „სამი გრივი ფეტვით და ხუთი თხით“. [1]) რატომ ფეტვით და არა პურით? ალბად ღარიბ ხალხში პურის მოყვანა ისე იშვიათი ყოფილა, რომ საფასურად პური კი არა, ფეტვი ითვლებოდა. ფეტვის მოყვანა კი მიწის საფუძვლიან მოხვნას არ საჭიროებს და უფრო პატარ-პატარა ნაკვეთებზე ითესება და არა დიდ მინდვრებზე. სწორედ ახოს ალების და ზერელე მიწის დამუშავების პირობას ფეტვი უფრო შეეფერება, ვიდრე პური. ამას ამოწმებს რუსეთის ისტორიაც, საიდანაც ვიცით, რომ ახოს ალების და სატყეო მეურნეობის ხანაში სწორედ ფეტვი ითესებოდა. (Покровский т. I. стр. 14). თუმცა ამ დროს ბერებს და აზნაურებს უკვე პური ჰქონდათ, მაგრამ მდაბიო და ღარიბი ხალხი ბუნებრივად უფრო ჩამორჩენილ მეურნეობას აწარმოებდა. ისე რომ, ახოს ალება და ზერელედ დამუშავება მიწისა უნდა დამახასიათებლად ჩავთვალოთ შავშეთ-კლარჯეთის ისტორიის პირველი პერიოდისათვის. ეს არის ტიპიური ექსტენსიური მეურნეობა, რომელიც სრულად შეეფერება სურათს მოსახლეობის სიმცირისას და ადგილ-მამულის გაუტეხლობისას, რომელიც ზედმიწევნით დასურათებულია წყაროებში.

რამოდენადმე ამის მაგვარ სურათს წარმოადგენს დიდი აბულასატის მეურნეობაც. იმასაც დიდი მამული აქვს, მაგრამ პურის ყანები ერთ ადგილზე არ აქვს, რაც სჩანს იქიდან, რომ მკის დროს გუნათლეში თავის ცოლსა სტოვებს, რათა მან აწარმოოს ზედამხედველობა, თანახმად ქმრის დირექტივებისა, თვითონ კი „სხვა ქუეყანად“ მიდის, ალბად, ისიც ამგვარი საქმის მოსაგვარებლად.

ამგვარად მიწით სარგებლობა ორგვარია. ზოგია მსხვილი სამეურნეო ორგანიზაცია—მონასტრების, აზნაურების, მაგალითად დათანჩულის, აბულასადის მეურნეობა—ზოგი კი წვრილი, რომელსაც მდაბიო ხალხი აწარმოებს: ეს უკანასკნელნი ძლიერ გაჭირვებულნი არიან, გარდა თითო-ოროლა გამონაკლისისა. მკვიდრი ბინები საზოგადოდ აქვს მონასტრებს და აზნაურებს, რომელთა განკარგულებაშიც დიდი მამულია, მაგრამ ამათ სახლში შინაყმანი ჰყავთ, რომელთაც აქეთ იქით ჰგზავნიან სხვადასხვა მინდობილობით და ასე ახდენენ თავისუფალი ადგილ-მამულის ექსპლოატაციას. ამათი ნამუშევარი მათ სასახლეში იყრის თავს და ესენი თავს იქ ირჩენენ, როგორც თვით მემამულის ოჯახი, და მისი შინაყმანი. როდესაც შინაყმების ძალა არ ჰყოფნის საქმეს, მაშინ სხვა შემთხვევითი მუშები მოჰყავთ იმ წრეებიდან, რომელთაც ცხოვრება „გლახაკთ“ უწოდებს, რომელთა რიცხვშიც ბერებიც შედიან. [2])

ყველა ეს პირობები სრულიად არ ახასიათებს არაფრით ფეოდალურ წესწყობილებას. მაინც და მაინც თუ ევროპის ისტორიის შესატყვის საფეხურის ძებნას დავიწყებთ, ეს უფრო ფეოდალიზმის წინა დროს შეეფერება, როდესაც ახლად დაიწყო მსხვილი მიწადმფლობელობის განვითარება თემური წესწყობილების დარღვევის შემდეგ და როდესაც ხალხი ჯერ კიდევ გადასახლების პროცესში იყო, რის გამოც ალაგ-ალაგ მოსახლეობა ძლიერ თხლად იყო დასახლებული. (ფრანკთა მონარქიის დაარსების პროცესის დასაწყისი, ან მე-9 საუკუნის შვაბია, ბავარია, ტიურინგია და საქსონია) აქაც, როგორც კლარჯეთში, დამახასიათებელია მიწის დაჭერა და არა შეწყალება, როგორც საფუძველი მიწათმფლობელობისა, გამოურკვეველი ანუ არეული, პირვანდელი ფორმები მეურნეობისა და მოსახლეობის სითხელე.

[1]) მოუწოდა ერის-კაცსა ანჩელსა. ღარიბსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა. და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტვ (ხაზგასმულია ჩემია გ. ნ.) და ხუთნი თხანი“ (იქვე, ‡გ).

[2]) იხ. იქვე გვ. ნა. ეპიფანეს სასწაული აბულასადას ყანის მკის დროს.

ქ. გორდელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპინოზას მატერიალიზმი

## 1. შესავალი

ჩვენ გვინდა სპინოზას ღრმად მოფიქრებული და ჩინებულად აშენებული მონისტური სისტემა განვიხილოთ და მასთან ერთად ის იდეალისტური ინტერპრეტატორების გაყალბებისაგან გადავარჩინოთ. დიალექტიური მატერიალიზმი სპინოზაში ნათესაურ მსოფლმხედველობას ხედავს და ცხადია, რომ მეცნიერული გამოკვლევა სპინოზიზმისა მის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენს. სპინოზას მონიზმი მატერიალისტური იყო და მან თავისი ისტორიული განვითარებით მარქსისტული ფილოსოფიის ჩამოყალიბებას და გამარჯვებას დიდათ შეუწყო ხელი. ყველა დადებითი და პროგრესიული ელემენტი სპინოზას მოძღვრებისა თავისებურად მიღებულ და შეთვისებულ იქნა მარქსიზმის მიერ. სწორედ ამიტომ მარქსისტულ ლიტერატურაში თითქმის არავის სადაოდ არ მიაჩნდა სპინოზიზმის და მარქსიზმის დასახელებული ნათესაობა, მხოლოდ ცნობილი ედ. ბერნშტაინი შეეცადა, სპინოზა დაეჩრდილა და იმის მაგივრად მარქსიზმისათვის კანტიანიზმი შეეპარებია. თავის დროზე ბერნშტაინს შესაფერი პასუხი გასცა გ. პლეხანოვმა, რომელმაც ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ მარქს-ენგლესის დიალექტიური მატერიალიზმი თავის სათავეებს ძრა მარტო ლ. ფოიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიიდან და ჰეგელის დიალექტიკიდან ღებულობს, არამედ სპინოზას მატერიალისტური მონიზმიდანაც.

პლეხანოვი შემდეგშიაც ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მარქს-ენგელსის ფილოსოფია სპინოზიზმის უახლოესი სახეა, რომ ის თეოლოგიური პირბადისგან განთავისუფლებული სპინოზიზმია. სწორედ ამიტომ სპინოზას მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თეოლოგიური სამოსელიდან განთავისუფლება უნდა მივიჩნიოთ. სპინოზას სისტემას ეს თეოლოგიური სამოსელი არამც თუ აძნელებს და აბნელებს მის გაგებას, არამედ აყალბებს მის ჭეშმარიტ, ე. ი. მატერიალისტურ შინაარს. თეოლოგიიდან განთავისუფლებული სპინოზიზმი თავისთავად თავისუფლდება იმ შინაგანი შეუსაბამობისაგან, რომელსაც ადგილი აქვს სპინოზას ფილოსოფიის ფორმასა და შინაარს შორის. სპინოზიზმი საუცხოვო მაგალითია იმისა, თუ როგორ ხშირად ნააზრევის ფორმა კონსერვატიულ და ჩამორჩენილ სახეებს ინარჩუნებს, შინაარსი კი ფორმას არ უცდის და პროგრესისა და წინსვლის საქმეს ემსახურება. მაგრამ ჩვენ ამოცანას, რასაკვირველია მარტო ის კი არ შეადგენს, რომ ეს ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა სპინოზას ნააზრევშიც აღვნიშნოთ, არამდე ჩვენი მიზანია აგრეთვე ალ-

მოვაჩინოთ იმის მიზეზები, თუ რატომ სპინოზა იძულებული იყო ახალი შინაარსი ტერმინოლოგიისა და გამოთქმის ძველს ფორმებში გაეხვია. ამის მიზეზებს ჩვენ იმ ეპოქის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში დავინახავთ, რომლის პირმშო შვილი იყო ჩვენი ფილოსოფოსი.

ამას შემდეგ უნდა დავამტკიცოთ ის, რომ სპინოზას ფილოსოფიაში თეოლოგიურ გარეკანში თანმიმდევნოდ მოფიქრებული მატერიალისტური მონიზმი იყო გამოხვეული. ცნობილია, რომ მონისტური შეიძლება იყოს არამც თუ მატერიალისტური, არამედ იდეალისტური ფილოსოფიაც. სპინოზას ფილოსოფიის მონიზმი ჩვენთვის იმიტომ არის ძვირფასი, რომ ის ღრმად მოფიქრებული მატერიალისტური მონიზმია. ამიტომ სპინოზას მატერიალისტობა ცენტრალური პრობლემაა მთელს მის ფილოსოფიურ სისტემაში.

სპინოზიზმიც, რასაკვირველია, არავითარ გამონაკლისს არ შეადგენს იმ ზოგად მარქსისტული წესიდან, რომლის თანახმად თვითეული ფილოსოფიური მოძღვრება აუცილებლად მიეკუთვნება ფილოსოფიური აზრის ერთს ან მეორე ძირითად მიმდინარეობას. ეს მიკუთვნება, რასაკვირველია, იქიდან არის დამოკიდებული, თუ როგორ გადაჭრილა ამა თუ იმ სისტემაში ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა. ეს „უდიდესი საკითხი ყველა, მაგრამ განსაკუთრებით ახალი ფილოსოფიისა, არის საკითხი აზროვნებისა და არსის დამოკიდებულების შესახებ". (ენგელსი), ეს ის საკითხია, რომელიც ყველა დროის მოაზროვნისა და ფილოსოფოსის აზრებს ჰფლობს. აზროვნებისა და არსის პრობლემა სხვა და სხვა ფილოსოფოსთან, თავიანთი ეპოქის ზეგავლენით, სხვა და სხვა სახელწოდებით გვევლინება. ბუნება და სული, ობიექტი და სუბიექტი—ძველ ფილოსოფოსებთან, ფენომენი და ნოუმენი—კანტთან, სუბსტანცია და ატრიბუტები სპინოზასთან, მატერია და ცნობიერება—მარქსისტებთან და სხვ. და სხვ. შინაარსით ყველა ეს მრავალფეროვანი ტერმინი ერთ ძირითად საკითხს გულისხმობს, ე. ი. საკითხს, თუ რა დამოკიდებულებაში არის ჩვენი ცნობიერება გარემყართან, რომელი იყო პირველობითი მოვლენა, მატერია თუ ცნობიერება? ამით საკითხი იმის შესახებაც დასმულია, თუ რა უნდა იყოს ჩვენი შემეცნებითი მოქმედების დასაბამი, ცნობიერება თუ ბუნება. ასეთი თუ ისეთი გადაჭრა ამ საკითხებისა დამოკიდებულია. იმისაგან თუ რომელს მიაკუთვნებენ პირველობას, მატერიას თუ ცნობიერებას. ფილოსოფიურ მოძღვრებათა სხვაობა და ფილოსოფიური მიმართულება, ცხადია, რომ ამ საკითხების მოგვარებაზე დამოკიდებულია. აზროვნებისა და არსის პრობლემა უკვე ფილოსოფიური აზრის სათავეს ორ ძირითად მიმართულებად ჰყოფს, მატერიალისტურად და იდეალისტურად. სპინოზას ფილოსოფიის შესწავლის დროსაც ეს საზომი ძალაში უნდა დარჩეს; სპინოზას ფილოსოფია მხოლოდ მაშინ გაირკვევა და მისი აზროვნების ბუნება მხოლოდ მაშინ იქნება ნათელი, თუ დამტკიცდება, რომ სპინოზას მოძღვრება გარკვეულად ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, ე. ი. მატერიალისტურს, ამკვიდრებს და ასაბუთებს. ე. ი. უნდა დამტკიცდეს, რომ სპინოზას ფილოსოფიაში ცენტრალური პრობლემა სუბსტანციის და ატრიბუტების დამოკიდებულებისა, მატერიალური მიმართულების თანახმად არის გადაჭრილი.

აქედან, ცხადია რომ მარქსისტული თვალსაზრისისათვის ყოვლად მიუღებელია ლ. აქსელროდის და სხვა მეხანისტების ცდა, ეს ძირითადი პრობლემა ფილოსოფიისა, გააძევონ და მისი ადგილი მეხანიკური კანონზომიერების პრობლემით დაიკავონ. ქვევით ჩვენ ვნახავთ, რომ ასეთი შეხედულების შეცდომა იმდენად დიდია, რომ ის გვაიძულებდა ყველა ის იდეალები, რომლებიც მექანიკურ მიზეზობრიობას აღიარებენ, მატერიალისტად გამოგვეცხადებია. სწორედ ამიტომ აქსელროდის და სხ. ცდა, სპინოზას სისტემაში მხოლოდ მექანიკური კანონზომიერება დაინახონ და აქედან გამოიყვანონ დასკვნები სპინოზას ფილოსოფიაზე, ყოვლად მიუღებელი და შემცდარი თვალსაზრისია.

არსისა და აზრის დამოკიდებულების გარკვევასთან ერთად ისიც უნდა გავარკვიოთ, თუ როგორია დამოკიდებულება ჩვენი ცნობიერების და მატერიისა, ე. ი. ჩვენი გარექვეყნის მიმართ. არც ერთ ფილოსოფიურ სისტემას არ შეუძლია მარტო ონტოლოგიური პრობლემების სფეროში ტრიალი და შემეცნების საკითხების უყურადღებოთ დატოვება. სულ სხვაა ის, თუ საიდან უნდა დავიწყოთ ფილოსოფიური აზროვნება, ონტოლოგიიდან, თუ გნოსეოლოგიიდან. ასე იქნება, თუ ისე, გნოსეოლოგიის საკითხები მაინც ძირითადი საკითხებია და ასეთად უნდა მოვეპყრათ მათ საერთო მსოფლმხედველობის და სისტემის ჩამოყალიბების დრო.ს. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენს მიერ დასახელებული ძირითადი საკითხი, არსის და აზრის პირველობისა, გულისხმობს აგრეთვე საკითხს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობისა და ფორმებისა. შესაძლებელია თუ არა ადექვატური შემეცნება ქვეყნისა, როგორია ბუნება ჩვენი ცოდნისა, რა არის საზომი და კრიტერიუმი ჩვენი შემეცნების ჭეშმარიტებისა? ყველა ეს საკითხი განხილულია სპინოზას სისტემაში და ამავე დროს ეს საკითხები შემეცნების თეორიის ძირითადი საკითხებია. ამიტომ აუცილებელია დავამტკიცოთ, რომ ყველა დასახელებული პრობლემა სპინოზას გადაჭრილი აქვს მატერიალისტური თვალსაზრისით. ჩვერ უნდა დავამტკიცოთ აგრეთვე, რომ სპინოზას ონტოლოგიას და გნოსეოლოგიას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის. პირიქით, მათ შორის არსებითი და მჭიდრო კავშირია. თუ სპინოზას ონტოლოგიის განხილვის დრო.ს მთავარია, ყურადღება მიექცეს იმას, რომ სპინოზას მონიზმი მატერიალისტური მონიზმია, გნოსეოლოგიის შესწავლის დროს კი მთავარი იქნება იმ თავისებურების გარკვევა, რომლითაც რაციონალიზმი მოვლინდა სპინოზიზმში. ამ თავისებურების აღმოჩენა ძირითადი პირობაა სპინოზას შემეცნების თეორიის სწორი გაგებისათვის.

სპინოზას მატერიალიზმის ბუნებას არკვევს აგრეთვე დიალექტიკის ადგილი მის ნააზრევში. საკითხი იმის შესახებ, თუ რა გვარია სპინოზას მატერიალიზმი, არის ის მექანიკური, მეტაფიზიკური, ან და შეიძლება ის სულ არ იყოს ასეთი,—უნდა გაირკვეს მოძრაობისა და განვითარების მაგალითის შესწავლაზე. მაგრამ არა მარტო ამით არის დიალექტიკა დიდ მნიშვნელოვანი სპინოზას სისტემაში. როგორც ენგელსმაც შენიშნა, დიალექტიური აზროვნება მოხმარებული აქვს სპინოზას მთელი რიგი კერძო ხასიათის პრობლემების განხილვის დროს. როცა ჩვენ სპინოზას მატერიალიზმზე ვლაპარაკობთ საჭიროა ვიხელმძღვანე-

ლოთ ენგელსის მითითებით ამ დარგში, ე. ი. ვეცადოთ სპინოზას ისეთი რამ არ მივაწეროთ, რომელიც მას მისი დროისა და ობიექტური პირობების გამო, არ შეიძლებოდა ჰქონებოდა. მით უფრო ეს უნდა ითქვას სპინოზას დიალექტიკის შესახებ. ჩვენ არ გვგონია სპინოზას, ნააზრევი სავსებით დიალექტიკური ყოფილიყოს. უკვე იმის აღნიშვნა საკმარისია, რომ სპინოზას ნააზრევში თუმცალა დიალექტიური ელემენტებიც არის წარმოდგენილი, მაგრამ სპინოზას მატერიალიზმი მაინც მექანიკური და მეტაფიზიკური მატერიალიზმია. ჩვენ, რასაკვირველია, დასახელებულ დიალექტიურ ნაკადს მისი აზრისა გავცხრილავთ და შევისწავლით, ამ მიმართულებით დიდათ მნიშვნელოვან პრობლემას, შესახებ აზროვნებისა და არსის, სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობისა სპინოზას სისტემაში გავიცნობთ და მისი ფილოსოფიის მთლიან სურათს შემდეგ შევხედავთ. დასახელებული ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელია სულ მოკლე ექსკურსი მოვახდინოთ კარტეზიანულ ფილოსოფიაში და ზოგი ნაწილი დეკარტის ნააზრევისა გავიცნოთ, სახელდობრ ის ნაწილები, რომლებიც ამოსავალი წერტილები იყო სპინოზას მატერიალიზმისათვის.

## 2. სპინოზა და დეკარტი

უსათუოა, რომ დეკარტი იყო ის ფილოსოფოსი, რომელმაც სპინოზას აზრებზე ყველაზე მეტი ზეგავლენა მოახდინა, სწორედ ამიტომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა დეკარტის ფილოსოფიაზე უნდა შევჩერდეთ, უნდა აღვნიშნოთ ის მომენტები, რომლებიდანაც სპინოზა ამოვიდა და შემდეგ ხაზი გაუსვათ ამ ორი მოაზროვნის საერთო დამოკიდებულების პრობლემას. დასმული ისტორიული პრობლემის გარშემო უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს. მაგრამ ყველა ეს მრავალრიცხოვანი ავტორი და შეხედულება, დაბოლოს, სამი ძირითადი განმარტების გარშემო იყრიან თავს. პირველი მიმართულების წარმომადგენლები მეტნაწილად იდეალისტური ფილოსოფიის ბანაკს ეკუთვნიან, ისინი ამტკიცებენ, რომ სპინოზიზმი უშუალო და უბრალო გაგრძელებაა დეკარტის ფილოსოფიისა. ამ ინტერპრეტაციის მიზანი თავისთავად ცხადია. მისი არსება იდეალისტურია და ცხადია, მისი მიზანი სპინოზას მატერიალიზმის უარყოფაში და მასში იდეალისტური საზრისის ჩასახლებაში მდგომარეობს.

საკითხის მეორე ინტერპრეტაცია ცდილობს სავსებით უარყოს ყოველივე გენეტიური და ლოგიკური კავშირი სპინოზიზმსა და დეკარტის ფილოსოფიის შორის. ამით მათ ჰგონიათ, რომ სპინოზას მატერიალიზმი უფრო განმტკიცდება. სხვებთან ერთად ასეთ ინტერპრეტაციას აქსელროდიც ემხრობა, ის ფილოსოფიის ისტორიკოს ჰეფდინგთან ერთად ამტკიცებს, რომ სპინოზა არასდროს კარტეზიანელი არ ყოფილა.

ორივე ეს შეხედულება მცდარია. ჭეშმარიტება მესამე ინტერპრეტაციაში უნდა ვეძებოთ. ეს ინტერპრეტაცია მარქსისტების კუთვნილებას შეადგენს. ამ შეხედულების თანახმად სპინოზიზმსა და კარტეზის ფილოსოფიას შორის გენეტიური კავშირი უსათუოდ არსებობდა და სპინოზას საკუთარი ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი, უსათუოდ, დეკარტის ნააზრევი იყო. ეს, რასაკვირველია,

იმას სავსებით არ ნიშნავს, ვითომც სპინოზიზმი დეკარტის ფილოსოფიის უბრალო გაგრძელება ყოფილიყოს. პირიქით, სპინოზას ფილოსოფიის საკუთარი შინაარსი იმის საუცხოვო დამტკიცებაა, რომ სპინოზიზმი, როგორც დამთავრებული ფილოსოფიური სისტემა, კარტეზიანიზმის მოწინააღმდეგე და მოპირისპირე იყო.

ნათქვამის დასამტკიცებლად და ამით დასახელებული განსხვავების საბოლოოდ ნათელსაყოფად ჩვენ შევეცდებით დეკარტის ფილოსოფიის სწორედ იმ ნაწილებს შევეხოთ, რომლებიც ყველაზე უფრო ახლო იდგა სპინოზას აზროვნებასთან და იმავე დროს ყველაზე უფრო ნათლად ანსხვავებდა ამ ორ დიდ მოაზროვნის მსოფლმხედველობას. ამისათვის საჭიროა მივმართოთ სპინოზას მეტაფიზიკას.

დეკარტის მეტაფიზიკა მისი მეთოდოლოგიური რაციონალიზმით იყო განსაზღვრული. ამის საუცხოვო დამტკიცებას მისი ონტოლოგიური საფუძვლების განხილვა მოგვცემს. როგორც ცნობილია, დეკარტი ე. წ. საერთო დაეჭვიანებით იწყებს და ამ გზით საკუთარი „მე"-ს ჭეშმარიტებასა და აუცილებლობას ამკვიდრებს. ეს დაამკვიდრა, მაგრამ ამით მისი აზროვნება დადგა ალტერნატიკას წინ: ან სუბიექტი მოშორდა ობიექტს, ან ბუნება ადამიანს. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, ამიტომ დეკარტი იწყებს ისეთი სუბსტანციის გამოძებნას, რომელიც თავის არსებობით შეძლებდა გაერკვია და განესაზღვრა არამც თუ ეს საკუთარი „მე", არამედ ყველა ბოლოვადი საგანი. ამ უმაღლეს და მაღლა მდგომ სუბსტანციას დეკარტმა მიანიჭა დაუბოლოვებლობის პრედიკატი და სახელად უწოდა მას ღმერთი. დანარჩენ ორს, ე. ი. „მე"-სა და ქვეყანას, დეკარტი უწოდებდა დაბოლოვებულ ანუ ბოლოვად სუბსტანციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვას „ღმერთი" სპინოზაც ხმარობს, მაგრამ სპინოზას ღმერთი იმას არ ნიშნავს, რასაც დეკარტისა. სპინოზას ღმერთი ყველა თავისი თვისებით ბუნებაშია გახსნილი, მას ღმერთის სახე აღარ აქვს, — დეკარტის ღმერთი კი, ეს ნამდვილი თეოლოგიური ღმერთია და ასეთის ყველა ატრიბუტს ატარებს. ამის დამოწმება დეკარტის საკუთარი სიტყვებითაც შეიძლება. მისი აზრით „ღმერთი არის მარადი, ყოვლისმცოდნე, წყარო ყოველი კეთილისა და ჭეშმარიტისა, შემომქმედი საგანთა (დეკარტი: „ფილოსოფიის პრინციპები". რუს. გამოც. გვ. 20). ცხადია, რომ დეკარტის ღმერთი მართლმორწმუნე ქრისტიანების ღმერთია, ის „შემომქმედია" და „წყარო". ფილოსოფიურ ენაზე კი დეკარტი ამ „ყოველივე არსებულის შემომქმედს" აბსოლიუტურ სუბსტანციას უწოდებს. „სუბსტანცია,—სწერს დეკარტი—უნდა ვიაზროვნოთ როგორც ისეთი საგანი, რომელიც თავისი არსებობისათვის არც ერთი სხვა საგნის არსებობას არ საჭიროებს. მაგრამ რასაკვირველია, სუბსტანცია, რომელიც არაფერს არ საჭიროებს, შესაძლოა იყოს ერთი, სახელდობრ, ღმერთი. ყველა დანარჩენ სუბსტანციას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ისეთებს, რომლებსაც შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ ღმერთის მეშვეობით" (იხ. იქვე გვ. 28) ასეთია სუბსტანციის განმარტება. ის ამბობს, რომ სუბსტანცია არის რაღაც ისეთი, რომლის არსებობისათვის სხვა საგნების არსებობა საჭირო არ არის. ამ განცხადებას სა-

ვსებით ენათესავება სუბსტანციის ის განმარტებაც, რომელსაც სპინოზა იძლევა. შინაარსისა და არსების მხრივ ისინი განსხვავებულნი არიან. სპინოზას სუბსტანცია – ღმერთი არის ამავე დროს ბუნება, ხოლო დეკარტის სუბსტანცია—ღმერთი ბუნების იგივე არ არის, დეკარტის ღმერთი შეგნებულად გამოყოფილია ბუნებისაგან. ღმერთი—აბსოლიუტური სუბსტანცია საკუთარ თავზე დაყრდნობილი იძლევა გამოსავალს და ახსნას ყველა დანარჩენ სუბსტანციისათვის, ეს დანარჩენი სუბსტანციები დეკარტის აზრით შექმნილია აბსოლიუტური სუბსტანციისაგან და ამიტომ მათი არსებობა ღმერთის არსებასთან არის დაკავშირებული. ამრიგად დეკარტი რამოდენიმე სუბსტანციის არსებობას ამკვიდრებს, ეს სუბსტანციები გაჩენილი სუბსტანციებია და ამიტომ ურთი-ერთ შორის საერთო არაფერი აქვთ.

თუ რატომ დეკარტს უსათუოდ უნდა მიეღო სუბსტანციის სიმრავლე, ეს ნათლად ჩანს მატერიისა და სულის დამოკიდებულების იმ გაგებისაგან, რომელსაც ის იზიარებდა. როგორ ესმოდა მას ეს ე. წ. გაჩენილი სუბსტანცია? უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ორი მთავარი მათგანი: მატერია და სული. უდაოა ის დებულება, რომ დეკარტმა მატერიაში სუბსტანცია აღიარა და ამით მატერიალისტურ მსოფლმხედველობას დაუახლოვდა, მაგრამ რადგან მან ეს სუბსტანცია განფენილობის იგივეთ გამოაცხადა, ამიტომ მისი სისტემის საფუძველი დუალისტური აღმოჩნდა. რადგან მატერია იგივე იყო, რაიც განფენილობა, ამიტომ მას აღარ შეეძლო ერთად-ერთ სუბსტანციათ დარჩენილიყო და საჭიროებისამებრ ორი ატრიბუტით, აზროვნებითა და განფენილობით, გამოხატულიყო. დეკარტის სუბსტანცია—მატერია იყო მხოლოდ განფენილი და როგორც ასეთი შეუძლებელია ის მოაზროვნე სუბსტანციაც ყოფილიყო. განფენილობისა და აზროვნების ატრიბუტები საწინააღმდეგო ატრიბუტებია. ამიტომ მათ შეუძლიათ მხოლოთ ერთიანი სუბსტანციის ნაწილებათ ყოფნა. მაგრამ ასეთი რამ დეკარტს არ მიუღია. ასეთი გზა მისთვის იმთავითვე შეუძლებელი იყო. მან მატერიას მხოლოდ განფენილობა და სულს აზროვნება მიაწერა. დეკარტის სუბსტანციას ატრიბუტები კი არ გააჩნდა, არამედ თვით იყო ატრიბუტი, ან განფენილი, ან მოაზროვნე. ამით რასაკვირველია, სუბსტანციონალური ერთიანობა მოიხსნა და განფენილობა მატერიის სუბსტანციათ გამოცხადდა, მხოლოდ აზროვნება—სულის. ეს არის დუალიზმი. და აქ სპინოზა ისევე საფუძვლიანად განსხვავდება დეკარტისაგან, როგორც მოძღვრებაში ღმერთზე.

თუ სუბსტანცია თვითეულად დამოუკიდებელია და ერთი ატრიბუტით შეუძლია იარსებოს, მაშინ ცხადია, სულს და მის თვისებას აზროვნებას, მატერიისაგან და სხეულისგან დამოუკიდებელი არსებობა გააჩნია. კავშირი მათ შორის ბუნებრივი მოვლენა კი არ არის, არამედ ძალდატანებით აღდგენილია ღმერთი-შემომქმედისაგან. ამის შესახებ სავსებით სამართლიანად შენიშნავს ა. ვედენსკი, რომ „თუ სული განფენილი არ არის, სხეული კი განფენილი სუბსტანციაა, მაშინ შეერთება და კავშირი მათ შორის ბუნებრივი კი არ არის, არამედ ნაძალადევი". (ა. ვედენსკი: „დეკარტი და რაციონალიზმი"). აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ფსიხიურ და ფიზიურ პროცესებს შორის

არაფერი საერთო არ არის; თვითეული დამოუკიდებლად მიმდინარეობს, და მეორეს დაუხმარებლად არსებობს. „მე, ე. ი. ჩემი სული — სწერს დეკარტი — რომლის გამო ვარ ის, რაც მე ვარ, სავსებით და ჭეშმარიტად განსხვავებულია ჩემი სხეულისაგან, მისგან დამოუკიდებლად შეუძლია იარსებოს“. (იხ. დეკარტი, „მეტაფიზიკური მედიტაციები“. რუს. გამოც. გვ. 84).

ამ საკითხშიაც სპინოზა შეურიგებელი მოწინააღმდეგეა მისი წინაპრის, ე. ი. დეკარტის. დეკარტისათვის ფსიხიური ქვეყანა მოგლეჯილია მატერიალურისაგან და არის მისი პირდაპირი და აბსოლიუტური წინააღმდეგობა. დეკარტის ქვეყნიერება ორ დამოუკიდებელ ნაწილად არის გაყოფილი. ამიტომაა, რომ დეკარტის მოძღვრება ბუნებაზე სავსებით მატერიალისტურია, ხოლო ადამიანზე არის ის იდეალისტური. აქ უკვე დღის სინათლესავით ცხადია დეკარტის ფილოსოფიის დუალისტური საფუძველი. ამ დუალიზმით აიხსნება ის, რომ დეკარტისგან ორი საწინააღმდეგო ფილოსოფიური სისტემა განვითარდა: სპინოზას მატერიალისტური მონიზმი და ლაიბნიცის იდეალისტური სისტემა.

## 3. სპინოზიზმის ონტოლოგიური საფუძვლები

სპინოზა თავის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის დაფუძნებას იწყებს არა გნოსეოლოგიით, როგორც დეკარტი, არამედ ონტოლოგიით. მისთვის ფილოსოფიური შემოქმედების ცენტრში არსი და მისი ელემენტების ურთი-ერთობა დგას. ასეთი ამოსავალი წერტილი სავსებით ეთანხმება მისი ფილოსოფიის საბოლოო მიზნებს. როგორც ნამდვილი მატერიალისტი, სპინოზა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ადამიანის ძალთა სრულქმნა და მისი ბუნების ძალებზე გაბატონება, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირობით, თუ ბუნების დაუბოლავებელი ძალები წინასწარ საკმაოდ შესწავლილი იქნებოდა. ამით სპინოზამ თავის ფილოსოფია სავსებით რიალურ საფუძვლებზე დაამკვიდრა, რითაც ის იდიალისტების გარკვეულ მოწინააღმდეგეთ გამოვიდა, რომლებიც თავიანთ ფილოსოფიას გარექვეყნის უარყოფით, ან მის სინამდვილეში ეჭვის შეტანით იწყებენ, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მის არსებობას დამოკიდებულს ხდიან ადამიანის ცნობიერების არსებობისაგან. სპინოზას ასეთი ფილოსოფია არ აკმაყოფილებდა. ის ფილოსოფიისათვის რეალურ საფუძველს დაეძებდა და ასეთი რიალური ქვეყნის არსებობაში იხილა.

მაგრამ ის გარემოება, რომ სპინოზას ფილოსოფიაში ცენტრალური ადგილი ონტოლოგიას აქვს მიკუთვნილი, იმის მომასწავებელი სრულიადაც არ ყოფილა, ვითომც მას გნოსეოლოგიის მნიშვნელობა შეევიწროებიოს, ან და, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ასეთის საჭიროება უარეყოს. გნოსეოლოგიის დაფუძნებისათვის აუცილებელი იყო ობიექტიური ქვეყნის წინასწარი შესწავლა. შემცნობელი სუბიექტი სწორედ რომ ამ ობიექტიური ქვეყნის ერთ-ერთი ნაწილი იყო. ჩვენ ქვემოთ ვნახეთ, რომ ამ ნიადაგზე მიღებული სპინოზას გნოსეოლოგია დაფუძნებული იყო იმავე მატერიალისტური მონიზმის პრინციპებს, რომლებსაც მისი სისტემის ყველა ნაწილი ექვემდებარებოდა.

სპინოზას ონტოლოგიური მოძღვრება სამ ძირითად ნაწილად იყოფა.

თვითეული დაკავშირებულია მეორესთან განუყოფელი კავშირით და მთელი არის ერთი მონისტური მსოფლგაგება. დასახელებული სამი ნაწილი არის მოძღვრება სუბსტანციაზე, ატრიბუტებზე და მოდუსებზე. სუბსტანციას, რასაკვირველია, ცენტრალური და გადამწყვეტი ადგილი აქვს მიკუთვნებული. თუ როგორ გადაწყდება ეს პრობლემა, ამაზეა დამოკიდებული სპინოზას ფილოსოფიის ყველა საკითხის ბედი, სპინოზასათვის აქ წყდება ყოველი ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, საკითხი არსის და აზრის დამოკიდებულებისა, საკითხი მატერიისა და ცნობიერების პრიმატისა.

**ა) სუბსტანციის თეორია.**

პირველი ძირითადი პრინციპი, რომელზედაც დაფუძნებულია მოძღვრება სუბსტანციაზე, არის ე. წ. Causa sui—მიზეზი საკუთარი თავისა. ამ პრინციპს ონტოლოგიური მნიშვნელობა აქვს, თვითონ სუბსტანციაც, რასაკვირველია, ონტოლოგიური მოვლენაა. საწინააღმდეგო რომ დაუშვათ, მაშინ სპინოზას სუბსტანცია თავის თვისობრივ გარკვეულობას დაჰკარგავდა. „მიზეზი თავისი თავისა არის ის, რის არსება მისსავე არსებობას გულისხმობს, ანუ ის რომლის ბუნება არ წარმოიდგინება გარეშე არსებობისა“ (იხ. „ეთიკა“ 5. რუს. გამოცემა). ეს „საკუთარი თავის მიზეზის“ თეზა ერთის მხრივ სპინოზას მატერიალიზმის საფუძველია და მეორეს მხრივ ის საბოლოოდ სპობს ქვეყანაზე ზემდგომი არსების საჭიროებას, ღმერთი და ასეთი სხვა ზებუნებრივი შემომქმედი ძალა, ძველი შეხედულებით ვითომც და თავისი სურვილების მიხედვით ქვეყნიერების შემქმნელი, ახლა საჭირო აღარ არის. ამ უცხო ძალის ადგილს სუბსტანციის საკუთარი და შინაგანი მიზეზი იჭერს, რომლის ზეგავლენის გამო სუბსტანციას აღარ ესაჭიროება გარედან დამხმარე და ამმოძრავებელი ძალა; თვითონ აქვს შინაგანი ძალა, რომლისაგან სხვა ყველაფერს თავისი არსებობის უფლება მიუღია. ის არ არის არც გარდამავალი და არც დროული მოვლენა. მიზეზი საკუთარი თავისა განუწყვეტელი თანმხლებია სუბსტანციის ბუნებისა და ამიტომ მისი მოქმედება არის მარადი.

ამით სპინოზამ ერთხელ და სამუდამოდ გაარკვია მეცნიერების მსვლელობის გზა. მან მეცნიერული აზრი მკვიდრ რეალურ საფუძვლებზე დააყენა, მისი მოძღვრება საშუალებას იძლეოდა არსი აგვეხსნა საკუთარი თავიდან და არა ღვთაებრივი ძალებიდან. ამით საშუალო საუკუნოების ფანტაზიები, მისი ღმერთები და ეშმაკები საბოლოოდ განიდევნა მეცნიერული აზრის სფეროდან.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სპინოზას ნააზრევს მეცნიერებისათვის ამაზე ასე სწერდა ფრ. ენგელსი: „იმ დროინდელი ფილოსოფიის უდიდეს დამსახურებათ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მან მაშინდელი ბუნებისმეტყველების ე. წ. ორგანიული თვალსაზრისი არ მიიღო, რომ მან სპინოზადან დაწყებული და დიდი ფრანგი მატერიალისტებით დამთავრებული, შეეცადა ქვეყანა ქვეყნიერებიდანვე აეხსნა, ამ პრინციპის გამართლება მან მომავლის ბუნებისმეტყველებას უანდერძა“ (იხ. ფრ. ენგელსი: „ნატურდიალექტიკა“ რუს. გამოც. 161 გვ.) ენგელსის სიტყვების აზრი სპინოზას მიმართ ცხადია. სპინოზამ პირველად დააკანონა ეს პრინციპი, მან ქვეყანა ქვეყნიური ძალებით ახსნა და სხვა უცხო

ძალების დახმარება უარყო. მისი მოძღვრება სუბსტანციაზე საუცხოო ილიუსტრაცია იყო ამის. სუბსტანციის დახასიათება, როგორც საკუთარი თავის მიზეზისა, უკვე ნათლად არკვევდა სუბსტანციის დანარჩენ თვისებებს.

თუ სუბსტანცია მიზეზია საკუთარი თავისა, ამით ის არის დაუბოლოვებელი, შეუქმნელი, გარდაუვალი, მარადი და სხვა. სპინოზას სუბსტანცია სწორედ რომ ასე ესმის; ის ერთიანობაა ყველა აქ ჩამოთვლილი თვისების. გარეშე ამისა სუბსტანცია არის სავსებით იგივე რაც ბუნება და მატერია. აქ ისიც ცხადია, რომ სპინოზას ღმერთი სხვა-კი არაფერია, ვიდრე თვით სუბსტანცია, ე. ი. ბუნება და მატერია.

ამრიგად, რა არის ეს თავისთავის მიზეზი ანუ სუბსტანცია? სპინოზა გვიპასუხებს: „სუბსტანცია ჩემი გაგებით არის ის, რაც თავისივე თავში არსებობს და გვერდგინება საკუთარი თავითვე ე. ი. ის რომლის წარმოდგენა სხვა საგნის წარმოდგენას არ საჭიროებს“ („ეთიკა“ 5) თუ სუბსტანცია ისეთი არსია, რომლის არსებობის განსაზღვრისათვის სხვა ბოლოვადი საგნების არსებობა საჭირო არ არის, ამით მის არსებობაში მისივე არსებობაც ნაგულისხმევია, რითაც ის არაფრით არ არის განსაზღვრული, არამედ არის დაუბოლავებელი რაღაც. სუბსტანციის დაუბოლავებლობა იმით არის გარკვეული, რომ ის არსებისა და არსებობის დიალექტიურ მთლიანობაზეა დამყარებული.

თვისობრივ განსხვავებას დაუბოლავებელსა და დაბოლოვებულს შორის სპინოზა იმაში ხედავს, რომ ბოლოვად საგნებს არ მიეკუთვნება დამოუკიდებელი და განუსაზღვრელი არსებობა; მათი არსებობა სხვიდან გამომდინარეობს და სხვისი შეშვეობით არის მისაღწევი. თვითეული ბოლოვადი მოვლენა განსაზღვრულია მეორე მოვლენით. სუბსტანცია, ანუ ბუნება კი თავის არსებობაში განუსაზღვრელია.

ბოლოვადისა და დაუბოლავებელის დიალექტიური დაპირისპირება გაურკვეველი და გაუგებარი იყო დეკარტისათვის, სწორედ ამის გამო მან დაუშვა, რომ მრავალი სუბსტანცია არსებობს, მათ შორის გაჩენილი სუბსტანციის არსებობაც მიიღო, მან ვერ შეამჩნია, რომ ეს უკანასკნელი სუბსტანცია კი არა, უბრალო ბოლოვადი საგნები იყო. სპინოზა წინ აღუდგა ამას, მაგრამ თავისი მოძღვრებითი სუბსტანციის დაუბოლოვებლობაზე, მისი აზროვნება დადგა საშიშროების წინაშე, ეს არსებაში არსებობის შემცველი სუბსტანცია მოწყვეტილიყო კონკრეტული გამოვლენის ფორმებს და ასე გადაქცეულიყო სქოლასტიურ, რეალობას მოკლებულ ცნებად. მაგრამ ასეთ წინააღმდეგობას სპინოზამ თავი გაართვა იმით, რომ მისთვის არც ერთ განცალკევებულად აღებულ მოვლენას საკუთარი არსებობა არ გააჩნდა და ამიტომ მარტო ბოლოვად მოვლენებს ცალკე არსებობა კი არ შეეძლოთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სუბსტანციის დაუბოლოვებელი ბუნების გამოვლენაში, როგორც ამ გამოვლენის ფაქტიურ და რეალურ, ე. ი. ქვეყნიურ მასალათა განაღდება.

ხშირად სუბსტანციას არა რეალურად იმტომ თვლიან, რომ ერთი მეორეში ერევათ დაუბოლავებლობა და გაურკვევლობა. რასაკვირველია, ასეთს შეცდომას თუ დაუშვებთ, მაშინ სუბსტანცია მოვლენების და საგნების მარადი

მიზეზი კი აღარ იქნება, ის რეალურად არსებული ბუნების საფუძველი კი აღარ იქნება, არამედ ფიქცია. კუნო ფიშერს ჰგონია, ვითომც და სპინოზას სუბსტანცია განუსაზღვრელ და დაუბოლოვებელ რაღაც კი არ ჰგონებია, არამედ რაღაც გაურკვეველი. „დაუბოლავებელი არსების ყოველივე გარკვევას—ვკითხულობთ ჩვენ კუნო ფიშერთან—არის მისი განსაზღვრა და ამიტომ უდრის უარჰყოფას... ყოვლად დაუბოლოვებელი არსება, ყოვლად გაურკვეველიც არის“. (კ. ფიშერი: „ახალი ფილ. ისტორია“ რუს. გამოც. ტ. II. გვ. 364.). კუნო ფიშერი რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენ სუბსტანციას რეალობა უნდა წავართვათ, ცხადია, ამ შემთხვევაში სპინოზას მსოფლმხედველობა იქნებოდა იდეალისტური და არა მატერიალისტური. მაგრამ ფიშერი არ არის მართალი. სპინოზას არამც თუ არ სწამდა სუბსტანციის გაურკვევლობა, არამედ გარკვეულობა იყო ერთ-ერთი ძირითადი თვისება მისა სუბსტანციისა, რაიც ისახებოდა მის რეალობაში, როგორც ყველა საგნის მიზეზსა და საფუძველში. როდესაც ის სუბსტანციის დაუბოლოვებლობაზე და განუსაზღვრელობაზე მიუთითებდა, ამით ის თავის შეხედულებას დეკარტისაგან მიჯნავდა.

სუბსტანციის გამრკვეველი თვისებით არ განისაზღვრებიან მხოლოდ დაუბოლოვებლობით და თავისი თავის მიზეზად ყოფნით. დაუბოლოვებლობა უკვე იძლევა სუბსტანციის თვისებათა მთელს რიგს. ასეთებია: დასაბამის უქონლობა (დაუსაბამობა) შეუქმნელობა, განუყოფელობა, მარადიულობა, ერთობლობა და სხვა. სპინოზამდე სუბსტანციის დასაბამს უერთებდენ და ცხადია ასეთი სუბსტანცია მაღალი საფუძვლის, ე. ი. ღმერთის შემოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო. სპინოზა გადაჭრით ეწინააღმდეგება სუბსტანციის ამგვარ გაგებას. როდესაც სპინოზა დეკარტის შეცდომებზე მიუთითებს, ის ამბობს რომ „ზოგს არ ესმით ის სხვაობა, რომლებიც არსებობს სუბსტანციასა და მის ნამოქმედარს შორის და არ იციან თუ როგორ წარმომდგარა საგნები. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ისინი სუბსტანციასაც დ ა ს ა ბ ა მ ს მიაწერენ, დასაბამი მხოლოდ აქვს საგნებს ბუნებაში“. („ეთიკა“ II). სუბსტანციას რომ დასაბამი ჰქონოდა ეს, რასაკვირველია, შეუძლებელს გახდიდა, მის როგორც დაუბოლოვებელ ბუნებას, ისე მის საკუთარი თავის მიზეზათ ყოფნას. ამასთან ერთად ეს იქნება სუბსტანციის წარმოშობის ცნობა, რაც რასაკვირველია, დაუშვებელია.

საგანი, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს სხვა რომელიმე საგანთან შეუძლებელია იყოს მისი მიზეზი, მაგრამ არც ორი სავსებით ერთნაირი საგანი შეიძლება იყოს ერთი მეორეს მიზეზი. რადგან თუ ისინი სავსებით ერთნაირი არიან, მაშინ ორ სხვა და სხვა ბუნების საგანზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამ მაგალითით სპინოზა ამტკიცებს სუბსტანციის არა წარმოშობით ბუნებას. სუბსტანციას არ შეიძლება ჰქონდეს სათავე, რომელიც მისი მიზეზი იყოს, აქედან ისიც ცხადია, რომ სუბსტანციას არც დასაბამი შეიძლება ჰქონდეს. დაუსაბამობა და წარმოუშობლობა არის თავდები მისი მარადიულობისა, გარდაუვალობისა და განუყოფელობის.

ამასთან დაკავშირებით სპინოზა ანვითარებს შეხედულებას, რომელიც ძალიან მოგვაგონებს ე. წ. მატერიისა და ენერგიის გარდაუვალობის კანონს: „მატერიის

ნაწილები არ იკარგება, ამით იქმნება ქვეყნის მარადიულობის და გარდაუვალობის სათავე". „მატერიის ერთი ნაწილი-კი რომ მოესპარიყო, ამასთან ერთად გაქრებოდა მისი განფენილობაც" (იხ. წერილი ოლდენბურგის. „მ[illegible]).

სუბსტანციის განუყოფელობა და წარმოუშობლობა თავდებია სუბსტანციის პირველადობისა და ერთობლიობისა. ბუნებაში არაფერი არ არსებობს გარეშე სუბსტანციისა და მისი მოდიფიკაციისა; რადგან მოდიფიკაცია საკუთარი არსებობის საფუძველს არ შეიცავს, ამიტომ ის სუბსტანციის ნაყოფია. ერთი სიტყვით, სპინოზა ყველა გზით და საშუალებით ამტკიცებს ერთად-ერთი სუბსტანციის არსებობას. აქ არის ადგილი, სადაც ის გენერალურად იმიჯნება დეკარტის დუალისტური ფილოსოფიისაგან და მის ნაცვლად აღიარებს მსოფლმხედველობის მონისტურობას. მოძღვრება ერთად ერთი სუბსტანციის არსებობისა სპინოზას მატერიალიზმს ანიჭებს მტკიცე და ურყევ მონისტურ აგებულობას. მატერიალისტური მონიზმით დუალიზმის დაძლევა არის სპინოზას ფილოსოფიის ძირითადი დამსახურება. იმით, რომ სპინოზამ დეკარტის მოაზროვნე სუბსტანცია ერთად ერთი და არსებული სუბსტანციის უბრალო ატრიბუტად გამოაცხადა, მან სავსებით ახლო მოვიდა მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმთან. მაგრამ ამაზე, უფრო დაწვრილებით, ქვევით.

ახლა აუცილებელია გავარკვიოთ სუბსტანცია (მატერია) და ღმერთის იდენტიურობის პრობლემა. ადვილია იმის დანახვა, რომ სპინოზას ღმერთი სხვა კი არაფერია, ვიდრე სუბსტანცია, ანუ ბუნება. ამაში დაგვარწმუნებს ღმერთის დამახასიათებელი თვისებების შესწავლა და მისი დაპირისპირება სუბსტანციის უკვე შესწავლილ თვისებებთან. რა არის სპინოზას ღმერთი? რა არის საერთო მისსა და თეოლოგების ღმერთს შორის? მათ შორის, ცხადია, რომ არაფერი საერთო არ არის. სპინოზას ღმერთი ისე განსხვავდება თეოლოგიის და სქოლასტიკის ღმერთისაგან, როგორც მიწა ცისგან. თეოლოგების აზრით ღმერთი ქვეყნიერების ტრანსცენდენტური საწყისია. ქვეყანაზე ყველაფერი მისი უმაღლესი ბრძანებით გაჩენილა. სპინოზა გარკვეული შინაარსით, მაგრამ მოკრძალებითი ფორმებში, უარჰყოფს თეოლოგების მოძღვრებას ღმერთზე, მისი ღმერთი ბუნებაში ითქვიფება, რის შედეგად ღმერთი ბუნებათ ანუ სუბსტანციათ იქცევა. ამის საუცხოვო დამტკიცებას იძლევა სპინოზას მიერ მოცემული განმარტება ღმერთის ცნების: „ღმერთი არის აბსოლიუტური, დაუბოლოვებელი არსება, ე. ი. სუბსტანცია, დაუბოლოვებელი ატრიბუტებისაგან შემდგარი, რომელთაგან თვითეული მარად და დაუბოლავებელ არსებას გამოხატავს "(ეთიკა" 5). ამით ჩვენ ფილოსოფოსის გარკვეულ შეხედულებასთან გვაქვს საქმე. ღმერთი სუბსტანციისა და ბუნების იდენტიურ ცნებათ არის გამოცხადებული, დაუბოლოვებელი სიმრავლე ატრიბუტთა ამოავსებს მის ბუნებას. აქედან გამომდინარეობს, რომ განფენილობის ატრიბუტი ისე ახასიათებს ღმერთს, როგორც მის იდენტიურს ბუნებას, ანუ სუბსტანციას. პლეხანოვი სამართლიანათ შენიშნავს, რომ სპინოზიზმის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება იდეალიზმისაგან იმაში მდგომარეობს, რომ „თუ ბუნებას სპინოზა ღმერთს უწოდებს, მისი ღმერთის ერთ-ერთი ატრიბუტი არის განფენილობა". (პლეხანოვი: ტ. VI. გვ. 316.) აზრი პლეხანოვის ამ

განმარტებისა, როგორც სპინოზას საკუთარი შეხედულება, იმას ნიშნავს, რომ სუბსტანცია ანუ ღმერთი, რომელიც განფენილობას შეიცავს, უარყოფაა თეოლოგების ღმერთისა. თეოლოგებიც უნდა დაგვეთანხმონ იმაში, რომ თუ ღმერთს განფენილობის ატრიბუტი ახასიათებს, ამით ღმერთი საფუძველ გამოცლილი რჩება და ის იძულებული იქნება მატერიალურ სუბსტანციას დაუთმოს თავისი ადგილი, რომელსაც ორივე საჭირო ატრიბუტი, ე. ი. აზროვნებისა და განფენილობისა, თავისივე ბუნებით მინიჭებული აქვს.

ღმერთის ცნების ნამდვილი ბუნება კიდევ უფრო ნათელი იქნება თუ იმ მოსაზრებებსაც განვიხილავთ, რომლებსაც სპინოზა თეოლოგების ანტროპომორფიული მოძღვრების წინააღმდეგ აყენებს. თეოლოგიის წარმოდგენით ღმერთის შემოქმედებითი აქტი მოქმედობს გარკვეული მიზნებიდან გამოსული, ამიტომ ღმერთის შექმნილ ქვეყანაში ყველაფერი მიზანშეწონილია. ამიტომ, რასაკვირველია, ღმერთს აქვს გონება და ნებისყოფა, ე. ი. ყველა სხვასთან ის თვისებებიც, რაიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. ასეთი მოძღვრების საწინააღმდეგოთ სპინოზა ამბობს, რომ ღმერთი თავისი ბუნებით შეუძლებელია რომელიმე გარკვეულ ადგილზე იყოს, ე. ი. ეს არ არის რეალობა, რომელიც სივრცის რომელიმე ადგილს იჭერს, პირიქით ის ყოველგან არის და ყოველთვის ისე ერთი და იგივეა, როგორც მატერია. მაგრამ „მატერია—გვასწავლის სპინოზა—ყოველგან ერთი და იგივეა. ღმერთი კი შეუძლებელია ქვეყნიერების გარეშე რაიმეს წარმოადგენდეს, ის რაღაც ოცნებაში აშენებულ სივრცეს არ შეიძლება უდრიდეს“ და სხვ. (იხ. სპიზონა: „მიწერ-მოწერა“ გვ. 153). აქ ჩვენ ვნახულობთ სრულს იგივეობას ღმერთსა და მატერიას შორის. ღმერთი ყოველგან არის და ყველა პირობაში რჩება ერთი და იგივე, ამავე თვისებებს შეიცავს მატერიაც; მაგრამ, რადგან ღმერთს არ შეუძლია სადმე ბუნების გარეშე მოვლინდეს და ბუნებაში კი მან ბუნების სახე უნდა მიიღოს, ამიტომ ღმერთის, როგორც იმ ქვეყნიური და ტრანსცენდენტური ძალის, არსებობა შეუძლებელი ხდება. სპინოზა აგრძელებს ასეთს არგუმენტაციას და მიდის დასკვნამდე, რომ ღმერთს არამც თუ ტრანსცენდენტური ძალის სახით არსებობა არ შეუძლია, არამედ მას არ შეუძლია ჰქონდეს აზროვნება და ნებისყოფა (ადამიანური): ის, ისე როგორც მატერია, ყოველგან არის და თუ როგორც ასეთს მას გონება ექნება, ამ გონებას ადამიანის ჩვეულებრივ გონებასთან არაფერი აქვს საერთო.

ამრიგად გონება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ადამიანებს გაგვაჩნია და ამიტომ ღმერთი ჰკარგავს ყოველივე უფლებას იყოს მიზანშეწონილობის თანახმად მომქმედი ძალა. თეოლოგებმა ღმერთს ადამიანური თვისებები მიაწერეს, ამით მათ ღმერთის მოქმედებაში მიზანშეწონილობის შეტანა სურდათ. მათ საწინააღმდეგოთ სპინოზა აიგივებს ღმერთსა და მატერიას და ამტკიცებს, რომ ღმერთი, ანუ ბუნება მოკლებულია, როგორც ადამიანურ გონებას ისე ნებისყოფას. ეს არის ერთ-ერთი მომენტი, სპინოზას მოძღვრების ღმერთზე. ის მიმართულია თეოლოგების ანტროპომორფიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამით არ ამოიწურება სპინოზას ფილოსოფიის პასუხი ამ საკითხზე.

ღმერთის შესახებ ანტროპომორფიულ მოძღვრების უარჰყოფასთან ერთად სპინოზა მივიდა ერთ ყველაზე უფრო საინტერესო პრობლემასთან მისი ფილოსოფიისა. ეს არის პრობლემა თავისუფლებისა და აუცილებლობისა, მიზეზობრიობისა და შემთხვევისა. თავისუფლებისა და აუცილებლობის გარკვევის დროს სპინოზა გვევლინება, როგორც ნამდვილი დიალექტიკოსი, და დიალექტიური მეთოდი აქ მოხმარებულია ყველაზე უფრო თანამიმდევნოთ და გარკვეულად, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწილში მისი მოძღვრებისა. თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკა უპირველეს ყოვლისა საინტერესოა იმით, რომ აქ პირველად მოხსნილია თავისუფლებისა და აუცილებლობის მეტაფიზიკური კედელი, აქ პირველად ხდება ნათელი, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ორივე ერთ დიალექტიურ ერთიანობის გამოხატვას ემსახურება. თავისუფლება აუცილებლობის გარეშე არ არსებობს. ღმერთს, ანუ ბუნებას მეტაფიზიკურად დამოუკიდებელი თავისუფლება კი არ გააჩნია, არამედ ეს თავისუფლება მიზეზობრივია და ამიტომ ნაყოფია მისი შინაგანი აუცილებლობისა და კანონზომიერებისა. თავისუფლება ღმერთის ისეთი თვისებაა, როგორც მოძრაობა, სიწყნარე და სხვ. ამიტომ ის მის შინაგან აბსოლიუტრ აუცილებლობაზეა დამყარებული. „ეთიკაში“ სპინოზა კითხულობს: როგორ შეუძლია ღმერთს სამკუთხედის ბუნებიდან გამოიყვანოს, რომ ჯამი მისი შინა კუთხეებისა ორ სწორ კუთხეს არ უდრიდეს? ამით, ცხადია, სპინოზას იმის თქმა უნდა, რომ ღმერთს, ანუ ბუნებას თავის ნებისყოფის და სურვილების მიხედვით მოქმედება კი არ შეუძლია, არამედ მიზეზობრივად გარკვეული შინაგანი აუცილებლობის და კანონზომიერების მიხედვით. ღმერთისა ანუ ბუნების დამახასიათებელი აბსოლიუტური თავისუფლების სათავეში აუცილებლობაა მოთავსებული, ამის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია. იქ თავისუფლება იგივეა, რაც აუცილებლობა.

თავისუფლების პრობლემის ასეთი გარკვევისათვის ზოგიერთები სპინოზას ფატალიზმს უსაყვედურებენ. სპინოზა მართლაც ფატალისტი რომ ყოფილიყო, მაშინ მისი ფილოსოფია იქნებოდა ყველაზე უფრო უსიცოცხლო, ლეშად ქცეული, ადამიანთა ცხოველყოფილი ბუნებიდან განდგომილი აბსტრაქცია; მას სავსებით გაურკვეველი დარჩებოდა ადამიანის ლტოლვა ბუნებაზე გაბატონებისაკენ მიმართული. მაგრამ ასეთი ბრალდება სპინოზას მიმართ მოკლებულია ყოველივე საფუძველს; თუ გინდ ის გარემოება, რომ მისი ფილოსოფიის პრაქტიკულ მიზნათ ადამიანთა სრულქმნა დასახა, სპინოზას აშორებს ყოველგვარი ფატალისტური შეხედულებისაგან. ამ საკითხის შესახებ აი რას სწერს თვითონ ფილოსოფოსი: „რა გაგებით მესმის მე ყველა საგნისა და მოქმედების ფატალური აუცილებლობა. ღმერთს მე ბედისწერას არ უქვემდებარებ. მაგრამ მე ვცნობ, რომ ყველაფერი შემოუვლელი აუცილებლობით ღმერთის ბუნებიდან გამომდინარეობს, სწორედ როგორც სხვების წარმოდგენით ღმერთის ბუნებიდან მისი თვითშემეცნება გამომდინარეობს“ (იხ. „მიწერ-მოწერა“ გვ. 151.) ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება ბრმა ბედისწერის მონა არ არის, არამედ ყველაფერი ბუნებაში ექვემდებარება „შემოუვლელ აუცილებლობას“ და გამომდინარეობს კანონ-

ზომიერების სახით. ე. ი. სპინოზა ფატალისტი არ ყოფილა. ის თავისუფლების არსებობას სცნობდა. ის მხოლოდ ისეთი თავისუფლების არსებობას უარჰყოფდა, რომელიც აუცილებლობიდან არ გამომდინარეობდა.

სპინოზა ანსხვავებს აგრეთვე თავისუფალ და ნაძალადევ აუცილებლობას, ე. ი. თავისუფლად მას ისეთი მოქმედება მიაჩნდა, რომელიც არ საჭიროებდა სხვა რომელიმე, გარეგანი ძალის დახმარებას, და რომელიც განსაზღვრული იყო თავისი შინაგანი აუცილებლობის მოთხოვნილებით; არა-თავისუფალი კი, ისეთი მოქმედება იქნებოდა, რომელიც სხვისი დახმარებით და გარეგანი ძალის ძალდატანებით შესრულდებოდა. ერთ წერილში სპინოზა სწერს მეგობარს, რომ მას თავისუფლად ისეთი საგანი მიაჩნია, „რომელიც არსებობს და მოქმედობს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობის და საკუთარი ბუნების მოთხოვნის გამო; ნაძალადევი კი არის ის გარემოება, რომლის არსებობა და მოქმედება წინასწარ გარკვეულია, რომელიმე სხვა და უცხო საგნის მიერ.“ (იქვ. გვ. 365.) აქედან ის დასკვნა შეიძლება მივიღოთ, რომ სპინოზა ღმერთს ანუ სუბსტანციას ანიჭებდა უნარს აბსოლიუტური თავისუფლების ქონებისა, ე. ი. ისეთი თავისუფლების, რომლის არსებობა გარკვეული იყო შინაგანი აუცილებლობისაგან და კანონზომიერებისაგან.

ამრიგათ, ნათელია, რომ სპინოზა თავისუფლებას და აუცილებლობას კი არ აორებდა, არამედ მათ დიალექტიურ მთლიანობაში განიხილავდა; თავისუფლება ამ გაგებით გამოდიოდა, როგორც შემეცნებული აუცილებლობა. გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად ბევრი მოსაზრების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ შევჩერდებით ერთზე, სპინოზა თავის მოძღვრებას თავისუფლებაზე და აუცილებლობაზე ავრცელებდა არა მარტო მატერიალურ ქვეყანაზე, არამედ ადამიანთა ცხოვრებაზედაც, ის კი არა, ე. წ. სულიერ ცხოვრებაშიც, ის კანონზომიერებით გარკვეულ მექანიკურ მიზეზობრივობაზე დამყარებულ თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობას ხედავდა. ქვეყანაზე ყველაფერი მექანიკური მიზეზობრივობის უნივერსალურ კანონს ექვემდებარება. ქვეყნიერი პროცესები მიზეზის და შედეგის განუწყვეტელ ჯაჭვეულს წარმოადგენენ: ერთი მოვლენა დამოკიდებულია მეორესგან, მეორე მესამესაგან და ასე სულ. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ თვალსაზრისს იმ დროინდელი მეცნიერებისათვის, თავისთავად ნათელია. სპინოზამ პირველად განიხილა სამყაროს პროცესები, როგორც შეუწყვეტელი და უნივერსალური ურთიერთობა მიზეზ-შედეგებისა. ამით მეცნიერებიდან თეოლოგიის ბრმა ძალები განიდევნა და ადამიანი უცნობი ღმერთის სამსახურიდან განთავისუფლდა.

აქ სპინოზიზმი უსათუოდ მარქსიზმთან ახლოს დგას და მისი წინამორბედია. მხედველობაში ის უნდა მივიღოთ, რასაკვირველია, რომ დიალექტიური მატერიალიზმი მექანიკურ მიზეზობრივობას კი არ უარჰყოფს, არამედ ის საკმარისად არ მიაჩნია არსის ყველა შინაგანი კანონზომიერების გარკვევის დროს. ამის შესახებ ენგელსი სწერს: „ურთიერთ ზეგავლენა ეს ის არის, რასაც ჩვენ მოძრავი მატერიის განხილვის დროს უპირველეს ყოვლისა ვნახულობთ... მოძრაობის კრებადი ჯამი, ფორმის ცვალებადობის მიუხედავად, რჩება ერთი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე. (სპინოზას სუბსტანცია არის causa sui და საუცხოვოთ გამოხატავს ურთიერთ ზეგავლენას". ფრ. ენგელსი: „ნატურდიალექტიკა").

მიზეზისა და შედეგის ურთი-ერთი ზეგავლენა არკვევს ყველა მოვლენის ბედს. ამიტომ საგანთა ქვეყანაში შემთხვევისათვის ადგილი არსად რჩება. შემთხვევა საერთოდ არ არსებობს. ჩვენ შემთხვევითად ის მოვლენა, ან მოქმედება მიგვაჩნია, რომლის შესახებ ჯერ არ ვიცით, თუ საიდან მოვლენილა. ე. ი. შემთხვევის აღიარება ჩვენი ცოდნის შემოფარგლულობის აღიარებაა. საკმარისია ცოდნა გაფართოვდეს და ყოველი აქამდე შემთხვევითად მიღებული მოვლენა შესაფერს ადგილს დაიჭერს მიზეზ-შედეგის განუწყვეტელ ჯაჭვეულში. თვითეული მოვლენა იმიტომ არის გარკვეული და ჭეშმარიტი, რომ ის დაქვემდებარებული კანონზომიერებასთან და ამ გზით გამომდინარეობს ღმერთის, სუბსტანციის, ანუ მატერიის დაუბოლოვებელი ბუნებისაგან.

ამრიგათ ყოველგან ცხადია, რომ სპინოზასათვის ღმერთსა და სუბსტანციას შორის არავითარი განსხვავება არ არის. სპინოზას სისტემის შეუბღალავად შეგვიძლია სიტყვა ,,ღმერთი" მისი ნაწერებიდან ამოვშალოთ და იქ სიტყვა ,,ბუნება" ჩავწეროთ. მაგრამ სიტყვა ბუნება რომ ამოვშალოთ იქიდან, ამით სპინოზას ფილოსოფიის შინაარსი დიამეტრალურად გამოიცვლება. (იხ. ამის შესახებ: მოსე გოგიბერიძე—,,სპინოზა" 1927 წ.) ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყველა თანამიმდევნო ინტერპრეტატორი-მატერიალისტი სპინოზას სისტემისა ერთდებიან იმაში, რომ სპინოზას ღმერთი-სუბსტანცია არის იგივე ბუნება. სიტყვა ღმერთს სპინოზა ხმარობდა, როგორც თეოლოგიურ ზეწარს მატერიალისტური ფილოსოფიისათვის. ასეთი გაგება სპინოზასი, ის კი არა, მის მტრებსაც გააჩნიათ. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთი იმდროინდელი თეოლოგის აზრი სპინოზას შესახებ, რომ სპინოზა მატერიალისტურ ფილოსოფიას განგებ თეოლოგიურ ზეწარში ახვევდა. ეს ,,მრისხანე მხილება" სპინოზას აზრებისა ეკუთვნის ვინმე ლამბერტს, რომელმაც ,,თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატის" წაკითხვის შემდეგ ერთ მეგობარს მისწერა. ,,ყოველ შემთხვევაში ამ ნაწარმოებიდან ნათელია, რომ ავტორის მთელი მოსაზრება და მისი ყველა არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ძირი გამოეთხაროს წმიდა აღთქმას, მის შესახებ ავტორი იქ ლაპარაკობს, მაგრამ მხოლოდ თვალის ახვევის მიზნით... მგონია, რომ მე დიდათ არ შევცდები და ავტორის მიმართ უსამართლო არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ის მიმართავს ყალბ და პირბადე ახვეულ არგუმენტებს, სინამდვილეში კი წმიდა წყლის ა თ ე ი ზ მ ს ავრცელებს". (იხ. ,,მიწერმოწერა" 313) ამ წმიდა მოხუცის გონებაგამჭრიახობა სწორეთ რომ გაკვირვების ღირსია. მან ჯერ კიდევ 1671 წ. მშვენივრად გაიგო, თუ რა საქონელი იმალებოდა სპინოზას თეოლოგიურ ზედაპირს ქვეშ, მან უკეთესად დააფასა სპინოზა, ვიდრე 1928 წ. ჩვენი მეხანისტები აფასებენ. მეხანისტებს დღესაც ვერ გაუგიათ, რომ ღმერთის სახელწოდების ქვეშ სპინოზას ბუნება—მატერია—სუბსტანცია აქვს ნაგულისხმევი.

სპინოზას სუბსტანცია-ღმერთი იგივეა, რაც მატერია. ამ დებულების დასამტკიცებლად საკმარისია ღმერთი-სუბსტანციის თვისებების ჩამოთვლა. ჩვენ

ვნახეთ, რომ ღმერთი-სუბსტანცია, ისე როგორც მატერია, არის მიზეზი საკუთარი თავისა, ერთიანი, განუყოფელი, გარდაუვალი, შე[illegible]ალური, მატერიალური და სხვ.

ბიბლიოთეკა

მთელი ეს დახასიათება ღმერთი-სუბსტანციისა ძალიან ჩამოგავს მატერიის დახასიათებას დიალექტიური მატერიალიზმის მიერ. ამით, რასაკვირველია, იმის თქმას არ ვაპირებთ, ვითომც სპინოზას მოძღვრება მატერიაზე, სავსებით ამოსწურავდეს დიალექტიური მატერიალიზმის მოთხოვნილებას ამ საგანზე. სპინოზა, ცხადია, იმდროინდელ მეცნიერების და განსაკუთრებით ბუნებით მეცნიერების ფარგლებს ვერ დასტოვებდა და ამით გამოწვეული სისუსტე და ნაკლულოვანებანი მის მოძღვრებას თან ახლდა.

ვნახოთ, თუ რაში მდგომარეობს სპინოზას მოძღვრების ეს არსებითი ნაკლი მატერიისა და სუბსტანციის გაგების სფეროში. უპირველეს ყოვლისა, მასთან ვერ ვნახულობთ დიალექტიური მოძრაობისა და დიალექტიური განვითარების ცნობებს. ზოგიერთებს ერთი მეორეში ერევათ განვითარების უბრალო აღიარება და დიალექტიური გაგება განვითარებისა, ამიტომ ისინი გაკვირვებული რჩებიან, როდესაც სპინოზას ასეთს ნაკლზე მიუთითებენ. ისინი უპასუხებენ, რომ სპინოზას სუბსტანცია არის მოძრავი და არა გაქვავებული რამბა, ე. ი. მას განვითარებაც ესმის და სხვ. ეს აზრი, რასაკვირველია, საფუძვლიანია, სპინოზას არსი მოძრავია და არა გაქვავებული, მაგრამ ასეთს ავტორებს ავიწყდებათ, თუ რა ბუნებისა არის სპინოზას გაგებით მ ო ძ რ ა ო ბ ა და ცვალებადობა. სპინოზასთვის მოძრაობა ნიშნავდა მექანიკურ გადაჯგუფებას მატერიის ნაწილაკებისა სივრცეში; მაგრამ ისეთი მოძრაობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადგილის გამოცვლას ნიშნავს სივრცეში, არის მექანიკური მოძრაობა და მის მიერ დიალექტიკა დავიწყებულია. დაბოლოს ისეც უნდა ითქვას, რომ ეს მოძრაობა მას არ ესმოდა, როგორც თვითმოძრაობა, თვითგანვითარება, რომელსაც არავითარი გარე მძრავის დახმარება არ დასჭირდებოდა. ამის შესახებ თვითონ სპინოზა სწერს: „განფენილობა შეიძლება წარმოვიდგინოთ საკუთარი ძალით და საკუთარი თავით, მაგრამ მ ო ძ რ ა ო ბ ა—ა რ ა, ე. ი. მოძრაობა მეორეში უნდა შევიმეცნოთ, ჩვენი წარმოდგენა მოძრაობაზე უკვე მოცემულია განფენილობის წარმოდგენაში“ („მიწერ-მოწერა“ გვ. 66). ამრიგად სპინოზას აზრით მოძრაობა მეორეს საშუალებით და იმის დახმარებით მოდის სისრულეში. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მოძრაობა, მატერიის არსებობის ფორმა არ არის. ეს კი დიდი ნაკლი იყო მისი მოძღვრებისა; მოძრაობის ასეთმა ცალმხრივმა გაგებამ გამოიწვია ის, რომ შეხედულება განვითარებაზე იყო აგრეთვე იმანენტური ნაკლის შემცველი და არა დიალექტიური. აქ ნათლად აღმოჩნდა, რომ სპინოზას ფილოსოფია ბოლომდე დიალექტიური არ იყო, ის დარჩა მექანისტური. მაგრამ ამით, რასაკვირველია, არც მისი ისტორიული მნიშვნელობა და არც მისი მატერიალისტურობა არ შემცირებულა. მიუხედავათ ყველა ნაკლისა, თავის ადგილზე რჩება უდიდესი მნიშვნელობა მატერია-სუბსტანციის-ღმერთის იგივეობისა.—ეს არის ის ერთად ერთი დადებითი და დიდი მნიშვნელობა, რომელსაც მარქსისტული ანალიზი სპინოზას მოძღვრებაში სუბსტანცია-

ზე ამოიკითხავს. ნაკლიც ბევრია, მაგრამ მნიშვნელოვანი გაცილებით მეტია ნაკლულოვანზე.

ჩვენ დროში ლ. აქსელროდი და მისი თანამოაზრენი უარჰყოფენ ღმერთ-სუბსტანციის იგივეობას მატერიასთან. ვნახოთ რაში მდგომარეობს მათი არგუმენტები. ვნახოთ რაში ცდება აქსელროდი. აქსელროდის აზრით ძირითადი სპინოზიზმში არის არა მოძღვრება სუბსტანციაზე, ეს კი არ აძლევს მას მატერიალისტურ ბუნებას, არამედ მექანიკური მიზეზობრივობა, რომელიც მიმართული იყო იმ დროინდელ მეცნიერებაში გაბატონებული ტელეოლოგიური მიზანშეწონილების წინაამღდეგ. ეს ისეთი ბანალური ჭეშმარიტებაა, რომელსაც ვითომც არავინ არ უარჰყოფს. ვითომც ყველა ღებულობს, რომ სპინოზას მიერ გატარებული მექანიკური თვალსაზრისი უდიდესი მნიშვნელობისა იყო მეცნიერების განვითარებისათვის, რომლისაგან მან ტელეოლოგია განდევნა. მაგრამ საქმე ამაში როდია, საქმე იმაშია, რომ აქსელროდი უარჰყოფს სუბსტანციისა და ბუნების იგივეობას, იგივეობას ის სუბსტანციასა და მექანიკურ მიზეზობრიობას შორის ხედავს. „აბსოლიუტური აუცილებლობის კანონი—სწერს აქსელროდი—ე. ი. უმკაცრესი, ყველა მოვლენაში გაბატონებული კანონზომიერება, სპინოზას სისტემაში არის ის უმაღლესი კანონი, რომელიც მთელ სამყაროს განაგებს. სწორედ ეს უმაღლესი აბსოლიუტური კანონი არის სუბსტანცია, ანუ ის რასაც სპინოზას ღმერთი ეწოდება—(იხ. აქსელროდი: „დიალექტიური მატერიალიზმის დასაცავად“ გვ. 24. რუსულად.) ამ თეზისიდან გამოსული საჭიროა ორი საკითხის დასმა. პირველი იმაში მდგომარეობს, თუ როგორაა შესაძლებელი იგივეობა მთელსა და ნაწილს შორის; მექანიკური მიზეზობრიობა ხომ სუბსტანციის ნაწილია. მეორეც იქნება: როგორაა შესაძლებელი აზროვნებისა და არსის ატრიბუტების მიკუთვნება ამ „უმაღლეს და აბსოლიუტურ კანონთან“? პირველი შემთხვევის უსუსურობა თავის თავად ნათელია, მექანიკური მიზეზობრივობა ნაწილია სუბსტანციისა და არა მისი თანატოლი. ის სუბსტანციის ბუნებით არის მოცემული, გამოხატავს სუბსტანციის ძალიან ძირითად თვისებას, მაგრამ ის არ არის სრული სახე იგივე სუბსტანციისა. სუბსტანცია, რომელიც რეალური დასაბამია, გამოხატავს არსის მთელ გასაქანს და ცხადია, რომ კანონზომიერ აუცილებლობას გარეშე მას სხვა სახე და სხვა თვისობრივი განმარტებაც აქვს. სუბსტანციის მთელ სისრულეს რომ კანონზომიერ აუცილებლობის არსება გამოხატავდეს, მაშინ მას აღარ ექნებოდა აზროვნებისა და არსის ატრიბუტები. ამ უკანასკნელის გაიგივეობა აქსელროდის „უმაღლეს აბსოლიუტურ კანონთან“ ყოვლად მოუხერხებელია. ასეთი ინტერპრეტაციას არც ორიგინალობის პრეტენზია გააჩნია, ის გაცილებით ადრე გამოსთქვა ცნობილმა ჰეფდინგმა. ამას არც თვითონ აქსელროდი მალავს. „ჰეფდინგი—სწერს ის—სუბსტანციას განმარტავს, როგორც საწყისს არსის საერთო კანონზომიერებისა. ეს არსებითად სწორი განმარტებაა“ (იხ. აქსელროდი: იქვე; გვ. 25). რა ავტორიტეტი არ იყოს აქსელროდისათვის ჰეფდინგი, მაინც შეუძლებელია ეს თეორია მივიღოთ. შეუძლებელია იმიტომ რომ ეს ეწინააღმდეგება სპინოზას მსოფლმხედველობას. ისიც ხომ ცნობილია, რომ აქსელროდის აზრები არ ეთან-

ხმებიან მარქსიზმის კლასიკების განმარტებას სპინოზას სუბსტანციისა. ამ უკანასკნელთა შეხედულების გაცნობა ჩვენ კიდევ უფრო კარგათ გაგვაცნობს აქსელროდის შეცდომებს.

ეროვნული

მარქსისა და მარქსიზმის შეხედულება ამ საკითხზე უპირველეს ყოვლისა ისეთი კომპეტენტური პირიდან მოვისმინოთ, როგორც გ. პლეხანოვი იყო. პლეხანოვი სწერს: „ჰეგელში მარქსი სამ ელემენტს ხედავდა: სპინოზას სუბსტანციას, ფიხტეს თვითცნობიერებას და ამ ორ ელემენტის წინაალმდეგობაზე დაყრდნობილი მთლიანობას აბსოლიუტური სულისა, ეს უკანასკნელი ელემენტი ეკუთვნოდა თვით ჰეგელს, მაგრამ რა არის სპინოზას სუბსტანცია? გვეკითხება მარქსი—„ეს არის მეტაფიზიკურად გადაცმული ბუნება.“ (იხ. პლეხანოვი. ნაწერები ტ. XVIII. გვ. 330). მარქსის ეს განმარტება რაღაც მიზეზის გამო დაივიწყა აქსელროდმა. მაგრამ ამასთან ერთად მან დაივიწყა მარქსისტული განმარტება სპინოზას სუბსტანციისა.

ლ. ფოიერბახიც ასე იხილავს სპინოზას სუბსტანციას. იმის აზრითაც თეოლოგიურ ზედაპირს ქვევით მოთავსებული იყო მატერიალური ბუნება. იქიდან გამოსული, რომ ბოლოვადი საგნების არსებობა ღმერთ სუბსტანციაზე იყო დამოკიდებული, ფოიერბახი სწერდა: „მატერიალური საგნები მხოლოდ მაშინ გამოიყვანება ღმერთისაგან, თუ ღ მ ე რ თ ი თ ვ ი თ ო ნ ა რ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ი რ ო გ ო რ ც მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ა რ ს ე ბ ა. იმიტომ იყო სპინოზას განმარტება სწორი, რადგან ის ღმერთს ვრცეულად ე. ი. მატერიალურ არსებათ სთვლიდა.“ (ფეირბახი: ნაწერები. რუსული გამოცემა ტ. I გვ. 93—94). მარქსთან და ფოიერბახთან ერთად პლეხანოვიც ყოველთვის იმას გვასწავლიდა, რომ სპინოზას სუბსტანცია-ღმერთი ობიექტიურად არსებულ მატერიალურ ბუნებას გულისხმობს. ჩვენ უკვე გავეცანით პლეხანოვის ერთ განმარტებას „თუ ბუნებას სპინოზასთან ღმერთი ჰქვიან, ამ ღმერთის ერთ-ერთი ატრიბუტი არის განფენილობა. ამით კი სპინოზიზმი იდეალიზმისგან არსებითად განსხვავდება.“

ამრიგად, ყველა, ე. ი. მარქსი, ფეიერბახი და პლეხანოვი, სუბსტანციის მატერიალურობას სცნობდენ. მხოლოდ ლ. აქსელროდს არ სურს ამას შეეტყობა, აქსელროდის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მის ფილოსოფიის ძირითად განაწილებად არსის და აზრის, მატერიალურისა და იდეალურის პრობლემა კი არ მიაჩნია, არამედ მას ფილოსოფიის ძირითადი მნიშვნელობა მექანიკური კანონზომიერების გაგებაში უნდა დაინახოს. ამიტომ მას დიალექტიური მატერიალიზმი მექანიკური მატერიალიზმი ჰგონია. სპინოზას ფილოსოფია მას იმიტომ კი არ მიაჩნია მატერიალისტურ სისტემად, რომ იქ სწორად სჭრის არსისა და აზრის დამოკიდებულების პრობლემას, არამედ იმიტომ, რომ თურმე სპინოზას თანმიმდევნოთ და უნაკლოთ გაუტარებია მექანიკური კანონზომიერების თვალსაზრისი. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ ამ უკანასკნელის მიღება კიდევ არ ნიშნავს ფილოსოფიური თვალსაზრისის მატერიალისტურობასაც. ეს რომ ასე ყოფილიყო მაშინ ბევრი იდეალისტი მატერიალისტი იქნებოდა. სწორედ ამიტომ აქსელროდის ინტერპრეტაცია სპინოზას მატერიალიზმს ფეხიდან აცლის რეალურ ნიადაგს და ასუსტებს მისი სისტემის მონისტურ შენობას.

ის, რაც ახლა აქსელროდი ფარულად გვაწვდის დიდი ხანია იდეოლისტური ინტერპრეტაციისაგან ცხადად მორთმეული იყო. სუბსტანციის მატერიალურობას ისინი თუმცალა სხვა არგუმენტებით უარჰყოფდენ, მაგრამ შედეგი ორივე ბანაკისა ერთი და აგივეა: სუბსტანცია არ არის მატერია. მაგ. ვუნდტი ფიქ-

რობდა, რომ სპინოზა იყო დოგმატიკოსი, მისტიკოსი, ის კი არა, რელიგიით გამსჭვალული, ამიტომ სპინოზიზმი მას ესმოდა, როგორც პანთეიზმი. სუბსტანციის შესახებ ამბობს ვუნდტი, რომ თუმცალა „ღმერთის ცნება სპინოზასათვის იგივეა, რაც სამყაროს ცნება, მაგრამ სამყარო მას ესმის არა როგორც ემპირიულად გრძნობადი, არამედ როგორც ტრანსცენდენტური...“ (იხ. ვუნდტი: „შესავ. ფილოსოფ.“ რუს. გამ. გვ. 145). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იდეალისტი ვუნდტიც კი ვერ უარყოფს ბუნებისა და ღმერთის იგივეობას სპინოზას ფილოსოფიაში. მაგრამ შემცდარია, რასაკვირველია, ვუნდტის შეხედულება, ვითომც სუბსტანციას ტრანსცენდენტური მნიშვნელობა ჰქონდეს. როგორ შეეძლო სპინოზას სუბსტანციის ტრანსცენდენტობის ცნობა, როცა ის მკაცრი და თანმიმდევნო დეტერმინისტი იყო და როგორც ასეთი ქვეყნიერების ყოველივე ზექვეყნიურ გაგებას გადაჭრით უარყოფდა.

დაახლოვებით ასეთივე უშინაარსოა სუბსტანციის ცნების კრიტიკა ფილოსოფიის ისტორიკოსს ვინდელბანთან; ის სწერს: „სპინოზას სუბსტანცია მეტაფიზიკური სივრცეა ყველა საგნისთვის. ისე, როგორც გეომეტრიულ სივრცეს გრძნობად შინაარს თუ გამოვაკლებთ, მხოლოდ ცარიელი ფორმა დარჩება, ასე სპინოზას სუბსტანციას, მისი კერძო დახასიათებანი რომ მოვაშოროთ, დარჩება მხოლოდ სუბსტანციონალობის ლოგიკური კატეგორია.“ (ვინდელბანდი: „ახალი ფილ. ისტორია“ რუს. გამ. ტ. I გვ. 170). სუბსტანციის ასეთი განმარტება ნიშნავს მისი თვისობრივი მხარის უარჰყოფას, რაც სუბსტანციას რეალობას მოკლებულ, გაურკვეველ და ცარიელ არსებად აქცევს. მაგრამ საკითხია, შეიძლება თუ არა ასეთს განმარტებას შეურიგდეს სპინოზა, რომელიც სუბსტანციაში არა თუ საკუთარი თავის მიზეზს ხედავდა, არამედ ისეთ რაღაცასაც, რომელსაც თვისობრივი განმარტებანი გააჩნდა. სუბსტანცია, რომელიც გეომეტრიული ცარიელი სივრცე იქნება, ცხადია, რომ თვისებრივი ხასიათის მატარებელი აღარ იქნება. ამიტომ, მიუხედავათ ვინდელბანდის ავტორიტეტისა, ეს განმარტება სუბსტანციის სავსებით რომაა, სპინოზას აზრებს არ შეეფერება.

უკანასკნელად გავიხსენოთ კიდევ, თუ როგორ უყურებდა სუბსტანციის პრობლემას ისეთი ცნობილი ფილოსოფიის ისტორიკოსი, როგორც იყო კუნო ფიშერი. კუნო ფიშერმა სუბსტანციის პრობლემა ატრიბუტებთან დაკავშირებით გაარკვია. მან მოგვცა სწორი კრიტიკა ჰეგელისა და ერდმანის შეხედულებისა ამ საკითხზე, მაგრამ სუბსტანციის მიმართ თვითონვე უამრავი შეცდომა ჩაიდინა. ჩვენ შეგვიძლია ვინდელბანდისა და კუნო ფიშერის ინტერპრეტაციებს შორის ტოლობის ნიშანი დავსვათ. ორივეს სუბსტანცია ყოველივე თვისებრივ ელემენტს მოკლებულ რაღაცათ მიაჩნიათ. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ კუნო ფიშერს სუბსტანცია ატრიბუტების მიზეზით გამოწვეული კატეგორია ჰგონია. თავის „ფილოსოფიის ისტორიაში“ ფიშერი სწერს: „ღმერთი მიზეზია ყველა საგნისა, ღმერთის ატრიბუტები კი მისი ძალებია“ (იხ. კ. ფიშერი: ტომი II გვ. 389). ასეთი შეხედულება ამზადებს ნიადაგს სუბსტანციისა და მის ატრიბუტებს შორის კავშირის გასაწყვეტად. ამის ერთად-ერთი დასკვნა ის იქნება, რომ სპინოზას სუბსტანცია, ვითომც ატრიბუტების უბრალო ჯამი იყოს; ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სუბსტანცია თვისებრივი კატეგორია აღარ იქნებოდა და საკუთარი თავის განმარტების უნარიც აღარ შერჩებოდა. ეს შეხედულება არის შემცდარი და სავსებით არა დიალექტიური.

ამით, გვგონია, დამტკიცებულია სპინოზას სუბსტანციის მატერიალისტური გაგება და ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ მოძღვრებაზე ატრიბუტების შესახებ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვრული ცხოვრება სომხეთში

ერევანი წარმოადგენს სომხეთის კულტურულ-მხატვრულ ცხოვრების ცენტრს.

ცხოვრების ახალმა წყობილებამ სოციალურ ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა ჩაგრულ კლასთა სწორედ ის ელემენტები, რომლებიც წინად არავითარ როლს არ თამაშობდნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრების განვითარებაში. ჯერ, არც თუ ისე დიდი ხნის წინედ, იყო სომხეთი დანგრეული, დამშეული, აწიოკებული, დღეს კი ეს მხარე უჩვეულოდ ჩქარ ნაბიჯსა სდგამს მხატვრული ცხოვრების შესაქმნელად. არსდებიან ახალი კულტურულ-მხატვრული დაწესებულებანი, საფუძველი ეყრება მშვენიერ თეატრს საზამთრო და საზაფხულო განყოფილებებით, რომელიც დაიტევს 3.000 კაცს. უკვე აგებულია: მიწსახკომის შენობა ხუროთმოძღვარ აკადემიკოს ტამანიანის პროექტით, ვეებერთელა სასტუმრო—ხუროთმოძღვარ ბენიატიანის პროექტით, სასოფლო-სამეურნეო ბანკის შენობა, პოლიგრაფტრესტის შენობა, სადაც თავმოყრილი იქნება ერევნის ყველა სტამბები და რედაქციები. ამ ნაგებობათა გვერდით აშენებულია და კიდევ შენდება ბევრი ახალი სახლები.

ასეთი ინტენსიური აღმშენებლობით მუშაობა იმის მაჩვენებელია, რომ ეს მხარე შემდგარია სოციალურ მშენებლობის რელსებზე. უკვე აგებულია 8000 ცხ. ძალიანი ჰიდროსადგური მდ. ზანგუზე ერევანში, ფაბრიკები, ქარხნები და რამოდენიმე მუშათა სახლი.

გარდა შუაგულ ერევნისა, აღმშენებლობა სწარმოებს ქალაქგარედაც, განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან შემოხვეწილთა მიერ; ასე მაგალ.: შენდება ახალი ევდოკია, ახალი მახათია, ახალი სებასტია, სადგურ სარდარაბათის მახლობლად კი გაშენებულია პატარა ქალაქი ლუკაშენი, სადაც მოთავსებულნი არიან მხოლოდ ობლები. ქალაქი აშენებულია ტამანიანის პროექტითა და ხუროთმოძღვარ ავშარიანის ზედამხედველობითა და გეგმების მიხედვით.

ერევანს არც ლენინაკანი ჩამორჩება. აქ უკვე აგებულია თეატრი 700 მაყურებლისათვის, კინო-თეატრი, სასტუმრო, საფეიქრო ფაბრიკა.

სომხეთის მოსახლეობა შესდგება უმთავრესად გლეხებისაგან, მუშებისაგან: ლენინაკანი—საფეიქრო ფაბრიკა, რკინისგზის დეპო; ერევანი—მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები: ბამბის დასამუშავებელი, საპნის მოსადუღებელი, კარბიტის

დასამზადებელი, ხის დასამუშავებელი, მექანიკური და სხვა. ამ ბაზაზე ვითარდება კულტურა, მხატვრული ცხოვრება.

უკანასკნელ წლების ლიტერატურა გამსჭვალულია პროლეტარული იდეოლოგიით და ასახავს თანამედროვე რევოლიუციონურ განწყობილებას. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში სდგანან პოეტები, კრიტიკოსები და თეორეტიკოსები: ეღიშე ჩარენც, აქსელ ბაკუნც, აზატ ვშტუნი, არმენ, ნაირი ზარიან, ალაზან, ნორენც, ვანანდეცი (კრიტიკოსი), მაგარი, ანუშავან ვარდანიან (დრამატურგი), არაქს (მწერალი ქალი) და სხვები. ზოგიერთთა ნაწარმოები გადათარგმნილია რუსულ ენაზედაც. გამოცემულია დიდი კრებული „პროლეტარული ლიტერატურისა", ეხლა კი გამოდის საკუთარი ჟურნალი „ლიტერატურულ სადარაჯოზე".

პროლეტმწერალთა ასოციაციის გარდა სომხეთში არსებობენ სხვა ლიტერატურული დაჯგუფებანიც, როგორც მაგ. „ლიტერატურული საზოგადოება". მესამე ჯგუფია თანამგზავრებისა, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინედ დააარსეს მშრომელ მწერალთა საზოგადოება; მათ შორის ყველაზე მეტის პოპულიარობით ჰსარგებლობენ: პროზაიკები — ზორიანი, მანველიანი; უკანასკნელი საკმაოდ ძველი მწერალია და ბევრი ნაწარმოები აქვს ბაქოელ მუშათა ცხოვრებიდან, ზორიანი კი ჰხატავს საბჭოთა სოფლის ცხოვრებას. ამ ჯგუფში არიან აგრეთვე მწერლები: დერენიკ დემირჩიან, ტოტოვენც ვაგან და სხვები. ამ ჟამად ერევანში გამოდის დიდი ყოველთვიური ჟურნალი „ახალი გზა".

განვიხილოთ სომხეთის მუსიკალური ცხოვრება. მუსიკა და მასების მუსიკალური აღზრდა არსებითი საზრუნავია საბჭოთა სომხეთისა. სამუსიკო ხელოვნება უმთავრესად მოქცეულია კონსერვატორიაში, სადაც მიწვეულია საუკეთესო ძალები. კონსერვატორიაში მუშაობდა ცნობილი კომპოზიტორი, აწ გარდაცვლილი ა. ა. სპენდიაროვი, მუშაობს მუსიკის ისტორიკოსი და კრიტიკოსი გ. ყორღანოვი. სომხეთის კონსერვატორიაში ამ ჟამად სწავლობს 300 მეტი მოწაფე 30 მასწავლებლის ხელმძღვანელობით. კონსერვატორიაში დაარსებულია სიმფონიური ორკესტრი 64 კაცისაგან შემდგარი. ორკესტრს ხელმძღვანელობს ტერ გევორდიანი (დირიჟორ-კომპოზიტორი), აგრეთვე ეხლახან მოწვეული ახალგაზრდა დირიჟორი ჩარექოვი. ყურადღებას იპყრობს: კვარტეტის კლასი, პედაგოგიური კლასი ე. ი. სასკოლო და საგუნდო სიმღერის ხელმძღვანელთა კლასი, აგრეთვე საოპერო კლასი, რომლის ხელმძღვანელად გასულ წელს ყაზანიდან მოწვეული იქნა სიმღერების ცნობილი მასწავლებელი ქალი გენჯიანი.

აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმოსავლეთისა და კერძოდ სომხეთის მუსიკის კულტივაციას, ამ მიზნით მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტს ნოტებზე გადააქვს ხალხური სიმღერები. სახელმწიფო კონსერვატორიის თეორეტიულ ფაკულტეტს კი ევალება ამ სიმღერების გადამუშავება და გადაკეთება სხვა და სხვა გვარ შესრულებისათვის, მაგალითად საგუნდოდ ან საორკესტროდ. წარსულ წლიდან უკვე შეუდგნენ ამ ნაშრომთა გამოცემას, რომელსაც განაგებს სომხეთის სახელგამის მუსსექტორი და საორკესტრო ნაწარმოებთაგან უკვე გამოსულია ალ. სპენდიაროვის „ერევნის ეტიუდები" და ა. ტერგევონდიანის „შირაქის ეტიუდები. ვოკალურ-ინსტრუმენტალურ ნაწარმოებიდან განზრახულია გამოიცეს რომანოს მელიქიანისა (უკვე გამოიცა 8 ნაწარმოები) .ბარხუდარიანისა, ტიგრანიანისა, ს. მელიქიანისა, ანტონ მაილიანისა, ზახარიანისა და ტოლიანის ნაწარმოებნი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახელმძღვანელოთა გამოცემას.

ამის გარდა, კონსერვატორიასთან არსებობს სპეციალური კლასი აღმოსავლურ მუსიკისა, ცნობილ მეჭიანურის საშა ოჰანეზაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც შარშან მივლენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე ფრანკფურტში.

ოჰანეზაშვილი სტუდიასთან ერთად მუშაობს ეროვნულ ინსტრუმენტების კულტივაციისათვის; სახელდობრ, უნდა, რომ ისინი გადაამუშაოს ევროპიულ ორკესტრის ინსტრუმენტების ყაიდაზე და ამის გამო კონსერვატორიაში. განზრახულია შემოღებულ იქნას შემდეგი ინსტრუმენტები: 1. ჩვეულებრივი ჭიანური, 2. ჭიანური-ვიოლა (ალტი), 3. ჭიანური-ვიოლონჩელი და 4. ჭიანური-კონტრაბასი აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისი მაგვარი რეფორმა შემოღებული იყო აღმოსავლეთ მუსიკის მცოდნისა და აღმოსავლურ ორკესტრების ორგანიზატორ ბუნიატიანის მიერ, მაგრამ მისი ორკესტრი დაიშალა.

წმიდა აკადემიურ მუშაობის გარდა სომხეთის კონსერვატორია თავის კოლექტივებითა და სოლისტებით დიდ საქმიანობას ეწევა ფართო მასაში მუსიკალურ კულტურის შეტანის მხრივ: ეწყობა საზოგადო და უფასო კონცერტები (სიმფონიური, საგუნდო, სოლისტებისა) არა მარტო ერევანში, არამედ პროვინციაშიაც.

სომხეთის მუსიკალურ ცხოვრების მიმოხილვის დასასრულს უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სომხეთის მუსიკალურ ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა დიდ კომპოზიტორისა და მუსიკალურ მოღვაწის, განსვენებულ ალექს. სპენდიაროვის უკანასკნელ 3-4 წლის მუშაობამ. იყო მოთავე და სულის ჩამდგმელი ყოველივე იმისა, რაც ხდებოდა კონსერვატორიისა და საერთოდ სომხეთის მუსიკალურ ცხოვრების ირგვლივ. სპენდიაროვი მაღალკულტუროსანი მუსიკოსი იყო, რისი დამამტკიცებელია განსაკუთრებით მისი უკანასკნელი ნაშრომები, რომლებშიაც მასალად გამოიყენა ხალხური კილოები (ოპერა „ალმასტ“, „ერევნის ეტიუდები“).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში, როცა აშენდება ერევნის დიდი თეატრი—სახალხო სახლი, რომელიც გამოსადეგი იქნება საოპერო წარმოდგენებისათვისაც, სომხეთის მუსიკას უფრო ფართო შესაძლებლობა მიეცემა განსავითარებლად და გასაღრმავებლად.

სომხეთის მხატვრული ცხოვრება გამომჟღავნებულია ხელოვნების სხვა დარგებშიაც, როგორიც არის თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება და ზოგიერთი სხვა გამოყენებითი დარგი: ხალიჩების ქსოვა, ვერცხლზე ქარგვა, ჩუქურთმა, კერამიკა და სხვა.

სომხური თეატრი არსებობს უკვე 70 წელიწადზე მეტია, მაგრამ ის ჩაისახა და ვითარდება სომხეთის ფარგლებს გარეშე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ კი ერევანში არსდება (1921) აკადემიური დრამა საკმაო დიდ წლიურ ბიუჯეტით, რომელიც ამ ჟამად აღწევს 100.000 მანეთს. დასში მოწვეულნი არიან უმთავრესად ახალგაზრდა ძალები, იდგმება კლასიკური, ახალი რევოლიუციონური და სომხური ორიგინალური პიესები, თუმც უკანასკნელი მეტად მცირერიცხოვანია, რაც დიდი დანაკლისია თეატრის განვითარებისათვის. ერევანში არის მუშათა კლუბებიც, სადაც იდგმება წარმოდგენები და კონცერტები ადგილობრივ ძალების მიერ.

უკანასკნელ ხანებში ძლიერი ტენდენციაა სომხურ ოპერის შექმნისაკენ. ეს ეთი საქმე ჯერ კიდევ ამ 3-4 წლის წინედ დაიწყო, როცა სომხური ოპერეტის მსახიობის შარა-ტალიანის ხელმძღვანელობით და ლენინაკანის ქალ. აღმასკომის ინიციატივითა და მატერიალურ დახმარებით დაარსებულ იქნა საკმაოდ დიდი საოპერო დასი (75 კაცი მთელი პერსონალი); მაგრამ ამ დასმა იარსება მხოლოდ 3-4 თვე, სომხურად დასდგა მთელი რიგი ოპერებისა („ფაუსტი“, „დემონი“, „რიგოლეტო“) ლენინაკანსა და ერევანში; დასი დაიშალა, რადგან ხარჯები მეტად დიდი იყო.

მაგრამ თუ უდღეო გამოდგა სომხური ოპერა, სამაგიეროდ კარგად მუშაობდა სომხური მუსიკალური კომედია, რომელიც რამოდენიმე წლის წინედ

ჩამოყალიბდა ქ. ნახიჩევანში (1922) და აქედან საზაფხულო სეზონში მოგზაურობდა კავკასიისა, ამ.-კავკასიისა, და კერძოდ სომხეთის დიდ ქალაქებში. ამ ოპერეტაში შედიოდენ ნიჭიერი ძალები და მშვენიერი ხმები; [illegible] მსახ. ქალები — ხუმაშიანი, სედმარ, ნვარდ, ლუსინიან, კოზოტიან, ვაჟები — ლუსინიან, კუშნარიან, განსვენებული მინასიან, დანზას, აივაზიან, შარა ტალიან, ალიხანიან. სამწუხაროდ ეს დასიც დაიშალა; უკანასკნელ ხანებში ემჩნევა ტენდენცია კვლავ შეკავშირებისა, რომ შეიქმნას მუსიკალურ კომედიის ძლიერი სომხური კოლექტივი.

უფრო რაციონალურად და პრაქტიკულად მიზანშეწონილად არის ერევანში დაყენებული სამხატვრო-გამოყენებითი აღზრდა. ერევანში უკვე 5-6 წელიწადია არსებობს სამხატვრო ტეხნიკუმი, რომელიც ამ ჟამად გადაკეთებულია სამხატვრო-გამოყენებით ტეხნიკუმად. ამ ტეხნიკუმში სხვადასხვა განყოფილებებია — სამხატვრო, საქანდაკო, საჩუქურთმო, კერამიკისა, ხალიჩების საქსოვი, ვერცხლზე საქარგავი და საჩუქურთმო; განზრახულია შემოღებულ იქნას ძვალზე მუშაობა, სხვადასხვა მხატვრული ნივთების დასამზადებლად. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტილს, მხატვარ ტარაგროსის ხელმძღვანელობით.

ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ აქ სამხატვრო ხელოვნების ხელმძღვანელები: კარანფელდენ (ხალიჩების ქსოვა), კოჯოიან (ვერცხლის ჩუქურთმა), ფაფაზიან (ვერცხლზე ქარგვა), სკოლის გამგე და ხელმძღვანელი კი არის მხატვარი ვაჰრამ გაიფეჯიან.

რამოდენიმე სიტყვა სომხეთის ნორჩ კინო-წარმოებაზე. სომხეთის პირველი ფილმი გადაღებულია 1924 წელს; ეს სურათი ქრონიკას წარმოადგენს და ეწოდება „საბჭოთა სომხეთი“, ტექნიკურად მეტად სუსტად არის შესრულებული, მაგრამ თავის დროზე მოახდინა მაინც გარკვეული შთაბეჭდილება; აჩვენებდენ საზღვარგარედაც (ევროპასა და ამერიკაში).

სომხეთის წარმოების მეორე სურათი იყო „ნამუს“, რომელსაც წარმატებით აჩვენებდენ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარედ. ამის შემდეგ სომხეთის სახკინმრეწვმა გამოუშვა კიდევ სამი სურათი — „ზარე“, „შორი და შორშორ“ და ბოლოს „ბოროტი სული“ — შირვანზადეს რომანის მიხედვით. უკანასკნელ დროს მოსკოვში და აქ წარმატებით მიდიოდა რევოლიუციონური ფილმი „ხაზპუშ“ — სპარსეთის ცხოვრებიდან. ყველა ეს სურათები, ერთის გამოკლებით, დადგმულია მგონი რეჟის. ბეკ-ნაზაროვის მიერ. ამ ჟამად სომხეთის სახკინმრეწვის საქმე ფართოვდება და გამზადებულია დასადგმელად მრავალი ახალი თემა. მოწვეულია კინო რეჟის. პერესტიანი, მუშაობს ახალგაზრდა რეჟისორი ბარხუდარიან. წელს დაიწყეს აგება კინო-ატელიესი, რომელიც დაჯდება დაახლოებით 100.000 მანეთი.

განახლებულმა, პათოსით სავსე საბჭოთა მუშურ-გლეხურმა წყობილებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩვენს პოეზიასა და მხატვრულს ცხოვრებაში. რიტმით სავსეა დღევანდელი გამამხნევებელი ჩაქუჩის ცემა და ფაბრიკა-ქარხნებისა და ჰიდრო-სადგურების მოტორთა ხმაურობა.

მუშურ-გლეხური ახალი თაობა, აღზრდილი პოეზიაზე და ხელოვნების ამ მაცოცხლებელ კილოებზე, მედგრად მიაბიჯებს წინ და მხიარულად გასცქერის მომავალს, ახალ ცხოვრების ანთებულ გარიჟრაჟს.

ნიკოლო მიწიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინგლისის ხელი შუა აზიაში და ავღანისტანის ამბები

დღეს შუა აზიაში ხდება მსოფლიო მნიშვნელობის ამბები. თუ ეს ამბები განვითარდა ისეთივე ტემპით და იმგვარივე მიმართულებით, როგორც ამას ადგილი აქვს ამ ჟამად,—ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ სულ მოკლე ხანში მთელი შუა აზია გადაიქცევა ნამდვილი ომის ასპარეზად. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ბრიტანეთის იმპერიალიზმის ექსპანსია საბჭოთა საზღვრებთან არ გაჩერდება და პირველი ზონა, რომელიც მოექცევა ამ ომის გავლენის სფეროში, იქნება თურქესტანთან ერთად, ამიერ-კავკასიაც.

ამიტომ ქართველი მკითხველის მოქალაქეობრივი მოვალეობაა განსაკუთრებულის ყურადღებით ადევნოს თვალყური ინგლისის იმპერიალიზმის ყოველ ნაბიჯს შუა აზიასა და ჩვენს ახლო მდებარე მეზობელ ქვეყნებში და იქონიოს სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ზომებით, რა საშუალებითა და ხერხით იკაფავს გზას ჩვენი საზღვრებისაკენ იმპერიალისტური ინგლისი თავის ბნელ ზრახვათა განსახორციელებლად.

ყოველი მუშა, ყოველი გლეხი, ყოველი მშრომელი ჩვენი ქვეყნისა გაფრთხილებული უნდა იქნეს ამ მიმართულებით, ხოლო ყოველი პატიოსანი ინტელიგენტი ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, შეეცადოს ფართო მასების წინაშე იმ უდიდესი საფრთხის გაშუქებას, რომლის წინაშე იმყოფება დღეს მთელი საბჭოთა კავშირი და კერძოდ მისი საზღვრები აღმოსავლეთში იმის გამო, რომ ინგლისის კაპიტალი აწყობს ჩვენს წინააღმდეგ ათასნაირ პროვოკაციას.

სწორედ ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია გაუზიარო ქართველ მკითხველს ზოგიერთი ფაქტიური მასალა, რომელიც დამიგროვდა მე ამ საკითხისადმი გამოჩენილი ინტერესისა გამო. რასაკვირველია, ჩემთვის შეუძლებელია მთლიანი და ამომწურავი მასალის მოცემა, მაგრამ მე ვფიქრობ, ის მცირედიც კი, რაიცა ქვევით იქნება გამოქვეყნებული, გამოიწვევს ქართველ მკითხველთა შორის ერთგვარ ი ნ ტ ე რ ე ს ს იმ ჯოჯოხეთურის და ყოვლად საძაგელი პოლიტიკის მიმართ, რომელსაც აწარმოებს ინგლისი შუა აზიაში. და ვინაიდან ამჟამად ავღანისტანი გადაიქცა ამ პოლიტიკის უშუალო ობიექტად (და შეიძლება მსხვერპლადაც კი,) მე ამასთან დაკავშირებით, შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით ავღანისტანის ამბებზე.

1.

ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა იქონია აღმოსავლეთის ერთა გამოღვიძების საქმეში. ჩვენ ვხედავთ, რომ ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის წყალობითაც, ფეხზე დადგა ო ს მ ა ლ ე თ ი, რომელმაც შესძლო ევროპელების განდევნა, სულთანატის გაუქმება, რესპუბლიკის დამყარება და მნიშვნელოვანი რეფორმების ჩატარება თავის შინაურ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ოსმალეთი ჯერ კიდევ შორსაა იმ სოციალურ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ნორმათა განხორციელებამდე, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, მაგრამ უდავოა ერთი რამ: ოქტომბრის რევოლუციის გავლენითა და სიახლოვეთი ოსმალეთში ჩაისახა უძლიერესი ე რ ო ვ ნ უ ლ ი მოძრაობა, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა და რომლის წინსვლას აწი ევროპის ფული და ზარბაზანი ველარ შეაჩერებს.

უეჭველია ოქტომბრის გავლენა ს პ ა რ ს ე თ ზ ე დ ა ც. და თუმცა ევროპის ინტერესები, კერძოდ ინგლისისა, უფრო ღრმათაა შეჭრილი სპარსეთის სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებაში; თუმცა ინგლისის კაპიტალი და სამხედრო ძალა მეტის ინტენსივობითაა შემოსალტული სპარსეთის ირგვლივ,—მაინც ჩვენ ყოველ დღე მოწამე ვართ იმისა, რომ სპარსეთში დღითი დღე ძლიერდება სწორედ ის ძალები, რომელიც წინ აღუდგებიან ინგლისის გავლენას და ესწრაფვიან სპარსეთის განთავისუფლებას ინგლისური იმპერიალიზმის კლანჭებიდან. ამავე დროს სიმპატიები, რომელსაც ამჟღავნებს სპარსეთის მშრომელი ხალხი და ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის მიმართ, ცხადჰყოფენ იმ საერთო გეზს, საითკენაც მიიმართება ახალგაზრდა სპარსეთის ნებისყოფა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული ქ ი ვ ა და ბ უ ხ ა რ ა, რომელიც რუსის ჩინოვნიკების ხელში მოკლებული იყვენ არამცთუ საკუთარი კულტურის განვითარების ელემენტარულ საშუალებას, არამედ განიცდიდენ ვერაგულ კოლონიალური პოლიტიკის საშინელ სიმძიმეს,—ოქტომბრის რევოლიუციის შემდევ გარკვეულად დგებიან საკუთარი კულტურის და ყოფაცხოვრების აღორძინების გზაზე და, როგორც ცალკე რესპუბლიკები, შემოდიან საბჭოთა კავშირში.

უზარმაზარი მ ო ნ ღ ო ლ ე თ ი, ეს შუა გული აზიისა, რომელსაც ყოველთვის ავიწროებდა რუსეთის, ჩინეთისა და იაპონიის იმპერიალისტური ზრახვები, დღეს წარმოადგენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირის მეგობარსა და მისდამი კეთილგანწყობილ სახელმწიფოს, სადაც ოქტომბრის რევოლიუციის პრინციპები დღითი დღე პოულობენ ფართო გამოძახილს და პრაქტიკულ განხორციელებას:

მე არას ვიტყვი ჩ ი ნ ე თ ი ს ეროვნულ მოძრაობაზე, რომელიც ასე მძაფრად წარიმართა ევროპიელების, კერძოდ ინგლისელების წინააღმდეგ. არც ინდოეთის შესახებ, სადაც თვით ინგლისელების ანგარიშითაც კი, მალე უნდა დაინთოს ისეთივე ცეცხლი, როგორსაც ადგილი ჰქონდა ამას წინეთ ჩინეთში.

ყველა ეს ქვეყნები მდებარეობს საბჭოთა კავშირის საზღვარზე და სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინის პოლიტიკამ აღმოსავლეთის ერთა მიმართ ასეთი უშუალო რეზონანსი გამოიწვია ამ ქვეყნებში.

თითქმის აღმოსავლეთის ყველა ქვეყნები და კერძოდ შუა აზიისა, დაბევებულია ინგლისის მიერ, როგორც ბრიტანეთის კოლონია, თუ ნახევრად კოლონია. ამიტომ გასაგებია ინგლისის სიძულვილი საბჭოთა კავშირის მიმართ და მისი ბრძოლა ამ ქვეყნებში საკუთარი გავლენის შერჩენისა და განმტკიცებისათვის. ეს ბრძოლა კი თავის თავად გულისხმობს იმ სათავის განადგურებას, საიდანაც მსოფლიოს მშრომელი ხალხი „სნეულდება“ აშბოხების სენით—ესე იგი, ბოლშევიზმის დამხობას.

უთუოდ ოქტომბრის რევოლიუციის მორალურ გავლენას უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ 1919 წელში ავღანისტანი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო და რამოდენიმედ განთავისუფლდა ინგლისის ბატონობისაგან.

2.

ავღანისტანი წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს წინა აზიაში. ტერიტორიის საერთო მოცულობა უდრის 634,5 ათას კვ. კლმ. ავღანისტანი დაახლოვებით ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე პოლონეთი და ერთ ნახევარჯერ მეტი უკრაინაზე. დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ავღანისტანი საზღვრობს სპარსეთს. ჩრდილოეთით საბჭოთა კავშირს, ჩრდილო-აღმოსავლეთით—ჩინეთს. დასავლეთით და სამხრეთით—ინდოეთსა და ბელუჯისტანს. ავღანისტანი მთიანი ქვეყანაა, შუაზე გადაჭრილი გინდუკუშის მასივით. (15-18.000 ფტ. სიმაღლე). ზამთრობით მთების გადალახვა შეუძლებელია. ზაფხულობით გზები იხსნება უღელტეხილებზე ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე.

ნოყიერი და სახნავ-სათესად გამოსადეგი ადგილები მხოლოდ დაბლობებში მოიპოვება. სამხრეთი ნაწილი ავღანისტანისა წარმოადგენს ქვიშიან უდაბნოს.

მინერალურ სიმდიდრეთა შორის აღსანიშნავია ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, მარმარილო, ძვირფასი ქვები, აგრეთვე ნავთი. ავღანისტანის ბუნებრივი სიმდიდრენი ჯერ კიდევ დაახლოებითაც არაა შესწავლილი. მათ დამუშავებას და გამოკვლევას ხელს უშლის, სხვა მიზეზების გარდა, უგზოობაც.

ზოგიერთი ევროპიული წყაროების მიხედვით მცხოვრებთა რიცხვი უდრის 12-15 მილიონს, თუმცა 1922 წელს გამოცემულ ავღანურ გეოგრაფიაში მცხოვრებთა რიცხვი გამოყვანილია 8 მილიონათ, რასაც ემატება 2.500.000 ავღანელი, რომელიც სცხოვრობს ინგლისის მიერ ჩამორთმეულ ტერიტორიაზე, ინდოეთის საზღვართან.

მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა სხვადასხვანაირია: 50% შეადგენს წმინდა ავღანურ ტომებს; 20%-ი—ირანელებია; 15%-მდე თურქ-მონღოლური; შემდეგ—ინდოელები, არაბები, ებრაელები და სხვ.—15%-ი. რელიგია მუსლიმანურ-სუნნიტურია.

მცხოვრებთა ძირითადი სოციალური მასსა—გლეხობაა (სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა). გლეხობის გარდა—ქალაქის ბურჟუაზია, სრულიად მცი-

რედი და უმნიშვნელო; სასულიერო წოდება—გავლენიანი, მაგრამ ეკონომიურად შედარებით სუსტი (საეკლესიო მამულების და სხვ. სიმცირე). მსხვილი ვაჭრული ბურჟუაზია (უმთავრესად ჰინდო) და ე. წ. „სარდარები", ანუ სახელმწიფო სამსახურში მყოფი არისტოკრატია, რომელიც თავის ქონებასა და გავლენას იყენებს აღებ-მიცემობის საქმეში. ეს ჯგუფი ავღანისტანში დღეს ყველაზე უფრო პროგრესიულია და იგი ზურგს უმაგრებს ამანულა-ხანის თანამედროვე რეფორმებს. პროლეტარიატი ავღანისტანში თითქმის არაა. ავღანისტანის ეკონომიკა ნაკლებადაა დაკავშირებული დანარჩენ ქვეყნებთან. ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსი მხოლოდ ომამდე უდრიდა 38 მილიონ მანეთს. მისი მთავარი კონტრაგენტებია—საბჭოთა კავშირი, ინდოეთი და სპარსეთი.

ავღანისტანში შეუზღუდველი მონარქიული წესწყობილებაა. არსებობს სახელმწიფო საბჭო, ადგილობრივი სათათბირო ორგანოებიც, მაგრამ მონარქის უფლებებს არაფერი ზღუდავს. სამინისტროები—სამხედრო, საგარეო, საფინანსო, განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის—მოქმედებენ ფადიშაჰის უშუალო ხელმძღვანელობით.

1919-ში მომხდარი ომის გამო ავღანისტანმა დიდი ფინანსიური კრიზისი განიცადა. ამას დაემატა იმ სუბსიდიების მოსპობა, რომელსაც აძლევდა ინგლისი როგორც სახელმწიფოს, ემირის სახით, ისე ადგილობრივ ტომებთა მეთაურებს. 1922 წლიდან ავღანისტანში პირველად იქნა შემოღებული სახელმწიფო ბიუჯეტი. მოხდა გადასახადთა სისტემის რეორგანიზაცია და სხვ. და 1924 წლისათვის ამანულას რეფორმებმა უკვე შესაძლებელი გახადა სახელმწიფო ბიუჯეტის უდეფიციტოთ ჩატარება.

ავღანისტანის პოლიტიკური მნიშვნელობა განიზომება ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ვინაიდან ავღანისტანის ხელშია ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები, რომელთაც შეჰყავართ წინა და შუა აზიიდან—ინდოეთში. ამ პუნქტებს, საიდანაც ადვილია ინდოეთზე თავდასხმა, დღესაც შერჩათ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომაა, რომ ავღანისტანის მოსაზღვრე ინგლისი (ინდოეთის მხრივ) სისტემატიურად ცდილობს ამ ქვეყნის მოქცევას თავის გავლენის სფეროში.

3.

ინგლისის აგრესია ავღანისტანისკენ დაიწყო მეცხრამეტე საუკუნიდან, როცა მის მიერ თითქმის მთლიანად იქნა დაპყრობილი ინდოეთი და ბრიტანეთის საზღვარი ავღანისტანს მიებჯინა. ინგლისი ხედავდა, რომ ავღანისტანის მოსაზღვრე ტომები, რომელნიც შეუწყვეტლივ აჯანყებებს აწყობდენ ინგლისის წინააღმდეგ—ყოველთვის პოულობდენ მონათესავე ავღანისტანის დახმარებას, მით უმეტეს რომ თვით ავღანისტანში აშკარა ანტი-ინგლისური განწყობილება სუფევდა.

ავღანისტანის დასუსტების მიზნით ინგლისმა რამოდენიმეჯერ შეუსია მას მოსაზღვრე სპარსეთი. ინგლისის კარნახით სპარსეთი სისტემატიურად არბევდა მოსაზღვრე ავღანისტანის სამხრეთ პროვინციებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გა-

მოაშკარავდა ნაპოლეონის გეგმები სპარსეთისა და ავღანისტანის გზებით ინდოეთზე თავდასხმისა, მას შემდეგ რაც მონარქიულმა რუსეთმა ფეხი მოიდგა შუა აზიაში (თურქესტანი),—ინგლისმა გადასინჯა თავისი პოლიტიკა ავღანისტანის მიმართ.

ინგლისმა დაიწყო ავღანისტანის დახმარება მის ბრძოლაში სპარსეთის წინააღმდეგ. მან 1809 წელს დასდო ავღანისტანთან ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ინგლისი ვალდებული იყო დახმარებოდა ავღანისტანს იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს სპარსეთი თავს დაესხმოდა. ეს ხელშეკრულება ინგლისმა განაახლა 1855, 1869 წლებში. მაგრამ პარალელურად ამისა მეფის რუსეთიც დღითი დღე აწვებოდა ავღანისტანს ჩრდილოეთიდან, დღითი დღე აფართოვებდა თავის ტერიტორიას ავღანისტანის ირგვლივ და უკვე ხელს უფათურებდა ინდოეთის საზღვრებს. ამრიგად, მე 19 საუკუნის დამლევს ორი უზარმაზარი სახელმწიფო თვალში მიაჩერდა ერთი მეორეს ავღანისტანის გაღმა-გამოღმა მხარედან.

აშკარა იყო, რომ ავღანისტანი გარდაიქცეოდა ამ ორი გოლიათის ბრძოლისა და ინტრიგების ასპარეზად: ან რუსეთის გავლენა დარჩებოდა ავღანისტანში, ან ბრიტანეთისა. და ასეც მოხდა. ავღანისტანი გადაიქცა ბურთად, რომელიც გაჰქონდა და გამოჰქონდა ამ ორ დახელოვნებულ მოთამაშეს.

ინგლისმა მიმართა ნაცად ხერხს: ფულით, დაპირებით შეეცადა ავღანისტანის გადმობირებას თავის მხარეზე. ეს შეუძლებელი გახდა იმ ხანად, მით უმეტეს, რომ არც რუსეთი აკლებდა ცდას. როცა დიპლომატიამ ვერ გასჭრა, საქმე მიდგა იარაღზე.

პირველი ომი ავღანისტანსა და ინგლისის შორის დაიწყო 1838 წელს [1] და გაგრძელდა ოთხი წელიწადი. მეორე ომი დაიწყო 1878 წელს და გასტანა 1884-წლამდე.

აღსანიშნავია, რომ თუ ერთის მხრივ ავღანისტანი იჭვის თვალით უყურებდა ინგლისს და არ სჯეროდა მისი, ასევე უნდობლად უცქეროდა იგი რუსეთს, რომლის დიპლომატიური მისიები ქაბულიდან თითქმის ყოველთვის უშედეგოდ ბრუნდებოდენ.

ამიტომ ავღანისტანს რუსეთთანაც უხდებოდა ომის წარმოება. 1885 წელს ავღანისტანს შეესია რუსის ჯარი ღენერალ კომაროვის მეთაურობით. 1893 წელს—პოლკოვნიკ იონოვის რაზმი და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ავღანელები საერთოდ ღარიბი ხალხია, უკულტურო და რელიგიურ ფანატიზმით გამსჭვალული. მაგრამ ამავე დროს უაღრესად თავისუფლების მოყვარულნი არიან და განთქმული თავისი გმირობით. ამიტომ ამ

[1]) 1839 წელს ინგლისმა მოახდინა ავღანისტანის ოკუპაცია და სამი წლის განმავლობაში დიდძალი ინგლისის ჯარი იდგა ქაბულში. დარწმუნებული, რომ ქვეყანა დამშვიდდა, ინგლისმა ჯარის ნაწილი მოხსნა და ინდოეთში გაიწვია. მაგრამ 1841 წლის 2 ნოემბერს ქაბულში მოხდა საშინელი ამბოხება: ამოწყვეტილ იქმნა მთელი ინგლისის ჯარი, რიცხვით 16.500 კაცი. ინგლისის ელჩი ბერნსი და საელჩოს ყველა თანამშრომლები დახოცილ იქნენ. გადარჩა ერთად ერთი კაცი—ექიმი ბრაიდონი, რომელიც ცოცხალ-მკვდარი ჩავიდა ჯელალაბადს და აქედან გადავიდა ინდოეთში.

პატარა სახელმწიფოს თავდადებული ბრძოლა ორ ფრონტზე, ორი უდიდესი სახელმწიფოს წინააღმდეგ თითქმის ყოველთვის ავღანისტანის გამარჯვებით თავდებოდა.

ეს გაითვალისწინა ინგლისმა და ხელახლა შეაბრუნა თავისი პოლიტიკა: ავღანისტანის იარაღით დაპყრობა შეუძლებელი გახდა. კიდევაც რომ ეს მომხდარიყო, ინგლისი იძულებული იქნებოდა შეენახა ავღანისტანში დიდი ჯარი, რაც გამოიწვევდა აუარებელ ხარჯს და მსხვერპლსაც, ვინაიდან ამ ჯარს მუდმივი ბრძოლა ექნებოდა ავღანისტანის სხვადასხვა ტომებთან.

ამიტომ ინგლისი შეეცადა გადაექცია ავღანისტანი ბუფერულ სახელმწიფოდ და ხელი შეეწყო მისთვის.

ამით ისარგებლა ავღანისტანმა. ის გამთელდა, გაერთიანდა, მოისვენა შეუწყვეტელი ომებისაგან და შედარებით მოძლიერდა. მთელი ოცი წლის განმავლობაში (1880—1901) გრძელდებოდა ეს ხელსაყრელი მშვიდობიანი მდგომარეობა. ამ ხანში ავღანისტანმა შექმნა საკუთარი რეგულიარული ჯარი (100.000 კაცი), გააუმჯობესა ვაჭრობის საქმე,ააგო ციხე-სიმაგრეები, შედარებით მოაგვარა ფინანსები და სხვ. (ავღანისტანი ღებულობდა ინგლისისაგან ყოველ წლიურ სუბსიდიას). [1]

თუმცა შიში და ინგლისისადმი უნდობლობა ავღანისტანში მუდმივ არსებობდა, მაგრამ ამ პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ უფრო ცუდი განწყობილება სუფევდა. ინგლისელებმა თითქოს შესძლეს ავღანისტანის მშვიდობიანის გზით გადაბირება მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავღანისტანის მაშინდელი ემირი აბდურახმანი ინგლისის წარმომადგენლობას თავის ტერიტორიაზე მაინც არ უშვებდა. და საერთოდ ავღანისტანში უცხოელების შესვლა, თუნდაც მშვიდობიანის მიზნით, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგანაც ყოველგვარ არეულობის გამომწვევად უცხოელები მიაჩნდათ.

1907 წელს ინგლისის მდგომარეობა ავღანისტანში უფრო გაუმჯობესდა იმით, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება. ამ შეთანხმების ძალით რუსეთმა აღიარა, რომ ავღანისტანის საქმეებში მას ინტერესი აღარა აქვს, რომ ის ამ საქმეებში ამიერიდან არ ჩაერევა და ყოველგვარ დამოკიდებულებას ავღანისტანთან იქონიებს მხოლოდ ინგლისის საშუალებით.

ამნაირად, ინგლისი სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა ავღანისტანში და ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1914 წლამდე, სანამ დიდი ომი არ დაიწყო. ომის დროს ავღანისტანმა ნეიტრალურად გამოაცხადა თავი, თუმცა ოსმალეთის, გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენლები თავის ტერიტორიაზე შემოუშვა და ეს უკანასკნელნი ომის დროს ძლიერ ანტი-ბრიტანულ პროპაგანდას აწარმოებდენ ავღანისტანიდან მთელს შუა აზიაში.

სხვათა შორის, ომის დროს ქაბულში მოხდა პირველი თათბირი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ბლოკის შექმნის შესახებ ევროპიელთა ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ პრაქტიკულად ეს გაერთიანება არ განხორციელებულა.

[1]) აბდურახმანი ღებულობდა ინგლისისაგან 1.500.000 მანეთამდე წლიურად, მაგრამ ვინაიდან მან დაუთმო ინგლისს ინდოეთის საზღვარზე სტრატეგიული მნიშვნელობის დიდი ტერიტორია, —ეს სუბსიდია ერთნახევარჯერ იქნა გადიდებული.

4.

ახალი ავღანისტანის ისტორია იწყება რუსეთის რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა აღიარა უფლება ერთა თვითგამორკვევისა.

ავღანისტანმა იგრძნო, რომ რუსეთის მხრივ მას უკვე მტერი აღარა ჰყავს, რომ ეხლა მისი ერთად ერთი მტერი ინგლისია. რუსეთის რევოლიუციის ზეგავლენით ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოწინავე პროგრესიული ელემენტების გავლენა ავღანისტანში. აღსანიშნავია, რომ წინეთ ავღანისტანში თითქმის სრულიად არ არსებობდა პრესა. ამ ჟამად ავღანისტანში გამოდის შვიდი პერიოდული ორგანო. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ავღანისტანში მძლავრად იფეთქა ეროვნულმა მოძრაობამ და ეს მოძრაობა ამანულა ხანის მეთაურობით [1]) წარიმართა მთელი თავისი სიძლიერით ინგლისელების წინააღმდეგ. თავისუფლება, დამოუკიდებლობა,—ეს იყო ახლად გაღვიძებული ავღანისტანის საბრძოლველი ლოზუნგი.

ამ ლოზუნგმა გაიმარჯვა და ავღანისტანმა ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა.

საინტერესოა დეტალები ავღანისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. შემდეგნაირად მოგვითხრობს ამ ამბავს ავღანური გაზეთი „ამან-ი-ავღან"-ი. მოგვყავს ეს ამონაწერი, როგორც დოკუმენტი.

„ემირ ხაბიბულამ იმეფა 18 წელიწადი. ძველი ჩვეულების მიხედვით თავისი მეფობის მე-18-ე წლის თავზე ემირ ხაბიბულა გაემგზავრა ჯელალაბადში დასასვენებლად და ნადირობის დროს მოკლულ იქმნა რევოლვერით უცნობი პირის მიერ 1919 წლის 21 თებერვალს.

როდესაც ემირ ხაბიბულა ჯელალაბადში გაემგზავრებოდა ხოლმე, ის ყოველთვის სტოვებდა ქაბულში თავის მოადგილედ ერთ-ერთ შვილს.

მისი სიკვდილის წელს ემირის მოადგილედ ქაბულში დატოვებული იყო ეხლანდელი ფადიშახი ამანულა (ემირის მესამე შვილი).

მოკლული ემირის გვამი გადმოსვენებულ იქმნა სანადირო ადგილიდან ჯელალაბადში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა აგრეთვე ხაბიბულას ძმა სარდარი ნერსულა-ხანი. ნერსულა-ხანმა ძმის სიკვდილისთანავე საკუთარი თავი ავღანისტანის ემირად გამოაცხადა და ხალხიც თავის ერთგულებაზე დააფიცა. ეს ამბავი მალე ქაბულშიაც მივიდა. გამოქვეყნდა აგრეთვე ნერსულა-ხანის მოწოდებაც ქაბულის მთავრობისა და გავლენიანი პირებისადმი, რომელშიაც მოთხრობილი იყო ხაბიბულას სიკვდილის ამბავი და ისიც რომ ის, ნერსულა-ხანი, ამიერიდან არის ავღანისტანის ფადიშაჰი. ამიტომ ის წინადადებას აძლევდა ამანულა-ხანს გამოეცხადებინა ქაბულში ეს ამბავი და ხალხიც დაეფიცებინა ახალი ფადიშახის ერთგულებაზე.

ამანულამ შეასრულა ეს ბრძანება. მან თავი მოუყარა სასახლეში სახელმწიფოს ყველა წარჩინებულ პირთ და წაუკითხა მათ ნერსულა-ხანის მოწოდება. დამსწრენი სდუმდენ. მაშინ ამანულამ მიმართა მათ შემდეგი სიტყვებით:

---

[1]) ამანულა ხანი დაიბადა 1892 წელს. ის მესამე შვილია ემირ-ხაბიბულასი. მისი აღმზრდელი იყო ინდოეთიდან გადმოსული ცნობილი ემიგრანტი მოულვი-ნეჯერ-ალი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდოეთისა და აღმოსავლეთის ერთა ეროვნულ მოძრაობასთან. ნეჯერ-ალის დიდი გავლენა ჰქონდა ავღანისტანის მოწინავე ახალგაზრდობაზე. ჯერ კიდევ 1908—9 წლებში ავღანისტანში მოხდა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. ამ მოძრაობას თანაუგრძნობდა ამანულა-ხანიც. მაგრამ შეთქმულება აღმოჩენილ იქმნა და ნეჯერ-ალიმ გაატარა საპყრობილეში 11 წელიწადი, სანამ ამანულა ხანი ტახტზე არ ავიდა.

„მოკლული ხაბიბულა იყო როგორც ჩემი, ისე თქვენი მამა. ეხლა დრო არაა მწუხარებისა და ვიშის. ჩვენ უნდა ავიღოთ სისხლი ჩვენი მამისა, რომელიც ასე უმიზეზოდ და ვერაგულად იქმნა მოკლული. და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლება მივსცეთ თავი მწუხარებას. ამ წუთში კი საჭიროა განვიხილოთ ნერსულა-ხანის მოქმედების მეორე ნაწილი (ის რომ მან თავი გამოაცხადა ფადიშახად. ნ. მ.) და გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამის შესახებ. პირადათ მე არ შემიძლია ჩავსთვალო ნერსულა-ხანი ისეთ პიროვნებად, რომელსაც წილი არ უდევს მამაჩემის მკვლელობაში და ამის გამო ნერსულა-ხანის მომხრე მე ვერ ვიქნები".

მცირე თათბირის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, რომ ისინი ვერ დასთანხმდებიან ნერსულა-ხანის ფადიშაჰად გამოცხადებაზე ორი მიზეზისა გამო: ერთი ის, რომ ყორანის მიხედვით ტახტი გადადის გარდაცვალებული მეფის ძმაზე მხოლოდ მაშინ, თუ მეფის ორი უფროსი შვილი მემკვიდრეობაზე უარს განაცხადებენ. მეორე, რომ ხაბიბულას მკვლელი ჯერაც აღმოჩენილი არაა და მკვლელობის ყველა გარემოების გამოკვლევამდე შეუძლებელი ხდება ფიცი მიეცეს ნერსულა-ხანს.

ამაზე ამანულამ განაცხადა შემდეგი:

„მე არავითარ პრეტენზიებს რაიმეზე არ განვაცხადებდი, რომ სახეში არ მქონდეს ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა და რომ ამ უკანასკნელ საქმეს ჩემი პირადი ინტერესების მაღლა არ ვაყენებდე. ამას ისიც უნდა მიუმატო, რომ იმვის მიტანიდან პირდაპირ ბრალდების წარდგენამდე ძლიერ ცოტა მანძილია: მეტად გასაკვირია: მაგალითად, რომ მამაჩემის მკვლელი ჯერაც ვერ აღმოაჩინეს, თუმცა ფადიშაჰს გარს ეხვია სამასამდე კაცი. არავითარი გამოძიება არსებითად არ სწარმოებს. რასაკვირველია ყველას უფლება აქვს გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იქნას ფადიშაჰად არჩეული, მაგრამ პირადათ მე ვერ მოვისვენებ მანამდე, სანამ მკვლელი (ვინც უნდა იყოს იგი) აღმოჩენილი არ იქნება. ვინც მე მომყვება — მათი მადლობელი დავრჩები, ხოლო ჩემი აზრის მოწინააღმდეგეებს კამათს არ დაუწყებ".

ამ სიტყვის შემდეგ დამსწრენი ერთხმად აცხადებენ, რომ ხაბიბულას სისხლს ისინი აიღებენ, მაგრამ მათ სურთ ამ საქმისათვის სისხლი დაღვარონ ამანულასთან ერთად, რომ მხოლოდ ამანულა ხანი უნდა იქნეს ავღანისტანის ფადიშაჰი.

ამანულამ მადლობა გადაუხადა მათ და განაცხადა, რომ მარტო დამსწრეთა სურვილი საკმარისი არაა და საჭიროა ხალხის აზრიც. ამიტომ ამანულამ განკარგულება გასცა სასწრაფოდ შეეკრიფათ მოედანზე ქალაქის მცხოვრებნი და ჯარი.

ორი საათის შემდეგ ამანულა, ცხენზე მჯდარი, ეჩვენა ხალხს და წარმოსთქვა მეტად ამაღელვებელი სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ ვერაგულად მოუკლეს მას მამა, თუ როგორ უსინდისოთ მიითვისა ემირობა ნერსულა-ხანმა და სხვ. ამანულამ იძრო ხმალი და თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ ამ ხმალს ის არ ჩააგებს, სანამ არ აღმოაჩენს ნამდვილ მკვლელს და მკვლელობის მონაწილეებს. ხალხმა აღტაცებით აღუთქვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ახალ ემირს, რომლის პატივსაცემლად ისმოდა ათასი მისალმება და ზარბაზნის სროლა.

ჯელალაბადმა რომ ეს ამბავი გაიგო, აიძულა ნერსულა-ხანი უარი განეცხადებია ემირობაზე და მოეხსნა ყოველგვარი პრეტენზიები. ნერსულახანმა ეს შეასრულა და ის გააგზავნეს ქაბულში, ხოლო ამანულა-ხანს ერთგულება შეჰფიცეს.

15 დღის განმავლობაში ავღანისტანის ყველა პროვინციამ აღიარა ამანულა მთელი ავღანისტანის მეფედ.

ავღანისტანი ამ დროს ინგლისისაგან იყო დამოკიდებული და უფლება არ ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან უშუალო კავშირისა. ამანულამ ხალხს განუცხადა, რომ ის არ დაიდგამს თავზე სამეფო გვირგვინს, სანამ მთელი ხალხი სიტყვას არ მისცემს მას, რომ ისინი იბრძოლებენ ავღანისტანის განთავისუფლებისათვის. „მე არ უწოდებ ჩემ თავს ფადი-შახს მანამდე, — განაცხადა ამანულამ, — სანამ ავღანისტანი სხვისი გავლენის ქვეშ იმყოფებაო": და როდესაც ამაზედაც ხალხის სრული თანხმობა მიიღო, მან სთქვა

„დღეიდან, თუ ღმერთმა ინება, ავღანისტანი იქნება დამოუკიდებელი როგორც შინაურ საქმეებში ისე უცხოელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაშიო".

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი სახელი გაუთქვა ამანულა-ხანს მთელს ავღანისტანში და უდავო გახადა მისი პადიშაჰობა.

ტახტზე ასვლისთანავე ამანულამ განაცხადა, რომ ის არაა ინგლისის წინააღმდეგი და რომ ის შეეცდება მეგობრულად დარჩეს განწყობილი ინგლისთან. მაგრამ როდესაც ჩრდილოეთ ინდოეთის ტომები ინგლისს აუჯანყდენ, ინგლისელები ამტკიცებდენ რომ ამანულა ეხმარებოდა მათ. ამ ამბოხების პროცესში ამანულამ წარუდგინა ინგლისს მოთხოვნილება ჰაიბერის უღელტეხილის დაცლის შესახებ (ეს უღელტეხილი წარმოადგენს ინდოეთში შესავალ კარს ჩრდილოეთიდან.) ინგლისმა ამაზე უარი განაცხადა, თუმცა უღელტეხილი ავღანისტანს ეკუთვნოდა, ვინაიდან ამ დროს აჯანყებული ტომების თავდასხმანი გაძლიერდა, ხოლო ავღანისტანის დახმარება ამ ტომებისადმი დღითი დღე აშკარა ხდებოდა, — ინგლისმა დასძრა ავღანისტანის წინააღმდეგ თავისი ჯარი ინდოეთიდან და 1919 წელს მაისში დაიწყო ომი.

ავღანელები და თავისუფალი მოსაზღვრე ტომები შეიჭრენ ინდოეთში ჰაიბერის უღელტეხილით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ინგლისის ჯარის მიერ უკუქცეულ იქმნენ.

ბრძოლის პერსპექტივა, ეტყობოდა არ იყო ავღანისტანის სასარგებლოდ და ამანულა შერიგებაზე დასთანხმდა. 1919 წელს 8 აგვისტოს ინგლისსა და ავღანისტანს შორის დადებულ იქმნა საზავო ხელშეკრულება. ამ პირობის ძალით ავღანისტანი უარს აცხადებს ინგლისის სუბსიდიებზე, მას ეკარგება ინდოეთიდან იარაღის შემოტანის უფლება, იძულებული ხდება შემოუშვას ქაბულში ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენელი და ამასთანავე ღიად რჩება ჰაიბერის უღელტეხილის საკითხი, რომელსაც ფლობს ინგლისი.

მაგრამ ამის გარდა ამ ხელშეკრულებას მაინც ჰქონდა ავღანისტანისათვის დიდი დადებითი მნიშვნელობა იმით, რომ ინგლისმა აღიარა* ავღანისტანის სრული დამოუკიდებლობა, უარი განაცხადა კონტროლზე და სცნო ავღანისტანის საგარეო პოლიტიკის სრული თავისუფლება. შექმნილ პირობებში ეს დიდი მიღწევა იყო.

აღვანისტანის დამოუკიდებლობა პირველად რ. ს. ფ. ს. რ-მ იცნო [1] 1921 წლის თებერვალში დადებულ იქმნა მეგობრობისა და მშვიდობიანობის ხელშეკრულება ამ ორ სახელმწიფოს შორის და ამავე ხასიათის ხელშეკრულება 1926 წელს.

ამანულა-ხანმა დაგზავნა ელჩები ევროპაში და ავღანისტანის დამოუკიდებლობა სცნო თითქმის ყველა დასავლეთ სახელმწიფომ. (მათ შორის ყველაზე ადრე — იტალიამ).

[1]) 1919 წლის ნოემბერში ლენინი სწერდა ამანულა-ხანს: „ორ დიდ ხალხთა შორის მუდმივი დიპლომატიური დამოკიდებულების დაწესებით გაიშლება ფართო შესაძლებლობანი ურთიერთისადმი დახმარებისათვის უცხოელი მტაცებლების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, როცა ისინი სხვისი თავისუფლების ალკვეთას მოისურვებენ".

5.

დღეს ყველასათვის უდავოა ის ფაქტი რომ ავღანისტანის დამოუკიდებლობისა და შინაურ რეფორმათა გატარების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა დღევანდელ ფადიშაჰმა ამანულამ, რომლის შესახებაც ინგლისური პრესა სწერდა, რომ „აზიაში ის ასრულებს იმავე როლს, როგორსაც თავის დროზე რუსეთში—პეტრე დიდიო“.

რას წარმოადგენს ის რეფორმები, რომელსაც ანხორციელებდა ამანულა დღიდან ავღანისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და რითი იყო საგულისხმო ეს რეფორმები?

ამანულა ხანი ანხორციელებდა თავის ქვეყნის პროგრესიულ-ბურჟუაზიულ ელემენტების ზრახვებს. ეს ელემენტები—ბიუროკრატია, ფეოდალური არისტოკრატია, ვაჭრობაში ჩაბმულნი მიწათმფლობელნი და სხვ. მოითხოვდენ მეტ ასპარეზს, მეტს თავისუფლებას თავიანთი მოქმედებისათვის და ვინაიდან ამ ასპარეზს ზღუდავდა ინგლისის ძალა და კაპიტალი,—ბუნებრივი იყო ამ ელემენტების ინტერესთა შეჯახება ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკასთან ავღანისტანში. ეს მოხდა 1919 წლის თებერვალში. ამის შემდეგ ავღანისტანში ადგილი აქვს მთელი რიგი რეფორმების განხორციელებას ზემოხსენებულ ჯგუფების სასარგებლოდ:

იქმნება ცენტრალისტური ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სპობს თავადთა და ღუბერნატორთა ანარქიულ ხელისუფლებას. ავღანისტანი ადმინისტრატიულად ხდება მთლიანი ერთეული, რომელსაც განაგებს ცენტრალური მთავრობა ფადიშაჰის მეთაურობით.

იქმნება ერთი მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი;

ხდება ჯარის ძირითადი რეორგანიზაცია;

ტარდება საშკოლო რეფორმა და იხსნება მრავალი პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებელი;

კულტურულ მუშაკთა ახალი კადრის შესაქმნელად იგზავნება მრავალი ახალგაზრდა სწავლის მისაღებად უცხოეთში;

ნატურალური გადასახადის მაგიერ წესდება ფულადი გადასახადი;

ისპობა შინაური საბაჟოები (თვითეული პროვინციის საზღვრებზე);

საფუძველი ეყრება ახალ მრეწველობას;

არსდება რამოდენიმე მონოპოლიური სავაჭრო კომპანია;

ცხადდება ყველა რელიგიათა და ეროვნებათა სრულუფლებიანობა და სხვ.

ეს რეფორმები ისეთ ქვეყანაში, სადაც გუშინ კიდევ მონობა იყო გამეფებული მთელი თავისი საშინელებით, ზოგიერთი ჯგუფების მიერ მიჩნეულ იქმნა როგორც კრამოლა და რევოლიუცია.

ვინ უნდა წასულიყო ამ რეფორმების წინააღმდეგ?

ამანულას რეფორმებს ბევრი და ძლიერი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდა.

პირველ ყოვლისა—სასულიერო წოდება, რომელსაც ჩამოერთვა სამართლის ქნის უფლებათა ნაწილი; მასვე ჩამოერთვა მონოპოლიური უფლება განათლების საქმეში და შემოსავლის წყაროები (საეკლესიო მამულები).

შემდეგ ფეოდალები, რომელთაც წაერთვა მრავალი პოლიტიკური უფლებები, რადგან ძველად თვითეული ფეოდილი თავის პროვინციაში ნამდვილი მეფე იყო და ფადიშაჰს თითქმის ნომინალურად ემორჩილებოდა. ცენტრალურმა სახელმწიფო აპარატმა ეს ფეოდალები მოსტეხა.

უკმაყოფილო იყვნენ ზოგიერთი ტომებიც, რომელთა უფლებები შეზღუდულ იქმნა შინამმართველობის, გადასახადის, სამხედრო ბეგარის შემოღების და სხვა მხრივ.

უკმაყოფილო დარჩა რეფორმებით აგრეთვე წვრილი ვაჭრებიც, ვინაიდან ახალი სააქციო კაპიტალის მოძრაობამ მცხოვრებთა ეს კატეგორია სავსებით გაალარიბა. მაგრამ მთავარი მოწინააღმდეგე ახალი რეფორმებისა და ყველაზე უფრო უკმაყოფილო ამ რეფორმებით იყო უმთავრესად ინგლისი, რომელიც დიდის ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ამანულა ხანის ყოველ ნაბიჯს. უკმაყოფილო იყო განსაკუთრებით იმიტომ, რომ როგორც ავღანისტანის დამოუკიდებლობა, ისე ახალი, პროგრესიული რეფორმები დიდს ყურადღებასა და სიმპატიებს იწვევდა ავღანისტანის მოსაზღვრე ინდოეთში და საერთოდ მთელ მუსულმანურ ქვეყნებში. ეს კი მოასწავებდა, რომ ინგლისის მიერ დამონებული ეს ქვეყნები ხვალ დაადგებოდენ ავღანისტანის გზას. ცივილიზაციას და კულტურას ინგლისი იყენებს იმისათვის, რომ დაიმონოს და დაიმორჩილოს სხვა უკულტურო ერები და როდესაც ეს უკანასკნელნი მოისურვებენ კულტურისა და პროგრესისაკენ სვლას,—ინგლისის იმპერიალიზმი მათ ცეცხლითა და მახვილით აბრუნებს უკან.

ინგლისის ინიციატივითა და შემწეობით 1924 წლის მარტში ავღანისტანში დაიწყო აჯანყება ამანულა ხანის რეფორმების წინააღმდეგ. ამბოხება დაიწყო ქალაქ ხოსტადან, ამბოხებას მიემხრო ყველა უკმაყოფილო ელემენტები, რომელთა შესახებ ზევით იყო ნათქვამი. ამ აჯანყებას, როგორც ეს უკვე დოკუმენტალურადაა დამტკიცებული, ხელმძღვანელობდენ ინგლისის აგენტები და მათ შორის ორი მთავარი ორგანიზატორი: მოლები აბდულა ლენგი და აბდურ რაშიდი. მათის კარნახით ამბოხებულებმა შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინენს ქაბულის მთავრობას:

გაუქმებულ იქმნას ახალი კანონმდებლობა, რომელიც არღვევს თემობრივ წესწყობილებას და ეწინააღმდეგება შარიათს;

შემცირდეს გადასახადები;

განდევნილ იქმნას ქაბულიდან ყველა ევროპიელები, რომელნიც ატყუილებენ ემირს და ატყავებენ ხალხს;

დაიხუროს ქალთა სკოლა;

შეიცვალოს მთავრობა;

აღდგენილ იქმნას თავისუფალი ვაჭრობა ინდოეთთან (მოსპობა ლიცენზიების, რომლითაც ირკვევა თუ რა საგანი გააქვთ და რა შემოაქვთ) და სხვ.

ვინაიდან ამბოხებამ ფართო ხასიათი მიიღო და მატერიალური ბაზაც ძლიერი გამოუჩნდა (ინგლისის ფული და იარაღი),—ქაბულის მთავრობამ ამჯობინა დათმობაზე წასვლა. მოწვეულ იქმნა ქაბულში კლერიკალურ ფეოდა-

ლური ელემენტებისაგან შემდგარი სათათბირო („ჯირგა“), რომელმაც მიიღო მთელი რიგი ისეთი დადგენილებებისა, რომელნიც ფაქტიურად აუქმებდნენ ამანულა ხანის რეფორმათა მთელ წყებას.

და როდესაც მთავრობა დასთანხმდა სათათბიროს ამ მოთხოვნილებებზე, ამის შემდეგ „ჯირგამ“ დაადგინა, ეცნობებია ეს გადაწყვეტილებანი ამბოხებულ ტომებისათვის და გამოექვეყნებინა მოწოდება, რომელშიაც ხალხის მოღალატეთ ითვლებოდა ყველა ის, „ვინც იარაღით ხელში წინ-აღუდგებოდა მთავრობას“.

„ჯირგას“ მოწოდებამ მეამბოხეებს გამოაცალა იდეური საფუძველი, რამაც გამოიწვია მათ შორის ყოყმანი და უთანხმოება. ამით ისარგებლა მთავრობამ, მიიღო ენერგიული სამხედრო ზომები და ამბოხება განადგურებულ იქმნა ისეთი სისწრაფით, რომ ინგლისელებისთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო: სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისელები რეკლამას უკეთებდენ ავღანისტანის ტახტზე ასაყვანად თავის პენსიონერს აბდულ ქერიმს, რომელიც ინდოეთში სცხოვრობდა—ავღანისტანის მთავრობამ სძლია ამბოხება და თავის მდგომარეობა განიმტკიცა.

ხოსტის ამბოხების ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ ავღანისტანის მთავრობას ეს ამბოხება მეტად ძვირად დაუჯდა.

6.

ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ამანულა ხანი შეეცადა მშვიდობიანობის დამყარებას იმ პროვინციებში, სადაც ფეხი მოიკიდა ინგლისის პროვოკაციამ. ამანულა ხანმა შემოიარა მთელი ავღანისტანი და პირადათ ესაუბრა სხვა და სხვა ტომების წარმომადგენლებს. ამ მოგზაურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ავღანისტანში, ისე საზღვარგარეთ. საინტერესოა ამ მხრივ ინგლისური გაზეთის „პაიონირის“ წერილი, რომელიც შემდეგნაირად აფასებს ამანულა ხანის მოღვაწეობას. (2.9.1927).

„ეხლა, სწერს პაიონირი“, —გზების შეკეთებისა და ავტომობილ-ჰაეროპლანების შემოტანის შემდეგ, ავღანისტანში მოგზაურობა ადვილი შეიქმნა. და ემირ ამანულას აქვს საშუალება იმოგზაუროს თავის ქვეყანაში ისეთივე სისწრაფით, როგორც ვიცე კოროლი მოგზაურობს ინდოეთში. ემირი ამანულა მეტად ენერგიული მართველია და, როგორც ასეთი, ის გაბედულად იყენებს ყოველ საშუალებას თავის მოგზაურობისათვის. იგი მშვენიერი შოფერია და დიდებულად მართავს თავის „როლს როისს“; ამავე დროს ის მეტად მარდი და გამოცდილი ცხენოსანია. ის შედის ისეთ ადგილებშიაც კი, სადაც გზები ფაქტიურად არ არსებობს. წლის დასაწყისს (1927) ემირი ორჯერ იყო ყანდაარში, ივნისსა და ივლისში ხანგრძლივად იმოგზაურა ჩრდილო ავღანისტანში და უკანასკნელ ხანს იყო ხოსტაში, გარდეზში და ინდო-ავღანის საზღვრებზე.

ხოსტაში მან პირადათ მოახდინა სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზია. დააჯილდოვა ბევრი ერთგული მოხელე და მკაცრად დასაჯა მრავალი ოფიცერი საქმისადმი გულგრილობისათვის. გარდეზში ემირმა დაატუსაღა ბევრი მეთაური, რომელნიც აქტივობას იჩენდენ ამასწინეთ მომხდარ აჯანყებაში, ხოლო რამოდე-

ნიშე მათგანი მძიმედ დააჯარიმა. ალი-ხელში ემირს წარუდგა ლოიალური მოსახლეობის დეპუტაცია, რომელმაც სთხოვა, ერთგულების სამაგიეროდ ისინი განთავისუფლებულიყვენ ჯარში გაწვევისა და იძულებითი სამხედრო—სწავლისაგან. მაგრამ დელეგაციის ბეჯითმა შუამდგომლობამ არ გასჭრა; ემირმა გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება, იმ წუთშივე დასტოვა დელეგაცია და დაიქადნა, რომ თუ შემდეგში ასეთი შუამდგომლობით მისვლა ვინმემ კიდევ გაბედა,—სასტიკად იქნება დასჯილიო.

ბრიტანეთი და ინდოეთი გამსჭვალული არიან ავღანისტანისადმი საუკეთესო გრძნობებით. მხოლოდ ერთად-ერთი დამაფიქრებელი მომენტი ჩვენს დამოკიდებულებაში ისაა რომ ავღანისტანი აძლევს რუსებს საშუალებას ასეთი დიდი გავლენა იქონიონ ავღანისტანის საჰაერო ფლოტის კონტროლის საქმეში, ვაჭრობაში, გზებისა და ტელეგრაფის მოწყობის საქმეში"...

რუსეთის გავლენა ავღანისტანში აამჟღავნებს იმ სამწუხარო მტრობას ინგლისისადმი, რომელიც ასე აშკარად მჟღავნდება ქაბულის გაზეთის ფურცლებზე"...

ამანულას ქება ინგლისელმა გაზეთმა დაამთავრა ჩვეულებრივი ტირადით საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ და აშკარად გამოსთქვა ინგლისის ზრახვანი ამ მიმართულებით. რასაკვირველია, ინგლის აწუხებს ამანულას მოგზაურობაც ავღანისტანის სხვა და სხვა პროვინციებში, მისი ენერგიული ტონიც და ისიც, რომ საბჭოთა კავშირი, ეს მართლა ნამდვილი მეგობარი ავღანისტანის დამოუკიდებლობისა, ამოდენა გავლენით სარგებლობს ქაბულში, ხოლო ინგლისის მიმართ ადგილობრივი გაზეთები ვერ ფარავენ თავის მტრობასა და სიძულვილს.

რომ უფრო ნათელი გახდეს ამანულას ბრძოლა შინაური რეფორმების ჩატარებისათვის და მისი ინგლისთან დამოკიდებულება და აგრეთვე ის ადგილობრივი პირობები, რომელშიაც სწარმოებს ღლევანდელი რეფორმების განხორციელება,—მოვიყვანთ აქ ნაწილს ამანულას სიტყვისას, რომლითაც მან მიმართა ხალხს ხოსტის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, როცა ფადიშაჰი ქაბულში დაბრუნდა.

„თქვენ გაინტერესებთ ალბათ —სთქვა ამანულამ, —თუ რისთვის დავბრუნდი მე ასე სწრაფად თურქესტანიდან და გავეშურე სამხრეთ პროვინციაში (ხოსტი). საქმე იმაშია, რომ ამ პროვინციაში მე შევამჩნიე რაღაც მოძრაობისდაგვარი, რომელიც შედეგად მოჰყვა ზოგიერთ პირთა პროპაგანდას. ეს პირნი მე ბრალსა მდებენ ისლამის კანონთა შერყვნასა და დარღვევაში. მე მსურდა ეს მოძრაობა დასაწყისშივე ჩამექრო და ამიტომ განვიზრახე სამხრეთს წასვლა მოსახლეობასთან პირადი მოლაპარაკებისათვის.

მე დამხვდა სამხრეთ პროვინციის ტომთა 4.000 წარმომადგენელი. მათ კისერზე ჩალმები ჰქონდათ შემოხვეული და შემთხოვეს, რომ მეპატიებინა მათთვის დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს წარსულშიაც (1924) და ეხლაც და მიმეცა მათთვის საშუალება ამ დანაშაულის გამოსყიდვისა. ისინი ამბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ, რომ თუ კი მე მათ უბრძანებ, ისინი მზად არიან დაჰხოცონ თუნდაც საკუთარი შვილები, ოღონდ ჩემი გული არ იყვეს განრისხებული მათზე.

მე უპასუხე მათ:

ასეთი მსხვერპლი თქვენგან მე არ მინდა. ინგლისელებთან საომრად თქვენი გაგზავნა არ მსურს, რადგან დღევანდელი დამოკიდებულება მათთან არ მოითხოვს ინგლისელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას. რუსეთთან საომრად მე თქვენ ვერ გაგიშვებთ, რადგან ისინი ჩვენი მეგობრები არიან. მე შემიძლია მოვითხოვო თქვენგან მხოლოდ ის, რომ თქვენ შეასრულოდ ჩემი განკარგულება და მაშინ ჩემს გულში არავითარი უკმაყოფილება თქვენდამი არ დარჩება.

ზოგიერთი ბოროტი ადამიანები *), —უთხარი მათ მე, თქვენ შორის ავრცელებენ ხმებს, თითქო მე ვეკუთნოდე „ყადიანის“ სექტარს, რომ ჩემი განკარგულებით მე ვარღვევდე ისლამის კანონს და რომ მე სახელმწიფო დაღუპვისაკენ მიმყავს. განსაკუთრებით ძლიერი პროპაგანდა სწარმოებს ჩემი შკოლების წინააღმდეგ, თითქოს ამ შკოლებში სწავლა დაყენებულია არა შარიათის წესებზე, არამედ შარიათის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ თქვენ დარწმუნდეთ ამ ხმების სიცრუეში, მე მოვიყვანე ქაბულიდან ოთხი მოწაფე ქალი და წინადადებას გაძლევ აქ მყოფ მოლებს მისცენ მათ კითხვები ყორანისა და შარიათის მიხედვით და დარწმუნდენ თუ რას ასწავლიან ამ ბავშვებს“.

ჩემი ამ სიტყვების შემდეგ ხალხში გაისმა ხმები: „მოლები, რომელნიც გვამხედრებდენ შენს წინააღმდეგ, იყვენ ულირსნი და უგუნური ადამიანები. ისინი ყველანი გაიქცენ, რითაც ჩვენ მეტად კმაყოფილი ვართ“.

მაგრამ ის მოლები, რომლებიც აღმოჩნდენ წარმომადგენელთა შორის, გამოვიდენ და მისცეს ჩემ მიერ მოყვანილ მოწაფე-ქალებს სხვა და სხვა კითხვები, რაზედაც მოწაფეებმა სავსებით სწორი პასუხი გასცეს. ხოლო ზოგიერთ კითხვებზე, რომელნიც მოლებს მისცეს მოწაფეებმა, მოლებმა პასუხი ვერ გასცეს.

მაშინ მე მივმართე დამსწრეთ და ვსთქვი, რომ ეხლა ისინი, ალბად, დარწმუნდენ, რომ ჩემს შკოლებში პირველად ყოვლისა ასწავლიან ისლამის კანონების მიხედვით და რომ ზოგიერთ მოლებს არც კი შეუძლიათ შეედარონ ჩემს მოწაფეებს საღვთო კანონების ცოდნაში.

დამსწრე წარმომადგენლები აღტაცებით მიეგებენ ამ სიტყვებს და განაცხადეს, რომ ეხლა ისინი საბოლოოდ დარწმუნდენ ჩემი შკოლების შესახებ გავრცელებული ხმების სიცრუეში.

მე განუცხადე მათ:

„შკოლების დაარსებით მე მინდა აღმოვფხვრა თქვენს შორის უმეცრება. მე მსურს მივაღწიო იმას, რომ თვითონ თქვენ შესძლოთ გაარჩიოთ რაა კარგი და რა არის გლახა. რა არის სასარგებლო ქვეყნისათვის და რა არის მავნებელი. ეხლა მე მოვითხოვ თქვენგან, რომ გააგზავნოთ თქვენი შვილები სკოლებში. ამით თქვენ აგრეთვე გამოისყიდით იმ დანაშაულს, რომელიც მიგიძღვით ჩემს წინაშე“.

ვაქილებმა (წარმომადგენლებმა) სრული თანხმობა განაცხადეს ბავშვების სკოლაში გაგზავნაზე.

„შემდეგ მათ შემომჩივლეს, რომ ადგილობრივი ტომები მეტად შეწუხებული არიან იმით, რომ ცოლები ხშირად სტოვებენ თავიანთ ქმრებს და გარბი-

*) იგულისხმება ინგლისელები.

ან სხვებთან. ვაქილებმა მთხოვეს, რომ მიმეღო ზომები ამ სამწუხარო ჩვეულების მოსასპობად და შემომეღო სასტიკი კანონები ასეთი შემთხვევისათვის. მაგალითად დამეწესებინა გაქცეული ცოლისათვის სასჯელად თვალების დათხრა, ხოლო იმ კაცისათვის, ვინც გაქცეულ ქალს მიიღებდა,—სიკვდილით დასჯა. მაგრამ მე განვაცხადე, რომ არ ვფიქრობ ასეთი სასტიკი კანონების შემოღებას, ვინაიდან საჭიროა და შესაძლებელიცაა გამოინახოს საშუალება ცოლების გაქცევის წინააღმდეგ.

(აქ ამანულა მიაქცევს დამსწრეთა ყურადღებას საერთოდ ქალის აუტანელ მდგომარეობაზე ავღანისტანში. ეს მეტად საინტერესო ადგილია მის სიტყვაში).

„აი თუნდა ავიღოთ მაგალითისათვის,—განაგრძობს ამანულა,—„ჩანდულე“, ქაბულის ერთ-ერთი უბანი. იქ ქმრებს ისე ყავთ ცოლები დაჭერილი, როგორც წყერები ტომარაში, რა გასაკვირია, რომ ასეთნაირ მდგომარეობაში მყოფი ცოლები პირველი შემთხვევისთანავე გარბიან ამ ტომრიდან. აბა რა უნდა ჰქნან მათ? ამ ქალებს ეპყრობიან უარესად, ვინემ ცხოველს. არ აცმევენ, არ ახურავენ, ცუდათ აჭმევენ და ბევრს ამუშავებენ, სცემენ და ეზოდან გარეთ გასვლის ნებას არ აძლევენ. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ქალი პირუტყვი კი არაა—ადამიანია და მასაც აქვს თავისი უფლებები. მოეპყარით თქვენ ცოლებს კარგად, მიეცით მათ საშუალება რომ ნახონ რამე თქვენი ეზოს გარდა და მე შემიძლიან ვითავდებო, რომ ისინი თქვენ არ გაგექცევიან. შემდეგ ამისა უნდა მოისპოს ისეთი წესი, როცა ქვრივი ქალი უსათუოდ უნდა წაყვეს თავის ქმრის ძმას. თუ ქალს მასზე გათხოვება არ უნდა და მაინც იძულებულს ხდიან მას წაყვეს,—რასაკვირველია ის გაიქცევა. ასეთი ადათი უნდა მოისპოს. ქვრივი უნდა წაყვეს მას, ვიზედაც სურს გათხოვება.

ვაქილები ამაშიაც დამეთანხმენ და პირობა მომცეს, რომ კარგად მოეპყრობიან ცოლებს და ქვრივ ქალებსაც ნებას მისცემენ, თითონ ამოირჩიონ საქმროები.

შემდეგ მე ვსთქვი:

იმისათვის რომ თქვენ ცოლებს მიეცეს საშუალება ადამიანური ცხოვრებისა, საჭიროა, რომ არავის არ ჰყავდეს ერთ ცოლზე მეტი, თუ კი კაცს არ შეუძლიან მათი რჩენა. მას კი ვისაც ასეთი შეძლება აქვს, შეუძლია იყოლიოს ერთ ცოლზე მეტი, მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის შემდეგ.

ამ ჩემს აზრსაც დაეთანხმენ ვაქილები.

რაიცა შეეხება ქალების მიერ პირისახის დაფარვას,—ვსთქვი მე,—შემიძლია გთხოვოთ თქვენ, რათა მოიქცეთ ისე, როგორც ამას გეიკარნახებს საღვთო კანონები. სასაცილოა თქვენი ქალების დანახვა მუშაობის დროს. ისინი იფარავენ სახეს თავზე წახურული ჩადრით და ამ ჩადრის ბოლო კბილით უჭირავთ. რისთვის გინდათ გარდააქციოთ ქალები ხორთუმიან სპილოებათ? რა საჭიროა ეს?

შემდეგ თქვენ სჩივით, რომ გიძნელდებათ საქორწინო ყალიმის გადახდა. (რომელსაც ვაჟი აძლევს ქალის დედმამას). საქმე იმაშია, რომ სწორედ იმ დღეებში, როდესაც მე ტახტზე ავედი, განსაკუთრებული ბრძანებით ავკრძალე ამ ყალიმის გადახდა, მაგრამ თქვენ წინააღუდექით ჩემს კანონს. თქვენ მოითხოვეთ მისი გაუქმება და მე გავაუქმე ეს კანონი. ეხლა კი თქვენ თხოულობთ, რომ მე ხელახლა შემოვიღო იგი. კეთილი. მე მოვიქცევი ისე, როგორც თქვენ მოითხოვთ და ამ კანონს შემოვიღებ.

ამ კრებაზე ვაქილებმა მომმართეს თხოვნით და ჩივილით, რომ ტომების მეთაურები და მოსამართლენი ახდევინებენ ხალხს ჯარიმას ფულად და ნატურითაც ყოველგვარ დანაშაულის გამო. ამავე დროს სხვა და სხვა დროს ჩადენილ [illegible] დანაშაულზე არსებობს სხვა და სხვა ჯარიმა. მაგალითად: იმისათვის, — [illegible] მიდის არა ქუჩის მარცხნივ არამედ მარჯვენივ, ერთგან ახდევინებენ ერთ „რუპიას“, მეორე ადგილას კი ორს, ან ხუთს. ამას გარდა ხალხს სჯიან მეთაურებიც, მსაჯულებიც და ყველა, ვისაც რაიმე უფლება აქვს. ვაქილებმა მთხოვეს, რომ დამეწესებინა რაიმე კანონი, რომელიც განმარტავდა თუ რა დანაშაულებისათვის რა სასჯელია დაწესებული. ამავე დროს ისიც მთხოვეს, რომ მსაჯულები ყოფილიყვნენ მთავრობისგან დანიშნულნი, ვინაიდან ეხლანდელი მსაჯულები (ყაზი) სჯიან უსამართლოდ ნაცნობობისა თუ ქრთამის მიხედვით.

ამ განცხადებაზე მე უპასუხე, რომ ასეთი კანონი მე უკვე მქონდა გამოცემული კაი ხნის წინეთ, მაგრამ მაშინ ამ კანონის საპასუხოდ თქვენ მომიწყვეთ ხოსტის აჯანყება. მე მაშინაც დაგეთანხმეთ თქვენ და ის კანონი გავაუქმე, ვინაიდან ეს იყო თქვენი მოთხოვნილება. ეხლა კი თქვენ ამბობთ, რომ მე ეს კანონი აღვადგინო. კარგი და პატიოსანი. მე დიდათ მოხარული ვარ, რომ თქვენ შეიგნეთ თქვენი შეცდომა. კანონი დანაშაულებათა შესახებ ისევ შემოღებული იქნება. აგრეთვე დაწესდება მთავრობის სასამართლოც.

მე მოვუსთხოვე ხალხს მოეცა ჯარისკაცები, ვინაიდან ეს გამოწვეულია რეგულიარული ჯარის საჭიროებით.

რაიცა შეეხება გზატკეცილების გაყვანას, ვაქილებმა გამიცხადეს, რომ ხალხს ძლიერ უჭირს ეს საქმე, რომ გზების გაყვანა მეტად ავიწროვებს მოსახლეობას.

მე ხაზი გაუსვი იმ გარემოებას, რომ გზებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხედრო თვალსაზრისით, ვინიცობაა ჩვენს ქვეყანას მტერი შემოესიოს, ჩვენ შეგვიძლია სწრაფად მივაგებოთ საზღვარზე მტერს საკუთარი ჯარი და არ მივცეთ საშუალება შემოიჭრას ჩვენს ტერიტორიაზე და დაგვამარცხოს ჩვენ. მაგრამ,—განუცხადე მათ,— მე შევაჩერებ გზატკეცილების გაყვანას, თქვენც მოგხსნით ამ მძიმე ბეგარას. მე ამის საწინააღმდეგო არა მაქვს, მხოლოდ ეხლავე უნდა გითხრათ, რომ თუ უგზოობის მიზეზით ჩვენ ომის დროს მტერმა დაგვამარცხა, მე თქვენ გადაგახდევინებთ კონტრიბუციას. მანამდე კი მე გავაჩერებ გზების გაყვანას.

ვაქილები დამპირდენ, რომ ისინი გაიყვანენ გზებს და ჯარსაც მომცემენ.

„ამ საუბრის შემდეგ,—დასძენს ავღანელი გაზეთის კორესპონდენტი,— ფადიშაჰმა უჩვენა ხალხს ავღანისტანის გეოგრაფიული ქარტა. ემირმა შემოავლო თითი ავღანისტანის საზღვრებს და როდესაც მივიდა შავ ხაზამდე, რომელიც ჰყოფს ავღანისტანსა და ინდოეთს, მან სთქვა:

ა ი ე ს შ ა ვ ი ხ ა ზ ი ა რ ი ს დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ს ა ზ ღ ვ ა რ ი ჩ ვ ე ნ ს ა დ ა ი ნ დ ო ე თ ს შ ო რ ი ს. ე ს შ ა ვ ი ხ ა ზ ი შ ა ვ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ვ ი თ ა ა გ ა ტ ა რ ე ბ უ ლ ი ჩ ე მ ს გ უ ლ შ ი: ბევრი ადგილები, რომელიც, ჩვენ გვეკუთვნოდა ძველათ და რომელთაც ჩვენი მამები და პაპები ფლობდენ, უბედურ შემთხვევულებათა გამო ჩამოგვაშორეს ჩვენ. და დღეს ისინი იმყოფებიან ამ შავი ხაზის გადაღმა. მაგრამ დადგება დრო და როდისმე ისინი ისევ ჩვენი იქნებიან (საერთო კმაყოფილება). აი, მაგალითად ადგილი ყურრამ, რომელიც ჩვენ გვეკუთნოდა, დღეს აღარაა ჩვენი. ა მ ა დ გ ი ლ ე ბ ი დ ა ნ შ ე მ ო გ ვ ე ს ი ა ჩ ვ ე ნ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ღ ე ნ ე რ ა ლ ი რ ო ბ ე რ ტ ს ი დ ა ო თ ხ ჯ ე რ დ ა ს ვ ე ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ შ ე მ ო ვ ი დ ა ქ ა ბ უ ლ შ ი... ა მ ი ტ ო მ ი ს ი ნ ი, ვ ი ნ ც ა მ ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ა ხ ლ ო ს ც ხ ო ვ რ ო ბ ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ყ უ რ ა დ ღ ე ბ ი თ უ ნ დ ა ა ქ ც ე ვ დ ე ნ თ ვ ა ლ ყ უ რ ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს, რ ა ც ხ დ ე ბ ა მ ა თ ა ხ ლ ო - მ ა ხ ლ ო დ ა ყ ო ვ ე ლ წ უ თ შ ი მ ზ ა დ ი ყ ვ ნ ე ნ თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ა თ ვ ი ს მ ო ს ა ლ ო დ ნ ე ლ ი მ ტ რ ი ს ა გ ა ნ. ე ს უ ნ დ ა ა ხ ს ო ვ დ ე ს ს ხ ვ ე ბ ს ა ც მ თ ე ლ ი ს ა ზ ღ ვ ა რ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე“.

ეს ამონაწერი ცხადჰყოფს თუ რა კულტურულ დონეზეა დღევანდელი ავღანისტანი, როგორის ტაქტიკითა და საშუალებით სცდილობს ამანულა-ხანი ავღანისტანის კულტურულ ქვეყნად გარდაქცევას და რა დაბრკოლებანი ელობება მას წინ. აგრეთვე ჩვენ ვხედავთ, თუ სადაა ის საფრთხე, რომელიც ემუქრება ავღანისტანს და ამანულას ყოველგვარ პროგრესიულ ნაბიჯს. თვით ამანულა-ხანი კარგად ხედავს, რომ ეს საფრთხე მას მოელის ინდოეთის საზღვრებიდან ინგლისის სახით. ის ვერ ფარავს ამას და აფრთხილებს ძოსაზღვრე ტომებს, რომ საფრთხე იქნება სწორედ იმ შავ ხაზზე, რომელიც ჰყოფს ინდოეთსა და ავღანისტანს.

ავღანისტანის პროგრესიული ელემენტები და თვით ამანულა-ხანი, შეიძლება ითქვას, განმსჭვალული არიან ერთგვარ რომანტიულ გრძნობით თავის ქვეყნისა და ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებისადმი. ისინი ხედავენ, რომ მათ დამოუკიდებლობას მოელის საფრთხე, რომ მტერი ისევ ექადის მათ დამონებას და განადგურებას.

ამანულა სცდილობს, რომ გააღვივოს ხალხში ეროვნული გრძნობა და ინგლისური საფრთხე არ ავიწყდება მას არც ერთ თავის გამოსვლაში.

საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც საუკეთესო დამახასიათებელია ამანულას განწყობილებისა ამ მხრივ. ესაა მის მიერ წამოთქმული სიტყვა დამოუკიდებლობის დღესასწაულის დღეს (21 თებერვალი). მოგვყავს ეს სიტყვა ავღანური გაზეთის „ამან-ი-ავღან“-ის გადმოცემით. (სიტყვა შემოკლებულია).

...შემდეგ ამისა უნდა განვაცხადო, რომ ყოველგვარი შექება ჩემი მოღვაწეობისა და შრომის და ძლიერება, რომელსაც მე ასე სულგრძელად მაწერთ, სინამდვილეში წარმოადგენს მხოლოდ თქვენი ერთგულებისა და საქმისამდი სიყვარულის შედეგს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მე ვიქნებოდი შეურაცხყოფილი ჩემს საუკეთესო გრძნობებში. აბა' როგორ შევსძლებდი მე, სუსტი ადამიანი, რომელიც სადღაც კუთხეში ფიქრობს თქვენს წინსვლაზე, როგორ შევსძლებდი მე აღმემაღლებინა ერი ჩემი და გამომეგლიჯა მისი დამოუკიდებლობა იმ ადამიანთა[1]) ხელიდან, რომელიც გველეშაპის კბილებით ჩასჭიდებოდენ მას.

მომაშორეთ ყოველგვარი ტიტული, რომლითაც მაჯილდოვებთ მე. ნუ დამიძახებთ „წინამძღოლს“, არამედ ჩამთვალეთ უბრალო ჯარისკაცად და ჩემი ხალხის მოსამსახურეთ. მე არ შემიძლია ვიყო წინამძღოლი. მე მხოლო გულწრფელი, თქვენი ერთგული მსახური ვარ. როგორც დღემდე არ დამიზოგავს თავი თქვენი სამსახურისათვის, არც აწი,—მე იმედი მაქვს,—არც აწი დავკარგავ თუნდაც ერთ წუთსაც თქვენი პროგრესისა და თქვენი პატიოსნების, თქვენი სახელის და თქვენი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

...ადამიანები, აღვსილი ჩვენდამი შურითა და მტრობით[2]) და გაბრაზებული იმით, რომ ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება უკვე ვეღარ შესძლებენ თავისი მოღალატური ხელით მახვილი ჩასცენ ჩვენს დამოუკიდებლობას, თუ თქვენ დაეწაფებით განათლებას და შეგნებულ ხალხად გადაიქცევით.

...მე არ შემიძლიან ვსთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობ და რისი განზრახვა გულით დამაქვს, მაგრამ გეტყვით, რომ მე ყველაფერი მიმაქვს ჩემი ქვეყნის სამსხვერპლოზე – ჩემი თავიც, ჩემი შვილებიც, ჩემი სიცოცხლეც და სულიც...

---

[1]) ინგლისელები.

[2]) ინგლისელები.

ამანულა შემდეგ ეხება ქალთა საკითხს, იგი მიმართავს ქალებს ვრცელი სიტყვით და სხვათა შორის ამბობს:

> თქვენ ხართ სიამაყე ჩვენი ქვეყნისა. თქვენ ზრდით შვილებს სამშობლოსათვის და სიტყვა „დედა“, რომელიც ითქმის თქვენს მიმართ არის იმდენად წმინდა და სასიქადულო, რომ ამ სიტყვით ჩვენ ვიხსენიებთ სამშობლოს. როგორც მე ვემსახურებოდი და ვემსახურები ავღანელ მამებს, აგრეთვე გემსახურებოდით თქვენ და ვსცდილობდი მე თქვენთვისაც...

თუ ყურადღებით შევისწავლით ყველაფერს, რაც ხდებოდა ავღანისტანში ინგლისელების განდევნის დღიდან 1928 წლის ამბოხებამდე და განსაკუთრებით ავღნუსხავთ ახალი რეფორმების სისტემას, ჩვენ დავინახავთ, რომ ავღანისტანის პოლიტიკურ რეფორმაციას არ ჰქონდა მტკიცე სოციალური საფუძველი, რომ ავღანისტანში ახალი რეფორმებით არ იყო დაინტერესებული ფართო სოციალური ფენები (გლეხობა), რომელსაც შეეძლო ამ რეფორმების დაცვა და განმტკიცება. ავღანისტანის ფადიშაჰი აკეთებდა საქმეს პროგრესიული ბურჟუაზიისას და მისმა რეფორმებმა გლეხობას გვერდი აუარა. ბურჟუაზია კი იმდენათ სუსტი, იმდენად მცირერიცხოვანი და უძლური გამოდგა, რომ როდესაც ის დაუპირდაპირდა მოწინააღმდეგე ბანაკს—კლერიკალურ ფეოდალურ რეაქციას ამასთანავე ინგლისის მიერ ზურ გამაგრებულს იარაღითა და ფულით,—მან ვერ გაუძლო ამ ბრძოლას, მით უმეტეს, რომ გლეხობა აყვა პროგრესიულ ელემენტების მტრებს და წამოეგო მათ მიერ მოხერხებულად მოწყობილ პროვოკაციას.

ეს კარგად ჰქონდა გამოანგარიშებული ინგლისს, როცა ორხელ გახადა ავღანისტანი მასიურ აჯანყების ასპარეზად.

მაგრამ სანამდე ეხლანდელ აჯანყების გაშუქებას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ იმ ინტერესზე, რომელიც გამოიჩინა ევროპამ ავღანისტანის მიმართ. ეს განსაკუთრებით ხათელი შეიქმნა ამანულას მოგზაურობის დროს ევროპაში. ამ მოგზაურობის ზოგიერთი ეტაპები მეტად დამახასიათებელია ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ინგლისის დამოკიდებულება ამანულა-ხანის მოგზაურობასთან, რამდენადაც ინგლისი სთვლიდა ავღანისტანს პირთან მიტანილ ლუკმათ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ერთი ახალი წიგნის გამო

**მოსე გოგიბერიძე—„მატერიალიზმის და იდეალიზმის პრობლემები მარქსამდე“.** (რეცენზიის მაგიერ)

მარქსისტულ მსოფლმხედველობაში ფილოსოფიას უდიდესი ხვედრითი წონა აქვს. —ეს მეცნიერებათა მეცნიერებააო, —სწერდა პლეხანოვი კაუცკის, როცა დაწყებული იყო რევიზიონისტების გამოსვლა. კაუცკი მაშინ თავის ჟურნალში ათავსებდა პლეხანოვის წერილებს კ. შმიტის და ედ. ბერნშტეინის წინააღმდეგ, თუმცა არ მოსწონდა შეურიგებელი კილო მისი წერილების. — რაც შეიძლება შეარბილე, ნუ იქნება პირადი წყენინება, რამდენადაც მოგიხერხდეს შეამოკლე წერილები, ფართო მკითხველისთვის ფილოსოფია გაუგებარია და მოსაწყენიო, —ემუდარებოდა კაუცკი. პლეხანოვი მაინც არ შორდებოდა შეურიგებელ პოზიციას, ბერნშტეინი უნდა მოისპოს, მე ავიღებ ამას ჩემ თავზე, ოღონდ დამაცადე, მე ვიბრძვი იდეისთვის, პირადათ არავის ვეხები, მკითხველს თუ არ აინტერესებს ფილოსოფია, ის იძულებული უნდა შეიქნეს, რომ დაინტერესდესო. *)

ახლა ზედმეტია იმის მტკიცება, რომ რევოლიუციონური ბრძოლის სინამდვილემ გაამართლა პლეხანოვის ფილოსოფიური შეურიგებლობა. გამარჯვებითი ბრძოლა მოითხოვს იდეურ იარაღს. თუ კლასობრივი მოწინააღმდეგე იდეურათ არ დამარცხდა, არც სხვა პოზიციებზე იქნება იგი დამარცხებული. იდეურ იარაღს იძლევა თეორია მარქსიზმის. ამ თეორიას ქვია დიალექტიური მატერიალიზმი. „ეს თეორია არის მარქსისტული პრაქტიკის საფუძველიცაო, სწორია მოსე გოგიბერიძის შენიშვნა წინასიტყვაობაში, რომ მარქსიზმის თეორიის და პრაქტიკის შესწავლისათვის აუცილებელია დიალექტიური მატერიალიზმის შესაფერი შეთვისება“. ამ სქელტანიან წიგნში ავტორი იძლევა სრულ შესავალს მარქსისტულ ფილოსოფიაში, თუმცა თვითონ არ მიაჩნია თავისი ნაშრომი ამისთანა შესავლათ. არც ისტორიული მიზნებია აქ დასახული, მაგრამ ეს მაინც არის ისტორია იმ საკაცობრიო იდეური განვითარების, რომელიც წინამორბედათ გაუხდა მარქს-ენგელსის მსოფლმხედველობას.

იგივე პლეხანოვი ურჩევდა დიდ და პატარა სოციალისტურ მომუშავეებს, — შეისწავლეთ ფილოსოფიის ისტორიაო. დიდი მასწავლებელი მართალი იყო ამაშიც. ფილოსოფიურ კითხვებში ვერ გაერკვევა ის, ვინც საფუძვლიანათ არ გაეცნობა ფილოსოფიის ისტორიას. თითონ მარქსი და ენგელსი დიდ ყურადღებას აქცევდენ ამ მხრივ წარსულ დროებს, აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდათ ძველი საბერძნეთის ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა. ამაზე სამართლიანათ მიუთითებს ჩვენი ავტორიც. იმის დაწყებას ქართველი მკითხველი უთუოდ შეხვდება დიდი მისალმებით, მით უფრო, რომ ის ახლა ვერ წვდება სხვა ენებზე გამოსულ ფილოსოფიურ ლიტერატურას. უნდა ითქვას კი, რომ ვინც საერთოთ ამ ლიტერატურას არ იცნობს, მისთვის ძნელი გასაგები იქნება ეს წიგნიც, თუმცა ის დაწერილია ადვილი ენით და ადვილათაც იკითხება.

*) Группа осв. труда, № 6, გვ. 287.

სიძნელე, რომელზედაც ჩვენ მივუთითებთ, აიხსნება იმით, რომ [illegible]თული ფილოსოფიური პრობლემების დალაგებას, კრიტიკას არ ეყოფა ერთი წიგნი, რაც უნდა სქელტანიანი იყოს ის. ცელერმა მარტო საბერძნეთის ფილოსოფიას მოანდომა რამოდენიმე წიგნი შვიდას გვერდამდე და მეტი თით[illegible] [illegible]ნო ფიშერმა თითო მოაზროვნეს თითო დიდი წიგნი. გრძელი სიტყვა მოკლეთ თქმული მკითხველს ადვილათ მიეწოდება, თუ ეს უკანასკნელი შესულია ამ დარგში, თუ ის საერთოთ გაცნობილია ფილოსოფ. ლიტერატურას.

მიზანშეწონილი იქნებოდა თემის დანაწილება რამოდენიმე წიგნათ მაშინ, ვთქვათ „ჰეროკლიტეს წინააღმდეგობის ლოგიკას“ ერგებოდა გვერდნახევარზე მეტი, „დემოკრიტის გნოსეოლოგიას“ არ დასჭირდებოდა 5 გვერდის ფარგლებში მოთავსება, და „დიალექტიკა კანტის ფილოსოფიაში“, რასაც ვსთქვათ, დებორინმა მოანდომა 70 გვერდამდე, არ შეიკუმშებოდა ოციოდე გვერდის სივრცეზე.

მაშინ ეს კარგი წიგნი—უკეთ რომ ითქვას, მთელი რიგი წიგნების კიდევ უფრო ადვილი წასაკითხავი გამოვიდოდა და რაც მთავარია, უფრო გაადვილებული იქნებოდა ხსოვნაში ჩარჩენა.

ავტორს, ალბათ, ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, ჩვენში ერთი მხრივ, ფილოსოფიური ლიტერატურა ნაკლებათაა განვითარებული, და, მეორე მხრივ, საგამომცემლო საქმეც ვერაა ისე დაყენებული რომ შეიძლებოდეს ერთსა და იმავე დარგში მთელი რიგი წიგნების გამოცემა. ამითი აიხსნება, ჩვენის აზრით, სრულიად კანონიერი სურვილი, რომ ერთად,-ერთ ფარგლებში მოხერხდეს დიდი პრობლემების განხილვა. რაოდენობა, როგორც ვიცით, გადადის თვისებაში და, ვიმეორებთ, შედარებით ვიწრო ჩარჩოებში დატევა გვაძლევს თვისების მხრივ ისეთ შეკუმშვას, რომ აუცილებელი ხდება გაუგებრობა ამა თუ იმ პრობლემის განხილვაში.

გაუგებრობას იწვევს ჯერ თითონ სათაური წიგნის. რატომ „მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემები“? ეს ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ დიალექტიკას მხოლოდ მატერიალიზმთან აქვს ისტორიულ გენეტიური კავში, ხოლო იდეალიზმი არ ექსოვება იმ იდეოლოგიურ განვითარებას, რომელიც შესავლათ გაუხდა დიალექტიურ მატერიალიზმს?

თითონ ავტორი მთელი თავისი წიგნით ამ საკითხზე იძლევა უარყოფით პასუხს. წიგნში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი იდეალიზმის პრობლემებსაც. მშვენიერათ არის აქ დახასიათებული ეს აზრი, რომ მარქსისტულ ფილოსოფიის მემკვიდრეობაში შედის ორივე ნაკადი დიალექტიურათ შესისხლხორცებული, დამაჯერებლათ არის ამ წიგნის ერთ ერთ ფურცელზე ჩამოყალიბებული ის დებულება, რომ მარქსიზმი არის მიღება წარსულის მემკვიდრეობის. ავტორს გასაგებათ აქვს დახასიათებული ამ ერთ ფურცელზე ის მეთოდი დიალექტიკის, რომლის ძალითაც შესაძლებელიც და აუცილებელიც შეიქნა მიღება უარყოფა წარსული მემკვიდრეობის—მატერიალიზმის და იდეალიზმისაც. მარქსიზმი არის კრიტიკა ინგლისის ეკონომიის, მისთვის ბევრი რამაა მიუღებელი საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ტრადიციებში—ფრანგულ სოციალიზმში და კომუნიზმში, მარქსიზმმა გადაატრიალა გერმანიის კლასიკური ფილოსოფია. იმავე დროს კი, როგორც აღნიშნავს ავტორი—„მარქსიზმი სინთეზია ინგლისის ეკონომიის, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის საუკეთესო ტრადიციების—ფრანგული სოციალიზმისა და კომუნიზმის და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის.

ამ სამივე ნაკადშია ორივე ძირითადი მიმართულება ფილოსოფიის—როგორც მატერიალისტური ისე იდეალისტური. მარქს-ენგელსის დიალექტიური მატერიალიზმი სინთეზია ორივესი. აქ აღარ არის ძველებური დაპირდაპირება

ამ ორი მიმართულების, მატერია და იდეა არ არის ორი ქვეყანა—ეს არის ორი მხარე ერთი ქვეყნიური პროცესის.

მატერიალიზმის პრობლემებს ვერ გაიგებ, თუ იქვე იდეალიზმის პრობლემებიც არ განიხილე. ეს მარტო იმიტომ კი არა რომ, ასე ვთქვათ, შესწავლის მეთოდი მოითხოვს ამას. ერთი საგნის გაცნობა ხერხდება მეორე საგანთან დაპირდაპირებით, იმისაგან გამოცალკევებით—მარტო ამ მეთოდის საჭიროებით არ ვუკავშირებთ ერთმანეთს მატერიალიზმის და იდეალიზმის პრობლემებს. ეს დაკავშირება ხდება თვით ფილოსოფიის ისტორიაში.

მატერიალისტი დემოკრიტი და იდეალიზმის მამამთავარი პლატონი ერგოლებიან ერთი განვითარების ნასკვს. ორივეს აინტერესებდა ურთიერთობა გონება-გრძნობის, თუ შეიძლება ითქვას—ნამდვილი სინამდვილის და ხილული სინამდვილის. პირველი ამბობს, რომ ნამდვილად არსებობს მატერია, როგორც სათავე და გამოსავალი წერტილი ყოველივე იმისი, რასაც ვხედავთ, რაც გვეყურება, რაზედაც ხელი მოგვეკიდება. მეორე ამ ნამდვილ არსებობის და ამისთანა სათავეს ხედავდა იდეაში.

გრძნობიდან იწყებს თავის შემეცნებას დემოკრიტი, გონების საშუალებით მიდის იმ დასკვნამდე, რომ პირველ ყოვლისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე არსებობდა და იარსებებს მატერია. გრძნობიდან გამოდიოდა პლატონი და გონების თვალით აღწევდა ისეთ პირველყოფილ მარადიულ სამყაროს, რომელშიაც არის მხოლოდ იდეა, „იდეათა ამხანაგობა“. მ ა ტ ე რ ი ა არის იდეა დემოკრიტის. ი დ ე ა არის იდეა პლატონის. ორივეშია რაღაც არა მომაკვდავი ძალა, რომელიც განაგებს მსოფლიოს, ორივეშია რაღაც უცვლელი, რომელიც შედის თავისი სხვადასხვა მხრით მთელ ცვალებადობაში.

ამ უცვლელობის და ყოვლის შემძლეობის იდეა ანათესავებს არა მარტო პლატონ-დემოკრიტის ფილოსოფიას. ეს მეტაფიზიკაა დამახასიათებელი მთელი ფილოსოფიისთვის მარქსამდე. ეს მეტაფიზიკა იდეალიზმისკენ აქანებს ძველ მატერიალისტურ მიმართულებასაც. მეტაფიზიკამ ხელი შეუშალა კანტს ბუნებით მეცნიერების საფუძვლიანი შესწავლიდან არ დაერაკუნებია იდეალიზმის კარებზე და თავი არ ამოეფარებია ღმერთის იდეის ქვეშ. მეტაფიზიკა არ უშვებდა ხელიდან ჰეგელს, როცა ის დიალექტიურ პროცესში ხედავდა რაღაც უცვლელი და გარდაუვალი იდეის ხელს.

როგორ ხდებოდა, რომ ერთი და იგივე გამოსავალი წერტილი—გრძნობა მისავალ გზებს შლიდა ერთი მხრივ, იდეალიზმისაკენ, მეორე მხრივ, მატერიალიზმისაკენ, რომელიც უკანასკნელ ანგარიშში იყო იგივე იდეალიზმი?

დამსახურებაა მოსე გოგიბერიძის ცდა ახსნას ფილოსოფიის ისტორიის მოვლენები მატერიალისტური მეთოდით. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა სავსებით მიღწეულია. საზოგადოებრივ-კლასთა ურთიერთობის შესწავლა მიაგნებინებდა იმ პირობებს, სადაც აუცილებელი იყო დემოკრიტის იდეის ასახვა მატერიათ და პლატონის იდეის გადაქცევა ერთ უნივერსალურ იდეათ, იმასაც მატერიალური სახით მოცემულს: როგორც ვიცით, პლატონის სისტემაში უხილავ იდეას ხილულ დედამიწაზე ეძლევა ხელშესახები ასლითი გამოხატულება, აქაური საგანი მიაჩნია იქაურ იდეის ასლათ, ხოლო იმ დედანს ადამიანი გაიხსენებს, როცი გრძნობა მოევლინება გამაღვიძებლათ.

კლასთა ბრძოლის ნიადაგზე გაიგება, ალბათ, რატომ ილებდა ერთი და იგივე იდეა სხვადასხვა სახეს სხვადასხვა ფილოსოფოსის თვალში. აწინდელი მარქსისტული ფილოსოფიის ისტორია საინტერესოა ამ მეთოდის გამოყენებით, ჩვენი ქართველი ავტორის ცდა მიახლოვებაა ამ მეთოდთან.

მეტი მიახლოვება ექნებოდა, რომ განესაზღვრა საგანი, აელო მაგალითად ჯერ დიალექტიკა ჰერაკლიტედან ჰეგელამდე და ამისთვის გამოეყენებია იგივე

მოცულობა თავისი წიგნის. მაშინ ჩვენ მოგვეცემოდა არა მარტო გაკვრითი შეხება დიალექტიკის პრობლემების.

მეტს ვიტყვით, წიგნში არ არის მთლიანათ ამ პრობლემების დაყენება. არის ორ ალაგას სათანადო სათაური, მაგრამ იქ ვკითხულობთ მხოლოდ მარქსისტული დიალექტიკის შესახებ, ვეცნობით იმ მნიშვნელობას, რომელსაც ავტორი აძლევს მარქს-ენგელსის დიალექტიურ მეთოდს. მკითხველს კი არ ეცოდინება, რისთვისაა გამოსადეგი ეს მეთოდი, თუ სათითაოდ არ მოუყევი პრობლემებს: მატერია და იდეა, რაოდენობა და თვისება, იგივეობა და სხვაობა, აუცილებლობა და თავისუფლება და სხვ. თუ არ აუხსენი რა ურთიერთობით აკავშირებს ამ ცნებებს დიალექტიური მატერიალიზმი.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ ავტორის აზრი, რომ მარქსის დიალექტიკასთან მისვლამდე საჭიროა საფუძვლიანი შესწავლა დიალექტიკის ისტორიის ჰერაკლიტედან დაწყებული. ეს პირველი საფეხურები დიალექტიური აზროვნების—ჰერაკლიტე, ზენონი და სხვა ძალიან მოკლეთ, ძალიან სქემატიურათაა გადმოცემული. თუ ავიღებთ მარტო იმ მომენტს, რომ განვითარება ხდება წინააღმდეგობათა საშუალებით, რომ უცვლელი იღებს ცვალებად სახეს და ცვალებადი უბრუნდება ისევ უცვლელს, ეს ხომ შედის ყველა სისტემაში სხვადასხვა ჩამოყალიბებით. არის რაღაც უ ც ვ ლ ე ლ ი, დაურღვეველი, რომელსაც მეტაფიზიკის კლანჭებში მიჰყავს მთელი დიალექტიკა მარქსამდე.

როცა, მაგალითად, ჰერაკლიტე ამბობს, არის მარტო ქცევადობა, შეუწყვეტელი დენა, ერთი წუთი არც სივრცეში, არც დროში მეორეს არ გავსო, ის მაინც გულისხმობს რაღაც უცვლელ კანონს, რომელიც უხილავათ მართავს ამ ცვალებადობას, ამ დენას. უამისოთ, ის იტყოდა, ჩვენ გვაქვს ქაოსი, უთავბოლოობა და არა სინამდვილეო.

როგორ მომზადდა თანდათანობით ამ მეტაფიზიკის გადალახვა მარქსამდე, ან: თუ მარქსმა შესძლო ეს პირველათ, რანაირად შესძლო? თუ ეს არ გამოირკვა, ჩვენ დაგვრჩება მარტო დეკლარაცია იმის შესახებ, რომ მარქსიზმი უნივერსალური მოძღვრებაა, და დიალექტიური მეთოდით ყველაფერი აიხსნება.

არა ახლანდელ მოაზროვნეს ფილოსოფიაში მეტი მოეთხოვება. დამარცხებული კლასობრივი მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ იდეურათ ძლიერია, ის გვეუბნება შორიდან შემდეგს.

მარქსიზმში დარჩა იგივე მეტაფიზიკა, რომელიც ახასიათებს დიალექტიურ აზროვნებაში ჰერაკლიტედან ჰეგელამდე. მარქსიზმშიაც ასეა ნათქვამი რომ ყველაფერი მოძრაობს, წინ მიდის თითოეული მოვლენა იცვლება თავის წინააღმდეგობათ, ერთ მომენტში მოცემულია მეორე მომენტის დასაწყისი, ერთი წესწყობილების საშოში არის ჩანასახი მეორის. შეიძლება დროებითი მიბრუნ-მობრუნება ამ ისტორიული აუცილებლობის, მაგრამ ასეთი შემთხვევითი ხასიათის გადახვევებიც აიხსნება იმავე აუცილებლობის კანონით და რამდენიც უნდა იბოდიალოს კაცობრიობამ აქეთ-იქით, ბოლოს და ბოლოს მაინც გადავა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში.

აბა მითხარით, რითი გაირჩევა ეს ისტორიული აუცილებლობის კანონი ჰერაკლიტეს და სხვა ძველი მოაზრეების იმ მეტაფიზიკური კანონისაგან, რომელიც სარჩულათ უდევს ყოველივე ცვალებადობას და მიმდინარეობას ქვეყნიერებაზე? ვინ ქმნის ამ ისტორიულ აუცილებლობას, რა ძალების ხელიდან გამოდის ეს რაღაც გარდაუვალი და ქვეყნიური მამოძრავებელი ძალა? არის თუ არა

ეს იდეა მარქსის მიერ აღმოჩენილი და ყოველივე სინამდვილის სათავეში ჩაყენებული, არის თუ არა ეს იგივე იდეა, რომელიც აღმოაჩინა პლატონმა და უცვლელ გამოსავალ წერტილათ დასახა წარსულისათვის, აწმყოსათვის და მომავლისთვის?.

ბიბლიოთეკა

თქვენ იტყვით, მარქსმა თავის ძიება ციური სივრცეებიდან ჩამოიტანა ძირს, საზოგადოებაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაში მაგრამ, ჯერ ერთი, ამნაირი ძიება მარქსამდეც იყო, კლასთა ბრძოლის კანონის აღმოჩენა არ იწყება მარქსიდან (ამაში შემცდარია ავტორი), მეორე—თითონ საზოგადოებრივი მიხლა-მოხლაც, მარქსისვე აზრით, ემორჩილება იმავე აუცილებლობის კანონებს. მარქსმა გვასწავლა ჩვენ რომ მუშათა კლასი გამოდის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რადგან კაპიტალიზმი თავის საშოშივე ქმნის თავის მოწინააღმდეგეს და რაც უნდა ეცადონ მისი თანამედროვე იდეოლოგები, ის მაინც ველარ მოიმაგრებს სამერმისო საძირკველს და აუცილებლათ უნდა დამყარდეს სოციალიზმიო.

ეს უკანასკნელიც ხომ იგივე იდეაა, რომელსაც ჩვენ მივწვდით ჩვენი გონებით, ხომ გონებამ აღმოაჩინა ეს იდეა იმ დაკვირვებით, რომელიც გვაქვს კაპიტალისტური სინამდვილის მოვლენებზე, იმ სინამდვილეზე, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალიზმს? პლატონიც ასე იწყებდა დაკვირვებას, გამოდიოდა იქიდან, რასაც გრძნობდა და მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ნაგრძნობ საგანს-მოვლენას ი ქ ი თ ა მ ხ ა რ ე ზ ე ახლავს მისი უარმყოფელი სინამდვილე და და იქით მივყავართ აქაურობასო.

თქვენ იტყვით, რომ ადამიანი ქმნის ისტორიას, თვითონ ადამიანია ერთერთი ფაქტორი სინამდვილის ცვალებადობის, მუდმივი დენის და მოძრაობისადიახ, ამას გვასწავლის მარქსი, მაგრამ ის გვასწავლის იმასაც, რომ თითონ ადამიანის მოქმედებას ეძლევა ესა თუ ის მიმართულება იმ აუცილებლობით, რომელსაც კარნახობს მისი საზოგადოებრივ-კლასობრივი მდგომარეობა.

ერთი სიტყვით, აქეთ მიიხედავ თუ იქით, ყოველი კუთხიდან გაწვება ეს აუცილებლობის კანონი, რომელიც ვერ ესაზღვრება ძველ მეტაფიზიკას. მეტაფიზიკის დედააზრი ის არის, რომ შემეცნებას იწყებს, რაღაც დაუშლელი და დაურღვეველი არსისგან. გვითხარით, ნუ თუ იგივე უცვლელ-დაურღვეველი საწყისი არ არის მარქსის ისტორიული აუცილებლობა, და, თუ ეს იგივეა, მაშინ ხომ დაუძლეველი რჩება ძველი დიალექტიკის მეტაფიზიკა?

როცა იწერება დიალექტიკის ისტორია მარქსამდე, როცა მზადდება თითონ მარქსის დიალექტიკის გაცნობა, უთუოდ უნდა გვესახებოდეს მიზნათ ამ პრობლემის დაყენება და გადაჭრა, ისე ჩვენ ვერ მოვიცილებთ თავიდან იდეური მოწინააღმდეგის ამნაირ მოპართვებს.

სხვათა შორის, ერთი სუსტი ადგილით ჩვენი ფილოსოფიის კარგად მცოდნე ავტორი (ეს სჩანს მთელი წიგნის სივრცეზე) იარაღს აძლევს ხელში იდეურ მოწინააღმდეგეებს. ისინი გვიკიჟინებენ,—თქვენი სოციალიზმი ნიშნავს უკანასკნელ წერტილს ისტორიაზე, იმის იქით აღარაფერი წარმოიდგინება, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ კლასთა ბრძოლის გარეშე არ არსებობს მამოძრავებელი ძალებიო.

ავტორიც ამბობს,—სოციალიზმში კლასთა ბრძოლასთან ერთად, მოისპობიან იდეოლოგიებიცო. ეს უხერხული თქმა საბაბს მისცემს მოწინააღმდეგეს გვითხრას, თქვენც ისე გქონიათ წარმოდგენილი კაცობრიობის მომავალი, რომ ის უნდა დაუბრუნდეს რაღაც პირველყოფილ უძრაობას და არარაობას, ამაზე მეტი ხომ არა უთქვამთ რა ძველ იდეალისტურ სკოლებსო?.

ხ. დ-ნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გრ. გიორგაძე—„საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“. 1864—1905. სახელმწიფო გამომცემლობა. 1928.** გვერდი XVII+590. ფასი: 3 მან. 50 კაპ. ტირაჟი: 3.000.

შესწავლა ისეთი გრანდიოზული პრობლემისა, როგორიც არის „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“ გასულ საუკუნის მეორე ნახევარში (1864—1905), წარმოადგენს ფრიად სერიოზულ და არა ადვილად დასაძლევ ამოცანას. საქართველოს ისტორია მე-XIX საუკუნეში, ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. კიდევ მეტი მისი შესწავლა მხოლოდ ახლახან დაიწყო. ის აუარებელი მასალები, ისტორიული დოკუმენტები, რომლებმაც შესასწავლი გარემოების აზრი და მიმართულების სადავე უნდა მისცეს ისტორიკოსს, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. ჯერ კიდევ მთელი რიგი „მეორე ხარისხოვანი“, მაგრამ აუცილებელი პრობლემათა შესწავლა - გამორკვევა არის საჭირო, რათა ცალკეულად გაშუქებულ საკითხთა შეჯამებამ, მკვლევარს შესაძლებლობა მისცეს, მარჯვე თვალთახედვით და თანამედროვე საზოგადოებისათვის მისაღები და დამაკმაყოფილებელი განჭსჯის, დასკვნის გამოტანისა. იმის თქმა გვინდა, რომ „საზოგადოებრივი ურთიერთობის“ მკვლევარს არქივებში მტვერიანი საქმეების და პერიოდიულ გამოცემათა ქექა არ უნდა დასჭირებოდა; რასაკვირველია არა იმიტომ, რომ ეს ბევრ დროს წაართმევდა, არამედ იმიტომ, რომ თითქმის ყველა ის საკითხები, რომლებიც საბიბლიოგრაფიო წიგნში წამოყენებულია, როგორც მაგალითად: „ქალაქთა თვითმართველობა, როგორც ბურჟუაზიის „ორგანიზაცია“, „კულტურული დაწესებულებები“, „თავადაზნაურობა, როგორც პოლიტიკური და წოდებრივი ორგანიზაცია, „საწარმოო კაპიტალი და ბურჟუაზია“, სკოლა, რუსიფიკაცია, ცენზურა და სხვა პრობლემები მოითხოვდა ცალკეულ შესწავლას, შრომას, რაც შემდეგ გაცილებით მეტ შესაძლებლობას მისცემდა მკვლევარს, ამოელო რაც მთავარია ასე დიდ „თემათა-თემისათვის“ როგორიცაა „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“.

თვით გრ. გიორგაძესაც შეუძლებლად მიაჩნია მე-19 საუკ. მეორე ნახევრის სრული ისტორიის შედგენა ისე, რომ მკვლევარი სავსებით არ განაგებდეს ჯერ გამოუქვეყნებელ-შეუსწავლელ საარქივო მასალებს (ibid).

მიუხედავად არსებულ დაბრკოლებათა გრ. გიორგაძემ სცადა მიეცა მთლიანი განვითარების სურათი იმ საზოგადოებრივი მოვლენებისა, რომელნიც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან—ბატონყმობის გადავარდნიდან, პირველ რევოლიუციამდე, გაიშალენ ქართულ, ან ისტორიულ, სინამდვილეში.

თავისივე სიტყვებით, ავტორის ამოცანას შეადგენს: გაშლა-განვითარება და ეტაპები იმ ბრძოლისა, რომელიც მე-XIX—საუკ. მეორე ნახევრიდან უფრო გარკვეულად იწყება, თვითმპყრობელობის და მისი ბურჯის მემამულეთა წინაამდეგ და აგრეთვე როგორც დასკვნა პირველი რევოლიუციის (1905) დასაწყისის დახასიათება. (გვ. I).

რადგან აღებულ პერიოდში „რუსეთის საერთო პოლიტიკა იყო ამავე დროს საქართველოს პოლიტიკაც, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საქართველოში რუსეთის მიერ ნაწარმოები სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობა არის რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი და სოციალური პოლიტიკის ნაწილი“ (ეს კი სულ სხვა საქმეა. პ. გ.), ამიტომაც ავტორი იწყებს, თუმცა მეტისმეტად მოკლეთ, მაგრამ მაინც რუსეთის მდგომარეობიდან. აქ კი, საწარმოო ძალების განვითარება ეჩეხება ბატონყმურ ურთიერთობას, ანგრევს მას, მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ მდგომარეობას, თვით ახდენს რეფორმას. ის ნახევრად ანთავისუფლებს გლეხობას, იცავს რა მემამულეთა, თავად აზნაურობის ინტერესებს ანგარიშს უწევს ბურჟუაზიასაც, რომელიც მოითხოვდა მფარველობას, მუშა ხელს და სხვა ხელსაყრელ პირობების შექმნას. (გვ. 12).

ამ დროის საქართველოს ისტორია ნატეხია რუსეთის ისტორიის: სავაჭრო და საწარმოო კაპიტალი აქაც იჭრება, ჩნდება ბურჟუაზია და მუშათა კლასი თავისი ატრიბუტებით. შედეგად აქაც ხდება გლეხთა „განთავისუფლება“, მაგრამ ეკონომიურად ის მოკლებულია ცხოვრების უმთავრეს სახსარს—მიწას. წამოჭრილია აგრარული საკითხი მთელი თავისი სიმწვავით (გვ. 60). მაგრამ მისი გადაჭრა არც ისე ადვილი იყო. ეკონომიურად დაბმული გლეხობის აშობა მოასწავებდა არსებულ სოციალურ და ეკონომიურ

სისტემის უარყოფას (გვ. 62). მთელი პერიოდი ხასიათდება შეუწყვეტელი აგრარული მღელვარებებით, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით ამშვიდებს მეფის ხელისუფლება. საჭირო იყო მიწის ექსპროპრიაცია მშრომელ გლეხობის სასარგებლოდ. ეს საკითხი 1905 წ. რევოლიუციამ დააყენა.

ამრიგად XIX საუკ. მე-2-ნახევარში და XX საუკ. დასაწყისში ხდება სოციალური ძალების ახალნაირი დაჯგუფებაც. პირველ ფრონტს წარმოადგენენ: მემამულეები+ბურჟუაზია+სოფლის გავაჭრებული, გაჩარჩებული ნაწილი. მეორე ფრონტი შესდგებოდა: ქალაქის მუშები+გლეხობა (გვ. 191). პირველ ფრონტში, როგორც ავტორი შენიშნავს, არ იყო ინტერესთა ერთიანობა.

მეხუთე თავში (193—290 გვ.) საბიბლიოგრაფიო წიგნისა გრ. გიორგაძე ვრცლად ჩერდება თვითმპყრობელობის ხელისუფლებაზე, ადგილობრივი მმართველობის, მთავრობის საერთო პოლიტიკის, კოლონიზაციის, სკოლის, რუსიფიკაციის, ცენზურის საკითხებზე, რომელთა დასახასიათებლად წარმოდგენილია აუარებელი დოკუმენტები.

მეექვსე თავში: „თავადაზნაურობა, როგორც წოდებრივი და პოლიტიკური ორგანიზაცია“, უხვადაა მოცემული ძვირფასი დოკუმენტები, თითქმის ყველა იმ მნიშვნელოვან დაჯგუფებათა გარშემო, რომლებმაც ასე თუ ისე მკვეთრი გამოხატულება ჰპოვეს ბეჭდვითი სიტყვისა, თუ ხელისუფლების სხვადასხვა აპპარატების ყურადღებაში—არქივში.

კულტურულ დაწესებულებათა შორის ავტორის მიერ განხილულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისა და მოღვაწეობის გზები, სადაც, როგორც სხვა თავებშიაც, ავტორი გრძლად ჩერდება ვიწრო მნიშვნელობის ფაქტოლოგიურ მასალებზე, როგორც მაგალითად ხსენებული საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნთა ჩამოთვლაზე (გვ. 362—363). თავში: „ქალაქის თვითმართველობა, როგორც ბურჟუაზიის ორგანიზაცია“ მოცემულია მასალები მხოლოდ ტფილისის თვითმართველობის გარშემო. რამდენადაც ქალაქის თვითმართველობა ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ხელში იყო, რასაკვირველია მაგენზე ეყრდნობოდა თვითმპყრობლობის არსებობაც, მისი პოლიტიკა და საქმიანობა. მისი „ბრძოლა“ ზოგიერთ რეფორმებისათვის მთავრობის წინაშე თხოვნას და შუამდგომლობას არ სცილდებოდა. ნამდვილ ბრძოლას კი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აწარმოებდენ რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომლებიც მუშურ და გლეხურ მასას ემყარებოდენ (გვ. 384) მეცხრე თავში: „დავა სოციალ-პოლიტიკური საკითხების შესახებ“ (385—480) ავტორის მიერ თავმოყრილია თითქმის ყველა ის პრინციპიალური მასალები, რომლებსაც სოციალ-პოლიტიკური დაჯგუფებანი იძლეოდენ აღებულ პერიოდში (1864—1905). აქ განხილულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდიული ორგანოების დაარსება, მიმართულება და საერთოდ მოღვაწეობის გზები: „დროება“, „კრებული“, „მნათობი“, „იმედი“, „შრომა“, თეატრი“, „ივერია“, „კვალი“, და „ცნობის ფურცელი“.

ნათლადაა დასახული, თუ რა პირობებში და რა დროს გამოჩნდა ქართულ ლიტერატურაში მარქსისტული მიმართულება, „მესამე დასი“, რომელიც სულ მალე გაძლიერდა და 1898 წლიდან საკუთარ ორგანოდ გაიხადა გ. წერეთლის „კვალი“. მოცემულია „კვალისა“ და „ივერიის“, შემდეგ „კვალისა“ და „ცნ. ფურცლის“ და მათი მესვეურების დამახასიათებელი მომენტები, ისევე როგორც სხვა უწინარეს არსებულ დაჯგუფებათა ურთიერთობა და ცალკეული დახასიათება. საინტერესო მასალებია, თუ განვითარების რაგვარ საფეხურზე იდგნენ ჩვენში პოლიტიკური პარტიები 1905 წ. რევოლიუციის გარიჟრაჟზე. მაგრამ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ჩერდება ავტორი მეათე და უკანასკნელ თაურში (გვ. 484—589), სადაც მოცემულია რევოლიუციონური მოძრაობის განხილვა.

გრ. გიორგაძე ქრონოლოგიურის თანდათანობით კვალდაკვალ მისდევს ყოველ რევოლიუციონური მოძრაობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების ჩასახვა-განვითარებას და უკანასკნელისადმი დაპირდაპირებულ მეფის ხელისუფლების ღონისძიებათა, რეპრესიების დახასიათებას. „თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნამდვილი რევოლიუციონური მუშაობა უნდა ეწარმოებინა მუშათა კლასს და გლეხობას“ (გვ. 483), რასაც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, მაგრამ საჭირო იყო მათში არსებული სიტუაციის დასკვნების სახით გამოტანაც.

თუმცა მართალია, წიგნში მრავალი ფაქტოლოგიური მასალებია მოცემული, მაგრამ რამდენადაც სარეცენზიო ნაშრომი უბრალო მასალათა

კრებულის პრეტენზიის მატარებელი არ არის, ავტორს მოეთხოვებოდა ამ დოკუმენტების უფრო რელიეფურად ამეტყველება, რაც მათი მეტი ანალიზის გზით შეიძლებოდა. წინამდებარე ნაშრომში ადგილი აქვს დათმობილი ბევრ ისეთს მნიშვნელოვან დაჯგუფებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი, როგორც მაგალითად „საქართველოს თავისუფლების ლიგა“, რომელიც რუსეთ'ში (ვარშავა'ში) მოსწავლე სტუდენტთა ინიციატივით დაარსდა. და რომლის ყრილობაც კი იქნა მოწვეული ქუთაისში 1894 წ., რაიც მეფის ჟანდარმერიამ თავის დროზე გაიგო (გვ. 501); აგრეთვე „დამოუკიდებელთა საზოგადოება“, რომელიც 1893—1894 წ. ტფილისში არსებობდა.

70–90 წლების პირველ ნახევრამდე, ავტორის სიტყვებით, რომ ვსთქვათ „ნაგლეჯ-ნაგლეჯი, ნაკუწ-ნაკუწის“ სახით იყო რევოლიუციონური მოძრაობა: იყვნენ რევოლიუციონერები, იყო გამოსვლები, მაგრამ არ იყო მთლიანი, საფუძვლიანი, ორგანიზაციულ-რევოლიუციონური მოძრაობა; იყვნენ მოღვაწენი, რომლებიც თავიანთ პუბლიცისტურ ნაწარმოებში ევროპის უტოპიურ სოციალიზმის, რუსეთის ხალხოსნების და რამოდენიმედ მეცნიერულ სოციალიზმის, მარქსის მოძღვრების ზეგავლენით ატარებდენ სხვადასხვაგვარ სოციალისტურ იდეებს, სწერდენ ხალხის ინტერესებზე და სამსახურზე,—მაგრამ არ იყო მასიურ კლასობრივ საფუძველზე აგებული რევოლიუციონური მოძღვრება და ორგანიზაცია, მოძრაობა ჩაკეტილი იყო ინტელიგენტურ წრეებში... და ვერ მიიღო ფართო ხასიათი; თუმცა 80–90 წლებისათვის, მასიურ ორგანიზაციულ მოძრაობისათვის, ეკონომიური და პოლიტიკური, ობიექტიური პირობები, უკვე მომწიფებული იყო. (გვ. 503). ამრიგად შექმნილი პირობები უცდიდა ხელმძღვანელთ. ასეთებმაც არ დაიყოვნეს, ესენი იყვნენ „მესამე დასელები“, რომლებიც იდეურად დაკავშირებული იყვნენ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ კავშირთან“; და შემდეგ ორგანიზაციულადაც რ. ს.-დ. მ. პარტიასთან. „მესამე დასელებმა“ შეითვისეს მარქსისტული მოძღვრება და ორგანიზაციულ მუშაობაში დაადგენ კლასობრივ გზას, იკისრეს მუშათა კლასის ხელმძღვანელობა. უმთავრესად ამითვე განსხვავდებოდა უკანასკნელი საქ. არსებულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთაგანაც.

ავტორი ვრცლად ახასიათებს „მესამე დასის“ განვითარების გზებს და მათგან გამომდინარე შედეგებს, რევ. მოძრაობის გაშლას ქალაქად და სოფლად. მართალია 1905 წ. რევოლიუციის დროს, საქართველოში მთავარი მებრძოლი და ძალთა განწყობილების მამოძრავებელი იყო სოციალ-დემოკრატია, მაგრამ უდაოა, რომ არსებობდენ სხვა პარტიებიც, თუმცა რასაკვირველია ძლიერ უმნიშვნელო გავლენით. იმ დროს, როდესაც, სოც.-დემოკრათა იდეურმა ორგანიზაციულმა გამოსვლამ, მრავალფეროვანი და სხვადასხვა გვარი ელემენტების, „ივერიის“, ბანაკი შეარყია, თავისთავად დაიბადა, „ივერიაში“ ჩასახულ, მაგრამ უკვე მასში ვერ მოთავსებულ, დაჯგუფებათა „მშობელთაგან“ გამოჯვნის საკითხი. პირველი იყო ჯგუფი, რომელიც „ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის“ სახელით გამოვიდა, მიმდ. საუკუნის დასაწყისშივე (გვ. 579), ხოლო მეორე „ბრძოლის კავშირი“, სადაც თავმოყრილი იყვნენ ის პირნი, რომლებმაც 1904 წ. 1 აპრილს საქ. სოც. ფედერალისტთა სარევ. პარტიას ჩაუყარეს საფუძველი.

70—80 წლებში ძლიერი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია 90-იან წლებიდან, მას შემდეგ რაც სოც.-დემოკრატია გამოვიდა ასპარეზზე, თანდათან შესუსტდა და დაიქსაქსა, ასე რომ 1905 წ. რევოლიუციას საქართველოში ეს პარტიაც თავის მცირე ინტელიგენტური ძალებით შეხვდა.

საბიბლიოგრაფიო შენიშვნა საშუალებას არ გვაძლევდა უფრო ვრცლად შევჩერებულიყავით, ამ, თავის დანიშნულებით, ფრიად საინტერესო ნაშრომზე...

„წინამდებარე გამოკვლევაში, რომელიც მიძღვნილია რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, მე გამოვდიოდი ისტორიული მატერიალიზმის იმ მთავარ დებულებიდან, რომ, არა შეგნება არკვევს მდგომარეობას, არამედ მდგომარეობა (бытие) შეგნებას. ამიტომაც მე უწინარეს ყოვლისა მივმართე ადგილის და დროის, ობიექტიური პირობების მიმოხილვას, რომელიც საზღვრავდა რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზებსაო“ ამბობს გ. პლეხანოვი, თავის „Ист. Русск. общественной мысли“-ს წინასიტყვაობაში. (იხ. Сочинения том XX. стр. 3).

ეს დებულება არის უდაო ამოსავალი წერტილი, ყოველი საზოგადოებრივ მოვლენათა მარქსისტული მკვლევარისათვის. მართალია

გრ. გიორგაძის, საბიბლიოგრაფიო წიგნს არ შეიძლება ეწოდოს „ნარკვევი“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის არაა მარტო მასალათა კრებულიც, თუმცა ავტორი იმდენად გატაცებულია ფაქტოლოგიით, რომ ხშირად ზედმეტი და მკითხველის ყურადღების დამამძიმებელი, ცშრალი, დოკუმენტების გადმოწერითაა გართული.

ხოლო რაც უფრო სერიოზული ხასიათისაა, სახელდობრ ავტორის თვალთახედვის პრინციპი, ალებულ პრობლემათა გარკვევაში, ის ჩვენ მიერ ზემოდ ამოწერილ პლეხანოვის სიტყვების საქმიანი მომარჯვებითაა დაწერილი.

გრ. გიორგაძის „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“ უდაოდ ნაყოფიერი შრომის შედეგია და მიუხედავად ზოგი ნაკლისა, ქართული მეცნიერული ლიტერატურისათვისაც აღსანიშნავი შენაძენი.

**პ. გუგუშვილი.**

1929 II. 17.
ტფილისი.

---

**ა. ფადეევი.** — **„განადგურება“. თარგმანი არისტო ჭუმბაძისა.** გამომცემლობა „შრომა“.

რუსეთის სამოქალაქო ომის ეპოპეა და მისი ცალკე ფრონტები ასახულია მრავალ მხატვრულ ნაწარმოებებში. ერთ ასეთ ნაწარმოებად ითვლება ფადეევის „განადგურებაც“.

ა. ფადეევის სარეცენზიო რომანი თავის დროზე აღინიშნა, როგორც პროლეტარული ლიტერატურის უდიდესი გამარჯვება. რომანი გაშლილია ჩრდილოეთ ციმბირის სამოქალაქო ომის ფონზე: წითელი პარტიზანები, ოკუპანტი იაპონელები, და თეთრ გვარდიელები კოლჩაკის სახით. ორი ქვეყანა ერთმანეთს დაუნდობლად ებრძვის. ახალი ადამიანები, ახალი იდეებით დაპირდაპირებულია ძველი ქვეყნისადმი.

ა. ფადეევმა პირველმა სცადა ახალი ადამიანების მოცემა ლიტერატურაში. მწერლის დამსახურება იმაშია რომ მან მოგვცა ახალი ადამიანური არა სხოლასტიურ განყენებულ სახეებით, არამედ ისეთი, როგორიცაა ცხოვრებაში. ლევინსონები, მოროზკები, ვარიები, ბაკლანოვები და სხვები ჩვენს თვალწინ სდგებიან მთელი თავისი ღირსება-ნაკლოვანებებით. მათში არის გმირობა, აღფრთოვანება, რწმენა იმისა რისთვისაც იბრძვიან, მაგრამ არის დაეჭვებაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში მთავარ აზრიდან გადახრებიც. რომანს განადგურება მარტო იმიტომაც კი არ ეწოდება, რომ პარტიზანული რაზმი თეთრებთან ბრძოლაში განადგურებულ იქმნა, არამედ მომქმედი პირებიც ახალი ადამიანებიც ნაწილობრივად დაეცნენ და განადგურდენ.

ეს ბუნებრივიცაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რომანი იძლევა სამოქალაქო ომის პირველი სტადიის ასახვას. ახალი ადამიანი დღესაც არ არის შექმნილი თავისი სრული და მოთავებული სახით და მით უმეტეს მაშინ არ იქნებოდა ასეთი.

რომანში უეჭველად ღრმა ცოდნით და ერუდიციით არის მოცემული მემაღაროელ მუშების პსიქოლოგია. დიდი ინტერესით იკითხება ის ადგილები, სადაც თეთრ ხელებიანი სტუდენტი მეჩიდი დაპირდაპირებულია მემაღაროელ მუშებისადმი. ის ვერ შეეგუა მუშების წრეს, ვერ გაითქვიფა მათში, ვერ გამონახა მათთან საერთო ენა, თავს განკერძოებულად გრძნობს, ინტელიგენტური წუწუნი, თავისთავის მაღლა დაყენება, იმედის დაკარგვა, ქალაქში დაბრუნების სურვილი.

რომანი დაწერილია რუსული ხალხური ენით. ეს ქმნის რამდენიმეთ თარგმანის სიძნელეს. მთარგმნელს ეს რუსული ხალხური გამოთქმები, გაუაკადემიურებია. ზოგიერთი მკვდარი ქართული სიტყვებიც გაუცოცხლებია. უმჯობესი იქნებოდა ზოგიერთი რუსული ხალხური გამოთქმების გაქართულება მდაბიოთ და გასაგებ ენაზე, თორემ თანამედროვე მკითხველს ძალიან გაუჭირდება ისეთი სიტყვების გაგება როგორიც არის დამპირე, ყურების დადაყრა, (ალბად ყურები ცქვიტას მაგიერად) საწყაო უკვებოს, იჩიგერი, ორთვალი, მალდირონისეული, ჭალაგამოზმობიათ აავსო და სხვა მრავალი.

წიგნი დიდი ზომისაა, შეიცავს 172 გვერდს და ღირს 1 მ. 20 კაპ.

**კე.**

**ნ. ბუხარინი. „ისტორიული მატერიალიზმის თეორია".** მარქსისტული სოციოლოგიის პოპულიარული სახელმძღვანელო. **პროფ. შალვა ნუცუბიძის** თარგმანი და ბოლოსიტყვაობა. სახელგამი 1929.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წინ არის ამხ. ნ. ბუხარინის ცნობილი წიგნის მეორე ქართული გამოცემა. თუ მხედველობაში მივიღებთ ქართული მეცნიერული წიგნის მკითხავთა მცირე რიცხვს და იმას რომ ამ წიგნის პირველი ქართული გამოცემა გამოვიდა **1924** წ.,—ეს მეორე გამოცემა დიდი მიღწევაა ქართველი მკითხველის სერიოზული მარქსისტული ლიტერატურით დაინტერესების სფეროში.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სახელგამს გულმავიწყობისა და წიგნის ტეხნიკისათვის გულგრილად მოპყრობას რეკორდი მიუღწევია. წიგნზე არსად არ სწერია, რომ ეს მ ე ო რ ე ქ ა რ თ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ა ა. ამას მკითხველი პროფ. შალვა ნუცუბიძის ბოლოსიტყვაობიდან თუ გაიგებს, თორემ გამომცემლობას ეს მისთვის არ გაუმხელია. გარდა ამისა წიგნი აკინძულია ისეთი წესით, რომლითაც ასეთი სქელი წიგნის აკინძვა ყოვლად შეუძლებელია. გამომცემლობამ ხომ უნდა იცოდეს, რომ წიგნის უფრო კულტურული ფორმით აკინძვა ჯდება ასეთი აკინძვის საფასურის 30 % ე. ი. თვითეულ ცალ ასეთ წიგნზე არა უმეტეს 5 კაპიკისა! დროა მგონია წიგნის კულტურა შევითვისოთ და რაღაც კაპიკის ეკონომიისათვის სერიოზული წიგნები ტეხნიკურადაც სერიოზულად გამოვსცეთ.

რაც შეეხება ამხ. ბუხარინის წიგნს, ამის შესახებ ბევრი თქმა, აქ, რასაკვირველია, საჭირო არ არის. ამ წიგნმა თავის დროზე (1922—3 წ.) დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია რუსულ მარქსისტულ ლიტერატურაში. ნ. ბუხარინს მეორე რუსული გამოცემისათვის ტექსტი უცვლელად დაუტოვებია და წიგნისათვის განმარტების სახით სპეციალური წერილი დაურთავს, სათაურით: „ისტორიულ მატერიალიზმის პრობლემის დაყენებისათვის". ეს წერილი პროფ. ნუცუბიძეს ქართული მეორე გამოცემისათვისაც დაურთავს. ამ წერილში ამხ. ბუხარინი თუმცაღა არავის არ ასახელებს, მაგრამ ეკამათება ყველა იმათ, ვინც მისი წიგნის შესახებ 1922—23 წლებში აზრი გამოთქვა. ხაზგასმით იცავს აქ ნ. ბუხარინი თავის ე. წ. „წონასწორობის თეორიას" და დიალექტიური მეთოდის თავისებურ გაგებას, უმთავრესად სოციოლოგიურ საკითხებზე. წმინდა ფილოსოფიურ პრობლემებს ამხ. ბუხარინი არ იხილავს, მაგრამ მისი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისი შუა ადგილზე უნდა მოვათავსოთ იმ ორ მიმდინარეობის შორის, რომელიც „მექანისტებისა" და „დიალექტიკოსების" (სტეპანოვ-სკვორცოვი—ტიმირიაზევი ერთის მხრივ ა. დებორინი და მისი სკოლა მეორეს მხრივ) სახელწოდებით არიან ცნობილნი და რომელნიც რამოდენიმე წელიწადია გაცხოველებულ ფილოსოფიურ კამათს აწარმოებენ რუსულ მარქსისტულ ლიტერატურაში.

წიგნს დართული აქვს აგრეთვე პროფ. შ. ნუცუბიძის ბოლოსიტყვაობა. როგორც აღვნიშნეთ ბუხარინის წიგნის გამო სერიოზული კამათი იყო მარქსისტულ ლიტერატურაში. მაგრამ ამხ. ბუხარინს თავისი ბოლოსიტყვაობა ისე დაუწერია, რომ ის არც ერთ თავის მოწინააღმდეგეს არ ეხება. ის ლაპარაკობს ზოგადად იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც წიგნში იყო წამოყენებული და რომლებმაც დავა გამოიწვიეს. მოწინააღმდეგის აზრები მას არ მოჰყავს, ბოლო უდავო კი არის, რომ მათ ეკამათება. პროფ. ნუცუბიძეს სწორედ ამის ამოვსება დაუსახავს მიზნათ. მას თავის წერილში გამოჰყავს მთელი რიგი იმ ავტორებისა, რომლებიც ბუხარინის წინააღმდეგ გამოვიდნენ, აჯგუფებს მათ საცდაო პრობლემის ხასიათის მიხედვით და შემდეგ ცდილობს უპასუხოს ამხ. ბუხარინის საკუთარი თეზებით. ეს შრომა მოხდენილად არის შესრულებული, მკითხველი უსათუოდ სარგებლით გადაიკითხავს მთარგმნელის ამ ბოლოსიტყვაობას.

მ.

## ჰერმან რემელე—„საით მიდის ევროპა". რუსული გამოცემა. გვ. 156. მოსკოვი.

საით მიდის თანამედროვე კაპიტალისტური ევროპა? ეს პრობლემა აინტერესებს არა მარტო კომუნისტურ და, საზოგადოთ, რევოლიუციონურ აზროვნებას. „[illegible] ღელვებს" ბურჟუაზიულ თანადროებრივ არსს, ბურჟუაზიულ სოციალურ და ეკონომიურ მეცნიერებასაც.

იტალიის ყოფილმა პრემიერმა, ამ ჟამად ისტორიის სანაგვეში „განსვენებულმა", ჩვენთვის კარგათ ცნობილმა ფრანჩესკო ნიტტიმ, ჯერ კიდევ შვიდიოდე წლის წინეთ, აუწყა ევროპის ბურჟუაზიულ საზოგადოებას სენსაციური აღმოჩენა—ევროპის დგომა უფსკრულთან. აღსანიშნავია, „აღმოჩენა" მოხდა მას შემდეგ, რაც ფრანჩესკო ნიტტიმ პრემიერის სავარძელი დაჰკარგა და ისტორიის უფსკრულისაკენ გაუდგა გზას.

ცოტა ბურჟუაზიულმა „მეცნიერმა-ფილოსოფოსმა" ოსვალდ შპენგლერმა თავის დროზე თავზარი დასცა ევროპის ბურჟუაზიას „ევროპის დაისის" მოახლოების წინასწარმეტყველებით. ეს იყო უკვე „ფილოსოფიური ანალიზი" ევროპის დაღუპვის აუცილებლობის, უფრო გარკვევით—ბურჟუაზიული კულტურის დეგრადაციის.

ასე იყო ხუთი-ექვსი წლის წინეთ. იმპერიალისტური ომის შედეგი გამანადგურებელი აღმოჩნდა ბურჟუაზიულ ევროპის სულიერ და მატერიალურ კულტურისათვის. მაშინ ლაპარაკიც კი არ იყო კაპიტალიზმის შედარებით თუ „აბსოლუტურ" სტაბილიზაციის შესახებ. თვით ბურჟუაზია კანკალებდა საკუთარი ხელით გათხრილ სამარის პირას. ბურჟუაზიულ კულტურისათვის მზათ იყო სამარე. საჭირო იყო მხოლოდ ერთი ძლიერი შტურმი და კაპიტალიზმის კუბოც „გულშემზარავი" ხმაურით ჩაეშვებოდა სამლავში. აი ამის „შესაძლებელ აუცილებლობას" გრძნობდა ბურჟუაზიული საზოგადოების „მოწინავე" ნაწილი, რომელსაც აღმოაჩნდა რაინდული გამბედაობა... მზის დაბნელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღეს ევროპაში არც ერთი ბურჟუა არ კითხულობს არც ნიტტის, არც შპენგლერს. ისინი მოძველდნენ უკვე. მათი ხსოვნა დაავიწყდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას. „შპენგლერის წიგნი არ არის მოდაში. სხვა დრო დაუდგა ევროპის ბურჟუაზიას. ეს არის კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდი. კაპიტალიზმი „აღსდგა მკვდრეთით", მას [illegible] გაახალგაზრდავების „უკვდავების წყაროთ" შეაშხაპუნეს. კაპიტალიზმი შესდგა თიხის ოჩო-ფეხებზე და მთელ სოციალისტურ მოძრაობას განადგურებით ემუქრება! პროლეტარიულ რევოლიუციების ქარ-ბუქი დროებით ჩადგა, დროებით მიწყნარდა. ბურჟუაზიაც აღარ ფიქრობს „ევროპის დაისზე".

ეს არის ახალი პერიოდი საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში—პერიოდი კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის. შეიცვალა საერთაშორისო ვითარების საერთო სურათი, საერთაშორისო ძალთა განწყობილება. „უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია", არ გვიდგას დღის წესრიგში. კლასთა ტიტანური ბრძოლის პროცესი ახალ ფაზისში შევიდა. ობიექტიურ პირობებთან შეფარდებით იცვლება საერთაშორისო კომუნიზმის „რევოლიუციონური ომების ტაქტიკა და სტრატეგია".

საით მიდის „გაახალგაზრდავებული" ბურჟუაზიული ევროპა? როგორია საერთაშორისო სოციალიზმის პერსპექტივა? რამდენად ხანგრძლივია კაპიტალიზმის დაობებულ ხნულის „გაახალგაზრდავება"? აი კითხვები, რომლებიც შეადგენს კომუნისტურ აზროვნების ძირითად საგანს. ამხ. რემმელეს უკანასკნელი წიგნიც იმით არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ავტორი სცდილობს პასუხის გაცემას საერთაშორისო სოციალიზმის წინაშე წამოჭრილ საკითხებზე.

ძირითადი გამოსავალი დებულება, რომელსაც ავტორი ემყარება, ერთ მოკლე, ლაკონიურ ფრაზაში გამოიხატება: „კაპიტალისტური ევროპა უახლოვდება უღრმეს კრიზისისა და კატასტროფის პერიოდს" (გვ. 156). ან კიდევ: „ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში მოწინააღმდეგე კლასები სდგას აშკარად ბრძოლის ფრონტით უდიდეს სიმაგრეებზე, ერთმანეთისადმი განწყობილება უფრო მტრულია, ვინემ ეს იყო ოდესმე" (გვ. 152). რასაკვირველია, ავტორი არ დანავარდობს უსაფუძვლო ფრაზეოლოგიის სფეროში. ასეთი დასკვნა და დებულება ლოღიკურად გამომდინარეობს თანამედროვე კაპიტალიზმის ღრმა ანალიზიდან.

რამ იხსნა ომის შემდგომი ევროპიული კაპიტალიზმი „უფსკრულისაგან"? ამის პასუხი ერთად-ერთია: ევროპის კაპიტალიზმი იხსნა ამე-

რიკის ფინანსიურმა კაპიტალმა. ეს ისტორიული ფაქტია. ევროპის „დოუესიზაცია“ „რეალური“ აღმოჩნდა ევროპისათვის. ამერიკის კაპიტალმაც გააკეთა თავისი საქმე, ამავე დროს „გამოაკეთა“ ევროპის კაპიტალიზმის „წაგებული საქმეც“. მაგრამ ეს არ არის სრული შეფასება. არ უნდა დაგვავიწყდეს II და ამსტერდამის ინტერნაციონალების როლი კაპიტალიზმის სამსახურში. აქ ამხ. რემმელე მართლაც შენიშნავს მოსწრებულად: „ამერიკის სისხლის გადაქცევამ ევროპიულ მეურნეობაში, II და ამსტერდამის ინტერნაციონალების დახმარებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ევროპის მუშათა კლასში ჩამოვარდა საგულისხმო სიწყნარე“ (გვ. 23), სხვანაირად რომ ვსთქვათ—დადგა კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდი. კაპიტალი შეტევაზე გადმოვიდა აშკარათ.

მაგრამ ეს ჰნიშნავს იმას, რომ შეირყა საერთაშორისო კომუნიზმის პოზიციები კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში? არა, სრულებითაც არა – პირიქით, კაპიტალის შემოტევამ გაამახვილა კლასთა ბრძოლის იარაღები, რეაქციის გაძლიერება რევოლიუციონური მოძრაობის გაფართოებით აიხსნება. ამას მოწმობს, სხვათა შორის, კომუნისტური პარტიების საარჩევნო გამარჯვება კაპიტალისტურ ევროპის მთელ რიგ მსხვილ სახელმწიფოებში. არაფერს ვიტყვით გერმანიაზე, პოლონეთზე, სადაც კომუნისტური პარტიის „პარლამენტარული გამარჯვება“ საყოველთაოდ ცნობილია. ავღნიშნავთ მხოლოდ საფრანგეთს.

როგორც ვიცით, საფრანგეთის კომპარტიამ დაკარგა 13 სადეპუტატო მანდატი. კომუნიზმის მტრები ზეიმობენ ამით. ნამდვილად კი საფრანგეთის კომპარტია გამარჯვებული გამოვიდა საპარლამენტო არჩევნებიდან. მან მიიღო 1.000 ათასი ხმა, ე. ი. 250 ათას ხმით (25 პროც.) მეტი 1924 წელთან შედარებით. აქ „აშკარაა „ხმების წითელი დენის“ გაძლიერება“. 13 მანდატის დაკარგვა „უბრალო გარემოებითაა გამოწვეული—ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემა უარყოფს პროპორციულობას არჩევნებში. ამის აშკარა ილიუსტრაციას იძლევა შემდეგი მაგალითი: მარენის ჯგუფმა მიიღო არჩევნებში 1.008.224 ხმა და გაიყვანა 142 დეპუტატი. კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 1.060.344 ხმა და გაიყვანა 14 დეპუტატი! ასეთია საფრანგეთის კომპარტიის „დამარცხება“. აქედან აშკარაა, რომ სადეპუტატო მანდატების დაკარგვა სრულებით არ ჰნიშნავს გავლენის დაკარგვას ამომრჩეველ მასსაში. მართალაც, „მხოლოდ პარლამენტარულ კრეტინებს, [illegible] II ინტერნაციონალის ბელადებს, — [illegible] მიიჩნიონ სადეპუტატო მანდატების რიცხვის ზრდა ძალების ზრდათ“ (გვ. 69), ამდენად ზეცია, მარქსის არ იყოს, „პარლამენტარული კრეტინიზმის“ ტვინგამომშრალი პოლიტიკა.

ავტორი არჩევს მრავალ საყურადღებო პრობლემას. მათ შორის საინტერესოა თანამედროვე სოციალ-იმპერიალიზმის პრობლემა. ჰილფერდინგი, კაუცკი და, საერთოდ, მთელი გერმანია-ევროპის მენშევიზმი წარმოადგენს სოციალ-იმპერიალიზმის ჩამოყალიბებულ სახეს. ევროპის მენშევიზმი აყენებს „სამეურნეო დემოკრატიის“ თეორიას, კლასთა ბრძოლის უარყოფის საჭიროებას. ევროპის სოციალ-დემოკრატია უკვე არ არის კლასიური პარტია, მან დაკარგა კლასიური ხასიათი. ამას აშკარათ, ურცხვათ აღიარებენ თვით გერმანელი მენშევიკ „თეორეტიკოსები“. მაგალითად, პაულ კამფმაიერი ფორვერტსში სწერდა გასული წლის ივნისში: „ამჟამად სოციალ-დემოკრატია იმდენად გაიზარდა, რომ ის უკვე გამოვიდა პროლეტარულ კლასიურ პარტიის ჩარჩოებიდან და ეს ფაქტი მას აძლევს შესაძლებლობას მომავალ სოციალისტურ რესპუბლიკისათვის ბრძოლაში ატაროს კოალიციონური პოლიტიკა“ (გვ. 120). აი თანამედროვე მენშევიზმის შიშველი სხეული, კლასთა ბრძოლის თეორიის უარყოფით და კოალიციონურ პოლიტიკის რელიგიურ სადღესასწაულო „შელამაზებული“. ეს „მარქსისტი„ „თეორეტიკოსი“ არც ბოლშევიზმს სტოვებს „განუგმირავათ“: „მცნება ბურჟუაზიული და პროლეტარული გაყალბებულია ბოლშევიკების მიერ“-ო. ეს მცნებები არ არსებობს ევროპიულ მენშევიზმისათვის. მან იცის მხოლოდ ერთი მცნება—„დემოკრატია“, ე. ი. ბურჟუაზია, მისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა... დეე ყველამ გაიგონოს პაულ კამპფმაიერების გაშმაგებული ყვირილი ბურჟუაზიის „დასახსნელად“,—ყველამ, ვისაც კიდევ სჯერა საერთაშორისო მენშევიზმის კლასიურ-რევოლიუციონური ბუნება.

ამხ. რემმლე გერმანიის კომპარტიის ერთერთი ხელმძღვანელია. მისი თვალსაზრისი ამავე დროს გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელ ნაწილის თვალსაზრისია. მსოფლიო მეურნეობის და პოლიტიკის, საერთაშორისო კომუნის-

ტური მოძრაობის შეფასება, რომელიც მოცემულია რემმლეს შრომაში, ჩვენთვის როდია ინტერესს მოკლებული. ამიტომ ამ წიგნის გაცნობა თითოეულ კომუნისტისათვის საჭიროა.

წიგნის მნიშვნელოვან ნაკლად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი გარემოება. ავტორი სამართლიანად ემყარება დებულებას: „ჩვენ უშუალოდ ვიმყოფებით ევროპიულ ომის წინა ხანებში". მაგრამ ომი არ ჰნიშნავს რევოლიუციის დაღუპვას. პირიქით, „ომი და რევოლიუცია უშუალოდაა, ერთმანეთთან დაკავშირებული". ეს სწორი შეხედულებაა, რომელსაც ლენინი უფრო მკაფიოდ გამოსთქვამდა ცნობილ „იმპერიალიზმის" გერმანულ გამოცემის წინასიტყვაობაში. მაგრამ ავტორი სრულებით განზე სტოვებს ახალი ომის პრობლემას. თავის წიგნში ამის შესახებ გაკვრითაც არ არის ლაპარაკი. კითხვაზე—„საით მიდის ევროპა"—შეუძლებელია ამომწურავი პასუხი მივიღოთ, თუ ომის საკითხს დავსტოვებთ უყურადღებოთ. ავტორი საფუძვლიანად უნდა შეჩერებულიყო თანამედროვე მილიტარიზმისა და, განსაკუთრებით, მარინიზმის თვალსაჩინო ზრდაზე და ნიღაბი უნდა აეხადა იმპერიალისტურ პოლიტიკისათვის, რომელსაც „ევროპა" აწარმოებს.

ომის პრობლემა გაუშუქებელი და თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ავტორს და ამით თავის ნაშრომს სერიოზული ზიანი მიაყენა.

**მოსკოველი.**

---

**ნიკოლოზ მიწიშვილი.** — „ეპოპეია". ქართული ქრონიკა რევოლიუციის დროიდან. ტირ. 3.000

ქართული პროზა ვაჟკაცდება. იზრდება.

ლირიკოსები პროზაში გადადიან. პოეტები ლექსში ველარ ატევენ თავიანთ გულისთქმას. მართლაც, სიტყვაკაზმულ მწერლობაში უმეტეს წილად სიტყვაწყობილ მწერლობიდან გადმოსულნი იმარჯვებენ. ასე იყო ყოველგან. ყოველი დროის დიდი პროზაიკოსი ლირიული ციკლის მოთავების შემდეგ იმარჯვებდა პროზაში.

მე პირადათ არა მწამს ისეთი პროზა, რომელიც ლიტერატურაა და სხვა არაფერი. ასეთი ჟანრის პროზაიკოსები სწერენ მოთხრობებს, რომანებს, ნოველებს, მათ კითხულობენ, ხშირად გატაცებულნიც კითხულობენ, მაგრამ ისინი შეუმჩნევლად გადაირბენენ ლიტერატურული ცხოვრების ზედაპირზე. ასეთი კატეგორიის მწერლებს ხშირად დიდი პოპულიარობაც მოუხვეჭიათ, მაგრამ არასოდეს მწერლის სიდიდე მისი პოპულიარობის რადიუსით არ განზომილა.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ცნობილია ჩვენს პოეზიაში, როგორც „წმინდანიანის", „შავი ვარსკვლავის" ავტორი.

„ეპოპეიას" უთუოდ ინტერესით წაიკითხავს ყველა, ვისაც კი ქართული პროზის დაწინაურება გაახარებს, ვისაც ქართული სიტყვის პროგრესისათვის უშურო თვალი აქვს მიპყრობილი, ყველა სიყვარულით წაიკითხავს ამ წიგნს, ორგინალური მანერით დაწერილს.

„ეპოპეიას" ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მან პირველად სცადა დოკუმენტალური პროზის ნიმუში მოეცა. წიგნი ისე ოსტატურადაა დაწერილი, რომ ეს დეკლარატიული განცხადება სავსებით საჭირო არ იყო.

ამ რამოდენიმე წლის წინად მრავალი კალმოსანი გამოჯირითდა წყრთანახევარი დეკლარაციებით. მრავალი ბაქი-ბუქი გვსმენია, როგორც დოკუმენტალურ, ისე „ტრანსრეალურ" პროზაზე, მაგრამ ვინც ყველაზე მეტს ყვიროდა, მან ყველაზე ნაკლები ნაყოფიერება გამოიჩინა.

დეკლარაციების დრო გავიდა. ახლა ხელხვავიან მეფეხურეებს მოელის მეტის ინტერესით ქართული ლიტერატურა, კერძოდ ქართული პროზა.

ქართულ ლირიკასა და პროზას შორის არაპროპორციული განწყობილება იყო ჯერ კიდევ ათი წლის წინეთ. ყველას ეგონა, რომ ქართული ნათარგმნი პროზის დიდი ტრადიციები ვერასოდეს იპოვნიდენ მემკვიდრეებს. მაგრამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ათიოდე ძლიერი პროზაიკოსი გამოვიდა მოასპარეზედ და დღეს ქართველი პროზაიკოსები, რომელიც გნებავთ იმ ევროპელ პატარა ერის ლიტერატურას დაამშვენებდენ.

ამ წერის გარეშეც მრავალი წიგნი გამოდის ქართულ ბაზარზე, მაგრამ რაა ისეთი წიგნის გამოსვლა, რომელიც სტილის ისტორიას არას შემატებს.

„ეპოპეია“ ძლიერ კარგი დებიუტია ლირიკოსი მიწიშვილისა ქართული პროზის ასპარეზზე.

ვიდრემდის „ეპოპეიას“ სტილს შევეხებოდე, ორიოდე სიტყვა მის იდეურ შინაარსზედაც:

ქართული მწერლობის წინაშე ვრცელი ასპარეზია ამ მხრივადაც გადაშლილი. სავსებით ბუნებრივია თანამედროვეობის მოთხოვნა: მწერალი თანამედროვე თემებს უნდა შეეხოს. ქართული პროზის ოსტატების მიერ მრავალ გზით იყო ნაცადი კრიტიკის ამ მოთხოვნილებისათვის ანგარიშის გაწევა.

მიწიშვილი გაბედულად შეეხო ფრიად მტკივნეულ წყლულებს ჩვენი ეპოქისას.

თემატიური კრიზისი ჯერ არ დამდგარა ჩვენს ლიტერატურაში. წინააღმდეგ: არც ერთი ქვეყნის მწერალს ისეთი საინტერესო და ხელუხლებელი მასალა არა აქვს, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის კალმოსანს. თქვენს წინაშეა დიდი რევოლუციის მიერ აფორიაქებული ადამიანობის გალიხიანებული ფსიქოლოგია. დაინგრა, ძველი ჩარხი ყოფისა, შეირყა ძველი ტრადიცია, რევოლუციებმა და ომებმა ადამიანები ნაფოტივით გადასტყორცნა სხვადასხვა გეოგრაფიულ გრადუსზე.

ავტორიტეტები დაემხვნენ, ძველი საკერპოები დაანგრიეს, ზოგმა ახალისთვის ბრძოლით ისაწყლა თავი, ზოგი ძველს გადაჰყვა, ძველ სახატეებს არ უღალატა და ამ „ჯიქურ ერთგულებაში“ სამშობლოც დაჰკარგა, ოჯახიცა და ერთხელ აღებული ცხოვრების გეზიც.

ამ არევ-დარევაში ყოველი ადამიანის ბუნება მკაფიოდ გამოისახა.

ავანტიურისტები, კუბისტები, წვრილფეხა მატყუარები გაერივნ ამღვრეულ წყალში სათევზაოდ. პატარა კაცუნები დიდ ისტორიულ მისიებს წამოებლაუჭენ, დიდების მოჩვენებითი სიდიდე ყბად ასაღები გახდა.

ის, ვინც პატარა და ნაცრისფერი კაცუნა ეგონათ, მან ნამდვილი გმირობა აჩვენა ქვეყანას. აფორიაქდენ ადამიანთა ვნებები. აირია მონასტერი და ამ „არეულ მონასტერში“ პოეტის, დამკვირვებელის ხედვა არჩევს მარად ძველსა მარად ახალ თემას მწერლობისას: ადამიანური ყოფის სასაცილო და ხშირად სამწუხარო კომედიას.

„ეპოპეიაში“ აწერილ ამბებს განსაკუთრებულ სიცხოველეს აძლევს ისიც, რომ ავტორი უმეწველ განმცდელია ყოველივე ამ აურზაურისა და კორიანტელის. კომპლიმენტი ეკუთვნის მას უწინარეს ყოვლისა როგორც სტილისტს. სამი საათი განუწყვეტლივ ვიკითხე და წიგნი არ მომეშვა, სანამ არ წავიკითხე. ფრიად სიმპატიურია მისი ამხანაგური ქცევა ამ საცოდავ ბინადაკარგულ ადამიანების მიმართ, თუმცა ავტორი პოლიტიკურად აშკარად არ თანაუგრძნობს თავის გმირებს. სიმპატიურია ავტორის ყოველივე თავმოთნეობას მოკლებული თავმდაბლობა. წრფელი ხელოვანი ყოველივე ყოყოჩობას მოკლებული უნდა იქნეს. ჭხამა თავის თავზე მაღლა დგომა ემარჯვებოდეს ხელოვანს. აქ მოცემულია ბედის წერის მწარე ირონიაც. ახალგაზრდა ქართველ მწერალს პირველად გადაისვრის ბედი სამშობლო ქვეყნის მიჯნებს გადაღმა. ჰამსუნისებური ნატურალისტური ხერხით გადმოგვცემს იგი თავის გამწარებულ ყოფას.

„ეპოპეიაში“ მოთხრობილი ამბები მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ეპოპეიისა, რომელიც გადაიშალა ჩვენს თვალწინ 1921—28 წლების მანძილზე.

მიუხედავად ოდნავ გადაჭარბებულ იმერიზმებისა და სინტაქსიური დეფექტებისა მიწიშვილის თხრობითი სტილი ფრიად ორიგინალურია. სისადავის მაქსიმუმი და პათეთიურობის მინიმუმი. სიტყვის აბსოლუტური სისადავე, სიმკვრივე, ფერადხატიანობის სიმარტივე, მხატვრული ხერხების მოულოდნელი ნაირობა და უმთავრესი, რაც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ეს გახლავთ ტონი. სწორედ ამ ტონის აღებაა საქმე. ზოგ მწერალს, მრავალ დადებითი მხარეების მიუხედავად, სწორედ ამ ტონის მიგნების უნარი აკლია.

**უ. ურდოელი.**

---

**ჰერბერტ უელსის ახალი რომანი — „ვილიამ კლისოლდის ქვეყანა“.** გამოცემა რუს.-სახელგამის, 1928 წ.

ეს რომანი დაწერილია ორი წლის წინად. რუსულად გამოიცა მხოლოდ წელს, საინტერესო წიგნია, ბევრის მთქმელი. გასაგებია, რომ ინგლისის კონსერვატიული წრეები უარყოფითად შეხვდენ მას. და ეს არა იმიტომ, რომ რევოლიუციის ქადაგებაა ამ რომანში, ან და ბურჟუაზიისადმი დიდ სიყვარულს იჩენს ავტორი. ოდნავადაც არა. ჰერბერტ უელსი რევოლიუციონერი არ არის. მით უმეტეს—ბოლშევიკი. მართალია, იგი „სოციალისტია“, მაგრამ ეს „სოციალიზმი“ მას უნდა მოიპოვოს არა რევოლიუციით, არა ბრძოლებით, არამედ მშვიდობიანათ, უსისხლოთ, უბრძოლველად, ერთი სიტყვით, „დჟენტლმენტურად“. ამ თავის რწმენას უელსი არც ამ რომანში ღალატობს. ის აქაც იგივე უელსია, როგორც ყოველგან და ყოველთვის: ქკუიანი

ინგლისელი, ბევრის მცოდნე, სოფლის მასწავლებელი, ფაბიანელი სოციალისტი და რევოლიუციის მოწინააღმდეგე „რევოლიუციონერი“. მაშ რატომ დაიწუნა ჩერჩილის და ჩემბერლენის ინგლისმა უელსის ეს ახალი წიგნი? იმიტომ, რომ ამ წიგნში, როგორც სარკეში ნათლად სჩანს დღევანდელი ინგლისის—კონსერვატიულ, იმპერიალისტურ ინგლისის—მახინჯი სახე; მახინჯი და ამავე დროს განწირული. ჰერბერტ უელსი რეალისტია და ამავე დროს პატიოსანი მხატვარი. მას რომ უნარი არა აქვს ხვალინდელი დღე დაინახოს, კაცობრიობის და კერძოდ ინგლისის სავალი გზა სწორად გვაჩვენოს, ამაში მას პირადათ ბრალს ვერ დავდებთ. ეს მისი უბედობაა, როგორც წვრილ-ბურჟუა-ინტელიგენტის, რომელიც ხედავს და გრძნობს, რომ ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის ამ „დალოცვილ“ ინგლისში, მაგრამ რატომ არის ეს ასე და რა უშველის მას,—ვერ გაუგია. სამაგიეროდ უელსი, თავისი მხატვრული თვალით კარგად ხედავს დღევანდელ ინგლისს და მის სწორ და უტყუარ სურათს გვაძლევს. მართალია ისიც, რომ ეს „სწორი და უტყუარი“ სურათი უელსის ინგლისისა არ არის სრული და სავსე; უელსის ამ სურათში არსად სჩანს ინგლისის მუშათა კლასი; მაგრამ რასაც გვიხატავს,—რასაც გვაჩვენებს,—სოწორია და უტყუარი.

ჩიხშია მომწყვდეული იმპერიალისტური ინგლისი. განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა ეს საშინელ ომის შემდეგ. ჩიხშია მომწყვდეული უელსიც, რადგან—კარგად იცის მან: დაღუპვა არ ასცილდება ინგლისს, თუ არ გამოინახა ახალი გზა; მაგრამ მას ვერ მოუნახავს ეს ახალი, საჭირო და გადამრჩენი გზა. განა გამოსავალია ის, რასაც დღემდის უელსი ქადაგებდა და ქადაგებს დღესაც? რასაკვირველია არა. 1913 წელს,—ერთი წლის წინად იმპერიალისტური ომისა,—უელსმა დასწერა რომანი,—„განთავისუფლებული ქვეყანა“. ქვეყანა იღუპება,—სწერს უელსი. თითქოს გრძნობს მოახლოვებულ კატასტროფას, რომელიც ერთი წლის შემდეგ თავს დაატყდება კაცობრიობას. საჭიროა სავალი გზების გამოცვლა, ახლების მონახვა... და აი გული ქვეყნის, „მოწინავე“ პირები,—მეფენი, მეცნიერნი, კაპიტალისტები, პოლიტიკოსები და მწერლები,—შეიგნებენ ამ მდგომარეობას და უელსის რეცეპტის განხორციელების საჭიროებას და დაადგენენ: უარყონ ძველი მეთოდები არსებობისა, ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღონ ომებზე და ურთიერთშორის ქიშპობაზე, ქვეყანაზე დამყარდება სამარადისო მშვიდობიანობა; კაცობრიობა განთავისუფლდა ომიანობის საფრთხისაგან; ქვეყანა თავისუფალია,—ასე სწერდა უელსი 1913 წელს. და თითქოს საპასუხოდ იმისა, თუ როგორი უტოპიური და უნიადაგო იყო უელსის რეცეპტი,—კაცობრიობის განთავისუფლება „კეთილ“ და „განათლებულ“ ადამიანთა „კეთილი“ სურვილით,—არ გასულა ერთი წელი რომ იფეთქა საშინელმა ომმა, რომელშიაც ჩათრეულ იქნა მთელი ქვეყანა. და სწორედ ისინი, რომელთა წყალობით უელსი აპირებდა ომიანობის საბოლოოდ მოსპობას და ქვეყნიერების განთავისუფლებას,—შეიქნენ, ომის, მხრჩობელა გაზების, ტანკების და ჯავშოსანთა მებაირაჭტრენი...

საფიქრებელი იყო,—რომ ეს გაკვეთილი,—საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ უელსს ხელი აელო თავის სასაცილო რეცეპტებზე კაცობრიობის გადარჩენისა,—მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უელსი კვლავ განაგრძობს თავის უტოპიურ ქადაგს და სწავლას. „ვილიამ კლისოლდის ქვეყანა“ ამის აშკარა დამამტკიცებელია.

ვინ არის კლისოლდი? კლისოლდი განათლებული კაპიტალისტია. მისი „განათლება“, „ინტელიგენტობა“ მასში გამოიხატება, რომ მას შეუგნია, შეუთვისებია ის, რაიც მიუღწეველია მისი კლასის წარმომადგენელთა 99%-სათვის:—კაპიტალისტური ინგლისი ჩიხშია მომწყვდეული, ძველი წესებით გამოსავალი არ მოინახება; საჭიროა რაღაც ახალის გამონახვა, მოძებნა.

განათლებული კაპიტალისტი—ვილიამ კლისოლდი,—დაღუპვას უქადის თავის კლასს... ეს საკმაოდ მწარე და საგრძნობი სილაა კაპიტალისტური ინგლისისათვის... ალბათ, ძალიან ცუდათ უნდა იყოს ამ ინგლისის საქმე,—თუ კი მისი წარმომადგენელიც,—თუ გინდ ლიბერალ კაპიტალისტის სახითაც,—დაღუპვას უწინასწარმეტყველებს მას. უელსი—წიგნის წინასიტყვაობაში—ლაპარაკობს, რომ ლიბერალი კლისოლდი სხვა არის და მე—ავტორი კი—კიდევ სხვაო. მკითხველს სთხოვს,—არ მიაწეროს ავტორს ყოველივე ის, რასაც ამბობს და სჩადის ვილიამ კლისოლდი. ვერ დავეთანხმებით უელსის ამ „აღსარებას“. ძალიან წააგავს ვილიამ კლისოლდის ქვეყნის ხსნის რეცეპტები,—უელსის პოლიტიკას. ვინც კი ოდნავ მაინც გასცნობია—უელსის წინანდელ ნაწერებს—აუცილებლივ დაგვეთანხმება იმაში, რომ იმალი კლისოლდის

პოლიტიკა და მსოფლმხედველობა—უელსის პოლიტიკა და მსოფლმხედველობაა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენთვის დაბოლოს სულ ერთია—ლაპარაკობს უელსი კლისოლდის პირით, თუ არა. საინტერესო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჰერბერტ უელსმა 1926 წელს—საჭიროდ დაინახა დაეწერა დიდი რომანი (600 გვერდი!), რომლის მთავარი გმირი,—კაპიტალისტი კლისოლდი, ინგლისს დაღუპვას უქადის, თუ კი მან - ინგლისმა, არ გამონახა თავის არსებობისა და განვითარების ახალი გზები... ვილიამ კლისოლდის ქვეყანა—უნუგეშოა და საცოდავი, რადგან—გამოსავალი გზა არ არის მასში,—დაღუპვას მისჯილ ინგლისისათვის და ეს იმიტომ, რომ კლისოლდი-უელსი—არ იცნობენ და არც უნდათ იცნონ—ის მთავარი, ცოცხალი და ენერგიით აღსავსე ძალა, რომელსაც ერთად-ერთს შეუძლია, გამონახოს ეს გამოსავალი გზა დაღუპვის კარამდე მისულ ინგლისისათვის. ეს ძალა არის—ინგლისის მუშათა კლასი. კლისოლდი არ სცნობს ამ ძალას. ერთ ადგილს კლისოლდი ასე ლაპარაკობს:

„მე ვხედავ მამაკაცთა და ქალთა უმცირესობის მნიშვნელოვან ზრდას,—და აი ეს არის რეალური რევოლიუცია. მე ყურადღებასაც არ ვაქცევ ხალხის ფართო მასებს და არც მოველი მათგან რაიმე დახმარებას. მე ვოცნებობ არისტოკრატიულ, და არა დემოკრატიულ რევოლიუციაზე“.

ეს განმეორებაა იმის, რასაც უელსი ქადაგებდა 15 წლის წინად—თავის რომანში „განთავისუფლებული ქვეყანა“... იმპერიალისტურმა ომმა მტვრად აქცია უელსის ფიქრები „არისტოკრატიულ რევოლიუციის“ შესახებ... დღეს ამასვე იმეორებს ვილიამ კლისოლდი. [illegible] განგებ, იმ დროს, როდესაც [illegible] არისტოკრატიული (განათლებული) ინგლისი კრიალოსნით ემზადება,—ახალ საშინელ სისხლისღვრისთვის ოკეანეს იქეთა მხარეს მდებარე რესპუბლიკასთან...

არა „განათლებული უმცირესობა“, არამედ „ხალხის ფართო მასები“ მოახდენენ ნამდვილ რევოლიუციას. მართალია ეს რევოლიუცია იქნება რგოლი იმპერიალისტური ინგლისის ბოლო, მართალია ეს რევოლიუცია კარგს არაფერს უქადის თვით ვილიამ კლისოლდის ქვეყანას, მაგრამ სხვა გზები ინგლისის სახსნელად, კაცობრიობის სახსნელად არ არსებობს, რადგან არ არსებობს სხვა რევოლიუციები...

რომანი „ვილიამ კლისოლდის ქვეყანა“ დასაბუთებული და გაბედული კრიტიკაა ეხლანდელი იმპერიალისტური ინგლისის. სწორედ ამიტომ შეხვდენ მას მტრულად ამ ინგლისის დღევანდელი მეთაურები. სწორედ ამით არის იგი საინტერესო ჩვენთვისაც.

ვინც კი დაინტერესებულია ინგლისის რევოლიუციის საკითხებით,—ის ბევრ რამე საინტერესოს ნახავს უელსის ამ ახალ რომანში.

განწირულია ინგლისის იმპერიალიზმი, რომლისაც მის აუცილებელ დაღუპვაზე კლისოლდებიც ასე ხმამაღლა გაჰყვირიან. ჩვენი სურვილია მხოლოდ, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს ეს!

3·

## ჟურნალ „მნათობის" გენერალური სარჩევი. 1924 წ. თებერვლიდან 1929 წლის მარტამდე დაბეჭდილი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პოეზია

1. **აბაშელი ა.:** 1) „ჰაეროპლანი სოფლად" № 2. 1927. 2) „ფიქრები" № 3, 1927. 3) „ახალი ტფილისი" № 7. 1927. 4) „მოგონება" № 8-9. 1927. 5) „პოეტის გული" № 5-6. 1927. 6) „მამის სიკვდილი" № 11-12. 1928.

**ბახტაძე-ხონელი: ი.** „ჩვენ მაშინ მოველით..." № 1. 1924.

**აბულაძე ბ.:** 1) „მანიფესტი ჩინეთის ხალხს" № 5-6. 1927.

**ბესოშვილი ვ.:** 1) „წარმოკავშირის დელეგატი" № 5-6. 1925. 2) „ანეული" № 8-9. 1925.

**ბობოხიძე კ.:** 1) „ზღვის პირად" № 8-9. 1927. 2) *** (ლექსი) № 7. 1928. 3) „პოეტი მხედარი" № 1. 1929.

**გაბესკირია ვ.:** 1) „დღეები ზღვაზე" № 3. 1925. 2) „ხატიჯე" № 1. 1926. 3) „სიტყვა გემიდან" № 5-6. 1926. 4) „თქვენდამი" № 10-11. 1927. 5) „ჩონგური" № 8-9. 1927. 6) „მოხუცი" № 1. 1928. 7) „დღეები სოფლად" № 2. 1928. 8) „ტრაქტორი" № 10. 1928. 9) „მაშინ გავაქცევ მოწოლილ გზნებას" № 7. 1928. 10) „სოფლად" № 11—12. 1928. 11) „სავარჯიშო მოედანზე" № 1. 1929.

**გაფრინდაშვილი ვ.:** 1) „ბაკუნინ" № 5. 1924. 2) „პარიზის კომუნა № 3, 1925. 3) „ჩინეთი" № 7. 1925. „პასუხი" № 7. 1927.

**გვეტაძე რ.:** 1) „მერკვილაძის ტყვია" № 4. 1925. 2) „წვიმიან დღეს" № 2. 1926. 3) „ოქტომბერი ტფილისში" № 11-12. 1928.

**გორგაძე ვ.:** 1) „ლენინ" № 3. 1924. 2) „ექსპრესს" № 5. 1924. 3) „პროლოგი" № 6. 1924. 4) „სიმფონია მწუხრის" № 7-8. 5) „პირველი მაისი" № 4. 1925. 6) „სოფლის ავდარი" № 5-6. 1925. 7) „გამგზავრება სოფელში" № 10. 1925. 8) „მარია ვოლკონსკაიას" № 11-12. 1925. 9) „ძირულის პირას" № 5-6. 1926. 10) „ცა ტაშისკარის" № 8-9. 1926. 11) „ბრძოლა გვირაბთან 1905 წ." № 1. 1927. 12) „მე და ციება" № 11-12. 1928.

**გუგუნავა გ.:** 1) „გამგზავრება სამშობლოში" № 11-12. 1928.

**ევდოშვილი ი.:** „დედა" № 4. 1925.

**ეული ხ.:** 1) „ათი წელი" № 10. 1927. 2) „ულენინოთ" № 1. 1928. 3) „ზღაპარი და სინამდვილე" № 10. 1928.

**ვაკელი ი.:** 1) „მაღაროს პრელიუდიები" № 3. 1924, 2) „ბალადა სოფელს" № 2. 1925. 3) „ტფილისი" № 11-12. 1925. 4) „მეწისქვილე" № 1. № 2, № 3. 1927. 5) „ლექსი ტფილისზე" № 5-6, 1928.

**იახამანი:** „სამეგრელოში" № 7. 1928.

**იაშვილი პ.:** 1) „პოეტი და ადამიანი" (ნაწყვეტი პოემიდან) № 2. 1927, 2) „პოეზიის ინჟინრებს" № 2—3. 1929.

**ზომლეთელი ნ.:** 1) „მარში" № 6, 1924. 2) „ფიქრი სოფელზე" № 10-11. 1926, 3) „თებერვალი" № 2, 1927. 4) „ზღვის პლიაჟი" № 8-9. 1927. 5) „უძლეველი ათეული" № 10. 1927. 6) „ძლევის შუქურა" № 1. 1928. 7) „ოქტომბრის დარაჯი" № 2. 1928. 8) „ფერების ფონზე" № 3. 1928. 9) „ოქტომბრის ვეფხვი და ქარიშხალა" № 5-6. 1928. 10) „ჩვენი გზა" № 7. 1928. 11) „ღელვა პლიაჟზე" № 11-12. 1928.

**თარიშვილი ნინო.:** 1) „უზურში" № 11—12. 1925; 2) „შორიდან" № 5-6. 1928.

**კალაძე კ.**: 1) „ამბავი, რომელიც გამორჩა ქრონიკას“ № 5-6. 1925. 2) ,,ნახტომი გულიდან“ № 2, 1926. 3) ,,მხედრული“ № 2. 1927. 4) ,,მოვდივართ“ № 3. 1927. 5) ,,საპირველმაისო“ № 4. 1927; 6) ,,[illegible] ტრებების შესახებ“ № 5-6. 1927; 7) ,,მებრძოლის ლექსი“ № 10; 8) ,,ზამთარი“ № 11—12. 1927; 9) ,,ვ. ი. ლენინი“ № 1. 1928.

**ლისაშვილი ი.**: 1) ,,გათენებამდის ქალაქში“ № 4. 1925; 2) ,,ის ხომ არ არის კიდევ თამაში“ № 8-9. 1927; 3) ,,10“ № 10 1827.

**ლეონიძე გ.**: ,,სიმღერა პირველი თოვლისა“ № 1. 1929.

**ლორთქიფანიძე კ.**: 1) ,,სტენკა რაზინ“ № 2. 1925; 2) ,,მტკვარი“ № 5-6; 3) ,,წერილი სატრფოს“ № 8-9; 4) ,,ნატვრა“ № 11-12. 1925; 5) ,,სიცოცხლისათვის“ № 1. 1926; 6) ,,მე ისევ ვდგევარ სადარაჯოზე“ № 5-6; 7) ,,ბარათი ნოე ჩხიკვაძეს“ № 8-9. 8) „კომუნარ ქალს“ № 10; 1926; 9) ,,ლენინი“ № 1. 1927; 10) ,,წინაპრებს“ № 1. 11) ,,სიტყვა ექვსი წლის თავზე“ № 2; 12) ,,ნეპ“ 13) ,,მონადირის თქმული“ № 3; 14) ,,თუ შეგიძლია“ № 4; 15) ,,საბარგო ავტომობილი“ № 5 6; 16) ,,ჩემი ცხოვრება“ № 7; 17) ,,უსათაურო“ № 10; 18) ,,რაიკომის საწერი მანქანა“ № 11-12. 1927; 19) ,,პროვინციალური ლექსები“ № 1. 1928. 20) ,,საჩივარი“ № 2; 21) ,,მეზობელი“ № 3; 22) ,,ლექსი“ № 8-9; 23) ,,საოქტომბროთ თქმული ლექსი“ № 10; 24) ,,მადლობელი ვარ იორო“ № 10; 1928. 25) „ერთი მათგანი“. № 2-3. 1929.

**მაშაშვილი ა. (ბუმერანგი)**: 1) ,,ფუნიკულიორიდან“ № 7. 1925; 2) ,,დარიალი, ავდარი მანდარინა დაირა“ № 8-9. 1925; 3) ,,პატარა“ № 1. 1926. 4) ,,მე და ბარათაშვილი“ № 8-9; 6) ,,გადახრა მთვარისკენ“ № 3. 1926.

**მიწიშვილი ნ.**: 1) ,,პოეტს“ № 10. 1925; 2) ,,შავი ვარსკვლავი“ № 11-12; 1925. 3) ,,გარდაცვალება“ № 2. 1926.

**მოსაშვილი ი.**: 1) ,,გამოთხოვება სოფელთან“ № 4. 1926. 2) ,,საუკუნის გადასახედზე“ № 5-6, 3) ,,მტკვრის სიკვდილი“ № 10-11. 1926; 4) ,,სოფელში“ № 1. 19127; 5) ,,ზაჰეს შენ გიმღერ“ № 7; 6) ,,ცხოვრების გზაზე“ № 8-9. 1927; 7) ,,თანამედროვე პოეტებისადმი მიწერილი“ № 1928; 8) ,,ქალვაჟიანი“ № 1. 1929.

**ნადირაძე კ.**: 1) „მიმართვა ბავშვებს“; № 5. 1924; 1924; 2) ,,წითელი მოედანი“ № 6, 1924. 3) ,,1905 წელი“ № 7-8. 1924; 4) ,,ვლადიმერ ლენინი“ № 1. 1925.

**რონდელი დ.**: ,,სოფელს“ № 7. 1925.

**რუხაძე ვ.**; 1) ,,მიწავ დაგვნებდი“ № 5-6. 1928; 2) ,,ტყის ძმები“ № 8-9. 1928.

**ფელდოსიშვილი კ.**: 1) წერილი დედისაგან“ № 2. 1925; 2) ,,ბელადს“ № 3, 1927. 4) ,,ამხ. ბეზიმენსკის“ № 3 1928.

**ქუჩიშვილი გ.**: 1) ,,ჰიმნი პროლეტარიატს“ № 6, 1924; 2) ,,ვინ არის იგი“ № 7-8. 1924. 3) ,,9 იანვარი“ № 1. 1925; 4) ,,ოქტომბრისათვის“ № 10. 1927; 3) „სტუდენტების სიმღერა“ № 3. 1928.

**ქუთათელი ა.**: 1) ,,ზამთარი“ № 2. 1724. 2) ,,აღმოსავლეთი და დასავლეთი“ № 5-6. 1925. 3) ,,Ford“ № 7; 4) ,,ოქტომბერი“ № 11-12. 1925; 5) ,,ღრუბლები“ № 1. 1926; 6) ,,ევროპა“ № 4. 1927.

**ტაბიძე გალ.**: 1) ,,ქარი“ № 2. 1924; 2) ,,აღმოსავლეთი“ № 3. 1924; 3) ,,ჯონ რიდი“ № 4. 1924; 4) ,,ჩვენ პოეტები საქართველოსი“ № 7-8. 1924; 5) ,,მოგონებები იმ დღეებისა როცა იელვა“ № 5. 1924: 6) ,,1917“ № 6. 1924; 7) ,,ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“ № 1. 1925. 7) ,,ასი ლექსი“ № 20. 1925; 9) ,,პოემა ვეფხვისა“ № 1. 1926; 10) ,,კოსმიური ორკესტრი“ № 7. 1926;

11) „პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლიუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს 1917 წ.“ № 10. 1927; 12) „ეპოქა“ № 5-6; № 7, № 8-9, № 10 და № 11-12. 1928. 13) „ლექსი დაწერილი „მნათობის“ ხუთი წლის არსებობის გამო“. № 2—3. 1929 წ.

**ტაბიძე ტიც.**: 1) „სტალინი“ № 2. 1927; 2) „არ შევჩერდები მე ამ მოტივზე“ № 3. 3) „ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს“ № 4; 4) „მონანიება კი არის სადა“ № 1. 1928; 5) „პოემიდან თვრამეტი წელი“ № 2. 1926.

**სამსონიძე პ.**: 1) „ელვისოს ქარი“ № 4. 1925.

**ცეცხლაძე გრ.**: 1) „პოემიდან ნასაკირალი“ № 4. 1927; 2) „ტფილისი“ № 3. 1928.

**გ. ჟურული**: 1) „გოგო საბადური“ № 7. 1925; 2) „პირიმზე“ № 8-9. 1925; 3) „გული სოფლისაკენ“ № 1. 1926; 4) „მწუხრი ტფილისამდე“ № 4. 1927; 5) „კავკასი“ № 5-6. 1927; 6) „თქმულება შამილზე“ № 3. 1928; 7) „გორკი“ № 4 8) „მეწყერი“ № 7. 9) „ლაშქრული“ № 10. 10) „წიკლაურის სამშობლოში“ № 11-12. 11) „მანიფესტი მკითხველებს“ № 1. 1929. 12) „ნიკო ფიროსმანი“. № 2—3. 1929 წ.

**ჩაჩავა ნ.**: „თეზისები პოეტების მსოფ. მდგომარეობ. შესახებ“ № 5. 1924.

**ჩიქოვანი ს.**: 1) „ძველ პოეტს“ № 1. 1927; 2) „კავკასიიდან ტაგანროგამდე“ № 8-9; 3) „ოქტომბრიდან 27-მდე“ № 10 1927; 4) „სამოქალაქო ომებიდან“ № 2. 1928; 5) „ბულბულიანი“ № 1. 1929.

**შანშიაშვილი ს.**: 1) „ცოლი რუსთაველის“ № 7. 1927; 2) „ლენინი ჯავშნოსანზე“. № 10. 1927.

**ყიფიანი ივ.**: 1) „უკვდავ კომუნარს“ № 1. 1929.

**ჭავჭავაძე ილია**: „აჩრდილი“ (მეორე ვარიანტი) № 3. 1926.

**ჭიჭინაძე კ.**: 1) „ვ. ბრიუსოვს“ № 6. 1924; 2) „ორიოდე სიტყვა“ № 2. 1925; 3) „მაისში პოეტებს“ № 4. 1925.

## პ რ ო ზ ა

**ბანოვანი**: „სამართალს სისხლით მოვძებნი“ № 5—6, № 7, № 8—9 1928.

**ბელიაშვილი ა.**: „ცხრა ცენტრი“ № 5. 1924; № 7—8. 1924.

**გამსახურდია კ.**: „ლილ“ № 3. 1928.

**ივ. იოსელიანი**: 1) „დუელი“ № 2. 1924; 2) „ბოროტი სული“ № 4. 1924; 3) „უკანასკნელი ბარიკადა“ № 2. 1925.

**იაშვილი პაოლო**: „ფერადი ბუშტები“ № 3. 1924.

**ერისთა-ხოშტარია ან.**: „სალი“ № 1. № 2. № 3. № 5—6. № 7 და № 11—12. 1927; № 10. 1928; № 11—12. 1928.

**ირეთელი პ.**: „ზღვის ნიავი“ № 6. 1924.

**ზომლეთელი ნ.**: 1) „იფქლი“ № 8—9. № 10. № 11—12. 1927; 2) „ბექანა დაბრუნებულა“ № 1. № 2—3. 1929.

**თურდოსპირელი**: „მომაკვდავ კოშკში“ № 8—9. 1927.

**კლდიაშვილი დავ.**: „ჩემი ცხოვრების გზაზე“ № 4. № 5—6. № 7. № 8—9. № 10. № 11—12. 1925; № 1. 1926.

**კლდიაშვილი სერ**: 1) „თუთიყუში“ № 5. 2) „ქალაქი ხევში“ № 11—12. 1925.

**კასრაძე სტ.**: 1) „ქალაქის კუპე“ № 3. 1926; 2) „მეჯინიბე“ № 1 და № 2. 1928; 3) „მებადურთა უბანი“ № 8—9. 1928.

**კაკაბაძე პ.**: 1) „ძველი დაფები“ (მისტერია) № 4. 1924; 2) „ლისაბონის ტუსაღები“ № 4 და № 5—6. 1926.

**ლორთქიფანიძე ნიკო:** „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ № 8—9. № 10. № 11—12. 1928.

**ლორთქიფანიძე კ.:** „ხავსი“ № 7. 1927.

**მალაქიაშვილი ვ.:** „სამნი“ № 1. № 2. № 3. № 4. № 5—[illegible] 1926.

**მელიქიშვილი:** „ტარიგი“ № 2. 1927.

**მეტრეველი ლ.:** 1) „დარღვეული მიწა“ № 7. № 8—9. 1926; 2) „მტრობა და სიყვარული“ № 3. 1927.

**მიწიშვილი ნ.;** 1) „ოებერვალი“ № 10 1925; 2) „ალექსანდრია“ № 11—12. 1928; 3) „კამათელი და სახარება“ № 1. 1929.

**მრევლიშვილი:** 1) „ინონ“ № 8—9. № 10—11. 1926; 2) „ობობა“ № 11—12 1927. 3) „ხავს მოდებული ნაფოტები“ № 2-3. 1929.

**ნადირაძე კ.:** 1) „ტფილისის კონტრაბანდისტები“ № 10 1925.

**ნოზაძე პ.:** „დღე და ღამე რევოლიუციის“ № 5. და № 7—8. 1924.

**რამიშვილი ტრ.:** 1) „ამონაკვნესი“ № 7. 1925; 2) „გაჭირვების ტალკვესი“ (დრამა) № 8—9. 1925; 3) „მონადირე ქალები“ (პიესა) № 5—6. 1927.

**რობაქიძე გრ.:** 1) „მალშტრემ“ (პიესა) № 2. 1925; 2) „გველის პერანგი“ № 10. № 11—12. 1925; № 1, № 2, № 4, № 5—6. 1926.

**პაპავა ა.:** „სპირიდონის გასაჭირი“ № 1, № 2, № 3. 1928.

**პოლუმორდვინოვი ე.:** 1) „ლურჯი სუფრა“ № 5—6. 1926; 2) „ვერცხლის ქამარი“ № 10—11. 1926.

**სულიაშვილი დ.:** 1) „მეორე დღეს“ № 3. 1926; 2) „წერილი“ № 2. 1927; 3) „ლოდინი“ № 7. 4) „ლენინი და პეტროგრადი“ № 10; 5) „ჩიკორი“ № 11—12. 1927.

**ტაბიძე ტ.:** „ამორძალები“ № 7. 1927.

**ტატიშვილი ი.:** 1) „დედაკაცის ბედი“ № 8—9. 1926; 2) „მტერთა საძლო“ № 7. 1927; 3) „მოსარეცხე“ № 2. 1928; 4) „იალღუზა“ № 1, № 2—3. 1929.

**ხოსანიშვილი ი.:** „ბრილიანტები“ № 2. 1924.

**ქიაჩელი ლ.:** „სისხლი“ № 1, № 2, № 3, № 4, № 5—6, № 8—6, № 10 და № 11—12. 1927.

**ქორქია რ.:** „დარეჯანის ნაჩუმარი“ № 1. 1929. 2) „ვარდი და ცოცხი“. № 2—3. 1929.

**ქუთათელი ალ.:** 1) „ცხენოსანი“ № 8—9. 1927; 2) „კორნელი და მუშები“ № 10. 1927.

**ჩერქეზიშვილი თ.:** „მია“ № 1. 1928.

**შანშიაშვილი ა.:** „ამბოკარი“ № 4. 1926.

**შარაშენიძე ვ.:** „ცოცხალი“ № 5—6. 1926.

**შიუკაშვილი:** „მთის ზღაპარი“ № 5—6. 1927.

**ჩიანელი დ.:** 1) „საქართველო ციკლონებით“ № 1. 1925; 2) „საქართველო სამფეროვანი“ № 3. 1925.

**წერეთელი გ.:** „გულქანი“ № 5—6, № 7, № 8—9, № 10. 1928.

**შენგელაია დ.:** 1) „სანავარდო“ № 1, № 2, № 3. 1924; 2) „ჯავშნიანი მატარებელი“ № 5. 1924; 3) „ტფილისი“ № 7. 1925; 4) „ტფილისი“ № 1, № 2, № 3. 1927; 5) „პორტში“ № 10. 1928.

**ჭუმბაძე ა.:** „მოსისხლენი“ № 5—6. 1928.

**ჯავახიშვილი მ.:** 1) „დაზღვევა“ № 2. 1924; 2) „რასპუტინის კუდზე“ № 3. 1924; 3) „ევროპის ედემში“ № 4. 1924; 4) „მსოფლიო ომის გრიგალში“ № 5. 1924; 5) „ჯაყოს ხიზნები“ № 7—8. 1924; 6) „ჯაყოს ხიზნები“ № 1. 1925;

7) „ყბაჩამ დაიგვიანა“ № 3. 1925; 8) „მუსუსი“ № 4. 1925; 9) „ლამბალო და ყაშა“ № 5—6, № 7. 1925; 10) „ოქროს კბილი“ № 8—9. 1925; 11) „თეთრი საყელო“ № 1. 1926; 12) „არსენა მარაბდელი“ № 3. 1926; 13) „[illegible] ამბავი“ № 7. 1924; 14) „მესამე“ № 10—11. 1926; 15) „[illegible] ქალი“ № 1. 1927; 16) „გივი შადური“ № 5. 1927; 17) „ორი შვილი“ № 7. 1927; 18) „გივი შადური“ № 1. 1928; 19) „ქურდი“ № 2. 1928; 20) „წითელი ლილი“ № 1. 1929; 21) „ფინჯანი“ № 2—3 1929.

ჯორჯიკია ჯ.: „რეჟიმის შვილები“ № 1, № 2, № 3. 1928.

## თარგმნილი ლიტერატურა

ანდრეევი ლ.: „ცხენი სენატში“ № 7. 1928.

ალექსანდროვსკი: „აჯანყება“ № 6. 1924.

არაზი: „მტრის სიმღერა“ № 7. 1927.

აზატ ვშტუნი: „გრიგალის ძახილი“ № 2. 1925.

ბაბელი ა.: „ცხენ-არმია“ № 1. 1926.

ბაირონი: „კაენი“ (მისტერია) № 4. 1924.

ბაგრიცკი ე.: „ფიქრი ათანასზე“ № 1. 1929.

ბერკოვიჩი კ.: „მარგარიტა“ № 10. 1926.

ბრიუსოვი ვ.: „რუსეთის რევოლიუცია“ № 2. 1926.

ბროდი მ.: „სამოთხის თევზი საწერ მაგიდაზე“ № 2. 1924.

ბლოკი ალ.: „სკვითები“ № 6. 1924.

გრიბოედოვი: „ქართული ღამე“. (შევსებული და შეკეთებული შალ. დადიანის მიერ) № 2—3. 1929.

გლადკოვი თ.: „ცემენტი“ № 1, № 2, № 3, № 4. 1927.

გორკი მ.: 1) ფერია“ № 4. 1928; 2) „წიგნიდან მოგონებანი“ № 4, 1928; 3) „ქარიშხალი“ № 4, 1928; 4) „არტამონოვების საქმე“ № 4, № 5—6, № 7, № 8—9, № 10. 1928; № 2—3. 1929.

გუმპერტი მარ.: „ტაიტი“ № 2. 1924.

გილბო ჰ. „მოსკოვი“ № 7—8. 1924.

დანილოვსკი გ.: „ბრძოლა და სიყვარული“ № 2. 1928.

დარბინიანი: „მტრები“ № 7. 1927.

დრაიზერ თ.: „ნიუ-იორკის ფერადები“ № 11—12. 1927.

ერენინი ხერგ.: „ამხანაგი“ № 6. 1926.

ესენბურგი ი.: 1) „მეორე ყალიონი“ № 2. 1924; 2) „ტრესტი“ დ. ე.“ № 6, № 7—8. 1924; № 1, და № 2, 1925.

ვაგნერი ე.: „ჰამბურგის მებრძოლებს“ № 3. 1924.

ვერჰარნი ე.: 1) „მჭედელი“ № 2. 1924; 2) „ტრიბუნი“ № 5. 1924; 3) „ამბოხი“ № 6. 1924.

ვერფელი ფ.: 1) „ცრემლები“ № 2. 1924; 2) „მკითხველისადმი“ № 2. 1924.

ლიბედინსკი: „შვიდი დღე“ № 4, № 5. 1924.

ლავრენიევი: 1) „იტლის რესპუბლიკის დამსხვრევა“ № 10—11. 1926; 2) „რღვევა“ № 3. 1928.

კაზინი ვ.: „ლენინ“ № 3. 1924.

კლუევი: „ლენინ“ № 4. 1924.

მაიაკოვსკი ვ.: 1) „ოდა რევოლიუციას“ № 5. 1924; 2) „III ინტერნაციონალი“ № 6. 1924; 3) „25 ოქტომბერი 1917 წ.“ № 10. 1927.

მილბო ანრი: „კარლ ლიბკნეხტი“ № 5. 1924.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარტინე მ.:** „ლამე“ № 6. 1924.
**ნაბახტიანი:** „ზადელე“ № 7. 1927.
**ნეკრასოვი:** „სამშობლო“ № 2. 1928.
**ომეგა:** „სპარსთა ლიტერატურა“ № 2. 1925.
**პილნიაკი ბ.:** „შიშველი წელი“ № 3, № 4, № 7, № 8—9. 1925. 2) „მემკვიდრენი“ № 10. 1927.
**პუშკინი ა.:** „თავისუფლება“, „ციმბირისაკენ“, „სოფელი“, „ჩაადაევს“ № 2. 1927.
**რომანოვი:** 1) „ვარსკვლავები“ № 1. 1928; 2) „არაბული ზღაპარი“ № 3. 1928.
**რომენ ჟიულ:** 1) „თეთრი ღვინო ლავილეტისა“ № 3, № 4. 1927.
**საბრი გუზ:** „მუნევეერ“ № 8-9. 1926.
**სერებრიანსკი:** „კომუნა“ № 1. 1924.
**სინკლერი უპ.:** 1) „მეფე ნახშირი“ № 2, № 3, № 4, № 5-6, № 7. 1926. 4) „ქადაგის მდივანი“ № 1, № 2. 1928.
**ტარასოვ-რადიონოვი:** „შოკოლადი“ № 1 და № 2. 1924.
**ტინიანოვი:** „დეკაბრისტები საქართველოში“ № 5-6. 1927.
**ტოლლერი ერ.:** 1) „კაცი მასსა“ № 1. 1925. 2) „ბურჟუაზიის ტუსალები“ № 4. 1924.
**ფრანსიან:** „ღმერთებს სწყურიათ“ № 3, № 4, № 5-6. 1925.
**შირიაევი პ.:** „ციკუტა“ № 8-9. 1927.
**ცვაიგი სტ.** „ამოკ“ № 5-6. 1927.
**ჰაზენკლევერი:** „მურის მაძიებელი“ № 2. 1924.

### კრიტიკა, მხატვრობა, პუბლიცისტიკა

**ალხაზიშვილი ვ.:** 1) „შენიშვნები კინოს შესახებ“ № 1. 1929; 2) „თეატრ.-დეკორატ. ხელოვნება—რუსეთში“ № 5. 1924.
**ამაღლობელი ს.:** 1) „ძველი ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავზე“ № 10. 1925; 2) „კინო მრეწველობის მორიგი ამოცანები“ № 10-11. 1926; 3) „თეატრი და კინო“ № 5-6, № 7. 1927; 4) „ლენინი და რევ. სამართალი“ № 10; 5) „სახკინმრეწვის საკითხები“ № 8-9. 1927; 6) „მაქსიმ გორკი ადამიანის ძიებაში“ № 4. 1928.
**ბარნაბიშვილი:** „ქვანახშირის მარაგი“ № 1. 1924.
**ბახტაძე ვ.** 1) „ცხოვრება და ხელოვნება“ № 8-9, № 10-12. 1925; 2) „კრიტიკული შენიშვნები—ბაბელი“ № 1; 3) „პილნიაკი“ № 3; 4) „მ. გორკი“ № 4; 5) „ერენბურგი“ № 5-6; 6) „სადღეისო საკითხები ლიტერატურაში“ № 7: 7) „ტოლსტოი“ № 8-9; 8) „ანდრ. სობოლი“ № 10; 9) ფადეევი“ № 11-12.—1928.
**ბუხარინი ნ.:** 1) „გესლიანი შენიშვნები“ № 11-12. 1929; 2) „ლიბედინსკი წიგნზე“, „შვიდი დღე“ № 4. 1924.
**გელეიშვილი პ.:** „ჩვენი ახლო წარსულიდან“ № 8-9. 1926; 2) „ილ. ჭავჭავაძის აჩრდილის ახალი ავტოგრაფი“ № 3. 1926.
**გ.—ლი ვ.:** „ნეკრასოვი“ № 2. 1928.
**გორბაჩევი გ.:** „ბურჟ. დემოკრატ. რევოლიუციის უკანასკნელი რომანტიკოსი“ № 4. 1924.
**გორგაძე ვ.:** „უპტ. სინკლერი“ № 8-9. 1925.
**გედევანიშვილი ი.:** „პროლეტარულ ხელოვნების პრობლემა“ № 1. 1924.

**გორგაძე ს.**: 1) „ბ. გაბაშვილის დღემდე უცნობი ოდა სამძიმარი" № 7-8. 1924; 2) „აკაკი წერეთელი" № 2. 1925; 3) „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან" № 5-6. 1924; № 1. 1925; №3. 1925.

**გორკი მ.**: „განდიდებულთა და დამწყებთა შესახებ" № 5-6. 1928.

**დანელია ს**: „რევოლიუცია და სკოლა" № 10. 1927.

**დევდარიანი ს.**; 1) „ეს პასუხი არ არის" № 5. 1924; 2) „ოქტომბერი და ინტელიგენცია" № 6. 1924; 3) „მარქსიზმი და ხელოვნება" № 1, 1925; 4) „ორი მიმართულება ბოლ. წინააღ." № 4. 1925; 5) „ჭოლა ლომთათიძე" № 7. 1925; 6) „კაპიტალის დაგროვებისა და იმპერიალიზმის თეორია რ. ლიუქსემბურგისა" № 3. 1926; 7) „მეორე ინტერნაციონალის ნგრევის სათავეებთან" № 4. 1926.

**დუდუჩავა შ.**: 1) „ესთეტიური იდეალი ხელოვნებაში" № 3. 1924; 2) „მარქსიზმი და ხელოვნება" № 1-2. 1925; 3) „ფორმალიზმი ხელოვნებაში" № 10. 1925; 4) „ისევ ფორმალისტური პოეტიკის შესახებ" № 4. 1926; 5) „ჩვენი სათეატრო პოლიტიკის შესახებ" № 10-11. 1926.

**ვოროვსკი**: „წარსულიდან" № 4. 1927.

**ვაგანიანი**: „რამოდენიმე მოსაზრება პროლეტარულ კულტურის შესახებ" № 7. 1925.

**ზანდუკელი მ.**: 1) „გრიგოლ ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები" № 5-6, 1926; 2) „გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება" № 8-9. 1926; 3) „რომანტიზმი ქართულს მწერლობაში" № 1. 1927.

**ზდანევიჩი კ.**: „ნიკო ფიროსმანი" № 3. 1924; 2) „მემარცხენე მხატვრობა რუსეთში" № 4. 1924.

**იაკოვლევი**: „საბჭოები როგორც პროლ. დემოკრატიის ორგანოები" № 8. 1925.

**თარხნიშვილი**: „ალ. და დიმიტ. ყაზბეგები" № 7 და № 8-9. 1927.

**ულენტი ბ.**: 1) „1924 წელი ქართულ ლიტერატურაში" № 1. 1925; 2) „ფორმალიზმი და ხელოვნების კვლევის მეთოდოლ. პრობლემები". 1925.

**კალაძე რ.**: 1) „აკაკი" № 2. 1925; 2) „1905 წ. და ქართული მწერლობა" № 11-12. 1925. 3) „ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი ვითარება" № 10-11. 1926; 4) „ქართული საზოგადოება და ანტონ ფურცელაძე" № 8-9. 1927; 5) „ქართული პროლეტარული მწერლობა" № 7 და № 8-9. 1928.

**კალანდარიშვილი გ.**: 1) „პოეზია ლენინზე" № 4. 1924. 2) „ლიტერატურული სილუეტები" № 1. 1925.

**კახიანი მ.**: 1) „მე-15 პარტკონფერენციის შედეგები" № 10-11. 1926; 2) „იდეოლოგიურ ფრონტზე" № 1. 1927; 3) „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები" № 2. 1827; 4) „კულტურული რევოლიუციის საკითხები" № 1. 1928; 5) „იდეოლოგიურ ფრონტზე" № 7. 1928.

**კამენევი ლ.**: „ლენინის წერილები მაქ. გორკის მიმართ 1908-1913" № 6. 1924.

**კაპანელი კ.**: „ოქტომბრ. რევოლიუც. და იდეოლოგია" № 10. 1927.

**კეკელიძე კორ. პროფ.**: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" № 2. 1928.

**კოტეტიშვილი ვ.**: „ქართული პოეტური ფოლკლორი" № 5-6. 1927.

**კრინიცკი ი.**: „ეროვნული კულტურის საკითხი" № 5-6. 1927.

**ლუნდბერგი ე.** „ლენინი—ლეგენდა" № 4. 1924.

**ლომინაძე ბ.**: 1) „საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები" № 10-11. 1926; 2) „რუსეთის საკითხი კომინტერნის აღმასკ. პლენუმზე" № 2. 1927.

ლეონიძე გ.: „ივანე მაჩაბელი“ № 2, № 3, № 4. 1924.

მარტინოვი ა.: „ჩინეთის რევოლიუციის ძალთა გადაჯგუფება“ № 3. 1927.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამალაძე შ.: „გრ. პავ. ტატიშვილი“ № 4. 1925.

მახარაძე ფილ. 1) „ლენინი და რუსეთის რევოლიუცია“ № 1. 1924; 2) „საქართვ. მე-19 საუკუნ.“ № 2. 1926; 3) „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“ № 2. 1926; 4) „ქართული მწერლობა და კულტურ. რევოლიუცია“ № 4. 1928.

მგალობლიშვილი გ.: „ქიათურის შავი ქვის კონცესია“ № 5-6. 1925.

მგელაძე-ვარდინი ი.: 1) „ბოლშევ. და იაკობინლები“ № 1. 1924; 2) „ათას ცხრაას ჩვიდმეტი წელი“ № 2. 1924.

მეგრელიძე კ.: „გერმანიის კაპიტალიზმის კრიზისი“ № 1. 1927.

მიქოიანი: „თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი“ № 3. 1927.

მიწიშვილი ნ.: „ინგლისის ხელი შუა აზიაში და ავღანისტანის ამბები“ № 2-3. 1924.

მუნბლიტი: „ემილ ზოლა“ № 11—12. 1927.

მუშიშვილი: 1) „სისხლიანი კვირა“ № 1. 1925; 2) „თანამედროვე ლიტერატურის ვითარება“ № 11-12. 1927; 3 „პროლეტარულ მწერლობის დასაცავად“ № 8-9. 1928; 4) „ისტორიული ეტიუდები“ № 1. 1929; 5) „ქართული ლიტერატურის „მნათობი“ № 2-3. 1929.

ნუცუბიძე შ. პროფ.: „რევოლიუცია და მეცნიერება საქართველოს სინამდვილეში“ № 10. 1927.

ორაგველიძე კ.: 1) „წერილები პოლიტ. ეკონომიიდან“ № 1. 1924. 2) „ლენინი და ბრესტი“ № 1. 1924. 3) „ამ.-კავკასიის ეკონომიური განვითარება“ № 5-6, № 8-9, № 10. 1928.

ორაგველიძე ი.: „გაახალგაზრდება“ № 1. 1924.

ორახელაშვილი მარ.: „პოკროვსკი, როგორც საბჭოთა განათლების მუშაკი და ხელმძღვანელი, № 10. 1928.

ოჩიაური: „თეთრი საყელო და ხევსურეთი“ № 3. 1928.

რადიანი შ: 1) „მარქსიზმის კრიტიკის პრინციპები“ № 8-9. 1925; 2) „სიმბოლიზმი საქართველოში“ № 7. 1927, 3) „სიმბოლ. საქართველოში“ № 2. 1928, 4) „გალ. ტაბიძე“ № 8-9. 1928.

რეისნერი ლ. „ჰიმალაების ჩრდილში“ № 1. 1924.

რობაქიძე გრ.: 1) „მ. გორკის თვალი“ № 4. 1928; 2) „ევროპის თანამედროვე ლიტერატურა“ № 5-6; 3) „პისკატორის თეატრი“ № 7; 4) „ტოლსტოის დღეები“ № 8-9 და № 10. 1928.

როდნელი დ. „ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი“ № 4. 1926.

ქავთარაძე ს. 1) „სირიის საკითხი, როგორც ნიმუში იმპერიალისტური პოლიტიკისა“ № 2. 1925. 2) „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები“ № 3 და № 4. 1925, № 7. 1926.

ქორელი მ.: „ჩვენი თეატრის გარშემო“ № 2. 1924. 2) „რა გაკეთდა“ № 6. 1925.

პოლონსკი: „ლენინი ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ“ № 9. 1928.

სტალინი ი.: 1) „აღმოსავლეთის ხალხთა და აღმ. უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები“ № 4. 1925. 2) „ჩინეთის რევოლიუცია და კომინტერნის ამოცანები“ № 7. 1927.

ტოროშელიძე მ.: „დიადი დიადთა შორის“ № 1. 1924.

**ტროცკი ლ.:** 1) ,,რევოლიუციის ახალი ეტაპი“ № 5. 1924. 2) ,,ლენინი ტრიბუნაზე“—№ 1. 1926, 3) ,,ფილისტერი რევოლიუციონერის შესახებ“ № 10. 1925.

**ს—ლი გ.:** ,,საქართველოს ოქტომბერი“ № 2. 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხუნდაძე ს.:** 1) ,,მარქსის ინტერნაციონალი“ № 5. 1924, 2) ,,ეროვნული პრობლემის გარშემო“ № 5-6 და № 7, 1925. 3) ,,ჩერნიშევსკის პოლიტიკა 60 წლებში“ № 11-12. 1928.

**ხუროძე ვ.:** 1) ,,მიხ. ჯავახიშვილი“ № 5-6. 1925: 2) ,,შიო არაგვისპირელი“ № 1. 1926, 3) ,,იოსებ დავითაშვილის შემოქმედება“ № 4. 1927; 4) ,,იბსენი“ № 3. 1928; 5) ,,მ. გორკი“ № 4; 5) ,,ორი სტილი“ № 5—6 1928.

**აკ. ფალავა:** ,,ახალი თეატრი“ № 2. 1924.

**ფრიჩე ვ.:** 1) „დასავლეთის ლიტერატურის უმთავრესი შეხედულებანი“ № 2. 1924.

**ქიქოძე გ.:** 1) ,,კონსტ. მენიე და ხელოვნების რევოლიუცია“ № 2. 1925; 2) ,,ქართული მხატვრობა და ფიროსმანიშვილი“ № 3. 1925.

**ქიქოძე პლ.:** 1) ,,ოქტომბერი და ქართული მწერლობა“ № 10. 1927; 2) ,,ქართული მწერლობის ერთი წელი“ № 1. და № 3. 1928: 3) ,,ანგარიში 1928. ლიტერატურული პროდუქციის შესახებ“ № 1. 1929.

**ქუთათელაძე ნ.:** ,,კვლევითი მეთოდი ლიტერატურაში“ № 4. 1926.

**უზნაძე დ. პროფ.;** ,,ტფილისის ტრამვაის ვატმანების ფსიქოტეხნიკური გამოცდა და მისი შედეგები“ № 1. 1929.

**უსტინოვი გ.:** ,,რევოლიუციის ტრიბუნი“ № 6. 1924.

**ყაზბეგი ელ.:** ,,დიმ. და ალ. ბიოგრაფიის მასალები“ № 5. 1924, № 7-8. 1924. № 1, № 2, № 3, № 4, № 8-9, № 10, № 11-12, 1925. № 1. 1926

**ყარიბი:** „რევოლიუცია და ხელოვნება“ № 5-6, № 7. 1926.

**შებუევი:** 1) „გორკი როგორც ადამიანი“ № 8-9. 2) „სუმბათაშვილი-იუჟინი“.

**ჩერნიავსკი ნ.:** „ლენინის წერის მეთოდი“ № 6, 1924. № 11-12. 1927.

**ჩიქოვანი ს.:** „სასწრაფო განმარტება ჟურნალ H 2 S 04. 2) „თანამედროვე მხატვრობა გერმანიაში“ № 5. 1924.

**ჭიჭინაძე კ.:** „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“ № 5-6, № 7, 1925.

**ჭყონია ილ.:** „ჩემი დღე და სოფელი“ № 8-9, 1928.

**ჯაბადარი ა.:** „ზოგი რამ ალ. ყაზბეგის შესახებ“ № 2, 1928.

**ჯავახიშვილი მიხ.:** „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ № 11-12 1928 და № 1. 1929.

## მეცნიერება

**ბაქრაძე კ.:** „ჭეშმარიტების პრობლემა და შემეცნების სტრუქტურა“ № 1, 1928.

**გოგიბერიძე მოს.:** 1) „ა. აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“ № 1, № 2, № 3, 1924; 2) „კანტის დაბადებიდან 200 წლ. შესრულების გამო“ № 2, 1924. 3) „მეცნიერება და რევოლიუცია“ № 6, 1924. 4) „ორგანოტროპიზმი“ № 8-9, 1925. 5) „ფრ. ენგელსი თანამედროვე ბუნებათ-მეცნიერების სამსჯავროს წინაშე“ № 8-9, 1926. 5) „ბენედიკტ სპინოზა“ № 7, 1927. 7) „კაიზერლინგი“ № 11-12, 1927. 8) „ფილოსოფია კარლ კაუტსკის ახალს წიგნში“ № 8-9, 1928.

**დებორინი ა.:** „ლენინი-მატერიალისტი“ № 4, 1924.

**დანელია ს.:** „ჩემი პასუხი“ № 11-12, 1927.

**დუდუჩავა:** „ლენინის ფილოსოფიური შეხედულებანი“ № 2, 1924.

**ინგოროყვა პ.:** „რუსთაველიანაზე“ № 3 და № 4, 1927.

**კაკაბაძე:** 1) საქართვ. ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკ. № 3, 1924. 2) „ვეფხვის ტყაოსნის საკითხის გარშემო“. № 11-12, 1927.

**კეკელიძე კორ.:** (პროფ). 1) „რუსთაველიანა“ № 2. 2) „კიდევ ვეფხვის ტყაოსნის შესახებ“ № 5-6, 1927.

**მარი ნიკო:** 1) „ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტიური თეორიის შესახებ“ № 5, 1924. 2) „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათ-მეცნიერების მიხედვით“ № 4, № 5-6, 1925.

**ნანეიშვილი გ.:** „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“. № 3. 1928.

**ნათაძე გ. პროფ.** :1) „პოკროვსკი როგორც ისტორიკოსი“ № 10, 1928. 2) შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლას. ურთიერთობა მე-9-10-ე საუკუნეში. № 2-3, 1929.

**ნუცუბიძე შალ.:** 1) „შპენგლერიდან კაიზერლინგამდე“ № 3, 1926, 2) „ქართული გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელზე“ № 4, 1927; 3) „ზოგიერთი განმარტება“ № 1, 1928, 4) „მარქსიზმი და ემპირიო-კრიტიციზმი“ № 5-6, 1928.

**რიაზანოვი:** „კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ლიტერატურული მემკვიდრეობის ახალი მასალები“, № 3, 1924.

**სურგულაძე ი.:** „იურიდიული მეთოდოლოგიისათვის“ № 10, 1928.

**ტროცკი ლ.:** „მენდელეევი და მარქსიზმი“ № 10, 1925.

## ბიბლიოგრაფია

### დაიბეჭდა შემდეგ წიგნებზე:

1) **„შალვა დადიანი“:** „პიესები“, 2) **ბ. თევზაია:** „კერძო და საზოგადოებრ. მეურნეობა“, 3) ტფილისი. უნივერსიტეტის მოამბე“ III. 4) „რევოლიუციის მატიანე“ III, 5) **ლ. ტროცკი:** „ოქტომბრის რევოლიუცია“.

5) **კ. მარქსი:** „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, 7) **კ. მარქსი:** „კრიტიკა გოტის პროგრამისა“, 8) **კ. მარქსი:** „სამუშაო ქირა, ფასი და მოგება“, 9) **ლენინი:** „ნაციონალური საკითხი“, 10) **გეხტმანი:** „საქართველოს ეკონომ. გეოგრაფია“, 11) „რევოლიუციის მატიანე“ № 1. 12) „მომავალი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“ №№ 18, 19, 20, 21, 13) **მარქს-ენგელსი:** „კომუნისტური მანიფესტი“, 14) **ნ. ბარათაშვილი:** „სრული კრებული“, 15) **ს. შანშიაშვილი:** „სპარტაკი“, 16) **გ. ქუჩიშვილი:** „შრომისა და ბრძოლის სიმღერები“, 17) **მიხ. ჯავახიშვილი:** „მოთხრობები“, 18) **ნოე ჩხიკვაძე:** „ლექსები“, 19) „სახიობა“ (ჟურნ.), 20) **ლეო ქიაჩელი:** „მოთხრობები“, 21) **კ. ჰიჰინაძე:** „რჩეული ლექსები“, 22) „ჩვენი მეცნიერება №11-12, 1924 წ. 23) „რევოლიუციის პოეტები“, (კრებული). 24) **ანრი ბარბიუსი:** „ცეცხლი“. 25) **რაჟ. გვეტაძე:** „ვირების მესია“, 26) „დინამიტი № 1“, 1224, 27) **ანასტასია-ერისთავ-ხოშტარია:** „მიწა“, 28) **ჯეკ ლონდონი:** „რკინის ქუსლი“, 29) ჟურნალი № 2 S04 № 1. 20) **ლენინი:** „წერილები და სიტყვები პარტ-აღმშენებლობის შესახებ“, 31) **ფრ. ენგელსი:** „ლიუდ. ფოიერბახი“.
32) **ეგნატე ნინოშვილი:** ნაწერები, ტომი I. 33. „ჩვენი მეცნიერება“ № 1, 1924.
34) **კ. კორში:** „მარქსიზმის დედა აზრი.“

35) **გ. ტაბიძე:** „ჯონ რიდი.“ 36) **მ. ჯავახიშვილი:** „ჯაყოს ხიზნები.“ 37) **კონ. ჭიჭინაძე:** „ალ. ქართ. შაირში ◌ ვეფხვის ტყაოსნის პრობლემა“ 38) **დ. უზნაძე:** „ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. 39) **ს. დანელია:** „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში.“ 40) **გ. მუშიშვილი:** [illegible]ომი“. 41. „ქართვ. მწერალ ქალთა სალიტერატურო ალმანახი.“ 42) **ფოლფსონი:** „საზოგადოებათ მეცნიერება“. 43) **პლეხანოვი:** „ხელოვნება და საზოგადოებრივი მეცნიერება“. 44) **კონსტ. გამსახურდია:** „დიონისის ღიმილი“ 45) **პრ. კორ. კეკელიძე:** „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. II. 46) „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“ № 3. 47) „წიგნის მეგობარი“ (ალმანახი). 48) **იასამანი** „ლექსები.“ 49) „ჩვენი მეცნიერება,“ (ჟურნალი). 50). **კაკაბაძე:** „ლისაბონის: ტუსაღები.“

51) **ი. სტალინი:** „ლენინიზმის საკითხებისათვის.“ 52) **ვ. ბარნოვი:** „არმაზის მსხვრევა.“ 53) „**ქართული მწერლობა:**“ (ჟურნალი). 54) **ს. დანელია:** „ქსენოფანე კოლოფონელი.“ 55) **ს. მგალობლიშვილი:** „რჩეული მოთხრობები. 56) **კ. მაყაშვილი:** „ეშმაკი საქართველოში.“ 57—59) **მიხ. ჯავახიშვილი:** „პატარა დედაკაცი,“ „ორი განაჩენი,“ „თეთრი საყელო,“ 60) **გ. გროსი:** „ხელოვნება განსაცდელშია.“ 61) „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ (გერონტი ქიქოძის თარგმანი) 62) **აკ. წერეთელი:** „რჩეული ნაწერები“ ტ. II. 63) **ნოე ზომლეთელი:** „ლექსები.„ 64) **ვ. კოტეტიშვილი:** „ქართული ლიტერატურის ისტორია.“ 65) **მიხ. ჯავახიშვილი:** „მოთხრობები“. 66) **დემნა შენგელაია:** „სანავარდო“.

67) **ს. ხუნდაძე:** „ქართული ინტელ. პროფ. მე-19 საუკუნეში.“ 68) **ლისტი:** „Междун. право.“ 69) „მემარცხენეობა“ (ჟურნალი). 70) **გ. ქუჩიშვილი:** „შრომის და ბრძოლის სიმღერები. 71) **შიო არაგვისპირელი:** „მოთხრობები.“ 72) **ს. დანელია:** „მოსე გოგიბერიძის რეცენზიის გამო.“ 73) **მ. გოგიბერიძე:** „განმარტება.“ 74—75) **ალ. შანშიაშვილი:** „მოჯამაგირე გაბო,“ ,,ძუძუ დამშრალი მშობელი მიწა“. 76) **დ. თოფურიძე:** „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები.“ 77) **ს. დანელია:** „ანტიური ფილოსოფიის ისტორია.“ 78) **ნ. მიწიშვილი:** „წმინდანიანი“. 79) **ალ. ნევეროვი:** „ტაშკენტი—ქალაქი პურის.“ 80) **ს. ხუნდაძე:** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში.“ 81) „ქართული მწერლობა“ № 4—5) 1927. 82) **დ. სულიაშვილი:** „ნაღვერდალი.“ 83) **გ. რჩეულოვი** „ქვრივის ლიმონები.“ 84) **შიო არაგვისპირელი:** „გაბზარული გული.“ 85) **კ. ლორთქიფანიძე:** „ღიმილი.“ 86) **ალ. მაშაშვილი:** „ლექსები.“ 87) **პოლუმორდვინოვი:** „ვერცხლის ქამარი. 88) **ი. დავითაშვილი:** „ლექსები.“ 89) **აკ. პაპავა:** „მეურმე ნესტორა.“ 90) „ქართული მწერლობა.“ № 8—9 1927 91) **ს. რემონიძე:** „ჩემი ტფილისი.“

92) **ლ. ტოლსტოი:** „აღდგომა.“ 93) **გლადკოვი:** „ცემენტი“ 94) **ი. გრიშაშვილი** „ძველი ტფილისის ლიტერატურული პოემა.“ 95) **ს. რემონიძე:** „ადამიანი.“ 96) **როდზიანკო:** Крушение империи. 97) **ნ. ლორთქიფანიძე:** „მრისხანე ბატონი.“ 98) „ტფილისის უნივერს. მოამბე.“ ტ. VII. 99) „საქართვ. მუზეუმის მოამბე“. (კრებული) 100) „Болшевик“ № 1. 1928. (ჟურნალი.) 101) **გიოთე:** „ფაუსტი.“ 102) „საბჭოთა სამართალი.“ № 1. (ჟურნალი.) 103) **ს. დანელია:** “წერილი რედაქციის მიმართ.“ 104) **ვ. ხუროძე:** “ქართული ლიტერატურის თემატიური განხილვა.“ 105) **მარქსი და ენგელსი:** Собрание сочинении „ტომი I. 106) „საქართველს ეკონომისტი.“ (ჟურნალი). 107) **მ. გორკი:** „კრებული“ („შრომის“ გამოცემა). 108) **ლენინი:** „იმპერიალიზმი, როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა.“ 109) **ვაჟა-ფშაველა:** „ლექსები“ ნაწერები, ტ. I.

110) **ტალმაიმერი:** Введ „Диалект. матер.“ 111) „არიფიონი“ (ლიტერატურული კრებული.) 112) **დ. ონიაშვილი:** „გაუგებრობა თუ უვიცობა“ (პ. კ. გამსახურდია.) 113. „მემარცხენეობა“ № 2. 1928. 114) **გრ. ორბელიანი:** „ლექსები.“ 115) **აკაკი წერეთელი:** „ნაწერები“ IV. 116) „პროლეტარული მწერლობა“ № 3. 117) **ლ. ტოლსტოი:** „ყაზახები.“ 118) „უნივერსტეტის მოამბე“ ტ. VIII. 119, **საბა სულხან ორბელიანი:** „სიბრძნე სიცრუისა.“ გ. ლეონიძის რედაქციით.

120) **მ. ზანდუკელი:** „თერგდალეულნი: და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში.“ 121) **ფ. მახარაძე:** „1905 წ. ა/კავკასიაში.“ 122) **მოსე გოგიბერიძე:** „მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“ 123) **გრ. გიორგაძე:** „საზოგადოებრივი ურთი-ერთობა საქართველოში 1964—1905.“ 124) **ა. ფადეევი:** „განადურება“ 125) **შ. რემელე:** „საით მიდის ევროპა“. 126) **ნ. მიწიშვილი:** „ეპოპეია.“

---

რედაქცია:
მიხ. ჯახიანი.
ა. მიქაძე.
ს. მაშულია.
ა. ქიქიკაშვილი.
ს. ყული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## მხატვრული ლიტერატურა

გვერდი

1. „მნათობის" ხუთი წლის თავისთვის . . . . . . . . . . . . . 1
2. **გალაქტიონ ტაბიძე**—ლექსი დაწერილი „მნათობის" ხუთი წლის არსებობის გამო . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
3. **პაოლო იაშვილი**—პოეზიის ინჟენერებს . . . . . . . . . . . 5
4. **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—ერთი მათგანი . . . . . . . . 7
5. **გიორგი ლეონიძე**—ზამთრის მუხამბაზი . . . . . . . . . . 11
6. **ვარლამ ჟურული**—ნიკო ფიროსმანს . . . . . . . . . . . 12
7. **ეგნატე ნინოშვილი**— * * * . . . . . . . . . . . . . . 13
8. **მიხეილ ჯავახიშვილი**—ფინჯანი . . . . . . . . . . . . . 17
9. **როდიონ ქორქია**—ვარდი და ცოცხი . . . . . . . . . . . . 49
10. **ნ. ზომლეთელი**—ბეჟანა დაბრუნებულა (გაგრძელება) . . . . . . . 53
11. **გიორგი ქუჩიშვილი**—ლეგენდა ჩადრზე . . . . . . . . . . . 72
12. **იოსებ ტატიშვილი**—იალღუჯა (გაგრძელება) . . . . . . . . . 80
13. **მიხეილ მრევლიშვილი**—ხავს მოდებული ნაფოტები . . . . . . . 113
14. **გრიბოედოვი**—ქართული ღამე (თარგმანი და არანაქირომა შ. დადიანისა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 131
15. **ჟიულ რომენ**—Obe Genoise . . . . . . . . . . . . . . 146
16. **მ. გორკი**—არტამანოვების საქმე (გაგრძელება თარ. ლ. ქიაჩელის) 149

## კრიტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა

17. **გ. მუშიშვილი**—ქართულა ლიტერატურის მნათობი . . . . . . . 169
18. **პროფ. გ. ნათაძე**—შავშეთ-კლარჯეთის ეკონ. მდგომარეობა და კლას. ურთიერთობა მე-9—101 . . . . . . . . . . . . . . . 202
19. **კ. გორდელაძე**—სპინოზას მატერიალიზმი . . . . . . . . . . 231
20. **კარა—დარვიშ**—მხატვრული ცხოვრება სომხეთში . . . . . . . . 252
21. **ნიკოლო მიწიშვილი**—ინგლისის ხელი შუა აზიაში და ავღანისტანის ამბები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 256

## ბიბლიოგრაფია

22. **ს. დ—ნი.**—ერთი ახალი წიგნის გამო . . . . . . . . . . . 274
(მოსე გოგიბერიძე—მატერიალიზმის და იდეალიზმის პრობლემა მარქსამდე).

23. პ. **გუგუშვილი**—გრ. გიორგაძე: საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში . . . . . . . . . . . . . . . . . . 279
24. —**კე.** ა. ფადეევი: განადგურება . . . . . . . . . . . . . . . . 282
25. **მ.**—ნ. ბუხარინი: ისტორიული მატერიალიზმის თეორია . . . 283
26. **მოხკოველი**—ჰერმან რემელე: საით მიდის ევროპა . . . . . 284
27. **უ. ურდოელი**—ნიკოლო მიწიშვილი:—ეპოპეია . . . . . . . . . 286
28. **ვ.**—ჰერბერტ უელსი: ვილიამ კლისოლდის ქვეყანა . . . . . . . . 287

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ „მნათობის“ გენერალური სარჩევი 1924 წ.—1929 წლამდე

29. პოეზია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 290
30. პროზა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 292
1. თარგმნილი ლიტერატურა . . . . . . . . . . . . . . . . . . 294
32. კრიტიკა, მხატვრობა, პუბლიცისტიკა . . . . . . . . . . . . . 295
33. მეცნიერება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 298
34. ბიბლიოგრაფია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 299